


Kingdom of the Netherlands

იდენტობა | Identoba

პუბლიკაცია მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ მიერ, პროექტის ფარგლებში „ქართველ სტუდენტთა მგრძნობელობის ამაღლება ლგბტ საკითხებში“. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში. ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს დონორის პოზიციას.

რედაქტორები: შორენა გაბუნია, ირაკლი ვაჭარაძე
განსაკუთრებული მადლობა: ლიანა ბარაბაძეს, ნათია გვიანიშვილს, მაგდა კალანდაძეს, ანა რეხვიაშვილს, ლევან ბერიანიძეს, ქეთევან ცაგარეიშვილს ნაშრომის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის.

Current publication was prepared by non – governmental organization Identoba, within the frames of the project “Sensitization of Georgian Students on LGBT Issues“.
The opinions expressed in this publication may not reflect the position of the donor.

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა „იდენტობას“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში, წყაროს მითითებით.
Partial or full reproduction of any part of this publication is not permitted without prior written consent from Identoba, with the exception of short quotations in critical articles and essays.

შესავალი ლგბტ ფსიქოლოგიაში

თბილისი, 2013

სარჩევი

შესავალი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ქვიარ ადამიანების ფსიქოლოგიაში 8
ნაწილი პირველი 8
ისტორია, კონტექსტები და დებატები ლგბტქ ფსიქოლოგიაში 8
თავი 1. ლგბტქ ფსიქოლოგიის შესავალი 8
რა არის ლგბტქ ფსიქოლოგია და რატომ არის საჭირო მისი შესწავლა? ... 8
სექსუალობისა და „გენდერული ბუნდოვანების“ მეცნიერული შესწავლა 13
მაგნუს ჰირშფელდი და კარლ-ჰაინრიხ ულრიხსი 13
რიხარდ ფრეიერ ფონ კრაფტ-ებინგი და ჰენრი ჰაველოკ ელისი 15
ზიგმუნდ ფროიდი 17
ალფრედ კინსი და მისი კოლეგები 17
„გეი მხარდამჭერი” ფსიქოლოგიის ისტორიული ჩამოყალიბების პროცესი 20
ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაცია და დეპათოლოგიზაცია 20
ჰომოსექსუალთა ნორმალურობის დადასტურება 25
ჰომოსექსუალთა ნორმალურობის მტკიცების კრიტიკული ალტერნატივების გაჩენა 28
პროფესიული აღიარებისთვის ბრძოლა და ჰეტერონორმატიულობის პრობლემატიზაცია ფსიქოლოგიაში 30
კითხვები განხილვისათვის 34
თავი 2. 35
ძირითადი დებატები და პერსპექტივები 35
სოციალური კონსტრუირება ესენციალიზმის წინააღმდეგ 36
ესენციალისტური თეორიები 36
სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიები 43
ესენციალიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის შედარება 48
ლიბერალიზმი რადიკალიზმის წინააღმდეგ 50
ლგბტქ ფსიქოლოგიისა და ფემინიზმის ურთიერთმიმართება 54
ფემინიზმი 54
ფემინისტური ფსიქოლოგია 55
ფსიქოლოგიისა და ქვიარ თეორიის ურთიერთმიმართება 55
ქვიარ თეორია 58
ქვიარ ფსიქოლოგია 62
ლგბტქ ფსიქოლოგიისა და კრიტიკული ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება 66

ლგბტქ ფსიქოლოგიისა და პოზიტიურ საზოგადოებრივ ცვლილებას შორის ურთიერთმიმართება 66
ხარვეზები და ნაკლოვანებები 68
თავის ძირითადი საკითხები 69
კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები 70
თავი 3 71
ლგბტქ ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 71
კვლევის მეთოდები და მიდგომები 72
რაოდენობრივი მიდგომები და ექსპერიმენტული მეთოდები 73
ექსპერიმენტული მეთოდი 75
ანკეტები და გამოკითხვებზე დაფუძნებული კვლევა 76
თვისებრივი და კრიტიკული მეთოდები 78
ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი 79
ნატურალისტური მონაცემები 83
დისკურსის ანალიზი 84
მონაწილეობაზე დაფუძნებული კვლევა 86
ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევის სირთულეები 87
ლგბტქ პოპულაციის განსაზღვრა, ხელმისაწვდომობა და შერჩევა 87
პოპულაციის განმარტება 87
სირთულეები მონაწილეთა ჩართვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით 89
„ჩვენიანის უპირატესობა“ 92
ლგბტქ მონაწილეების შერჩევის სირთულეები 95
კარგი კვლევის პრინციპები 97
არაჰეტეროსექსისტური და არაგენდერისტული კვლევის ჩატარება 97
კვლევის ეთიკა 101
ხარვეზები და ნაკლოვანებები 103
თავის ძირითადი საკითხები 103
კითხვები განხილვისათვის და საკლასო სავარჯიშოები 104

ნაწილი მეორე 105
სოციალური მარგინალიზაციის გაგება ლგბტქი ადამიანების ცხოვრებაში 105
თავი 4 105
მრავალფეროვნება 105
განსხვავებულობა ლგბტქ თემს შიგნით 105
გენდერი 109

ბისექსუალობა 113
ტრანსი და ქვიარ 115
სოციალური კლასი 119
რასა 121
ორგანიზებული რელიგია და სულიერება 125
სოფლად ცხოვრება 128
უნარიანობა 129
თავის ძირითადი საკითხები 133
კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები 133
თავი 5 135
წინასწარგანწყობა და დისკრიმინაცია 135
სექსუალობისა და გენდერული იდენტობის
წინასწარგანწყობების კონტექსტი 135
სექსუალობა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული
წინასწარგანწყობა, როგორც ანტი–ლგბტქ მიდგომა და ქცევა 137
შეხედულებები ლგბტქ ადამიანების მიმართ და პრობლემები 139
ლგბტქ ადამიანებისადმი სიძულვილით
მოტივირებული დანაშაული 144
სოციალური კლიმატის აღქმა 149
სექსუალობა და გენდერული იდენტობისადმი უარყოფითი
წინასწარგანწყობა, როგორც სოციალური მარგინალიზაცია 155
ჰეტეროსექსიზმი 155
ჰეტერონორმატიულობა 161
ხარვეზები და ნაკლოვანებები 164
თავის ძირითადი საკითხები 164
კითხვები განხილვისათვის და საკლასო სავარჯიშოები 165
თავი 6 166
ჯანმრთელობა 166
რა არის ლგბტქ ჯანმრთელობა? 166
სქესობრივი ჯანმრთელობა 171
გეი და ბისექსუალ მამაკაცთა სქესობრივი ჯანმრთელობა 171
ლესბოსელ და ბისექსუალ ქალთა სქესობრივი ჯანმრთელობა 177
ფსიქიკური ჯანმრთელობა 180
ჰომოსექსუალობა და ტრანსსექსუალობა,
როგორც ფსიქიკური დაავადება 180
სოციალური სტრესი და ლგბტქ ფსიქიკური ჯანმრთელობა 181
ლგბტქ ადამიანების ურთიერთობა ფსიქიკური
ჯანმრთელობის სფეროს წარმომადგენლებთან 184

ფიზიკური ჯანმრთელობა 188
ცხოვრებისეული „არჩევანი“, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა და ქრონიკული დაავადებები 190
ხარვეზები და ნაკლოვანებები 195
თავის ძირითადი საკითხები 196
კითხვები განხილვისათვის და საკლასო სავარჯიშოები 196
ნაწილი მესამე 197
ლგბტ ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილება 197
თავი 7 197
ახალგაზრდები, გამჟღავნება (ქამინგ აუთი) და იდენტობის ჩამოყალიბება 197
ახალგაზრდები, სექსუალობა და გენდერული იდენტობა 197
ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბების მოდელები 201
სექსუალური ცვალებადობა/მოქნილობა 209
ქამინგ აუთი ოჯახთან და მეგობრებთან 215
ლგბტქ ახალგაზრდები სკოლაში 219
იდენტობაში გარკვევა და თემის პოვნა 224
ხარვეზები და ნაკლოვანებები 227
კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები 228
თავი 8 229
ურთიერთობები 229
ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება 229
ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების შედეგები 232
ერთ და სხვადასხვა სქესიანი ურთიერთობების შედარება 234
სექსუალური პრაქტიკა 240
გეი სექსუალური პრაქტიკა 242
ლესბოსური სექსუალური პრაქტიკა 243
BDSM - დომინირება და მორჩილება, სადიზმი და მაზოხიზმი 245
ნორმატიულ წყვილს მიღმა 246
პოლიამურული ურთიერთობები 248
მეგობრობა 251
ხარვეზები და ნაკლოვანებები 255
თავის ძირითადი საკითხები 255
თავი 9 257
მშობლობა და ოჯახი 257
მშობლობის საშუალებები ლგბტქ ადამიანებისათვის 257
უარყოფითი დაშვებები ლგბტქ მშობლების შესახებ 261

ლესბოსური, გეი და ტრანსი ოჯახების შედარება
ჰეტეროსექსუალ ოჯახებთან 265
ხანგრძლივი (ლონგიტიდური) კვლევა 270
დაბადებიდან ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები და
ზოგადი მოსახლეობიდან შერჩეული საკვლევი ჯგუფები 271
ტრანსგენდერი ადამიანები, როგორც მშობლები 272
გეი მშობლობა 275
„საპირისპიროს მტკიცების“ დღის წესრიგს მიღმა 278
შედარებითი კვლევა თავდაცვას გულისხმობს 278
შედარებითი კვლევა აძლიერებს პრობლემატურ
სოციალურ ნორმებს 278
შედარებითი კვლევა განსხვავებულობას
პრობლემად განიხილავს 279
შედარებითი კვლევა აკონტროლებს ლესბოსელი
დედების ცხოვრებას 281
შედარების მიღმა? 282
ლგბტქ ოჯახების წიაღში 283
ხარვეზები და ნაკლოვანებები 286
თავის ძირითადი საკითხები 287
კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები 287
დამატებითი საკითხავი 288
ორმაგი იდენტობის ჩარჩოს გასაგებად 288
პრაქტიკული მუშაობა ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან 314
ტრანსგენდერთა პარტნიორობა და მშობლური ურთიერთობები 362
განმარტებითი ლექსიკონი 384

Lesbian, Gay, Bisexual, Trans and Queer Psychology, An Introduction
Victoria Clarke, Sonja J. Ellis, Elizabeth Peel and Damien W. Riggs, Cambridge University Press, 2010

შესავალი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ქვიარ ადამიანების ფსიქოლოგიაში

ნაწილი პირველი
ისტორია, კონტექსტები და დებატები ლგბტქ ფსიქოლოგიაში

თავი 1. ლგბტქ ფსიქოლოგიის შესავალი

თავის მიმოხილვა:

- რა არის ლგბტქ ფსიქოლოგია და რატომ არის საჭირო მისი შესწავლა?
- სექსუალობისა და „გენდერული ბუნდოვანების" მეცნიერული შესწავლა
- „გეი მხარდამჭერი" ფსიქოლოგიის ისტორიული ჩამოყალიბების პროცესი
- პროფესიული აღიარებისთვის ბრძოლა და ჰეტერონორმატიულობის პრობლემატიზება ფსიქოლოგიაში

რა არის ლგბტქ ფსიქოლოგია და რატომ არის საჭირო მისი შესწავლა?

ხშირად ისმის კითხვა, თუ რას ნიშნავს **ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსსექსუალ და ქვიარ** ადამიანთა (ლგბტქ) ფსიქოლოგია (გამუქებული სიტყვების ახსნა შეგიძლიათ განმარტებათა ლექსიკონში იპოვოთ). მართლაც, რა არის ლგბტქ ფსიქოლოგია? რა დანიშნულება აკისრია ფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე ლგბტქ ადამიანების ჯგუფს? რას შეისწავლის ფსიქოლოგიის მიმართულება ლგბტქ ადამიანების შესახებ? მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ ფსიქოლოგიას ხშირად ფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე ლგბტქ ადამიანთა მხარდამჭერ ჯგუფად აღიქვამენ, სინამდვილეში, მისი განმარტება ასეთია:

ლგბტქ ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის მიმართულებაა, რომელიც ლგბტქ ადამიანების ცხოვრებასა და გამოცდილებას შეისწავლის.

ხშირად აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგიის ამ მიმართულების უფრო ზუსტი სახელი "სექსუალობის ფსიქოლოგია" იქნებოდა. ლგბტქ ფსიქოლოგიისათვის სექსუალობა მნიშვნელოვანი სფეროა, მაგრამ იგი სხვა საკითხებსაც ფარავს. ლგბტქ ფსიქოლოგია შეისწავლის ლგბტქ ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა ცრურწმენები და დისკრიმინაცია, ოჯახი, აღზრდა, მშობლობა, **ქამინგ აუთი** და იდენტობის ჩამოყალიბება.

ხშირად გვისვამენ კითხვას, თუ რა საჭიროა ფსიქოლოგიაში ცალკე მიმართულება ლგბტქ ადამიანებისათვის. ამისათვის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს. პირველი: უახლოეს წარსულამდე, ფსიქოლოგთა უმეტესობა (და მასთან დაკავშირებული პროფესიების წარმომადგენლები, მაგალითად, ფსიქიატრები) ჰომოსექსუალობას გონებრივ (ფსიქიკურ) დარღვევად მიიჩნევდნენ. „გეი მხარდამჭერი" ფსიქოლოგია, როგორც ამ დარგს 70-იან წლებში უწოდებდნენ, ამ ხედვის საპირისპიროდ განვითარდა, იმის წარმოსაჩენად, რომ ჰომოსექსუალები ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი, „ნორმალური" ინდივიდები არიან. მეორე მიზეზი, რომელიც ასევე ჰომოსექსუალობის **პათოლოგიზაციასთან** არის დაკავშირებული, ისაა, რომ ფსიქოლოგიური შრომების უმეტესობა **ჰეტეროსექსუალ** და **არა-ტრანს** ადამიანთა ცხოვრებასა და გამოცდილებაზეა ფოკუსირებული. მეინსტრიმ ფსიქოლოგიაში ლგბტქ ადამიანები ან ძალიან გაკვრით, ან საერთოდ არ არიან ნახსენები. მაგალითად, დედობის შესახებ არსებულ კვლევათა უმეტესობა მხოლოდ ჰეტეროსექსუალ დედებზეა, ასევე, ცრურწმენების შესახებ სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებში ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებულ ცრურწმენებს ძალზე მცირე ყურადღება ეთმობა. ლგბტქ ფსიქოლოგებს სჯერათ, რომ თუ ფსიქოლოგია, ზოგადად „ადამიანების ფსიქოლოგიაა", მაშინ ის ყველას გამოცდილებას უნდა შეისწავლიდეს და ღია იყოს ადამიანთა შორის განსხვავებების საკვლევად.

ჩანართი 1.1. შარლოტ ჯ. პატერსონი: რატომ გვჭირდება ლგბტქ ფსიქოლოგია

რატომ არის საჭირო ლგბტქ ფსიქოლოგიის შესწავლა? როცა საკუთარ თავს ამ შეკითხვას ვუსვამ, დიდი ამერიკელი მწერალი ჯეიმს ბოლდუინი (1924-1987) მახსენდება. ბოლდუინი, აფროამერიკელი გეი კაცი, ძალიან ნაყოფიერი მწერალი იყო. ის პიესებს, ნოველებს, პოეზიასა და ესსეებს წერდა. 1955 წელს გამოქვეყნებულ ესსეში, ბოლდუინი ამბობს: „იმიტომ კი არ ვწერდი ამდენს იმაზე, თუ რას ნიშნავს იყო შავკანიანი, რომ ეს ჩემთვის ერთადერთი მნიშვნელოვანი თემაა. ვწერდი იმიტომ, რომ ეს იყო ის საკეტი, რომელიც აუცილებლად უნდა გამეხსნა, ვიდრე სხვა საკითხზე წერის

იმედი გამიჩნდებოდა“ (Baldwin, 1955: 8). ბოლდუინს სჯეროდა, რომ მწერალმა წერა აუცილებლად საკუთარი გამოცდილებიდან უნდა დაიწყოს.

ჩვენთვის, იმ ფსიქოლოგებისთვის, ვინც ლგბტქ თემის წევრად ვახდენთ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენი ნაშრომები ჩვენსავე გამოცდილებაზე იყოს დაფუძნებული. შესაძლოა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ფსიქოლოგიის შესწავლა იყოს, ან არც იყოს ჩვენი ერთადერთი საქმე, მაგრამ ხშირად ეს სწორედ ის კარია, რომელიც უნდა გავაღოთ. ლგბტქ ნაშრომების გამოქვეყნება აღებს ჩვენი შენიღბული იდენტობის კარს; ეს სამუშაო, შესაძლოა, ზოგჯერ საკუთარი სექსუალური და გენდერული იდენტობის გაცხადების ერთ-ერთი გზა იყოს. უფრო მეტიც, ლგბტქ ადამიანების ცხოვრების შესწავლა თავად ჩვენი საკუთარი ცხოვრების შეცნობაში გვეხმარება.

ბოლდუინმა ასევე აღნიშნა: „უნდა გვახსოვდეს, რომ ჩაგრულიცა და მჩაგვრელიც ერთსა და იმავე საზოგადოებაში ტრიალებენ“ (Baldwin, 1955: 21). ამით ბოლდუინმა აღნიშნა, რომ რასობრივი მიკუთვნებულობის მიუხედავად, თითოეული მოქალაქის ცხოვრება მუდმივად ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ლგბტქ ადამიანების ცხოვრება ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს უკავშირდება; შესაბამისად, ვერანაირი ფსიქოლოგია ვერ დაიბრალებს ამომწურავობას, თუკი ორივე, ლგბტქ თუ არა-ლგბტქ ადამიანების, ცხოვრებას არ შეისწავლის.

მაშინ, რატომ გვჭირდება იმის გამუდმებული მტკიცება, რომ ლგბტქ ფსიქოლოგია მნიშვნელოვანია? პირველ რიგში, ჩვენთვის, ლგბტქ ადამიანებისთვის, არის აუცილებელი, ვიზრუნოთ საკუთარ ცხოვრებაზე. თუ ამას ვერ შევძლებთ, როგორ მივაღწევთ პიროვნულ სიძლიერეს? როგორ შევძლებთ, საკუთარ თავს ფსიქოლოგები ვუწოდოთ? მეორეც, ნებისმიერი ფსიქოლოგია, რომელიც ლგბტქ ადამიანებს გამოგვტოვებს, ვერასოდეს იქნება სრულფასოვანი. ლგბტქ ადამიანთა გამოცდილებების გაანალიზების გარეშე როგორ შეიძლება ფსიქოლოგია საყოველთაო იყოს?

ლგბტქ და არა-ლგბტქ ფსიქოლოგიების გაერთიანებით, იმაზე ბევრად ძლიერსა და მყარ სკოლას შევქმნით, ვიდრე თითოეული მათგანია ცალ-ცალკე აღებული. „შავკანიანები ამერიკელები არიან და მათი მომავალი - ქვეყნის მომავალია“ წერდა ბოლდუინი 1950-იან წლებში (1955: 42). შეეძლო კი მას წარმოედგინა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამერიკა აფრო-ამერიკელ პრეზიდენტს აირჩევდა? არ ვარ დარწმუნებული. თუმცა, ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენთვის, ფსიქოლოგებისათვის, ბოლდუინის ნაშრომები მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავენ. ადამიანის გამოცდილებაზე დაფუძნებული ფსიქოლოგია, თუ ამ სახელს იმსახურებს, ლგბტქ

გამოცდილებების ფსიქოლოგიას აუცილებლად უნდა მოიცავდეს.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ტერმინების უნივერსალურად გაზიარებული განმარტებები. როგორც ამ წიგნის კითხვისას აღმოაჩენთ, სექსუალობისა და გენდერული იდენტობის კატეგორიზაციისთვის მრავალი სიტყვა და ფრაზა არსებობს. ეს ტერმინები უმეტესწილად დასავლურ კულტურებთან ასოცირდება; არადასავლური კულტურები სექსუალობასა და გენდერულ იდენტობათა შორის განსხვავებების აღსაწერად სხვა კონცეფციებსა და ტერმინებს იყენებს.

ტერმინი „გეი მხარდამჭერი“ ფსიქოლოგია უკვე მოძველებულია; ის თავდაპირველად „ლესბოსურმა და გეი“ ფსიქოლოგიამ ჩაანაცვლა 1980-იან წლებში, რათა ნათელი გამხდარიყო, რომ ეს მიმართულება არა მხოლოდ გეი კაცების, არამედ ლესბოსელი ქალების პრაქტიკებსაც შეისწავლიდა. უფრო მოგვიანებით, დაიწყო ლგბ, ლგბტ და ზოგჯერ ლგბტქ, ან ლგბტქი ტერმინების გამოყენება. გარდა იმისა, რომ ეს მუდმივად მზარდი აკრონიმები ხშირად დამაბნეველია, დიდი კამათი მიმდინარეობს თავად ფსიქოლოგიის ამ სფეროს მომცველობის ირგვლივაც. უნდა კონცენტრირდეს თუ არა ის მხოლოდ ერთსქესიან სექსუალობაზე მხოლოდ და ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების გამოცდილება შეისწავლოს? თუ საჭიროა, რომ ასევე მოვიცვათ ტრანს და **ინტერსექსუალ** ადამიანთა გამოცდილებები, ვინც ასევე არ შეესაბამება სქესისა და გენდერის შესახებ არსებულ სოციალურ ნორმებს ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც პირდაპირ კავშირს ხედავენ გენდერულ იდენტობასა და ბიოლოგიურ სქესს შორის? საჭიროა თუ არა ქვიარ პერსპექტივის გათვალისწინება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფსიქოლოგიის ეს მიმართულება ინკლუზიური უნდა იყოს (Clarke and Peel, 2007b). მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია, დომინანტური სექსუალობის და **სექსუალური/გენდერული** ნორმების გარეთ ყოფნის გაზიარებული გამოცდილება, სექსუალობასა და სქესს/გენდერს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა ინკლუზიურ მიდგომას მოითხოვს. გარდა ამისა, როგორც მოგვიანებით, მეორე თავში განვიხილავთ, ასევე მნიშვნელოვანი დებატები მიმდინარეობს იდენტობის კატეგორიების (მაგალითად, ბისექსუალი, ლესბოსელი) მართებულობის შესახებ. ბევრი ლგბტ თეორეტიკოსი და აქტივისტი ამ კატეგორიების მნიშვნელოვნებას უსვამს ხაზს ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა უფლებებისათვის ბრძოლა და ამ ადამიანთა ხილვადობის ზრდა. სხვები, განსაკუთრებით კი **ქვიარ თეორეტიკოსები**, ამტკიცებენ, რომ იდენტობის კატეგორიები **ნორმალიზაციისა და რეგულირების საშუალებებია.** ჩვენ ლგბტქ

აკრონიმს ვიყენებთ, რათა ამ სფეროზე საუბრისას ორივე პერსპექტივა მოვიცვათ.

იმის გამო, რომ ლგბტქ ფსიქოლოგია უმეტესწილად კონცენტრირებულია ახალგაზრდა, თეთრკანიანი, საშუალო ფენის, სრულფასოვანი ფიზიკური შესაძლებლობებისა და ქალაქებში მცხოვრები ადამიანების გამოცდილებებზე, შედარებით ცოტაა კვლევები თვით ლგბტქ თემში არსებული განსხვავებებისა და ვარიაციების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინკლუზიური მიდგომა ხშირად შემოსაზღვრულია გეი კაცებისა და ლესბოსელი ქალების კონკრეტული ჯგუფების გამოცდილებების ხაზგასმით. გვსურს, სადაც შესაძლებელი იქნება ლგბტქ თემის განსხვავებებსა და მრავალფეროვნებას გავუსვათ ხაზი და თქვენი ყურადღება სამეცნიერო ცოდნაში არსებულ ხარვეზებსა და ინფორმაციის ნაკლებობას მივაპყროთ. ტერმინ „ლგბტქ“ ფსიქოლოგიის გამოყენების მეორე მიზეზი განსხვავებებისა და მრავალფეროვნების გათვალისწინების აუცილებლობის აღნიშვნა და იმ ფაქტის ხაზგასმაა, რომ ლგბტქ ფსიქოლოგებს ჯერ არ მიუღწევიათ სრულყოფილი შეთანხმებისთვის, თუ რას მოიცავს ეს სფერო, როგორი საკვლევი კითხვები უნდა დაისვას და რა მეთოდოლოგია უნდა გამოვიყენოთ ამ კითხვებისათვის პასუხის გასაცემად. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ჰგავს ზოგადად, ფსიქოლოგიაში არსებულ დებატებს, სადაც მრავალი თეორიული პერსპექტივა თანადროულად არსებობს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლგბტქ ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის მიკროსომაა, რომელიც სხვადასხვა პერსპექტივას იტევს იმის შესახებ, თუ ვინ და რა უნდა ვიკვლიოთ და რა სახის თეორიები თუ მეთოდები უნდა გამოვიყენოთ კვლევისას. ლგბტქ ფსიქოლოგებს შორის დებატები, ხშირად ისეთივე მწვავეა (ან უფრო მეტადაც), როგორც ლგბტქ ფსიქოლოგებსა და მეინსტრიმ ფსიქოლოგებს შორის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლგბტქ ფსიქოლოგიის ჩვენეული განმარტება ასეთია:

ლგბტქ ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის მიმართულებაა, რომელიც ლგბტქ ადამიანებზეა ორიენტირებული. ის ცდილობს, შეეწინააღმდეგოს ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებულ ცრურწმენებსა და დისკრიმინაციას; მოახდინოს ჰეტეროსექსუალობის პრივილეგირებულების პრობლემურობა ფსიქოლოგიასა და ფართო საზოგადოებაში; ცდილობს, ყურადღება გაამახვილოს ლგბტქ საკითხებზე, როგორც ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან სფეროზე, ასევე, ხელი შეუწყოს ***არაჰეტეროსექსისტური, არაგენდერული*** *და ინკლუზიური მიდგომების გამოყენებას ფსიქოლოგიურ კვლევებსა და ფსიქოლოგიის პრაქტიკაში. ის გვთავაზობს მრავალ სხვადასხვა ფსიქოლო-*

გიურ პერსპექტივას ლგბტქ ადამიანების გამოცდილებებსა და ცხოვრებაზე, ისევე, როგორც ლგბტქ სექსუალობასა და გენდერზე.

მეორე კითხვა, რომელსაც ხშირად გვისვამენ, შემდეგნაირად ჟღერს: „შეუძლიათ თუ არა ჰეტეროსექსუალებს (და არატრანსგენდერ ადამიანებს), იყვნენ ლგბტქ ფსიქოლოგები?“. ცხადია, ისევე, როგორც ფსიქოლოგიის ნებისმიერი მიმართულება, ლგბტქ ფსიქოლოგიაც ღიაა ყველასათვის, ვისაც ამ სფეროში სამეცნიერო ინტერესი გააჩნია (Peel and Coyle, 2004). ცნება *ლგბტქ ფსიქოლოგია* ამ სფეროში ჩართულ ნებისმიერ ფსიქოლოგს გულისხმობს. როგორც კიტზინგერი (1998:532) ამბობს, „თვით ფსიქოლოგების მახასიათებლებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს: „გეების და ლესბოსელების ფსიქოლოგი“ ისევე შესაძლებელია ჰეტეროსექსუალი იყოს, როგორც „სოციალური ფსიქოლოგი“, შეიძლება იყოს ანტისოციალური, ან კიდევ „სპორტის ფსიქოლოგი“ - არასპორტული. თუმცა, ბევრი ფსიქოლოგი, რომელიც ამ სფეროში მუშაობს, ლგბტქ თემის წევრია (იხილეთ ჩანართი 1.1).

შემდეგ ნაწილში განვიხილავთ ლგბტქ ფსიქოლოგიის ისტორიულ განვითარებას და სექსოლოგების ადრეულ ნაშრომებზე ვისაუბრებთ. ამ შრომებმა სექსუალობისა და გენდერული ბუნდოვანების მეცნიერულ შესწავლას ჩაუყარეს საფუძველი.

სექსუალობისა და „გენდერული ბუნდოვანების“ მეცნიერული შესწავლა

სექსოლოგია გენდერული იდენტობისა და სექსუალობის მეცნიერული შესწავლაა. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალობისა და გენდერული ბუნდოვანების შესახებ დიდი ხნის წინ წერდნენ (უამრავი ტექსტი არსებობს სექსუალობაზე, მაგ. ინდური კამა-სუტრა და სხვ), ეს საკითხი მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა სამეცნიერო შესწავლის საგანი. მაშინ, როცა თანამედროვე მეცნიერები ტრანსგენდერ ადამიანს გენდერული მრავალფეროვნების, ხოლო ლგბ ადამიანებს სექსუალური მრავალფეროვნების ნიმუშებად მოიაზრებდნენ, ადრეული სექსოლოგები ორივეს - **„კროსგენდერულ იდენტიფიკაციასა“** და ერთსქესიან სექსუალობას - ფართო სახელის - **„ინვერსიის“** ქვეშ აერთიანებდნენ, რაც თავის მხრივ ჰომოსექსუალობასთან იყო ასოცირებული (Meyerowitz, 2002).

მაგნუს ჰირშფელდი და კარლ-ჰაინრიხ ულრიხსი

პირველი სოციალური მოძრაობა ჰომოსექსუალ და ტრანს ადამიანთა უფლებებისათვის გერმანიაში 1897 წელს დაიწყო. სამედიცინო დოქტორმა, მაგნუს ჰირშფელდმა (1868-1935) და ღიად ჰომოსექსუალმა იურისტმა კარლ ჰაინრიხ ულრიხსმა (1825-1895) ჰუმანიტარული მეცნიერული კომიტეტი დააარსეს, სლოგანით „სამართლიანობა მეცნიერების საშუალებით“ (Kitzin-

ger and Coyle, 2002). კომიტეტი აფინანსებდა კვლევებს, აქვეყნებდა ჟურნალს "ყოველწლიური ჟურნალი შუალედური სექსუალური ტიპებისათვის", აწარმოებდა საინფორმაციო კამპანიებს, ავრცელებდა ბროშურებს. კომიტეტმა გადაიღო ფილმი *სხვებისგან განსხვავებული* (1919) და ჩაატარა ერთერთი პირველი კვლევა სექსუალობაზე (რომლის თანახმადაც, მოსახლეობის 2.2 პროცენტი ჰომოსექსუალია). ჰირშფელდი ასევე სექსუალურ მეცნიერებათა ინსტიტუტსა და კერძო კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ბერლინში, რომელიც 1919 წელს დაარსდა. ის 1933 წელს ნაცისტებმა გაანადგურეს. 1920-იან და 30-იან წლებში, **სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის** ადრეული ექსპერიმენტებიც სწორედ აქ ტარდებოდა, რომლებსაც პირადად ჰირშფელდი ადევნებდა თვალყურს.

ულრიხსმა და ჰირშფელდმა განავითარეს თეორია ქალსა და კაცს შორის მესამე, შუალედური სქესის არსებობის შესახებ (რაც მოიაზრებდა ადამიანებს, ვისაც ახლა ტრანსსექსუალს, ინტერსექსუალს, ლესბოსელს, გეის და ბისექსუალს ვუწოდებთ). 1864-65 წლებში ულრიხსმა დიდი წვლილი შეიტანა იმ ტერმინოლოგიის დამკვიდრებაში, რომელიც აღწერდა ქალის „სულის ბუნებრივ მიგრაციას" კაცის სხეულში და პირიქით (Oosterhuis, 2000). *ურნინგი* იყო ადამიანი კაცის სხეულითა და ქალის ფსიქიკით, რომელსაც კაცები იზიდავდა, *ურნინგინი* კი იყო ადამიანი ქალის სხეულითა და კაცის ფსიქიკით, ვინც ქალების მიმართ მიზიდულობას გრძნობდა. ულრიხსმა ასევე შემოიტანა ტერმინები „ნორმალური" (ჰეტეროსექსუალი და ფემინური ქალისათვის - დიონინგინი), „ნორმალური" (ჰეტეროსექსუალი და მასკულინური კაცისათვის - დიონინგი), ქალი და კაცი ბისექსუალებისათვის (ურანოდიონინგინი და ურანოდიონინგი) და ინტერსექსუალებისათვის (ზვიტერი). ეს ტერმინოლოგია ასახავს უნივერსალური ბისექსუალობის პოპულარულ თეორიას ადრეულ სექსოლოგიაში, რომელიც ეყრდნობოდა მოსაზრებას, რომ ყველა ადამიანს ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ელემენტები გააჩნია. მასკულინური კაცი და ფემინური ქალი იდეალურ ტიპებად, ადამიანის სექსუალობისა და გენდერული გამოხატულების კონტინუუმის ორ მოწინააღმდეგე პოლუსად მიიჩნეოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ულრიხსმა თავისი ტიპოლოგია დახვეწა და ხაზი გაუსვა იმას, რომ კაცის სხეულის მქონე ყველა ადამიანი, რომელსაც კაცი იზიდავს, ფემინური არ არის და ადამიანები განსხვავდებიან სექსუალური სურვილის, სექსუალური ქცევისა (პასიური, აქტიური ან არ ანიჭებენ რომელიმეს უპირატესობას) და გენდერის (ფემინური, მასკულინური და შუალედური) მიხედვით, სექსოლოგიაში მის დამსახურებად სწორედ **ჰომოსექსუალობის გენდერული ინვერსიის თეორია** იქცა. თეორია მოგვიანებით განავითარა ჰირშფელდმა და დიდი გავლენა

მოახდინა სხვა წამყვანი სექსოლოგების ნაშრომებზე (Bullough,2003). თავის წიგნში DieTransvestitien (1910) ჰირშფელდი ასევე წერდა ტრანსსექსუალობაზე (და **ტრანსვესტიზმზე)**. ის მას ნევროლოგიურ ინტერსექსუალობად აღწერდა. ჰირშფელდი ამბობდა, რომ ტრანსსექსუალები, ინტერსექსუალები და ჰომოსექსუალები "სექსუალური შუალედურობის" განსხვავებული ტიპები იყვნენ, ადამიანური მდგომარეობის ბუნებრივი (უარესი) ვარიაციებით.

თანამედროვე შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ჰირშფელდის იდეები მეტ-ნაკლებად უგულვებელყოფილი იყო ინგლისურენოვანი სამყაროს მიერ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ადრეულ სექსოლოგიაში მის მიერ სექსუალობისა და გენდერის კონცეპტუალიზაცია ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია (Brennan and Hegarty,2007; Bullough, 2003).

რიხარდ ფრეიერ ფონ კრაფტ-ებინგი და ჰენრი ჰაველოკ ელისი

რიხარდ ფრეიერ ფონ კრაფტ-ებინგი (1840 – 1902), ავსტრო-გერმანელი და იმ დროისათვის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ფსიქიატრი, აღიარებული იყო სექსოლოგიის „ფუძემდებელ მამად". მისი მთავარი ნაშრომი Psychopathia sexualis (პირველად გამოქვეყნდა გერმანიაში 1886 წელს; ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა აშშ-ში 1939 წელს) უარყოფდა შეხედულებას, რომ ჰომოსექსუალობა „სექსუალური გადახრა", ცოდვა, ან დანაშაულია. სამაგიეროდ, ის მას დაავადებად მიიჩნევდა. წიგნის პირველი გამოცემა სექსუალური პერვერსიის 45 შემთხვევას მოიცავდა (მათ შორის ისეთებს, რასაც ჩვენ დღეს კაცის ჰომოსექსუალობას, ლესბოსელობასა და ტრანსსექსუალობას ვუწოდებთ). წიგნის მიზანი იყო ექიმებისა და მოსამართლეებისათვის ექსპერტული ინფორმაციის შეთავაზება. მისი გარკვეული ნაწილი ლათინურად იყო დაწერილი, რათა სასულიერო პირებში ნაკლებად გავრცელებულიყო. მიუხედავად ამისა, სასულიერო წრეში წიგნი ძალიან პოპულარული გახდა. ის მრავალჯერ ითარგმნა და სხვადასხვა რედაქციით გამოიცა (მე-12 გამოცემა 1903 წელს გამოქვეყნდა და 300-ზე მეტ შემთხვევას მოიცავდა). წიგნის წაკითხვის შემდეგ, კრაფტ-ებინგს უამრავი ადამიანი სწერდა საკუთარი სექსუალური და გენდერული „დევიაციის" გასაზიარებლად. წიგნის გვიანდელ გამოცემებში კრაფტ-ებინგმა ავტობიოგრაფიული ნაშრომებიც ჩართო. მისი შეხედულებები ისეთ სექსუალურ „გადახრებზე", როგორიც ჰომოსექსუალობაა, საკმაოდ კომპლექსური იყო და დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ჰოლანდიელი ისტორიკოსი ჰარი ოსტრეუისი (2000), ავტორი წიგნისა კრაფტ-ებინგის შესახებ, ამბობს, რომ კრაფტ-ებინგი ჰომოსექსუალთა უფლებებისთვის

ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო და ჰომოსექსუალობას მენტალურ ჯანმრთელობასთან სრულიად შეთავსებადად აღიქვამდა. თუმცა, მისი ნაშრომების უმეტესობა უფრო ემხრობოდა გაბატონებულ ხედვას ჰომოსექსუალობის პათოლოგიურობის შესახებ, ვიდრე ეწინააღმდეგებოდა მას. მან დიდი წვლილი შეიტანა **არარეპროდუქციული სექსუალობის** ავადმყოფობასთან დაკავშირებაში. Psychopathia sexualis ახლაც ადვილად ხელმისაწვდომია. ის საინტერესოდ წარმოგვიდგენს ხალხის ცხოვრებას ვიქტორიანულ ეპოქაში, განსაკუთრებით, იმ ადამიანების ცხოვრებას, ვისი სექსუალური თუ გენდერული იდენტობა და პრაქტიკა **ნორმატიული** ჰეტეროსექსუალობისგან განსხვავდებოდა.

ჰენრი ჰავერლოკ ელისი (1859-1939), ბრიტანელი ექიმი იყო, რომელიც სექსუალობას შეისწავლიდა. მისი ცოლი, ედიტი, ღიად ლესბოსელი იყო. ელისის მთავარი ნაშრომი მისი ექვსტომიანი კრებული *სქესის ფსიქოლოგიის კვლევები* იყო, რომელიც 1897-1910 წლებში გამოვიდა (მე-7 გამოცემა 1928 წელს გამოქვეყნდა). ელისმა, თავის თანამედროვე ზიგმუნდ ფროიდთან ერთად, სექსუალობის სერიოზულად შესწავლის დაწყებაში დიდი წვლილი შეიტანა. ის ეჭვქვეშ აყენებდა იმ მორალურ ღირებულებებს, რომლებიც საზოგადოებასა და მეცნიერებას სექსუალობასთან მიმართებაში პრობლემებს უჩენდა. მისი ტომი ჰომოსექსუალობის შესახებ - „სექსუალური ინვერსია“ - (პირველად გამოიცა გერმანიაში 1896 წელს, ინგლისში - 1897-ში. იხილეთ Ellis and Symonds, 2007) სექსუალობას ბიოლოგიურად დალტონიზმთან დაკავშირებულ ანომალიად განსაზღვრავდა. ეს იყო ცენტრალური არგუმენტი, რომელიც შეეწინააღმდეგა დომინანტურ შეხედულებას, რომ ჰომოსექსუალობა არჩევანია, და შესაბამისად ცოდვა და კრიმინალური ქცევაა. გეი მეცნიერები ელისის სამუშაოს უმეტესად კეთილგანწყობილად და სასარგებლოდ აღიქვამენ, მაშინ როცა ლესბოსელი მკვლევარები აკრიტიკებდნენ მას ლესბოსური იდენტობის და სექსუალური პრაქტიკის შესახებ მეცნიერული ფაქტის სახელით სტერეოტიპების გამყარება-გავრცელებაში (Jeffreys,1985).

ელისის ნაშრომმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰომოსექსუალობისა და ტრანსსექსუალობის განსხვავებულ კატეგორიებად ჩამოყალიბებაში. ელისი „ეონიზმს“ “ჰომოსექსუალობისგან ცალკე კატეგორიად გამოყოფდა. იგი მოიცავდა კროსგენდერულ იდენტიფიკაციას და **კროსსდრესინგს** (თანამედროვე განსხვავება ტრანსსექსუალობასა და ტრანსვესტიზმს შორის პირველად ამერიკაში მოღვაწე ექიმის ჰენრი ბენჯამინმა (1885-1986) დაადგინა. თავის წიგნში „ტრანსსექსუალური ფენომენი“ (1966) იგი დაუპირისპირდა ტრანსსექსუალობასთან და ტრანსვესტიზმთან დაკავშირებულ გავრცელებულ მოსაზრებას და

ტრანსსექსუალობისა და გენდერული დისფორიის მკურნალობის სტანდარტები ჩამოაყალიბა. ელისმა, (1844-1929), ღიად ჰომოსექსუალ სოციალისტ რეფორმატორ ედვარდ კარპენტერთან ერთად, 1914 წელს სქესის ფსიქოლოგიის მეცნიერული შესწავლის ბრიტანული საზოგადოება დააარსა. ეს იყო სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც სოციალური ცვლილებებისათვის იბრძოდა. ორგანიზაცია საზოგადოებრივი განათლების ამაღლების მიმართულებით მუშაობდა, აფინანსებდა საჯარო ლექციებს და აქვეყნებდა მრავალ სხვადასხვაგვარ პუბლიკაციას სექსუალობის შესახებ.

ზიგმუნდ ფროიდი

ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) იყო ავსტრიელი ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოანალიზი მეინსტრიმ ფსიქოლოგიის ნაწილად არ მიიჩნევა, მკითხველთა უმეტესობა, ალბათ, ფროიდის შესახებ ინფორმირებულია და გარკვეული ცოდნა აქვს მასთან ასოცირებულ ისეთ ცნებებთან, მაგალითად, როგორიცაა „ქვეცნობიერი“, „პენისის შური“ და „ოიდიპოსის კომპლექსი“. ფროიდმა სექსუალობაზე მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა, მათ შორისაა „სამი ესსე სექსუალობის შესახებ“ (1905). ფროიდი სექსუალობას ადამიანის ცხოვრების მამოძრავებელ, ბაზისურ ძალად განსაზღვრავდა. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანი „პოლიმორფულად პერვერსიული“ იბადება, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი რამ (ადამიანის ჩათვლით), შესაძლოა სექსუალური სიამოვნების წყარო იყოს და რომ ჩვენ ჰეტეროსექსუალები მხოლოდ ფსიქოსექსუალური განვითარების სხვადასხვა ეტაპების გავლის შემდეგ ვხდებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ფროიდი უარყოფდა სექსოლოგებს შორის პოპულარულ მოსაზრებას, რომ ჰომო და ჰეტეროსექსუალობა თანდაყოლილია.

ფსიქოანალიზის თეორიაში ჰომოსექსუალობა და ბისექსუალობა ხშირად წარმოდგენილია, როგორც “შეფერხებული ფსიქოსექსუალური განვითარების“ შედეგი. დიდი კამათი მოჰყვა იმას, თუ რას ფიქრობდა ფროიდი ჰომოსექსუალობაზე სინამდვილეში. მის მიმართ კეთილგანწყობილი კრიტიკოსები ამბობენ, რომ ფროიდი ჰომოსექსუალობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების მხარდამჭერი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჰომოსექსუალობას და ფსიქიკურად ჯანმრთელ მოვლენად მიიჩნევდა (Abelove, 1993). თუმცა, მისმა ბევრმა მიმდევარმა, მაგალითად, **გარდაქმნის თერაპევტებმა,** ფროიდის იდეები ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციისთვის გამოიყენეს.

ფროიდი კრიტიკულად იყო განწყობილი იმ მოსაზრების მიმართ, რომ ჰომოსექსუალები მესამე სქესს წარმოადგენენ, რადგან, მისი აზრით, „ლატენტური და არაცნობიერი ჰომოსექსუალობის მნიშვნელოვანი დოზის აღმოჩენა ყველა ნორმალურ ადამიანშია შესაძლებელი. თუკი ამ მონაცემებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ის იდეა, რომ ბუნებამ გამონაკლისის სახით შექმნა „მესამე სქესი“, საფუძველს კარგავს“ (1953:171). უფრო რადიკალურად რომ შევხედოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფროიდს აქცენტი უფრო სიამოვნებაზე ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე რეპროდუქციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ის **„პენისი-ვაგინაში ინტერკურსს”** განიხილავდა, როგორც მომწიფებული, ჯანსაღი, ზრდასრული სექსუალობის საბოლოო გამოხატულებას, სხვა სექსოლოგი კოლეგებისგან განსხვავებით, ფროიდი ბოლომდე არ უჭერდა მხარს შემდეგ დაყოფას:

„რეპროდუქციული სექსუალობა უდრის სიჯანსაღეს, არარეპროდუქციული სექსუალობა კი - პათოლოგიას“. ფროიდის თეორია მოგვიანებით ბევრმა მეცნიერმა განავრცო, მათ შორის ფემინისტმა თეორეტიკოსმა ჯულიეტ მიტჩელმა (1974) და პოსტსტრუქტურალისტმა ჟაკ ლაკანმა (1968), უფრო მოგვიანებით კი ქვიარ თეორეტიკოსმა ჯუდით ბატლერმა (1997).

ადრეული სექსოლოგია ლგბტქ ფსიქოლოგიის ისტორიული განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

- სექსუალობა და გენდერი სამეცნიერო შესწავლის ლეგიტიმურ საგნად განსაზღვრა;
- შემოღებული იქნა დღეს გამოყენებული ცნებები;
- ეჭვის ქვეშ დადგა გაბატონებული მოსაზრებები სექსუალური და გენდერული მრავალფეროვნების შესახებ;
- სექსუალობა და გენდერული იდენტობა ინდივიდის არსებობის ძირითად პირობად განსაზღვრა;
- შესაძლებელი გახდა სექსუალური და გენდერული „დევიანტების“ ხილვადობის გაზრდა;
- სოციალურ აქტივიზმი და სამეცნიერო კვლევა ერთმანეთთან შეთავსებადი გახადა.

არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ პირველი ტალღის სექსოლოგების მნიშვნელოვანი დამსახურება იყო დასავლურ კულტურაში იმ იდეის პოპულარიზაცია, რომ ჩვენ ყველას გაგვაჩნია თანდაყოლილი **სექსუალური ორიენტაცია,** რომელიც ჩვენს სექსუალურ ქცევას განსაზღვრავს. ფრანგი პოსტსტრუქტურალისტი თეორეტიკოსის მიშელ ფუკოს (1978:43) თქმით, „ჰომოსექსუალობა სექსუალობის ერთ-ერთი ფორმად მაშინ ჩამოყალიბდა, როცა მან **სოდომური** ქცევიდან, გარკვეულ შინაგან **ანდროგინობაში,** სულის ჰერმაფროდიტიზმში, გადაინაცვლა. სოდომი მანამდე დროებით გადახრად აღიქმებოდა, ჰომოსექსუალობამ კი ავტონომიურობა მიიღო“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადრეულმა სექსოლოგებმა სექსუალური იდენტობის ცნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს: მათი წყალობით, სექსუალობა უკვე ქცევის დონეზე კი არ განისაზღვრა (სოდომური და სხვა არარეპროდუქციული სექსუალური ქცევა), არამედ ადამიანის „მე“-ს ცენტრალურ ელემენტად იქცა („სოდომიტობა“). სექსუალობის იდენტობასთან დაკავშირების პარალელურად, ფუკო ჰომოსექსუალობის, როგორც გენდერული ინვერსიის მოდელის პოპულარიზაციაზეც საუბრობდა.

ალფრედ კინსი და მისი კოლეგები

როგორც ვნახეთ, ლგბტქ ფსიქოლოგებს ემანსიპატორულ მეცნიერებასა და ევროპაში მიმდინარე სოციალურ აქტივიზმში დიდი წვლილი მიუძღვით (Kitzinger and Coyle, 2002). მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ექიმები ასევე დიდხანს შეისწავლიდნენ და წერდნენ სექსუალობის მრავალფეროვნებაზე (Terry,1999), იქ სექსუალობის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ 1950-იან წლებში დაიწყო ალფრედ კინსის (1894-1956) და მისი კოლეგების მიერ.

კინსი პროფესიით ბიოლოგი იყო. 1947 წ. ინდიანას უნივერსიტეტში მან სქესის, გენდერის და რეპროდუქციის კვლევითი ინსტიტუტი დააარსა, რომელსაც დღეს სქესის, გენდერისა და რეპროდუქციის კინსის ინსტიტუტი ეწოდება. კინსიმ და მისმა კოლეგებმა ორი წიგნი გამოაქვეყნეს, „სექსუალური ქცევა კაცებში“ (1948) და „სექსუალური ქცევა ქალებში“ (1953), რომლებიც კინსის ანგარიშების სახელითაა ცნობილი. ისინი 10 000-ზე მეტი ადამიანის დეტალურ სექსუალურ ისტორიას და ამ მონაცემების შედეგებს აღწერს. კინსის მეთოდებმა და აღმოჩენებმა მრავალი წინააღმდეგობა და გაურკვევლობა წარმოშვა (Ericksen and Steffen, 1999). კინსის წვლილი ლგბტქ ფსიქოლოგიაში ისაა, რომ მან ეჭვქვეშ დააყენა მოსაზრება, რომ ჰომოსექსუალური ქცევა იშვიათია. კინსიმ დაადგინა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს აქვს ერთსქესიანი სექსუალური გამოცდილება და რომ ადამიანთა სექსუალური მიდრეკილებები შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს. კინსის კვლევების თანახმად, კაცთა 50 პროცენტს და ქალების 28 პროცენტს ერთსქესიანი სექსუალური გამოცდილება ჰქონდა. გარდა ამისა, კაცთა 38 პროცენტი და ქალების 13 პროცენტი ამ დროს ორგაზმსაც განიცდიდა.

კინსიმ და მისმა კოლეგებმა სექსუალური უპირატესობის მინიჭების 7 საფეხურიანი სკალა შეიმუშავეს (იხ. ჩანართი 1.2). ცალკეული კატეგორიების გამოყენების მაგიერ, კინსი და მისი კოლეგები ადამიანებს სექსუალური ქცევის კონტინუუმზე ათავსებდნენ. მრავალმა მკვლევარმა, მათ შორის ფემინისტმა სექსოლოგმა შერ ჰაიტმა, რომელიც ავტორია რევოლუციური წიგნისა „ჰაიტის ანგარიში: ქალის სექსუალობის ეროვნული კვლევა“ (1976), კინსი გააკრიტიკა სექსუალურ ქცევაზე ზედმეტი ხაზგასმისთვის, ასევე იმის უგულვებელყოფისთვის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ქცევას ადამიანები. თუმცა, სექსუალური იდენტობის მსგავსად, ადამიანების სექსუალური ქცევის საფუძველზე კლასიფიკაციამ კინსის საშუალება მისცა, დაენახა უფრო დიდი მრავალფეროვნება და ცვალებადობა ადამიანის სექსუალობაში, ვიდრე ამას მანამდე არსებული მკვლევარები აკეთებდნენ. მკვლევარებმა და კინსის ინსტიტუტმა 1956 წელს, კინსის გარდაცვალების

შემდეგ, სექსუალობაზე მრავალი კვლევა განახორციელა. 1968 წელს, სანფრანცისკოში, ფსიქოლოგ ალან ბელისა და სოციოლოგ მარტინ ვაინბერგის მიერ, გეებისა და ლესბოსელების ინოვაციური კვლევა ჩატარდა. შედეგად გამოიცა ორი წიგნი - „ჰომოსექსუალობები“ (Bell and Weinberg, 1978) და „სექსუალური არჩევანი“ (პრეფერანსი) (Bell et al. , 1981).

კინსი თანამედროვე სექსოლოგიის „მამად“ მიჩნევა და მისი მუშაობა ხშირად 60-იანი წლების ამერიკის „სექსუალურ რევოლუციასთან“ ასოცირდება. კინსის კვლევას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა აშშ-ის და სხვა დასავლური ქვეყნების სოციო-კულტურულ ღირებულებებზე. მისმა აღმოჩენებმა ეჭვქვეშ დააყენა უამრავი გავრცელებული ცრურწმენა სექსუალობის შესახებ.

ჩანართი 1.2. კინსის სკალა
0 ერთმნიშვნელოვნად ჰეტეროსექსუალური ქცევა; 1 ძირითადად ჰეტეროსექსუალი, მაგრამ აქვს ჰომოსექსუალური ქცევის შემთხვევები; 2 ძირითადად ჰეტეროსექსუალი, მაგრამ აქვს ჰომოსექსუალური ქცევის გამოცდილება, რაც უფრო მეტია, ვიდრე შემთხვევითობა; 3 ჰეტეროსექსუალური და ჰომოსექსუალური ქცევის თანაბარი სიხშირე; 4 ძირითადად ჰომოსექსუალი, მაგრამ აქვს ჰეტეროსექსუალური ქცევის გამოცდილება, რაც უფრო მეტია, ვიდრე შემთხვევითობა; 5 ძირითადად ჰომოსექსუალი, მაგრამ აქვს ჰეტეროსექსუალური ქცევის შემთხვევები; 6 ერთმნიშვნელოვნად ჰომოსექსუალური ქცევა

„გეი მხარდამჭერი” ფსიქოლოგიის ისტორიული ჩამოყალიბების პროცესი

ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაცია და დეპათოლოგიზაცია

კინსიმ აჩვენა, რომ ჰომოსექსუალობა ბევრად უფრო გავრცელებული იყო ქცევის დონეზე, ვიდრე ეს მანამდე ეგონათ და ამიტომ ის შეიძლებოდა „ნორმალურ“ სექსუალურ ქცევად მიჩნეულიყო. თუმცა, იმ დროს, როცა მისი ანგარიშები გამოიცა, ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების უმეტესობა ჰომოსექსუალობას „არანორმალურად“ მიიჩნევდა. 1952 წელს, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ გადაწყვიტა, ჰომოსექსუალობა ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში შეეტანა (DSM). როგორც კიტზინგერი და კოილი აღნიშნავენ (2002: 1), „ლესბოსელები და გეი კაცები ხასიათდებოდნენ, როგორც არაჯანსაღი აღზრდის ავადმყოფური პროდუქტები... ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები მათ მუდმივად დაავადების ამსახველი სათაურების ქვეშ წარად-

გენდნენ (მაგ. „სექსუალური დევიაცია“ ან „სექსუალური დისფუნქცია“). იმის გათვალისწინებით, რომ ჰომოსექსუალობაზე ჩატარებული კვლევების უმეტესობა ციხეებიდან და ფსიქიკურად დაავადებულთა სარეაბილიტაციო ცენტრებიდან, ასევე თერაპევტთა პაციენტებისგან აღებული შერჩევითი ჯგუფების მონაცემებს ეყრდნობოდა, გასაკვირი სულაც არაა, რომ ეს ინდივიდები უფრო ცუდად იყვნენ გარემოს მორგებულნი, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ადამიანი (Bohan, 1996). მორინმა (1977) დაადგინა, რომ ჰომოსექსუალობის შესახებ 1974 წლამდე ჩატარებული ფსიქოლოგიური კვლევების 70 პროცენტი კონცენტრირებული იყო სამ საკვლევ კითხვაზე: „არიან თუ არა ჰომოსექსუალები ავადმყოფები?“, „როგორ შეიძლება ჰომოსექსუალობის დიაგნოსტირება?“ და „რა იწვევს ჰომოსექსუალობას?“. ბევრი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ცდილობდა, ემკურნალათ ჰომოსექსუალობისათვის, და ლგბ ადამიანები (განსაკუთრებით კი გეი კაცები) ჰეტეროსექსუალებად გარდაექმნათ. ყველაზე გავრცელებული მკურნალობის მეთოდი ფსიქოთერაპია იყო (Bohan, 1996). ასევე, გამოიყენებოდა ქცევის თერაპიის უამრავი სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად ავერსიული თერაპია (ჰომოსექსუალური სტიმულის ელექტროშოკთან ან გულისრევის გამომწვევ პრეპარატებთან ასოცირება) და ორგაზმული გარდაქმნა (ჰეტეროსექსუალური სტიმულის მასტურბაციასთან ასოცირება). სხვა უფრო ექსტრემალური მკურნალობის მეთოდები მოიცავდა ისეთი ჰორმონების გამოყენებას, როგორიცაა ესტეროგენი („არანორმალური“ სექსუალური სწრაფვის შესამცირებლად) ან ანდროგენი („ნორმალური“ სექსუალური სწრაფვის გასაძლიერებლად), აგრეთვე კასტრაციას, კლიტორის მოკვეთას და ლობოტომიასაც კი (იხ. ჩანართი 1.3 თანამედროვე „გარდაქმნის თერაპიის“ ირგვლივ არსებული დისკუსიის შესახებ).

ჩანართი 1.3. ჰომოსექსუალობის მკურნალობის თანამედროვე მხარდამჭერები

შოკისმომგვრელია, თუმცა, ზოგიერთი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი დღემდე მიჰყვება იმ შეხედულებას, რომ ჰომოსექსუალობა პათოლოგიაა და მხარს უჭერს „გამოსასწორებელ“ და „რეორიენტაციულ“ თერაპიას. მსგავსი ტერმინები, თითქოსდა კეთილი ზრახვებით, თერაპევტის მიერ პაციენტის დახმარებას მოიაზრებენ, როგორც რაღაც დაზიანებულის აღდგენასა და ადამიანის „ბუნებრივ“ მდგომარეობაში დაბრუნებას. ამიტომ, ჩვენ უპირატესობას ტერმინ „გარდაქმნის თერაპიას“ ვანიჭებთ. გარდაქმნის თერაპია, ერთი მდგომარეობიდან მეორეში სურვილისამებრ გარდაქმნას გულისხმობს (Riggs, 2004a).

ჰომოსექსუალობის კვლევისა და თერაპიის ეროვნული ასოციაცია

(NARTH), ამერიკული ორგანიზაციაა, რომელიც ჰომოსექსუალობის მკურნალობას უჭერს მხარს. ის, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან ერთად, როგორიცაა „ექსოდუს ინტერნაციონალი“ (ორგანიზაცია ადამიანებს „ჰომოსექსუალობისგან გათავისუფლებას იესოს ძალის მეშვეობით“ სთავაზობს), ჰომოსექსუალობას არჩევით და შესაბამისად, ცვლად ქცევად მოიაზრებს. 2003 წელს, „სექსუალური ქცევის არქივებში“ გამოქვეყნდა წამყვანი ამერიკელი ფსიქიატრის რობერტ სპიცერის ნაშრომი, რომელიც „გარდაქმნის თერაპიის“ ეფექტურობაზე საუბრობს. სპიცერის საკმაოდ წინააღმდეგობრივი და საკამათო აღმოჩენების თანახმად, პაციენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ „გარდაქმნის თერაპიის“ საშუალებით მათი ქცევა უმეტესად ან სრულად ჰომოსექსუალური ორიენტაციიდან უმეტესად ან სრულად ჰეტეროსექსუალური ორიენტაციისკენ შეიცვალა.

აშშ-ში მოღვაწე სოციალური მეცნიერის თეო სანდფორტის აზრით (2003), სპიცერის მეთოდოლოგია, ბევრი მიზეზის გამო (შერჩევის ჩათვლით), მიკერძოებული და არაზუსტი იყო. მონაწილეები ძირითადად რელიგიური ორგანიზაციებიდან, მაგალითად, „ექსოდუს ინტერნაციონალიდან“, იყვნენ შერჩეულნი. სხვა კრიტიკოსები სპიცერს ეთიკური სტანდარტების დარღვევისთვის, კერძოდ კი ზიანის არიდების პრინციპის იგნორირებისთვის აკრიტიკებენ. ამერიკელი ფსიქოლოგების მიშელ შროედერის და არიელ შიდლოს (2001) კვლევის თანახმად, რომელიც 150 „გარდაქმნის თერაპიის“ კლიენტთან იქნა ჩატარებული, ნათელი გახდა, რომ გარდაქმნის თერაპიისას გამოყენებულია საეჭვო და არაპროფესიული კლინიკური მეთოდები ეთიკური ნორმების დარღვევებით. 2002 წელს შილდომ და შროედერმა გამოაქვეყნეს 202 „გარდაქმნის თერაპიის“ მომხმარებლთან ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათი მცდელობა, შეეცვალათ სექსუალობა, წარუმატებლად დასრულდა. მათ აღიარეს, რომ მსგავსი ჩარევა ადამიანისთვის საზიანოა.

ერთ-ერთი პირველი ფსიქოლოგი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა შეხედულება ჰომოსექსუალთა ავადმყოფობის შესახებ, ეველინ ჰუკერი იყო (1907-96). ჩანართი 1.4 ჰუკერის უმნიშვნელოვანესი კვლევის მიმოხილვას გვთავაზობს. ჰუკერის კვლევამ სხვა მსგავსი კვლევების წარმოებაც განაპირობა, რომლებიც გეი აქტივისტებმა ჰომოსექსუალობის DSM-იდან ამოღებისკენ მიმართულ კამპანიებში გამოიყენეს. 1968 წლიდან გეი აქტივისტებმა პროტესტებისა და დემონსტრაციების სერიების გამართვა დაიწყეს და ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ 5 წლის შემდეგ, 1973 წელს, ჰომოსექსუალობის დაავადებათა ნუსხიდან ამოღებას მხარი დაუჭირა. თუმცა,

ჰომოსექსუალობა ახალი დიაგნოზით ჩანაცვლდა: „ეგო-დისტონიკური ჰომოსექსუალობა“. დიაგნოზი ეხებოდა იმ ადამიანებს, რომლებსაც უჭირდათ საკუთარი ჰომოსექსუალობის მიღება, განიცდიდნენ მუდმივ სტრესს და სურდათ, გამხდარიყვნენ ჰეტეროსექსუალები (გასაკვირი არაა, რომ პარალელური დიაგნოზი „ეგო-დისტონიკური ჰეტეროსექსუალობა“ DSM-ში არ შეუტანიათ). ეს პირობა 1987 წლამდე დარჩა DSM-ში (ჰომოსექსუალობა ასევე რჩებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში“ (IDC) - დიაგნოსტიკური სახელმძღვანელო, რომელიც 1993 წლამდე ჩრდილოეთ ამერიკაში ფართოდ გამოიყენებოდა). ჰომოსექსუალობის DSM-იდან ამოღების ორი წლის თავზე, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ (APA) შეიმუშავა ოფიციალური პოლიტიკა, რომლის თანახმადაც „ჰომოსექსუალობა, როგორც ასეთი, არ ახდენს არანაირ გავლენას განსჯის უნარზე, სტაბილურობაზე, სანდოობაზე ან ზოგადად სოციალურ თუ შრომით შესაძლებლობებზე.“ APA ასევე მოუწოდებდა „ყველა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალს, წვლილი შეეტანათ დიდი ხნის მანძილზე ჰომოსექსუალურ ორიენტაციასთან ასოცირებული ფსიქიკური აშლილობის სტიგმის გაქრობაში“ (Conger, 1975:633. იხ. ჩანართი 1.5 ტრანსსექსუალობის DSM-ში შეტანასთან დაკავშირებით).

ჩანართი 1.4. კვლევის მიმოხილვა: ეველინ ჰუკერი (1957) ღიად ჰომოსექსუალი კაცების გარემოსთან შემგუებლობის შესახებ

1950-იან წლებში ეველინ ჰუკერი კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარი იყო. მისი კვლევის შესახებ, რომელმაც ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციის მოდელი ეჭვქვეშ დააყენა, ბევრი რამ დაწერილა. ჰუკერი დაუმეგობრდა ერთ-ერთ თავის გეი კაც სტუდენტს, სემ ფრომს, რომელმაც მას ლოს-ანჯელესის საშუალო ფენის გეი კაცთა წრე გააცნო. მან ჰუკერი დაარწმუნა, შეესწავლა ჰომოსექსუალობა და ჰუკერმა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტისაგან კვლევისათვის დაფინანსება მოიპოვა (ამისთვის მას შემოწმების გავლა მოუხდა, რათა დაემტკიცებინა, რომ არც ლესბოსელი იყო და არც კომუნისტი; Minton 2002).

ჰუკერმა შენიშნა, რომ კვლევა და კლინიკური გამოცდილება ძირითადად ისეთ შემთხვევებს განიხილავდა, როდესაც ჰომოსექსუალი ადამიანები ექიმებს მიმართავდნენ, ფსიქოლოგიური დახმარებისათვის მიდიოდნენ, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები იყვნენ, ციხეში იმყოფებოდნენ, ანდა შეიარაღებული სამსახურების გამოსასწორებელ კოლონიებში იხდიდნენ სასჯელს. ჰუკერმა განიზრახა „საკვლევი ჯგუფის შედგენა იმ ღიად ჰომოსექსუალი კაცებისგან, რომლებსაც მსგავს ადგილებში არ აარჩევდა. მას სურდა, ეკვლია ინდივიდები, რომლებიც, თუნდაც ერთი

შეხედვით, გარემოსთან კარგად ადაპტირებულებს ჰგავდნენ“ (გვ.18). ჰუკერს ასევე სურდა „სუფთა“ ჰომოსექსუალების შერჩევა, მათი, ვისაც არ ჰქონდა ჰეტეროსექსუალური გამოცდილება (გვ.20). მან ამ მიზანს წარმატებით მიაღწია. ჰუკერის ჰეტეროსექსუალური საკონტროლო ჯგუფის შერჩევაც უმეტესად „სუფთა“ იყო.

ჰუკერმა სტანდარტული პიროვნების სამი ტესტი ჩაატარა (თემატური აპერცეპციის ტესტი, რორშახის ტესტი და ტესტი „შექმენი დასურათებული ისტორია“ (MAPS)), 30 ჰომოსექსუალი და 30 ჰეტეროსექსუალი კაცისგან შემდგარ რეპრეზენტაციულ ჯგუფთან, რომლებსაც თანაბარი ასაკი, ინტელექტი და განათლება ჰქონდათ. ჰუკერმა ტესტის შეფასება სამ ექსპერტ კლინიკოსს სთხოვა. კლინიკოსებმა არ იცოდნენ კაცთა სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ტესტების შედეგებზე დაყრდნობით მათ ვერ შეძლეს ამ ორი ჯგუფის ერთმანეთისგან გარჩევა (გარდა MAPS-ის შედეგებისა, სადაც კაცებმა ექსპლიციტურად მოახდინეს საკუთარი სექსუალობის იდენტიფიცირება). გარემოს მიმართ ფსიქოლოგიური შემგუებლობის მიხედვითაც, ჰომო და ჰეტეროსექსუალ კაცებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა.

ჰუკერმა დაასკვნა, რომ ჰომოსექსუალობა არ არის აუცილებლად პათოლოგიის სიმპტომი და არ არსებობს რაიმე ერთი და ზუსტი „ჰომოსექსუალური შემგუებლობის“ მოდელი (გვ. 29). ის ამტკიცებდა, რომ ზოგიერთი კლინიკოსისათვის შესაძლოა რთული იყოს იმის მიღება, რომ ჰომოსექსუალი ადამიანი „შეიძლება ძალიან ჩვეულებრივი ინდივიდია და სექსუალური პატერნის გარდა არაფრით განირჩევა ჩვეულებრივი ჰეტეროსექსუალისგან“ (გვ. 29), ზოგიერთი კი შესაძლოა უკეთესიც იყოს, პათოლოგიური კი არა, სხვებთან შედარებით გაცილებით მაღალგანვითარებული“ (გვ. 29).

ჩანართი 1.5. ტრანსსექსუალობა და DSM

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არსებობდნენ „კროს-დრესერი“ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ცხოვრობდნენ, როგორც „სხვა“ გენდერი ან „გენდერებს შორის“ მყოფნი, „სქესის შეცვლის“ ფენომენი საჯარო ინტერესის საგანი მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა. მედიასენსაცია იყო, როცა 1952 წელს ყოფილმა ჯარისკაცმა კრისტინ იორგენსენმა ნიუ-იორკის გაზეთში განაცხადა, რომ სამედიცინო ჩარევით კაციდან ქალად გადაკეთდა. მას შემდეგ ტრანსსექსუალობის განმარტება, მიზეზები და მკურნალობა ფართო დებატების საგანია. ტრანსსექსუალობა DSM-III-ში 1980 წელს შევიდა, შემდეგ, DSM-IV-ში 1994 წელს, ჩანაცვლდა გენდერული დისფორიით (GID) მოზარდებსა და ზრდასრულებში. GID ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც გამოხატავენ მდგრად კროსგენდერულ

იდენტიფიკაციას, მდგრად დისკომფორტს საკუთარი სქესის მიმართ ან ამ სქესის გენდერულ როლთან შეუსაბამობის განცდა აქვთ.

GID-ს შეტანა DSM-ში საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ზოგიერთი ტრანს ადამიანი მიესალმება ამ დიაგნოზს, რადგან ის მას სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალებას აძლევს. ტრანსგენდერული პრაქტიკის პათოლოგიზაციას სხვები კრიტიკულად ეკიდებიან. **ტრანსგენდერი** აქტივისტი რიკი ანე ვილკინსი (1996, in Mackenzie, 1999: 200) ამტკიცებს, რომ ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციას „საკუთარი აშლილობა - გენდერ-პათო-ფილია სჭირს, რაც იწვევს არანორმალურ მოთხოვნილებასა და სურვილს, მოახდინო ნებისმიერი ისეთი გენდერული ქცევის პათოლოგიზაცია, რომელიც თავს არაკომფორტულად გაგრძნობინებს“.

ჰომოსექსუალთა ნორმალურობის დადასტურება

ჰომოსექსუალობის DSM-იდან ამოღების დროს გეი და ლესბოსური საკითხების კვლევები კლინიკურ ფსიქოლოგიაში იყო მოქცეული. როგორც კიტზინგერი და კოილი (2002: 2) აღნიშნავენ,

„მეინსტრიმ ფსიქოლოგია, რომელიც ისეთ საკითხებზე მუშაობს, როგორიცაა განათლება, სამუშაო და დასვენება, ცხოვრებისეული განვითარება, მშობლობა, ჯანმრთელობა, უბრალოდ იგნორირებას უწევდა ლესბოსელებსა და გეებს, თითქოს მათ არასოდეს უვლიათ სკოლაში, არ ჰქონიათ სამუშაო ან გართობა, არ გაიზარდნენ და დაბერდნენ, არასოდეს ჰყოლიათ ბავშვები, არასოდეს გამხდარან ავად და ა.შ.“.

უნივერსალური ფსიქოლოგიიდან გეების და ლესბოსელების (და ბტქ ადამიანების) გამოტოვებით და მათი მხოლოდ სექსუალური და გენდერული დევიაციის მაგალითებად მოხსენიებით, მეინსტრიმ ფსიქოლოგია ლგბტქ ადამიანების ცხოვრების ძალიან დამახინჯებულ სურათს გვთავაზობდა.

ალბათ არაა გასაკვირი, რომ ადრეული „გეი მხარდამჭერი“ ფსიქოლოგიური კვლევები გეებისა და ლესბოსელების ნორმალურობას და მათ ჰეტეროსექსუალებთან მსგავსებას უსვამდა ხაზს. სიგელმენმა (1972) ლესბოსელებისა და ჰეტეროსექსუალი ქალების არაკლინიკური შერჩევების გარემოსთან შემგუებლობის ხარისხი შეადარა და განსხვავება ვერ იპოვა. ასევე, ტომპსონმა (1971) გარემოსთან ადაპტირებისა თუ ფსიქოლოგიური სიჯანსაღის მხრივ ლესბოსელებს, გეებსა და ჰეტეროსექსუალებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები ვერ აღმოაჩინა. ეს კვლევები სხვა ნაშრომებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მათში ლესბოსელი ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. უმეტესად ადრეული „გეი მხარდამჭერი“ კვლევა, ისევე როგორც „პათოლოგიზაციის“ კვლევები, უმეტესწილად გეი კაცების

შესწავლაზე იყო ორიენტირებული. ადრეული მკვლევარები პოზიტივისტური ემპირიზმის მხურვალე მიმდევრები იყვნენ და კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი იმის მიმართ, რასაც ისინი „ცუდ მეცნიერებად“ აღიქვამდნენ. ეს კი პათოლოგიზების მოდელის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა. მათ პათოლოგიზაციის მოდელის არაობიექტური დასკვნების, შერჩევებისა და მეთოდების უფრო ობიექტური მიდგომითა და კვლევებით ჩანაცვლება სურდათ (Kitzinger, 1987).

ადრეული გეი მხარდამჭერი კვლევები ასევე ჰომოსექსუალობის შესახებ ჰეტეროსექსუალთა განწყობების (ატიტუდები) გაზომვას ცდილობდნენ (MacDonald and Games, 1974). მათ სურდათ, **ქამინგ აუთის** პროცესი და ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბება გაეანალიზებინათ (Cass, 1979). ზოგიერთი ადრეული კვლევა ასევე სწავლობდა **სექსუალური იდენტობის** განვითარებას ლესბოსელი დედების ბავშვებში. ფსიქიატრი რიჩარდ გრინი (1978) ჰომოსექსუალი და ტრანსსექსუალი მშობლების მიერ გაზრდილი ბავშვების სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებას შეისწავლიდა. გრინმა აღმოაჩინა, რომ ბავშვების გენდერული როლი მოზრდილ ასაკში მათ ბიოლოგიურ სქესს შეესაბამებოდა და ისინი ჰეტეროსექსუალები იყვნენ. გრინმა დაასკვნა, რომ ჰომო და ტრანსსექსუალი მშობლების მიერ გაზრდილი ბავშვები არ განსხვავდებიან უფრო ტრადიციულ ოჯახებში გაზრდილი ბავშვებისაგან.

გრინის ნაშრომი დღემდე მიეკუთვნება ტრანსსექსუალ ადამიანთა და მათ ოჯახთა შესახებ დადებითად განწყობილი კვლევების ძალიან მცირე რიცხვს. ტრანსსექსუალობის შესახებ არსებული ფსიქოლოგიური კვლევის უმეტესობა ტრანსსექსუალობის გამომწვევ მიზეზებსა და მკურნალობაზეა ფოკუსირებული, ასევე მათი გარემოსთან შემგუებლობის ხარისხზე. ზოგიერთი ფსიქოლოგი ტრანსსექსუალობას გენდერის **სოციალურად კონსტრუირებულობის** დანახვის საშუალებად მიიჩნევს (Kessler and McKenna,1978). ამ მეცნიერებს აინტერესებთ, თუ რა შეგვიძლია გავიგოთ გენდერზე, როგორც კატეგორიაზე, ტრანს ადამიანების ცხოვრების, ქცევის და იმ გზების შესწავლით, რომლებითაც ისინი ყოველდღიურად „ახორციელებენ“ საკუთარ გენდერულ როლს. ზოგიერთი ტრანს მკვლევარი ასეთი კვლევების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი, რადგან ის მხედველობიდან ტოვებს ტრანს ადამიანების ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იმას, თუ როგორ ხდება სოციალურად კონსტრუირებული კატეგორიების გაშინაგნება და მათ მიხედვით ცხოვრება (Hale, 2006); თუმცა, შესაძლოა იმის მტკიცებაც, რომ ეს კრიტიკა კესლერისა და მაკკენას ნაშრომს არ შეესაბამება (Crawford, 2000).

ზოგადად, 1970-იანების დასაწყისში, ჰომოსექსუალობა და ტრანსსექსუალობა განსხვავებულ საკითხებად მიიჩნეოდა. თუმცა, ტრანსსექსუალობის შესახებ არსებული კვლევები ხშირად ჰომოსექსუალობაზე განხორციელებული მუშაობის ქვეჯგუფიც იყო. მიუხედავად ამისა, ტრანს და ჰომოსექსუალების ერთ საერთო კვლევაში ჩართვა, როგორც ეს გრინმა გააკეთა, ძალიან უჩვეულო იყო. უფრო ხშირი იყო ლესბოსელი ქალებისა და **ტრანს ქალების** ან გეებისა და **ტრანს კაცების** გარემოსთან შეგუებისა და გენდერული როლების შედარება (McCauley and Ehrhardt, 1978), ასევე შედარებითი კვლევები ტრანს და ჰომოსექსუალ კაცებს შორის (Roback et al .,1978). ასეთი კვლევები ხშირად ტრანსსექსუალებს გეებსა და ლესბოსელებთან შედარებით უფრო კონსერვატული შეხედულებების მქონედ და გარემოსთან უარესად შეგუებულებად წარმოაჩენდნენ. მაგალითად, კანდო (1976:45) წერს, რომ „გათავისუფლებული ქალებისა და სხვა სექსუალური უმცირესობებისგან განსხვავებით, ტრანსსექსუალებს აკლიათ ბრძოლისუნარიანობა, და მხოლოდ საშუალო ფენაში აღიარების სურვილი აქვთ“.

დიქოტომიურმა (ჰეტეროსექსუალი/ჰომოსექსუალი) მოდელმა ბისექსუალობის შესახებ კვლევების განვითარებას შეუშალა ხელი. ადრეულ გეი მხარდამჭერ კვლევებში, ბისექსუალობა ხშირად სტიგმატიზებული იყო, როგორც „გარდამავალი ფაზა“. ბისექსუალები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც საკუთარ სექსუალობაში გაურკვეველი ადამიანები, ან მიიჩნეოდა, რომ ბისექსუალები უარყოფდნენ საკუთარ ჰომოსექსუალობას და ცდილობდნენ, გეებსა და ლესბოსელებთან ასოცირებული სტიგმა აეცილებინათ (Cass, 1979). მიუხედავად იმისა, რომ **სექსუალობის დიქოტომიური მოდელი,** რომელსაც ბისექსუალობის შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების გამყარება მოჰყვა, დღემდე დომინანტურია სექსუალობის შესახებ არსებულ კვლევებში, 1970-იანი წლებიდან გამოჩნდა ნაშრომები, რომელიც ამ მოდელის პრობლემატიზებას ახდენდა. ალტერნატიული, მრავალგანზომილებიანი სექსუალობის მოდელის შექმნის თავდაპირველი მცდელობები იკვეთება რევოლუციურ წიგნში „ბისექსუალური შემთხვევა: ასპროცენტიანი ინტიმურობის ცნება“ (1978), რომლის ავტორია ამერიკელი ფსიქიატრი და სექსოლოგი ფრიც კლეინი.

როგორც ფოქსი (1995) ამბობს, ბისექსუალობის მიმართ კეთილგანწყობილი ადრეული კვლევები ცდილობდნენ ბისექსუალობის, როგორც სექსუალური იდენტობის ვალიდაციას და პოზიტიური ბისექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებაში ჩართული ფაქტორების შესწავლას. ეს კვლევები ისევე, როგორც ადრეული კვლევები ჰომოსექსუალობაზე, ხაზს უსვამდნენ ბისექსუალობის ნორმალურობას.

ჰომოსექსუალთა ნორმალურობის მტკიცების კრიტიკული ალტერნატივების გაჩენა

ადრეული გეი მხარდამჭერი კვლევა კრიტიკის ქვეშ მოექცა ჰეტეროსექსუალობის ნორმატიული სტატუსის გაძლიერებისათვის და ჰეტეროსექსუალობის, როგორც ათვლის წერტილისა და შედარების ბაზისად წარმოდგენისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ადრეული გეი მხარდამჭერი კვლევები ნერგავდნენ იდეას - „ზუსტად ისეთივე როგორც“, რომელიც, ისევე როგორც პათოლოგიზაციის მოდელი, ეფუძნებოდა დაშვებას, რომ ადამიანებს შორის განსხვავებები, უბრალოდ განსხვავებები კი არ არის, არამედ არასასურველი განსხვავებებია (ჰომოსექსუალობა ზუსტად ისეთივეა, როგორიც ჰეტეროსექსუალობა. ანუ ჰეტეროსექსუალობა არის „ეტალონი“ და „ნორმა“ და სხვა ყველაფერი მისნაირი უნდა იყოს).

ადრეული გეი მხარდამჭერი კვლევების უმეტესობა აშშ-ში ტარდებოდა. 1960 წლამდე ძალიან ცოტა ევროპული კვლევა არსებობდა, რომელიც გეი კაცების პოზიტიურ ხატს გვთავაზობდა. 60-იანი წლების შემდგომაც საკმაოდ იშვიათად ტარდებოდა ასეთი კვლევები (ჰომოსექსულობისადმი პოზიტიური კვლევები ავსტრალიაში კიდევ უფრო გვიან დაიწყო). ერთ-ერთი ასეთი ადრეული ევროპული კვლევა ჯუნ ჰოპკინსის პიონერული ნაშრომი იყო ლესბოსურ პიროვნების მახასიათებლებზე, რომელიც შეგიძლიათ ჩანართ 1.6-ში იხილოთ. ბრიტანეთში კვლევებმა 1980-იან წლებში მოიკიდა ფეხი, როცა ორი მნიშვნელოვანი წიგნი გამოიცა. ეს წიგნები აშშ-ში გაბატონებული **ლიბერალურ-ჰუმანისტური** მიდგომის „ზუსტად ისეთივე, როგორიც“ - იდეისგან და პოზიტივისტურ-ემპირიული მოდელისგან განდგომის პირველი ნიშანი იყო (Clarke and Peel, 2007c).

1981 წელს, ჯონ ჰარტმა და დიან რიჩარდსონმა გამოაქვეყნეს „ჰომოსექსუალობის თეორია და პრაქტიკა“. ისინი კრიტიკულად უყურებდნენ არსებულ კვლევებში კაცების დომინირებას და ცდილობდნენ, გეი კაცებისა და ლესბოსელი ქალების გამოცდილებებს შორის განსხვავებები დაენახათ. ისინი ასევე ჰომოსექსუალური თეორიების პოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამდნენ ხაზს. ამ წიგნის გამოცემა, შესაძლოა, ლესბოსელი და გეი საკითხების მიმართ **კრიტიკული ფსიქოლოგიის** საწყისად ჩაითვალოს.

ჩანართ 1.6. ჯუნ ჰ. ჰოპკინსი (1969) ლესბოსელთა პიროვნული მახასიათებლების შესახებ

ჯუნ ჰოპკინსმა ერთ-ერთი პირველი კვლევა ჩაატარა, რომელიც სპეციფიკურად ლესბოსელებს ეხებოდა. ჰოპკინსი ტეხასში დაიბადა და 1960-იან წლებში მეუღლესთან ერთად ინგლისში გადავიდა საცხოვრებლად. ინგლისში მან კლინიკური ფსიქოლოგის თანამდებობა მიიღო. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ჰოპკინსს მეუღლე ჰყავდა, მან იცოდა, რომ ლესბოსელი იყო (Clarke and Hopkins, 2002). როცა ჰოპკინსი ავია ძალებში მუშაობდა, მისი რამდენიმე მეგობარი ლესბოსელობის გამო გაათავისუფლეს. მას ადამიანების დიაგნოსტირებისას, არ მოსწონდა, თუ როგორ ხდებოდა ცნებების „ლესბოსელისა“ და „გეის“ გამოყენება. ჰოპკინსმა განიზრახა, „ამოევსო ობიექტური კვლევების არარსებობის სიცარიელე ლესბოსელთა პიროვნული მახასიათებლების კვლევებში“ (გვ.143), და შეემოწმებინა, ჰქონდა თუ არა გავრცელებულ შეხედულებას, რომ ლესბოსელები ნევროტულები არიან, რეალური და გაზომვადი საფუძველი.

ჰოპკინსის ჰიპოთეზის მიხედვით, ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ქალებს შორის არ შეიძლება რაიმე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ყოფილიყო პიროვნული მახასიათებლების მიხედვით.

ჰოპკინსის ძირითადი საზომი იარაღი პიროვნული ფაქტორების 16 - ფაქტორიანი კითხვარი (16 PF) იყო. ჰოპკინსმა შეადარა 24 ლესბოსელი და ჰეტეროსექსუალი ქალის მონაცემები მსგავსი ინტელექტის მაჩვენებლით, განათლებითა და პროფესიული გამოცდილებით. ლესბოსელთა უმეტესობა კვლევის მხარდასაჭერად შექმნილი ლესბოსური ორგანიზაცია „უმცირესობათა კვლევის ჯგუფიდან“ იყვნენ, ხოლო ჰეტეროსექსუალი ქალები ჰოპკინსის პირად ნაცნობებს შორის შეირჩა.

ჰოპკინსის ჰიპოთეზა არ დადასტურდა. ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ჯგუფებს შორის მრავალი განმასხვავებელი ფაქტორი იყო კითხვარის მიხედვით, თუმცა „ტრადიციულად მიკერებული „ნევროტულობის“ იარლიყი, სულაც არ იყო ლესბოსელთათვის დამახასიათებელი“ (გვ. 1436). ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ქალებს შორის ზოგიერთი განსხვავება მეტყველებდა იმაზე, რომ ლესბოსელებს მოქნილი, ხალისიანი ხასიათი აქვთ, რაც უპირისპირდებოდა შეხედულებას ლესბოსელთა ხასიათის მოწყვლადობის შესახებ, რაც თავის თავში ნევროტულობას მოიაზრებს. გარდა ამისა, კვლევის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ „ საშუალო ლესბოსელის ზოგადი აღწერისათვის შესაბამისი ტერმინი იქნებოდა „დამოუკიდებელი“ (გვ.1436).

ჰოპკინსის კვლევის ბოლოს ასეთი დასკვნა გვხვდება: „ჰეტეროსექსუალ ქალებთან შედარებისას ლესბოსური იდენტობის აღსაწერად შემდეგი ტერმინები უფრო შესაფერისია: 1. უფრო დამოუკიდებელი; 2. უფრო ხალისიანი; 3. უფრო თავშეკავებული; 4. უფრო დომინანტური; 5. უფრო ბოჰემური; 6. უფრო ეფექტური; 7. უფრო გაწონასწორებული.

კრიტიკული მიდგომა მოგვიანებით სელია კიტზინგერის წიგნში „ლესბოსელობის სოციალური კონსტრუქცია“ (1987) განვითარდა. ჰარტის და

რიჩარდსონის მსგავსად კიტზინგერი კრიტიკულად უყურებდა კაცების დომინირებას გეი მხარდამჭერ კვლევებში. მას ერჩივნა, ლესბოსელებზე ორიენტირებული კვლევები ჩაეტარებინა, რადგან მიაჩნდა, რომ ლესბოსელთა გამოცდილება არ იყო საკმარისად ასახული გეი მხარდამჭერ კვლევებში და გეებსა და ლებოსელებს შორის განსხვავებები არსებობდა. კიტზინგერი ასევე აკრიტიკებდა პოზიტივისტურ-ემპირიულ და ლიბერალურ-ჰუმანისტურ მიდგომას, რაც აშშ-ს კვლევებისათვის იყო დამახასიათებელი.

1980-იან წლებიდან ლესბოსური და გეი ფსიქოლოგია უფრო მრავალფეროვანი გახდა. ის გასცდა თავის ვიწრო მიზანს - დაემტკიცებინა, რომ ლესბოსელები და გეები ჯანმრთელები არიან. კვლევების აქცენტმა ლესბოსელების და გეების ცხოვრებისეული გამოცდილებების შესწავლისაკენ გადაინაცვლა. ლესბოსელი და გეი ფსიქოლოგები აშშ-ში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფსიქოლოგიის ამ მიმართულების აღიარებისთვის ბრძოლისა და ფსიქოლოგიის შიგნით **ჰეტერონორმატიულობის** კრიტიკის დაწყების დრო დადგა.

პროფესიული აღიარებისთვის ბრძოლა და ჰეტერონორმატიულობის პრობლემატიზაცია ფსიქოლოგიაში

პროფესიონალებისგან შემდგარი ჯგუფები, როგორიცაა ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია (APA) და ბრიტანეთის ფსიქოლოგთა საზოგადოება (BPS), ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებს ერთგვარ ფორუმს სთავაზობენ კვლევისა და სხვა აქტივობებისათვის. ისინი უმეტესად პროფესიულ ღონისძიებებს აწყობენ და უახლესი მოვლენების შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ პრაქტიკოს და მკვლევარ ფსიქოლოგებს შორის. მეინსტრიმ ფსიქოლოგიის მიმართულებების უმეტესობა (სოციალური, კლინიკური, ჯანმრთელობის, განათლების, იურიდიული თუ სპორტის ფსიქოლოგია), ისევე როგორც შედარებით ახალი ან ალტერნატიული მიმართულებები (როგორიცაა ქალთა ფსიქოლოგია ან თვისებრივ მონაცემთა ფსიქოლოგია), პროფესიონალი ჯგუფების მიერ არის წარმოდგენილი. 1984 წელს APA-მ თანხმობა განაცხადა 44-ე განყოფილების დაარსებაზე, რომელსაც ლესბოსურ და გეი საკითხთა ფსიქოლოგიური შესწავლის საზოგადოება ეწოდება. 44-ე განყოფილება პირველი პროფესიონალური ჯგუფია ლესბოსელ და გეი ფსიქოლოგთათვის და მისი დაარსება უდიდესი ნაბიჯი იყო ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიური კვლევისა და პრაქტიკისათვის ლეგიტიმური მიმართულების, განვითარებაში (დეტალებისთვის იხ. ჩანართი 1.7).

ლესბოსელ და გეი ფსიქოლოგებს ბრიტანეთში უფრო ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდათ პროფესიული აღიარებისათვის. ლესბოსელ და გეი

ფსიქოლოგთა განყოფილება BPS-ში, თითქმის ათწლიანი კამპანიისა და ოთხი განაცხადის უარყოფის შემდეგ, მხოლოდ 1998 წელს დაარსდა. BPS-ის პროცედურების მიხედვით, ახალი განაცხადის მისაღებად წევრთა კენჭისყრაა საჭირო და გასაკვირია, მაგრამ 1623-მა წევრმა განყოფილების ჩამოყალიბებაზე უარყოფითი პასუხი გასცა (1988 მომხრის წინააღმდეგ). ეს BPS-ის ისტორიაში ყველაზე დიდი „უარყოფითი“ ხმების რაოდენობაა. უფრო შოკისმომგვრელი კი ისაა, რომ განაცხადის ავტორებმა BPS-ის სხვა წევრებისაგან შეურაცხმყოფელი წერილები მიიღეს (Kitzinger and Coyle,2002).

რატომ იყო BPS-ში ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბება ასეთი წინააღმდეგობრივი? სამწუხაროდ, ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი ის ჰეტერონორმატიულობაა, რომელიც ღრმად არის გამჯდარი ფსიქოლოგიის დისციპლინაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ცოტა ფსიქოლოგი აიგივებს ჰომოსექსუალობას პათოლოგიასთან, ან მხარს უჭერს „გარდაქმნის თერაპიას“, ფსიქოლოგიური თეორიები თუ კვლევები **ჰეტეროსექსისტურ** წინარე-დასკვნებზეა დაფუძნებული. შეფარულად თუ ღიად, ფსიქოლოგია აგრძელებს ჰეტეროსექსუალობის ნორმად ან იდეალად წარდგენას (რეპრეზენტირებას). მაგალითად, განვითარების თეორიები, რომლებიც დაფუძნებულია დაშვებაზე, რომ ყველა ბავშვი ჰეტეროსექსუალურ ოჯახებში იზრდება, კვლავ ფართოდ ისწავლება ფსიქოლოგიაში, ისე რომ არავის უჩნდება პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რატომ ეყრდნობა ეს თეორიები ჰეტეროსექსიტურ დაშვებებს.

პროფესიულ ერთობებში არსებული განყოფილებები თუ ინტერესჯგუფები ფსიქოლოგიაში თუ მის მიღმა ჰეტერონორმატიულობის პრობლემატიზაციის ცენტრალური კომპონენტია. ლგბტქ ფსიქოლოგები აქტიურად ცდილობენ არაჰეტეროსექსისტური კვლევისა და პრაქტიკის დანერგვას. აშშ-ში კვლევაში ჰეტეროსექსისტური ტენდენციის თავიდან ასაცილებლად, ინკლუზიური ფსიქოლოგიური კურიკულუმის შექმნისა (APA, 1998) და გეი და ლესბოსელ ადამიანებთან ობიექტური ფსიქოთერაპიული პრაქტიკის დასამკვიდრებლად ფსიქოლოგებმა სახელმძღვანელო შექმნეს (Garnets et al., 1991).

ჩანართი 1.7. მთავარი პროფესიული ჯგუფები ლგბტქ ფსიქოლოგიაში
• განყოფილება 44 (ლესბოსური და გეი საკითხთა ფსიქოლოგიური შესწავლის საზოგადოება), თავდაპირველად APA-ში დაარსდა 1984 წელს. მისი წევრობა შეუძლია ყველას, ვინც ლგბტ საკითხებით არის დაინტერესებული. განყოფილება 44 რეგულარულად აქვეყნებს სიახ-

ლეებსა და სხვადასხვა გადაწყვეტილებებს ლგბ საკითხებზე, აწყობს ღონისძიებებს, აქტივობებს (რათა აამაღლოს ცნობიერება ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად, ეიჯიზმი) და გასცემს გრანტებსა და ჯილდოებს, რათა ყურადღება მიექცეს და ლგბტ ფსიქოლოგიაში სხვადასხვა დამსახურებებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.apa division44 .org

- გეი და ლესბოსური საკითხები და ფსიქოლოგია (GLIP) ინტერესჯგუფია, რომელიც ავსტრალიურ ფსიქოლოგთა საზოგადოებაში (APS) დაარსდა 1994 წელს. GLIP აქვეყნებს ჟურნალსა და სიახლეების ფურცელს, აწყობს ღონისძიებებს, ქმნის სახელმძღვანელოებს და პოზიციურ განცხადებებს არაჰეტეროსექსისტური მიდგომების დასანერგად ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში ლგბტ ადამიანებთან. მისი წევრი შესაძლოა იყოს ყველა, ვინც ლგბტ საკითხებით არის დაინტერესებული. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.groups.psycholo gy.org.au/glip/
- სექსუალობის ფსიქოლოგიის განყოფილება (ყოფილი ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის განყოფილება), დაარსდა BPS-ში 1998 წელს. მისი წევრი შესაძლოა გახდნენ BPS-ს არსებული წევრები, თუმცა არაწევრებს შეუძლიათ გამოიწერონ განყოფილების ჟურნალი „სექსუალობის ფსიქოლოგიის მიმოხილვა“ (ყოფილი „ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის მიმოხილვა“) და გაწევრიანდეს მათი ელ-ფოსტის ადრესატთა სიაში. განყოფილება აწყობს მრავალ ღონისძიებას და გასცემს პრიზებს სტუდენტური კვლევის მიღწევებისათვის. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www/bps.org.uk/pss/pss_home.cfm.
- სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული საკითხების განყოფილება (SOGII), დაარსდა კანადის ფსიქოლოგიური ასოციაციაში 2002 წელს. მისი წევრი შესაძლოა გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირი. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ : www.sog ii.ca/

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამ სფეროში ერთ-ერთი უდიდესი ცვლილება ბისექსუალ, ტრანს და ქვიარ ადამიანების საკითხების შეტანა იყო. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც კიტზინგერი და კოილი (2002) ამბობენ, ფსიქოლოგიის ამ მიმართულებაში ყოველთვის შედიოდა ბისექსუალებსა და ტრანსებზე მუშაობა, უახლოეს წარსულამდე უმეტესი კვლევა გეი კაცებისა და ლესბოსელი ქალების გამოცდილებასა და შეხედულებებს ეფუძნებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბტქ პერსპექტივის შეტანა საკმაოდ წინააღმდეგობრივია, თუმცა ჩვენ მივესალმებით სფეროს ამ მიმართულებით გაფართოებას. ზოგიერთი ახლახან ჩამოყალიბებული პროფესიული

ჯგუფი ამ გაფართოებას საკუთარ სახელშიც ასახავს (მაგალითად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული საკითხების განყოფილება (SOGII), კანადის ფსიქოლოგიური ასოციაციაში) და უფრო ფართო სახელების დარქმევა უკვე არსებულ ჯგუფებშიც მნიშვნელოვნად ითვლება (მაგალითად, ყოფილი ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის განყოფილებას, 2009 წელს სექსუალობის ფსიქოლოგიის განყოფილება დაერქვა). ბტქ ფსიქოლოგები კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ლესბი და გეი ფსიქოლოგიაში ბტქ გამოცდილებების მარგინალიზაციისადმი. ახლაც, ამ წიგნის დაწერის პერიოდში, საკმაოდ მცირე შრომას გაწეული კონკრეტულად ბისექსუალურ, ტრანსსექსუალურ და ქვიარ ფსიქოლოგიაში, კვლევისა და პრაქტიკის უმეტესი ნაწილი უშუალოდ გეებსა და ლესბოსელებზეა მიმართული. როგორც ვნახეთ, ბოლო პერიოდის პირველ ნაწილში ფსიქოლოგია უფრო ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციის წინააღმდეგ, გეი და ლესბოსური საკითხების, ფსიქოლოგიისათვის ლეგიტიმური შესწავლის საგნად წარმოსაჩენად იყო მიმართული. იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნის გამოცემა ახალი ერის დასაწყისი იქნება, სადაც ლგბტქ ფსიქოლოგები ლგ და ბტქ ადამიანების ცხოვრების კვლევასა და აღწერას მთელი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით შეძლებენ.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- ლგბტქ ფსიქოლოგია განვმარტეთ, როგორც ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც ცდილობს, შეეწინააღმდეგოს ჰეტეროსექსუალობის პრივილეგირებას საზოგადოებაში და გვთავაზობს მრავალ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პერსპექტივას ლგბტქ ადამიანების ცხოვრებასა და გამოცდილებაზე.
- აღვწერეთ ადრეული სექსოლოგების წვლილი სექსუალური და გენდერულ იდენტობის მეცნიერულ შესწავლაში, ლეგიტიმურ საგნად ჩამოყალიბებასა და სექსუალობისა და გენდერული იდენტობების თანამედროვე ცნებების შექმნაში.
- აღვწერეთ გეი მხარდამჭერი ფსიქოლოგიის გაჩენა, რომელსაც მოჰყვა ჰომოსექსუალობის გონებრივ დაავადებათა ნუსხიდან ამოღება და გეი კაცთა და ლესბოსელთა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მათი ჰეტეროსექსუალებთან მსგავსებების ხაზგასმა გეი მხარდამჭერ კვლევებში.
- აღვნიშნეთ ალტერნატიული, კრიტიკული მიდგომის გამოჩენა ლესბოსურ და გეი ფსიქოლოგიაში ბრიტანეთში 1980-იან წლებში, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა „ზუსტად ისეთივე, როგორიც“ მოდელი, რომელიც აშშ-ს გეი მხარდამჭერ კვლევებში იყო გაბატონებული.

• აღვწერეთ ის ბრძოლები, რომლებიც ლგბტქ ფსიქოლოგებმა გაიარეს პროფესიული აღიარების მოსაპოვებლად და ფსიქოლოგიაში ჰეტეროსექსიზმის პრობლემატიზებისას.

კითხვები განხილვისათვის

• გაიხსენეთ ყველა ტერმინი და ასოციაცია, რომელიც გაგონდებათ „ლესბოსელთან, გეისთან, ბისექსუალთან და ჰეტეროსექსუალთან“ დაკავშირებით. ეს შეიძლება იყოს სტერეოტიპი, სლენგი, ცნობილი ადამიანი, ქცევა და ა.შ. არ აქვს მნიშვნელობა, თუკი ეს სიტყვები შეურაცხმყოფელი იქნება. ამ სავარჯიშოს მიზანია, წარმოაჩინოს ყველა დადებითი და უარყოფითი კულტურული ასოციაცია ამ კატეგორიებთან. როცა ყველა ასოციაციას ჩამოთვლით, შეგიძლიათ თუ არა რაიმე ტენდენციის გამოკვეთა?

• პოზიტიურია თუ ნეგატიური უმეტესი ტერმინები? მოიფიქრეთ თუ არა რომელიმე კატეგორიისათვის მეტი ტერმინი, ვიდრე სხვებისათვის? თქვენნი აზრით, რატომ მოხდა ასე? ავლენენ თუ არა ეს ტერმინები ლესბოსელობის, გეობის, ბისექსუალობისა და ჰეტეროსექსუალობის მიმართ კულტურულ განწყობებს?

• სხვასთან კონსულტაციისა და ბევრი ფიქრის გარეშე დაწერეთ, თუ რა ქმნის „ნამდვილ ქალს“ და „ნამდვილ კაცს“ და ჰკითხეთ სხვა ადამიანებსაც იგივე (სასურველია, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს). შეადარეთ თქვენი განმარტებები ამ ორი კატეგორიისა და ის ენა, რომელიც გამოიყენეთ მათ აღსაწერად. არის თუ არა მსგავსება? განსხვავება? რას გვიამბობს ეს პასუხები გენდერის შესახებ? არის თუ არა „ნამდვილი ქალისა“ და „ნამდვილი კაცის“ კატეგორიები საკმარისი გენდერის საკითხში ჩვენი გამოცდილების აღსაწერად?

• როგორ გგონიათ, რომელი უფრო სასარგებლოა: სექსუალობის კონცეპტუალიზაცია სხვადასხვა კატეგორიებით (ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი) თუ კინსის კონტინუუმით სექსუალური ქცევისა და სექსუალური უპირატესობების შესახებ? რას ფიქრობთ მის არგუმენტზე, რომ ჩვენ ყველანი გარკვეული ხარისხით ბისექსუალები ვართ?

• დაასახელეთ ადრეული გეი მხარდამჭერი ფსიქოლოგიის ზოგიერთი სიძლიერე და სისუსტე.

• ისაუბრეთ იმ ჰეტერონორმატიულობაზე, რომელიც ფსიქოლოგიაში შეგხვედრიათ. გქონიათ თუ არა სოციალური ფსიქოლოგიის კურსები, სადაც საუბარი იყო **ჰომოფობიაზე, ტრანსფობიასა და ბიფობიაზე?** გქონიათ თუ არა დისკუსია მშობლობასა და ბავშვის განვითარებაზე, რომელიც ეფუძნება მოსაზრებას, რომ ყველა ბავშვი ჰეტეროსექსუალურ ოჯახში იზრდება და რომ ჩვენი გენდერული როლი ადრეულ ასაკში

ყალიბდება? არის თუ არა ჰეტეროსექსისტური და **გენდერისტული** დასკვნები ასახული თქვენს სახელმძღვანელოებში? რა შეძლება გაკეთდეს ფსიქოლოგიაში ჰეტერონორმატიულობის დასაძლევად?

თავი 2
ძირითადი დებატები და პერსპექტივები

თავის მიმოხილვა:

- სოციალური კონსტრუირება ესენციალიზმის წინააღმდეგ
- ლიბერალიზმი რადიკალიზმის წინააღმდეგ
- ლგბტქ ფსიქოლოგიისა და ფემინიზმის ურთიერთმიმართება
- ლგბტქ ფსიქოლოგიისა და ქვიარ თეორიის ურთიერთმიმართება
- ლგბტქ ფსიქოლოგიისა და კრიტიკული ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება
- ლგბტქ ფსიქოლოგიისა და პოზიტიურ საზოგადოებრივ ცვლილებას შორის ურთიერთმიმართება

პირველ თავში გავეცანით ლგბტქ ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის აღიარებული და დამოუკიდებელი მიმართულების ისტორიასა და თანამედროვე განვითარებას. ამ თავში გვსურს, გაგაცნოთ რამდენიმე თეორიული და პოლიტიკური საკითხი ამ სფეროს შესახებ, ლგბტქ ფსიქოლოგიაში სამუშაოდ უნარების შესაძენად. გვსურს, დავიწყოთ ორი ძირეული დებატით, რომელიც ლგბტქ ფსიქოლოგიაში განხორციელებული სამუშაოს უმეტეს ნაწილს უდევს საფუძვლად: დაპირისპირება ესენციალისტურ და კონსტრუქტივისტურ თეორიებსა და ლიბერალურ და რადიკალურ იდეოლოგიებს შორის. ნუ შეშფოთდებით ჩვენ მიერ თეორიის, იდეოლოგიისა და პოლიტიკის ხშირი ხსენებით (ეს თემები უმეტესწილად აშფოთებს ფსიქოლოგებს), - ეს ცნებები შესაძლოა განვმარტოთ, როგორც ორგანიზებული კოლექტიური იდეების ერთობლიობა, საკითხისადმი მიდგომის პოზიცია და სხვადასხვა თემების ახსნის საშუალებები. ამავე დროს, განხილული საკითხები რთული და კომპლექსურია. ამიტომ, სასურველი იქნება, თუ მათ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით სხვადასხვა თემაზე ორიენტირებული თავების წაკითხვისას, რათა უკეთ გაიაზროთ ის ემპირიული კვლევები, რომლებიც ამ დებატების საფუძველს წარმოადგენს.

ესენციალიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმს შორის დაპირისპირების განხილვისას ჩვენ საკმაოდ წინააღმდეგობრივ საკითხს - ჰომოსექსუალობის ეტიოლოგიას ანუ წარმომავლობას შევეხებით. ჩვენი შეხედულებით, ჰომოსექსუალობის ეტიოლოგიის კვლევა საკმაოდ პრობლემურია. თუმცა, იმის გააზრება, თუ როგორ იდენტიფიცირდებიან ინდივიდები ან ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვა იარლიყებთან თუ სექსუალობასა და გენდერთან დაკავშირებულ ცნებებთან, და როგორ ფუნქციონირებს სექსუალობისა და გენდერის სხვადასხვანაირი გაგება ისტორიის განსხვავებულ

პერიოდებში, საინტერესოა და მკვეთრად განსხვავდება ისეთი კვლევებისაგან, როგორიცაა მაგალითად „გეი გენის“ ძიება. ესენციალიზმსა და კონსტრუქტივიზმს შორის დებატებზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რათა „წარმომავლობის“ ძიების პროცესში კრიტიკული თვალთახედვა შეგძინოთ.

ძირითადი დებატების განხილვას მოჰყვება თეორიული და პოლიტიკური მოძრაობების უფრო ფართო ანალიზი ფსიქოლოგიის სფეროში თუ მის მიღმა, რამაც ლგბტქ ფსიქოლოგებზე მოახდინა გავლენა. შევეხებით სამ ძირითად სფეროს: ფემინიზმს, ქვიარ თეორიასა და კრიტიკულ ფსიქოლოგიას. ცხადია, რომ მხოლოდ ეს სფეროები არ ახდენდნენ გავლენას ლგბტქ ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზე, თუმცა ეს საკითხები მკითხველისთვის ყველაზე ნაკლებად არის ცნობილი. თავის დასასრულს, ლგბტქ ფსიქოლოგიისა და ლგბტქ ადამიანებისათვის სასურველი საზოგადოებრივი ცვლილებების ურთიერთმიმართებას განვიხილავთ.

სოციალური კონსტრუირება ესენციალიზმის წინააღმდეგ

ესენციალისტური თეორიები

როგორც კიტზინგერი (1998) აღნიშნავს, 1980-იანი წლებამდე „გეი მხარდამჭერი“ ფსიქოლოგია (როგორც მას ამ დროს უწოდებდნენ) უმეტესწილად ესენციალისტურ თეორიას ეყრდნობოდა. სექსუალობის შესახებ არსებული შეხედულებები ეფუძნებოდა დაშვებას, რომ იგი არის შინაგანი მდგომარეობა ან მოცემულობა, რასაც ინდივიდი ან „აღმოაჩენს“, ან „უარყოფს“, ანდა „აცნობიერებს“ (გვ.153). ესენციალისტური თეორიები ხშირად სექსუალობას „სექსუალური ორიენტაციის“ ცნებით მოიხსენიებენ, რაც გულისხმობს, რომ არსებობს შინაგანი ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური სტრუქტურა, რომელიც ახდენს ადამიანის სექსუალური გრძნობებისა და სურვილების ორგანიზებას და მართავს მათ ქცევებს (ტიპურად ჰომოსექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ კატეგორიებად). მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ ადამიანები ზოგჯერ თავიანთი ესენციალური სექსუალური ორიენტაციის საპირისპიროდ იქცევიან (მაგალითად, ჰომოფობიურ სოციალურ გარემოში, ადამიანებმა შესაძლოა დათრგუნონ საკუთარი ნამდვილი სურვილები და სოციალური ნორმების მიხედვით მოიქცნენ), მიიჩნევა, რომ მათი „ჭეშმარიტი“ სექსუალობა მათ სექსუალურ ორიენტაციაშია. ესენციალისტური თეორიები ეყრდნობიან დაშვებას (წინასწარ დასკვნას), რომ სექსუალური ორიენტაცია ბიოლოგიურად არის განსაზღვრული, ან ცხოვრების დასაწყის ეტაპზეა შეძენილი (ბავშვის ადრეული სოციალიზაციის, გარემოს ან აღზრდის გავლენით), ისინი მდგრადია და უცვლელი. მსგავსი თეორიები ვრცელდება ტრანსსექსუალობასა და გენდერულ იდენტობაზეც (იხილეთ ჩანართი 2.1).

ბევრი არაჰეტეროსექსუალი მიიჩნევს, რომ მათი სექსუალობა ბიოლოგიურად არის განპირობებული (Gottschalk, 2003) და ბევრ ლესბოსურ და გეი პოლიტიკურ მოძრაობას გამოუყენებია ესენციალიზმი იმის დასამტკიცებლად, რომ ჰომოსექსუალობა არჩევანი არაა და შესაბამისად არ შეიძლება დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს. პირველად ესენციალისტური არგუმენტები ადრეულმა სექსოლოგებმა გამოიყენეს (მაგნუს ჰირშფელდი და ჰავერლოკ ელისი), რომლებიც შეეწინააღმდეგნენ გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ჰომოსექსუალობა განზრახ ჩადენილი ცოდვა (და შესაბამისად დანაშაული) იყოს, და სანაცვლოდ ის კონგენიტალურ ინვერსიად წარმოაჩინეს (იხ. თავი 1).

ჰომოსექსუალობის „გამომწვევი მიზეზის“ ძებნის უამრავი მცდელობა ყოფილა. არსებობს მრავალი თეორია, რომელიც ჰომოსექსუალობის წარმოშობის ახსნას ცდილობს. სხვადასხვა კვლევების თანახმად, ყველაფერი - ჩვენი ტვინი (LeVay, 1991), გენები (Hamer et al ., 1993), თითების სიგრძე (Martin et al ., 2008), რუკის წაკითხვის უნარები (Rahman et al ., 2005) უნდა გვაძლევდეს ინფორმაციას ჰომოსექსუალობის წარმოშობის შესახებ (იხილეთ ჩანართი 2.1), ასეთი კვლევების შედეგები ფართოდ ვრცელდება მედიაში და საფუძველს აძლევს დისკუსიებს - ჰომოსექსუალები „ასეთებად დაიბადნენ“ თუ „გახდნენ ასეთები“.

ჩანართი 2.1. ესენციალისტური თეორიები და ჰომოსექსუალობის ეტიოლოგია, ბისექსუალობა და ტრანსსექსუალობა

„გეი გენის“ თეორია - ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალობას გენეტიკური საფუძველი გააჩნია და ამის დასამტკიცებლად ოჯახის, ტყუპებისა და გენეტიკური კვლევები მოჰყავს (Bailey, 1995). ჰომოსექსუალობის ზოგიერთი ოჯახური კვლევის მიხედვით, გეი კაცებს უფრო მეტი გეი ძმები ჰყავთ, ვიდრე ჰეტეროსექსუალ კაცებს (Pillard and Weinrich , 1986). ტყუპების კვლევების თანახმად, აღმოჩენილია 100%-იანი კორელაცია 37 მონოზიგოტური ტყუპების შერჩევაში, და 15%-იანი კორელაცია 26 დიზიგოტური ტყუპების შერჩევაში (Kallman, 1952). თუმცა, ამ კვლევების მეთოდოლოგია მოგვიანებით მკაცრად კრიტიკის ქვეშ მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ტყუპების შესახებ არსებული მომდევნო კვლევების შედეგები საკმაოდ განსხვავებული და არაკონსისტენტური იყო, ბეილეი (1995) ასკვნის, რომ ტყუპების კვლევების შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალური და კაცური ჰომოსექსუალობა ნაწილობრივ მემკვიდრეობითია. 1993 წელს, გენეტიკოსმა დინ ჰამერმა და მისმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს ანგარიში,

რომლის მიხედვითაც არსებობს „გეი გენის“ ბიოლოგიური საფუძველი და ის X ქრომოსომის Xq28 მარკერთან არის დაკავშირებული.

„გეი ტვინის“, ანუ ნეიროენდოკრინული თეორია - ამ თეორიის თანახმად, გეი კაცების ტვინს აქვს გარკვეული მსგავსება ქალების ტვინთან და პირიქით, ლესბოსელი ქალის ტვინი კაცის ტვინის მსგავსია. მიიჩნევა, რომ კაცზე და ქალზე ორიენტირებული ინდივიდების ტვინის აგებულების განსხვავებები თანდაყოლილია და პრენატალური (დაბადებამდელი) ჰორმონული ზეგავლენის შედეგად ყალიბდება. გარდა ამისა, ამ დროს გავლენა შესაძლოა ასევე ჰქონდეს ოჯახში სოციალიზაციის პროცესსაც (Bailey,1995). ამ კვლევების დამადასტურებელ მონაცემებად ადამიანის სექსუალურ ორიენტაციასა და ბავშვობისდროინდელ გენდერულ არაკონფორმიზმს (მოგვიანებით გახსენებული) შორის კავშირი მიიჩნევა (Gree n, 1987). დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ფსიქობიოლოგმა ქაზი რამანმა და მისმა კოლეგებმა ნეიროენდოკრინოლოგიური თეორიის გადასამოწმებლად უამრავი კვლევა ჩაატარეს. მათ აღმოაჩინეს, რომ, მაგალითად, გეი კაცები კაცისა და ქალის რუკის კითხვის შერეულ სტრატეგიებს იყენებენ (Rahman et al., 2005).

აღზრდის როლი „განვითარებისთვის მნიშვნელოვან“ ადრეულ ბავშვობაში - ფსიქოანალიტიკოსმა ირვინგ ბიბერმა (1965) ღიად განაცხადა, რომ ჰომოსექსუალობა დედასთან მჭიდრო და ინტიმური მიჯაჭვულობის და მამასთან გაუცხოებული და არაკეთილგანწყობილი ურთიერთობის შედეგია. ბიბერის თეორიით, ჰომოსექსუალობა ცუდი აღზრდის პათოლოგიური საპასუხო რეაქციაა.

ბისექსუალობა - ბიოლოგიური კვლევების უმეტესობა ბისექსუალობას არ იღებს მხედველობაში, ან მათ ჰომოსექსუალობის ქვეშ განიხილავს (მაგალითად., LeVay, 1991). ბისექსუალობის ბიოლოგიური საფუძვლების დასამტკიცებლად ძალიან ცოტა კვლევა არსებობს; თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს იკვლიოს როგორია ბისექსუალების მსგავსება ჰეტერო და ჰომოსექსუალ ადამიანებთან გენდერული არაკონფორმულობის კუთხით ბავშვობის ასაკში. გავრცელებული დასკვნით, ბისექსუალები შუალედურ პოზიციას იკავებენ ჰომო და ჰეტეროსექსუალებს შორის (Bell et al ., 1981).

ტრანსსექსუალობა - მრავალი ესენციალისტური თეორია არსებობს ტრანსსექსუალობის ასახსნელად: ზოგიერთი თეორიის მიხედვით, ადრეული აღზრდა არის ამ კითხვის პასუხი. (Stoller, 1968), სხვები კი ამტკიცებენ, რომ ტრანსსექსუალობა ბიოლოგიური ფაქტორებითაა განპირობებული (Zhou et al ., 1995); სულ ახლახან კი, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ

ტრანსსექსუალობა ნევროლოგიურ ინტერსექსუალობად უნდა განვიხილოთ (see Jeffreys, 2008).

განვიხილოთ ასეთი კვლევების ერთი მაგალითი: სიმონ ლევაი (1991): „ჰეტეროსექსუალ და ჰომოსექსუალ კაცებს შორის განსხვავება ჰიპოთალამუსის სტრუქტურაშია“. ლევაიმ გამოიკვლია 41 ადამიანის: 19 ჰომოსექსუალი კაცის (მათ შორის ერთი ბისექსუალი), 16 ჰეტეროსექსუალი კაცისა და 6 ჰეტეროსექსუალი ქალის სხეული. ლევაი ჯგუფებს შორის ჰიპოთალამუსში INAH ატომებს ადარებდა. ჯგუფებში ყველა ჰომოსექსუალი კაცი, ჰეტეროსექსუალ კაცთაგან ექვსი და ერთი ქალი შიდსით იყო გარდაცვლილი. ლევაიმ კაცების ჰომოსექსუალებად კლასიფიცირება მათი ექიმებთან საუბრების შედეგად მოახდინა, ჰეტეროსექსუალობა კი - ჰეტეროსექსუალ კაცთა საზოგადოებაში რიცხობრივი უმრავლესობის საფუძველზე დაადგინა (p. 1036).

ჰიპოთალამუსის წინა ნაწილში ოთხი INAH ატომია - INAH 1,2,3, და 4. ლევაიმ გაიმეორა და დაადასტურა მანამდე არსებული კვლევის მონაცემები, რომ INAH 2 და 3 სექსუალურად დიმორფულია (რაც ნიშნავს, რომ განსხვავებული ფორმა აქვთ ქალებსა და კაცებში), თუმცა ვერ შეძლო იმ მონაცემების დადასტურება, რომ INAH 1-ც სქესის მიხედვით დიმორფული იყო. ლევაის მთავარი აღმოჩენა ის იყო, რომ ჰომოსექსუალი კაცების INAH 3 ჰეტეროსექსუალ კაცებზე პატარა და ჰეტეროსექსუალი ქალების INAH 3-ის ტოლი იყო.

ამ და სხვა ესენციალისტური კვლევების მიმართ მრავალი კრიტიკა დაიწერა:

- *მკვლევარების ნაწილი კითხულობს, თუ რა საჭიროა ჰომოსექსუალობის წარმოშობის კვლევა.* ისინი ხაზს უსვამენ ჰეტეროსექსუალობის წარმოშობის კვლევების სიმწირეს, რაც მიანიშნებს, რომ ჰეტეროსექსუალობა საზოგადოდ ნორმალურად და ბუნებრივად მიიჩნევა და ახსნას არ საჭიროებს, მაშინ, როცა ჰომოსექსუალობა განვითარების ანომალიად მიიჩნევა და ახსნას საჭიროებს.
- *ზოგიერთი მკვლევარი საუბრობს იმაზე, რომ ესენციალისტური კვლევები სექსუალობის შესახებ არსებულ სოციალურად ჩამოყალიბებულ ცნებებს ეყრდნობა.* ლევაის კვლევის **ქვიარ** კრიტიკისას, ბრიტანეთში მოღვაწე ლგბტქი ფსიქოლოგი და მკვლევარი პიტერ ჰეგარტი (1997) (იხილეთ ჩანართი 2.2) ამტკიცებს, რომ ლევაის აღმოჩენა ეყრდნობა ადამიანის სექსუალობის „სექსუალურ ორიენტაციად“ სოციალურ კონსტრუქციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლევაი და სხვა ესენციალისტი მკვლევარები სექსუალობის ხედვის ერთ კონკრეტულ მოდელს (ჰომო/ჰეტეროსექსუალებად დაყოფის მოდელს), რომლებიც ერთ-ერთია

სექსუალობის ბევრ სხვადასხვა მოდელთა შორის და თანამედროვე ევროპული კულტურისათვის დამახასიათებელი ხედვაა სექსუალობაზე, უნივერსალურ, კულტურისა და ისტორიის გარეშე არსებულ ფაქტად წარმოადგენენ (Hegarty, 2003a).

- *ბისექსუალობა კვლევებიდან გამოტოვებულია და ჰომოსექსუალობის ერთ-ერთ ფორმად არის განხილული.* ლევაიმ კვლევის მონაწილეები მხოლოდ ჰომო და ჰეტეროსექსუალებად დაყო (ის, რაც სხვა კვლევებშიც ხშირია) და კაცები, რომლებიც ბისექსუალებად იდენტიფიცირდებოდნენ, ჰომოსექსუალთა კატეგორიას მიაკუთვნა. ამით, ლევაი „ეყრდნობა დაშვებას და განამტკიცებს იმ ნორმას, რომ არსებობს ორი სხვადასხვა ტიპის ადამიანი, რომლებიც ერთმანეთისგან ბიოლოგიურად განსხვავდებიან“ (Hegarty, 1997: 361). ბისექსუალი კაცების ჰომოსექსუალთა კატეგორიაში გაყვანით, ლევაი განამტკიცებს მოსაზრებას, რომ „ჰომოსექსუალობის ერთი წვეთი“ ადამიანს სრულად ჰომოსექსუალად აქცევს. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ბისექსუალობა არყევს ჰეტეროსექსუალად/ჰომოსექსუალად დაყოფილ სექსუალობის მოდელს (Hegarty,1997). ჰეგარტის თანახმად, ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ბისექსუალობა ჰომოსექსუალთა ჯგუფში მოვათავსოთ, სექსუალობის დიქოტომიური მოდელისა და (ალბათ) ტერმინ „სექსუალურ ორიენტაციაზე“ უარის თქმაა. ასევე საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ სექსუალობა უფრო მოუწესრიგებელი და მოქნილია, ვიდრე ამას დიქოტომიური მოდელი ასახავს.
- *ესენციალისტური კვლევები ეყრდნობა დაშვებას, რომ ჰომოსექსუალები „გენდერულად გადახრილები“ არიან, ან ზედმეტად მეტი გენდერული ნიშნები აქვთ.* მრავალი ბიოლოგიური თეორია ეყრდნობა და ამყარებს მოსაზრებას, რომ გეი კაცები და ლესბოსელები “გენდერულად გადახრილები“ არიან, რომ გეი კაცებს გადაჭარბებული ფემინურობის ნიშნები აქვთ (ფემინური გონება და სხეული), ლესბოსელებს კი გადაჭარბებული მასკულინური ნიშნები (მასკულინური გონება და სხეული). დასავლურ კულტურაში, კაცის მიმართ სურვილის ქონა ხშირად ფემინურად მიიჩნევა, ხოლო ქალის მიმართ - მასკულინურად. ფემინისტი ფილოსოფოსი ჯუდით ბატლერის თქმით (1990), სექსუალური სურვილი (ერთსქესიანი სექსუალური სურვილიც კი) „ჰეტეროსექსუალური მატრიცის“ მიხედვით აღიქმება. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ არსებობს მრავალი კვლევა, რომელიც აჩვენებს, რომ ხშირად ჰომოსექსუალი კაცები ჰეტეროსექსუალ კაცებზე უფრო მასკულინურები არიან; თუმცა ეს წარმოდგენილია, როგორც გამონაკლისი, როგორც განვითარების

ანომალია. ნორმად ჰეტეროსექსუალური სხეული მიიჩნევა. ის მუდამ სათანადოდ მასკულინური ან სათანადოდ ფემინურია (Hegarty, 2003a).

- *მკვლევართა ნაწილი სვამს კითხვას, სექსუალობის კონკრეტულად რა გამოვლინებას შეისწავლის ბიოლოგიური კვლევები.* არსებობენ მკაცრად ჰეტეროსექსუალური იდენტიფიკაციის მქონე კაცები, რომლებსაც რეგულარულად აქვთ სქესობრივი კავშირი სხვა კაცებთან (მაგალითად, კაცები ციხეებში ან ჯარში; კაცები, ვისაც შეგვიძლია ვუწოდოთ „სიტუაციური ჰომოსექსუალები“ ან კაცები, რომლებსაც კაცთან სძინავთ - MSM). არიან ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ სექსუალურ იდენტობასთან პოლიტიკური ან იდეოლოგიური მიზეზების გამო იდენტიფიცირდებიან (მაგალითად, **პოლიტიკური ლესბოსელები**). ზოგიერთი ადამიანი ბისექსუალად იდენტიფიცირდება, თუმცა ხანგრძლივი და მონოგამიური ურთიერთობა აქვს საპირისპირო სქესის ადამიანთან. ზოგს მიაჩნია, რომ კონკრეტულ სექსუალურ ჯგუფებში ან ქცევებში ჩართულობა, მათი სექსუალობას უკეთესად განსაზღვრავს, ვიდრე იმ ადამიანთა სქესი და გენდერი, ვისთანაც სქესობრივ კავშირს ამყარებს (მაგალითად, ადამიანები, რომლებიც ერთვებიან **BDSM**-ში). ეს მხოლოდ მცირე მაგალითია იმ სირთულისა და მრავალფეროვნებისა, თუ როგორ იდენტიფიცირდებიან ადამიანები სხვადასხვა სექსუალურ იდენტობასთან, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათთან და როგორ გამოხატავენ ისინი თავიანთ სექსუალურ სურვილებს. თუკი ამ ადამიანებს ბიოლოგიურ კვლევაში მიიწვევ, როგორ შეძლებდი მათ კლასიფიცირებას სხვადასხვა კატეგორიებში? სექსუალობის რომელი ასპექტი მიიჩნევა „ჭეშმარიტ“ განმსაზღვრელად და რომელი უნდა მივიღოთ მხედველობაში? რას ვუწოდებთ ჩვენს თავს? (ახლა ან წარსულში), როგორ ვიქცევით? (ახლა ან წარსულში), რა გვსურს? (ახლა ან წარსულში). უმეტესად, ესენციალისტი მეცნიერები მხედველობის მიღმა ტოვებენ იმ მნიშვნელობას, რომელსაც ადამიანი საკუთარ სექსუალობას ანიჭებს და ცდილობენ ისინი ჰომო/ჰეტერო დიქოტომიის მიხედვით დაყონ.

ჩანართი 2.2. პეტერ ჰეგარტი: რატომ ვსწავლობ მეცნიერების სექსუალურ პოლიტიკას

თხუთმეტი წლის წინ ირლანდიიდან კალიფორნიაში გადავედი, სტენდფორდის უნივერსიტეტში სადოქტორო ნაშრომის წერა დავიწყე და ქამინგ აუთი გავაკეთე. ამ დროისათვის აშშ-ის მედია იმის მტკიცებით იყო გართული, რომ შესაძლებელია ვიპოვოთ გენი, რომელიც შეძლებს იწინასწარმეტყველოს, ვინ არის გეი. ჩემმა წინათგრძნობამ, რომ ასეთი ინფორ-

მაცია ჩემს ქამინგ აუთს გამარტივების ნაცვლად უფრო გაართულებდა, მაიძულა დამეწყო ფიქრი იმაზე, თუ რა ტიპის სამეცნიერო მუშაობას ასრულებენ (ან არ ასრულებენ) ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ადამიანები. მას შემდეგ ჩემი კვლევა სამი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით განვითარდა. პირველ რიგში, სკეპტიკურად განვეწყვე იმ მიდგომის მიმართ, თითქოს ბიოლოგიური კვლევები სასიკეთოდ ცვლის ჰეტეროსექსუალი ადამიანების შეხედულებას ლგბ ადამიანებზე. იმ გამოკითხვების შედეგები, რომლებიც ამ იდეას უჭერდნენ მხარს, ტოლერანტობასა და ბიოლოგიური დეტერმინიზმის რწმენას შორის კორელაციაზე იყო დაფუძნებული. აღმოვაჩინე, რომ ეს კორელაცია, ტოლერანტობასა და ბიოლოგიურ დასკვნებს შორის, მხოლოდ იმ სტუდენტებში შეინიშნებოდა, ვისაც სჯეროდა, რომ ბიოლოგიური დეტერმინიზმი ლესბოსელებისა და გეების მიმართ ტოლერანტული შეხედულების გამოხატულება იყო (Hegarty, 2002). უფრო ახლახან კი შევნიშნე, რომ ესენციალისტური არგუმენტები ტრანსსექსუალების მიმართ ცრურწმენებს იწვევს (Tee and Hegarty, 2006) და ადამიანებისათვის ბიოლოგიური კავშირების სწავლება მათ შეხედულებებს სტიგმატიზებული ჯგუფების მიმართ სულაც არ ცვლის (Hegarty and Golden, 2008.

წინა პარაგრაფში დავწერე „სტუდენტები“, როცა „ჰეტეროსექსუალი სტუდენტები“ შესაძლოა უფრო ზუსტი განსაზღვრება ყოფილიყო. შეამჩნიეთ? ჩემი ნაშრომის მეორე ნაწილი იკვლევს, თუ როგორ ხდება პრივილეგირებული იდენტობების ნორმად ქცევა (სცადეთ და ტერმინი „ლგბ სტუდენტები“, „სტუდენტების“ მაგივრად გამოიყენეთ, უცნაურია არა?) სოციალურ მეცნიერებებში ასეთი „უყურადღებობების“ შედეგია ფსიქოლოგებისა და ფსიქოლოგიის სტუდენტების მხრიდან ჯგუფთა შორის განსხვავებების განმარტებების დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ჯგუფებზე, მაგალითად, ლესბოსელებსა და გეებზე კონცენტრირება (Hegarty and Pratto,2001, 2004), (Hegarty and Buechel, 2006). შედეგად, ამ ჯგუფებს დიდი შანსი აქვთ, მონაცემების „ექსპერტული ინტერპრეტაციის“ სტერეოტიპიზაციის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ .

ჩემი მუშაობის მესამე მიმართულება ისტორიულია. ჩემმა მცდელობებმა, ფსიქოლოგიაში ლგბტქ პერსპექტივა დამემკვიდრებინა, მაიძულა მეკვლია, თუ რა კავშირშია ისეთი საკვლევი მეთოდები, როგორიცაა რორშახის ტესტი (Hegarty, 20 03b) თუ IQ ტესტები (Hegarty, 2007a) ლგბტ ისტორიასთან აშშ-ში. ამ დროის განმავლობაში, ჩემი შთაგონების წყაროს ყველაზე კრიტიკული სფეროებს ქვიარ თეორია, ფემინიზმი მეცნიერებისა და ტექნოლოგიური კვლევები წარმოადგენდნენ. ასევე მგონია, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ზედმეტად საინტერესო და სახალისოა

იმისათვის, რომ უფლება მივცეთ აირიდოს ეს კრიტიკა ან კიდევ მხოლოდ კრიტიკული თვალით ვუყუროთ. ამ ხედვით, ორ ურთიერთდაპირისპირებულ მხარეს - თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებსა და რეალიზმსა და სოციალ კონსტრუქტივიზმს შორის ვექცევი, კრიტიკული ლგბტ იდეების მეინსტრიმინგს ვეწევი თუ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიას ქვიარ სივრცედ ვაქცევ? მინდა თქვენ განსაჯოთ.

სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიები

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სოციალურმა კონსტრუქტივისტებმა სექსუალობის ესენციალისტური ხედვა ეჭვქვეშ დააყენეს. ისინი ამბობდნენ, რომ „ლესბოსელის“, „გეის“, „ბისექსუალისა“ და „ჰეტეროსექსუალის“ კატეგორიები კონკრეტული ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტების შედეგად წარმოიშვა (e.g., Kitzinger, 1987). სოციალური კონსტრუქტივისტები იკვლევენ, თუ როგორ ახდენენ ადამიანები საკუთარი იდენტობების კონსტრუირებას (მაგალითად: Flowers and Buston, 2001; Kitzinger and Wilkinson, 1995; Mason-Schrock, 1996), და სხვადასხვა სოციალური პროცესების ურთიერთობების შედეგად როგორ ხდება სექსუალური და გენდერული იდენტობები „ნამდვილი“. ისინი იკვლევენ სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ სხვადასხვაგვარ შეხედულებებს სხვადასხვა ისტორიული კონტექსტის, ადგილისა და კულტურის ფარგლებში (იხილეთ ჩანართი 2.3). სოციალური კონსტრუქტივისტები ასევე ცდილობენ „ჰეტეროსექსუალობის“ თავისთავადობის სტატუსის პრობლემატიზაციას და სწავლობენ იმ გზებს, რითიც ინდივიდუალური ჰეტეროსექსუალები საკუთარი იდენტობის კონსტრუირებას ახდენენ (Demasi, 2003; Wilkinson and Kitzinger, 1993).

ჩანართი 2.3. პეტერ ჯეკსონი (2000) - სექსუალური და გენდერული იდენტობის კატეგორიზაცია ტაილანდურ კულტურაში

არადასავლურ კულტურებში ხშირად დასავლური კულტურებისაგან ძალზე განსხვავებული სექსუალობისა და გენდერის გამოცდილებებს ვაწყდებით. ავსტრალიაში მოღვაწე აზიური კვლევების ექსპერტი პიტერ ჯეკსონი საუბრობს დასავლური თეორიების შეზღუდვებზე ტაილანდში ერთსქესიანი კულტურების გასაანალიზებლად. ტაილანდურ კულტურაში სექსუალობა სექსუალური იდენტობებით კი არა, „ფეტის“ სხვადასხვა ფორმებით არის დაყოფილი. „ფეტი“ ეროტიზირებულ გენდერს ნიშნავს. ადამიანის ეროტიკულ მიდრეკილებებს განსაზღვრავს მათი მდებარეობა „ფეტის“ სკალაზე (100%-ით მასკულინურიდან, 100%-ით ფემინურამდე).

ამ ხედვის თანახმად, უდრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რამდენად ფემინური ან მასკულინურია კონკრეტული ადამიანი, ვიდრე გავიგოთ, თუ რა ტიპის სხეულსა თუ გენდერულ როლს ანიჭებს უპირატესობას იგი ეროტიკული პარტნიორის არჩევისას.

ჯეკსონმა გამოყო „ფეტის“ მინიმუმ 7 თანამედროვე ფორმა: 1) კაცი (დასავლური გაგებით), 100%-ით მასკულინური და ჰეტეროსექსუალი, 2) გეი მეფე და 3) გეი დედოფალი (დასავლურ კულტურაში ორივე კატეგორია „გეი კაცის“ კატეგორიის ქვეშ მოიაზრება - მეფეები სქესობრივ აქტში გამცემებად, ხოლო დედოფლები - მიმღებებად მოიაზრებიან), 4)კათოეი (ეს კატეგორია ადრე „შუალედურს“ ან „მესამე“ სქესად/გენდერად მოიაზრებოდა და მოიცავდა ჰომოსექსულობისა და ტრანსსექსუალობის დასავლურ გაგებას, ახლა კი უფრო სპეციფიკურად ტრანს და ინტერსექსუალ ადამიანებს მოიცავს), 5) ტომი და 6) დი (დასავლურ კულტურაში ორივე კატეგორია ლესბოსელის სახელით არის ცნობილი, ტომი მასკულინურია, დი - ფემინური), და 7) ქალი (100%-ით ფემინური და ჰეტეროსექსუალი. ამ კატეგორიებთან იდენტიფიცირების მიხედვით, ტაილანდში 4 განსხვავებული სექსუალური ჯგუფია: 1) ქალები და კაცები, 2) გეი მეფეები და გეი დედოფლები, 3) კათოეიები და კაცები, 4) ტომები და დიები.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გეები და კათოიები სექსუალური და გენდერული კატეგორიების მიხედვით არ არიან დაყოფილები, ისინი „ფეტის“ სხვადასხვა ფორმები არიან. ბევრი გეი კაცი საკუთარ თავს განმარტავს 60/40 ან 70/30 და ა.შ. მსგავსი ციფრებით, რათა აღწერონ თავიანთი მეფის (სექსუალურად გამცემის) და დედოფლის (სექსუალურად მიმღების) როლების პროცენტული შეფარდება. ეს ცხადყოფს, რომ ჰომოსექსუალი კაცების მიერ მრავალ განსხვავებულ სექსუალურ პრაქტიკაში ჩართულობა უფრო და უფრო მეტად გავრცელებულია, თუმცა ეს მრავალფეროვნება ხშირად მასკულინობისა და ფემინურობის ნაზავად მოიაზრება.

ჯესკონი ამბობს, რომ ტაილანდურ კულტურაში შეუძლებელია სექსუალურ და გენდერულ იდენტობებს შორის განსხვავების გაკეთება, რადგან, მაგალითად, თუ ადამიანი კაცად ან გეი მეფედ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, ეს ავტომატურად გულისხმობს გენდერსაც და ეროტიზმსაც, მაშინ, როცა დასავლურ კულტურაში სექსუალობა უფრო პრივილეგირებულია, ვიდრე გენდერი, ბევრ არადასავლურ კულტურაში გენდერი სექსუალობაზე მნიშვნელოვანია. ჯეკსონი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია, არ გავიაზროთ დასავლური კულტურული დასკვნები „ჭეშმარიტებად“, ტაილანდური კი - განუვითარებლად.

მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთში არ ავურიოთ სოციალური კონსტრუქტივიზმი და სოციალიზაციის თეორიები. სოციალიზაციის თეორია სექსუალობასა და გენდერს ადრეული ბავშვობის განვითარების შედეგად აღიქვამს. თეორიის მიხედვით, სექსუალობისა და გენდერის ჩამოყალიბებაზე მედია და სხვა ინსტიტუტები ახდენენ გავლენას (სქესი კი ბიოლოგიურად არის განპირობებული). სოციალური ნორმები თუ „გენდერული სტერეოტოპები“ რომ გენდერული როლის მიმართ მიმღებლობის საზღვრებს აწესებს ქალებისა და კაცებისათვის, მეტ-ნაკლებად მისაღები იდეაა (Kitzinger, 1995). თუმცა, სოციალური კონსტრუქტივიზმი, სოციალიზაციის თეორიისგან განსხვავებით, იმ გზებსა და საშუალებებს სწავლობს, რომელთა მიხედვითაც ჩვენი გამოცდილებისა და ჩვენს ირგვლივ სამყაროს ორგანიზებისათვის გამოყენებული ყველაზე ბაზისური კატეგორიები (ქალი, კაცი, ჰომოსექსუალი, ჰეტეროსექსუალი) თვითონ არიან სოციალური კონსტრუქტები. ისინი სხვადასხვა სოციალური პროცესებისა და ურთიერთქმედებების შედეგია.

სოციალური კონსტუქტივიზმი უარყოფს ფორმულას, რომლის თანახმადაც „სქესი=ბიოლოგიას“, „გენდერი=კულტურას“ და ამტკიცებს, რომ სქესიცა და გენდერიც სოციალური კონსტრუქტებია. ორი (და მხოლოდ ორი) სქესის არსებობის „ბუნებრივი ფაქტი“ (Garfinkel, 1967), რომლის გავლენითაც ჩვენ სამყაროს აღვიქვამთ, უფრო იდეოლოგიური (და არა ბუნებრივი) მექანიზმია. აშშ-ში მოღვაწე ისტორიკოსი ტომას ლაკუერი (1990) ამტკიცებს, რომ **ორსქესიანი მოდელი** სქესის გააზრების საკმაოდ ახალი გზაა, რომელიც მე-18 საუკუნეში წარმოიშვა თანამედროვე მეცნიერების წარმოშობასთან ერთად. ორსქესიანი მოდელის გაჩენამდე, ერთსქესიანი მოდელი იყო დომინანტური, რომლის მიხედვითაც ქალის სხეული კაცის სხეულის სხვანაირ (და უარეს) ვერსიად განიხილებოდა. როგორც ნორვეგიელი სოციოლოგი ტორ ფოლგერო (2008: 137) აღნიშნავს, „ახალმა მეცნიერულმა დარგებმა შექმნეს ახალი გზები, რათა სქესები ბუნებრივად განსხვავებულად წარმოეჩინათ და ეს განსხვავებები ასახული იყო ყველაფერში: რეპროდუქციული უჯრედებიდან დაწყებული, ხასიათის თავისებურებით დამთავრებული“.

ზოგიერთი თეორეტიკოსი მიიჩნევს, რომ ინტერსექსუალი ადამიანების არსებობა (ადამიანები, ვინც გარკვეული სქესის განმსაზღვრელი ქრომოსომებით, გარეგანი გენიტალიებითა და შინაგანი რეპროდუქციული ორგანოებით იბადებიან, რომლებიც სულაც არაა „სტანდარტული,“ ან დამახასიათებელი ქალისთვის ან კაცისთვის) და ტრანს ადამიანები ერთსქესიან და ჰომო/ჰეტეროსექსუალ მოდელს ეჭვქვეშ აყენებენ. მაგალითად, ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი სუზან კესლერი (1998) ამტკიცებს,

რომ იმის ნაცვლად, რომ ინტერსექსუალი ადამიანების არსებობა გაიაზრონ, როგორც ორსქესიანი მოდელის სიმცდარის დადასტურება, ახალდაბადებული ინტერსექსუალი ბავშვების სხეულებს ცვლიან ორსქესიანი მოდელის შესაბამისად. ორსქესიანი მოდელის ბუნებრივ ფაქტად წარმოჩენის მიზნით (მაგალითად, ზოგიერთ ბავშვს, რომელიც გაურკვეველი გენიტალიით იბადება, ოპერაციული ჩარევით უმცირებენ ფალოსის ზომას, რათა ის „ნორმალურ“ კლიტორს დაემსგავსოს და ვაგინას „უკეთებენ“). ჰომო და ჰეტეროსექსუალობის, როგორც კატეგორიების არსებობაც, ორსქესიან მოდელზეა დამოკიდებული: ჰეტეროსექსუალები „საპირისპირო“ სქესის წარმომადგენლებისკენ არიან მიდრეკილები, ჰომოსექსუალები კი საკუთარი. თუკი ორსქესიანი მოდელი იდეოლოგიური სისტემაა, მაშინ ჰომო და ჰეტეროსექსუალის კატეგორიებიც ამ იდეოლოგიური სისტემის შედეგია და არა სექსუალობის „ბუნებრივი“ გამოხატულება.

სოციალური კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ ესენციალისტური თეორიები სექსუალობისა და გენდერის აბსტრაქტულ ცნებებს სინამდვილედ წარმოაჩენენ. სოციალური კონსტრუქტივიზმისთვის სექსუალობა და გენდერი აბსტრაქტული ცნებებია, ესენციალისტები კი მათ „სინამდვილედ“ აღქვამენ. სოციალური კონსტრუქტივიზმის მისამართით ხშირად ისმის კითხვა: „თუ რაიმე სოციალურად არის კონსტრუირებული, ეს ნიშნავს, რომ ის ნამდვილი არაა?“ სოციალური კონსტუქტივისტები ამბობენ, რომ სოციალურად კონსტრუირებული რეალობები ძალიან ძლიერია. როგორც ახალზელანდიელი ფემინისტი ვირჯინია ბრაუნი ამბობს, ენისა და **დისკურსის** ეფექტები „შეიძლება ვიგრძნოთ ისე რეალურად, როგორც მზეს ვგრძნობთ ჩვენს სხეულზე, ან ქარს ჩვენს თმაში“ (Clarke and Braun, 2009: 241). „სინამდვილეს“, „ბიოლოგიასა“ და „მატერიალური სამყაროს“ მიმართ სოციალური კონსტრუქტივიზმის დამოკიდებულებას კარგად განმარტავს ამერიკელი ხელოვნების ისტორიის პროფესორისა და შიდსის აქტივისტის დუგლას კრიმპის სიტყვები. კრიმპი (1988) წერს:

„შიდსი თავისთავად არ არსებობს იმ პროცესების გარეშე, რის მიხედვითაც მის ანალიზს ვახდენთ, წარმოვადგენთ მას, ან ვრეაგირებთ მასზე. შიდსი მხოლოდ პროცესებში და მათი მეშვეობით არსებობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეჭვი შემაქვს ვირუსების, ანტისხეულების, ინფექციებისა თუ გადაცემის გზების არსებობაში. არც დაავადების სინამდვილეში შემაქვს ეჭვი და არც იმ ტკივილსა თუ სიკვდილში, რომელიც მას ახლავს თან. რაშიც ეჭვი მეპარება, ის არის, რომ არსებობს შიდსის თავისთავადი, საფუძვლად მდებარე სინამდვილე, რომელზეც შემდგომში ვაშენებთ წარმოდგენებს, კულტურას ან შიდსის საწინააღმდეგო პოლიტიკას. თუ ვაღიარებთ, რომ შიდსი სწორედ და მხოლოდ ამ პროცესებში და მათი

მეშვეობით არსებობს, მაშინ იმასაც ვაღიარებთ, რომ აუცილებელია გავაანალიზოთ ეს პროცესები, და მათი კონტროლი შევძლოთ“.

კრიმპის არგუმენტის მიხედვით, სოციალური კონსტრუქტივიზმი არ უარყოფს მატერიალური რეალობის არსებობას; ჩვენ გვაქვს სხეულები და „გონება“, რომელიც გრძნობს. მაგალითად, განვიცდით სექსუალურ სურვილს, სიამოვნებას და აღვძრავთ სურვილსა და სიამოვნებას ვანიჭებთ სხვებს. როცა ასეთ გრძნობებს განვიცდით, შეიძლება პულსი აგვიჩქარდეს, ან გულმა დაგვიწყოს ფრიალი (როგორ იაფფასიან რომანტიულ ნოველადაც არ უნდა ჟღერდეს) - მიუხედავად იმისა, რომ სექსუალობის ჩვენეული აღქმა სოციალურად კონსტრუირებული კატეგორიებით არის გაშუალებული - მას მაინც მატერიალური საფუძველი გააჩნია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მატერიალობასა და ბიოლოგიურ დეტერმინიზმს შორის განსხვავება დავინახოთ. იმის თქმა, რომ სექსუალობას მატერიალური საფუძველი აქვს, ძალიან განსხვავდება იმის მტკიცებისაგან, რომ ჩვენი გენები, ან ჩვენი გონება განსაზღვრავენ სექსუალობის ჩვენეულ აღქმას (მთავარი საკითხი ის არის, თუ როგორ ვახდენთ მატერიალური საფუძვლების ინტერპრეტაციას, მათ შესახებ ჩვენ მხოლოდ უკვე არსებული სოციალური კატეგორიების მეშვეობით შეგვიძლია ვიფიქროთ და გავიაზროთ, ამიტომ მატერიალური საფუძვლების კვლევა, უკვე თავისთავად ჩაკეტილია იმ ენობრივ თუ კატეგორიათა ბარიერში, რომელიც ჩვენ სამყაროს შესახებ გვაქვს)

იმდენივე ადამიანი გრძნობს, რომ მათი სექსუალობა არჩეული ან სოციალური პროცესების შედეგია, რამდენი ადამიანიც ფიქრობს, რომ მას ბიოლოგიური საფუძველი აქვს (Gottschalk, 2003). ზოგიერთი გეი და განსაკუთრებით ლესბოსური მოძრაობები, პოლიტიკური ქმედებების საფუძვლად, ხშირად იყენებდნენ „არჩევანის“ ან „სოციალური კონტრუქციირების“ თეორიებს. 1970-იან წლებში, ფემინისტების მიერ სექსუალობის ესენციალისტური თეორიების პრობლემატიზირებამ, მრავალი ქალი გააძლიერა საიმისოდ, რომ მიეტოვებინათ ჰეტეროსექსულური ურთიერთობები და ლესბოსური ურთიერთობები აერჩიათ (Gottschalk, 2003). ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სოციალური კონსტრუქტივიზმი ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია *ავირჩიოთ* ჩვენი სექსუალობა. სოციალური კონსტრუქტივიზმი უბრალოდ ქმნის არჩევანისა და მოქმედების შესაძლებლობას სექსუალობასთან მიმართებაში ბევრად უფრო ძლიერად, ვიდრე ამას ის თეორიები აკეთებენ, რომლების სექსუალობას ბიოლოგიურად დეტერმინირებულად და ადრეულ ასაკშივე განსაზღვრულად განიხილავენ (სოციალური კონსტრუქტივისტების ცენტრალური მტკიცება ის არ არის, რომ სექსუალობა არჩევითია. მათი მთავარი დებულების თანახმად, ჰომო და ჰეტეროსექსუალობა თავისთავად

სოციალური კატეგორიებია, რომლებიც არსებული დასავლური კულტურისთვის არის დამახასიათებელი, ამიტომ ნებისმიერი მტკიცება, რომ მათ ბიოლოგიური საფუძვლები გააჩნიათ, უკვე დამყარებულია ამ სოციალურ კატეგორიებზე და შესაბამისად, საკმაოდ საეჭვოა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები სექსუალური სურვილების მიხედვით არ განსხვავდებიან, პრობლემა ის არის, თუ როგორ აღვიქვამთ და რა სახელებს ვარქმევთ ამ განსხვავებებს. სოციალური კონსტუქტივისტები ადამიანების ჰომო-ჰეტერო დიქოტომიას ეწინააღმდეგებიან, რადგან არსებულ სოციალურ გარემოში „ჰეტერო“ აღიქმება, როგორც ნამდვილი, ცენტრალური და თავისთავადი, ხოლო ჰომო - როგორც უმცირესობა, განსხვავებული. როგორც ვნახეთ, სექსუალობის გამოცდილება ძალიან მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რთულია ადამიანების კატეგორიზება, რადგან ბევრი ფაქტორი, სურვილი თუ ქცევა ამ დროს ყურადღების მიღმა გვრჩება. სოციალური კონსტრუქტივისტები ცდილობენ, ამას თეორიების ანალიზისას ხაზი გაუსვან, რათა არსებულ სოციალურ კატეგორიებზე დაყრდნობილი ცოდნა, ბიოლოგიურ და უცვლელ ჭეშმარიტებად არ დამკვიდრდეს. ეს კი სექსუალობის სხვადასხვა კატეგორიების არათანასწორ აღქმას უწყობს ხელს: ნორმალური და განსხვავებული, კარგი - ცუდი).

ესენციალიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის შედარება

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კონსტრუქტივიზმი თანამედროვე ლგბტქ ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვან პოზიციად მიიჩნევა, ამ სფეროში მაინც ესენციალიზმი დომინირებს. ჰომოსექსუალობის ეტიოლოგიის შესახებ კამათმა თავის პიკს 90-იან წლებში მიაღწია. როგორც კიტზინგერი (1998: 531) აღნიშნავს, „სოციალური კონსტრუქტივიზმსა და ესენციალიზმს შორის კამათმა ვერც ერთი მხარე ვერ დაარწმუნა და პარალელურად გრძელდება კვლევები ორივე თეორიული ჩარჩოს ფარგლებში“. ეს ნაწილობრივ ესენციალიზმსა და სოციალური კონსტრუქტივიზმს შორის კამათის გადაწყვეტის შეუძლებლობის ბრალია (Kitzinger, 1995). სრულიად შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ სექსუალობას ბიოლოგიური საფუძვლები გააჩნია და ასევე იმისაც, რომ სექსუალობის გამოვლინება სოციალური და კულტურული თავისებურებებითაც არის განპირობებული (ზოგიერთი მკვლევარი, მართლაც ცდილობს ისეთი „ინტეგრაციული“ მიდგომის დამკვიდრებას, რომელიც ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გავლენებს ითვალისწინებს). ასევე, შესაძლებელია ამტკიცო, რომ სექსუალობა სოციალურად კონსტრუირებულია და სექსუალობას მატერიალური საფუძველი გააჩნია. თუმცა, ესენციალიზმისა და სოციალური კონსტრუქ-

ტივიზმისეული სექსუალობის განმარტებები ერმანეთთან ფუნდამენტურად შეუთავსებელია: ჰომოსექსუალობა არ შეიძლება სოციალური კატეგორიაც იყოს და გენეტიკურად განპირობებული ნიშანიც. კიტზინგერი (1995) ამტკიცებს, რომ სოციალური კონსტრუქტივიზმი არ გვთავაზობს პასუხებს ესენციალისტების კითხვებზე. პირიქით, იგი თავად სვამს კითხვებს იმ სოციალური თუ ისტორიული პროცესების ირგვლივ, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული კატეგორიები იქმნება და იმ გზებზე, რომლითაც ადამიანები ამ კატეგორიების მიხედვით ცხოვრობენ (მაგალითად, თუ როგორ ჩამოყალიბდა **ჰეტეროსექსუალი/ჰომოსექსუალი ბინარული ოპოზიცია,** და როგორ და რატომ ახდენენ ადამიანები რომელიმე კონკრეტულ სექსუალურ კატეგორიასთან იდენტიფიცირებას).

ესენციალისტური მეცნიერებაცა და „ჰომოსექსუალის“ ესენციალისტური კონსტრუქტიც ლგბტქ უფლებების დამცველი მოძრაობებისთვის მარგებელი გამოდგა (ზოგიერთი ადამიანი „გეი გენის“ არსებობას იმიტომ მიესალმებოდა, რომ იგი გეი ჩანასახის აბორტირების საშუალებას იძლევა). ლგბტქ აქტივისტთა ნაწილი კი უარს ამბობს ესენციალისტური არგუმენტების გამოყენებაზე იმიტომ, რომ ისინი თავდაცვასა და თავის მართლებას მოიაზრებს. როგორც კიტზინგერი (1995) აღნიშნავს, ესენციალისტური თეორიები მოითხოვენ ტოლერანტობასა და მიმღებლობას იმის საფუძველზე, რომ ლგბტ ადამიანებს არ შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი თავი, და რომ გეობა, ლესბოსელობა, ბი თუ ტრანსსექსუალობა გადამდები არაა. ესენციალისტები არაჰეტეროსექსუალებს უმცირესობად წარმოადგენენ, ჯგუფად, რომელიც ყოველთვის არსებობდა და იარსებებს ჰეტეროსექსუალური უმრავლესობის ერთ-ერთ ვარიაციად. ამით ესენციალიზმი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ჰეტეროსექსუალობა ნორმალური და ბუნებრივი მოვლენაა, (ჰომოსექსუალობა კი მისი არასასურველი დანამატი) და არა სოციალურად კონსტრუირებული ინსტიტუტი.

როგორც სექსუალობის ესენციალისტური ცნებები, სოციალური კონსტრუქტივიზმის არგუმენტები ასევე გამოიყენებოდა პოლიტიკურ კამპანიებში. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ლესბოსელი ფემინისტები** ამტკიცებდნენ, რომ თუ სექსუალობა სოციალურად კონსტრუირებულია, ის შეიძლება შეიცვალოს და **პატრიარქალური ჩაგვრის** წინააღმდეგ ქალმა შესაძლოა ლესბოსელად გახდომა აირჩიოს (Rich, 1980). როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ზოგიერთი თერაპევტი და რელიგიური დაჯგუფებები ამტკიცებენ, რომ თუ ჰომოსექსუალობა არჩეული ქცევაა, მაშინ თერაპიისა და რელიგიური რიტუალების საშუალებით მისი „გადარჩევაც“ შეიძლება. როგორც ესენციალიზმს, სოციალურ კონსტრუქტივიზმსაც ჰყავს კრიტიკოსები. მაგალითად, ცნობილი ბრიტანელი ფსიქობიოლოგი ქაზი რაჰმანი

(1999) ამბობს, რომ კონსტრუქტივისტული მიდგომა, „ინტელექტუალურად სუსტია“ (გვ. 8). სექსუალობის მოქნილობაზე აქცენტირებასა და კონსტრუქტივისტული ნაშრომების თხრობით სტილს ყურადღების მიღმა რჩება სექსუალობის რეგულარული გამოვლინებები. კონსტრუქტივისტული კვლევები ვერ გვთავაზობენ ემპირიულ მასალას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, განგვესხვავებინა ეს ორი საპირისპირო მიდგომა და ისინი დამამტკიცებელი ფაქტების სიძლიერის მიხედვით შეგვეფასებინა.

კიტზინგერი (1995) ასკვნის, რომ სოციალური კონსტრუქტივიზმიცა და ესენციალიზმიც თავისთავად და შინაგანად ლგბტ მხარდამჭერი თეორიები არ არის; ორივე მათგანი შეიძლება იყოს გამოყენებული ლგბტ უფლებების მხარდასაჭერადაც და საწინააღმდეგოდაც.

ლიბერალიზმი რადიკალიზმის წინააღმდეგ

ზოგიერთ სოციალურ კონტექსტში, ლიბერალობა თავისთავად დადებითი შეფასებაა; მიიჩნევა, რომ ლიბერალი ადამიანები ტოლერანტული და მიმღებლები არიან განსხვავებულობის მიმართ. ეს შეხედულება მრავალ ლგბტქ კვლევაში არის გამყარებული. როგორც მოგვიანებით, მე-5 თავში განვიხილავთ, ჰომოფობიის კვლევების მიხედვით, ნაკლებად ჰომოფობიური ადამიანები უფრო ლიბერალურები არიან და ნაკლებად აქვთ სექსისტური, რასისტური და კონსერვატული რელიგიური შეხედულებები. ანტი-ჰომოფობიური განათლება ხშირად მოუწოდებს ადამიანებს, რომ უფრო ლიბერალურად შეხედონ ჰომოსექსუალობას, აღიქვან ლგბტქ პირები ისევე, როგორც ჰეტეროსექსუალები და ადამიანები მათი სექსუალობის მიხედვით არ „განსაჯონ“. თანამედროვე დასავლურ კულტურაში ლიბერალური ჰუმანიზმი დომინანტური იდეოლოგიაა და ადამიანის უნიკალობასა და ინდივიდის უფლებებს უსვამს ხაზს. სექსუალობასთან მიმართებაში ეს იდეოლოგია აქცენტს ლგბტქ პირების ადამიანობასა და მათი სექსუალობის უმნიშვნელობაზე აკეთებს. როგორც სელია კიტზინგერი (1989: 85) აღნიშნავს, ლიბერალური ჰუმანიზმის „მხედველობის არიდან გამორჩენილია ის კლასიფიკაციები, რომელიც ადამიანებს სხვადასხვა იარლიყების მიხედვით აჯგუფებს და ხაზს უსვამს, რომ ლესბოსელები (ან გეები) არ უნდა გამოვყოთ, როგორც რაღაც უცხო სახეობა, არამედ ისინი უნდა მივიღოთ, როგორც კაცობრიობის მდიდარი მრავალფეროვნების ნაწილი“. ლიბერალურ პრინციპებზე მრავალი ლგბტ მოძრაობაა დაფუძნებული და ლგბტ ადამიანების თანასწორუფლებიანობისათვის იბრძვის. ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციები სოციალური რეფორმისაკენ მიილტვიან და არა სოციალური რევოლუციისაკენ. მაგალითად, პარტნიორობის, მშობლობისა

თუ დასაქმებისკენ მიმართული მათეული კამპანიები ჰეტერო და არა-ტრანს ადამიანებთან თანასწორი უფლებების მოპოვებისკენაა მიმართული. რადიკალური თეორეტიკოსები და აქტივისტები ლიბერალურ პოლიტიკას.

ასიმილიონიციზმისა და ნორმალიზების გამო აკრიტიკებენ (Clarke, 2002a, 2002b). ისინი ამბობენ, რომ ასეთი მოძრაობები უმრავლესობის მიერ მიმღებლობის და ტოლერანტობის მოსაპოვებლად იბრძვიან (სიტყვასიტყვით, ტოლერანტობა, რაც არ მოგწონს, იმის ატანას ნიშნავს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მორგების პოლიტიკაა. ლიბერალურ სლოგანი - „ყველანი ერთნაირნი ვართ“, კრიტიკის ქვეშ მოექცა იმ მექანიზმების უგულვებელყოფისათვის, რომლის საშუალებითაც ლგბტქ ადამიანების სოციალურად გარიყვა ხდება (Brickell, 2001). ეს კი მათ ჰეტეროსექსუალი და არა-ტრანსი ადამიანებისგან განასხვავებს.

სხვა პოლიტიკური მოძრაობები, მაგალითად **გეი განმათავისუფლებელი** მოძრაობა, ლესბოსური ფემინიზმი და ქვიარ აქტივიზმი, უფრო რადიკალურ მიზნებს ისახავენ. ეს მოძრაობები ამბობენ, რომ ლგბტქ ადამიანები არ უნდა შეეცადონ რომ „მოერგონ“ ჰეტეროსექსუალ უმრავლესობას და ჰეტეროსექსუალური ნორმები თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის საფუძველი სულაც არ უნდა იყოს. რადიკალური მოძრაობებისათვის ძირეული სოციალური ცვლილებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არსებულ სოციალურ სისტემაში თანასწორობის მოპოვება. ისინი ლგბტქ ადამიანების ცხოვრებისა და ხედვის პატივისცემისათვის იბრძვიან.

ბევრ თანამედროვე კულტურულ კონტექსტში, რადიკალიზმს ეჭვის თვალით უყურებენ, გაცხადებულ რადიკალებს კი მოჩხუბრებად და ექსტრემისტებად აღიქვამენ. სინამდვილეში, რადიკალიზმი „საფუძველამდე ჩასვლას“ ნიშნავს, და შესაბამისად ლგბტქ რადიკალები, როგორიც გეი განმათავისუფლებელი, ლესბოსური და ქვიარ მოძრაობები, საკუთარ თავს ხედავენ, როგორც პრობლემის არსთან - ლგბტქ სოციალური მარგინალიზაციის საფუძველთან - მებრძოლებს. ისინი ცდილობენ, სრულად შეცვალონ არსებული მდგომარეობა. მაგალითად, ლესბოსელი ფემინისტები ამბობენ, რომ ლესბოსელები, როგორც სოციალური ჯგუფი, მარგინალიზებულია და სოციალური ჩაგვრის მიზეზი **ჰეტეროპატრიარქიაა** (საზოგადოების კაცის უპირატესობისა და ჰეტერონორმატიულობის მიხედვით ორგანიზება) (Rich, 1980). ლესბოსელ ფემინისტებს სურთ წინააღმდეგობა გაუწიონ ჰეტეროპატრიარქატს და ეკონომიკური თანასწორობის, ანტიკაპიტალიზმის, მშვიდობისა და ანტიმილიტარიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი სოციალური წყობა დაამკვიდრონ.

ლიბერალური პერსპექტივიდან რადიკალური მოძრაობები ხშირად (უიმედოდ) იდეალისტურად და ძალიან მწირი მიღწევების მქონედ

მიიჩნევა. ამ დროს ამბობენ, რომ ლიბერალური კამპანიები კონკრეტულ მიზნებს ისახავენ და აღწევენ (მაგალითად, პარტნიორობის აღიარება). ასევე, ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას, რომ რადიკალურ კამპანიებს „ზედმეტი მოუვათ“ და პოტენციურ მოკავშირეებს „პირში თქმის“ ტაქტიკითა და „არარეალისტური“ მოთხოვნებით დააფრთხობენ.

ლიბერალებსა და რადიკალებს შორის კამათი ლგბტქ ფსიქოლოგიის ფარგლებშიც მიმდინარეობს. ბრიტანელი ფსიქოლოგმა სელია კიტზინგერმა თავის რევოლუციურ წიგნში „ლესბოსელობის სოციალური კონსტრუირება“ (1987) გეი მხარდამჭერი ფსიქოლოგიის ლიბერალური შეხედულებები **რადიკალი ლესბოსელი ფემინისტის** პერსპექტივიდან გააკრიტიკა. კიტზინგერმა თქვა, რომ ლიბერალური მოდელი ლესბოსელობას მხოლოდ ცხოვრებისეულ არჩევნად, სექსუალურ მიდრეკილებად, „ნამდვილი სიყვარულის“ გამოვლინებად, ან „ჭეშმარიტ ბედნიერებად“ ხატავს. კიტზინგერი კი, როგორც რადიკალი ფემინისტი, უარყოფს ლესბოსელობის **ინდივიდუალისტურ** ინტერპრეტაციას და მას ჰეტეროპატრიარქიის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ინსტიტუტად განიხილავს.

კიტზინგერის კრიტიკის ერთ-ერთი მაგალითი ჰომოფობიისა და ჰომოფობიის საზომი სკალების მის მიერ იმ დროისათვის ახლადდამკვიდრებული ანალიზია. როგორც მოგვიანებით, მე-5 თავში განვიხილავთ, ჰომოფობიის სკალები უმეტესწილად შეიცავენ რამდენიმე შეკითხვას, რომლის პასუხიც ინიშნება სკალაზე ორ პოლუსს შორის „სრულიად ვეთანხმები“ და „სრულიად ვეწინააღმდეგები“. შესაბამისად, ჰომოფობიის მაჩვენებლის შეფასებაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიაჩნია მკვლევარს ჰომოფობიურად ან არაჰომოფობიურად. გადაწყვეტილება კი მთელს ჰომოფობიის კვლევის ლიტერატურაში, ერთნაირად - ლიბერალურ იდეოლოგიაზე დაფუძნებით მიიღება (გვ. 59). კიტზინგერი მიერ ჰომოფობიის სკალების კრიტიკის გასაცნობად იხილეთ ჩანართი 2.4. კიტზინგერის აზრით, ჰომოფობიის შეფასების კითხვარი რადიკალ ლესბოსელ ფემინისტს რომ შეევსო, „მაღალ“ ქულებს მიიღებდა ჰომოფობიის სკალაზე. ეს კი იმის ბრალია, რომ რადიკალი ლესბოსელი ფემინისტები ლესბოსელობას ჰეტეროსექსუალი ქალებისაგან განსხვავებულად ხედავენ, ისინი ლესბოსელობას სოციალური წესრიგისა და ცოლ-ქმრისაგან შემდგარი ოჯახის **(ნუკლეარული ოჯახი)** საფრთხედ აღიქვამენ. ბევრი ლესბოსელი კი მხარს უჭერს და მოუწოდებს ჰეტეროსექსუალ ქალებს, იცხოვრონ, როგორც ლესბოსელებმა.

ჰომოფობიის ლიბერალური გადაწყვეტა ინდივიდუალური ჰომოფობიური ჰეტეროსექსუალების განათლება და მათი შეხედულებების შეცვლაა

(მითებსა და სტერეოტიპებთან მეცნიერული და ფაქტობრივი ინფორმაციით დაპირისპირების გზით Fiona Tasker's (2002)), რადიკალებისათვის, ეს პრობლემის ზედაპირული ხედვაა და პრობლემა ფართო სოციალურ ცვლილებას მოითხოვს (Clarke, 2002 b).

ჩანართი 2.4. სელია კიტზინგერი (1987) ჰომოფობიის შეფასების სკალების რადიკალური ფემინისტური კრიტიკა	
კიტზინგერის კრიტიკა	**ჰომოფობიის შეფასების სკალის კითხვების მაგალითები**
ჰომოფობიის შეფასების სკალები ჰომოფობიურობის არარსებობას ჰომო და ჰეტეროსექსუალებს შორის განსხვავების არარსებობასთან აიგივებენ; ჰომოსექსუალობა უბრალოდ სექსუალური მიდრეკილება ან ცხოვრების სტილის არჩევანია. არაჰომოფობი კი უნდა ეთანხმებოდეს მოპირდაპირე მხარეს ჩამოთვლილ დებულებებს: ჰომოფობიის შეფასების სკალები მიყვებიან ლიბერალურ-ჰუმანისტურ რწმენას, რომ ჰომოსექსუალობა ბუნებრივი, ნორმალური და ჯანმრთელია, არაჰომოფობი კი უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოპირდაპირე მხარეს ჩამოთვლილ დებულებებს: ასევე, არაჰომოფობი უნდა ეთანხმებოდეს მოპირდაპირე მხარეს ჩამოთვლილ დებულებებს: ჰომოსექსუალების მიმართ კეთილგანწყობა გაიგივებულია დასკვნასთან, რომ ჰომოსექსუალები საზოგადოებისათვის პროდუქტულნი არიან; რომ ისინი არ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებრივი წყობისა და ცოლ-ქმრისაგან შემდგარი (ნუკლეარული) ოჯახისათვის. არაჰომოფობი უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოპირდაპირე მხარეს ჩამოთვლილ დებულებებს:	ჰომოსექსუალები ისეთივენი არიან, როგორც ყველა სხვა, ისინი უბრალოდ სხვა ცხოვრების წესს ირჩევენ (Han sen, 1982). ადამიანის სექსუალური ორიენტაცია არანაირ გავლენას არ ახდენს მის ფუნქციონირებაზე სხვადასხვა სიტუაციებში (Thompson and Fishburn , 1977) ჰომოფობია არ არის ბუნებრივი (Price, 1982). ჰომოსექსუალური აქტივობები არანორმალურია (Hansen, 1982) ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაა (Black and Stevenson, 1984) ისევე, როგორც სხვა სახეობებში, ჰომოსექსუალობა სექსუალობის ბუნებრივი გამოხატულებაა ადამიანებშიც (Millham et al ., 1976) თუ ჰომოსექსუალთა რაოდენობის გაზრდას დავუშვებთ, მაშინ საზოგადოება განადგურდება (Price, 1982). ჰომოსექსუალთა უმეტესობა შეეცდება ჰეტეროსექსუალების შეცდენას, თუ ამის საშუალება მიეცემა (Thompson and Fishburn, 1977) ჰომოსექსუალებს არ უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება (Aguero et al ., 1984)

ისევე, როგორც ესენციალისტებსა და სოციალურ კონსტრუქტივისტებს შორის კამათის შეწყვეტაა შეუძლებელი, მოსალოდნელია, რომ ლიბერალები და რადიკალები დიდხანს გააგრძელებენ დავას ლგბტქ მოძრაობების მიზნებზე, ლგბტქ მარგინალიზაციის მიზეზებსა და მათი დაძლევის საუკეთესო გზებზე.

ლგბტქ ფსიქოლოგიისა და ფემინიზმის ურთიერთმიმართება

ფემინიზმი

ფემინიზმს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ფ-სიტყვას (ხუმრობით, რადგან ის ბინძურ სიტყვად მიიჩნევა, ისეთად „ზრდილობიან გარემოში“ რომ არ უნდა ახსენო!). როგორც უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებსაც ფემინიზმის მიმართ დიდი ინტერესი გვაქვს, ხშირად ვგრძნობთ დიდ აგრესიას ფემინიზმის წინააღმდეგ, და ასევე ფემინისტური პერსპექტივისა და მიზნების შესახებ ცოდნის სიმწირეს. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ ფემინიზმი ერთიანი და ერთგვაროვანი პოზიცია სულაც არ არის. ფემინისტებს შორის ალბათ უფრო მეტი დებატები და კამათია, ვიდრე ფემინისტებსა და არაფემინისტებს შორის. ზოგადად რომ ვთქვათ, ფემინიზმი ქალსა და კაცს შორის ურთიერთობასთან, თუ ქალთა უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებული უამრავი განსხვავებული თეორიისა და მოძრაობისაგან შედგება. ფემინისტების მიმართ ხშირად არსებობს ნეგატიური სტერეოტიპები, რომ ისინი კაცთმოძულეები, ან კიდევ ბრაზიანი ლესბოსელები არიან, ვისაც სამყაროს მართვა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ფემინისტი ლესბოსელად იდენტიფიცირდება და ფემინისტურ თეორიაში სპეციფიკურად ლესბოსურ თემებზე ორიენტირებული მიმართულებებიც არსებობს (როგორიცაა ლესბოსური ფემინიზმი), ლესბოსელობა და ფემინიზმი სინონიმები მაინც არაა. ზოგიერთი **სეპარატისტი** და რადიკალი ფემინისტი კაცებს „პოლიტიკური ოპონენტების“ სოციალურ ჯგუფად აღიქვამს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფემინისტების უმეტესობას ინდივიდუალური კაცები სძულთ; ისინი უბრალოდ კრიტიკულად აფასებენ იმ **ძალაუფლებასა** და **პრივილეგიას,** რომელიც მათ გააჩნიათ.

წლების განმავლობაში ფემინისტური თეორიის უამრავი სახეობა ჩამოყალიბდა. შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ: Beasley, 1999; Douglas, 1990). ფემინიზმი ძალზედ გავლენიანი სოციალური ძალა იყო. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ფემინისტებმა, რომლებიც ახლა ფემინისტთა პირველ ტალღად იწოდებიან, წარმატებით იბრძოლეს და ქალებისათვის ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს. ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღა (1960-

იანი წლების შემდგომ) ბევრ სხვა საკითხთან ერთად ქალთა აბორტისა და რეპროდუქციული უფლებებისათვის, ქალების სექსუალური, ოჯახური თუ სხვა ტიპის ძალადობისაგან დასაცავად და ქალთა სამუშაო უფლებების მოსაპოვებლად (სადეკრეტო შვებულება და თანაბარი ანაზღაურება) იბრძოდა, და ხშირად ძალიან წარმატებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ამტკიცებენ, რომ ახლა პოსტფემინისტურ ერაში ვცხოვრობთ (McRobbie, 2004) და რომ ახლა „ყველაფერი თანასწორია“, ფემინისტებს კვლავ უხდებათ ქალთა უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა. თანამედროვე ფემინიზმი ასევე ცდილობს გააანალიზოს, თუ როგორ არის ქალების სხვადასხვა გამოცდილება დაკავშირებული რასიზმთან, კლასიზმთან, ჰეტეროსექსიზმსა და კოლონიალიზმთან. ფემინიზმის ისტორიაში, მისი უდიდესი ნაწილი მხოლოდ თეთრკანიანი, საშუალო კლასის დასავლელი ქალების ინტერესებს გამოხატავდა. 1980-იანი წლების შემდეგ ფემინიზმის ალტერნატიული ფორმები შეიქმნა და განვითარდა სხვა რასებისა და კულტურების წარმომადგენელი ქალების მიერ, რომლებიც საკმაოდ ცნობილნიც გახდნენ. გარდა ამისა, არადასავლურ კულტურებში იზრდება ცნობიერება ქალთა უფლებების შესახებ. მაგალითად, თეთრკანიან, საშუალო კლასის დასავლელი ქალების პრობლემების დომინაციისადმი წინააღმდეგობა ფემინიზმის მესამე ტალღად იწოდება (Springer, 2002).

ფემინისტური ფსიქოლოგია

(ჰეტეროსექსუალ) ქალთა მოძრაობებსა და ლესბოსურ ფემინიზმს შორის ყოველთვის იყო გარკვეული დაძაბულობა: ლესბოსელი ფემინისტები მუდმივად აკრიტიკებდნენ ფემინიზმის მიერ ლესბოსური საკითხების უგულვებელყოფას, ჰეტეროსექსუალი ფემინისტები კი ლესბოსელებს, როგორც „ლავანდურ საფრთხეს“ აღიქვამდნენ, ქალთა მოძრაობის დანაწევრებასა და მისდამი უნდობლობაში დებდნენ ბრალს. ეს დაძაბულობა ფემინისტურ ფსიქოლოგიასა (ზოგჯერ მას ქალთა ფსიქოლოგიას უწოდებენ) და ლგბტქ ფსიქოლოგიას შორისაც იგრძნობა. ისევე, როგორც ლგბტქ ფსიქოლოგია, ფემინისტური ფსიქოლოგიაც ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიმართულებად მიიჩნევა და მთავარ პროფესიულ გაერთიანებათა უმეტესობაში მასაც საკუთარი პროფესიული ჯგუფები ჰყავს (იხ. Unger and Crawford,2003, ფემინისტური ფსიქოლოგიის შესახებ). ფემინისტურ ფსიქოლოგიას განმარტავენ, როგორც „ფსიქოლოგიურ თეორიას და პრაქტიკას, რომელიც ექსპლიციტურად არის ჩართული და კარგად იცნობს ფემინისტური მოძრაობის პოლიტიკურ მიზნებს“ (Wilkinson, 1997a: 247). ფემინისტური ფსიქოლოგია კონცენტრირდება ქალთა ცხოვრებისათვის მნიშვნე-

ლოვან საკითხებსა და საზოგადოებაში გენდერის ფუნქციონირების გზებზე. ფემინისტური ფსიქოლოგიის მიერ შესწავლილი საკითხების სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ის მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: ორსულობა და დედობა (Marshall and Woollett, 2000), ემიგრანტი ქალების ცხოვრება დასავლურ ქვეყნებში (Espin, 1995), ენა და გენდერი (Crawford, 1995), მასკულინობა (Archer, 2001) და ძალადობა ქალების მიმართ (Gavey,1996).

ლესბოსელი ფსიქოლოგები, მაგალითად სელია კიტზინგერი, (1996a: 120) ფემინისტურ ფსიქოლოგიას ლესბოსური პრობლემების ცალკე, „ტოკენ თავში ლესბოსელებზე“ მოთავსებისათვის აკრიტიკებს (ფემინისტური ფსიქოლოგია ასევე საკმაოდ უყურადღებო იყო ბისექსუალი და ტრანს ქალების მიმართ, მათ ინტერესებს „ტოკენური“ გულისხმიერებითაც კი არ ეკიდებოდა). კიტზინგერის არგუმენტის მიხედვით, ლესბოსურ საკითხებს ტოკენური ყურადღება ეთმობა, მაგალითად, მასზე წერენ ისეთი სათაურებით, როგორიცაა „განსხვავებულობა“ ან მრავალფეროვნება“ სექსუალობის კუთხით, მაშინ როცა ფემინისტური ფსიქოლოგია მთლიანობაში სრულად ჰეტეროსექსუალობაზეა ორიენტირებული. კიტზინგერი 10%-ის წესს უსვამს ხაზს: „მაშინ, როცა ლესბოსელთა ტოკენურად მოხსენიება ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ყველაფერი, რაც შეიძლება ტოკენიზმზე ოდნავ მეტი იყოს, „ზედმეტად“ მიიჩნევა“ (1996a: 132). ლესბოსელ და ბისექსუალ ქალთა უგულვებელყოფა ისეთი თემების განხილვისას, როგორიცაა ბავშვობა და მოზარდობა, ორსულობა და დედობა, სამუშაო და ძალადობა ქალების წინააღმდეგ, თითქოს იმას ნიშნავს, რომ ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები არ იზრდებიან, არ ორსულდებიან, არ არიან დედები, არ მუშაობენ, ანდა არ არიან ძალადობის მსხვერპლნი (როგორც ქალები). ლესბოსელობა და ბისექსუალობა, მხოლოდ სექსუალობამდე არის დაყვანილი და მათი მოხსენიება მხოლოდ სექსუალობაზე საუბრისას შეიძლება, თუმცა არა ქალების ცხოვრების სხვა ასპექტების განხილვისას. ფემინისტური ფსიქოლოგიის მიერ ლესბოსელ ქალთა მიმართ ტოკენიზმი, ტოკენიზმის სხვა ფორმების პარალელურად ხდება (მაგალითად, ტოკენიზმი შავკანიანი ან უნარშეზღუდული ქალების მიმართ), ეს კი მრავალი ფსიქოლოგის მიერ ქალთა შორის განსხვავებებისათვის საფუძვლიანი ყურადღების მიპყრობის უუნარობაზე მეტყველებს.

ამავე დროს, როგორც პირველ თავში მოკლედ აღვნიშნეთ, ზოგიერთი ლესბოსელი ფსიქოლოგი ლგბტქ ფსიქოლოგიაში კაცებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას აკრიტიკებს. ზოგიერთი მათგანი, იმდენად იმედგაცრუებული იყო ფემინისტი და გეი ფსიქოლოგების უმეცრებით, რომ ცდილობდა განცალკევებით დაეარსებინა ლესბოსელთა ფსიქოლოგია

(Boston Lesbian Psychologies Collective,1987). ლესბოსელ ფსიქოლოგთა ნაწილი მოითხოვდა ლესბოსური კვლევების ცალკე მიმართულების გამოყოფას ფემინისტური და ლბ ორგანიზაციების ფარგლებში (e.g., Rothblum, 1992). არსებობენ მკვლევარები, რომლებიც დღემდე მოითხოვენ ლესბოსური ფსიქოლოგიის ცალკე გამოყოფას (e.g., Rothblum, 2004). ზოგიერთმა ლესბოსელმა ფსიქოლოგმა ფემინისტურ ფსიქოლოგიას შეერთება აირჩია, სხვები ლგბტქ ფსიქოლოგიასთან არჩევენ ასოცირებას ზოგი ორივე ბანაკში მოღვაწეობს, მრავალი მათგანი კი ორივე მიმართულებაში ლესბოსური პრობლემების მიმართ უყურადღებობის გამო ხშირად იმედგაცრუებულია (Clarke and Peel, 2005).

ასევე დაძაბულობაა ფემინისტ, ტრანს და ქვიარ მეცნიერებსა და თემებს შორის. რადიკალი ფემინისტი თეორეტიკოსი ჯენის რეიმონდი ცნობილია წიგნით „ტრანსსექსუალური იმპერია: ქალი კაცის შექმნა“ (1979). წიგნი ტრანსგენდერი ადამიანებისათვის განსაკუთრებულად ტრანსფობიურად მიიჩნევა. რეიმონდი წერს, რომ კაციდან-ქალზე **(male-to-female MTF)** ტრანსსექსუალები და მათი ექიმები გენდერის სექსისტური გაგების დამკვიდრებას უწყობენ ხელს და ქალთა მოძრაობის ხელისშემშლელი კაცთა გუნდის ნაწილს შეადგენენ. რეიმონდის არგუმენტებს მრავალი დისკუსია მოჰყვა (იხილეთ ტრანს Sandy Stone 1991). ბევრი რადიკალი ფემინისტი კრიტიკულად უყურებს ტრანსსექსუალებსა და ტრანს პოლიტიკას (e.g., Jeffreys, 2003, 2008) და ზოგიერთი ფემინისტური ჯგუფები უარს ამბობენ ტრანს წევრებზე (ითხოვენ, რომ წევრი იყოს „ქალად დაბადებული ქალი“). ამ დროს, მრავალი ფემინისტი მკვლევარი, მათ შორის ტრანს ფემინისტები, ტრანს ადამიანების საჭიროებისა და ინტერესების შესაბამისი ფემინისტური მუშაობის განვითარებას ცდილობენ (Elliot, 2009). ლგბტქ თემებს შორის დაძაბულობების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხ. Clarke and Peel (2007b). მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ინკლუზიურ ლგბტქ ფსიქოლოგიას რთული ისტორია აქვს, ლგბტქ თემები მრავალფეროვანი და ხშირად ერთმანეთთან შეუწყობელია (Elliot, 2009).

ამ ნაწილის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ფემინიზმი და ფემინისტური ფსიქოლოგია მნიშვნელოვანია ლგბტქ ფსიქოლოგიისათვის, რადგან ბევრი ლგბტქ ფსიქოლოგი ფემინისტად იდენტიფიცირდება, ან ფემინისტური იდეების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ არის მოქცეული (ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი), იმისდა მიუხედავად, რომ საკუთარ ნაშრომებს ფემინისტურს სულაც არ უწოდებენ. გარდა ამისა, ფემინისტურმა იდეებმა და აქტივიზმმა მრავალი ლგბტქ ადამიანის შეხედულებებსა და ქმედებებზე იქონია გავლენა. კამათობენ, შესაძლებელია თუ არა კაცებმა უწოდონ თავს ფემინისტი. ზოგიერთი კაცი უწოდებს კიდეც, სხვები „პრო-ფემინისტებად“

იდენტიფიცირდებიან იმ არგუმენტის საპასუხოდ, რომ ფემინიზმი ქალად ყოფნისა და ცხოვრების გამოცდილებაზე დაფუძნებული თეორიაა და ამიტომ, მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს ავთენტური ფემინისტი.

ფსიქოლოგიისა და ქვიარ თეორიის ურთიერთმიმართება

ქვიარ თეორია

ქვიარ თეორია ჰეტერონორმატიულობის კრიტიკაზე ორიენტირებული მიდგომაა. აშშ-ში მოღვაწე ჰენრი მინტონი (1997) ამტკიცებს, რომ ქვიარ თეორიისათვის ცენტრალური სიტყვა „ქვიარის“ დამკვიდრებაა. სიტყვა „ქვიარ“ არაჰეტეროსექსუალი ადამიანების შეურაცხმყოფელი სიტყვა იყო და უცნაურობასა და თავისებურებას აღნიშნავს. ამ სიტყვის გამოყენებით, ქვიარ აქტივისტებმა და თეორეტიკოსებმა მას დადებითი და ზოგჯერ გამომწვევი, კონფრონტაციული მნიშვნელობა შესძინეს. ქვიარ „პირში მიხლას“ გულისხმობს; ქვიარებს არ უნდათ, მოერგონ გარემოს, მათ სურთ, აუჯანყდნენ და წინააღმდეგობა გაუწიონ ჰეტერონორმატიულობას.

ქვიარ თეორია 90-იან წლებში **ლესბოსელ და გეი კვლევებსა** და **ქალთა სწავლებების** წიაღში განვითარდა. ძირითადი ქვიარ თეორეტიკოსები არიან: ჯუდით ბატლერი (1990), ივ კოსოვსკი სედვიკი (1990) და დავიდ ჰალპერინი (1990). ქვიარ თეორიაზე დიდი გავლენა მოახდინა ფრანგმა პოსტსტრუქტურალისტმა თეორეტიკოსმა მიშელ ფუკომ (1926-84), რომელიც სხვადასხვა სოციალური ინსტიტუციების, ფსიქიატრიის, ციხის სისტემის კრიტიკითა და სექსუალობაზე ნაშრომებით არის ცნობილი. ფუკოს (1978) „სექსუალობის ისტორია“ ქვიარ თეორიაში ყველაზე გავლენიან წიგნად მიიჩნევა (Hegarty and Massey, 2006). მასში ფუკო საუბრობს ძალაუფლებაზე, რომელიც სექსუალობის, სექსუალობის კატეგორიების შექმნის, ასევე მისი რეპრესირების საშუალებით ფუნქციონირებს. ეს ძალაუფლების ფუნქციონირების რადიკალურად განსხვავებული გააზრებაა. გეი განმათავისუფლებლები და ლესბოსელი ფემინისტები ძალაუფლებას განიხილავდნენ, როგორც საკუთრებას (რომელიც კაცების ან ჰეტეროსექსუალების ხელშია) და როგორც რეპრესიულს (ძალაუფლება გამოიყენება ინდივიდებისა და ჯგუფების მარგინალიზებისთვის), ფუკო კი ძალაუფლებას ურთიერთმიმართებითად (ძალაუფლება ფუნქციონირებს ადამიანებსა და ინსტიტუციებს შორის და არა „ზემოდან-ქვემოთ“ - როცა ზოგიერთ ადამიანს აქვს ძალაუფლება, ზოგს კი არა) და პროდუქტულად (ძალაუფლება წარმოშობს ცოდნას მისი უბრალოდ რეპრესირების მაგიერ) ხედავდა. ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლება ყველგანაა: ვერასოდეს შევძლებთ გავთავისუფლდეთ ძალაუფლებისა და

ოპრესიისაგან, თავისუფლებას არ შეუძლია ძალაუფლების გარეშე, მის მიღმა იარსებოს (Minton, 1997). ქვიარ პოლიტიკის მიზანი ძალაუფლების წინააღმდეგ მუშაობაა და არა მისგან გათავისუფლება.

ქვიარ თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული გენდერისა და სექსუალობის ესენციალისტური თეორიების ფემინისტურ კრიტიკასთან. ჯუდით ბატლერი (1990, 1993, 2004), მაგალითად, ცნობილია მისი თეორიით გენდერის პერფორმაციულობის შესახებ. ბატლერის რთული და ნატიფი არგუმენტი მარტივად რომ ავხსნათ, გენდერი პერფორმაციულია, რაც ნიშნავს, რომ ადამიანები მას „აკეთებენ“ (ასახიერებენ), ან რომელიც „კეთდება“ (განსახიერდება), და არ წარმოადგენს რაიმე მოცემულობას, რომელიც ადამიანებს ან აქვთ, ან არიან (see Clarke and Braun, 2009). ბატლერის მიხედვით, გენდერი „კეთდება“ იმ საშუალებებით, რომელსაც უმეტესად ჩვენი „შინაგანი გენდერის“ „გარე“ გამოხატულებად მივიჩნევთ. მაგალითად, გენდერია სამკაულების ტიპი, რომელსაც ვიყენებთ, თმის ვარცხნილობა, ტანისამოსი, ჩანთა, ის, თუ როგორ დავდივართ, ან სხეულის როგორი პოზა გვიჭირავს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გენდერი თავისუფალ ნებას ექვემდებარება და ისე შეგვიძლია შევცვალოთ, როგორც ქურქებს ვიცვლით, ვიცვამთ და ვიხდით. ბატლერი ცნება „პერფორმაციულობას“ იყენებს და არა „პერფორმანსს“, იმის აღსანიშნავად, რომ გენდერი ჩვენს ცნობიერ კონტროლს არ ექვემდებარება, რომ მთელი საზოგადოება ორი და მხოლოდ ორი გენდერის არსებობის იდეის მიხედვითაა ორგანიზებული და რომ ჩვენი გენდერული გამოცდილებებიც სწორედ ამის მიხედვით ყალიბდება და აღიქმება. ამიტომ, ნებისმიერი გენდერის „გაქვიარების“ მცდელობა ბადებს რისკს, რომ ორსქესიანი/გენდერიანი სისტემის მიერ უარყოფილი ვიქნებით.

ქვიარი უპირისპირდება ტრადიციულ ლესბოსურ, გეი და ფემინისტურ პოლიტიკას. ქვიარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ის არის, რომ ის უარყოფს სექსუალური იდენტობის კატეგორიებს, რომლებზეც **ლესბოსური და გეი მოძრაობები** არიან დაფუძნებულნი. ფუკოს მიმდევარი ქვიარ თეორეტიკოსები სექსუალური იდენტობის კატეგორიებს, (მაგალითად „გეი, „ლესბოსელი“) სექსუალური სურვილის გამოხატვის მარეგულირებელ და შემზღუდველ მექანიზმებად აღიქვამენ. ბატლერი (1990: 13-14) ამბობს: „იდენტობის კატეგორიები ხშირად გამოიყენება რეგულაციული რეჟიმების ინსტრუმენტებად: როგორც ოპრესიული სტრუქტურების მანორმირებელი კატეგორიები, ან როგორც სწორედ ამ ოპრესიისგან (ჩაგვრისაგან) გასათავისუფლებლად გამაერთიანებელი ძალები“.

ჩანართი 2.5. დანიელ ვორნერი (2004): ეველინ ჰუკერის კვლევაში ჰომოსექსუალური იდენტობის ნორმალიზებასა და რეგულირებაზე

პირველ თავში ეველინ ჰუკერის (1957) შედარებითი კვლევა აღვწერეთ: ჰომო და ჰეტეროსექსუალ კაცებს შორის გარემოსთან შემგუებლობის შესახებ. ასევე აღვნიშნეთ, რომ კვლევა ზოგადად დადებითად არის შეფასებული, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის გეი მხარდამჭერი ფსიქოლოგიის განვითარებაში და ჰომოსექსუალობის დაავადებათა ნუსხიდან ამოღების საქმეში. აშშ-ში მოღვაწე ფსიქოლოგს დენიელ ვორნერს, რომელიც ანალიზისას ქვიარ თეორიას ეყრდნობა, ჰუკერის კვლევაზე განსხვავებული შეხედულება აქვს. ის ამბობს, რომ კვლევა სელექციურად ახდენს ჰომოსექსუალობის ნორმალიზებას და ჰომოსექსუალი სუბიექტების რეგულაციის ახალ გზებს გვთავაზობს. ჰუკერის კვლევამ სულაც არ გააქრო შეხედულება ჰომოსექსუალებსა და ჰეტეროსექსუალებს შორის განსხვავებების არსებობის შესახებ. პირიქით, მან ახალი განსხვავება შექმნა „ნორმალურ“ ჰომოსექსუალებსა და „დევიანტი“ ქვიარების შესახებ.

ჰუკერმა ღიად გადაწყვიტა, რომ თავი აერიდებინა ადამიანებისათვის, რომლებიც მანამდე იყვნენ ჰომოსექსუალობის შესახებ ჩატარებული კვლევების მონაწილეები - პატიმრები, პაციენტები და სექს მუშაკები. თუკი ჰუკერის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ დაემტკიცებინა, რომ ჰომო და ჰეტეროსექსუალებს შორის არანაირი ფსიქოლოგიური განსხვავება არ არის, და ეჭვქვეშ დაეყენებინა განსხვავების არსებობაზე დაფუძნებული ცრურწმენა, ორივე ჯგუფში მას შეეძლო ისევ კლინიკის ან ციხის პოპულაციის გამოყენება. მას შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ორივე ჯგუფის „დევიანტურობის“ მიუხედავად, მათ შორის ჰომო და ჰეტეროსექსუალური სხვაობა არ იყო. ასეთი სტრატეგიით, ის თავიდან აიცილებდა „ნორმალური“ ჯგუფის შექმნასა და ციხისა და კლინიკის პოპულაციის დეჰუმანიზაციას.

ჰუკერის მიზანი კი, სინამდვილეში ორგვარი იყო: მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ჰომოსექსუალები ჰეტეროსექსუალებისაგან არ განსხვავდებიან და ასევე ეჩვენებინა, რომ ჰომოსექსუალები „ნორმალურები“ არიან. ჰუკერმა თავისი კვლევისათვის დაფინანსება სწორედ იმიტომ მოიპოვა, რომ „ნორმალური“ ჰომოსექსუალების ფარულ ჯგუფთან ჰქონდა წვდომა, რომელთა დიდი ნაწილი „მატაჩინის საზოგადოების“ წევრები იყვნენ (ფართო გეი და ლესბოსელი პოლიტიკური მოძრაობა 1950-იანებში და 1960-იანებში, რომელიც ჰომოფილური მოძრაობის სახელითაა ცნობილი). 1950-იანებში ჰომოსექსუალების მოძიება განსაზღვრული სექსუალური სურვილის მქონე კაცის პოვნას კი არ ნიშნავდა, არამედ მოძიებას კაცებისა, რომელთაც სურდათ საკუთარი სურვილისათვის ისეთი სახელი დაერ-

ქმიათ, რომელიც მკვლევარების მიერ აღიარებული და გაზომვადი იყო.

კაცები, რომლებსაც ჰუკერი „ნორმალურად“ მიიჩნევდა, სულაც არ იყვნენ ნორმალურნი, თუკი ნორმალური ნიშნავს იმას, თუ როგორ ცხოვრობდა ჰომოსექსუალ კაცთა უმრავლესობა იმ დროს, ან როგორ ხედავდნენ ისინი საკუთარ სექსუალობასა და იდენტობას. ჰუკერის ნაცნობი კაცები უმეტესად მონოგამიური ურთიერთობების მქონე თეთრკანიანი, საშუალო ფენის კაცები იყვნენ. ისინი საკუთარ თავს გეი თემის წევრებად მიიჩნევდნენ და გეი უფლებებისათვის იბრძოდნენ. „მატაჩინის საზოგადოება“ თავის წევრებს მოუწოდებდა, მონაწილეობა მიეღოთ კვლევაში. „მატაჩინური“ ჰომოსექსუალობა პირველი გამოჩნდა ფართო საზოგადოებაში და ამით ჰომოსექსუალობის აღქმის ისეთი ახალი ფორმა დაამკვიდრა, რომელიც იდეალურად შეესაბამებოდა მათ საკუთარ სექსუალურ დევიაციას (Warner, 2004: 331).

ჰუკერის კვლევაში „ნორმალური“ ჰომოსექსუალობის მაგალითები კონკრეტული კლასისა და რასის წარმომადგენლები იყვნენ. „ნორმალურობის“ საზღვრებში მხოლოდ თეთრკანიანი, საშუალო ფენის გეი კაცების მოქცევა „ნორმალურობის“ ფარგლებს გარეთ ტოვებდა მუშა კლასის, არათეთრკანიან და არაჰეტეროსექსუალ ადამიანებს. ისინი კვლავ დევიანტები, სექსუალურად „სხვები“ იყვნენ. დღემდე, თანამედროვე დისკურსშიც „ნორმალური ჰომოსექსუალი“ ისევ თეთრკანიანი, საშუალო ფენის, მონოგამიური ურთიერთობების მქონე ჰომოსექსუალის მოდელია. ჰუკერის კვლევამ ნორმალური ჰომოსექსუალი კი არ აღმოაჩინა, არამედ შექმნა და დაამკვიდრა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც სხვა არაჰეტერო-სექსუალების „ნორმალურობას“ შეაფასებენ.

ქვიარ პერსპექტივიდან გამომდინარე, ძალაუფლება სექსუალური იდენტობის კატეგორიების მეშვებით ფუნქციონირებს. ამიტომ, მათი **დეკონსტრუქცია** და უარყოფა მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარმატებული **რეზისტენტობისათვის.** ეს კი ნიშნავს, რომ ქვიარ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები არ არსებობს, განსხვავებით ლესბოსელი და გეი მოძრაობებისგან, სადაც ლესბოსელად ან გეიდ იდენტიფიცირება ძირეულია. ქვიარები თავს სექსუალური იდენტობის მიხედვით კი არა, ჰეტერონორმატიულობასთან წინააღმდეგობით განსაზღვრავენ (რაც ქვიარ ჰეტეროსექსუალების არსებობის სადავო შესაძლებლობას ქმნის (იხილეთ Thomas, 2000, ქვიარ ჰეტეროსექსუალებზე, და Walter's, 1996, ამ ცნების კრიტიკის შესახებ). ქვიარის საზღვრები უფრო ინკლუზიურია, ვიდრე ლესბოსელი და გეი მოძრაობების. ის პოტენციურად მოიაზრებს ყველას, განსაკუთრებით კი

არაჰეტეროსექსუალ და ტრანს ადამიანებს, ვინც სქესის, გენდერისა და სექსუალობის შესახებ ჰეტერონორმატიულ ცნებებს უარყოფს.

ქვიარ ფსიქოლოგია

ქვიარ თეორიის აღმოჩენები მრავალი თემის ანალიზისთვის იქნა გამოყენებული ფსიქოლოგიაში, მათ შორის ჰომოსექსუალობის ეტიოლოგია (Hegarty, 1997), კონტროლის ლოკუსის ცნება (Riggs, 2005) და ჰომოსექსუალობის შესახებ ცრურწმენები (Hegarty and Massey,2006). მიუხედავად ქვიარ თეორიის პოპულარობის ზრდისა ფსიქოლოგიის ფარგლებში, მის შესახებ მაინც მრავალი წინააღმდეგობა არსებობს და აკადემიურ ჩარჩოებში მრავალი დებატისა და კამათის მიზეზია (see Clarke and Peel, 2007b). ლესბოსელ და გეი ფსიქოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვიარ თეორიას ბევრი არაფერი აქვს საერთო ფსიქოლოგიასთან (Wilkinson and Kitzinger, 1996a), ნაწილი კი მათ მკვეთრად უპირისპირდება. მაგალითად, ვორნერი (2004: 335) ამბობს, რომ ქვიარ ცოდნის მქონე ლგბტქ ფსიქოლოგიას უნდა შეეწყვიტა იმის დემონსტრირება, რომ ქვიარ ადამიანები ნორმალურები არიან და უარეყო ჰომოსექსუალობის მიზეზების ძიება. ამის მაგივრად, ქვიარ ფსიქოლოგიას უნდა შეესწავლა, თუ როგორ იქმნება და არსებობს სხვადასხვა სექსუალური კატეგორიები, როგორ იდენტიფიცირდებიან სხვადასხვა ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვა სექსუალურ კატეგორიებთან და როგორ ხდება ამ კატეგორიების მიხედვით ყოველდღიური ცხოვრება. ვორნერის სიტყვებით:

„ეს იქნებოდა კვლევის საზღვრების პოვნის ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც არ ცდილობს ჰეტეროპატრიარქატის მიხედვით და მის ფარგლებში გასაგები ენით ახსნას სხვადასხვა მოვლენა, არამედ მეთოდოლოგია, რომელიც ეცდებოდა სწორედ ამ საზღვრების ფუნქციონირება ეკვლია. ეს იქნებოდა მეთოდოლოგია, რომელიც იდენტობის პერფორმაციულ ბუნებას მოიაზრებს, და არ ცდილობს სოციალურის ბიოლოგიურით ახსნას."

ლგბტქ ფსიქოლოგიისა და კრიტიკული ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება

კრიტიკული ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთიან მიმართულებას არ წარმოადგენს. იგი მრავალი სხვადასხვა კრიტიკული მიდგომის გამაერთიანებელი სახელია ამ დისციპლინაში, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან მოსაზრებაზე თანხმდება. (იხ. Fox, Prilleltensky and Austin, 2009, კრიტიკული ფსიქოლოგიის შესავლისათვის). კრიტიკული ფსიქოლოგია მეინსტრიმ ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპების კრიტიკისა და უარყოფის საფუძველზე ჩამოყალიბდა (Gergen,1973). კრიტიკულმა ფსიქოლოგებმა ალტერნატიული მიდგომები განავითარეს მრავალი თეორიული ტრადიციის შესახებ, რომლებიც მეინსტრიმ ფსიქოლოგიაში ყურადღების გარეშეა

დარჩენილი. ეს ტრადიციებია: ფემინიზმი, **მარქსიზმი, პოსტმოდერნიზმი,** პოსტსტრუქტურალიზმი და კონსტრუქტივიზმი. როგორც კრიტიკული ფსიქოლოგიის ადრეული კოლექციის გამომცემლებმა აღნიშნეს, კრიტიკულ ფსიქოლოგებს სჯერათ, რომ ფსიქოლოგიის ტრადიციული მეთოდები და ნორმები აფერხებს სოციალური სამართლიანობის განვითარებას, ის ზარალს აყენებს ინდივიდებსა და საზოგადოებებს, განსაკუთრებით კი მარგინალიზებულ ჯგუფებს" (Prilleltensky and Fox, 1997: 3). კრიტიკული ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ფსიქოლოგია ნეიტრალური, ღირებულებებისაგან დაცლილი და ფართო სოციალური და პოლიტიკური კონტექსტისგან განცალკევებული დისციპლინა არ არის; პირიქით, მეინსტრიმ ფსიქოლოგიის თეორიები და პრაქტიკა კონკრეტულ ღირებულებებზეა დაფუძნებული და არასამართლიანი საზოგადოების შენარჩუნებას უწყობს ხელს. გაფი და მაკფადენი (2001:14) ამ არგუმენტს ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციის მოდელის მაგალითით ხსნიან. ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მიერ „ჰეტეროსექსუალობის ნორმად და ჰომოსექსუალობის „უცხოდ" გამოცხადება, მაგალითად, რეალობას სულაც არ აღწერს. თუმცა რეალობის ხედვის ერთ ძალიან ძლიერ ვერსიას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში".

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კრიტიკული ფსიქოლოგი „სოციალური კონსტრუქტივისტის" სახელს არ დათანხმდებოდა, კრიტიკული ფსიქოლოგიის საფუძვლები სოციალური კონსტრუქტივიზმის მრავალ ძირითად დებულებას ეყრდნობა (იხილეთ ჩანართი 2.6). დეტალურად განვიხილოთ კრიტიკული ფსიქოლოგიისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის ერთერთი ცენტრალური დებულება - ცოდნა ნაწილობრივი და სუბიექტურია და შეუძლებელია მოვიპოვოთ ობიექტური ფაქტები ან სრულფასოვანი ცოდნა სამყაროს შესახებ. მეინსტრიმ ფსიქოლოგები ცდილობენ, მაქსიმალურად შეამცირონ მკვლევარის გავლენა (შეამცირონ სუბიექტუროზა, აკონტროლონ „გარეგანი ცვლადები") და ცოდნას ისეთ რამედ განიხილავენ, რასაც მკვლევარი მეცნიერული მეთოდების სწორად გამოყენებით „აღმოაჩენს", ან „პოულობს". კრიტიკული ფსიქოლოგები კი პირიქით, ცოდნას მკვლევარისა და მონაწილეების ინტერაქციის პროცესში შექმნილად ხედავენ. ცოდნა ისეთი რამაა, რასაც ჩვენ აქტიური მონაწილეობით ვქმნით.

მაგალითად, ინტერვიუებზე დაფუძნებული კვლევა ავიღოთ: მეინსტრიმ ფსიქოლოგი ეცდება, მონაწილეებს ერთი და იგივე კითხვები დაუსვას ერთი და იგივე ფორმით და შეამციროს მკვლევარის გავლენა ინტერვიუზე. ინტერვიუ აღიქმება იარაღად, რომლის საშუალებითაც აღმოვაჩენთ, თუ როგორ ფიქრობს და რას გრძნობს მონაწილე (მონაწილე კი დანახულია როგორც გრძნობებისა და კოგნიციების კონტეინერი, რომელსაც მკვლევარი

აცარიელებს), მაგრამ ყველა თვითანგარიშის ინსტრუმენტის მსგავსად, „სელექციური გახსენებისა“ და „ინტერვიუერის გავლენის“ გამო ინტერვიუს ეფექტურობაც მცირდება.

ჩანართი 2.6. ძირითადი განსხვავებები მეინსტრიმ და კრიტიკულ ფსიქოლოგიებს შორის

ძირითადი საკითხები	მეინსტრიმ ფსიქოლოგია	კრიტიკული ფსიქოლოგია
რა არის ფსიქოლოგია?	მეცნიერება ქცევისა და გონების შესახებ.	დისკურსთა ერთობა სინამდვილის კონკრეტული ვერსიების შესაქმნელად და კონკრეტული სუბიექტების ნორმალიზებისა და რეგულირებისთვის
რა არის ფსიქოლოგიური კვლევის მიზანი?	გაზომოს, გაიგოს და იწინასწარმეტყველოს ადამიანის ქცევა და შემეცნება. შექმნას სანდო და ვალიდური ცოდნა სამყაროს შესახებ	წინააღმდეგობა გაუწიოს ჩაგვრას და ხელი შეუწყოს სოციალურ ცვლილებას; კვლევა სასარგებლო უნდა იყოს
ძირითადი ეპისტემიოლოგიური ჩარჩო	პოზიტივიზმ-ემპირიზმი, ესენციალიზმი	სოციალური კონსტრუქტივიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, **კრიტიკული რეალიზმი**
ძირითადი მეთოდები	რაოდენობრივი და ექსპერიმენტული: გამოკითხვები და სტრუქტურირებული ინტერვიუ, ექსპერიმენტი და სტატისტიკური ანალიზი	**დისკურსული ანალიზი, ქ-მეთოდოლოგია** (Kitzinger, 1987), ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, **ნატურალისტური მასალა**
პოზიცია სიმართლესა და ობიექტურო-	კვლევის მიზანი ჰიპოთეზის შემოწმებაა	

ბაზე	და სამყაროს შესახებ ფაქტების აღმოჩენა; ობიექტური ცოდნის (სიმართლის) მოპოვება შესაძლებელია მეცნიერული მეთოდების შესაბამისად გამოყენებით.	შეუძლებელია ობიექტური ფაქტების მოძიება სამყაროს შესახებ; ცოდნა ნაწილობრივია და სუბიექტური. სინამდვილე არ არსებობს; კვლევის მიზანი მნიშვნელობის შექმნა და დეკონსტრუქციაა; კარგი კვლევა ზუსტი და **რეფლექსიურია.**
შეხედულება ენაზე	ენა ასახავს სინამდვილეს; ის ფანჯარაა სამყაროში, ჩვენ ენის საშუალებით ვიგებთ, თუ რა ხდება ადამიანების გონებასა და სამყაროში (მაგალითად, კითხვარის პასუხების მეშვეობით)	რეალობის კონტრუირებას ენა თვითონ ახდენს; ენა სოციალური ქცევის ფორმაა და მას პერფორმაციული როლი აქვს ჩვენი სოციალური თუ ფსიქოლოგიური სამყაროების აგებაში. ენა (ან დისკურსი) თავად არის კვლევის ობიექტი

კრიტიკული ფსიქოლოგისათვის ინტერვიუ მოქნილი იარაღია გამოცდილებების შესახებ ანგარიშის მოსასმენად. ინტერვიუირება ბუნებრივი პროცესია. მკვლევარს შეიძლება ინტერვიუს პროცესში ახალი კითხვები გაუჩნდეს და მონაწილემ შესაძლოა მოულოდნელი თემები წამოჭრას. მკვლევარი აუცილებლად ახდენს გავლენას პროცესსა და იმ ცოდნაზე, რომელიც ამ დროს იქმნება, ეს მიდგომა კი გავლენას ახდენს მკვლევარის მიერ დასმულ კითხვებზე, რას აღიქვამს მნიშვნელოვნად, რას უმნიშვნელოდ, როგორ ურთიერთობს მონაწილესთან და როგორ აანალიზებს და წარმოადგენს მონაცემებს. მკვლევარის სოციალური პოზიცია აღიქმება მოქმედ ფაქტორად და არა დეტალად, რომელის გავლენაც შეგვიძლია გავაქროთ მეცნიერული მეთოდის სწორად გამოყენებით. მკვლევარის კვლევის პროცესზე გავლენა ღიად არის აღიარებული (არ არსებობს ცნება „მკვლევარის გავლენა“ კრიტიკულ ფსიქოლოგიაში), ეს კი ძალიან სასარგებლოა იმისათვის, რომ მკვლევარმა ყურადღება მიაქციოს საკუთარ სოციალურ პოზიციას და მის გავლენას კვლევის და მისი შედეგების ფორმირებისას.

იმედია, ეს მოკლე მიმოხილვა მეინსტრიმ და კრიტიკულ ფსიქოლოგიას შორის ძირითადი განსხვავებების დანახვის საშუალებას მოგცემთ. მესამე თავში თვისებრივი მეთოდების განხილვისას უფრო ნათელი გახდება კრიტიკული ფსიქოლოგების თეორიული დაშვებები და მეთოდოლოგიები. კრიტიკული ფსიქოლოგები ფსიქოლოგიის მრავალ მიმართულებაში მუშაობენ, მაგალითად, სოციალური ფსიქოლოგია (e.g., Ibáñez and Íñiguez, 1997), ჯანმრთელობის ფსიქოლოგია (Murray, 2004b;), კლინიკური და კონსულტაციური ფსიქოლოგია (McNamee and Gergen, 1992) და განვითარების ფსიქოლოგია (e.g., Burman, 1994). მრავალი ლგბტქ ფსიქოლოგი განსაკუთრებულად კეთილგანწყობილია კრიტიკული ფსიქოლოგიის მიმართ, მისი ღიად გაცხადებული სოციალური ცვლილების ხელშეწყობისა და ისეთი ცოდნის შექმნის სურვილის გამო, რომელიც ინდივიდის თავისუფლებას უწყობს ხელს, ასევე იმ მიზეზით, რომ მათ ლგბტქ ადამიანების ცხოვრების კომპლექსურად შესწავლა სურთ. ლგბტქ ფსიქოლოგებისათვის მიმზიდველია, რომ კრიტიკული ფსიქოლოგია ცნობს და ყურადღებას უთმობს „ძალაუფლების“ ცნებას, (რაც მეინსტრიმ ფსიქოლოგიაში ძალიან იშვიათია), და ასევე აღიქვამს და აანალიზებს ზოგადად ფსიქოლოგიის გავლენას სტატუს-ქვოს შენარჩუნებაში.

ლგბტქ ფსიქოლოგიისა და პოზიტიურ საზოგადოებრივ ცვლილებას შორის ურთიერთმიმართება

წლების განმავლობაში ლგბტქ ფსიქოლოგები უამრავი საშუალებით ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ სოციალური ცვლილებისათვის:

- ზოგიერთი ლგბტქ ფსიქოლოგის აზრით, უბრალოდ (პოზიტიური) კვლევების ჩატარებაც კი ლგბტქ საკითხებზე პოლიტიკური ნაბიჯია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამის დიდი წინააღმდეგობა არსებობს. დამწყები ლგბტქ ფსიქოლოგების მრავალმა წარმომადგენელმა საკუთარი რეპუტაცია და კარიერა კვლევების განსახორციელებლად ეჭვქვეშ დააყენა.
- ყველაზე მარტივი, რაც ლგბტქ ფსიქოლოგიას შეუძლია, ლგბტქ ადამიანების ხმისა და საზრუნავის ხილვადობის გაზრდაა. რადგან მარგინალიზაციის ერთ-ერთი გზა სწორედ ადამიანებისა და საზოგადოებების „გაჩუმებაა“, მათთვის საუბრის (თავიანთი ხმის ფართოდ გაჟღერების) შესაძლებლობის წართმევა. პერსონალურ შემთხვევებში კი, საკუთარი გამოცდილების გაზიარება და დოკუმენტირება შესაძლოა ძალიან სასარგებლო და ძალის მომცემი იყოს.
- კვლევა შესაძლოა ცნობიერების ასამაღლებელი იარაღი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ კვლევის შედეგები კარგად გაშუქებულია მედიაში და პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე არის მიტანილი.

- კვლევას უარყოფითი და ცრურწმენებზე დაფუძნებული შეხედულებების შეცვლა შეუძლია. ლგბტქ ფსიქოლოგიის ისტორია ამის უამრავ მაგალითს გვთავაზობს. მაგალითად, ეველინ ჰუკერის კვლევამ შეცვალა დასკვნა ჰომოსექსუალობის პათოლოგიურობის შესახებ და გეი და ლესბოსელი აქტივისტების მიერ იქნა გამოყენებული ჰომოსექსუალობის გონებრივი დაავადებების ნუსხიდან ამოღების ადვოკატირებისას.
- კვლევა საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიაზროთ ლგბტქ ადამიანების უნიკალური პერსპექტივები და გამოცდილებები. ეს ცოდნა კი შეიძლება ლგბტქ ადამიანებისათვის სხვადასხვა მომსახურების შექმნისას გამოვიყენოთ.
- ლგბტქ ფსიქოლოგების მუშაობამ შესაძლოა პოზიტიური სოციალური ცვლილება გამოიწვიოს არა მარტო ლგბტქ, არამედ ჰეტეროსექსუალი და არა-ტრანს ადამიანებისთვისაც: იმ ადამიანების გამოცდილების კვლევით, ვინც სოციალურ ნორმებს გარეთ ცხოვრობენ, იმასაც ვიგებთ, თუ როგორ მოქმედებენ და რა გავლენა აქვთ ნორმებს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.
- კვლევათა ნაწილს გამოყენებითი კომპონენტი აქვს და სხვადასხვა ჩარევების ეფექტურობას ზომავს (მაგალითად, ცრურწმენების შემცირების საუკეთესო გზებს). ასეთი კვლევები ადამიანებს სოციალურ ცვლილების მისაღწევად ეფექტურად მონაწილეობაში ეხმარება.
- კვლევამ სოციალურ ცვლილებას შესაძლოა არაპირდაპირი გზებითაც შეუწყოს ხელი. ზოგიერთი კვლევა გვეხმარება, შევჩერდეთ და ვიფიქროთ სხვადასხვა ქმედებების გავლენაზე, მის უპირატესობასა და შედეგებზე. იგი სოციალური ცვლილების მისაღწევ ალტერნატიულ სტრატეგიებს გვთავაზობს.

ბევრ ლგბტქ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ ლგბტქ ადამიანების შესახებ მეცნიერული ცოდნის დაგროვება ლგბტქ თემის შესახებ პოლიტიკისა და მიდგომის შეცვლის საუკეთესო საშუალებაა. სელია კიტზინგერი (1997: 214) წერს:

„მანამ, სანამ ჩვენი მმართველი სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემები მეცნიერულად „დასაბუთებულ“ არგუმენტებს ითვალისწინებენ (ან ცდილობენ) ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა: ვინ და რა უნდა ასწავლოს სკოლებში, ვის აქვს ბავშვის აყვანისა და აღზრდის უფლება, ვის შეუძლია ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება, ვის იჭერენ და ძალადობის რა გამოხატულება მიიჩნევა დანაშაულად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანია, გეი და ლესბოსელმა ფსიქოლოგებმა [მეინსტრიმ ფსიქოლოგიის] სფერო არ მიატოვონ.“

კიტზინგერი აღნიშნავს, რომ ლგბტქ ფსიქოლოგები ხშირად ორად არიან გახლეჩილები - ინდივიდუალთა დახმარებისა და საზოგადოების გარდაქმნის - (ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო) მიზნებს შორის. მაგალითად, როგორც მე-9 თავში განვიხილავთ, 1970-იანი წლების ფსიქოლოგიური კვლევები ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობს განსხვავება ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ქალთა შვილებს შორის (მაგალითად ის, რომ ლესბოსელი ქალების ბავშვები ჰეტეროსექსუალები და "სათანადო" გენდერული მახასიათებლების მქონენი არ*იან). ამ კვლევებმა დიდი წვლილი შეიტანა ლესბოსელი დედების მიმართ შეხედულებების შეცვლის საქმეში დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში და ლესბოსელობა თითქმის აღარასოდესაა დედობის უფლების ჩამორთმევის მიზეზი (70-იანი წლებისგან განსხვავებით). თუმცა, კრიტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ ამ კვლევებმა ტრადიციული ნორმებისა და ღირებულებების შენარჩუნებასაც შეუწყო ხელი (რომ ჰეტეროსექსუალი უკეთესია, ვიდრე ჰომოსექსუალი, რომ უმჯობესია გენდერულ ნორმებთან კონფორმულობა). ზოგიერთ ლგბტქ ფსიქოლოგი ამ მიდგომასთან დაპირისპირებას ცდილობს და მათი კვლევები უფრო ხანგრძლივი სოციალური ცვლილებისაკენ არის მიმართული. პოზიტიური სოციალური ცვლილების მიღწევის საუკეთესო გზების შესახებ ერთი ჭეშმარიტი მიდგომა და პასუხი არ არსებობს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, მკითხველმა საკუთარი მიმართება ჩამოაყალიბოს.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

- მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებში სოციალურ კონსტრუქტივისტებსა და ესენციალისტებს შორის მრავალი დებატი იყო, საბოლოო ჯამში, ლგბტქ ფსიქოლოგიის მიმართულებაში პოზიტივისტ-ემპირისტული და ესენციალისტური მიდგომა მკვეთრად დომინანტურია, ლგბტქ ფსიქოლოგიის თეორიული თუ პოლიტიკური საფუძვლების კვლევები კი საკმაოდ მცირერიცხოვანი.
- შედეგად, ისეთი არამეინსტრიმული მიდგომები, როგორიც კრიტიკული ფსიქოლოგია და ქვიარ თეორიაა, ლგბტქ ფსიქოლოგიაში მეტნაკლებად მარგინალურ სტატუსს იკავებენ. მიგვაჩნია, რომ ლგბტქ ფსიქოლოგიას ასეთი არანორმატიული მიდგომების აქტიურად ჩართვა ძალიან გაამდიდრებდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლგბტ ფსიქოლოგებმა მეინსტრიმ ფსიქოლოგია სრულად უნდა მიატოვონ, თუმცა, მაგალითად, ქვიარ თეორიის პერსპექტივების გათვალისწინებამ შესაძლოა მნიშვნელოვანწილად შეუწყოს ხელი ექსპერიმენტული მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას (Hegarty and Massey,2006).

- ლგბტქ ფსიქოლოგების წვლილს ლგბტ ადამიანებისათვის სასურველი სოციალური ცვლილების მიღწევის საქმეში ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი აღნიშნავს ლიბერალური და ესენციალისტური მიდგომების შეზღუდვებსა და პრობლემებს, ისინი ასევე ძალიან ცოტას საუბრობენ ალტერნატიული მეთოდების ეფექტურობაზე.
- როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ და ამ წიგნში კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ამის გამეორება, ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევების უმეტესობა გარკვეულწილად პრივილეგირებული, საშუალო ფენის, განათლებული, პროფესიონალი, ქალაქებში მცხოვრები გეი კაცებისა და ლესბოსელების გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლგბტქ ფსიქოლოგები ხშირად ავითარებენ ლგბტქ თემის ძალიან სპეციფიკური სექტორის მონაცემებზე დაფუძნებულ თეორიებს და შემდეგ მათ მთელ ლგბტქ პოპულაციაზე აზოგადებენ. ერთ-ერთი ასეთი პრობლემური თეორიაა, რომ **ერთსქესიანი ურთიერთობები** თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული და არა -იერარქიულ ძალაუფლებრივ მოდელზე. იმის გათვალისწინებით, რომ ურთიერთობების კვლევები უმეტეს თეთრკანიანი, საშუალო ფენის, განათლებული, პროფესიონალი წყვილების შერჩევას ეყრდნობა, შესაძლოა ეს დასკვნა მართებულიც იყოს. შესაძლოა, როცა მკვლევარები თანასწორობას ეძებენ, პოულობენ კიდეც! მკვლევართა ნაწილმა, მაგალითად სოციოლოგებმა ქრისტოფერ კარინგტონმა (1999) და ჯაკი გაბმა (2004), ერთსქესიან პარტნიორებში „თანასწორობის ნორმის საწინააღმდეგო მონაცემები შეკრიბეს. საინტერესოა, რომ მათი კვლევა სოციო-ეკონომიკურად ბევრად მრავალფეროვან შერჩევაზე იყო დამყარებული. კარინგტონის კვლევის მეთოდი დიდი ოდენობით თვისებრივი მონაცემების შეგროვებას ეფუძნებოდა (ის ცხოვრობდა კიდეც რამდენიმე ოჯახთან ერთად) და არა ერთჯერად ინტერვიუებს. ვფიქრობთ, რომ ამ მკვლევარებს მეტი ღიაობა ახასიათებდათ „თანასწორობის ნორმის“ საწინააღმდეგო მონაცემების აღქმაში; მათი შერჩევები და მეთოდოლოგიები კი ამ მონაცემების მოპოვებას უწყობდნენ ხელს. ამ მოკლე მაგალითით ცხადი ხდება **ინტერსექციური** მიდგომის აუცილებლობა ლგბტქ ფსიქოლოგიაში და საკვლევი ჯგუფის სოციალური პოზიციისათვის მეტი ყურადღების დათმობა; გათვალისწინება იმისა, თუ როგორ ახდენს რასა, კულტურა, გენდერი, სოციალური კლასი, უნარ-შესაძლებლობები თუ ასაკი გავლენას მათ ცხოვრებასა თუ ჩვენს თეორიებზე მათი ცხოვრების შესახებ.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- ხაზი გავუსვით ესენციალისტებსა და სოციალურ კონსტუქტივისტებს შორის დებატებს ჰომოსექსუალობის, ბისექსუალობისა და ტრანსსექსუალობის წარმოშობის შესახებ;
- მიმოვიხილეთ დებატები ლიბერალებსა და რადიკალებს შორის ლგბტქ პოლიტიკის მიზნებისა და ლგბტქ ფსიქოლოგიის შესახებ;
- შევაჯამეთ ფემინიზმისა და ფემინისტური ფსიქოლოგიის ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი და ლგბტქ და ფემინისტური ფსიქოლოგიის ერთმანეთთან კავშირი;
- შევაჯამეთ ქვიარ თეორიის ცენტრალური მახასიათებლები და მისი კავშირი ლგბტქ ფსიქოლოგიასთან;
- ვისაუბრეთ კრიტიკული ფსიქოლოგიის ზოგიერთ თავისებურებაზე და მის მიმართებაზე ლგბტქ ფსიქოლოგიასთან;
- განვიხილეთ კავშირი ლბგტქ ფსიქოლოგიასა და ლგბტქ ადამიანებისათვის სასურველ სოციალურ ცვლილებას შორის.

კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები

- 1989 წელს, ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ფემინისტმა ლაურა ბრაუნმა, თავის რევოლუციურ ნაშრომში - „ახალი ხმები და ახალი ხედვა: გეი და ლესბოსური პარადიგმისათვის ფსიქოლოგიაში“ - ლესბოსელებისა და გეი კაცების გამოცდილებაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური კვლევის ალტერნატიული მეთოდი წარადგინა. ის ამტკიცებდა, რომ ლესბოსური და გეი რეალობა ბიკულტურალიზმის (ბიკულტურალიზმში მოიაზრება მეინსტრიმისა და ლესბოსური და გეი კულტურისადმი მიკუთვნებულობა), ნორმატიული კრეატულობის (გეებისა და ლესბოსელებისათვის არ არსებობს წესები და როლური მოდელები, რომელთა მიხედვითაც შეუძლიათ იცხოვრონ, როგორც ლესბოსელებმა ან გეებმა, ამიტომ, მათ თავიანთი უნდა შექმნან) და მარგინალობის ზეგავლენით ყალიბდება. რამდენად სხვაგვარი იქნებოდა ფსიქოლოგია, თუკი მისი თვალთახედვა ლგბტქ თვალთახედვაზე იქნებოდა დაფუძნებული და არა ჰეტეროსექსუალურზე? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი იქნებოდა თქვენი ერთ-ერთ სახელმძღვანელო ფსიქოლოგიაში ლგბტ თვალთახედვით რომ იყოს დაწერილი?
- რატომ არიან ადამიანები ჰეტეროსექსუალები? ირჩევენ თუ არა ისინი ჰეტეროსექსუალობას? დამყარებულია თუ არა ის სოციალიზაციისა და ადრეული ბავშვობის გამოცდილებებზე? ვიბადებით თუ არა ჰეტეროსექსუალებად?
- გამოხატეთ თქვენი აზრი „ჰეტეროსექსუალობის კითხვარის“ (Rochlin, 2003) შესახებ. მაგალითად: როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი ჰეტე-

როსექსუალობა? პირველად როგორ მიხვდით, რომ ჰეტეროსექსუალი იყავით? შესაძლებელია, რომ ჰეტეროსექსუალობა მხოლოდ ფაზაა, რომელმაც შეიძლება გავლილ იქნას? შესაძლებელია, რომ ჰეტეროსექსუალობა საკუთარი სქესის წარმომადგენლების მიმართ ნევროტული შიშის შედეგია? რა დაშვებებსა და შეხედულებებზე გაამახვილა ამ კითხვებმა თქვენი ყურადღება?

- რა არის სასურველი და მოსალოდნელი მახასიათებლები გოგონების/ქალების, ბიჭების/კაცებისათვის თქვენს კულტურაში? რატომ არის გენდერული როლები ასე მკაცრად გამყარებული? წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს „გენდერ-ტერორისტი“ ხართ, რას გააკეთებდით ამ ნორმების შესაცვლელად?
- შეადარეთ ფიონა ტასკერის (2002) მეინსტრიმ და ლიბერალური მიდგომა ვიქტორია კლარკის (2002b) კრიტიკულ და რადიკალურ მიდგომასთან ლესბოსელი და გეი მშობლების შესახებ. რაში მდგომარეობს ამ მიდგომების სიძლიერეები და სისუსტეები (see Kitzinger and Coyle, 2002)? რომელ მიდგომას ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?

თავი 3

ლგბტქ ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები

თავის მიმოხილვა

- კვლევის მეთოდები და მიდგომები
- ლგბტქ ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების სირთულეები

წარმოიდგინეთ, რომ ლგბტქ ფსიქოლოგიაში კვლევით პროექტს ახორციელებთ. პირველ რიგში, უნდა დაფიქრდეთ საკუთარ თეორიულ დაშვებებზე. რომელ დაშვებებს ემხრობით, სოციალური კონსტრუქტივიზმისას, პოზიტივიზმ-ემპირიზმისას თუ რაიმე სხვას? თქვენი თეორიული დაშვებები თქვენს მეთოდოლოგიასაც განსაზღვრავს (თვისებრივი თუ რაოდენობრივი, ან ორივეს კომბინაცია). თქვენი მეთოდოლოგია კი განსაზღვრავს, მასალის მოპოვებისა და მისი ანალიზის რა მეთოდებს გამოიყენებთ. სექსუალობის ადრეული კვლევები, მაგალითად კრაფტ-ებინგისა და ჰავერლოკ ელისის კვლევები, შემთხვევის შესწავლის მეთოდს ეყრდნობოდა, რაც ჰომოსექსუალი, ტრანს და სქესისა და გენდერის შესახებ სოციალურ

ნორმებს მიღმა მცხოვრები ინდივიდების პერსონალური ისტორიების შესწავლას მოიაზრებდა. დღეს ლგბტქ ფსიქოლოგებს მრავალი სხვადასხვა მეთოდი აქვთ ლგბტქ ადამიანების ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად და გასაანალიზებლად. ამ თავის მიზანია ამ მეთოდების გაცნობა და მათი ღირსებებისა და სუსტი მხარეების შეფასება. ასევე, ამ თავში გვსურს, მიმოვიხილოთ ის უფრო ზოგადი პრობლემები და დილემები, რომელთა წინაშეც ლგბტქ პოპულაციის მკვლევარები დგებიან. ვეცდებით, გარკვეული რჩევები შევთავაზოთ იმ მკვლევარებს, ვინც პირველად იკვლევს ლგბტქ საკითხებს და ასევე წარმოვაჩინოთ ლგბტქ თემის კვლევის საუკეთესო მაგალითები.

კვლევის მეთოდები და მიდგომები

ლგბტქ ფსიქოლოგების კვლევის მეთოდები ერთგვარად კონვენციურ ან პრობლემურ თვისებრივი/რაოდენობრივი მეთოდების დიქოტომიის ირგვლივ არის ორგანიზებული. ჩანართ 3.1-ში შეგიძლიათ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების უპირატესობების ძირითადი ასპექტები იხილოთ ლგბტქ პოპულაციის კვლევისას.

ჩანართი 3.1 თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების უპირატესობების ძირითადი ასპექტები ლგბტქ პოპულაციის კვლევისას

თვისებრივი კვლევის მეთოდების უპირატესობები	რაოდენობრივი კვლევის მეთოდების უპირატესობები
• ყურადღებით ეკიდება მონაწილეთა მიერ გამოყენებულ ენას, ცნებებსა და მნიშვნელობებს. • ძალიან მნიშვნელოვანია მარგინალიზებული ჯგუფების „ხმის გაჟღერებისათვის“. • ძალიან სასარგებლოა აღმოჩენაზე მომართული კვლევისათვის და ისეთი საკითხების შესწავლისას, რომლებზეც ცოტაა ცნობილი. • ღირებულია იმის გასაგებად, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანები გამოცდილებებს და კონკრეტული გამოცდილებების შესახებ ნათელ და დეტალურ	• გარკვეული ქცევებისა და პრაქტიკის, მათი ჩვეული პატერნების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდიან სხვადასხვა საზოგადოებებში (მაგალითად ანტიტრანსსექსუალური ცრურწმენების მოქმედების პატერნი კოლეჯებში). • ძალიან გამოსადეგია სხვადასხვა ფენომენს შორის ურთიერთმიმართების დასამყარებლად. • მონაწილეებს შორის შედარების შესაძლებლობას აადვილებს, რადგან მკვლევარს აქვს მზა კატეგორიები კვლევისათვის.

ანგარიშს გვაწვდიან (მაგალითად ანტი-ტრანსსექსუალური პრეჯუდისის ზეგავლენის გამოცდილება). • შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემები შემთხვევის შესწავლით გაამყარონ.	• იმის გათვალისწინებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკურ მონაცემებს საზოგადოებაში, რაოდენობრივი მეთოდები შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს თანასწორობისათვის ბრძოლის მხარდასაჭერად.

რაოდენობრივი მიდგომები და ექსპერიმენტული მეთოდები

ლგბტქ ფსიქოლოგიაში რაოდენობრივი მიდგომები ძირითადად მეინსტრიმ ფსიქოლოგიასთან და პოზიტივისტურ-ემპირიულ ხედვასთან არის დაკავშირებული (იხილეთ ჩანართი 3.2 ამ მიდგომების კრიტიკულ ფსიქოლოგიაში გამოყენების შესახებ). პოზიტივისტურ-ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი მიზანი სოციალურ სფეროში მიმდინარე მოვლენების კანონზომიერებების დადგენაა. ამ მიდგომის თანახმად, შესაძლებელია ამ მოვლენების წინასწარ განჭვრეტა და კონტროლი. რაოდენობრივი კვლევების მიზანი, ადამიანებს შორის მსგავსი პატერნების შესწავლაა და შესაბამისად, ისინი ფართომასშტაბიან შერჩევებთან ხორციელდება, კვლევის შედეგები კი, შესაძლოა, მოსახლეობის უფრო ფართო მასშტაბზე გავრცელდეს. მეინსტრიმ ფსიქოლოგია თითქმის ყოველთვის ჰიპოთეტურ-დედუქციურია. ეს გულისხმობს იმას, რომ საკვლევი შეკითხვა თეორიაზეა (ჰიპოთეზაზე) დაფუძნებული და ის კვლევის ფარგლებში მოწმდება. აქედან გამომდინარე, ასეთი კვლევა ძირითადად რაიმე კონკრეტული ფენომენის გაზომვაზეა ორიენტირებული და სისტემატურად ამოწმებს ჰიპოთეზას. კვლევის ასეთი დიზაინი ცდილობს, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრიობა განსაზღვროს. მაგალითად, ფსიქოლოგს შესაძლოა აინტერესებდეს, თუ რა პირობები უწყობს ხელს ქამინგ აუთს, ან რა უბიძგებს ადამიანებს ჰომოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენას. ასეთი ტიპის კვლევა იყენებს კატეგორიებს (მაგალითად „ლესბოსელი“, „გეი“) და ცნებებს (მაგალითად „ჰომოფობია“). ამ ცნებებს და კატეგორიებს მკვლევარი განსაზღვრავს იმ დაშვებით, რომ მათ სხვადასხვა ადამიანებისათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ. თეორიული კუთხით, მეინსტრიმ ფსიქოლოგია ეფუძნება დაშვებას, რომ არსებობს ერთი სიმართლე სოციალური სამყაროს შესახებ, რომელიც შესაძლოა ობიექტური კვლევის შედეგად შევიცნოთ.

ჩანართი 3.2. არის თუ არა კრიტიკული ფსიქოლოგიის მეთოდები მხოლოდ თვისებრივი

კრიტიკული ფსიქოლოგია მეინსტრიმი პოზიტივისტურ-ემპირიული ფსიქოლოგიის კრიტიკოსების მიერ ჩამოყალიბდა და ძალიან მჭიდროდ ასოცირებულია სხვადასხვა კრიტიკულ თვისებრივ მიდგომასთან, მაგალითად, დისკურსის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტთან. ეს კი ნიშნავს, რომ კრიტიკული ფსიქოლოგების მიერ რაოდენობრივი და ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება საკმაოდ უჩვეულოა. თუმცა, ზოგიერთი ფსიქოლოგი ეჭვქვეშ აყენებს ასეთ მკაცრ დაყოფას რაოდენობრივ/-მეინსტრიმ (ხშირად ასევე ლიბერალურ და ესენციალისტურ) და თვისებრივ/კრიტიკულ (ხშირად ასევე კონსტრუქტივისტულ და რადიკალურ)

მიდგომებს შორის. პიტერ ჰეგარტი (2002: 163) აღნიშნავს, რომ ლესბოსური და გეი ფსიქოლოგია აშშ-ში ლიბერალურ, ჰუმანისტურ მორალსა და პოზიტივისტურ-ემპირიულ მეთოდებს ეყრდნობა. ევროპული გეი და ლესბოსური ფსიქოლოგია კი პირიქით, კრიტიკულ ფსიქოლოგიასთან უფრო მჭიდრო კავშირის ფონზე ვითარდება.

ჰეგარტი ამ უკანასკნელს მიესალმება, თუმცა ასევე ამბობს, რომ მრავალი პოლიტიკური თუ ემპირიული მიზეზი არსებობს რაოდენობრივი მიდგომის გამოყენებისათვის, მაგალითად, ესენციალიზმის კრიტიკის საჭიროება. ამ მოსაზრების მხარდასაჭერად, ის სექსუალური ორიენტაციის შესახებ სიმბოლური რწმენების კომპლექსურ ანალიზს გვთავაზობს. ჰეგარტი ყურადღებას ამახვილებს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებაზე, რომ ლესბოსელ და გეი ადამიანთა მიმართ ტოლერანტობასა და იმ შეხედულებას შორის, რომ სექსუალობა მყარი და უცვლელი მახასიათებელია, მაღალი კორელაცია არსებობს. თუმცა ჰეგარტიმ აღმოაჩინა, რომ ორ კვლევაში ტოლერანტობასა და სექსუალობის უცვლელობას შორის კორელაცია მხოლოდ იმ მონაწილეებში შეინიშნებოდა, რომლებსაც ასევე სჯეროდათ, რომ სექსუალობის უცვლელობის რწმენა ტოლერანტული შეხედულებაა. ის ამტკიცებს, რომ უცვლელობასა და ტოლერანტობას შორის კავშირი განპირობებულია სოციალურად კონსტრუირებული შეხედულებით, რომ სექსუალური ორიენტაციის უცვლელობის რწმენა ტოლერანტობის ნიშანია და არა ამ რწმენის შინაარსით. ანუ, ჰეგარტიმ კონვენციური მეთოდები (ჰომოფობიის სკალები და კითხვარები) გამოიყენა სექსუალობის შესახებ კონკრეტული რწმენების მნიშვნელობისა და მათი სოციალურად კონსტრუირების საკვლევად.

კრიტიკული ფსიქოლოგიის რევოლუციურ გამოცემაში (Fox and Prillelten sky,1997), სელია კიტზინგერი (1997) საუბრობს იმაზე, შესაძლებელია თუ არა ლიბერალური და პოზიტივისტურ-ემპირიული ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის კრიტიკულ ფსიქოლოგიად ჩათვლა. კიტზინგერის პროვოკაციული არგუმენტის მიხედვით, მეცნიერული და რაოდენობრივი მეთოდები ეფექტურია პოზიტიური სოციალური ცვლილების მოსახდენად (და შესაბამისად, ისინი შეიძლება კრიტიკულ ფსიქოლოგიად მივიჩნიოთ), მაშინ როცა დისკურსული ანალიზისა თუ სხვა მეთოდების მიერ კონკრეტული სოციალური ცვლილებების მიღწევის ძალიან ცოტა მაგალითი არსებობს.

ფემინისტურ ფსიქოლოგიაში ბევრი არგუმენტია რაოდენობრივი მეთოდების სტრატეგიულად გამოყენების შესახებ. ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა „ბატონის“ იარაღების გამოყენებას „ბატონის სახლის“ დასანგრევად (using ‘the master’s tools to dismantle the master’s house’) (Unger, 1996);. ეს ნიშ-

ნავს, ემპირიული მეცნიერების გამოყენებას ქალთა უფლებებზე ფემინისტური არგუმენტების მხარდასაჭერად (მაგალითად Wilkinson, 1997 b)

ექსპერიმენტული მეთოდი

მიუხედავად ექსპერიმენტული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციისა სოციალურ ფსიქოლოგიაში, ლგბტქ ფსიქოლოგიისათვის ის ჩვეული მიდგომა არ არის. ის იშვიათად და ცალკეულ კვლევებში არის გამოყენებული. ასეთი მიდგომით იკვლევენ კაცების დამოკიდებულებას ლესბოსელებისა და გეების მიმართ (Kite, 1992), სექსუალური ორიენტაციის გავლენას დასაქმების მაჩვენებლებში (van Hoyea and Lievens, 2003) და ჰომოფობიის შემცირების მეთოდის ეფექტურობას ჰეტეროსექსუალებისა და არაჰეტეროსექსუალების თანამშრომლობით ერთსა და იმავე დავალებაზე (Grack and Richman, 1996).

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტული მეთოდი შესაძლოა პოტენციურად სასარგებლო საშუალება იყოს ლგბტქ ადამიანების პრობლემების საკვლევად, მისი იშვიათად გამოყენებისთვის მრავალი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, მეინსტრიმ სოციალურ მეცნიერებს ლგბტქ საკითხების კვლევის ძალიან მცირედი ინტერესი აქვთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მეინსტრიმ სოციალური ფსიქოლოგი უგულო ჰომოფობია (თუმცა ასეთებიც არიან), არამედ იმას, რომ ექსპერიმენტი გარეგანი ცვლადების კონტროლზეა დამოკიდებული სხვადასხვა სტიმულებზე რეაქციის გასაზომად. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ფუნქციონირების ზოგიერთი ასპექტი (მაგალითად, ტვინის ფუნქცია ან რეაქციის დრო) შესაძლოა კონტროლირებად ლაბორატორიულ პირობებშიც გაიზომოს, ისეთი თემები, როგორიც ჰომოფობია და ქამინგ აუთია, მრავალ გარეგან, ურთიერთმოქმედ ფაქტორზეა დამოკიდებული და მათი კონტროლი უბრალოდ წარმოუდგენელია. ლგბტქ ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი პოზიტიური სოციალური ცვლილებისათვის ბრძოლაა. რადგან მთელი ექსპერიმენტული მეთოდოლოგიის მიზანი კონტექსტისა და ქცევის კონტროლია, ის აუცილებლად ხელოვნურ გარემოში ხდება. ამ გარემომ შესაძლოა ისე შეცვალოს ქცევა, რომ მისი რეალურ ცხოვრებაზე განზოგადება შეუძლებელი გახდეს. ასე რომ, მიუხედავად ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის გამოყენების შესაძლებლობისა, ლგბტქ ფსიქოლოგიის ზოგიერთი ასპექტის შესწავლისას, მისი გამოყენება აქ ბევრად უფრო შეზღუდულია, ვიდრე ფსიქოლოგიის სხვა დარგებში.

ლგბტქ ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული მუშაობის სიმცირე თვითონ ფსიქოლოგიის დისციპლინის თავისებურებითაცაა განპირობებული, კერძოდ, ლგბტქ კვლევებისა და მეთოდოლოგიების განვითარების ტრაექ-

ტორიის გავლენით. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, სექსუალობის ადრეული კვლევები ლგბტქ ადამიანების პათოლოგიზებასა და სტიგმატიზაციას ახდენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად Hooker,1957) ექსპერიმენტულ მეთოდს იყენებდა პათოლოგიზაციურ კვლევებთან დასაპირისპირებლად, მკვლევართა უმეტესობამ მოახერხა თავი აერიდებინა მისთვის. ეს ნაწილობრივ ლგბტქ ადამიანების მიმართ დიდი დროის მანძილზე უსამართლო მეთოდოლოგიური ტრადიციის გამოყენების უარყოფის გამო ხდებოდა. თუმცა მიზეზი ისიც იყო, რომ 1970-იანების ბოლოსკენ ფსიქოლოგია უკვე შორდებოდა წმინდად ექსპერიმენტულ მეთოდს და უფრო ფართო მეთოდებს, მაგალითად, ანკეტებსა და კითხვარების მეთოდს იყენებდა.

ანკეტები და გამოკითხვებზე დაფუძნებული კვლევა

ექსპერიმენტული მეთოდებისგან განსხვავებით კითხვარები და ანკეტები ფართოდ გამოიყენება ლგბტქ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინებს „ანკეტა“ და „კითხვარი“ ხშირად იყენებენ სინონიმებად, ფსიქოლოგიაში ისინი მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდებია (იმის მიუხედავად, რომ კვლევის ინსტრუმენტები შესაძლოა ძალიან მსგავსიც იყოს).

ანკეტა ინტერვიუს კითხვების სტრუქტურირებული წერილობითი ვერსიაა, რომელიც თვითანგარიშის ფორმით მოწოდებული ინფორმაციას აგროვებს. მისი მიზანი აღწერითი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაა. შესაბამისად, ეს მეთოდი ხშირად საკმარისი არ არის ფსიქოლოგებისათვის, რომლებიც სოციალური მოვლენის აღწერას კი არა, მის შესახებ ჰიპოთეზის შემოწმებას ცდილობენ. თუმცა, ლგბტქ ფსიქოლოგიაში ბევრი ძალიანაც ცუდად შესწავლილი საკითხია, ამიტომაც ანკეტები ხშირად გამოიყენება ბაზისური ინფორმაციის მოსაგროვებლად. ეს მეთოდი ასევე ხელსაყრელია კონკრეტული მოვლენის (მაგალითად ჰომოფობიური ბულინგის) სიხშირისა თუ ზოგადი შეხედულებების საკვლევად. მაგალითად, რამდენად გეიმეგობრული გარემოა კონკრეტულ ადგილას (სამუშაო, უნივერსიტეტი).

მიუხედავად იმისა, რომ ანკეტები უმეტესწილად რაოდენობრივია, ისინი შესაძლოა თვისებრივი მონაცემების მოსაპოვებლადაც გამოვიყენოთ (იხილეთ qualitative and quantitative UK National Lesbians and Health Care Survey, Fish and Wilkinson,2000; Fish and Anthony, 2005;). თვისებრივი ანკეტები შესაძლოა გამოსადეგი იყოს ადამიანთა დიდი ჯგუფისგან დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად. თუმცა ბრიტანელი სოციალური მეცნიერი ჯული ფიში (1999) აღნიშნავს, რომ ღია-პასუხების ფორმატისათვის საჭირო დრო და ენერგია ხშირად ართულებს მონაწილეების

მოძიებას, ისევე როგორც პასუხების დეტალურად ჩაწერას. ხშირად დიდი ინფორმაციის სწრაფად ონლაინ მოსაპოვებლად ეფექტური საშუალება თვისებრივი ანკეტებია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მონაწილეები თავად არიან მოტივირებულნი (Harding and Peel, 2007a).

ანკეტებისაგან განსხვავებით, კითხვარი უფრო დახვეწილი ინსტრუმენტია კოგნიტური კონსტუქტების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად (მაგალითად, ატიტუდები, თვითშეფასება, სხეულის ფორმა ა.შ). ისინი კონკრეტული ფსიქოლოგიური ფენომენის ზუსტი საზომებისაგან შედგება (მაგალითად, თვითშეფასება, ჰომოფობია, სტრესი) და უმეტესად ერთიანი ფორმატი აქვს - დებულება, რომელიც მოითხოვს პასუხის შედარებით სკალაზე მონიშვნას (მაგალითად: დათანხმების სკალა „სრულად ვეთანხმებიდან“ „სრულად ვეწინააღმდეგებიმდე“, ხუთსაფეხურიანი სკალა). კითხვარები ანკეტასთან შედარებით უფრო ხისტია, ისინი მრავალჯერ გამოიცდება ზრდასრულ შერჩევებთან და იხვეწება ისე, რომ უზრუნველყონ მაღალი ვალიდობა და სანდოობა. კითხვარისა და ანკეტის გარჩევა ძალიან ადვილია, რადგან მათ ხშირად სკალებს ან ინდექსებს უწოდებენ (მაგალითად: ქალების მიმართ ატიტუდების სკალა, ჰომოფობიის ინდექსი). ხდება მათი ვალიდაცია ან სტანდარტიზაცია, რაც ქულებით ფასდება (მაგალითად, პასუხები იკრიბება საბოლოო „ქულის“ გამოსაყვანად). ლგბტქ ფსიქოლოგიაში ყველაზე გავრცელებული კითხვარი რამდენიმე სხვადასხვა ჰომოფობიის სკალაა (Davis et al ., 2004).

როცა ჰომოფობიის სკალები კვლევის სხვა დამკვიდრებულ ინსტრუმენტებთან ერთად გამოიყენება (მაგალითად, პიროვნების, თვითშეფასების, სტრესის ან ჯანმრთელობის კითხვარები), ფსიქოლოგებს საშუალება ეძლევათ, აღწერონ არა მხოლოდ კონკრეტული მოვლენა და ქცევა (ხარისხის ან გამოვლენის სიხშირის მიხედვით), არამედ დაადგინონ ფენომენებს შორის ურთიერთობაც (მაგალითად, ურთიერთმიმართება უარყოფის შიშსა და ქამინგ აუთს შორის). გარდა ამისა, კითხვარები შესაძლოა გამოიყენოთ რაიმე მოვლენის ასახსნელად და წინასწარ განსაჭვრეტად (მაგალითად, ადამიანები, ვისაც უარყოფის ეშინია, ნაკლებად აკეთებენ ქამინგ აუთს). ეს მახასიათებლები ფსიქოლოგებს საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ, თუ რა ტიპის ხალხია მეტად ჰომოფობიური, ან როგორი ტიპის ლგბტქ ადამიანები შეძლებენ ქამინგ აუთთან უკეთ გამკლავებას. ამ და სხვა მიზეზების გამო, კითხვარების მეთოდი (და ასევე ანკეტების) პოპულარულია ისეთ პრაქტიკულ გარემოში, როგორიც განათლება, სამართალი, ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკაა.

თვისებრივი და კრიტიკული მეთოდები

ფართო განსაზღვრებით, თვისებრივი კვლევა მიმართულია მნიშვნელობის შექმნის, სამყაროსა და ადამიანების გამოცდილების გააზრებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი მეთოდები ზოგჯერ მეინსტრიმ ფსიქოლოგიაშიც გამოიყენება, თვისებრივი მკვლევარების უმეტესობა ძირითადად ისეთ ერთ ან რამდენიმე ფილოსოფიურ მიმართულებას მიეკუთვნება (მაგალითად, **ფენომენოლოგია, კონტექსტუალიზმი, თვალსაწიერის თეორია**, სოციალური კონსტრუქტივიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი), რომელიც მნიშვნელობასა და ცოდნას კონტექსტზე დამოკიდებულად და სუბიექტურად ხედავენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვისებრივი მეცნიერები უმეტესად უარყოფენ შეხედულებას, რომ შესაძლებელია ობიექტური, უნივერსალური სიმართლის მოძიება და ცდილობენ განმარტონ ის სპეციფიკური მნიშვნელობები, რომლებიც კონკრეტულ კონტექსტში ადამიანების კონკრეტულ ჯგუფში არის ნაწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივ მეთოდებს (როგორიცაა შემთხვევის შესწავლა და ინტერვიუ) ხანგრძლივი ისტორია აქვთ ლგბტქ კვლევებში, ისინი მხოლოდ ახლახან გახდნენ პოპულარულნი ლგბტქ ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით ევროპასა და ავსტრალიაში. ლგბტქ ფსიქოლოგიაში ამ მეთოდების პოპულარობის ზრდა ფსიქოლოგიაში მათ ზოგად მზარდ პოპულარობასთან არის დაკავშირებული (თვისებრივი მეთოდების მიმოხილვისათვის იხილეთ Madill and Gough, 2008). ამავე დროს, თვისებრივი მეთოდები განსაკუთრებით იზიდავს ლგბტქ ფსიქოლოგების ნაწილს, რადგან ის ხაზს უსვამს იმას, თუ რა მნიშვნელობებს ანიჭებენ მონაწილეები სხვადასხვა მოვლენას. ამავე დროს ის დომინანტური ნორმების კრიტიკის საშუალებას იძლევა.

მარტივად რომ ვთქვათ, ორი ძირითადი თვისებრივი მიდგომა არსებობს: ექსპერიმენტული და კრიტიკული. ექსპერიმენტული მიდგომა ცდილობს, იკვლიოს ის მნიშვნელობები, რომლებსაც ადამიანები საკუთარ გამოცდილებას ანიჭებენ, თუ რამდენად არიან ეს მნიშვნელობები გაბატონებული კულტურული იდეების გავლენის ქვეშ მოქცეულნი. კრიტიკული მიდგომა კი დომინანტური მნიშვნელობების შესწავლას ცდილობს და კონკრეტული მნიშვნელობების პატერნების შედეგებსა და გავლენას იკვლევს. თვისებრივი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უამრავი ტექნიკა არსებობს: უკვე არსებული მონაცემების შეკრებიდან (მაგალითად ლესბოსელ და გეი ადამიანების მიერ შვილის აყვანის საკითხების მედია ანგარიშები, ტრანს უფლებების შესახებ საპარლამენტო დებატები, ან სატელეფონო საუბრები ბისექსუალ კაცებსა და მის მეგობრებს, ან მათ ოჯახებს შორის) მონაცემების შექმნამდე (ინტერვიუებისა თუ ფოკუს ჯგუფების საშუალებით). ჩვენ ვეცდებით, შევაჯამოთ მონაცემთა შეგრო-

ვებისა და ანალიზის ძირითადი თვისებრივი მეთოდები, რომლებსაც ლგბტქ ფსიქოლოგები იყენებენ.

ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი

ინტერვიუ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია და ეს მეთოდი ლგბტქ ფსიქოლოგიაშიც ფართოდ გამოიყენება. მაგალითად, სექსოლოგი ალფრედ კინსი და მისი მკვლევართა ჯგუფი ადამიანების სექსუალური ქცევის შესასწავლად მკაცრად სტრუქტურირებულ ინტერვიუს მეთოდს იყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუ ხშირად გამოიყენება რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად სტატისტიკური ანალიზისათვის, ახლა ინტერვიუს თვისებრივი კვლევის მიზნებისათვის გამოყენებაზე ვისაუბრებთ. ინტერვიუები ინდივიდუალური მონაწილეებისა ან ზოგჯერ წყვილებისა და ოჯახებისაგან ჩაღრმავებული ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენება ურთიერთობებისა თუ ოჯახების კვლევისას. მკვლევარი უმეტესად წინასწარ გეგმავს კითხვებსა თუ საკითხებს განხილვისათვის. მკვლევარი შესაძლოა იყენებდეს ტელეფონს, ელფოსტას ან ინტერნეტს ინტერვიუს გეოგრაფიულად მოშორებულ, ან „ძნელად დასაყოლიებელ“ მონაწილეებთან ჩასატარებლად (van Eden-Moore field et al ., 2008). თუმცა მიიჩნევა, რომ პირდაპირი ინტერვიუ მდიდარი მასალის მოსაპოვებლად საუკეთესო მეთოდია. ამის მიზეზი კი პირდაპირი ინტერვიუს დროს მრავალი სხვადასხვა სოციალური თუ ინტერაქციული (სახის გამომეტყველება, დაკვირვება, ჟესტები და პოზა) მეთოდის გამოყენების საშუალებაა.

მეორე პოპულარული მეთოდი ფოკუს ჯგუფებია (რომელსაც ზოგჯერ ჯგუფურ ინტერვიუს, ანდა ჯგუფურ დისკუსიას უწოდებენ). ფოკუს ჯგუფში იწვევენ ადამიანთა ჯგუფს სხვადასხვა კითხვებზე, თემებსა თუ რაიმე მასტიმულირებელ მასალაზე (მაგალითად, ვიდეოკლიპზე ან ინფორმაციულ ბუკლეტზე) სასაუბროდ. დისკუსიას მკვლევარი უძღვება. თვისებრივ მკვლევართა ნაწილისათვის ფოკუს ჯგუფები მნიშვნელოვანია, რადგან ის კოლექტიურ დისკუსიასა და მონაწილეებს შორის ურთიერთობის საშუალებას იძლევა (Frith, 2000). ჯგუფის წევრებს შორის თანხმობა მათი შეხედულებების შესახებ უფრო სრულყოფილ სურათს ქმნის, უთანხმოება კი მათ საკუთარი შეხედულებების უკეთ განმარტვისაკენ უბიძგებს. მსგავსი გამოცდილებების არსებობა რთულ და მგრძნობიარე საკითხებზე საუბარს აადვილებს და ჯგუფის უფრო თავდაჯერებულმა წევრებმა შესაძლოა უფრო მორცხვი წევრებისათვის „ყინულის გალღობის“ ფუნქცია შეასრულონ. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფები მრავალფეროვანი ინფორმაციის სწრაფად მოპოვების საშუალებას იძლევა.

ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფებს ლგბტქ ფსიქოლოგები მრავალი განსხვავებული საკითხის შესასწავლად იყენებენ, როგორიცაა ხანდაზმული გეი კაცებს ცხოვრება (Lee, 2008), გეი კაცების სასაუბრო ენა სექსუალობაზე (Mayset al., 1992), და ფულის განაწილების საკითხები ერთსქესიან ურთიერთობებში (Burns et al ., 2008).

უმეტესად ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების აუდიოჩანაწერი (ზოგჯერ ვიდეოც) კეთდება, რომელსაც მოგვიანებით შიფრავენ. ამ მეთოდებით მოპოვებული ინფორმაცია მრავალი სხვადასხვა გზით შეიძლება გაანალიზდეს. ალბათ თქვენთვის ცნობილია ანალიზის ჩვეული გზები, როგორიცაა თემატური ანალიზი - მასალაში საერთო თემებისა და პატერნების ძიება (იხილეთ ჩანართი 3.3 კონკრეტული თვისებრივი მეთოდების კვლევებში გამოყენების მაგალითისთვის).

ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი განსაკუთრებით სასარგებლოა ძიებითი კვლევის საწარმოებლად ისეთი თემების შესახებ, რომლებზეც ცოტა რამაა ცნობილი (ლგბტქ ფსიქოლოგიაში ბევრი ასეთი ნაკლებად გამოკვლეული თემა არსებობს), ასევე რაოდენობრივი კვლევისათვის გადამოწმებადი ჰიპოთეზის შესაქმნელად. იმის გამო, რომ ფოკუს ჯგუფების ფორმატი ინტერვიუსთან შედარებით ნაკლებად სტრუქტურირებულია, ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გამოსავლენად, რომლებიც მკვლევარს წინასწარ არ ჰქონდა განჭვრეტილი.

ჩანართი 3.3 მონაცემთა ანალიზის თვისებრივი მეთოდები პრაქტიკაში

თემატური ანალიზი (Thematic analysis - TA) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თვისებრივი მეთოდია (იხილეთ Braun and Clarke,2006, TA-ს შესავლისათვის) და ხშირად ფუნდამენტურ თვისებრივ მეთოდად მიიჩნევა. თემატური ანალიზი მიმართულია მონაცემებში თემებისა და პატერნების სისტემურად გამოკვეთაზე. სხვა თვისებრივი მეთოდებისაგან განსხვავებით, თემატურ ანალიზს რაიმე კონკრეტული თეორიული საფუძველი არ გააჩნია, ამიტომ მისი გამოყენება მრავალ განსხვავებულ თეორიულ ჭრილში შეგვიძლია. თემატური ანალიზის გამოყენების მაგალითებია ვიქტორიასა და კოლეგების (Clarke et al ., 2007) კონსტრუქტივისტული საფუძვლების მქონე კვლევა ერთსქესიანი წყვილების ქორწინებასა და პარტნიორობაზე შეხედულებების შესახებ. ასევე ელიზაბეტის (Peel, 2002) თემატური ანალიზი გეი და ლესბოსელი ადამიანების პრობლემებისა და დილემების შესახებ, ლესბოსელების და გეების ცნობიერების ასამაღლებელი ტრეინინგების ჩატარებისას.

საფუძვლის თეორია (Grounded Theory – GT) თავდაპირველად სოცი-

ოლოგიაში განვითარდა, ახლა კი ფსიქოლოგიაშიც ხშირად გამოიყენება. GT-ს მიზანი თეორიის შექმნაა (მონაცემები, მონაწილეების გამოცდილება) „ქვემოდან“ - „ზემოთ“ (Willig, 2001). თუმცა, ხშირად საფუძვლის თეორიის გამოყენების მაგალითები ვერ ქმნიან ახალ თეორიებს და თემატური ანალიზის მსგავს შედეგებს იძლევიან - თემებისა და კატეგორიების გამოყოფა მონაცემებში. წლების განმავლობაში GT-ს მრავალი სახე ჩამოყალიბდა. ბრენდენ გაფი (2002) საფუძვლის თეორიას დისკურსულ ანალიზთან ერთად იყენებს ჰეტეროსექსუალი კაცების მიერ ჰომოსექსუალობაზე საუბრის გზების საკვლევად. მეთიუსი და სხვები (2005) კი ლესბოსელების სხვადასხვა ნივთიერებაზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლების საკვლევად იყენებდნენ GT მეთოდს.

ინტერპრეტაციული ფენომენოლოგიური ანალიზი (Interpretative Phenomenological Analysis - IPA) ფსიქოლოგი ჯონ სმიტისა და კოლეგების ნამუშებრებთან ასოცირდება (Smith and Osborn, 2003) და განსაკუთრებით პოპულარულია ჯანმრთელობის, კლინიკურ და კონსულტაციის ფსიქოლოგიაში (იხილეთWillig, 2001 IPA შესავლისათვის). IPA ცდილობს ადამიანების გამოცდილებისა და მათთვის ამ გამოცდილებების მნიშვნელობების კვლევას (ეს მისი ფენომენოლოგიური ასპექტია). ის ასევე აცნობიერებს, რომ მკვლევარი მონაწილის სამყაროს პირდაპირ ვერ აღიქვამს, მას სჭირდება საკუთარი ინტერპრეტაციული რესურსის გამოყენება, რათა მონაწილის შესახებ ინფორმაცია გაიაზროს (ეს ინტერპრეტაციული ნაწილია) IPA-ს მაგალითებია ბენეტის და კოილის (2007) შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე გეი კაცების კვლევა და პოლ ფლაუერსისა და კოლეგების (2003) კვლევა შოტლანდიელ გეი კაცებსა და აივ-ტესტირებაზე.

თხრობის ანალიზი (Narrative analysis – NA), სხვა თვისებრივი მეთოდებისგან განსხვავებით ინდივიდუალურ თხრობაზე კონცენტრირდება და არა ამ მონაცემის თემებსა და პატერნებზე (თუმცა, ზოგჯერ ამ მეთოდშიც ხდება საერთო თემებისა და პატერნების გამოყოფა მონათხრობებში). სხვა თვისებრივი მეთოდების მსგავსად, NA-ს მრავალი განსხვავებული ფორმა არსებობს. მაგალითად, რეიდის (2008) ოჯახის მნიშვნელობებისა და არაჰეტეროსექსუალი ოჯახის ცხოვრების კვლევა. ასევე ლანგრიჯის (2007a) კრიტიკული თხრობის ანალიზი ახალგაზრდა გეი კაცების მშობლობასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე.

ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუ ასევე სასარგებლოა მონაწილეების სასაუბრო ენისა და სოციალური სამყაროს საკვლევად (Wilkinson, 1998a). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუსა და სხვა თვისებრივი მიდგომების გამოყენება სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მართლაც

გათვალისწინებული იქნება ის, თუ რა მნიშვნელობებს ანიჭებენ სხვადასხვა გამოცდილებებს მონაწილეები. ინტერვიუები თუ სხვა თვითანგარიშის მეთოდები პათოლოგიზაციურ კვლევებშიც ფართოდ იყო გამოყენებული. როგორც სელია კიტზინგერი აღნიშნავს (1987:66), „ყველაზე მძაფრად ანტი-გეი და ანტი-ფემინისტი მკვლევარები არასოდეს ამძიმებდნენ და ბილწავდნენ საკუთარ ნაშრომებს და ინტუიციას არაადამიანური სტატისტიკით ან საკონტროლო ექსპერიმენტით“

ჩანართი 3.4 სელია კიტზინგერი, „რატომ შევისწავლი რეალობის სოციალურად კონსტრუირების საკითხს“

1970-იანების დასაწყისში, როცა 17 წლის ვიყავი, ლესბოსელობაზე ეჭვის გამო სკოლიდან გამომრიცხეს. ზუსტად ისიც კი არ ვიცოდი, რა იყო „ლესბოსელობა“ - მაშინ ჩემნაირი ადამიანების არანაირი აღქმა არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, ოქსფორდშირის პატარა სოფელში. ჩემი „გადახრის“ შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ფსიქოლოგიის წიგნები მოვძებნე ადგილობრივ ბიბლიოთეკაში. იქ წავიკითხე, რომ ავადმყოფი და გარყვნილი ვიყავი. თვითმკვლელობის მცდელობამ და შემდეგ ფსიქიატრიულში გატარებულმა ოთხმა თვემ, დიაგნოზირებისა და განკურნების უგერგილო მცდელობების ატანამ, ფსიქოლოგია ლესბოსელებისთვის საშიშ და მჩაგვრელ სფეროდ დამისახა. ჩემს მიმართ ფსიქოლოგების მოპყრობაზე გულაცრუებულმა იმთავითვე ვიცოდი, რომ ფსიქოლოგიაში თუ მის მიღმა აუცილებლად უნდა დავპირისპირებოდი ლესბოსელების სოციალურ ხატს.

სადოქტორო კვლევის დაწყებისას (1980) მდგომარეობა უკვე შეცვლილი იყო. ლესბოსური და გეი ფსიქოლოგიის ახალი დარგი უარყოფითი სტერეოტიპების ეჭვქვეშ დაყენებას ცდილობდა. ტარდებოდა კვლევები, რომლებიც აჩვენებდნენ, რომ ჩვენც ჰეტეროსექსუალებივით ჯანმრთელები ვიყავით გონებრივად, საზოგადოებისა თუ ოჯახისათვის საფრთხეს არ წარმოვადგენდით და რომ გენდერულ სტერეოტიპებს ჩვენი შვილებიც სხვების შვილებივით შეესაბამებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა ჩემი ბავშვობისდროინდელი ფსიქოლოგიის მიდგომასთან შედარებით დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, იგი მაინც თანაბრად პრობლემურად მეჩვენებოდა. 1970-იანი წლების ბოლოსა და 80-იანების დასაწყისში, რადიკალ ფემინისტურ მოძრაობაში ჩართვამ ძლიერი და თანმიმდევრული საფუძველი მომცა ორივე მხარის მიერ ლესბოსელთა და გეების ცხოვრებების დეპოლიტიზაციისა და მათ მიერ საკუთარი ღირებულებითი გავლენის შენიღბვის მიზნით პოზიტივისტური **რიტორიკის** გამოყენების გასაკრიტიკებლად. ჩემი პირველი წიგნი, „ლესბოსელობის

სოციალური კონსტრუირება“, Q-მეთოდოლოგიასა და ინტერვიუებს იყენებდა იმის საკვლევად, თუ როგორ ხდებოდა გეი მხარდამჭერი ფსიქოლოგიის მიერ „ლესბოსელის“ ადამიანის რაღაც კონკრეტულ ტიპად კონსტრუირება; ასევე, ამ კონსტრუქციის ობიექტურობის (და პოლიტიკური ღირებულების/წონის) გასაკრიტიკებლად.

დღეს ისევ რეალობის სოციალურად კონსტრუირების კვლევა მაინტერესებს, თუმცა ჩემმა ინტერესმა ფსიქოლოგიის მიერ ლესბოსელობის კონსტრუირების (ასევე სხვა სექსუალობებისა და გენდერების) გზების კვლევიდან გადაინაცვლა ყოველდღიური ურთიერთობების პროცესში, რეალობის სოციალურ კონსტრუირებაზე ყოველი ჩვენგანის გავლენის კვლევაზე. ახლა ადამიანების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში სექსიზმის, ჰეტეროსექსიზმის, ძალაუფლებისა და ჩაგვრის სხვა ფორმების (და მათ მიმართ წინააღმდეგობის) რეპროდუქციას ვიკვლევ (Kitzinger, 2000b , 2005a, 2005b). რეალური ურთიერთობების დეტალური ანალიზი (ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებისგან განსხვავებით) ყოველდღიური საუბრების სტრუქტურას ავლენს - მაგალითად, როცა დენტისტის მიმღებში ქალი ითხოვს შეხვედრის დანიშვნას თავისი პარტნიორისთვის, მას „მის“(his)-ით მიმართავენ, ან ექიმი ერთობ განსხვავებულ კითხვებს უსვამს „ცოლს“, რომელიც თავისი „ქმრის“ შესახებ რეკავს, ვიდრე „მეგობარს“, თავისი (იგივე სქესის) „მეგობრის“ თაობაზე დარეკვისას (Kitzinger, 2005a; Land and Kitzinger, 2005). ეს ყოველდღიური ჩვეულებები და ჰეტერენორმატიული გარემოს შეფარული კონსტრუირება ლგბტქ ადამიანებს „სხვებად“ მიიჩნევს, მათ მარგინალიზაციასა და ჩაგვრას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია ამის აღწერა და წინააღმდეგობა, იმისათვის, რომ ისეთი სამყარო შევქმნათ, სადაც პატივს სცემენ იქ მცხოვრები ადამიანების მრავალფეროვნებას.

ნატურალისტური მონაცემები

ტერმინ „ნატურალისტურ მონაცემებს“ მრავალი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ჩვენ მას „მსოფლიოში არსებული მონაცემების“ აღსანიშნავად ვიყენებთ; ეს ის მონაცემებია, რომლებიც საკვლევი მიზნებით არ შექმნილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შესაძლოა იყოს საგაზეთო ანგარიშები, საპარლამენტო დებატების ჩანაწერები (Ellis and Kitzinger,2002), ტრეინინგების სესიები (Peel, 2002), ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები (Barker,2007), საბავშვო წიგნები (Riggs and Augoustinos, 2007), თოქ-შოუები (Clarke and Kitzinger, 2004), თვითდახმარების ლიტერატურა (Clarke and Rúdólfsdóttir, 2007), სატელეფონო ზარები (Land and Kitzinger, 2007), ექიმებისა და პაციენტების ურთიერთობა (Speer and Green, 2007) და ასე შემდეგ. ნატურალისტური მონაცემების ერთი უპირატესობა მათი ადვილად ხელმი-

საწვდომობაში მდგომარეობს (მაგალითად, საგაზეთო ანგარიშები და თოქ-შოუები). მონაცემების სხვა ფორმებიც შედარებით ადვილად მოსაპოვებელია ლგბტქ ფსიქოლოგებისათვის, თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. მაგალითად, ელიზაბეტს, ლბ ცნობიერების ასამაღლებელი ტრეინინგების ჩატარებამ საშუალება მისცა, ამ თემაზე არსებული სატრეინინგო სესიებზე ჰქონოდა ხელმისაწვდომობა, რომელიც საკუთარ კვლევაში გამოიყენა (Peel,2002;). ნატურალისტური მონაცემების ზოგიერთი ფორმა კი შესაძლოა რთულად მოსაპოვებელი იყოს. მაგალითად, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები ძვირადღირებულ ჩამწერ და მონაცემთა დასამუშავებელ მოწყობილობას მოითხოვს, და შესაძლოა ძალიან რთული იყოს ისეთი ექიმისა და პაციენტის პოვნა, ვინც საკუთარი ურთიერთობის ჩაწერის ნებას დაგრთავს. სოციალური სამყაროს კვლევაზე ორიენტირებულ ლგბტქ ფსიქოლოგებს ნატურალისტური მონაცემები ამ სამყაროსთან პირდაპირ წვდომას სთავაზობს. მაგალითად, თუ მკვლევარს ლგბტქ უფლებების შესახებ დომინანტური სოციალური შეხედულებების კვლევა სურს, ამ საკითხზე მედიის მიერ გაშუქებული მასალის შეგროვება, შესაძლოა ფსიქოლოგიის სტუდენტების ჰომოფობიის შესახებ გამოკითხვაზე უფრო ადექვატური იყოს.

დისკურსის ანალიზი

დისკურსის ანალიზი 1980-იან წლებში განვითარდა და თვისებრივი კვლევებისათვის უფრო და უფრო პოპულარული მეთოდი ხდება. ფსიქოლოგიაში დისკურსული ანალიზი კრიტიკულ ფსიქოლოგიასთან და ბრიტანელი სოციალური ფსიქოლოგების მრავალფეროვან ჯგუფთან არის ასოცირებული (მაგალითად:Derek Edwards (Edwards and Potter, 1992), Wendy Hollway (1989), Ian Parker (1992), Jonathan Potter (Potter and Wetherell, 1987) და Margaret Wetherell (Wetherell and Potter, 1992)). დისკურსული ანალიზი კონცენტრირებულია ტექსტობრივი მასალის დეტალურ ანალიზზე (მაგალითად, ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის ჩანაწერები, მედია ანგარიშები, კონსულტაციის სესიები და ა.შ). ის მეინსტრიმ ფსიქოლოგიისა და სხვა თვისებრივი მეთოდების მრავალ დაშვებას ეწინააღმდეგება. დისკურსული ანალიზი ხშირად ფსიქოლოგიისადმი მიდგომად უფრო ხასიათდება, ვიდრე მონაცემთა ანალიზის მეთოდად, რადგან იგი ფსიქოლოგიური მუშაობისადმი ალტერნატიულ ხედვას გვთავაზობს (დისკურსული ანალიზისა და მეინსტრიმ ფსიქოლოგიის ძირითადი მახასიათებლების შესადარებლად იხ. ჩანართი 3.5).

რა არის ის დისკურსი, რასაც დისკურსის ანალიტიკოსები გვთავაზობენ? დისკურსი მრავალი სხვადასხვა გზით განიმარტება, მაგრამ ყველა-

ზე გავრცელებული განმარტება ასეთია: დისკურსი აღნიშნავს მნიშვნელობათა გაზიარებულ პატერნებს, რომლებიც სოციალურ ობიექტებს გარკვეული სპეციფიკური გზებით ქმნიან (კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ, მთარგმნელი), (იხილეთ Parker, 1990; Potter et al ., 1990). დისკურსი ფართოდ შეიძლება სოციალურ კონსტრუქტივიზმზე ან პოსტსტრუქტურალისტურ პრინციპებზე დაფუძნებულად განვიხილოთ. მაგრამ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთი ჰეგემონიური მიდგომა და დისკურსული ანალიზის მრავალი ნაირსახეობა არსებობს (იხილეთ Willig, 2001, **პოსტსტრუქტურალისტური, ფუკოსეული დისკურსული ანალიზისა და დისკურსული ფსიქოლოგიისათვის).** ზოგადად რომ ვთქვათ, დისკურსული ანალიზი მნიშვნელობათა (შინაარსთა) კონკრეტული პატერნების ახსნასა და ანალიზს გულისხმობს (შინაარსის შემადგენელი ნაწილების გამოყოფა და მათი ერთობით მიღებული შედეგის ანალიზი). მაგალითად, ჰომოსექსუალობაზე საუბრისა და წერის კონკრეტული ფორმების შესწავლა და ანალიზი იმისა, თუ როგორ წარმოჩინდება განსაზღვრული იდეები მისაღებად (Coyle,2006). ადამიანებმა შესაძლოა ძალიან ფრთხილად ისაუბრონ ჰომოსექსუალობის შესახებ, რომ ჰომოფობიაში არ იქნან დადანაშაულებულნი, მაშინ, როდესაც მაინც ისეთ შეხედულებებს გამოხატავენ, რომლებიც დაკვირვებული ანალიზის შედეგად შესაძლოა საკმაოდ ნეგატიურადაც დავინახოთ (Speer and Potter, 2000).

ელიზაბეტის (Peel, 2001a) **ყოველდღიური ჰეტეროსექსიზმის** ინოვაციური კვლევა ფართო დისკურსული მიდგომის კარგი მაგალითია. მისი მიდგომა მნიშვნელობათა ფართო პატერნებისა და მათი დისკურსული შედეგების ანალიზზეა ორიენტირებული და არა ინდივიდუალური სიტყვების არჩევანსა და ინტერაქციის სხვა თავისებურებებზე (მაგალითად, ინტონაცია, პაუზები და მახვილები Speer and Potter, 2000).

ელიზაბეტი აანალიზებდა ლბ ცნობიერების ასამაღლებელი ტრეინინგის სესიების ტექსტებს, ტრენერებსა და მონაწილეებთან ინტერვიუებს. მან „ყოველდღიური ჰეტეროსექსიზმის“ სამი ტიპი გამოკვეთა, მათ შორის ერთერთი „არაჰეტეროსექსუალობა, როგორც დეფიციტი“ - იყო. მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილე შვილის მიერ ჰომოსექსუალობის აღიარებას შვილის მიერ ავარიაში ფეხის დაკარგვას ადარებდა. ელიზაბეტი ამბობს, რომ შვილის ფეხის დაკარგვის ჰომოსექსუალობასთან შედარება არაჰეტეროსექსუალობას რაღაც „ადამიანობის“ ნაწილის დაკარგვასთან ასოცირებას ნიშნავს, მაშინ როცა ჰეტეროსექსუალი წარმოდგენილია, როგორც ნორმალური სრულფასოვანი ინდივიდი. მისი ანალიზი აჩვენებს, თუ როგორ ეყრდნობა ერთი შეხედვით პოზიტიური და „მზრუნველი“ დისკურსი

ჰომოსექსუალობაზე (მონაწილე ჰომოსექსუალური იდენტობის გაცხადების უნარების დაკარგვასთან შედარებით ცდილობდა, გეი შვილის ყოლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გამოეხატა) ჰეტეროსექსისტურ წინასწარ დასკვნებს.

დისკურსული ანალიზი სასარგებლოა გაბატონებული კულტურული იდეების კრიტიკულად შესასწავლად, კონკრეტულ საკითხებზე საუბრისა და წერის საერთო ფორმებისა და მათი შედეგების საკვლევად. ჰომოსექსუალობის, ბისექსუალობის და ტრანსსექსუალობის არანორმატიულობის გათვალისწინებით, დისკურსულ ანალიზს დიდი გამოყენების პოტენციალი აქვს გაბატონებული კულტურული იდეების საკვლევად. იგი გამოგვადგება იმის შესასწავლად, თუ როგორ არის ეს იდეები კონსტრუირებული, როგორ ვახდენთ უარყოფითი შეხედულებების გამართლებას და როგორ ახერხებენ არაჰეტეროსექსუალი და ტრანს ადამიანები ამ უარყოფითი დამოკიდებულებებისთვის წინააღმდეგობის გაწევას (Clarke and Kitzinger, 2005; Clarke et al ., 2004).

მონაწილეობაზე დაფუძნებული კვლევა

მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომის მრავალი ფორმა არსებობს, რომლებიც მონაწილეებს ისე უდგებიან, როგორც „ექსპერტებს“, მოუწოდებენ მათ უფრო აქტიურად ჩაერთონ კვლევის პროცესში, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის წყაროს როლი შეასრულონ. (მაგალითად, მოქმედებაზე დაფუძნებული კვლევა, მეხსიერებაზე მუშაობა, თანამშრომლობითი გამოკითხვა, იხ. Reason and Bradbury, 2001). მონაწილეებს შესაძლოა მკვლევარისთვის დახმარება სთხოვონ საკვლევი კითხვების ფორმულირებისას, ან კვლევის შედეგები შეაფასონ. ზოგჯერ მონაწილეები და მკვლევარი თანხმდებიან, რომ ერთად იმუშავონ რაიმე პრაქტიკული მიზნის ან კვლევის პროცესის გამოსავალზე. ეს მიდგომა ცდილობს, დაარღვიოს ტრადიციული იერარქიული კვლევის ჩარჩო, სადაც მკვლევარს პროცესსა თუ მონაწილეებზე ძალაუფლება და კონტროლი გააჩნია. მონაწილეობაზე დაფუძნებულ კვლევას მრავალი საკითხის შესასწავლად იყენებდნენ, მათ შორის ლესბოსელი და გეი განმანათლებლებისა (Griffin, 1992) და პოლიამურული ქალების (იხილეთ მე-8 თავი) (Ritchie and Barker,2005) კვლევებში.

მონაწილეებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფების, განსაკუთრებით კი ისეთი ჯგუფების, რომლებზეც ცოტაა ცნობილი, შესწავლისას ძალიან გამოსადეგია. ეს მიდგომა გამოიყენება მაშინაც, როცა მკვლევარი შესასწავლი ჯგუფის წევრია (რადგან მათ შეუძლიათ საკუთარი გამოცდილება გამოიყენონ კვლევის პროცესის გასამდიდრებლად) და მაშინაც, როცა პირდაპირ არ არის ჩართული (რადგან მონაწილეებს მეტი კონტროლის საშუალება აქვთ კვლევის

პროცესზე და ეხმარებიან მკვლევარს საკვლევი კითხვების ფორმულირებაში). მკვლევარი, რომელიც პირდაპირ არ არის ჩართული მონაწილეთა ჯგუფში, შესაძლოა თანამშრომლობდეს მონაწილესთან, ან გამოყოს „ექსპერტი მონაწილე“, რომელიც კვლევის პროცესს უხელმძღვანელებს. მონაწილეებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური ცვლილებისთვისაც მნიშვნელოვანია; მცირემასშტაბიან კვლევებში კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს ხშირად მასში ჩართული ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევის სირთულეები

მას შემდეგ, რაც ლგბტქ ფსიქოლოგების კვლევის სხვადასხვა მეთოდებზე ვისაუბრეთ, დროა ყურადღება გავამახვილოთ იმ მეთოდოლოგიურ სირთულეებზე, რომლებიც შესაძლოა კვლევისას გაჩნდეს.

ლგბტქ პოპულაციის განსაზღვრა, ხელმისაწვდომობა და შერჩევა

ლგბტქ ფსიქოლოგიაში ყველაზე რთული მონაწილეების პოვნა და შერჩევაა. ამ ნაწილში ლგბტქ პოპულაციების კვლევისას ზოგიერთ პრობლემასა და დილემაზე ვისაუბრებთ.

პოპულაციის განმარტება

პირველი და რთული საკითხი, რომელსაც ლგბტქ ფსიქოლოგები კვლევისას აწყდებიან, „ლესბოსელის“, „ტრანს“ და სხვა კატეგორიების განმარტებაა. მაგალითად, განვიხილოთ ლესბოსელის კატეგორიის განმარტება. თუ ატარებთ კვლევას ლესბოსელებზე, საიდან იცით, რომ მონაწილე ქალი ლესბოსელია? შეგიძლიათ, თავის სექსუალობაზე მასვე ჰკითხოთ. ამით კი საჭიროა, მას ენდობოდეთ და გჯეროდეთ, რომ საკუთარ სექსუალობაზე საუბრისას მართალი და ზუსტია. შესაძლოა, კვლევაში ისეთი ქალების ჩართვა მოგიწიოთ, რომლებსაც ლესბოსური იდენტიფიკაცია გააჩნიათ, თუმცა არასოდეს ჰქონიათ სექსი ქალთან - იქნებოდა თუ არა ეს პრობლემა? მეორე გამოსავალი ქალის სექსუალობის გაზომვაა, რაც თავისთავად ბადებს კითხვას, თუ სექსუალობის რომელ კომპონენტსა და კომპონენტებს გამოიყენებდით გაზომვისას. როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, სექსუალობას მრავალი განსხვავებული კომპონენტი აქვს: ჩვენი სექსუალური სურვილები და ფანტაზიები, სექსუალური ქცევა, ასევე ის, თუ როგორ განვსაზღვრავთ და რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს სექსუალობას. ასე რომ, თუ ქალის სექსუალურ გამოცდილებებს გავზომავთ, შესაძლოა ვერაფერი გავიგოთ მის განუხორციელებელ სურვილებზე (რაც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს სექსუალობაზე „სიმართლის“ გასაგებად). გარდა ამისა, თუკი მხოლოდ მიმდინარე ან ახლო წარსულის გამოცდილებების შესახებ იკი-

თხავთ, შესაძლოა სექსუალობის საკმაოდ განსხვავებული ხატი მიიღოთ, ვიდრე მთელი სექსუალური ისტორიის გამოძიებისას.

კვლევის პიონერები ეველინ ჰუკერი და ჯუნ ჰოპკინსი დიდ დროსა და რესურსებს ახმარდნენ შერჩევის დაკომპლექტებას. ჰუკერმა, მაგალითად, კაცი ჰომოსექსუალების გარემოსთან შემგუებლობის კვლევისას (რაც პირველ და მეორე თავებში განვიხილეთ), ორ წელიწადზე მეტი მოანდომა „სუფთა“ ჰომოსექსუალებისა და ჰეტეროსექსუალების შერჩევას (ისეთი კაცების მოძებნას, ვისი თვითიდენტობაც მათ სექსუალურ გამოცდილებებთან თანხვედრაში მოდიოდა). ჰუკერი პოტენციურ მონაწილეებს სექსუალური გამოცდილებებისა და სურვილების შესახებ ეკითხებოდა. იგი კვლევიდან გამორიცხავდა კაცებს, რომლებიც არ იყვნენ „სუფთა“ ორიენტაციისა და მის კითხვებს პოტენციურად საეჭვო პასუხებს სცემდნენ. მაგალითად, „ჰეტეროსექსუალი“ კაცები, ვინც სასტიკად უარყოფდა ჰომოსექსუალური ტენდენციების ქონას, ან ვინც უხერხულობას განიცდიდა შეკითხვის დასმისას. (Minton, 2002). ჯუნ ჰოპკინსი პოტენციურ მონაწილეებს საკუთარი თავის კინსის სკალაზე შეფასებას სთხოვდა და ამ მონაცემებს იყენებდა მათ ჰომო და ჰეტეროსექსუალ ჯგუფებში გასანაწილებლად, ბისექსუალ მონაწილეებს კი კვლევიდან რიცხავდა.

არ არსებობს მარტივი პასუხი იმაზე, თუ ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ლესბოსელად. სექსუალობასა და გენდერულ იდენტობას განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობები აქვთ. „ჭეშმარიტი“ ლესბოსელის არსებობის იდეა შინაგანი ლესბოსელობის საფუძვლის რწმენას ეფუძნება, რომელიც ქალის სექსუალურ ცხოვრებას განსაზღვრავს (ამის გაზომვა კი შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ ისევ ადამიანის ქცევის თვითანგარიშებს უნდა დავეყრდნოთ შინაგანი საფუძვლის გასარკვევად). როგორც მე-2 თავში განვიხილეთ, ლგბტქ ფსიქოლოგები, ვინც სექსუალობის სოციალურ კონსტრუქტივისტულ გაგებას ეყრდნობა, „შინაგანი საფუძვლის“ ცნებას პრობლემურად ხედავს. სოციალური კონსტრუქტივისტები სექსუალობას (მის შესახებ ჩვენს ცოდნებსა და კატეგორიებს) სოციალური პროცესებისა და ურთიერთქმედებების შედეგად განიხილავენ.

ჩვენს კვლევაში მონაწილეები თვითიდენტიფიკაციის საფუძველზე შევარჩიეთ და ლგბტქ ფსიქოლოგთა უმეტესობაც შერჩევის ამ მეთოდს იყენებს. მიიჩნევა, რომ ასეთი მიდგომა პატივისცემით ეკიდება იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანები საკუთარ სექსუალურ იდენტობასა და პრაქტიკას. მიუხედავად ამისა, როგორც ბრიტანელი სოციალური მეცნიერი ჯული ფიში (2008) აღნიშნავს, „იმის გამო, რომ ბევრმა შავკანიანმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ლგბტ ადამიანმა შესაძლოა ლესბოსელი და გეი ტერმინები არ გამოიყენონ საკუთარი თავის იდენ-

ტიფიცირებისას, ისინი ხშირად კვლევის გარეთ რჩებიან“. ფიში ამბობს, რომ მკვლევარებს შესაძლოა სექსუალობის მრავალგვარი და ინკლუზიური განმარტებების გამოყენება დასჭირდეთ ლგბტქ ადამიანების სხვადასხვა ჯგუფების კვლევაში ჩასართავად. მხედველობაშია მისაღები ისეთი ფაქტორები, როგორიც სექსუალური სურვილი, ქცევა და იდენტობაა.

არაჰეტეროსექსუალებზე მიმართულ კვლევაში მკვლევარებს ხშირად უჭირთ ბისექსუალი ადამიანების კატეგორიზაცია: სად უნდა მოვათავსოთ ბისექსუალები, ჰეტეროსექსუალთა თუ ჰომოსექსუალთა ჯგუფში, თუ ცალკე კატეგორია უნდა შევქმნათ? პრაქტიკაში, ბისექსუალი მონაწილეები უმეტესად ან კვლევის გარეთ რჩებიან, ან ჰომოსექსუალ ჯგუფს მიეწერებიან. ეს ორივე მიდგომა კი საკმაოდ პრობლემურია. ისეთი კვლევებიც კი, რომლებიც ბისექსუალობაზეა ორიენტირებული, ბისექსუალობას სექსუალობის სპეციფიკურ გამოცდილებად აღიარებას არ ახდენს. მაგალითად, ფსიქოლოგ გერუფ რიგერის (2005) მიერ ჩატარებული ბისექსუალ კაცთა აღგზნების კვლევის მიხედვით, ბისექსუალი კაცების თვითაღწერილი სექსუალური აღგზნება ბისექსუალურ პატერნს შეესაბამებოდა, (წესით ობიექტური) გენიტალური აღგზნებით კი ზოგი ჰომო, ზოგი კი ჰეტეროსექსუალი იყო.

როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ბისექსუალის კატეგორია სექსუალური გამოცდილებების ისეთ მრავალსახეობას აჩვენებს, რომელიც სექსუალობის ჰომო და ჰეტერო კატეგორიებად დაყოფის პრობლემატიზებას ახდენს. ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ადამიანებს შორის პოტენციური განსხვავებების აღიარება მნიშვნელოვანია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები შესაძლოა ნორმატიული ჰეტეროსექსუალობის გარეთ ცხოვრების გამოცდილებას იზიარებდნენ, თუ კვლევა კონკრეტულად ამ გამოცდილებაზე არ არის ფოკუსირებული, საკმაოდ პრობლემურია ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალების ერთ ჯგუფში მოთავსება (ისევე, როგორც გეებისა და ლესბოსელების ერთად დაჯგუფება). ტრანს ადამიანების არაჰეტეროსექსუალებთან ერთად კვლევაც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ძალიან ხშირად, მკვლევარები ლგბტ იარლიყს იყენებენ, სინამდვილეში კი მხოლოდ სექსუალობაზე (და არა გენდერულ იდენტობაზე) საუბრობენ. ხშირად ადვილია ტრანს ადამიანებიც ლგბ ადამიანებთან ერთად ერთ ქვაბში მოხარშო, თუმცა მკვლევარებს ავიწყდებათ ტრანს გამოცდილებების თავისებურებებისა და მათი ლგბ ადამიანებისგან განსხვავებულობის გათვალისწინება.

სირთულეები მონაწილეთა ჩართვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

ფსიქოლოგთა უმეტესობის მსგავსად, ყველას ჩაგვიტარებია კვლევები უნივერსიტეტისა და კოლეჯის სტუდენტების შერჩევით. სტუდენტების

ჩართვა მარტივი და ეკონომიურია (ხშირად ფსიქოლოგიის ფაკულტეტები სტუდენტებს კვლევაში მონაწილეობისათვის კრედიტებს სთავაზობენ); ისინი მკვლევარებისათვის საკმაოდ ხილვადი ჯგუფია. ამის საპირისპიროდ, ბევრად რთულია ლგბტქ ადამიანების შერჩევის განხორციელება. ასეთ ადამიანებს ხშირად "ფარულ" მოსახლეობას უწოდებენ, რადგან ისინი მკვლევართათვის მყისიერად ხილვადნი და ხელმისაწვდომნი არ არიან. გარდა ამისა, ლგბტქ ადამიანთა გარკვეული ნაწილი უფრო „დაფარულია" ვიდრე სხვები. აშშ-ში მოღვაწე სოციალური სამუშაოს სპეციალისტი და მკვლევარი დარელ ვილერი (2003) „ძნელად ჩასართავი" პოპულაციის არსებობაზე საუბრობს, მათზე, ვინც შესაძლოა რთულად ჩაერთოს კვლევაში სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შესაძლოა ვერ დაინახონ კვლევის მნიშვნელობა, ან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ მკვლევარის მოტივაცია კვლევის ჩატარებისას. შესაძლოა, გაჩნდეს კითხვები, თუ როგორ იქნება მათი გამოცდილება წარმოდგენილი და როგორ გამოიყენებენ კვლევის შედეგებს მომავალში. ბევრ ადამიანს შესაძლოა არ სურდეს იდენტობის გამოაშკარავება სამუშაოს დაკარგვისა ან ოჯახიდან განდევნის საფრთხის გამო. ლგბტქ კვლევების ისტორიაში მრავალია მსგავსი შემთხვევები.

აშშ-ის სოციალური სამუშაოს პროფესორებმა ვილიამ მიზანმა და ჯეიმს მარტინმა (2003) ძნელად ხელმისაწვდომი და კვლევაზე რთულად დამყოლი ჯგუფები გამოყვეს (ეს ჯგუფები, ცხადია, ერთმანეთს არ გამორიცხავს და შესაძლოა, ადამიანი ერთს ან მეტ ჯგუფს მიეკუთვნებოდეს):

- ტრანსგენდერი და ბისექსუალი ადამიანები
- ის ადამიანები, ვინც არ ახდენენ ლგბტ თემთან იდენტიფიცირებას
- ახალგაზრდები, რომლებიც **კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ** საკუთარ სექსუალობას, ან ისინი, ვისაც თავიანთი სექსუალობა მშობლებისათვის არ გაუმხელიათ
- ასაკოვანი ან არათეთრკანიანი ადამიანები
- ღარიბი ან ცუდად განათლებული მოსახლეობა
- იზოლირებული და სოფლად მაცხოვრებელი ადამიანები
- ადამიანები, ვინც სოციალურად მარგინალიზებულ ცხოვრების წესს ეწევა, მაგალითად, მოიხმარს ნარკოტიკებს, ან სექს-მუშაკია.

ჯგუფებზე ცოტა ინფორმაციის არსებობის ერთ-ერთი მიზეზი ამ ჯგუფების მხრიდან მკვლევართა მიმართ მხარდაჭერისა და ნდობის არარსებობაა. გარდა ამისა, ამ ჯგუფების კვლევა საკმარისად მნიშვნელოვნად არ არის მიჩნეული (Wheeler, 2003).

და მაინც, როგორ ახერხებენ ლგბტქ ფსიქოლოგები ლგბტქ პოპულაციასთან, განსაკუთრებით კი ყველაზე ნაკლებად ხილვად პოპულაციასთან, წვდომას და მათ კვლევაში ჩართვას? ეს პროცესები საკმაოდ განსხვავებუ-

ლია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევებისას. გარდა ამისა, მკვლევარებმა შესაძლოა განსხვავებული გზები გამოიყენონ მცირე და დიდი შერჩევის მოსაპოვებლად, და თუკი კვლევის ფარგლებში კვლევის ასისტენტის დაფინანსების საშუალება არ არის, შესაძლოა მათ უფრო ეკონომიურ გზებს მიმართონ. შერჩევის ჩვეული და ყველაზე ხშირად გამოყენებული სტრატეგიებია:

- მკვლევარის საკუთარი და პროფესიული კონტაქტების გამოყენება
- მონაწილეების შესარჩევად მედია განცხადების გამოყენება (მეინსტრიმ და გეი მედიის)
- ლგბტქ ორგანიზაციების, ჯგუფების, ღონისძიებების, ბიბლიოთეკის, ცნობის ფურცლებისა და სხვა საშუალებების გამოყენება პოტენციური მონაწილეების ინფორმირებისათვის
- ინტერნეტი

ამ სტრატეგიების ერთი მნიშვნელოვანი სისუსტე, რომელიც მკვლევარებმა აღნიშნეს, ისაა, რომ ამ მეთოდით კვლევაში უმეტესწილად თეთრკანიანი, განათლებული, საშუალო ფენის ადამიანები ერთვებიან (ხშირად, სწორედ ასეთივეა მკვლევარების მახასიათებლებიც). „დაფარული“ და „მნელად ჩასართველი“ ჯგუფების მოძიებას დამატებითი ტექნიკების გამოყენება სჭირდება.

ამერიკელი სოციოლოგმა მიგნონ მურმა (2006) შავკანიანი ლესბოსური ოჯახების კვლევაში ჩართვის საინტერესო ანგარიში გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ მური შავკანიანი ლესბოსელია, მას არანაირი გამოცდილება არ ჰქონია იმ მოსახლეობასთან ურთიერთობაში, ვისი კვლევაში ჩართვაც სურდა. ვიდრე კვლევისათვის მასალების შეკრებას დაიწყებდა, მან ერთი წელი გაატარა თემთან ერთად. ის ესწრებოდა სოციალურ ღონისძიებებს, გაიჩინა მეგობრები და ა.შ. მისი აზრით:

„არსებობენ პოპულაციები, სადაც მონაცემთა შეგროვების ტრადიციული მეთოდები არ გამოდგება და შავკანიან ლესბოსელთა თემი სწორედ ასეთი ჯგუფია. საჯარო განცხადებები, შეტყობინებები, ლესბოსურ ღამის კლუბებში დარიგებული ფლაერები ან ლგბტ სათემო ცენტრებში დატოვებული განცხადებები შავკანიანი გეი მოსახლეობისთვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება. კვლევები, რომელიც ამ მეთოდებს იყენებს, წარუმატებლად ცდილობს შავკანიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის მოზიდვას (2006:121). მონაწილეთა ჩართვის ერთ-ერთი სირთულეს ასევე ე.წ. “კვლევის დამღლელობა“ წარმოადგენს ლგბტქ მონაწილეთა შორის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლგბტქ ადამიანებს ჰეტეროსექსუალ და არა-ტრანს ადამიანებთან შედარებით ნაკლები სურვილი აქვთ მონაწილეობისა. ლგბტქ საკითხები უფრო და უფრო პოპულარული ხდება კვლევისათვის მრავალ

სხვადასხვა დისციპლინაში. ეს კარგია, რადგან ზოგადად ლგბტქ საკითხები ძალიან ცუდად ნაკვლევია. თუმცა, ის ლგბტქ ადამიანები, რომლებიც კვლევისათვის ადვილად ხელმისაწვდომნი არიან (მაგალითად, ის ადამიანები, ვინც სათემო აქტივიზმში ჩართულობის გამო ადვილად ხილვადია მკვლევარებისთვის), შესაძლოა გადატვირთულნი იყვნენ კვლევაში მონაწილეობის თხოვნებით.

„ჩვენიანის უპირატესობა“

წარსულში სჯეროდათ, რომ ჯგუფის წევრს არ შეეძლო ობიექტური კვლევის ჩატარება და მხოლოდ „გარედან მოსულს“ შეეძლო მნიშვნელოვანის შემჩნევა და აღმოჩენა. ადრეული კვლევები ხშირად მალავდნენ საკუთარ „ჯგუფის წევრის“ სტატუსს. მაგალითად, ამერიკელმა მღვდლად ქცეულმა სოციოლოგმა ლაუდ ჰამპრეისმა, საკუთარი ჰომოსექსუალობა დამალა თავის საკმაოდ წინააღმდეგობრივ დაკვირვებით ნაშრომში კაცთა სქესობრივი ქცევების შესახებ საზოგადოებრივ ტუალეტებში (Tearoom Trade, 1970). ჰამპრეისი ამბობდა, რომ თავად დამკვირვებლის („მაყურებელი დედოფალი“) ფუნქციას ასრულებდა სხვა კაცების ქცევის ცქერისას. თანამედროვე შეხედულებით, ჰამპრეისი მონაწილე-დამკვირვებელი იყო საზოგადოებრივ ტუალეტებში განხორციელებულ სექსუალურ ქცევებში და მან „მაყურებელი დედოფლის“ როლი საკუთარი რეპუტაციის გასაფრთხილებლად და კვლევის ობიექტუროობის დასაცავად გამოიგონა (Hollister, 2004). საკმაოდ საეჭვოა, რომ 1960-იან წლებში ადამიანი, რომელიც თვითონ არ არის ჩართული ჯგუფის ცხოვრებაში, კეთილგანწყობილ ნაშრომს დაწერდა ერთსქესიან სექსუალურ ქცევებზე **სექსისათვის განკუთვნილ საზოგადოებრივ ადგილებში (public sex environments(PSEs)**.

უფრო მოგვიანებით, მკვლევარებმა დაამკვიდრეს მოსაზრება, რომ ლგბტქ ფსიქოლოგები, რომლებსაც ლგბტქ იდენტიფიკაცია გააჩნიათ, მონაწილეების შერჩევისა და მათთან ხელმისაწვდომობისას „ჩვენიანის უპირატესობას“ ფლობენ (LaSala, 2003). დღესდღეობით „ჯგუფის წევრები“ უფრო წარმატებულად მიიჩნევიან, და „არაწევრებს“ მოუწოდებენ, გააცნობიერონ საკუთარი პოზიცია და მხედველობაში მიიღონ რჩევები „საუკეთესო მაგალითებიდან“, ლგბტქ მოსახლეობასთან „კულტურულად სენსიტიური“ კვლევის ჩასატარებლად (McClennen, 2003; see also Wilkinson and Kitzinger, 1996).

მიიჩნევა, რომ ლგბტქ თემის წევრობა დადებით გავლენას ახდენს მკვლევარის სპეციფიკურ ექსპერტიზაზე, რაც მას პოტენციური მონაწილეების ნდობის მოპოვებასა და მათ კვლევაში ჩართვას უადვილებს. ამერიკელი ფსიქოლოგი გაილ პიტმენი (2002:285) შემდეგნაირად აღწერს

ლესბოსელი და გეი მოსახლეობის ჩართვის გამოცდილებას ქალის სხეულის ხატის კვლევაში:

„როდესაც ლგბტ რესურსცენტრის დირექტორმა გაიგო, რომ მე „მისიანი“ ვიყავი, მყისვე მოვიპოვე შეუზღუდავი წვდომა ყველა რესურსზე. გეი, ლესბოსელი და ბისექსუალი სტუდენტები ბევრად ადვილად იხსნებოდნენ, როცა აცნობიერებდნენ, რომ ლესბოსელი - „მათნაირი“ - ვარ. სავარაუდოა, რომ ეს ბევრად მეტი იყო, ვიდრე „მათნაირობა“, ეს იყო ჩაგვრის გაზიარებული გამოცდილება და ამასთან ერთმანეთის მხარდაჭერის უთქმელი შეთანხმება“.

ასევე, იგულისხმება, რომ „ჩვენიანის უპირატესობა“ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზეც ახდენს გავლენას: მონაწილეებისა და მკვლევარის საერთო სასაუბრო ენა და ცოდნა ურთიერთგაგების განვითარებას უწყობს ხელს, რაც უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ანალიზის გაკეთების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ლგბტქ იდენტიფიცირებული მკვლევარი გარკვეულად მოიპოვებს „ჩვენიანის უპირატესობას“, მხოლოდ ლგბტქ იდენტიფიცირება ნდობისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საკმარისი არ არის. საკუთარი სექსუალობისა და გენდერის საერთო გზებით განსაზღვრა სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანებს სხვა ბევრიც აქვთ საერთო, ან კიდევ ლგბტქ-დ ყოფნის მსგავსი გამოცდილება აქვთ. მაგალითად, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ თეთრკანიანი საშუალო კლასის ლესბოსელი მკვლევარი შავკანიან, მუშა კლასის ლესბოსელი მონაწილეების გამოცდილებას იზიარებს. სელია კიტზინგერი, რომელმაც ინტერვიუზე დაფუძნებული ინოვაციური კვლევა ჩაატარა ლესბოსური იდენტობის შესახებ, მონაწილეთა მრავალფეროვანი ჯგუფის მოძიების მცდელობებს განიხილავს და აღნიშნავს, რომ მისი მახასიათებლები, როგორც საშუალო ფენიდან გამოსული თეთრკანიანისა (1987: 88), მონაწილეთა მხრიდან საკმაოდ ართულებდა მის „ჩვენიანად“ აღქმას. ამასთან ერთად, კიტზინგერი აღნიშნავდა, რომ იგი ყველა პოტენციურ მონაწილეს უცხადებდა საკუთარ ლესბოსელობას და ზოგიერთი სწორედ ამის გამო დათანხმდა კვლევაში მონაწილეობაზე. მსგავსი გამოცდილება სხვა ლგბტქ მკვლევარებსაც ჰქონიათ (Dunne, 1997). ზოგიერთი მკვლევარი კი ფრთხილობს საკუთარი იდენტობის გაცხადებას ლგბტქ თემთან კვლევის დაწყებისას (Hash and Cramer, 2003).

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თემის ცნებას სხვადასხვანაირი მნიშვნელობები აქვს. ის შესაძლებელია ფართოდ გამოიყენო, მაგალითად, ყველა ლესბოსელისა და ყველა ბისექსუალის აღსანიშნავად, ან შესაძლოა სპეციფიკური, ადგილობრივი ლესბოსელ და ბისექსუალ თემებზე ვისაუბროთ (მაგალითად, ადამიანების ჯგუფზე, რომლებიც გარკვეული სოციალური

აქტივობებით, მეგობრობით ან პოლიტიკური აქტივიზმით ერთიანდება). პოტენციურმა მონაწილეებმა შესაძლოა მკვლევარი „თავისიანად“ სულაც არ აღიქვან, თუ ის მათი კონკრეტული, ადგილობრივი თემის წევრი არ არის. ასევე მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ლგბტქ მკვლევარები უბრალოდ ლგბტქ ადამიანები არ არიან; ისინი პროფესიონალები და ექსპერტები არიან (ან ასე აღიქმებიან). მკვლევარსა და მონაწილეს შორის იერარქიულ დამოკიდებულებაზე ბევრი დაწერილა და ფაქტია, რომ მკვლევარს კვლევის პროცესზე მეტი გავლენა და კონტროლი აქვს, ვიდრე მონაწილეს (Wilkinson,1998b). ზოგადად, მკვლევარი იწყებს კვლევის პროცესს, განსაზღვრავს საკვლევ კითხვას, იღებს გადაწყვეტილებას მეთოდების, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის გზებზე, სვამს კითხვებს, აანალიზებს მონაცემებს და აღწერს შედეგებს მაშინ, როცა მონაწილეები მხოლოდ მონაცემებს გასცემენ. ეს კი ნიშნავს, რომ მონაწილეთა მიერ მკვლევარის „თავისიანად“ აღქმას შესაძლოა მისმა „ექსპერტის“ როლმა შეუშალოს ხელი (Clarke et al ., 2004). იხილეთ ჩანართი 3.6 „ჩვენიანობის“ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჰეტერსექსუალ და არა-ტრანს მკვლევარს შეუძლია (და საჭიროცაა) „კულტურულად სენსიტიური“ კვლევის განხორციელება ლგბტქ თემთან. უამრავი ჰეტეროსექსუალი და არა-ტრანს ფსიქოლოგი არსებობს, ვინც ამ სფეროში მუშაობს, და ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლგბტქ ადამიანების გამოცდილებების კვლევისა და სასურველი სოციალური ცვლილების საქმეში. აშშ-ში მოღვაწე კონსულტანტმა ფსიქოლოგმა ნენსი აშერმა (Asher and Asher, 1999) ლესბოსელ ქალთა სხეულის ხატის რაოდენობრივ ინტერვიუზე დაფუძნებული კვლევის საკუთარი გამოცდილება აღწერა ჰეტეროსექსუალი ქალის პერსპექტივიდან. ის ამბობდა, რომ მნიშვნელოვანი იყო საკუთარი ჰეტეროსექსუალობის გამჟღავნება და საკუთარი კულტურულად „გარეშე პირის“ სტატუსის აღიარება ყოველი ინტერვიუს დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად ღელავდა, თუ როგორ მიიღებდნენ მონაწილეები ამ ინფორმაციას, პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ მონაწილეები აფასებდნენ მის გულახდილობას, ეს კი ურთიერთნდობის დამყარებას უწყობდა ხელს. ის წერდა: „ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს ქცევა იყო ერთგვარი შეტყობინება. ის ამბობდა, რომ მე პატივს ვცემდი მონაწილეების უფლებას, სცოდნოდათ, ვინ ვარ, რატომ მაინტერესებს ისინი და რატომ ვცდილობ გულახდილი დისკუსიის წამოწყებას.“ (გვ. 138)

ჩანართი 3.6 „ჩვენიანის უპირატესობის“ შეფასება	
„ჩვენიანის“ პოტენციური უპირატესობები:	„ჩვენიანის“ პოტენციური ნაკლოვანებები:

„ჯგუფის წევრს“ შეუძლია საკუთარი გამოცდილება გამოიყენოს ისეთი საკვლევი კითხვის ფორმულირებისათვის, რომელიც სხვას შესაძლოა არ მოაფიქრდეს. მათთვის, შესაძლოა, მონაწილეების კვლევაში ჩართვა უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და ასევე იცოდნენ, თუ სად შეიძლება მონაწილეების შერჩევა. ადამიანებს, შესაძლოა, მეტი ღიაობა ჰქონდეთ „ჯგუფის წევრის“ კვლევაში ჩასართავად. „ჯგუფის წევრს“ შეუძლია, მეტი ემპათია გამოხატოს და ნდობის გარემო შექმნას. შესაძლოა, მათ მეტი მზაობა ჰქონდეთ ჯგუფის ნორმებისა და სხვადასხვა ცნებების ინტერპრეტაციისათვის, და უფრო სიღრმისეული ანალიზი შეძლონ.	„ჯგუფის წევრმა“ შესაძლოა ვერ შენიშნოს საკუთარი ჯგუფის უნიკალური და საინტერესო მახასიათებლები. მათ შესაძლოა არასწორად დაასკვნან, რომ ზუსტად ესმით, რას გულისხმობენ მონაწილეები. მათ, შესაძლოა, გაურთულდეთ საჭირო დისტანციის დამყარება (და ზედმეტად მოახდინონ მონაწილეებთან იდენტიფიცირება), რაც მონაცემების ინტერპრეტაციის უნარს ზღუდავს. სოციალურად მისაღებობის სურვილი და „საკუთარი სახის დაკარგვის“ შიში ჯგუფის წევრი მკვლევარისათვის საკმაოდ ძლიერია. მონაწილეებს შესაძლოა ანონიმურობის დაკარგვის და ინფორმაციის განდობის ეშინოდეთ საკუთარი ჯგუფის წევრთან

ლგბტქ მონაწილეების შერჩევის სირთულეები

შერჩევა ლგბტქ ფსიქოლოგიაში რთული საკითხია და ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრობლემად მიიჩნევა (Meyer and Colten, 1999). ლგბტქ კვლევის ისტორიაში უმეტესი კვლევები ატიპურ შერჩევებს ეყრდნობოდა. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ადრეული არაკეთილგანწყობილი კვლევები ძირითადად კლინიკებისა და ციხის პოპულაციებს ეყრდნობოდა, ხოლო კეთილგანწყობილი კვლევების შერჩევები - გეი და ლესბოსური ბარების სტუმრებს, ლგბტქ სტუდენტებს, სოციალურ/მხარდამჭერ ჯგუფებს.

ფსიქოლოგებისათვის თვისებრივი და ექსპერიმენტული კვლევის ჩატარება და შერჩევის რეპრეზენტაციულობა ძირითადი საზრუნავია. მცირე შერჩევიდან მონაცემების ფართო პოპულაციაზე განზოგადების შესაძლებლობისთვის, მონაცემები პოპულაციის რეპრეზენტაციული უნდა იყოს. შერჩევის ალბათობა რეპრეზენტაციულობის უზრუნველყოფის გზაა. ფსიქოლოგიაში შერჩევის ალბათობის მიღწევის ორი გზა არსებობს:

შემთხვევითი შერჩევა და სტრატიფიკაციული შერჩევა. როგორც სახელის მიხედვით ჩანს, შემთხვევითი შერჩევა გულისხმობს მონაწილეების შემთხვეით მოძიებას (შერჩევის სხვა კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე), როცა ყველა პოპულაციის ყველა წევრს კვლევაში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს. სტრატიფიკაციული შერჩევის დროს კი მონაწილეები ისე ირჩევიან, რომ პოპულაციის სხვადასხვა წინასწარგანსაზღვრული ჯგუფები წარმოადგინონ. მაგალითად, თუ ვიცით, რომ მოცემულ პოპულაციაში 90 კაცი და 30 ქალია და ორივე ჯგუფის 10-10 პროცენტი მუშათა კლასის წარმომადგენელია, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი შერჩევა ამ გენდერულ და კლასობრივ დაყოფას ზუსტად ასახავდეს. თუმცა, როგორც შემთხვევითი, ისე სტრატიფიკაციული შერჩევის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ სამიზნე პოპულაციის სხვადასხვა პარამეტრი და აი, სწორედ აქ იქმნება პრობლემა ლგბტქ ფსიქოლოგებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევათა ნაწილი (მაგალითად, ჰომოფობიის კვლევები) შერჩევას ფართო საზოგადოებიდან აკეთებს, ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევების უმეტესობა ლგბტქ ადამიანების აღქმების და გამოცდილებების შესწავლაზეა ორიენტირებული. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მკვლევარის ძირითადი პრობლემა ამ კონკრეტული პოპულაციის დაფარულობა და რთულად ხელმისაწვდომობაა. არ არსებობს ლგბტქ პოპულაციის აღრიცხვის მონაცემები, საიდანაც შემთხვევით შერჩევას შევქმნიდით. სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია არ გროვდება დამსაქმებლების, ჯანდაცვის სერვისების, თუ სხვათა მიერ. ლგბტქ პოპულაციის ხელმისაწვდომობას ისიც ართულებს, რომ მრავალი მათგანი არ არის ღიად ლგბტქ. ეს კი ნიშნავს, რომ რთულია მრავალფეროვანი შერჩევის შექმნა. ფაქტობრივად, შეუძლებელია მოსახლეობის განსაზღვრა შემთხვევითი შერჩევის შესადგენად და მისი შემადგენლობის აღწერა სტრატიფიკაციული შერჩევისათვის.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლგბტქ ადამიანების რეპრეზენტაციული შერჩევისას წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად საჭიროა ეროვნული პოპულაციის აღწერის სტანდარტულ ფორმაში გენდერული იდენტობისა და სექსუალობის შესახებაც ჩავრთოთ კითხვები (D'Augelli, 2003). მცირერიცხოვან კვლევებში ქვე-შერჩევები დიდი და რეპრეზენტაციული კვლევების შერჩევებიდან შეიქმნა. მაგალითად, ლესბოსელი ოჯახების ზოგადი მოსახლეობის ორი დიდი კვლევა ჩატარდა (აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში), რომელმაც ოჯახის ფუნქციონირებისა და ბავშვის განვითარების ზოგადი მოსახლეობის კვლევების მონაცემები გამოიყენა. აშშ-ში ფსიქოლოგმა და ეპიდემიოლოგმა სუზან კოჩრანმა და კოლეგებმა არაჰეტეროსექსუალთა ფსიქიკური და მენტალური ჯანმრთელობის საკვ-

ლევად, ამერიკული მოსახლეობის აღწერისა (Cochran and Mays, 2000) და ეროვნული კითხვარების (Gilman et al ., 2001) მონაცემები გამოიყენეს.

თვისებრივი კვლევისას რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებული შერჩევის მეთოდების გამოყენებისათვის მრავალი მიზეზი არსებობს. მაგალითად, როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, თვისებრივი კვლევების მიზანი „კონტექსტური მნიშვნელობისაა“. მისი ინტერესების სფეროშია საკითხები, თუ როგორ განსაზღვრავს კონტექსტი იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ადამიანები საკუთარ გამოცდილებებს ანიჭებენ; ის არ ცდილობს სანდო და განმეორებადი განზოგადებების გაკეთებას ფართო საზოგადოებაზე. გარდა ამისა, თვისებრივი კვლევა ინდივიდუალური მონაწილის გამოცდილებებსა და პერსპექტივებთან დეტალურ ჩართვას გულისხმობს. რაოდენობრივი კვლევა უმეტესწილად შედარებით მცირე ჯგუფებთან ხორციელდება (მაგალითად, 60 მონაწილე დიდ შერჩევად მიიჩნევა, 6-30 მონაწილე ყველაზე გავრცელებული რაოდენობაა). თვისებრივ კვლევაში ყველაზე გავრცელებული შერჩევის მეთოდი მიზნობრივი შერჩევაა, რომელიც მონაწილეებს შესაბამისი მახასიათებლების ქონის საფუძველზე ირჩევს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შესაბამისი ჯგუფები (მაგალითად, ქამინგ აუთის მხარდაჭერის ჯგუფის წევრები), საიდანაც მონაწილეების შერჩევა შეიძლება უკვე არსებობდეს, შერჩევის გაკეთების ერთ-ერთი გავრცელებული გზა „გუნდური პრინციპი“ ან „მეგობრების პირამიდაა“ (Browne, 2005). ამ დროს, მონაწილეები მკვლევარის პერსონალური კონტაქტებიდან შეირჩევა, შემდეგ კი ამ მონაწილეთა კონტაქტებიდან. მონაწილეებს სთხოვენ სხვა ადამიანებთან დაკავშირებას, ვისაც შესაძლოა კვლევასთან შესაბამისი მახასიათებლები და გამოცდილებები ჰქონდეს. მაგალითად, მკვლევარებმა შესაძლებელია, საკუთარი მეგობრებიდან ან ადგილობრივი გეი თემიდან აარჩიონ მონაწილეები და შემდეგ ამ მონაწილეებს სთხოვონ დააკავშირონ სხვა მეგობრებთან, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ ადგილობრივ თემთან კავშირში.

კარგი კვლევის პრინციპები

არაჰეტეროსექსისტური და არაგენდერისტული კვლევის ჩატარება

1991 წელს, ლგბ ფსიქოლოგთა ჯგუფმა ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ჟურნალ „ამერიკელ ფსიქოლოგში“ არაჰეტეროსექსისტური კვლევის წარმართვის რეკომენდაციები გამოსცა (Herek et al ., 1991). მას შემდეგ მეინსტრიმ ფსიქოლოგიაში ჰეტეროსექსიზმის თავიდან არიდების შესახებ ძალიან ცოტა დისკუსია ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ლბგტქ ფსიქო-

ლოგებს კვლევის პრაქტიკაზე გარკვეული გავლენა აქვთ, ალბათ, თქვენსავე უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში ბევრი დროის გატარება არ დაგჭირდებათ ჰეტეროსექსისტური და **გენდერისტული** კვლევების მოსაძებნად (მაგალითად, ტრანს ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული კვლევები). ვფიქრობთ, რომ 1991 წლის რეკომენდაციები, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თითქმის ოცი წლის წინანდელია, ჯერ კიდევ სასარგებლო რჩევებს სთავაზობენ არაჰეტეროსექსისტური და ინკლუზიური კვლევის ჩატარებაზე ორიენტირებულ მკვლევარებს. ჩვენ ვეცადეთ, ოდნავ შეგვეცვალა ეს რეკომენდაციები, რათა ისინი ქვიარ და ტრანს ადამიანების მიმართაც ინკლუზიურნი ყოფილიყვნენ. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ არაჰეტეროსექსისტური კვლევის განმარტება მხოლოდ ლგბტქ ადამიანებზე ორიენტირებულ კვლევებზე არ ვრცელდება; ყველა კვლევა, თუ ის გაცხადებულად თვითიდენტიფიცირებული ჰეტეროსექსუალების გამოცდილებების შესწავლაზე არ არის ორიენტირებული, უნდა ეცადოს, რომ თავი აარიდოს ზოგადი პოპულაციის ჰეტეროსექსუალობის დაშვებას. არაჰეტეროსექსისტური, არაგენდერისტული და ინკლუზიური კვლევა:

- ისეთ საკვლევ კითხვებს ეფუძნება, რომელიც ლგბტქ ადამიანების მიმართ ინკლუზიურია და თავს არიდებს ლგბტქ ადამიანების სტიგმატიზაციასა და სტერეოტიპიზაციას;
- არ ეფუძნება ისეთ საკვლევ კითხვებს, რომლებიც უშვებენ, რომ ლგბტქ ადამიანების ქცევა და პრაქტიკა მხოლოდ მათი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე აიხსნება;
- ეფუძნება შეძლებისდაგვარად რეპრეზენტაციულ და საკმარისად მრავალფეროვან შერჩევას;
- თავს არიდებს ისეთი გზებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ეყრდნობიან დაშვებას, რომ მონაწილეები ჰეტეროსექსუალები და არა-ტრანს ადამიანები არიან;
- განხორციელებულია ლგბტქ თემის შესახებ კარგად ინფორმირებული მკვლევარების მიერ;
- იღებს ზომებს, რათა დაიცვას მონაწილეები და არ ახდენს ნეგატიურ გავლენას ლგბტქ მონაწილეებზე;
- განსხვავებას აღიქვამს განსხვავებად და არა დეფიციტად;
- თავს არიდებს ჰეტეროსექსისტურ და გენდერისტულ ენას;
- აცნობიერებს კვლევის შეზღუდვებს და უშვებს კვლევის შედეგების არასწორად ინტერპრეტაციის შესაძლებლობის არსებობას;
- კვლევის შედეგებს მონაწილეებსა და ლგბტქ თემს აცნობს (აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ან თემებს ემსახურება);

სხვა მკვლევარებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები „რთულად ჩასართავ“ და მკვლევარის საკუთარი ჯგუფის გარეთ მყოფ მონაწილეებთან სამუშაოდ (McClennen, 2003; Wheeler, 2003); ეს რეკომენდაციები მნიშვნელოვან განზომილებას ამატებს უკვე შემოთავაზებულ პირობებს. მკვლევარმა, რომელიც „გარეშე პირის“ პოზიციიდან ატარებს კვლევას „რთულად ჩასართავ ჯგუფებთან“, უნდა:

- მოახდინოს თვითრეფლექსია კვლევის ჩატარების მოტივაციასა და კვლევის შედეგების გამოყენების გზებზე (მკვლევარებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არ არიან ნეიტრალურნი და კვლევა არ არის უწყინარი);
- მოახდინოს თვითრეფლექსია სოციალური მარგინალიზაციის მისეულ გაგებაზე (ამ საკითხების სიღრმისეული ცოდნა მონაწილეთა კონტექსტის მხედველობაში მიღებასა და მათი სიტუაციის უკეთეს ინტერპრეტაციას უწყობს ხელს);
- პარტნიორებად აღიქვას საკვლევი პოპულაციის წევრები და ითხოვოს რჩევები კვლევის ჩატარების შესახებ;
- დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია თემთან (რათა თავი აარიდოს გაუცხოებასა და საკუთარი თავის თავს მოხვევას) და თვალნათლივ ესმოდეს თავისი ეთიკური მოვალეობები;
- თავი აარიდოს წინასწარ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს გარკვეული თემის წევრობა; მან უნდა შეისწავლოს თემი და სადაც შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღოს მის ცხოვრებაში;
- მზად იყოს მისი კვლევის მიმართ წინააღმდეგობების გაჩენისა (თემის წევრების მხრიდან) და ლგბტქ კვლევის ჩატარებასთან ასოცირებული პირადი და პროფესიული რისკების შესახებ;
- იდეალურ შემთხვევაში, აწარმოოს კვლევა, რომელსაც თემისათვის მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება;

ლგბტქ თემის კვლევის საუკეთესო მაგალითების სანახავად იხილეთ ჩანართი 3.7, რომელიც ლგბტქ საკითხებზე სტუდენტური კვლევის განხორციელებისათვის რჩევებს გვთავაზობს.

ზოგიერთმა ჰეტეროსექსუალმა ფსიქოლოგმა გაბედული ნაბიჯი გადადგა და საკუთარ კვლევაში ჰეტეროსექსიზმთან შეჯახებაზე ისაუბრა. ახალზელანდიელი ფემინისტი ფსიქოლოგი ვირჯინია ბრაუნი (2000) აღწერს, თუ როგორ უხერხულად ჩართო ჰეტეროსექსიზმი თვისებრივ, ფოკუს ჯგუფზე დაფუძნებულ კვლევაში ქალების საკუთარ ვაგინაზე საუბრის გზების შესახებ. მან აღმოაჩინა რამდენიმე გზა, რომლის დროსაც თვითონ და მისი კვლევის მონაწილეები თვალნათლივ ჰეტეროსექსისტურ დაშვებებს იყენებდნენ. მაგალითად, ქალებზე საუბარი ჰეტეროსექსუალ ქალებზე საუბარი გახდა და შესაბამისად, სრულად გამორიცხა ლესბოსელი ქალები.

შეკითხვები სექსის შესახებ, მყისიერად **ჰეტეროსექსუალურ სექსად** იქცა (სპეციფიკურად კი პენისის ვაგნაში პენეტრაციად) და „პარტნიორზე“ საუბარი ავტომატურად მამრობით პარტნიორს გულისხმობდა. ბრაუნმა ასევე ვერ მოახერხა ჰეტეროსექსისტურ დაშვებებთან შეწინააღმდეგება და აღნიშნა, რომ ეს ზოგჯერ მონაწილეებმა შეძლეს. ბრაუნმა თქვა, რომ არ მიაჩნია, რომ ასეთი ჰეტეროსექსიზმი უჩვეულოა ჰეტეროსექსუალი მკვლევარების კვლევებში, რომლებიც სპეციფიკურად ლესბოსურ გამოცდილებაზე არ არის ორიენტირებული. ის ამბობდა, რომ ჰეტეროსექსუალი მკვლევარები უნდა შეეწინააღმდეგონ საკუთარ ჰეტეროსექსიზმს, მასზე პასუხისმგებლობა აიღონ და შეეცადონ მისი შეცვლის გზები მოძებნონ.

ჩანართი 3.7. რჩევები და მინიშნებები ლგბტქ ფსიქოლოგიის კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის

- თუ კვლევისათვის ლგბტქ შერჩევის მოძიება გსურთ, იფიქრეთ, შეგიძლიათ თუ არა შესაბამისი შერჩევის მოძიება (თუ თქვენს ხელმძღვანელს ამ სფეროში გამოცდილება არ აქვს, შესაძლოა, მან ვერ შეძლოს მონაწილეების შერჩევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მოწოდება). გაქვთ თუ არა რაიმე კავშირები, რომლებსაც შეიძლება დაეყრდნოთ შერჩევის შედგენისას? იცით თუ არა რაიმე ორგანიზაცია, ვისაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ, ან ღონისძიებები, რომლებსაც შეგიძლიათ დაესწროთ მონაწილეების მოსაძიებლად?
- მზად იყავით, რომ ლგბტქ მონაწილეების შესარჩევად მეტი დრო დაგჭირდებათ, ვიდრე თქვენს თანატოლებს, რომლებიც სტუდენტურ შერჩევებს იყენებენ (მზად იყავით შემოქმედებითობის გამოსაჩენად).
- თუკი მონაწილეების მოძიებაში დასახმარებლად ლგბტქ ორგანიზაციას მიმართავთ, პატივისცემით მოეპყარით მათ დროსა და რესურსებს. ასეთი ორგანიზაციები ხშირად ძალიან მცირე (ან არანაირ) ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ და მათ ძალიან ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის მონაწილეებთან დასაკავშირებლად. მათი დახმარების სანაცვლოდ შეგიძლიათ მოხალისეობაზე იფიქროთ.
- თუკი ლგბტქ საკითხებზე ჰეტეროსექსუალთა აზრის კვლევა გაინტერესებთ, დარწმუნდით, რომ სპეციფიკურად ჰეტეროსექსუალი ადამიანები მოიწვიეთ კვლევაში (თორემ შესაძლოა, გაკვირვებულნი აღმოჩნდეთ)
- იფიქრეთ, გსურთ თუ არა საკუთარი გენდერული იდენტობისა და სექსუალობის გამჟღავნება მონაწილეებთან. ბევრი მონაწილე შეიძლება დაინტერესდეს თქვენი კვლევის მოტივაციით - რას უპასუ-

ხებდით?

- თუ ლგბტქ თემის წევრი ხართ, არ იფიქროთ, რომ მონაწილეები თავისთავად „თავისიანად“ აღგიქვამენ. „ჯგუფის წევრის“ სტატუსი მნიშვნელოვნად არის განპირობებული მკვლევარის თქვენეული პოზიციით, თქვენი იდენტობითა და თქვენი სოციალური სტატუსით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ არ გამოგეპაროთ, თუ რა არის ისედაც თვალნათელი თქვენთვისა და მონაწილეებისათვის.
- შესაძლოა, გსურდეთ საკუთარ კვლევაში „მონაწილეობაზე დაფუძნებული მეთოდი“ გამოიყენოთ და თქვენი ანალიზის შეფასება მონაწილეებს სთხოვოთ; ან „ექსპერტი მონაწილე“ დანიშნოთ, ვინც მონაწილეთა მოძიებაში, კვლევის დიზაინსა და დასკვნების გაკეთებაში დაგეხმარებათ.
- თუ მონაწილეები მონაწილეობის შემდეგ სტრესის ქვეშ იქნებიან, სასურველია „კულტურულად შესაფერის“ დახმარების ორგანოებში გადაამისამართოთ. თქვენი პასუხისმგებლობაა იმის გარანტირება, რომ ეს დახმარება ლგბტქ ადამიანებისთვისაც ღიაა და გამოცდილია ამ ჯგუფის დასახმარებლად.
- კარგ პრაქტიკად მიიჩნევა მონაწილეებისათვის კვლევის შედეგების გაცნობა. თუ თქვენს პროექტს ლგბტქ ორგანიზაციის დახმარებით განახორციელებთ, აუცილებლად გაუგზავნეთ თქვენი კვლევის შედეგები.

ბრაუნის ნაშრომი ხაზს უსვამს ჰეტეროსექსისტური დაშვებების მაცდურობას, რადგან მათ „საერთო“ აზრის“ ფორმა აქვთ და ყველაზე ეთიკურად მგრძნობიარე მკვლევარებსაც კი ურთულდებათ ინკლუზიური კვლევის წარმოება.

კვლევის ეთიკა

ლგბტქ ფსიქოლოგებისთვის მონაწილეების დაცვა და ეთიკურად გამართული კვლევის ჩატარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. პროფესიული დაჯგუფებების მაგალითად გამოგვადგება BPS-სა და APA-ს მიერ შექმნილი ეთიკის კოდექსები მონაწილეების ზიანისაგან დაცვის შესახებ, რომელიც ეთიკური კვლევის წარმართვისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოა. მიზანი და მარტინი (2003) აღნიშნავენ, რომ ლგბტქ კვლევა ყოველთვის ისეთ კონტექსტში ტარდება, სადაც ლგბტქ ადამიანები სოციალურად მარგინალიზებულნი და დისკრიმინაციისა და ცრურწმენების საფრთხის ქვეშ არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლევებს ლგბტქ მონაწილეებისთვის ზიანის მიყენების მეტი პოტენციალი აქვთ.

ასევე ამბობენ, რომ კვლევები, რომელიც ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციურ მოდელს უჭერს მხარს, ეთიკურად გაუმართავია. „ზიანის არიდების“ პრინციპის დამრღვევი კვლევის მრავალი მაგალითი არსებობს, მათ შორის თანამედროვე კვლევები, რომლებიც „გარდაქმნის თერაპიის“ ეფექტურობას აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს ინდივიდუალურად შესაძლოა არ განუცდიათ ზიანი კვლევის განმავლობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდაქმნის თერაპიის ეფექტურობის მტკიცება უფრო ფართოდ აყენებს ზიანს ზოგადად არაჰეტეროსექსუალ მოსახლეობას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც კვლევების პოტენციურ მონაწილეებს შეიძლება მიადგეს, კვლევის პროცესში ანონიმურობის დაუცველობა და მათი სექსუალური იდენტობის გამჟღავნებაა. ეს რისკი მცირე თემებში უფრო იზრდება. ანონიმურობის დაცვის ყალბი გარანტიების შეთავაზების მაგივრად, უმჯობესია მცირე თემების კვლევისას მკვლევარებმა რეალისტურად განსაზღვრონ, თუ რამდენად შეუძლიათ მონაწილეთა ანონიმურობის დაცვა და ინდივიდუალურად შეუთანხმდნენ მონაწილეებს. მკვლევარები, რომლებიც საკვლევი ჯგუფის წევრები არიან, შესაძლოა ეთიკური დილემების წინაშე „ჩვენიანის“ სტატუსის გამო დადგეს. მაგალითად, შესაძლებელია, მათ გაუჭირდეთ კვლევის არასასურველი (ან რაც შეიძლება არასასურველად იყოს აღქმული) შედეგების გამოქვეყნება. ასევე შესაძლოა, მკვლევარებს გაუჭირდეთ მონაწილეებთან „ორმაგ ურთიერთობასთან“ გამკლავება, როცა მკვლევარი მონაწილის მეგობარი და კოლეგაც არის. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური კოდექსები უმეტესად უარყოფითად არიან განყობილნი „ორმაგი ურთიერთობების მიმართ“, განსაკუთრებით, მცირე ჯგუფებში, ამის თავიდან არიდება ძალიან რთულია. მკვლევარის მეგობრებსა და კოლეგებს შესაძლოა გაუჭირდეთ კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა. ამ დროს კი რთულია, დაიცვა მონაწილეების პირადი ინფორმაცია და კონფიდენციალობა და განაცალკევო ორი სხვადასხვა ურთიერთობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. ზიანის მიყენების დიდი რისკია „დევიაციური ქცევების“ (მაგალითად, ნარკოტიკის მოხმარება, ოჯახური ძალადობა და სარისკო სქესობრივი ქცევა) შესწავლისას. როგორც აღვნიშნეთ, მკვლევარმა სათანადოდ უნდა გათვალოს კვლევის ლგბტქ მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენების პოტენციალი.

კვლევის ეთიკა ასევე მკვლევარის უსაფრთხოებას და კვლევის პროცესში მკვლევარისთვის ზიანის მიყენების საშიშროებას მოიცავს. ბევრი ლგბტქ მკვლევარი კვლევის განმავლობაში ჰეტეროსექსიზმს განიცდის და სექსუალობის საკითხით დაინტერესებული მკვლევარები ხშირად არიან „უწესო ქცევისათვის“ უსამართლო ბრალდებების პოტენციური მსხვერპლნი.

ეთიკური ნორმების სიღრმისეულად დაცვის მრავალი მაგალითიც არსებობს, როცა მკვლევარმა დიდი ძალისხმევა გაიღო მონაწილეების დასაცავად. თუ ლგბტქ ფსიქოლოგიაში კვლევის ჩატარებას აპირებთ, ჩვენი რჩევაა, მხედველობაში მიიღოთ ამ თავში განხილული საკითხები და ლგბტქ პოპულაციის კვლევის კარგი მაგალითი შექმნათ.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

- ლგბტქ ფსიქოლოგიაში მეთოდოლოგიის შესახებ საკმაოდ მცირე დისკუსიაა (ამ თავის წერისას, სხვა დაკავშირებულ მეცნიერებებს, მაგალითად სოციოლოგიას, დავეყრდენით), და ისიც უმეტესწილად შერჩევის შედგენაზეა ორიენტირებული. სასურველი იქნებოდა, ლგბტქ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ ასპექტებზე და სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების ამ დისციპლინისათვის გამოსადეგობაზე მეტი განხილვა და რეფლექსია იყოს.
- პოზიტივისტურ-ემპირიული (განსაკუთრებით აშშ-ში) მიდგომის დომინანტობა თვისებრივ მეთოდებს მარგინალიზებულ ადგილს უტოვებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვისებრივ და კრიტიკულ კვლევას ისეთივე ღირებულება აქვს, როგორც რაოდენობრივ და ექსპერიმენტულ კვლევებს. სასურველი იქნება თვისებრივი და კრიტიკული მეთოდების მეტი გამოყენება, ასევე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება და მეტი მეთოდოლოგიური მრავალფეროვნების მიღწევა ლგბტქ ფსიქოლოგიაში.
- პოზიტივისტურ-ემპირიული მიდგომის დომინანტობა ასევე იმას ნიშნავს, რომ ძალიან ცოტა ანალიტიკური განხილვაა რაოდენობრივი კვლევების უპირატესობისა და მისი დასკვნების შესახებ. თვისებრივ და კრიტიკულ მეცნიერებს, მათი „ნორმიდან გადახრილობის“ გამო, ხშირად უწევთ მეინსტრიმ ფსიქოლოგიის მიერ უარყოფის, მათი ფსიქოლოგიური მიდგომის ეჭვქვეშ დაყენებისა და თვისებრივი და კრიტიკული მეთოდების უპირატესობების ახსნა. ამ დროს ნორმაში მოქცეულებს არ სჭირდებათ საკუთარი პოზიციისა და საკუთარი დასკვნების განმარტება. სასურველია, მეინსტრიმ ფსიქოლოგები უფრო კრიტიკულად უდგებოდნენ მეცნიერებას და თვისებრივ და რაოდენობრივ, მეინსტრიმ და კრიტიკულ მეცნიერებს შორის უფრო ღია დიალოგი იყოს.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- გამოვყავით ლგბტქ ფსიქოლოგების მიერ აქცენტირებული მეთოდები და მიდგომები და განვსაზღვრეთ მათი უპირატესობები ლგბტქ კონტინგენტის კვლევისას;

- ხაზი გავუსვით იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც ლგბტქ ფსიქოლოგები დგებიან ლგბტქ მოსახლეობის შერჩევისას, განსაკუთრებით კი ნაკლებად ხილვადი და კვლევაში ძნელად ჩასართავი ჯგუფების შემთხვევაში;
- გამოვყავით რეკომენდაციები კარგი ლგბტქ კვლევისათვის, როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკურად ძნელად ჩასართავ და სოციალურად მარგინალიზებულ ჯგუფებთან მუშაობისას;

კითხვები განხილვისათვის და საკლასო სავარჯიშოები

- მოიძიეთ და წაიკითხეთ ვირჯინია ბრაუნის (2000) ნაშრომი ფოკუს ჯგუფის კვლევაში ჰეტეროსექსიზმის შესახებ და საკუთარი პროექტისათვის მონაცემების შეგროვებისას, ჰეტეროსექსიზმის თავიდან ასაცილებლად, გამოყავით სამი გზა;
- რა არის ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ლგბტქ ფსიქოლოგებს ხვდებათ ლგბტქ პოპულაციის კვლევისას? როგორ შეიძლება ამ ბარიერების გადალახვა?
- იპოვეთ ახალი ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევა და თავში განხილული საკითხების გათვალისწინებით, კრიტიკულად შეაფასეთ იგი. მაგალითად: ნათლად განსაზღვრული და მისაღებია თუ არა კვლევის მიზნები? როგორ მოიპოვა მკვლევარმა მონაწილეები? რამდენად შეზღუდულია შერჩევა (და თუ ასეა, რა გავლენას მოახდენს ის კვლევის შედეგებზე?) არის თუ არა კვლევაში რაიმე ეთიკური დარღვევები? განიხილავს თუ არა მკვლევარი „ჯგუფის წევრის“ და „გარეშე პირის“ დინამიკას? გამართლებული და ახსნილია თუ არა კვლევისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდები? დაცულია თუ არა არაჰეტეროსექსიზმის, არაგენდერიზმისა და ინკლუზიურობის პრინციპები? აქვს თუ არა კვლევას მნიშვნელობა პოზიტიური სოციალური ცვლილებისათვის?
- შეადარეთ და განიხილეთ სხვადასხვა კვლევის მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები ლგბტქ ფსიქოლოგიისათვის.
- რა გზებით ახდენს მკვლევარის პირადი შეხედულებები გავლენას კვლევაზე? დადებითად მოქმედებს ეს კვლევის შედეგებზე თუ უარყოფითად?

ნაწილი მეორე
სოციალური მარგინალიზაციის გაგება ლგბტქი ადამიანების ცხოვრებაში

თავი 4
მრავალფეროვნება

თავის მიმოხილვა:

- განსხვავებულობა ლგბტქ თემში
- გენდერი
- ბისექსუალობა
- ტრანსგენდერი და ქვიარი
- სოციალური კლასი
- რასა
- ორგანიზებული რელიგია და სულიერება
- სოფლად ცხოვრება
- უნარები

განსხვავებულობა ლგბტქ თემს შიგნით

ამ თავში ვისაუბრებთ ლგბტქ თემს შიგნით არსებულ მრავალფეროვნებასა და იმ განსხვავებულ იდენტობებზე, რომლებიც ლგბტქ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ. ეს თავი ერთგვარი ხიდია სამ საწყის თავს შორის, რომლებიც ერთად წარმოადგენენ ლგბტქ ფსიქოლოგიას, როგორც სფეროს, და მისი ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების მიმოხილვას. წიგნის დანარჩენი ნაწილი შეეხება ლგბტქ ფსიქოლოგიის საკვანძო საკითხებს.

ლგბტქ თემში მრავალფეროვნებისადმი ყურადღების მიპყრობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ეს საშუალებას გვაძლევს, გავაცნობიეროთ ის შეზღუდვები, რომლებსაც წარმოშობს ერთი კონკრეტული საკვლევი ფსიქოლოგიური მოდელისა და პრაქტიკის მიყენება ადამიანთა ჯგუფის მთელი სპექტრისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში გამოყენებული მასალა ძირითადად თეთრკანიანი, საშუალო კლასის გეი და ლესბოსელი მკვლევარების მიერ არის შედგენილი, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ ამ

ჯგუფის გამოცდილება არ ასახავს ყველა ლგბტქ ადამიანის გამოცდილებას. ამასთან ერთად, მართებული არ იქნებოდა, გვეთქვა, რომ გეები და ლესბოსელები ერთად თანმიმდევრულ, შეწყობილ და ერთიან ჯგუფს წარმოადგენენ. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ლგბტქ ადამიანების გამოცდილებათა ფართო სპექტრს და მიმოვიხილავთ იმ მწირ ფსიქოლოგიურ კვლევებს, რომლებიც ამ სფეროში არსებობს. ასევე, განვიხილავთ კვლევებს ისეთი სფეროებიდან, როგორიც არის სოციოლოგია, ფემინიზმი და ქვიარ თეორია. ჩვენ ასევე ხაზს ვუსვამთ იმის საჭიროებას, რომ ლგბტქ ფსიქოლოგებმა გადასინჯონ ფსიქოლოგიის ძირეული დებულებები/დაშვებები (მაგ. თეთრკანიანობის ნორმა, საშუალო კლასის ჰეტეროსექსუალობა) და იკვლიონ მათი უარყოფითი გავლენა ამ დისციპლინაში არსებული ცოდნის განაცხადებზე. **ჩანართი 4.1**. გვიჩვენებს მაგალითს იმისა, თუ რა გავლენა მოახდინა ლგბტქ თემს შიგნით განსხვავებულობის უგულვებელყოფამ ლგბტქ ფსიქოლოგიურ კვლევაზე, რომელიც მუდმივად ახდენს რასისა და კულტურის ირგვლივ არსებული პრობლემური სოციალური ნორმების რეპროდუქციას.

ჩანართი 4.1. დემიენ რიგზი (2007ა): რასის მნიშვნელობის აღიარება ლგბტქ ფსიქოლოგიაში

ამ კვლევაში დემიენ რიგზი განიხილავს იმას, თუ როგორ ახდენს ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევა (რომელიც შეიცავს რასობრივად განსხვავებულ სამიზნე ჯგუფებს) პრობლემური დაშვებების რეპროდუქციას, თეთრკანიანობაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური საზომების გამოყენების შედეგად. „თეთრკანიანობაზე“ საუბრისას, დემიენი საუბრობს იმაზე, თუ როგორ განიხილება თეთრკანიანი (და უმეტესად, საშუალო კლასის, ჰეტეროსექსუალი) ადამიანების ცხოვრება ნორმად, ხოლო ყველა დანარჩენი ადამიანი - ამ ნორმიდან გადახრად. ამ კუთხით, თეთრკანიანობა უტოლდება თეთრი ადამიანების ხელთ არსებულ საკუთრებას, რომელიც მათ საგრძნობ პრივილეგიებს ანიჭებს. მნიშვნელოვანია, რომ დემიენი ამგვარი პრივილეგიების არსებობას უკავშირებს იმ ხელმოკლეობას, რომელიც არათეთრკანიან ადამიანებს ხვდებათ ხოლმე წილად. მაგალითად, ავსტრალიის კონტექსტში, თეთრკანიანი ადამიანები ცხოვრობენ მიწაზე, რომელიც მკვიდრ ხალხს მოპარეს. ამგვარად, ის ფარდობითი პრივილეგიები, რომლებითაც თეთრკანიანი ადამიანები სარგებლობენ ავსტრალიაში, მკვიდრი ხალხის ხარჯზე არსებობს, იმიტომ, რომ კოლონიზაციის შედეგად ეს უკანასკნელნი დღესაც კი საგრძნობ ეკონომიკურ, ოჯახურ, ლეგალურ, პოლიტიკურ და სოციალურ სირთულეებს აწყდებიან.

ლგბტქ ფსიქოლოგიის ათი ნაშრომის განხილვით, რომლებიც, ასე თუ ისე, სხვადასხვა რასობრივი და კულტურული ჯგუფების გამოცდილებაზე ფოკუსირდება (და ხშირად ამ ჯგუფების შედარებასაც ახდენს), დემიენმა გამოკვეთა ოთხი დომინანტური მიმართულება, რომლის მეშვეობითაც ლგბტქ ფსიქოლოგია ჩამოყალიბებულია თეთრკანიანობის ნორმის მიხედვით და გამოყო ის გზები, რომლებითაც არათეთრკანიანი ადამიანები პრივილეგიებს არიან მოკლებულნი:

* *დაშვება, რომ მხოლოდ არათეთრკანიანი ადამიანები არიან რასის თვალსაზრისით განხილულნი.* ეს ცხადი იყო, როდესაც რასობრივი კატეგორიები გამოიყენებოდა მხოლოდ არათეთრკანიან ადამიანებთან მიმართებაში და როდესაც თეთრკანიანების რასობრივი იდენტობები არ იყო სახელდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თეთრკანიანი ადამიანები, რესურსების არათანაბარი გადანაწილების გამო, საზოგადოებაში პრივილეგიებს მოკლებულად არ მიიჩნევიან.
* *დაშვება, რომ ყველა არათეთრკანიანი ადამიანი ერთნაირია.* ეს ჩანს, როდესაც არათეთრკანიანი ადამიანების ცალკეული ჯგუფები განთავსებულ იქნა ისეთ ზოგად კატეგორიაში, როგორიცაა "შავკანიანი". მსგავსი მიდგომა გამორიცხავს <u>რასობრივად მარგინალიზებული</u> ჯგუფების უნიკალურ ინდივიდუალურ გამოცდილებას და ამას აღწევს თეთრკანიანი და არათეთრკანიანი ადამიანების ერთმანეთთან ზოგადი შედარების მეშვეობით.
* *დაშვება იმისა, რომ არ შეიძლება რასის გამოყენება/მიჩნევა "პრივილეგიურ ცვლადად".* ეს, როგორც წესი, მაშინ ხდებოდა, როდესაც რეგრესიის ანალიზი გამოყენებული იყო "კონტროლის" მექანიზმად რასის გავლენასთან მიმართებაში იმისათვის, რომ სხვაგვარ განსხვავებულობას მიექცეს ყურადღება. რასის ამგვარი გაგება იგნორირებას უკეთებს მრავალრიცხოვან და კომპლექსურ მექანიზმს, რომელთა გამოც რასობრივი კატეგორიები ყველა ჩვენგანის ცხოვრების სტრუქტურირებას ახდენს.
* *იდენტობისა და გაზომვის განზოგადებული მოდელების გამოყენება.* ეს ხდებოდა, როდესაც თეთრკანიან მოსახლეობაზე მორგებული/ნორმირებული ფსიქოლოგიური ტესტები გამოიყენებოდა არათეთრკანიან მოსახლეობასთან მიმართებაში და როდესაც დასავლეთის ქვეყნებში განვითარებული კატეგორიები (როგორიცაა „ლესბოსელი"), მიეწერებოდა ინდივიდებს იმ ქვეყნებიდან, სადაც მსგავს იარლიყებს უმნიშვნელო დატვირთვა ჰქონდა.

ამ დაშვებებმა ერთად განაპირობეს მარცხი არათეთრკანიან ადამიანთა ჯგუფების მთელი სპექტრის უნიკალურ გამოცდილებათა გაგების კუთხით და მოახდინეს თეთრკანიანობის ნორმის ჩამოყალიბება და რეპ-

როდუქცია, რომელთანაც ყველა დანარჩენი ჯგუფი შედარდება ხოლმე. თავის ნაშრომში დემიენი გამოყოფს, თუ რატომ არ არის საკმარისი იდენტობის კრებითი მოდელები მრავალშრიანი იდენტობების გაგებისთვის. ის ასევე საუბრობს იმაზე, რომ არათეთრკანიანი ადამიანების უბრალოდ „ჩამატება“ ლგბტქ ფსიქოლოგიაში საკმარისი არაა. საჭიროა, ლგბტქ ფსიქოლოგებმა ფუნდამენტურად გადაახარისხონ ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ამ სფეროს აყალიბებს.

იმისათვის, რომ მკითხველმა კარგად გაიგოს ლგბტქ თემს შიგნით არსებული განსხვავებულობა, ჩვენ გამოვყოფთ განსხვავებულობის რვა ურთიერთგადამფარავ სფეროს. ამ თავის კითხვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თითოეული ამ სფეროს გავლენა როგორც ერთმანეთზე (მაგ. როგორ შეიძლება კლასი და რასა გადაიკვეთოს და განაპირობოს/ფორმა მისცეს არაჰეტეროსექსუალი ადამიანებისათვის ჰეტეროსექსიზმის გამოცდილებას?), ასევე წიგნში განხილულ უფრო ფართო საკითხებზე (მაგ. როგორ შეიძლება შეზღუდული უნარების მქონე ლგბტქ ადამიანების რომანტიკული/სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება განსხვავდებოდეს სხვა სრულუნარიანი ლგბტქ ადამიანების გამოცდილებისგან?) მთელს წიგნში აქტიურად ვიყენებთ ურთიერთგადაკვეთის - ინტერსეციონალურობის - ცნებას იმის ხაზგასასმელად, რომ ლგბტქ ფსიქოლოგიამ აუცილებლად უნდა იკვლიოს სხვადასხვა გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ჩასმულები არიან დომინანტურ სოციალურ კატეგორიებში (იხ. თავი 11). ამ კონცეპტს ასევე ვიყენებთ იმის ცხადყოფისთვის, რომ სხვადასხვა იდენტობა ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ განიხილება. ისინი წარმოადგენენ ურთიერთგადამფარველ კატეგორიებს, რომლებიც ერთობლიობაში სპეციფიკურ მსოფლიო გამოცდილებებს წარმოქმნიან. ეს მნიშვნელოვანი მიდგომაა ლგბტქ ადამიანების გამოცდილების გასაგებად იმიტომ, რომ თუკი ჩვენ მხოლოდ სექსუალურ და გენდერულ იდენტობებს მივაპყრობთ ყურადღებას, შევზღუდავთ ჩვენს უნარს ლგბტქ თემის, მის მთელ მრავალფეროვნებას, უფრო კომპლექსურ და ურთიერთგადამფარავ საჭიროებებს შევეხოთ.

ჩვენ ასევე გვსურს, მოვუწოდოთ მკითხველს, დაფიქრდეს, თუ როგორ უკავია ლგბტქ თემში ზოგიერთ ქვეჯგუფს უფრო დიდი ძალაუფლების პოზიცია სხვა ჯგუფებთან შედარებით. ლგბტქ თემი საზოგადოების ისეთივე ნაწილია, როგორც ნებისმიერი სხვა ჯგუფი – ის მოიცავს შეხედულებების ფართო სპექტრის მქონე ადამიანებს, რომელთა ნაწილიც ხშირად არ ემთხვევა იმ „პროგრესულ“ ან „რადიკალურ“ შეხედულებებს, რომლებსაც ბევრი მიაწერს ლგბტქ ადამიანებს. ლგბტქ თემის მრავალ-

ფეროვნების შესწავლისას ჩვენ ვსვამთ კითხვას: როგორ და რატომ ხდება ისე, რომ ზოგიერთი ლგბტქ ადამიანი უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობს სხვა ლგბტქ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც უფრო მეტად არიან ამ პრივილეგიებს მოკლებულნი? პრივილეგიისა და ხელმოკლეობის გადაკვეთის გაგება ამ თავის ცენტრალური თემაა.

გენდერი

ჩანართი 4.2. სარა ოერტონი (1998): ერთსქესიანი ურთიერთობების „გენდერისგან დაცლილ“ მოდელზე

ამ თეორიულ კრიტიკაში, რომელიც მიმართულია ლესბოსური ოჯახური კერის, როგორც გენდერთან დაკავშირებული პროცესებისა და პრაქტიკებისაგან „დაცლილის“, მახასიათებელი კვლევისადმი, ბრიტანელი სოციოლოგი, სარა ოერტონი, ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ გენდერი ნაკლებ ხილვადია ამ ოჯახებში, ის მაინც მნიშვნელოვანია. ის აღნიშნავს, რომ თანამცხოვრები ლესბოსელი წყვილები სახლის საქმის განაწილების მხრივ აღიქმება უფრო ეგალიტურად და უფრო დემოკრატიული გადაწყვეტილებების მქონედ, ვიდრე - ჰეტეროსექსუალი წყვილები. ამის შედეგად, ლესბოსურ ურთიერთობებში, გენდერულ მიკუთვნებულობაზე დაფუძნებული განსხვავებები განხილულია (პოტენციურად მაინც), როგორც არარსებული. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ლესბოსელებიც იზიარებენ ჰეტეროსექსუალი ქალების გამოცდილებას, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ქალებს, ზოგადად, კაცებთან შედარებით, სახლთან დაკავშირებულ ზოგიერთ საქმეში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება სჩვევიათ. ოერტონმა დასვა შეკითხვა, „შეიძლება თუ არა, რომ ლესბოსელებმაც, ისევე, როგორც ჩვენ, აიღონ საკუთარ თავზე მტვრის გადაწმენდისა და საკვების მომზადების პასუხისმგებლობა და იყვნენ „დიასახლისები?““ (გვ.76). მან დაასკვნა, რომ დროა, ზოგიერთმა ლესბოსელმა, როგორც დავალების შემსრულებელმა, ხმა აღიმაღლოს დიდი ხნის განმავლობაში დისკრედიტებულ „დიასახლისის“ იდენტობაზე, და გამოვიდეს თავის ჰეტეროსექსუალ დებთან ერთად, როგორც ხილვადი ამაყი და მზრუნველი ქალი, რომელიც სისტემურად ასრულებს მნიშვნელოვან, წინააღმდეგობებითა და მოთხოვნებით სავსე სამუშაოს ოჯახისთვის, ნათესავებისთვისა და სახლისთვის (გვ.79).

ვიქტორია კლარკი და ელისაბედ პილი (Clarke and Peel, 2007b) ამტკიცებენ, რომ გენდერი ლგბტქ ადამიანების კვლევებიდან ხშირად გამოტოვებულია. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ ლგბტქ ფსიქოლოგია ფოკუსირდება ლესბოსელებსა და გეი კაცებზე. იმის გამო,

რომ ლესბოსელები და გეები სექსუალურ და ემოციურ ურთიერთობას თავისივე სქესის/გენდერის ადამიანებთან ამყარებენ, დაშვებულია, თითქოს ერთსქესიან ურთიერთობებში არავითარი გენდერული განსხვავება არ არსებობს. ეს დაშვება ხშირად მოიხსენიება, როგორც ლგბტქ ურთიერთობების „გენდერისგან დაცლილი“ მოდელი (იხ. ჩანართი 4.2.). ამასთან ერთად ლესბოსელები და გეები ხშირად განიხილებიან, როგორც ჰომოგენური ჯგუფი, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან მსგავსი სექსუალობა აკავშირებს. მსგავსი დაშვებები პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო:

* ისინი უგულვებელყოფენ გენდერულ განსხვავებულობას ბისექსუალურ ურთიერთობებში (საპირისპირო სქესსა და ერთსქესიან პარტნიორებს შორის);
* ისინი უგულვებელყოფენ გენდერული ნორმების გავლენას ტრანსგენდერ ადამიანებზე;
* ისინი უგულვებელყოფენ იმ გამოწვევას, რომელსაც ქვიარად იდენტიფიცირებული ადამიანები წარმოადგენენ დომინანტური გენდერული ნორმებისა და კატეგორიებისათვის;
* სხვადასხვა გენდერის მქონე ადამიანების გამოცდილება ერთ ქვაბში იხარშება იმგვარად, რომ უგულვებელყოფილია ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები (მაგ. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „ლესბოსელებზე“ან „გეებზე“, როგორც ჯგუფზე, ჩვენ ვტოვებთ განსხვავებულ გამოცდილებებს იმ ქალებისა და კაცებისა, რომლებიც კაცების მიერ დომინირებულ კულტურაში ცხოვრობენ).

ეს მაგალითები (და ასეთი კიდევ ბევრია), გვიჩვენებს, რომ გენდერის განსხვავებული გამოცდილების აღიარება ლგბტქ თემში განსხვავებულობის გასაგებად ცენტრალური მნიშვნელობისაა. ახლა ამ გენდერული გამოცდილებიდან ზოგიერთს უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ფემინისტმა მკვლევარებმა დიდი ხნის წინ აღნიშნეს, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს გენდერული ნორმები ყველა ადამიანის ცხოვრებაზე, იქნება ეს ქალებისათვის პრივილეგიების ჩამორთმევა თუ კაცებისათვის ამ პრივილეგიების მინიჭება (იხ. თავი 2). ლგბტქ თემში, მიუხედავად იმისა, რომ „თემის“ ცნება თითქოსდა აღწერს ინკლუზიურ და უსაფრთხო გარემოს *ყველა* ლგბტქ ადამიანისთვის, ხშირად ხდება ისე, რომ ასეთი სივრცე ფართო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გენდერული დინამიკის რეპროდუქციას ახდენს, სადაც კაცის ხმები და საჭიროებები ქალისაზე მაღლა დგას (მაგ. იხ.: Humphrey, 2000). როდესაც გეი კაცების გამოცდილება განზოგადებულია ყველა ლგბტქ ადამიანის გამოცდილებაზე საუბრისას, ან, როდესაც ლგბტქ კვლევა ფოკუსირებულია უპირველეს ყოვლისა გეი

კაცების ცხოვრებაზე, ჩვენ შეგვიძლია, დავინახოთ, რომ გენდერული განსხვავებები და კაცებით დომინირებულ საზოგადოებაში ცხოვრების გავლენა სწორედაც რომ აყალიბებს ლგბტქ თემსა და ლგბტქ ფსიქოლოგიას.

ლგბტქ თემში განსხვავებულობის სხვა მაგალითი არის უთანასწორობა, რომელიც არსებობს ბისექსუალ და ლესბოსელ დედებსა და ბისექსუალ და გეი მამებს შორის. საერთაშორისო გეი და ლესბოსური ასოციაციის (ILGA,1998) ანგარიშში ნათქვამია, რომ ლესბოსელი დედები (მარტოხელა თუ წყვილში მყოფი) ხშირად საგრძნობ ეკონომიკურ სირთულეებს განიცდიან იქიდან გამომდინარე, რომ ქალებს, ზოგადად, ჯერ კიდევ ნაკლებს უხდიან, ვიდრე კაცებს და მათ მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შოვნის შედარებით ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ (იხ. ასევე თავი 8). გამოდის, რომ ორი მშობლისაგან შემდგარ ლესბოსურ ოჯახს, საშუალოდ, ექნება უფრო დაბალი კომბინირებული საერთო შემოსავალი, ვიდრე ორი მშობლისაგან შემდგარ ჰეტეროსექსუალურ ან ორი მშობლისაგან შემდგარ გეი ოჯახს. ამის მსგავსად, გეი მამებს ხშირად უწევთ შვებულების აღება ბიოლოგიური შვილების ყოლის პროცესში; თუმცა ეს, როგორც წესი, მოკლე დროით ხდება და შედარებით ცუდ ზეგავლენას ახდენს სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებზე, ვიდრე ლესბოსელი დედების მიერ მოთხოვნილი სადეკრეტო შვებულება. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმოქმნის რეალურ უთანასწორობას გენდერული განსხვავებები ლესბოსელებისა და გეების ეკონომიკურ უსაფრთხოებაში.

ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ გეი კაცები არ იმყოფებიან „გენდერს მიღმა“; გენდერული ნორმებიც გეი კაცების ცხოვრებაზე ისეთივე გავლენას ახდენენ, როგორსაც სხვა ადამიანების ცხოვრებაზე. მაგალითად, ხშირად მიიჩნევა, რომ გეები ეწინააღმდეგებიან მასკულინობის კონვენციურ ნორმებს (ფემინურობისა და Camp-ის მეშვეობით); თუმცა ამერიკელმა ფსიქოლოგმა გრეგორი სიმონსენმა და მისმა კოლეგებმა (2000) აღმოაჩინეს, რომ თეთრკანიანი, საშუალო კლასის გეი მონაწილეები მასკულინობის ნორმებთან დაკავშირებული ზეწოლისგან სულაც არ იყვნენ თავისუფალნი, ისევე როგორც ჰეტეროსექსუალი კაცები. ეს ზეწოლა უკავშირდებოდა პირად წარმატებას, ძალაუფლების განმტკიცებას, ემოციურ ავტონომიას/განცალკევებას და სამსახურსა და სახლში ურთიერთობებს. გეი კაცებს, რომლებსაც ზეწოლა აიძულებდათ დამორჩილებოდნენ მასკულინობის ამ ნორმებს, უფრო მაღალი სიბრაზის, შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებლები ჰქონდათ, ვიდრე იმ გეებს, ვისაც არ უწევდა ამ ნორმებთან მორგება.

ბისექსუალი წყვილების კვლევაში, ავსტრალიელმა სოციოლოგმა კირსტენ მაკლინმა (2004) გამოავლინა, რომ არამონოგამურობისადმი მიმღებლობა ბისექსუალურ ურთიერთობებში ხშირად იყო განპირობებული

გენდერით. ზოგიერთი პარტნიორი მზად იყო, მოლაპარაკებაზე წამოსულიყო ღია ურთიერთობასთან დაკავშირებით, მაგრამ გენდერული შეზღუდვების ხარჯზე. მაგალითად, ზოგიერთი ბისექსუალი ქალი, რომლებიც კაცთან იყვნენ ურთიერთობაში, მზად იყო, მათ პარტნიორებს სექსი კაცებთან ჰქონოდათ, მაგრამ არა სხვა ქალებთან. ამის მსგავსად, ბისექსუალი კაცები, რომლებიც ამჟამად ქალი პარტნიორი ჰყავდათ, მზად იყვნენ, მას სხვა ქალებთან ჰქონოდა სექსი, მაგრამ არა სხვა კაცებთან.

დაშვება იმის შესახებ, რომ ლგბტქ ურთიერთობები იერარქიულ გენდერულ დაყოფას არის მოკლებული და შესაბამისად ძალაუფლებრივი განსხვავებების ირგვლივ არ არის აგებული, ოჯახში ძალადობას ეხება. კვლევები სულ უფრო და უფრო ხშირად ადასტურებს არა მხოლოდ იმას, რომ ოჯახური ძალადობა ზოგიერთ ლესბოსურ და გეი ურთიერთობაშიც ხდება (Renzetti and Miley, 1996), არამედ, იმასაც რომ ჰომოფობიის შიში ხშირად განაპირობებს ძალადობის მსხვერპლთა მიერ პოლიციაში განცხადებისგან თავშეკავებას (Burke and Follingstad 1999). ამასთანავე, ერთსქესიან წყვილებში ძალადობის მაგალითები შეიძლება განსხვავდებოდეს ჰეტერო-სექსუალი წყვილების მაგალითებისგან, სიმართლე კი ის არის, რომ ძალადობას ადგილი აქვს ლგბტქ თემს შიგნით და იმის დაშვებას, რომ ერთსქესიან ქორწინებაში ძალაუფლებრივი დიფერენციაცია არ ხდება, ხშირად შედეგად ის მოჰყვება, რომ ძალადობის ფაქტები უგულვებელ-ყოფილი რჩება.

შეჯამებისთვის, გენდერი კომპლექსურად მოქმედებს ლგბტქ თემებში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია:

* ვაღიაროთ ლგბტქ ადამიანების სხვადასხვა გენდერული გამოცდილება და არ მოვეპყრათ ლესბოსელებსა და გეებს (ისევე, როგორც ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ქვიარ ადამიანებს), როგორც ჰომოგენურ ჯგუფს. ამის ნაცვლად, გავითვალისწინოთ ის განსხვავებული გზები, რომელთა მეშვეობითაც გენდერი ქალების და კაცების არაჰეტეროსექსუალურ გამოცდილებებს აყალიბებს.
* გავითავისოთ, რომ კაცები ლგბტქ თემებში, როგორც წესი, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იქნებიან კაცების მიერ დომინირებულ საზოგადოებაში ცხოვრების გამო, მარგინალიზაციის განცდებისა და გამოცდილების მიუხედავად.
* გავაცნობიეროთ, რომ ძალაუფლებრივი განსხვავებები, მაგალითად, სოციალურ კლასთან, შემოსავალთან, რასასთან და ასაკთან დაკავშირებული, არსებობს ლესბოსურ და გეი ურთიერთობებში, და რომ ლგბტქ ადამიანები გენდერულ ნორმებს მიღმა არ ცხოვრობენ.

ბისექსუალობა

იდენტობის კატეგორია „ბისექსუალობა“ აღნიშნავს ძალიან ბევრ განსხვავებულ რამეს იმ ადამიანებისათვის, ვინც თავს ბისექსუალს უწოდებს. მაგალითად, აქ შედიან ადამიანები, რომლებსაც:

* იზიდავენ როგორც ქალები, ისე კაცები, და რომლებიც მზად არიან, ურთიერთობა დაამყარონ ინდივიდუალური მიზიდულობის/მოწონების საფუძველზე და არა კონკრეტული გენდერის ან სექსუალობის გამო (Gurevich et al.,, 2007)
* რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, სექსუალურ და ემოციურ მიზიდულობას განიცდიან საპირისპირო სქესის წარმომადგენლების მიმართ, მაგრამ ფიქრობენ, რომ იარლიყი „ბისექსუალი“ ჰომოფობიისაგან მათ დაცვას უზრუნველყოფს;
* რომლებიც თვლიან, რომ „ბისექსუალი“, როგორც კატეგორია, უკეთ აღწერს მათ იდენტობას, ვიდრე „გეი“ და „ლესბოსელი“.

ამ წიგნში, უპირველეს ყოვლისა, ბისექსუალობა გვესმის, როგორც ვალიდური და ხშირად დროში გაშლილი იდენტობა, რომელიც არ წარმოადგენს გარდამავალ ფაზას ჰეტეროსექსუალობასა და ლესბოსურ ან გეი იდენტობას შორის. თუმცა, ჩვენ ასევე ვაღიარებთ, რომ ზოგიერთი გეი და ლესბოსელი, ქამინგ აუთის პროცესში, საკუთარ თავს ბისექსუალს უწოდებს (იხ. თავი 7). ბისექსუალობის მდგრად იდენტობად განხილვით ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ ბისექსუალობის მხოლოდ ერთი განცდა არსებობს; ზოგიერთი ადამიანები ბისექსუალობას განიცდიან, როგორც მოქნილ და ცვალებად იდენტობას, რომელიც მკაფიო განსაზღვრებას ეწინააღმდეგება. ჩვენ უფრო იმის თქმა გვსურს, რომ ბისექსუალობა ლეგიტიმური იდენტობაა. იგი ბისექსუალი ადამიანებისათვის ასახავს მათ ნამდვილ მიზიდულობას ადამიანების განსხვავებული სპექტრისადმი. ბისექსუალობის განსხვავებული მნიშვნელობები და გამოცდილებები ბისექსუალი ადამიანების გამოცდილებათა აღწერის კუთხით, ცხადყოფს დომინანტური იდენტობის კატეგორიების შეზღუდვებს (Collins, 2004).

ბისექსუალი ადამიანები ხშირად განიცდიან მარგინალიზაციას ლგბტქ კვლევასა და თემში (Fox, 1995). მაგალითად, ზოგიერთმა ლესბოსელმა და გეიმ გამოთქვა საყვედური, რომ ბისექსუალობასა და ბისექსუალურ ნარატივებზე ყურადღების გამახვილება ლესბოსური და გეი გამოცდილებების უგულვებელყოფას გამოიწვევდა (Weiss, 2004). ზოგიერთი ლესბოსელი ფემინისტი ბისექსუალობას განიხილავდა, როგორც იმ პოლიტიკური ვალდებულების მაკომპრომენტირებელ ფენომენს, რომელსაც ბევრი ლესბოსელი პატრიარქატთან საბრძოლველად მიმართავს

(Ault, 1994). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვესმის იმ გეებისა და ლესბოსელების წუხილი, რომლებსაც ბისექსუალობის კატეგორიის გამო თავი საფრთხეში უგრძვნიათ (იქნება ეს იმიტომ, რომ ეს კატეგორია ჰომოსექსუალობისა და ჰეტეროსექსუალობის დიქოტომიას აყენებს ეჭვის ქვეშ ან იმიტომ, რომ ლესბოსელი ფემინისტების პატრიარქატთან ბრძოლის მეთოდებს უთხრის ძირს), მაგრამ ჩვენ მაინც ღირებულად მიგვაჩნია ბისექსუალი ადამიანების ხმები და გამოცდილება. კიდევ ერთი ბრალდება, რომელსაც ბისექსუალ ადამიანებს უყენებენ ხოლმე, არის ის, რომ მათი სექსუალური ურთიერთობები და პრაქტიკები თავისთავად პრომისკუიტეტისკენ არის მიმართული და არასტაბილურია. ასეთი ბრალდებები სულ უფრო ხშირად ჩნდება ბისექსუალი ადამიანების ცხოვრების კვლევაში. ბისექსუალურ ურთიერთობებში, რომლებიც არამონოგამიური ან პოლიამურულია, კვლევა გვკარნახობს, რომ ბისექსუალი ადამიანების უმეტესობა ღიად განიხილავს თანხმობას და აქვს საკმაოდ მკაფიო ზღვარი მრავალრიცხოვან პარტნიორებთან მიმართებაში (იხ. თავი 8). კვლევა ასევე მიგვითითებს, რომ ბევრი ბისექსუალი ადამიანი ჩაბმულია ერთგულ, მონოგამურ ურთიერთობებში (საპირისპირო ან თავისი სქესის პარტნიორთან), რომლებშიც მათი ბისექსუალობა აღიარებული და პატივცემულია (McClean, 2004).

რა თქმა უნდა, პრომისკუიტეტის ბრალდების უარყოფისას ფრთხილად უნდა ვიყოთ და არ უნდა დავიწყოთ იმის მტკიცება, რომ ყველა ბისექსუალი ადამიანი მონოგამურ ურთიერთობაშია. ნაწილობრივ, მიზეზი იმისა, რომ „პასუხისმგებლობიანი არა–მონოგამია“, - ის არის, რომ ბევრი ბისექსუალი ადამიანისათვის „ბისექსუალური იდენტობა“ შემზღუდველია. ეს იმიტომ ხდება, რომ ბისექსუალობა ნიშნავს გენდერისა და სექსუალობის ვიწრო კატეგორიებს მიღმა გასვლისადმი ვალდებულების აღებას, რაც ტიპურად მონოგამიის საკითხებსაც უკავშირდება (Klesse, 2007).

იმ ფენომენთან, რომელსაც ბიფობია ეწოდება, ბრძოლა მნიშვნელოვანია, რადგან კვლევა გვეუბნება, რომ მსგავსი მარგინალიზაცია ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს ბისექსუალი ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ბისექსუალი ადამიანები მუდამ იძულებულები არიან, დაიცვან საკუთარი ცხოვრება და „ქამინგ აუთი“ გააკეთონ, როგორც ბისექსუალებმა, მაშინაც კი, როცა ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში იმყოფებიან (Page, 2004). თუმცაღა, ზოგიერთმა ბისექსუალმა შესაძლოა, დისკრიმინაციის შიშით, საკუთარი ბისექსუალობის დამალვა არჩიოს (McClean, 2008).

საერთო ჯამში, ბისექსუალი ადამიანების ცხოვრების გასაგებად, ჩვენ უნდა:

* ვაღიაროთ ის მრავალრიცხოვანი გზები, რომელთა მეშვეობითაც ბისექსუალი ადამიანები საკუთარ იდენტობას უკეთებენ დეფინიციას;
* გავიგოთ და შევეწინააღმდეგოთ სტერეოტიპებს, რომელთა გამოყენებაც ბისექსუალი ადამიანების წინააღმდეგ ხდება მეინსტრიმ საზოგადოებასა და ლესბოსელ და გეი თემში;
* გავაცნობიეროთ, როგორ ზღუდავს გენდერისა და სექსუალობის ბინარული მოდელი ჩვენს გაგებას ბისექსუალი ადამიანების ცხოვრებისა და გამოცდილების შესახებ: ბისექსუალობა არ წარმოადგენს „წარუმატებლობას“ (Weiss, 2004:43) რომელიმე დომინანტური „სექსუალური ორიენტაციისკენ“, ჰომოსექსუალობა იქნება ეს, თუ ჰეტეროსექსუალობა, სწრაფვაში.

ტრანსი და ქვიარ

დღემდე ისე ხდება, რომ ტრანსი და ქვიარ ადამიანების გამოცდილებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ლგბტქ ფსიქოლოგიაში. ამის ერთ–ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ ორი ჯგუფის აღწერილობა მუდმივად იცვლება როგორც სოციალურ ნორმებთან მიმართებაში, ასევე იმაში თუ როგორ აღწერენ ტრანსი და ქვიარ ადამიანები საკუთარ თავს. ადამიანების ზოგიერთი ჯგუფი, რომელიც შეიძლება თავს ქვიარად ან ტრანსად აღიქვამდეს, შეიძლება მოიცავდეს:
* ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს არ მიაკუთვნებენ არც ერთ დომინანტურ მასკულინურ/ფემინურ გენდერულ იდენტობას (მაგ. ბუჩი ლესბოსელები, ადამიანები, რომლებიც თავს “genderqueer” უწოდებენ)
* დრეგ ქინგებსა და დრეგ ქვინებს
* ადამიანებს, რომლებიც ანდროგინებად იწოდებიან
* ადამიანებს, რომლებიც საპირისპირო სქესის ტანსაცმელს იცვამენ (მათგან ზოგიერთი შეიძლება საკუთარ თავს ტრანსვესტიტის კატეგორიაში აღიქვამდეს)
* ადამიანებს, რომლებიც „ტრანზიციას“ განიცდიან ერთი სქესიდან/ გენდერიდან მეორეზე ჰორმონული და ქირურგიული მკურნალობის მეშვეობით.

ქვიარ და ტრანს იდენტობებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გავითავისოთ, რომ გენდერი და სექსუალობა სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. როგორც მეორე თავში აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ სექსუალური და გენდერული იდენტობის განცალკევება (ანუ ადამიანების ტრანსებად და ასევე ჰეტეროსექსუალებად, ლესბოსელებად, გეებად ან ბისექსუალებად დახარისხება) შეიძლება უმეტესწილად დასავლური კულტურის ფენომენი იყოს (McLelland, 2003).

მაგალითად, ამერიკელი ანთროპოლოგი შერინ გრემი (2004) წერს, სამხრეთ სულავესის, ინდონეზიის ადამიანების გამოცდილებაზე, რომლებსაც „კაცის სხეული“ აქვთ, მაგრამ საკუთარ თავს კაცებთან არ აიგივებენ, თუმცა არც ქალობისკენ ისწრაფვიან. ისინი საკუთარ თავს „კალაბაის“ (ან „კალალაის“ იმათ შემთხვევაში, ვისაც ქალის სხეული აქვს) უწოდებენ. ადამიანთა ეს ჯგუფი ხშირად ითავსებს მრავალრიცხოვან (ნორმატიულად დეფინირებულ, განსაზღვრულ) ურთიერთობას კაცებთან და ქალებთან და პოტენციურად შეიძლება შვილებიც ჰყავდეთ, იქორწინონ კიდეც, რაც არ არის დანახული, როგორც მათი გენდერისა და სექსუალობის გამოხატვის წინააღმდეგობრიობა.

სიტყვა „ქვიარის“, როგორც იდენტობის კატეგორიის გამოყენება, ერთ–ერთი იარაღია, რომლის მეშვეობითაც დასავლეთის კულტურებში მცხოვრებმა ადამიანებმა არსებული გენდერული და სექსუალობის კატეგორიების გადამუშავება სცადეს. ადამიანები, რომლებიც თვითიდენტიფიცირებას ქვიართან ახდენენ, შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ სოციალურ მოლოდინს, ერთი კონკრეტული გენდერული იდენტობა და სექსუალობა მიიღონ, და შეიძლება იმოძრაონ იმ ნორმებს მიღმა, რაც სექსუალობისა და გენდერის ირგვლივ არსებობს. ქვიარის ასეთი გაგება ასევე შეიცავს ტრანსი ადამიანების ცხოვრების შესახებ ახალ ნარატივებს, რომელთაგან ზოგიერთი მიზნად ისახავს, განივითაროს „ტრანსგენდერი იდენტობა“, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი გენდერული გამოცდილების შესაბამისი გენდერული იდენტობა და სხეული აითვისონ (Bockting et al., 2004). ტრანსი და ქვიარ ადამიანები მოწინავე ადგილზე დგანან სხეულსა და იდენტობის შესახებ საუბრის ახალ მეთოდებში, როგორიც არის, მაგალითად, ალტერნატიული პირის ნაცვალსახელების გამოყენება იმ ადამიანებისა და იდენტობების აღსაწერად, რომლებიც უშუალოდ არც ქალად და არც კაცად არ იდენტიფიცირდებიან (მაგალითად, “zee” და “hir”; იხ. Clarke and Braun, 2009). მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ არსებობს ბევრი ადამიანი, რომელსაც სურს მთლიანად აითვისოს მის გენდერულ იდენტობასთან შესაბამისი სხეულებრივი იდენტობა (Denny, 2004; Seil, 2004). ბევრი ტრანს ადამიანი საკმაოდ მკაფიოდ საუბრობს იმაზე, რომ ნორმატიული სქესობრივი იდენტობის ათვისება სურს ტრანზიციის შემდეგ (მაგ. ტრანსი ქალი, რომელიც საკუთარ თავს ჰეტეროსექსუალ ქალად აღიქვამს), თუმცა ბევრი ტრანსი ადამიანი ასევე არაჰეტეროსექსუალად მიიჩნევს თავს.

როგორც მეორე თავში აღვნიშნეთ, ტრანს და ქვიარ ადამიანებმა ლგბტქ თემში სადავო ადგილი დაიკავეს. ზოგიერთმა ლესბოსელმა ფემინისტმა ხელი კრა ტრანსგენდერი ადამიანების იდენტობის მოთხოვნას და განაცხადა, რომ ტრანსი ქალები „პატრიარქატის იარაღია“ იმის გამო, რომ ისინი

დაბადებით ქალებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და თემებს ისაკუთრებენ და აძლიერებენ პრობლემატურ სტერეოტიპებს ფემინურობასა და მასკულინურობის შესახებ. გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ ამ პროცესებს ეხმარება და აქეზებს სამედიცინო სისტემა, რომელიც (დაბადებით) ქალთა სხეულების (Raymond, 1979) მართვაზეა ფოკუსირებული. სხვა ფემინისტები (როგორც ბიოლოგიური, ისე ტრანსი ქალები), აღნიშნავენ იმის მნიშვნელობას, რომ ტრანსი ადამიანების გამოცდილებას, ტრანს–პოზიტიური ფემინისტური ანალიზის განვითარებასა და ტრანსი ადამიანების ცხოვრებაში ღირებულება უნდა მივანიჭოთ (Weiss, 2004).

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ზოგიერთი ლესბოსელი ფემინისტი ასევე აკრიტიკებდა ქვიარ თეორიასა და ქვიარ აქტივიზმს (მაგ. ჯეფრისი, 2004). თუმცა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყველა ფემინისტი არაა კრიტიკული ტრანსი და ქვიარ ფენომენის მიმართ და ზოგიერთ მათგანს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ტრანსი და ქვიარ ადამიანებისა და ტრანსი და ქვიარ გენდერისა და სექსუალობის ახსნაში (Johnson 2007; Speer and Green, 2007). იხ. ჩანართი 4.3 ბრიტანელი ფსიქოლოგისა და მთავარი მკვლევარის სიუზან სპირის ნამუშევრის შეჯამებისთვის გენდერული იდენტობის კლინიკაში ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობის შესახებ.

4.3. სიუზან სპირი „რატომ ვიკვლევ ტრანსგენდერს“

ჩემი კვლევითი კარიერა გენდერისა და სექსუალობის შესახებ არსებული წინასწარგანწყობებისადმი ინტერესით დაიწყო. ასევე, მაინტერესებდა, თუ როგორ გვხვდება წინასწარგანწყობების/ცრურწმენების ეს ფორმები საუბარსა და ინტერაქციაში (Speer and Potter, 2000,2002; Speer, 2002). დისკურსული ფსიქოლოგიისა და კონვერსაციის ანალიზის გამოყენებით, აღმოვაჩინე, რომ „ჰეტეროსექსისტურ“ გამონათქვამებში უარყოფითობა თავისთავად კი არ არის ჩაქსოვილი, არამედ ისინი ცრურწმენისა და პრობლემატურობის ელფერს იძენს in situ/ადგილზე, როდესაც მათი მნიშვნელობის წარმოება და განხილვა ხდება (Speer and Potter, 2000). მე ვიკვლიე, თუ როგორ იყენებენ რესპონდენტები ჰეტეროსექსიზმს საუბარში და როგორ წარმართავენ თავიანთი გამონათქვამების მიმართულებას ისე, რომ ისინი შეიძლება ცრურწმენად მოინათლოს. მე ასევე მაინტერესებს გენდერის სოციალური კონსტრუქცია და იმ პროცესის ინტერაქციული ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც ადამიანები სხვებს კაცებად ან ქალებად ახარისხებენ, ან „გენდერულ მიკუთვნებებს“ ახდენენ (Speer, 2005), და გზები, რომელთა მეშვეობითაც (დაბადებით) კაცები ახდენენ მასკულინობის კონსტრუირებას და საკუთარ თავსა და სხვებს ამ კონსტრუქციებთან მიმართებაში განიხილავენ (Speer, 2001).

ჩემმა ინტერესმა გენდერის, სექსუალობისა და წინასწარგანწყობებისადმი, მიმიყვანა ტრანსსექსუალ იდენტობებსა იმაზე ფიქრამდე, თუ როგორ ხდება გენდერის კონსტრუირება გენდერული იდენტობის კლინიკებთან მიმართებაში (Speer and Green, 2008). ისევე, როგორც ბევრ სხვა სოციალურ და კულტურულ თეორეტიკოსს (ისეთს, როგორიცაა ქვიარ თეორეტიკოსი ჯუდით ბატლერი, სოციოლოგი ჰაროლდ გარფინკელი და სოციალური ფსიქოლოგები სიუზან კესლერი და უენდი მაკკენა), მე მჯერა, რომ ტრანსი ადამიანების გენდერული პრაქტიკების შესწავლით ჩვენ საზოგადოებაში გენდერის კონსტრუქციის შესახებ შეგვიძლია რაღაც უფრო დიდი ვისწავლოთ. მე ასევე მაინტერესებს ტრანსი ადამიანების პრაქტიკული საზრუნავი, მცირემასშტაბიანი ინტერაქციების ნიმუშებში თუ როგორ არის ფართოდ დაფიქსირებული მტრული განწყობა, თუ როგორ არის ნაჩვენები პაციენტების და გენდერული კლინიკების ფსიქიატრების მიზნებს შორის შეუთავსებლობა. ამ ინტერესების საკვლევად შევაგროვე ფსიქიატრების შეფასების სესიების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები და ჩავატარე ინტერვიუები, როგორც ფსიქიატრებთან, ისე გენდერული იდენტობის კლინიკის პაციენტებთან.

კონვერსაციული ანალიზის გამოყენებით, გამოვიკვლიე ის დახვეწილი ხმოვანი და სხეულებრივი ტექნიკები, რომელსაც პაციენტები ფსიქიატრების დასარწმუნებლად იყენებენ მათი გენდერული იდენტობის ვალიდურობაში და რომელთა მეშვეობითაც შეფასების სესიებზე თავს „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალებად“ წარმოადგენენ (Speer and Green 2007). მე ასევე გამოვიკვლიე ის, თუ როგორ იყენებენ ფსიქიატრები „ჰიპოთეტურ“ კითხვებს შეფასების სესიებზე: ეს არის კითხვები, რომლებიც პაციენტის მკურნალობასთან მიმართებაში ნეგატიურ სცენარებს აღძრავს (Speer, 2009; Speer and Parsons, 2006). მე აღმოვაჩინე, რომ ფსიქიატრები ამ შეკითხვებს უკანასკნელი იმედის სახით იყენებენ იმისათვის, რომ პაციენტები მისი გადაწყვეტილების პოტენციურად უარყოფითი შედეგების პირისპირ დააყენოს. მაშინ, როცა ფსიქიატრები ასეთ შეკითხვებს სასიკეთოდ მიიჩნევენ, პაციენტებმა ისინი საფრთხის მომასწავებლად შეიძლება აღიქვან და დეპრესიაში ჩავარდნენ, ან სესიის გარეთ იფიქრონ, რომ მხარდამჭერი არ ჰყავთ. ამავე დროს, ბევრი პაციენტი საბოლოოდ აღიარებს იმის საჭიროებას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების გამომწვევი გადაწყვეტილების მიღებისას წინააღმდეგობა გასწიონ. იმედი მაქვს, რომ ჩემი კვლევები ხელს შეუწყობს გაუმჯობესებას ტრანსსექსუალობისა და გენდერული იდენტობის აშლილობის მკურნალობის ამჟამინდელ პრაქტიკაში.

როდესაც საქმე გვაქვს ტრანსი და ქვიარ ადამიანების ცხოვრებასა და გამოცდილებასთან, მნიშვნელოვანია, რომ:

* ვაღიაროთ, რომ ადამიანების ბევრი სხვადასხვანაირი ჯგუფი იდენტიფიცირდება, როგორც ტრანსი და ქვიარ.
* გავიგოთ გენდერისა და სექსუალობის კატეგორიების კულტურული სპეციფიკურობა და ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ტრანსი და ქვიარ ადამიანები უყენებენ დასავლურ გენდერულ და სექსუალურ ნორმებს.
* ვაღიაროთ იმ გზების მრავალფეროვნება, რომელთა მეშვეობითაც ტრანს ადამიანებს საკუთარი სხეულები და იდენტობები ესმით/აღიქვამენ.

სოციალური კლასი

სოციალურ კლასს მნიშვნელობათა ფართო სპექტრი გააჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიც არის ავსტრალია და ამერიკის შეერთებული შტატები, იგი გაგებულია, როგორც წესი, როგორც „სოციო–ეკონომიკური სტატუსის“ სინონიმი (ე.ი.: ინდივიდების შესაბამისი სოციალური პოზიცია, რომელიც მათ პირად შემოსავალში განსხვავებებზეა დამოკიდებული). ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგალითად გაერთიანებულ სამეფოში, სოციალურ კლასს უფრო ფართო მნიშვნელობა გააჩნია და ადამიანების ფონს, მათ ღირებულებებს, კონსუმერიზმის პრაქტიკებსა და სხვა ქცევებს უკავშირდება (ზოგიერთ შემთხვევაში, სოციალურ კლასს ძალიან მცირე კავშირი აქვს შემოსავალთან).

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, სოციალური კლასი ლგბტქ ფსიქოლოგიის დისკუსიებში გამოტოვებულია (Clark and Peel 2007b). როგორც წესი, ის მხოლოდ ნახსენებია, როდესაც საკვლევი ჯგუფი წარმოადგენს „მეტწილად საშუალო კლასს“, მაგრამ ასეთი კვლევები არ განიხილავს ხოლმე იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს სოციალური კლასი მონაწილეთა ცხოვრების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, როცა ფსიქოლოგიური კვლევა (ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევის ჩათვლით) განიხილავს სოციალურ კლასს, ის იშვიათად სწავლობს განსხვავებულობას სოციო–ეკონომიკურ სტატუსში და მის გავლენას ლგბტქ თემს შიგნით. როგორც ასეთი, ეს სექცია ფოკუსირდება ძირითადად კლასზე სოციო–ეკონომიკური სტატუსის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ლგბტქ ადამიანებზე კლასისა და მისი გავლენის უფრო ფართო გაგებას ვაცნობიერებთ.

ზოგიერთი საკვანძო აღმოჩენა, რომელიც ცხადყოფს სოციო-ეკონომიკურ სტატუსში უთანასწორობის გავლენას ლგბტქ თემზე, გვხვდება უსახლკარობის გამოცდილების კვლევებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლგბქტ ადამიანების შემთხვევაში (Corchan et al., 2002) და ტრანსგენდერ ადამიანებზე გაკეთებულ კვლევებში (Sakamoto et al., 2009). ამ კვლევამ

გამოავლინა, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით არსებული უთანასწორობა იწვევს ლგბტქ ადამიანების მიერ განცდილ მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემათა მზარდ მაჩვენებელს იმ ადამიანებთან შედარებით, ვინც უსაფრთხო და სტაბილურ პირობებში ცხოვრობს. უსახლკარო ლგბტქ ადამიანები ასევე მოწყვლადნი არიან ძალადობისადმი და უფრო ხშირად ებმებიან ისეთ საქმიანობაში, როგორიც არის პროსტიტუცია ან სარისკო სექსუალური ქცევები, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხეში ჩააყენონ მათი კეთილდღეობა.

ინდივიდის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი დიდად არის განპირობებული მისი დასაქმების შესაძლებლობებით. კვლევა ლგბტქ ადამიანების დასაქმების შესაძლებლობებზე გვიჩვენებს, რომ სამუშაო ადგილზე გამეფებული ჰეტეროსექსიზმის გამო ზოგიერთი ლგბტქ ადამიანი არჩევს, არ გააკეთოს ქამინგ აუთი დამქირავებელთან ან/და თანამშრომლებთან, ხოლო სამსახურში საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დამალვა შეიძლება სტრესულად განიცდებოდეს (Hewitt, 1995). ამერიკაში მოღვაწე ეკონომისტი, ლი ბედჯეტი (1995) გვეუბნება, რომ ლგბტქ ადამიანებმა, რომლებიც სამსახურში ქამინგ აუთს აკეთებენ, შეიძლება დაწინაურების შანსი დაკარგონ, ან სამსახური დაკარგონ და შეიძლება სამუშაო ადგილზე მტრულ განწყობასაც წააწყდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში დღეს არსებობს კანონმდებლობა, რომელიც იცავს ლგბტქ ადამიანებს სამუშაო ადგილზე, კვლევებში მაინც ჩნდება იმის სამხილები, რომ ეს ადამიანები საკუთარი იდენტობის გამო სამსახურში მტრულ განწყობას აწყდებიან (Miller and Higgins 2006), ხოლო მტრულობის გამოცდილება ხშირად სოციო-ეკონომიკურ სტატუსთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ბრიტანელმა სოციოლოგმა ელიზაბეტ მაკდერმოტმა (2006) სამსახურში ქამინგ აუთზე ჩატარებულ კვლევაში დაადგინა, რომ არსებითი განსხვავება ჩანდა მუშა კლასისა და საშუალო კლასის წარმომადგენელი ლესბოსელების გამოცდილებაში. შეიძლება უცნაურიც არ არის, რომ ქალები, რომლებიც უფრო უსაფრთხო ფინანსურ და სოციალურ პოზიციებზე იმყოფებოდნენ, უფრო მეტად ახერხებდნენ დისკრიმინაციასთან დაპირისპირებას და ქამინგ აუთის ლეგიტიმურ შესაძლებლობად განხილვას.

ლგბტქ ადამიანებს შორის განსხვავებები სოციალურ კლასსა და სოციო-ეკონომიკურ სტატუსთან მიმართებაში მიგვითითებს, რომ მნიშვნელოვანია:

* ლგბტქ ადამიანებს შორის კლასობრივი განსხვავებების გავლენისა (და განსაკუთრებით ერთსქესიან ურთიერთობებში მყოფ პარტნიორების

შემთხვევაში) და იმ გზების აღიარება, რომელთა მეშვეობითაც ლგბტქ ადამიანები პოზიციონირებულნი არიან კლასთან მიმართებაში.

* ეკონომიკური უთანასწორობის გავლენის გაგება ლგბტქ ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

* აღიარება იმისა, თუ როგორ უკავშირდება სოციალური კლასი ქამინგ აუთისა და დისკრიმინაციის გამოცდილებებს სამუშაო ადგილსა და სხვა სფეროებში.

რასა

როგორც სოციალურმა თეორეტიკოსებმა და ბიოლოგებმა დიდი ხნის წინ აღიარეს, რასობრივი კატეგორიები არ წარმოადგენს უშუალო ბიოლოგიურ განსხვავებას ჯგუფებს შორის. ადამიანის გენომის რუკაზე დატანის შედეგად აღმოჩნდა, რომ განსხვავებები მიჩნეულ/ნავარაუდევ „რასობრივ ჯგუფებს“ შიგნით სცდება განსხვავებებს რასობრივ ჯუფებს შორის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ის, რაც ისტორიულად გაგებული იყო, როგორც რასობრივი ჯგუფების სხეულებრივი ნიშანთვისება/მარკერი, უბრალოდ სხეულებრივი ტიპების კრებულებია, რომლებიც განსაკუთრებულ ლოკაციებში შეიქმნა: ისინი არ წარმოადგენს სპეციფიკურ ან განცალკევებულ რასობრივ დაჯგუფებებს (McCan et al.,2004). რასობრივი კატეგორიების მხილებასთან ერთად, მკვლევარებმა აღიარეს, რომ სხვადასხვა „რასობრივი ჯგუფისადმი“ მინიჭებული ღირებულებები (როგორიც არის, მაგალითად, გონებრივ შესაძლებლობებსა და IQ-ში ნავარაუდები განსხვავებები), კოლონიზაციის ისტორიისა და მსოფლიოში ადამიანების ერთი ჯგუფის მეორესადმი დამორჩილებისკენ მიმართული დომინაციის სხვა ფორმის პროდუქტია (Richards, 1997). გარდა ამისა, განაცხადი იმის თაობაზე, რომ რასობრივი განსხვავებები, განსხვავებულ ჯგუფებში, რეალურ განსხვავებებსა და უნარებზეა პასუხისმგებელი, არათეთრკანიან მოსახლეობაზე გამოყენებული ტესტების არასწორი გამოყენების შედეგია. ტესტებს, რომლებიც თეთრკანიან მოსახლეობაზე იყო მორგებული, არ შეეძლოთ ადეკვატურად გაეზომათ არათეთრკანიანი ადამიანების უნარები (იხ. ჩანართი 4.1).

იმ მეთოდებთან დაპირისპირება, რომელთა მეშვეობითაც რასობრივი კატეგორიები დისკრიმინაციის გასამართლებლად გამოიყენება, მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ კატეგორიების წარსული გაგება დაფუძნებული იყო ადამიანთა შორის განსხვავებების არასწორ ინტერპრეტაციებზე. გარდა ამისა, ამ არასწორმა ინტერპრეტაციებმა მსოფლიოსათვის ძალიან საზიანო და საშიში შედეგები გამოიღო. მაგალითად, აშშ-ში მონობის გასამართლებლად რასობრივი კატეგორიები გამოიყენებოდა, სადაც აფრიკელი

ადამიანები დანარჩენ ადამიანებთან შედარებით მიჩნეულნი იყვნენ დაბალ საფეხურზე მდგომ არსებებად, და შესაბამისად, საშინელი მოპყრობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. რასობრივი კატეგორიები ასევე გამოიყენებოდა კოლონიზაციის გასამართლებლად, სადაც ადამიანთა ჯგუფი, როგორც „უზენაესი“ რასის წარმომადგენელი, თავის თანდაყოლილ ვალად მიიჩნევდა, მკვიდრი მოსახლეობის მიწა მიეთვისებინა. რასობრივი კატეგორიები გენოციდის გასამართლებლადაც გამოიყენებოდა, მაგალითად ნაცისტურ გერმანიაში, სადაც ებრაელი ადამიანები და სხვა მარგინალიზებული კულტურული და რასობრივი ჯგუფების წევრები (მათ შორის ლესბოსელები და გეი კაცებიც) სისტემატიურ მკვლელობას ექვემდებარებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ რასობრივი კატეგორიები ისტორიულად და სოციალურად არის კონსტრუირებული, ეს კატეგორიები სხვადასხვა საშუალებით რეალურად ახდენს გავლენას ლგბტქ ადამიანების ცხოვრებაზე. რასობრივად მარგინალიზებულ ჯგუფებზე კვლავაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს რასიზმი, რასობრივად დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისა და რასობრივად მარგინალიზებული ჯგუფებისადმი დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიუხედავად (Roberts, 2002). მაგალითად, ამერიკელმა ეპიდემიოლოგმა, ტოორუ ნემოტომ აღმოაჩინა, რომ ბევრი არათეთრკანიანი ტრანსგენდერისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასობრივი დისკრიმინაცია გამოიხატება შემოსავლისადმი შეზღუდულ მისაწვდომობაში (მაგ. დამქირავებელი არ განიხილავს არათეთრკანიან აპლიკანტებს ან სისტემატიურად უარს ეუბნება დაწინაურებაზე). შეზღუდული შემოსავალი ბევრი ადამიანისათვის შეიძლება ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ დაუცველი სექსუალური კავშირის დამყარების მიზეზი გახდეს. ამან, თავის მხრივ აივ/შიდსისა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელება შეიძლება გამოიწვიოს (Nemoto et al., 2004). თუკი რასობრივ კატეგორიებს შევიწროვებისა და ძალადობის ისტორიების ნაყოფად განვიხილავთ, შევძლებთ ლგბტქ ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფის (როგორიც არის აფროამერიკელი, ლათინოამერიკელი და აზიელი ტრანს ადამიანები, რომლებიც კომერციულ სექსში ებმებიან) ქცევა რასობრივ დისკრიმინაციასა და სოციალურ მარგინალიზაციაზე არსებულ რეაქციად დავინახოთ და არა ამ თემებს შიგნით არსებულ პათოლოგიად.

კოლონიზაციის, მონობისა და ინსტიტუციონალური რასიზმის დანატოვარი ახლაც სავალალო გავლენას ახდენს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ლგბტქ ადამიანების სულიერ ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ამერიკელი ინდიელი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი

("two-spirit" როგორც მათ თემში უწოდებენ) ადამიანები ამერიკელ ინდიელთა თემებისთვის მიწის საკუთრების ჩამორთმევის შედეგებს, როგორც თაობათა შორის ტრავმისა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის (როგორსაც იწვევს ალკოჰოლის მოხმარება და თემს შიგნით ძალადობა) მთავარ კონტრიბუტორად ასახელებენ (Balsam et al., 2004).

აღსანიშნავია, რომ ლგბტქ თემი არ არის თავისუფალი რასიზმისგან. ლგბტქ თემის დომინანტი ჯგუფი (როგორც წესი, თეთრკანიანები), კვლავაც უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით სარგებლობს, ვიდრე მარგინალიზებული რასობრივი ჯგუფების წარმომადგენელი ლგბტქ ადამიანები. უფრო მეტიც, ზოგიერთი თეთრკანიანი ლგბტქ ადამიანი არა მხოლოდ სარგებელს ნახულობს რასობრივ კონტექსტში ცხოვრებისგან (სადაც თეთრკანიანები რასობრივი პრივილეგიებით სარგებლობენ), არამედ თავადაც ებმება რასობრივ დისკრიმინაციაში მარგინალიზებული ლგბტქ ადამიანების წინააღმდეგ ქმედებებში (იხ. ჩანართი 4.4).

ჩანართი 4.4. ბევერლი ა. გრინი: რატომ ვსწავლობ ეთნიკურად და კულტურულად მარგინალიზებულ ლგბტქ ადამიანებს?

აშშ-ში მარგინალიზებული ჯგუფების კვლევა როდესაც დავიწყე, ჩემი ინტერესის მთავარი სფერო იყო რასისა და რასიზმის, გენდერისა და სექსიზმის და ჰეტეროსექსიზმის/ჰომოფობიისა და ლგბ სექსუალური ორიენტაციის გავლენა ფსიქოლოგიურ განვითარებასა და ფუნქციონირებაზე. ამ სამუშაოს ბიძგი თავიდან ზემოთ ხსენებული საკითხის ჩემს საუნივერსიტეტო კურიკულუმში არარსებობა გახლდათ. ჩემს თერაპევტულ პრაქტიკაში შევხვედრივარ კლიენტებს, ვისი საჭიროებებიც სრულიად უგულვებელყოფილი იყო ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში და ჩემი კოლეგების მხრიდან უმეცრებისა და სუბიექტურობის საგანი ხდებოდა.

ჩემი ადრეული კვლევის ფორმირების პერიოდში, ჩემთვის ცხადი იყო, რომ სოციალური მარგინალიზაციის პროცესებისა და სოციალური იდენტობების საკითხები დაკავშირებული იყო პრივილეგიისა და მისი უქონლობის გაგებასა და მრავალშრიანი იდენტობების არსებობასთან.

ამ მიდგომამ არ გაამართლა, ვერ მოახერხა რა მოეხელთებინა წინააღმდეგობათა კომპლექსურობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სულიერ ჯანმრთელობას, რასაც ხშირად ვაკვირდებოდი ჩემს ლგბ კლიენტებში. არათეთრკანიანი ლგბ კლიენტების უმეტესობა ჩიოდა, რომ მათ ეთნიკურ თემში მათი სექსუალური ორიენტაცია არ იყო მიღებული, რაც მათ აიძულებდა საკუთარი თავის ამ ნაწილზე უარი ეთქვათ. ამის მსგავსად, უფრო ფართო ლგბ თემში ეს ადამიანები ხშირად რასობრივ დისკრიმინაციასა და ტოლერანტობის ნაკლებობას აწყდებოდნენ რასობ-

რივ შევიწროებასთან დაკავშირებულ მათ წუხილთან მიმართებაში.

ამ დროს, მე ასევე ვაცნობიერებდი ძლიერ მხარეებს, რომლებიც ფერადკანიან ლგბტ ადამიანებს რასიზმთან გასამკლავებლად შეუმუშავდათ, და მის გამოყენება შესაძლებელი გახდა მათ ცხოვრებაში ჰეტეროსექსიზმის დასაძლევად. ძალიან გამომადგა ფემინისტური ფსიქოთერაპიის თეორია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების წარმოქმნისას სოციალური ზეწოლის მნიშვნელოვან კონტრიბუტორ ფაქტორად წარმოჩენაში ქალებსა და, ჩემი აზრით, სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებში. შევეცადე, გამეფართოებინა ფემინისტური თეორიის მიდგომები, რათა მას მოეცვა სოციალური მარგინალიზაციის სხვა ფორმები და მხოლოდ გენდერულ ჩაგვრაზე არ ყოფილიყო ფოკუსირებული.

ეს სამუშაო ასევე დამეხმარა იმის გახსენებაში, რომ ქალთა ჩაგვრის/შევიწროვების გაგება მოითხოვდა ქალის დანახვას თავისი მთელი მრავალფეროვნებით, რამაც ჩემს პირვანდელ იდეებთან დამაბრუნა ისეთი პარადიგმების განვითარების შესახებ, რომლებიც იდენტობის უფრო კომპლექსურად დანახვაში გვეხმარება.

ამან შედეგად გამოიღო ჩემი ამჟამინდელი სამუშაოს განვითარება ისეთი სოციალური ჩაგვრების ურთიერთკავშირზე, როგორიცაა რასიზმი, სექსიზმი, კლასიზმი და ჰეტეროსექსიზმი, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ აძლიერებენ ისინი ერთმანეთს და ქმნიან მრავალშრიანი იდენტობების პარადიგმას (Greene et al., 2008). ეს უკანასკნელი განიხილავს თითოეულ ინდივიდს, როგორც ერთზე მეტი იდენტობის მქონეს. ამ იდენტობათაგან ზოგიერთი შეიძლება პრივილეგირებული იყოს, ზოგი კი არა. თითოეული იდენტობა განვითარების პროცესში გარდაქმნის და ავსებს სხვებს. ჩემი აზრით, ასე იკვრება ფერადკანიანი ლგბ ადამიანების მრავალი იდენტობის, პრობლემებისა და წინააღმდეგობების წრე.

მაგალითად, ავსტრალიელი სოციოლოგი იბრაჰიმ აბრაჰამი (2009) აცხადებს, რომ ავსტრალიაში მცხოვრები ლიბანელი მუსლიმი ქვიარ ადამიანები თავად ქვიარ თემების შიგნით საგრძნობ რასიზმს განიცდიან. დისკრიმინაცია ღია შევიწროვებისა და მიუღებლობის სახეს იძენს თეთრკანიანი ლგბტქ ადამიანების მხრიდან და ასევე გამოიხატება იმის უარყოფაში, რომ ზოგიერთი ლიბანელი მუსლიმი შეიძლება საკუთარ თავს ქვიარად აღიქვამდეს. ეს ადამიანები (და ბევრი სხვა) მრავალშრიან დისკრიმინაციას განიცდიან: ისინი ხშირად უხილავნი არიან, როგორც ქვიარ ადამიანები ჰეტეროსექსისტურ საზოგადოებაში და როგორც მუსლიმი ადამიანები (უმეტესად თეთრკანიან) ლგბტქ თემებში და ასევე შეიძლება იყვნენ უხილავნი, როგორც ქვიარ ადამიანები მუსლიმ თემებში.

როდესაც განვიხილავთ რასისა და კულტურის საკითხებს ლგბტქ თემებში, მნიშვნელოვანია:

* დავაფასოთ ის, თუ როგორ გავლენას ახდენს რასიზმის მიმდინარე ისტორია ლგბტქ ადამიანებზე ზოგიერთი მათგანისათვის პრივილეგიის მინიჭების ან ზოგისთვის პრივილეგიის წართმევის სახით;
* გავიგოთ რასობრივი კატეგორიების კულტურული კონსტრუქცია, ისევე, როგორც ის საკმაოდ რეალური გზები, რომლებითაც ეს კატეგორიები ახდენს ლგბტქ ადამიანების ცხოვრებათა ფორმირებას.
* ვაღიაროთ ლგბტქ თემებში რასიზმის არსებობა და მისი გავლენები

ორგანიზებული რელიგია და სულიერება

ლგბტქ ფსიქოლოგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ „გარდაქმნის თერაპიის“ მიმდევრების კლინიკური კვლევებისა და კლინიკური პრაქტიკების დისკრედიტაციის პროცესში. ზემოხსენებული კვლევები და პრაქტიკები ამბობენ, რომ არაჰეტეროსექსუალების ჰეტეროსექსუალებად „ქცევა“ შეუძლიათ (Riggs, 2004a; ასევე იხ. თავი 1). ლგბტ ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ „გარდაქმნის თერაპია“ მორალურად და ეთიკურად საეჭვო რეაქციაა ჰომოსექსუალობაზე. გარდაქმნის თერაპიის ზოგიერთი დამცველი აცხადებს, რომ ლგბტქ ადამიანები საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და იდენტობის გამო სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ამიტომ ცვლილებაა საჭირო (Nicolosi, 1991). ის, რის აღიარებასაც ეს ადამიანები ვერ ახერხებენ, არის, რომ ბევრი ლგბტქ ადამიანისათვის სტრესი ჰომოფობიურ საზოგადოებაში ცხოვრების, უფრო კონკრეტულად კი, სპეციფიკურ კონტექსტებში ცხოვრების შედეგია, სადაც გარკვეული რელიგიები არაჰეტეროსექსუალურ ქცევებსა და იდენტობებს კრძალავს. ლგბტქ ფსიქოლოგების აზრით, შესაცვლელი არა ლგბტქ ადამიანების სექსუალური და გენდერული იდენტობები, არამედ ადამიანთა ჯგუფები და ინსტიტუციებია (როგორც ზოგიერთი რელიგიური ინსტიტუცია), რომლებიც ლგბტქ იდენტობების ვალიდურობას უარყოფენ. ან, ის მაინც უნდა იქნას მიღწეული, რომ ამ ჯგუფებმა და ინსტიტუციებმა პატივი სცენ ლგბტქ ადამიანების უფლებას, იცხოვრონ თავისუფლად დევნისა და დისკრიმინაციის გარეშე.

კონვერსიული თერაპიის მიმდევართა განცხადებების კვლევა და შეწინააღმდეგება ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია. თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანია იმ *დადებითი* გამოცდილებების შესწავლაც, რომელიც ლგბტქ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ორგანიზებულ რელიგიასა და სულიერების სხვა ფორმებში, ისევე, როგორც ზოგიერთი ლგბტქ ადამიანის სურვილი, მიეკუთვნებოდნენ მორწმუნეთა თემს. იმ ლგბტქ ადამიანებს შორის, ვინც თავს რელიგიურად აღიქვამს, დიდი

მრავალფეროვნებაა, ისევე, როგორც ნებისმიერ რელიგიურ ან სასულიერო პრაქტიკაში არსებობს პოზიციათა სხვაობა:

* ისინი, ვინც საკუთარ რელიგიურობას „რწმენის“ უფრო ზოგად კონტექსტში განიცდის
* ისინი, ვინც კონკრეტული რელიგიური ტექსტების (მაგალითად, ქრისტიანული ბიბლია, ყურანი ისლამში, ებრაული თორა ან ჰინდუ ბჰაგავატ გიტა) პირდაპირი ინტერპრეტაციით ცხოვრობს
* ისინი, ვინც რელიგიას უყურებს, როგორც კულტურული კავშირის მატარებელს, მაგრამ არ მისდევს კონკრეტულ რელიგიურ პრაქტიკებს
* ისინი, ვინც რელიგიის პრივატულ გაგებაში მისდევს ზემოთ ჩამოთვლილი (და სხვა) პრაქტიკების ნაზავს

ყველა ამ პოზიციისათვის, რელიგია წარმოადგენს უსაფრთხო და იმ დისკრიმინაციისგან დაცულ ადგილს, რომელსაც ლგბტქ ადამიანები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბრიტანეთში მცხოვრებ არაჰეტეროსექსუალ მუსლიმებთან ჩატარებულ კვლევაში, სოციოლოგმა ენდრიუ იპმა (2004) მიაკვლია, რომ ბევრი მისი მონაწილე ისლამსა და ყურანის კითხვასთან მიკუთვნებულობას განიცდიდა, როგორც ხსნას მუსლიმი ადამიანების მიმართ ზოგადად გავრცელებულ მტრული განწყობისგან.

ამის მსგავსად, აბრაჰამმა (2009) აღმოაჩინა, რომ მის მიერ გამოკითხული ავსტრიალიელი ქვიარ მუსლიმების უმეტესობა ისლამს დისკრიმინაციის მრავალრიცხოვანი ფორმებისგან თავის დასაღწევ საშუალებად აღიქვამდა. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ სხვებთან ან ღმერთთან სულიერი კავშირის შეგრძნება, შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კრიზისულ მომენტებში ლგბტქ ქრისტიანებისთვის, ასეთი კრიზისი შეიძლება აივ/შიდსის ეპიდემიის პიკი იყოს (Sherkat, 2002)

იპის კვლევა ყურადღებას გვაქცევინებს რელიგიურ ტექსტებსა და დოგმატებს და რელიგიის კულტურულ პრაქტიკებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე. ბევრი ადამიანი ამ ორ რამეს ხედავს, როგორც განუყოფელს, თუმცა სხვებისათვის გარკვეული რელიგიის ტექსტები და დოგმატები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს იმისგან, თუ როგორ ახორციელებენ მათ ამ რელიგიის მიმდევრები. მაგალითად, ბრიტანული სოციალური პოლიტიკის კომენტატორები იავარაი და დე იონგი (2004) აღნიშნავენ, რომ ისლამის მცოდნეთა შორის დიდი დებატია ყურანისა და მისი თანმხლები ტექსტების (რომლებიც ყურანის ინტერპრეტაციას ემსახურება სხვადასხვა რელიგიურ პრაქტიკაში) შორის განსხვავების თაობაზე.

მიიჩნევა, რომ ყურანი ტრადიციულად წყევლის ერთსქესიან სექსუალობებს (განსაკუთრებით კაცებს შორის, ქრისტიანული წმინდა წერილის მსგავსად). თუმცა, ალტერნატიული ინტერპრეტაციები გვკარნახობს, რომ

მსგავსი აკრძალვები ძალადობრივ, არა თანხმობაზე დამყარებულ ურთიერთობებზეა ვრცელდება და არა **„მოსიყვარულე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებზე კაცებს შორის და ქალებს შორის“** (Jivraj and de Jong, 2004:6). რაც შეეხება ქრისტიანობას, ამერიკელი ფსიქოლოგები ერიკ როდრიგესი და სიუზან ოულეტი (2000) აცხადებენ, რომ ქრისტიანების 75% **„გმობს ჰომოსექსუალებსა და ჰომოსექსუალობას, როგორც საძაგლობას ღვთის თვალში.“** (გვ. 333).

თუმცა, ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ზოგი რელიგიური დაჯგუფება აქტიური პოზიტივით ეკიდება ლგბტქ ქრისტიანების გამოცდილებებს. მათ შორის მთავარია მეტროპოლიტანური სათემო ეკლესიები, რომლებსაც ხუთივე კონტინენტზე აქვთ წარმომადგენლობა. ეს ეკლესია აქტიურად ასწავლის ლგბტქ ადამიანთა ცხოვრების შესახებ რელიგიურ კონტექსტში და მათ ღვთისმსახურებას ლგბტქ თემის წევრები უძღვებიან. ეს ეკლესია ამ მხრივ ცნობილია, როგორც „გეი მხარდამჭერი“ და არა „გეი მეგობრული“. ეს უკანასკნელი ტიპი ის ეკლესიაა, რომელიც იღებს ლგბტქ ადამიანებს, მაგრამ ლგბტქ თემისათვის და მის შესახებ სწავლებას არ მისდევს.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ლგბტქ ადამიანი საკუთარ თავს ორგანიზებულ რელიგიას მიაკუთვნებს ან სასულიერო პრაქტიკებშია ჩართული, ბევრი სხვა ლგბტქ ადამიანი ასევე ექსპლიციტურად აიგივებს თავს ჰუმანისტთან ან ათეისტთან. ბევრი ადამიანისათვის ეს შეიძლება იყოს წარსული უარყოფითი გამოცდილების შედეგი ორგანიზებულ რელიგიასთან შეხებისას; სხვებისათვის, მიზეზი რელიგიის უკუგდებისა შეიძლება არ განსხვავდებოდეს იმ მიზეზებისგან, რომელთა გამოც უფრო ფართო მოსახლეობის ნაწილები აიგივებენ თავს ათეისტებთან, რაციონალისტებსა და ჰუმანისტებთან.

რომ შევაჯამოთ, ლგბტქ ადამიანების ცხოვრებაში რელიგიისა და სექსუალობის გადაკვეთის წერტილი გვავალებს:

* ვაღიაროთ, რომ ბევრი ლგბტქ ადამიანი თავს აკუთვნებს ორგანიზებულ რელიგიას ან სპირიტუალური პრაქტიკების მთელს სპექტრს.
* ვაღიაროთ, რომ არსებობს ფართო სპექტრი გზებისა, რომელთა მეშვეობითაც ლგბტქ ადამიანები საკუთარ რწმენას განიცდიან.
* გავიგოთ, რომ რელიგიებს ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებით შეხედულებების ფართო სპექტრი გააჩნიათ (რელიგიების ცალკეულ ფორმებს, მაგალითად ორთოდოქსულსა და ლიბერალურს, შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებები), რომ არ არსებობს ერთი (სწორი) ინტერპრეტაცია იმისა, თუ როგორ განიხილება ჰომოსექსუალობა რელიგიურ ტექსტებში.

სოფლად ცხოვრება

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევის უმეტესობა, უკანასკნელ დრომდე, ფოკუსირდება ურბანულ ცენტრებში მცხოვრები ლგბტქ ადამიანების გამოცდილებებზე (Green, 2000). იზრდება მოცულობა კვლევისა, რომელიც განიხილავს იმ ლგბტქ ადამიანების სპეციფიკურ გამოცდილებებს, ვინც სოფლად ან მოშორებულ რაიონებში ცხოვრობს.

რურარული ან მეტროპოლიისგან მოშორებული რეგიონები ტიპიურად გაგებულია, როგორც რეგიონები, რომლებსაც შედარებით დაბალი სიმჭიდროვის დასახლება აქვთ, და მოიცავს გეოგრაფიულად გაფანტულ თემებს, რომლებიც განლაგებულია ურბანული ცენტრებისგან მოშორებით, და რომელთა მთავარი ფოკუსი ხშირად სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკაზე მოდის (Rounds, 1998).

ასეთი გეოგრაფიული რეგიონები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხშირად ორგანიზებულები არიან (ქრისტიანული) რელიგიისადმი ძლიერი ჩართულობითა და მიკუთვნებით, და ეკლესია ამ რურარულ თემებში ცენტრალურ როლს თამაშობს. როგორც ასეთი, რურარულ რეგიონებში მცხოვრები ზოგიერთი ლგბტქ ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ზეწოლას, რომ უარი თქვას ლგბტქ იდენტობაზე და საკუთარი თავი ჰეტეროსექსუალებთან გააიგივოს (Willging et al., 2006).

სოციალურმა იზოლაციამ, რომელიც მოშორებულ და რურარულ რეგიონებში (ან თუნდაც, რეგიონულ ცენტრებში) ცხოვრებასთან ასოცირდება, შეიძლება ლგბტქ ადამიანებისათვის სპეციფიკური სერვისების არარსებობა გამოიწვიოს. გარდა ამისა, სერვისების არსებობის შემთხვევაშიც, შესაძლოა ლგბტქ ადამიანებმა ისინი არ გამოიყენონ მათი იდენტობის გამჟღავნების და საერთო თემიდან უფრო მეტად გარიყვის შიშის გამო. ზოგიერთ რეგიონში, ლგბტქ მხარდაჭერის ჯგუფები არ არსებობს და სხვა ლგბტქ ადამიანების გაცნობა უსაფრთხო სივრცეში ძალიან რთულია.

კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ სოფლად მცხოვრები ლგბტქ ადამიანების მიერ ონლაინ სივრცეების გამოყენების მაჩვენებელი იზრდება იმისათვის, რომ სხვა ლგბტქ ადამიანებთან დაკავშირება შეძლონ და მიაღწიონ რესურსებსა და მხარდაჭერის სერვისებს (Haag and Chang, 1997). თუმცა, როგორც სონია ელისი (2007a) აღნიშნავს, ზოგიერთი ლგბტქ სპეციფიკური ონლაინ სივრცის მეტისმეტად სექსუალიზებული ხასიათი იმას ნიშნავს, რომ სოფლად მცხოვრებმა ლგბტქ ადამიანებმა, რომლებიც უპირველეს ყოვლისა არასექსუალიზებულ ინტერაქციებს ეძებენ, შეიძლება მსგავსი სივრცეები მხარდამჭერის აღმომჩენად არ მიიჩნიონ (ასევე იხ. თავი 8).

არსებობს საგრძნობი გენდერული და რასობრივი განსხვავებები ლგბტქ ადამიანებს შორის, სერვისებისა და იმ უსაფრთხო სივრცეებისადმი მისაწვდომობის მხრივ, სადაც ლგბტქ ადამიანების გაცნობა შეიძლება. ამერიკელი ეპიდემიოლოგი დევიდ კნაპ უიტიერი (1997) ამბობს, რომ გეი კაცები ან მსმ-ები ხშირად ახერხებენ ისეთი სივრცის შექმნას, სადაც სხვა კაცებთან შეხვედრა შეუძლიათ, ან ხელი მიუწვდებათ მომსახურებაზე (მაგალითად, ბუკლეტები ზრდასრულებისთვის, საჯარო სივრცე და სასტუმროები). ლესბოსელები ან ქალები, რომლებსაც სექსი აქვთ სხვა ქალებთან, როგორც წესი, უფრო ნაკლებ მისაწვდომობას ავლენენ ასეთ სივრცეებისადმი სოფლად და მოშორებულ (და თუნდაც ურბანულ) რეგიონებში.

ზოგიერთი ლგბტქ ადამიანი, რომელიც სოფლად ან მოშორებულ რეგიონებში ცხოვრობს, შესაძლოა ურბანულ რეგიონებში გადავიდეს, რათა ლგბტქ თემთან ჰქონდეს კავშირი. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა ახალგაზრდებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლოა სხვები ძალადობისადმი მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ ადამიანების მხრიდან, ვინც ბოროტად იყენებს ურბანული ლგბტქ პრაქტიკების შესახებ მათ დაბალ ინფორმირებულობას (D'Augelli and Hart, 1987).

საერთო ჯამში, ლგბტქ თემების გეოგრაფიული განლაგების საკითხების გასაგებად საჭიროა:

* დავაფასოთ სოფლად და მოშორებულ რეგიონებში მცხოვრები ლგბტქ ადამიანების სპეციფიკური გამოცდილებები და მხარდაჭერის საჭიროება;
* გავიგოთ სირთულეები, რომლებიც სოფლად მცხოვრები ლგბტქ ადამიანების მხარდაჭერის საშუალებად აღქმული ონლაინ რესურსების გამოყენებასთან არის დაკავშირებული;
* სოფლიდან ურბანულ რეგიონებში გადასვლის გადაწყვეტილების მიღებისას, თვალი გავუსწოროთ გამოწვევებსა და წინააღმდეგობებს, რომლებსაც ლგბტქ ადამიანები აწყდებიან.

უნარიანობა

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, სოციალური სივრცეები, როგორც წესი, მოწყობილია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მოქმედი ოთხი კიდური აქვთ, და ასეთ სივრცეებში სანავიგაციოდ სმენის, მხედველობის, ყნოსვისა, შეხებისა და მეტყველების ადექვატური დონე გააჩნიათ.

მაგრამ, ყველა ადამიანს არ გააჩნია ეს ყველა კონკრეტული სხეულებრივი კონფიგურაცია. ადამიანებს შორის სოციალურ სივრცეში (რომელიც ასევე სრულუნარიანი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი) მოძრაობის მხრივ განსხვავებების აღიარებამ, შეზღუდულუნარიანობის სფეროს მკვლევარებს, როგორიც არის ბრიტანელი სოციალური მეცნიერი ტომ შექსპირი

(1999), უბიძგა, განესხვავებინა შეფერხება (როგორც სხეულებრივი ან გონების კონდიცია) და შეზღუდულუნარიანობა (ურთიერთობა შეფერხების მქონე ადამიანებს და უფრო ფართო საზოგადოებას შორის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, და რომელიც მათი საჭიროებების დანახვას ვერ ახერხებს).

რამდენიმე წლის წინანდელი "queercrip" კვლევა (Hall, 2003) ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ ენიჭება ზოგიერთ სხეულს უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე სხვებს და როგორ ხშირად განიცდიან ადამიანები საკუთარი უნარიანობის ხარისხს, როგორც „ნორმალურს" და არა როგორც „უნარიანს" და „შეზღუდული უნარების მქონეს". უნარიანობის საკითხები მრავალ შრესა და არეალს მოიცავს:

* ფიზიკური უნარები (მათ შორის კიდურების გამოყენება და კიდურების რაოდენობა)
* ინტელექტუალური ან შემეცნებითი უნარები
* ჯანმრთელობის უნარები (მათ შორის ქრონიკული დაავადებები)
* ემოციური უნარები (მათ შორის მენტალური ჯანმრთელობის საკითხები)

ყველა ჩვენგანი განიცდის საკუთარ სხეულს უნარიანობის ამ ფორმებთან მიმართებაში და ბევრი ჩვენგანისთვის უნარების სპექტრი, ცხოვრების განმავლობაში იცვლება. ლგბტქ ადამიანებისათვის, რომლებიც განიცდიან რაღაც ფორმის შეფერხებას, მისაწვდომობა სოციალურ სივრცეებისადმი (მათ შორის ლგბტქ სპეციფიკური სივრცეები) შეიძლება საგრძნობლად შეიზღუდოს სოციალური სივრცეების (და მათი ბინადრების) უუნაროობით უზრუნველყონ ყველა ადამიანის განსხვავებული საჭიროებები.

იქიდან გამომდინარე, რომ პრიორიტეტი ენიჭება სრულუნარიან ნორმებს, ბევრი ლგბტქ ადამიანი განიცდის მოწყვლადობის სხვადასხვა ფორმას, რომელიც გამომდინარეობს:

* არადისკრიმინაციული მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის არარსებობიდან (კონტექსტში, სადაც ბევრი სათემო ჯანმრთელობის სერვისი არ ემსახურება ლგბტქ ადამიანების საჭიროებებს, განსაკუთრებით კი იმ ლგბტქ ადამიანების საჭიროებებს, რომელთაც განსხვავებული უნარები აქვთ)
* ლგბტქ მხარდამჭერი, მეგობრული ან დადებითი სივრცეების არარსებობიდან (იმიტომ, რომ ფიზიკურმა და ემოციურმა ბარიერებმა, როგორიცაა ეტლისათვის პანდუსების არარსებობა, რომლებიც შეიძლება ფიზიკური ექსკლუზიის საწინდარი გახდეს, ისევე, როგორც კონკრეტული სოციალური სივრცეებიდან ექსკლუზიის შეგრძნება)
* სექსუალური ჯანმრთელობისა ან სექსუალური პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის უქონლობიდან (რაც ბევრ ადამიანს მოწყვლადს ტოვებს ინტერპერსონალური ძალადობისადმი)

* დასაქმების ვარიანტებისადმი მისაწვდომობის უქონლობიდან (რომელმაც შეიძლება თან მოიყოლოს ექსკლუზია სოციალური სივრცეებიდან, შეზღუდული ფინანსების გამო)

ჰეტეროსექსიზმი საავადმყოფოსა და მზრუნველობის სახლებში შეიძლება სავალალო იყოს იმ ადამიანების ცხოვრებისათვის, ვინც ამ სერვისებს იყენებს. აშშ შეზღუდულუნარიანობის ადვოკატი კორბეტ ოტული (Corbett O'Toole; 1996) ხაზს უსვამს, „განსხვავებული უნარების მქონე" ლესბოსელი ქალებისადმი მიმართული ჰეტეროსექსიზმის ზოგიერთ ნეგატიურ შედეგს:

აქ ითვლება „უარის თქმა წამლის გაცემაზე, დაძახების სიგნალის უგულვებელყოფა, თანამშრომელთა გულგრილობა და ჩართულობის ნაკლებობა და თანამშრომელთა მხრიდან კოლეგების პაციენტების წინააღმდეგ განწყობა" (გვ.232). ლგბტქ ადამიანებმა, რომლებიც რაიმე ტიპის შეფერხებით ცხოვრობენ, შეიძლება განიცადონ სირთულეები სხვა ლგბტქ ადამიანების მხრიდან მხარდაჭერის მოპოვების თვალსაზრისით. ეს შეიძლება გამომდინარეობდეს:

- კომუნიკაციურ განსხვავებებში (მაგალითად, სმენადაქვეითებულმა ადამიანებმა შეიძლება ვერ მისდიონ ლგბტქ ჟარგონს);
- სხეულებრივი განსხვავებულობიდან (ზოგიერთმა ლგბტქ ადამიანებმა შეიძლება გარიყულობა განიცადოს, როდესაც მას ვერ ხედავენ/არაფრად აგდებენ, როგორც კერძო იდეალიზებული „ტიპაჟის" წარმომადგენლებად);
- განსხვავებებიდან ჯანმრთელობის მდგომარეობაში (ბევრი სოციალური მხარდაჭერის ჯგუფი ლგბტქ თემში მოითხოვს, რომ ადამიანებმა სერვისების მისაღებად იმგზავრონ, ეს კი შეიძლება ხელსაყრელი არ იყოს ადამიანებისათვის, ვინც ჯანმრთელობის ქრონიკულ პრობლემებს განიცდის);
- ზოგიერთი ლგბტქ ადამიანი სხვა შეზღუდულუნარიანი ლგბტქ ადამიანების სხეულს ეპყრობა, როგორც ფეტიშის საგანს (მაგ. ადამიანები, რომლებსაც იზიდავთ ამპუტირებული კიდურიანი პირები)

ჩანართი 4.5 წარმოაჩენს საკვანძო კვლევას, რომელიც განიხილავს ექსკლუზიის მრავალრიცხოვან ფორმას, რომლებსაც ინტელექტუალური უნარშეზღუდვებიანი გეი კაცები აწყდებიან ჯანდაცვის დაწესებულებათა მხრიდან ისევე, როგორც გეი თემსა და სოციალურ სივრცეებში.

და ბოლოს, დიდი ხანი არ არის, რაც კვლევამ და საჯარო პოლიტიკამ იმის აღიარება დაიწყეს, რომ სხვადასხვა უნარშეზღუდვის მქონე ადამიანები არა მხოლოდ სექსუალურად აქტიურები არიან, არამედ იმისაც, რომ ეს აქტივობა მხოლოდ ჰეტეროსექსუალური არ არის (Fraley et al., 2007). კვლევა

სექსუალობასა და უნარებზე მზარდად განიხილავს სხვადასხვა გზებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანები ერთვებიან სექსუალურ პრაქტიკებში, და ხშირად სექსუალური გამოხატვის არაგენიტალურ ფორმებზე ყურადღების მიქცევაზე მოუწოდებენ.

ჩანართი 4.5. კრისტოფერ ბენეტი და ედრიან კოილი (2007): შეზღუდული ინტელექტუალური უნარების მქონე გეი კაცების შესახებ

თავის კვლევაში, ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა კრისტოფერ ბენეტმა და ედრიენ კოილმა, გამოკითხეს ათი კაცი მსუბუქი ინტელექტუალური უნარშეზღუდვებით, რომლებიც ან გეებად იდენტიფიცირდებოდნენ, ან ფიქრობენ, რომ გეები არიან. ინტერპრეტაციული ფენომენოლოგიური ანალიზის გამოყენებით (იხ. თავი 3), ბენეტმა და კოილმა მოპოვებული მასალის ხუთი მთავარი ასპექტი გამოიკვლიეს:

* გეი იდენტობის განვითარების გამოცდილება. ის ზოგადად გეების გამოცდილებების მსგავსი იყო, მაგრამ კვლევის მონაწილეები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ მათი გეი იდენტობის საფუძვლის განსაზღვრას. ზოგიერთი მათგანი საკუთარ სექსუალობას სექსუალურ ძალადობას მიაკუთვნებდა, რომელიც მათ ინტელექტუალური უნარშეზღუდვების არმქონე კაცებისგან განუცდიათ.
* ინტელექტუალური უნარშეზღუდვისა და გეიდ ყოფნის სტიგმა. კვლევის მონაწილე კაცებმა დააფიქსირეს ადამიანების მხრიდან ზოგადად მათი ინტელექტუალური უნარშეზღუდულობისა და გეი იდენტობის გამო დისკრიმინაციის გამოცდილება, ასევე მათ უნარშეზღუდვების არმქონე კაცებისგან დისკრიმინაცია საკუთარი ინტელექტუალური უნარშეზღუდულობის გამო განიცადეს.
* სოციალური იზოლაცია გეი თემისგან. ბევრმა მონაწილემ ისაუბრა სურვილზე, იყოს მეინსტრიმ გეი თემის წევრი, მაგრამ იქ თავს არასასურველად გრძნობს. ზოგიერთი მათგანისათვის იზოლაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ არ იციან, როგორ მოიპოვონ გეი რესურსები; სხვებისათვის ეს იყო იმასთან დაკავშირებული შიშის შედეგი, თუ როგორ მოეპყრობოდნენ მათ სხვები.
* მიკუთვნებულობის შეგრძნება. იქიდან გამომდინარე, რომ გეი სივრცეებში ისინი თავს არაკომფორტულად გრძნობდნენ, მეინსტრიმი გეი თემების მიმართ მონაწილეებმა მიკუთვნებულობის დაბალი მაჩვენებელი გამოავლინეს. ამას ისიც ამწვავებს, რომ მათ მცირე კავშირი აქვთ ასევე ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე სხვა გეი კაცებთან, და მცირე მხარდაჭერა გეებისათვის განკუთვნილ ადგილების ის მხრივ.

* შეზღუდვები მზრუნველობის სახლებში ყოფნისას. მზრუნველობის სახლში მცხოვრები ზოგიერთი მონაწილე გრძნობდა, რომ პირადი სივრცის ნაკლებობა ცუდად აისახებოდა მათი გეი ცხოვრების თავისუფლებაზე. ზოგიერთ მათგანს სხვა კაცებთან სქესობრივი კავშირის დამყარების გამო საყვედურობდნენ, ხოლო სხვები გრძნობდნენ, რომ პირადი სივრცის ეს ნაკლებობა მცირე საშუალებას უტოვებდათ, შეხვედროდნენ კაცებს და ეპოვათ მათი სექსუალური და ემოციური საჭიროებების საპასუხო გრძნობები.

ეს აღმოჩენები თვალსაჩინოს ხდის იმ გზებს, რომლითაც იდენტობის მრავალრიცხოვანი ფორმები აისახება ლგბტქ ადამიანების ცხოვრებაზე. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მონაწილეები სარგებელს ნახულობენ, როგორც კაცები, რომლებიც კაცების მიერ დომინირებულ საზოგადოებაში ცხოვრობენ, მაგრამ ამ სარგებელს დიდად აშუალებს მათი გეი იდენტობა და მათი გამოცდილება, როგორც ინტელექტუალური უნარშეზღუდვის მქონე ადამიანებისა.

ლგბტქ თემს შიგნით სხვადასხვა უნარებისა და შეზღუდვების გაგება ჩვენგან მოითხოვს:

* ვაღიაროთ, როგორ ახდენს სხეულებრივი ნორმები სოციალური სივრცეების ფორმირებას და ზღუდავს ზოგი ადამიანის გადაადგილებას.

* შევიტყოთ შეზღუდვებით მცხოვრები ლგბტქ ადამიანების სპეციფიკური გამოცდილებები, განსაკუთრებით სექსუალური და ემოციური საჭიროებები.

* ვაღიაროთ ეიბლიზმი ლგბტქ თემებს შორის.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- ვაჩვენეთ, თუ რა გავლენა აქვს სოციალურ ნორმებს ლგბტქ თემზე და ლგბტ თემს შიგნით.
- გამოვყავით გზები, რომლის საშუალებითაც ლგბტქ თემის მრავალფეროვნებამ შესაძლოა კონკრეტული ჯგუფების მარგინალიზაცია გამოიწვიოს და ლგბტქ თემში პრივილეგირებასა და მის უკან დაწევას იწვევს.
- ხაზი გავუსვით იდენტობის მრავალ ფორმას, რომელიც ლგბტქ ადამიანების გამოცდილებას აყალიბებს.

კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები

1. გამოკვეთეთ მრავალფეროვანი ლგბტქ პოპულაციის შერჩევის შედგენის სირთულეები (იხ. თავი 3). შეიმუშავეთ შერჩევის და მონაწილეების

მოძიების მეთოდი, რომელიც ადექვატურად ასახავს ლგბტქ ადამიანების გამოცდილებების განსხვავებულობას.

როგორ შეიძლება ლგბტქ თემში არსებულმა დისკრიმინაციამ და ცრურწმენებმა ხელი შეუშალოს მრავალფეროვანი შერჩევის შედგენისთვის ხელის შეშლის თქვენეულ მცდელობას?

2. წარმოიდგინეთ ჰიპოთეტური ადამიანის გამოცდილებები, რომლებიც ამ ან სხვა იდენტობის კატეგორიებით ყალიბდება (მაგალითად, შავკანიანი, მუშათა კლასის წარმომადგენელი, ბისექსუალი ქალი). როგორ შეიძლება ამ იდენტობებმა მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოახდინოს გავლენა? როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს ამ სამმა იდენტობამ ერთად ამ ადამიანის ცხოვრებაზე, რომელსაც ვერ დავინახავდით, თუ იდენტობის მხოლოდ ერთ მახასიათებელს განვიხილავდით?

3. არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გზა, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ მარგინალიზებული ლგბტქ ადამიანების საჭიროებებს ლგბტქ თემში. პირველია არსებული ჯგუფებისა და სერვისების განვითარება და განვრცობა მარგინალიზებული ლგბტქ ადამიანებისთვის მიმღებელი გარემოს შესაქმნელად. მეორეა ლგბტქ თემის კონკრეტული ჯგუფებისათვის სპეციფიკური სივრცეების შექმნა (მაგ. სოციალური ჯგუფები შეზღუდული უნარების მქონე ლგბტქ ადამიანებისათვის). ამ თავში განხილული ლგბტქ ადამიანების სხვადასხვა ჯგუფების გათვალისწინებით, იმსჯელეთ ორივე მიდგომის უპირატესობებისა და შეზღუდვების შესახებ.

4. რა შეზღუდვები აქვს დომინანტურ ბინარულ მიდგომას გენდერის გასაგებად დასავლურ საზოგადოებებში? როგორ ზღუდავს ეს ლგბტქ ადამიანების გამოცდილებებს? განსაკუთრებულად რომელი ლგბტქ ადამიანების გამოცდილებებს?

5. წაიკითხეთ ამერიკელი ფემინისტის პეგი მაკინტოშის (Peggy McIntosh's 1998) კლასიკური ნაშრომი „თეთრი უპირატესობა: გავხსნათ უხილავი ზურგჩანთა". გამოყავით გზები, რომლის მიხედვითაც ადამიანები თქვენს საზოგადოებაში პრივილეგირებულნი ხდებიან. შემდეგ განსაჯეთ, თუ როგორ არიან უკან დაწეულნი არათეთრკანიანი და არაჰეტეროსექსუალი ადამიანები თქვენს საზოგადოებაში. ბოლოს ისაუბრეთ იმ ადამიანების ცხოვრებაზე, ვინც პრივილეგირებულიცაა და მარგინალიზებულიც (მაგალითად პრივილეგირებული, როგორც თეთრკანიანი და მარგინალიზებული, როგორც არაჰეტეროსექსუალი) თქვენს საზოგადოებაში. თქვენი აზრით, როგორია პრივილეგირებისა და მარგინალიზების ერთდროული განცდა? (სასურველია, გაიხსენოთ საკუთარი მაგალითებიც)

თავი 5

წინასწარგანწყობა და დისკრიმინაცია

თავის მიმოხილვა:

- სექსუალობა და გენდერული იდენტობის წინასწარგანწყობების კონტექსტი
- სექსუალობა და გენდერული იდენტობის წინასწარგანწყობები, როგორც ანტი-ლგბტქ მიდგომა და ქცევა
- სექსუალობა და გენდერული იდენტობის წინასწარგანწყობები, როგორც სოციალური მარგინალიზაცია

სექსუალობისა და გენდერული იდენტობის წინასწარგანწყობების კონტექსტი

2000 წლიდან გაერთიანებულ ბრიტანეთში, ისევე, როგორც საერთაშორისო მასშტაბით, განხორციელდა უპრეცედენტო ცვლილებები, რომლებიც არაკანონიერს ხდის დისკრიმინაციას სექსუალობის საფუძველზე, მათ შორის, ზოგიერთ ქვეყანაში აუქმებს აკრძალვას ჰომოსექსუალობაზე ჯარში. ასევე, გაერთიანებულ სამეფოში მოხდა სექსუალურ კავშირზე თანხმობის ასაკის გათანაბრება კაცებს შორის; აქვე გაუქმდა ადგილობრივი მთავრობის აქტის 28-ე სექცია; ერთსქესიანმა წყვილებმა შვილად აყვანის უფლება მიიღეს დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში; დაკანონდა დისკრიმინაციისგან დაცვა სამუშაო ადგილზე გაერთიანებულ სამეფოში; სამოქალაქო პარტნიორობისა და ქორწინებისადმი მისაწვდომობა ზოგიერთ ქვეყანაში (დეტალური სია - იხ. თავი 8); სულ ცოტა ხნის წინ გაერთიანებულმა სამეფომ მიიღო კანონი სერვისების მიწოდებისას დისკრიმინაციისაგან დაცვის შესახებ.

ასევე, დადებითი ცვლილებების სერიას ადგილი ჰქონდა გენდერულ იდენტობასთან მიმართებაშიც. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში არსებული 1999 წლის სქესობრივი დისკრიმინაციის (გენდერის კვლავმინიჭების) რეგულაციები, რომელსაც შეენაცვლა გენდერის აღიარების აქტი (2004), უკანონოს ხდის ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციას სამსახურში. ამასთანავე, გენდერის აღიარების აქტი (2004) საშუალებას აძლევს ტრანსგენდერ ადამიანებს, მათი შეძენილი გენდერი ლეგალურად იქნას აღიარებული; სქესობრივი დისკრიმინაციის რეგულაციების 2008 წლის ჩასწორებაში უკანონოდ ითვლება ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაცია საქონლის, მომსახურების, დაწესებულებებისა და საცხოვრებლის მიწოდებისას. სხვა ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდება

იმით, თუ რამდენად ხდება კანონმდებლობაში ტრანსგენდერი ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დარეგულირება. როგორც წესი, ტრანსგენდერ ადამიანებთან დაკავშირებული საკითხები სქესობრივი დისკრიმინაციის რეგულაციებს შიგნით მოიაზრება.

თუმცა, პოზიტიური სოციალური ცვლილების ხარისხი შეიძლება ისეთ გარემოებსაც შევადაროთ, სადაც ლგბტქ ადამიანები გარკვეული კანონებისა და სოციალური ინსტიტუციებიდან კვლავაც გამორიცხულნი არიან. ამის მაგალითია აშშ, სადაც სამხედრო პოლიტიკა ჯერ კიდევ ხელს უშლის „აქტიურ“ ჰომოსექსუალებს, იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში და აიძულებს ლგბ ადამიანებს, არ გაამჟღავნონ საკუთარი ორიენტაცია. ამის მსგავსად, ავსტრალიაში ლგბტქ ადამიანები კვლავაც გამოირიცხებიან სამოქალაქო ქორწინებისა და ლეგალური შვილების (ზოგიერთ შტატს უკვე აქვს სამოქალაქო პარტნიორობისა ან ურთიერთობების რეგისტრი, თუმცა მათ უფლებების დაცვის გარეშე); ხოლო აშშ-ის კონგრესმა და სახელმწიფო კანონმდებლებმა არაერთხელ თქვეს უარი შრომით არადისკრიმინაციული კანონების მიღებასა და ერთსქესიანი ქორწინების უზრუნველყოფისათვის საჭირო პროცედურებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სამყაროს დიდ ნაწილში ლგბტქ ადამიანებს გარკვეული თანასწორობით უზრუნველყოფენ, გაეროს არანაკლებ 85 წევრი ქვეყნისა (რაც კულტურებისა და რწმენების ფართო სპექტრს წარმოადგენს), ჯერ კიდევ ახდენს თანხმობაზე დამყარებული ერთსქესიანი სექსუალური პრაქტიკების, როგორც „არაბუნებრივი ქმედებების“, კრიმინალიზებას ზრდასრულ ადამიანებს შორის. მაშინ, როცა კაცებს შორის სექსი ხშირად კრიმინალიზებულია, სექსი ქალებს შორის, ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც კანონით არის კრიმინალიზებული, ისე საზოგადოების მხრიდანაც სასტიკად ისჯება. მაგალითად, ირანში, კაცური ჰომოსექსუალობა სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, ლესბოსელობისთვის კი - 100 როზგს. მსგავსად ამისა, ტოგოში (აფრიკა) კანონი ამბობს, რომ უსირცხვილო ქმედებები და დანაშაული ბუნების წინააღმდეგ ერთი სქესის ადამიანებს შორის, ისჯება სამი წლით თავისუფალი აღკვეთით და 100,000 – 500,000 (დასავლეთ აფრიკული) ფრანკის ოდენობის ჯარიმით (www.ilga.org). სხვა ქვეყნებში ლგბტქ ადამიანებს აწამებენ, აპატიმრებენ, უკანონოდ აკავებენ, ისინი „ქრებიან“ კიდეც, მხოლოდ და მხოლოდ მათი სექსუალობისა და/ან გენდერული იდენტობის გამო. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ არადასავლურ ქვეყანაში გენდერი და სექსუალური განსხვავებულობა აღიარებულია და ზოგიერთ ინსტანციაში ლეგალურად არის დაცული, ბევრ შემთხვევაში, ლგბტქ ადამიანების ძირითადი ადამიანის უფლებები იგნორირებულია.

სექსუალობა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული წინასწარგანწყობა, როგორც ანტი–ლგბტქ მიდგომა და ქცევა

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინების ფართო სპექტრი არსებობს, რომლებიც ლგბტქ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციასა და ნეგატიურ წინასწარგანწყობას აღწერს. ტერმინი ჰომოფობია ამერიკელმა ფსიქოლოგმა კენეტ სმიტმა (1971) დაამკვიდრა და ის პოპულარიზებულ იქნა ამერიკელი კლინიკური ფსიქოლოგის ჯორჯ უაინბერგის (1972: 4) მიერ, რომელმაც განსაზღვრა ჰომოფობია, როგორც „ძლიერი შიში ჰომოსექსუალებთან ახლოს ყოფნისა – საკუთარი თავის სიძულვილი ჰომოსექსუალობის შემთხვევაში".

სწორედ ეს იქცა ბევრი ფსიქოლოგიური კვლევის საფუძვლად, რამაც ჰომოფობიის კონცეპტუალიზაცია მოახდინა, როგორც შფოთვა, ზიზღი, ავერსია, სიბრაზის, დისკომფორტის გრძნობები და შიში ლესბოსელებისა და გეი კაცებისადმი (Hudson and Ricketts, 1980). 1980-იან წლებში, წარმოდგენილი იქნა ტერმინი „ინტერნალიზებული ჰომოფობია" (Sophie, 1987) იმ უარყოფითი გრძნობების აღსანიშნად, რომელსაც ლესბოსელი ან გეი საკუთარი თავის მიმართ განიცდის. დღესდღეობით ტერმინი ჰომოფობია ინკლუზიურად აღწერს ანტი–გეი და ანტი–ლესბოსურ (ზოგჯერ ანტიბისექსუალურ) წინასწარგანწყობებსა და დისკრიმინაციას და შეიცავს ყველაფერს, უარყოფით ატიტუდებს და გეების მიმართ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს სექსუალობის საფუძველზე.

ლგბტქ ლიტერატურის განხილვისას, ასევე იპოვით ჰომოფობიის მონათესავე ბევრ სხვა ტერმინს, როგორიც არის „ჰომონეგატივიზმი" (Hudson and Ricketts, 1980) და „ჰომოსექსოფობია" (Levitt and Kassen, 1974), მაგრამ ეს ტერმინები ფართოდ არ გამოიყენება. არც ისე დიდი ხნის წინ, ტერმინი ჰომოფობია იმის გამო გაკრიტიკდა, რომ იგი არ მოიცავს ნეგატიურ წინასწარგანწყობებსა და დისკრიმინაციას ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების წინააღმდეგ. ამის შედეგად წარმოიშვა ტერმინები ბიფობია და ტრანსფობია, თუმცა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ისინი ჯერ არ არის დამკვიდრებული.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ჰომოფობია" ხშირად გამოიყენება, როგორც ქოლგა ტერმინი ანტი–ლგბტქ წინასწარგანწყობის ყველა ფორმისათვის, ის ადექვატურად არ აღწერს იმას, რომ ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიერ განცდილი დისკრიმინაცია არსებითად განსხვავდება გეებისა და ლესბოსელების მიმართ გამოყენებული დისკრიმინაციისგან.

მართალია, ბისექსუალებსა და ტრანსგენდერ ადამიანებს დისკრიმინაციასთან მიმართებაში გეებსა და ლესბოსელებთან საზიარო საკითხებიც

აქვთ (მაგ. ის, რომ ისინი ხშირად სოციალურად ვალიდურებად არ მიიჩნევიან), ისინი ასევე დისკრიმინირებულნი არიან იმიტომ, რომ ჩვეულებრივად გაგებულ სექსუალობასა და გენდერულ ნორმებს ვერ ერგებიან. როგორც მეორე და მეოთხე თავში მიმოვიხილეთ, სექსუალობის დიქოტომიზაციამ ჰეტეროსექსუალურ – ჰომოსექსუალურ ბინარულობაში, ბისექსუალობა უხილავი გახადა და ამიტომ მას ეჭვისა და მითოლოგიის საბურველში ხვევს. ეს ფენომენი ცნობილია, როგორც მონოსექსიზმი და

მონონორმატიულობა

ამის შედეგად, ბიფობია გამოიხატება ნეგატიურ სტერეოტიპებში. მაგალითად, გავრცელებული სტერეოტიპის მიხედვით, ბისექსუალები საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით გაურკვევლობაში იმყოფებიან და სინამდვილეში გეები ან ლესბოსელები არიან, რომელთაც ქამინგ აუთის გაკეთების გამბედაობა არ ჰყოფნით; ხშირად იცვლიან პარტნიორებს; ჰყავთ ერთდროულად ერთზე მეტი პარტნიორი; სექსზე განსაკუთრებული აქცენტირება სჩვევიათ (Eliason, 2001; Rust, 1993). ასევე, გენდერის დიქოტომიზება კაცის და ქალის ბინარულ კატეგორიებად ტრანსი (და ინტერსექსი) ადამიანებისთვისაც პრობლემურია. საზოგადოებათა უმეტესობაში, გენდერული განსხვავებულობა არ არის მიღებული და სოციალური სტრუქტურები ცდილობს გენდერული მოქნილობის და არა ქალური/კაცური იდენტობების წაშლას (Monro, 2006). მაგალითად, ინგლისურ ენაში არ არსებობს სოციალურად მიღებული ტერმინი იმ ადამიანების მისამართად, ვინც არც ქალია და არც კაცი, ოფიციალური დოკუმენტები (მაგ. დაბადების მოწმობა და პასპორტები) მოითხოვს გენდერის დასახელებას და მოქნილობისთვის ადგილს არ ტოვებს, ასევე სივრცეები, რომლებიც „კაცების“ და „ქალებისთვისაა“ განკუთვნილი (მაგ. ტუალეტები), ყოველდღიური შეხსენებაა იმისა, რომ საზოგადოება ორსქესიანი მოდელის ირგვლივ არის ორგანიზებული. ამასთან, ტრანს ადამიანებს ხშირად უყურებენ, როგორც „რეალურად“ გეებს ან ლესბოსელებს, რომლებიც საპირისპირო სქესისკენ **ტრანზიციას** გადიან იმისათვის, რომ გეებად და ლესბოსელებად იდენტიფიკაცია აიცილონ თავიდან.

ტერმინები „ბიფობია“ და „ტრანსფობია“ ასევე საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ის ნეგატიური წინასწარგანწყობა, რომელიც ლესბოსელ და გეი თემში და ასევე ჰეტეროსექსუალებში არსებობს; ეს ფართოდ ცნობილია, როგორც **„ორმაგი დისკრიმინაცია“** (Ochis, 1996). ზუსტად ისე, როგორც ლგბტქ ადამიანები განიცდიან უარყოფით წინასწარგანწყობებს იმიტომ, რომ ვერ ერგებიან ჰეტეროსექსუალური საზოგადოების დაწესებულ ჩუმად

მიღებულ ნორმებსა და კონვენციებს, ბისექსუალები და ტრანსგენდერი ადამიანები ხანდახან ხდებიან ჩაგვრის მსხვერპლნი იმიტომ, რომ ვერ ერგებიან ლესბოსური და გეი თემის ნორმებს.

ამერიკელი ადვოკატის ჯილიან ვაისის (2004) განცხადებით, ლესბოსელი და გეი თემები ხასიათდება გენდერული დაყოფებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შედგება იმ ქალებისგან, ვისაც სხვა ქალი სექსუალური პარტნიორები სურთ (ლესბოსელი) და კაცებისგან, რომლებსაც კაცი სექსუალური პარტნიორები სურთ (გეები). გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ლესბოსელი ასევე აიგივებს საკუთარ თავს ფემინიზმთან და ქალთა მოძრაობასთან, ისინი საკუთარ ლესბოსურ იდენტობას უყურებენ, როგორც პოლიტიკურ განაცხადს, ანუ, როგორც საზოგადოებაში კაცური პრივილეგიის საწინააღმდეგო პოზიციას (იხ. მეორე თავი). შესაბამისად, ლესბოსელები ხშირად ბისექსუალ ქალებს ქალთა საკითხებში არასოლიდარულად და კაცური პრივილეგიისადმი შემწყნარებლებად აღიქვამენ, რადგან ისინი აკმაყოფილებენ კაცების სოციალურ, ემოციურ და სექსუალურ საჭიროებებს (Rust, 1993, 1995).

შეხედულებები ლგბტქ ადამიანების მიმართ და პრობლემები

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, 1950-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე ლგბტქ ადამიანების შესწავლაში დომინირებდა კვლევები, რომლებიც ლესბოსელებსა და გეებს ავადმყოფებად, არანორმალურებად და დევიანტებად რაცხავდა (Kitzinger, 1987) და თითქმის სრულად გარიყავდა ბისექსუალ ადამიანებს. ტრანსგენდერი ადამიანები, ზოგჯერ კვლევის საგნები იყვნენ, თუმცა ამ პერიოდის კვლევები უმეტესწილად მათ პათოლოგიზებას ახდენდა. მხოლოდ 1973 წელს, DSM-იდან ჰომოსექსუალობის ამოღების შემდეგ დაიწყეს ფსიქოლოგებმა ლესბოსელებისა და გეების დისკრიმინაციისა და მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების შესწავლა. იმ დროისათვის დამოკიდებულებების კვლევა კარგად იყო განვითარებული ფსიქოლოგიაში და ჰომოფობიის საკვლევად მკვლევარებს საკმაოდ მოხერხებულ ჩარჩოს სთავაზობდა. შესაბამისად, 1970-იანებში შეიქმნა ჰომოფობიის საკვლევი და შესაფასებელი რამდენიმე სკალა. ეს სკალები ჰომოფობიას პიროვნულ მახასიათებლად აღიქვამდნენ, რომელიც ადვილად გაიზომებოდა ჰომოფობიის სკალით. როგორც ნებისმიერ ფსიქომეტრიულ კვლევაში, ამ კვლევების მონაწილეებსაც ევალებოდათ, პასუხი გაეცათ სხვადასხვა განაცხადებისათვის, როგორიცაა: „არ შევუერთდებოდი ორგანიზაციას, რომელსაც ჰომოსექსუალი წევრი ჰყავს“ (Lumby,1976); „ჰომოსექსუალთა მზარდი რიცხვი ამერიკული მორალის გადაგვარებაზე მიანიშნებს“ (Millham et al., 1976); „ჰომოსექსუალები უნდა გავაცალკევოთ

საზოგადოების დასაცავად“ (Smith, 1971). ხდებოდა თითოეული განაცხადის კოდირება და შეფასება. შემდეგ მონაცემები იკრიბებოდა საბოლოო ჰომოფობიის ქულის გამოსაყვანად. ჰომოფობიის სკალების განვითარება 1980-იან წლებშიც გაგრძელდა და 1984 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგმა გრეგორი ჰერეკმა შექმნა ჰომოფობიის ცნობილი სკალა: „ლესბოსელებისა და გეების მიმართ არსებული ატიტუდების შეფასების სკალა“ (იხ. ჩანართი 5.1). ასეთივე სკალები შეიქმნა ინტერნალიზებული ჰომოფობიის (Szymanski and Chung, 2001), ბიფობიის (Mulick and Wright, 2002) და ტრანსფობიის (Hill and Willoughby, 2005 ; Tee and Hegarty, 2006) საკვლევად.

თითქმის გამონაკლისის გარეშე, ჰომოფობიის კვლევა გამოკითხვებსა და კითხვარებს იყენებდა ჰომოფობიის დონის გასაზომად და ის მძიმედ დომინირებულია ჩრდილოეთ ამერიკის კონტექსტში ჩატარებული კვლევით. მეინსტრიმულ ლგბტქ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს უამრავი კვლევა, რომელიც ჰომოფობიის სკალებს იყენებს ლგბ ადამიანების მიმართ ინდივიდთა კონკრეტული ჯგუფების ატიტუდების გამოსაკვლევად და აღსარიცხად, როგორიც არის ფსიქოლოგები, სოც. მუშაკები, მედ. პროფესიონალები, პოლიციის ოფიცრები და სტუდენტები. ამასთან, საკმაოდ მრავალი ნაშრომი ეძღვნებოდა ჰომოფობიის წინაპირობების დადგენას. ჰომოფობიის კვლევა მდგრადად გვიჩვენებს, რომ ის უფრო ხშირია კაცებში, რომელთაც კონსერვატიული რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებები აქვთ და მათში, ვისაც ლესბოსელებთან ან გეებთან პირადი კონტაქტი არ აქვთ (D’Augelli, 1989). ამის მსგავსად, შედარებით ახალი კვლევა (Nagoshi et al., 2008) გვიჩვენებს, რომ კონსერვატული რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები მაღალ კორელაციაშია ტრანსფობიასთან.

ჩანართი 5.1. <u>მნიშვნელოვანია</u>: ატიტუდები ლესბოსელებისა და გეების მიმართ
სკალა – მოკლე ვერსია (ATLG-S; Herek, 1984)

– ისევე, როგორც სხვა სახეობებში, მამრებს შორის ჰომოსექსუალობა ადამიანებშიც სექსუალობის ბუნებრივი გამოხატულებაა;
– ლესბოსელები უბრალოდ ვერ ერგებიან ჩვენს საზოგადოებას;
– ლესბოსელებს და გეებს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მხოლოდ მაშინ უნდა ეძლეოდეთ, თუკი ისინი უმრავლესობას არ გააღიზიანებენ ან შეურაცხყოფენ;
– ჩემი აზრით გეები საზიზღრები არიან;
– ლესბოსელები ავადმყოფები არიან;
– კაცური ჰომოსექსუალობა პერვერსიაა;
– კაცური ჰომოსექსუალობა უბრალოდ განსხვავებული ცხოვრების სტი-

ლია, რომელიც არ უნდა იგმობოდეს;
– საზოგადოებას აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ლესბოსელებსა და გეებს, რომელთაც სურთ სკოლებში ილაპარაკონ, განახორციელონ ჰომოსექსუალობის, როგორც ჰეტეროსექსუალობის ექვივალენტის, აქტიური პროპაგანდა;
– საშტატო კანონები, რომლებიც არეგულირებს თანხმობაზე დაყრდნობილ პირად ურთიერთობებს ლესბოსელებს შორის, უნდა შესუსტდეს/გაუქმდეს;
– ჰომოსექსუალური ქცევა ორ კაცს შორის უბრალოდ არასწორია;

ისტორიულად, ჰომოფობიის კორელატების გამოვლენის მთავარი მიზანი იყო იმ ადამიანების გამოვლენა, ვინც ჰომოფობიისათვის ხელის შეწყობას რისკავდა. მაშინ, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება ისე შეიძლებოდა, რომ მათი სამიზნე სწორედ ეს „რისკის“ ჯგუფები ყოფილიყვნენ. განსხვავებულობის ტრეინინგი ის სტრატეგიაა, რომელიც ჰომოფობიასთან საბრძოლველად ფართოდ გამოიყენება სამუშაო დაწესებულებებსა და სკოლებში. ტრეინინგს სამი მთავარი მიზანი აქვს: 1) ლგბ ადამიანების შესახებ ფაქტების წარმოჩენა; 2) ლგბ ადამიანებთან კონტაქტით უზრუნველყოფა; 3) პარალელის გავლება ლგბ ადამიანებსა და სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებს შორის (Harding and Peel, 2007). ასეთი ტრეინინგების შეფასება აჩვენებს, რომ შეიძლება ეს მეთოდი ატიტუდების შესაცვლელად კარგი იარაღი იყოს, თუმცა უცნობია, რამდენად მოხდება ამ ცვლილებების პრაქტიკაში გამოყენება (Peel, 2002). კორელაციური კვლევა ასევე საშუალებას გვაძლევს, სარისკო ქცევებისა და ჰომოფობიასთან დაკავშირებული ფსიქიკური დაავადებების ინდიკატორების იდენტიფიკაცია მოვახდინოთ.

მაგალითად, კორელაციურმა კვლევამ ინტერნალიზებული ჰომოფობიის შესახებ, შეისწავლა ჰომოფობიის მოსალოდნელი გავლენა იმ ლგბტ ადამიანებზე, რომლებიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარენ (Amadio and Chung, 2004), ან განიცდიან დეპრესიას, შფოთვას ან თვითმკვლელობის სურვილს (e.g., Igartua et al., 2003). მსგავსმა კვლევებმა გამოავლინა პიროვნული ფაქტორები, რომლებიც შეიძლება ინტერნალიზებული ჰომოფობიის მზარდ ალბათობაში გადაიზარდოს (Szymanski et al., 2001).

სოციალურ და კულტურულ კონტექსტებში, სადაც თანასწორობისაკენ და ანტიდისკრიმინაციისკენ მიმართული სოციალური კლიმატია, ნაკლებად სოციალურად მიღებული გახდა ღიად ჰომოფობიური სენტიმენტების გამოთქმა. პოლონეთსა და ნიდერლანდებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ როდესაც მონაწილეებს სოციალურ ჯგუფზე ეკითხებოდნენ

(ლგბტქ ადამიანებზე), სიტუაციაში, სადაც ცხადი შეიძლება გახდეს მათი ატიტუდები ამ ჯგუფის მიმართ (მაგ,. ფოკუს ჯგუფი ლგბტქ საკითხებზე), მონაწილეები ცვლიან საკუთარ პასუხებს იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ პირდაპირ უარყოფითი მტკიცებები (Maison, 1995). შესაბამისად, ჰომოფობიის სკალების გამოყენებით მიღებულმა შედეგებმა შეიძლება ე.წ. „იატაკის ეფექტი“ გამოიწვიოს (ანუ, რესპონდენტთა უმეტესობა „არაჰომოფობად“ მიიჩნევა). თუმცა, სხვა გარემოებებში იგივე ადამიანებმა შეიძლება თავისუფლად გამოთქვან ანტი–ლგბტქ სენტიმენტები.

ამ გავლენებისაგან გასათავისუფლებლად, ზოგიერთმა ფსიქოლოგმა უფრო დახვეწილი სკალების განვითარება სცადა, რომლებიც მიმართული იქნებოდა ჰომოფობიის უფრო ფარული/სათუთი ფორმებისაკენ. ამის ერთი მაგალითი „ჰომოფობიის თანამედროვე სკალაა“ (Raja and Stokes, 1998), რომელიც 46 კითხვას მოიცავს. სკალა მიმართულია **ინსტიტუციური ჰომოფობიის,** პირადი დისკომფორტისა და იმ რწმენების შესწავლისაკენ, რომელთა მიხედვითაც ჰომოსექსუალობა დევიანტურია და შეცვლადი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სკალის კითხვები/პუნქტები საგრძნობლად არ განსხვავდება ადრეული ჰომოფობიის სკალებისგან, ის მოიცავს ორ ქვესკალას (MHS-L and MHS-G), რომელთაგან ერთი ლესბოსელების მიმართ არსებულ ატიტუდებზე კონცენტრირდება, ხოლო მეორე კი - გეი კაცების მიმართ არსებულ ატიტუდებზე. ეს სტრუქტურა უფრო აადვილებს შედარებას ლესბოსელებსა და გეი კაცების მიმართ არსებულ ატიტუდებს შორის, რაც, ATLG-სკალის (Herek, 1984) გამოკლებით, შეუძლებელია იმ ძველი სკალების გამოყენებისას, რომლებიც ლესბოსელებსა და გეებს ჰომოგენურ ჯგუფად აღიქვამდნენ.

კვლევების მცირე რაოდენობაში, ლესბოსელი და გეი საკითხების მიმართ არსებული ატიტუდები (უფრო მეტად, ვიდრე თავად ლესბოსელი და გეი ადამიანების მიმართ არსებული ატიტუდები), ჰომოფობიის შესწავლის საშუალებად გამოიყენეს. უმთავრესად ევროპულ კონტექსტზე დაფუძნებული ეს ნაშრომები ფოკუსირებულია ნეგატიური წინასწარგანწყობის შესწავლაზე, ახალ სამართლებრივ ცვლილებებთან მიმართებაში, რომლებიც ლგბ ადამიანებისათვის სოციალური თანასწორობის ინსტიტუციონალიზაციის შედეგად მოხდა (Ellis, 2002; Sotelo, 2000).

ეს კვლევები გვკარნახობს, რომ, პრინციპში, თანასწორობის ცნება ლესბოსელებისა და გეებისთვის საკმაოდ მხარდაჭერილია. მაგალითად, სონია ელისის (Ellis, 2002) გამოკითხვაში 630 სტუდენტიდან (მთელი ბრიტანეთის მასშტაბით), 96% დაეთანხმა შემდეგ განცხადებას: **„ადამიანის სექსუალური ორიენტაცია არ უნდა ზღუდავდეს მის საშუალებას, ხელი მიუწვდებოდეს ძირეულ უფლებებსა და თავი-**

სუფლებაზე“. თუმცა, მხარდაჭერის დონემ შედარებით იკლო, როდესაც მონაწილეებს სპეციფიკური უფლებების შესახებ ჰკითხეს. განსაკუთრებით, რესპონდენტებს არ სურდათ, რომ ლესბოსელებსა და გეებს თანასწორი უფლება ჰქონოდათ ისეთ სოციალურ საკითხებში, როგორიცაა ქორწინება და ბავშვების ყოლა, ასევე, მათ ნეგატიურად შეაფასეს სასკოლო კურიკულუმში გეებისა და ლესბოსელებისათვის საჭირბოროტო საკითხების წარმოჩენა.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კვლევები არსებობს ბისექსუალების მიმართ არსებულ ატიტუდებზე, კვლევა ერთმნიშვნელოვნად ავლენს, რომ ანტიბისექსუალური განწყობა ჭარბობს. მაგალითად, ფსიქოლოგ პატრიკ მიულიკისა და ლესტერ რაითის (2002) კვლევაში ამერიკული უნივერსიტეტის 224 სტუდენტის თითქმის ნახევარი „საშუალოდ“ ან „მწვავედ“ ბიფობიურად შეფასდა. ეს აღმოჩენა ასევე აჩვენებს, რომ ბიფობია ჰეტეროსექსუალ სტუდენტებში უფრო ჭარბობდა, ვიდრე გეებსა და ლესბოსელებში. ეს კვლევა ერთ–ერთია იმ მცირერიცხოვან კვლევათაგან, რომელიც ბისექსუალთა მიმართ არსებულ ატიტუდებს გეებისა და ლესბოსელების მიმართ არსებული ატიტუდებისგან განცალკევებით სწავლობს. უფრო ხშირია ლგბ ადამიანებისადმი არსებული ატიტუდების ერთიანად გაზომვა, თითქოს ლგბ ადამიანები ჰომოგენური ჯგუფი იყოს (იხ. მეოთხე თავი). ეს მიდგომა განსაკუთრებით პრობლემურია, იმიტომ, რომ იგი აკეთებს დაშვებას იმის თაობაზე, რომ თუკი ადამიანებს ანტი–გეი განწყობა აქვთ, შესაბამისად ანტი–ლესბოსელები და ანტი–ბისექსუალებიც იქნებიან. ამით უგულვებელყოფილია გენდერული ნორმებისა და წინასწარგანწყობების თანაკვეთა სექსუალობასთან მიმართებაში არსებულ სტერეოტიპებთან.

ზოგიერთმა ფსიქოლოგმა (Hill and Willoughby, 2005; Landén and Innala, 2000) შეამჩნია, რომ ატიტუდების კვლევა, როგორც წესი, მიგვითითებს, რომ ადამიანები ტრანსგენდერობის წინააღმდეგნი არ არიან; თუმცა, ექსპერიმენტულმა კვლევამ და ეპიზოდურმა მტკიცებულებებმა სრულიად სხვაგვარი სურათი გვიჩვენა. დასავლურ საზოგადოებაში ჭარბობს ანტი–ტრანს სენტიმენტები (იხ. Winter et al., 2008 კროსკულტურული შედარებისთვის), რაც ტრანსგენდერ ადამიანებს დისკრიმინაციის მაღალი რისკის ქვეშ აყენებს. მაგალითად, 2006 წელს, Press for Change (www.pfc.org.uk) – ბრიტანული ტრანს ადამიანების უფლებადამცველი ორგანიზაციის ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამართლებრივი დაცულობის მიუხედავად, დისკრიმინაცია და შევიწროვება სამსახურში მაინც ხდება.

873 გამოკითხული ადამიანიდან, 10%-ს განუცდია ვერბალური შეურაცხყოფა, ხოლო 6%-ს - თავდასხმა სამსახურში. ვერბალური შეურაცხყოფის

შემთხვევები უფრო ხშირია. ამასთანავე, ტრანზიციის განმავლობაში და მის შემდეგ, ოთხიდან ერთ მონაწილეს აიძულებდნენ, გამოეყენებინათ მათი დაბადების სქესისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები (Whittle et al., 2007; Lombardi et al., 2001). ტრანსფობია ასევე ძლიერ კორელაციაშია ჰომოფობიასთან (e.g., Nagoshi et al., 2008).

მიუხედავად იმისა, რომ ესენციალისტური კვლევა ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებულ ატიტუდებზე წარმატებით გრძელდებოდა, ჰომოფობიის ცნება (ისევე, როგორც ბიფობიისა და ტრანსფობიის) ხანდახან კრიტიკას ექვემდებარებოდა. ჰომოფობიის ცნებას განსაკუთრებით კრიტიკულად ლესბოსელი ფემინისტი ფსიქოლოგები უყურებდნენ, რადგან იგი სექსუალობის მიმართ უარყოფითი სტერეოტიპის ინდივიდუალიზებას ახდენს (Kitzinger, 1996b).

ეს იმას ნიშნავს, რომ ნეგატიური წინასწარგანწყობა კონსტრუირებულია, როგორც გარკვეული პირების მახასიათებელი, რომლებიც ან თავისთავად არიან ამ წინასწარგანწყობის მატარებლები, ან ლგბტქ ადამიანების შესახებ გავრცელებული დამახინჯებული და სტერეოტიპული შეხედულებები აქვთ ათვისებული. ამის შედეგად, ჰომოფობიის ცნება უარყოფს იმას, თუ როგორ შეიძლება ატიტუდები დავინახოთ, როგორც სოციალურ და კულტურულ ქსოვილში ჩაქსოვილი წინასწარგანწყობების ანარეკლი. ამის მსგავსად, ზოგიერთი ფსიქოლოგის მიერ პრობლემურად აღიქმებოდა ინტერნალიზებული ჰომოფობიაც (Kitzinger and Perkins, 1993), რადგან იგი ლგბტქ ადამიანების მიერ განცდილი სტრესის პათოლოგიზაციას ახდენს და მას პირად საკითხად განიხილავს, რომელსაც ინდივიდუალური მორგება სჭირდება. ეს მიდგომა ინტერნალიზებულ ჰომოფობიას ისეთ პოლიტიკურ და კულტურულ საკითხად არ განიხილავს, რომლისთვისაც სოციალური ცვლილებაა საჭირო.

ლესბოსელი ფემინისტები ასევე მკაცრად აკრიტიკებდნენ იმას, თუ როგორ აიგივებენ ჰომოფობიის სკალები ნეგატიური წინასწარგანწყობის არქონას ლიბერალურ შეხედულებებთან (იხ. მეორე თავი). კიტზინგერი (1987) სოციალური კონსტრუქტივისტის პოზიციიდან ამტკიცებს, რომ შეუძლებელია იმის ობიექტურად განსაზღვრა, რა ითვლება წინასწარგანწყობის მატარებლად და რა - არა (Kitzinger and Peel, 2005).

ლგბტქ ადამიანებისადმი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

ესენციალისტური კვლევის შემდეგი შრე ფოკუსირდება ანტი–ლგბტქ ქცევებზე. ეს კვლევა ლგბტქ ადამიანების ვიქტიმიზაციას ეხება. როგორც წესი, ამას ჰომოფობიური (ან ტრანსფობიური) სიძულვილით მოტივი-

რებულ დანაშაულს უწოდებენ. მაშინ, როცა პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ არ ხდება სექსუალობისა და გენდერული იდენტობის მიმართ წინასწარგანწყობის შესახებ (ან ზოგადად) სტატისტიკური ინფორმაციის სისტემურად შეგროვება, არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი კვლევები თუ ცალკეული მონაცემები, რომ ამ დისკრიმინაციას ადგილი აქვს. მაღალი პროფილის მქონე მკვლელობების შემთხვევები, როგორიცაა მეთიუ შეპარდი, ტაირა ჰანტერი და ბრენდონ ტინა (აშშ) და დევიდ მორლი და ჯოდი დუბროვსკი (გაერთიანებული სამეფო), ისევე, როგორც გეების ჯგუფური მკვლელობები ავსტრალიაში, იმას გვახსენებს, რომ ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის დანაშაული ჯერ კიდევ ყვავის (იხ. ჩანართი 5.2.). ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა კვლევამ, რომელშიც 354 უელსელი ლგბ ადამიანი მონაწილეობდა (Stonewall CYMRU, 2003), გამოავლინა, რომ სამიდან ერთი რესპონდენტი მაინც ყოფილა ფიზიკური ძალადობის ან ბულინგის მსხვერპლი. ჰომოფობიური ბულინგი სკოლებში ასევე ხშირი მოვლენაა (იხ. მეშვიდე თავი).

ჩანართი 5.2.. ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მაგალითები

– გეების ჯგუფური მკვლელობები (Gay Gang Murders : გვიანი 1980–იანი და ადრეული 1990–იანი წლები). გეი კაცების მკვლელობათა და გაუჩინარებათა სერია მარკს პარკიდან (ცნობილი პლეშკა), რომელიც სიდნეიში ბონდის სანაპიროს მახლობლად მდებარეობს. ეს შემთხვევები ათწლეულზე მეტხანს დარჩა გამოუძიებელი.

– ბრენდონ ტინა (1993) გახლდათ ბიოლოგიური ქალი აშშ ნებრასკადან, რომელიც ცხოვრობდა, როგორც ტრანსი კაცი. იგი გააუპატიურეს და მოკლეს. ბრენდონის ეს სიძულვილით მოტივირებული მკვლელობა საფუძვლად დაედო 1999 წელს გამოსულ ცნობილ ფილმს „ბიჭები არ ტირიან“.

– ტაირა ჰანტერი (1995) იყო 24 წლის ტრანსსექსუალი ქალი, რომელიც მძიმედ დაშავდა, როდესაც ავარიაში მოყვა. სამედიცინო პერსონალმა, რომელიც ადგილზე მივიდა, მას დამცინავი კომენტარები დააყარა და მისი ბიოლოგიური სქესის აღმოჩენის შემდეგ სამედიცინო დახმარებაზე უარი უთხრა. ის ვაშინგტონის ოლქის მთავარ საავადმყოფოში მოგვიანებით გარდაიცვალა.

– მეთიუ შეპარდი (1998) გახლდათ 21 წლის გეი სტუდენტი ამერიკის ვაიომინგის შტატიდან. ის ორმა კაცმა „დაიმეგობრა“, რომლებმაც თავი გეებად გააცნეს. მათ შეპარდი მოშორებულ ადგილას გაიყვანეს, სადაც იგი გაძარცვეს, პისტოლეტის კონდახით სცემეს და აწამეს. ამის შემდეგ მათ ის დააბეს და დატოვეს. მეთიუ 18 საათის შემდეგ აღმოაჩინა ველოსიპე-

დისტმა, მაგრამ იგი თავის არეში მიღებული მძიმე ჭრილობებისგან მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. მეთიუ შეპარდის საქმე საფუძვლად დაედო კიდევ ერთ გახმაურებულ ფილმს, სახელწოდებით „ლარამის პროექტი“.

– დევიდ მორლი (2004) გეი კაცი იყო (და ასევე ლონდონის სოჰოში მდებარე გეი პაბის ადმირალ დუნკანის ბარმენი), რომელსაც უოთერლოს სადგურთან ახლოს თავს დაესხნენ ახალგაზრდები და თავის არეში სცემეს. ის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ მალე გარდაიცვალა. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ მას 44 დაზიანება ჰქონდა მიღებული და გახეთქილი ელენთისა და დალეწილი ნეკნებით გამოწვეული სისხლდენისგან გარდაიცვალა.

– ჯოდი დუბროვსკი (2005) 24 წლის ბარ-მენეჯერის თანაშემწე იყო, რომელიც სამხრეთ ლონდონში მოკლეს. ის სასიკვდილოდ სცემეს იმიტომ, რომ გეიდ მიიჩნეოდა. ექსპერტიზამ გამოავლინა, რომ მას ჰქონდა თავის ტვინის შეშუპება, ჩამსხვრეული ცხვირი, მრავლობითი სისხლჩაქცევები კისრის არეში, ხერხემალსა და საზარდულზე. მისი ცხედარი იმდენად დეფორმირებული იყო, რომ მშობლებმა მისი ამოცნობა ვერ შეძლეს.

ისევე, როგორც ვიქტიმიზაციის სხვა სახეები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სექსუალობისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე მასიურად აღურიცხავად რჩება (Peel, 1999). ეს ხშირად იმიტომ ხდება, რომ მსხვერპლს შემდგომი შურისძიებისა ეშინია, ისევე როგორც საკუთარი სექსუალური და გენდერული იდენტობის გამჟღავნებისა. იქიდან გამომდინარე, თუ როგორ ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის შედგენა, რთულია, განვაცალკევოთ ის შემთხვევები, რომლებიც სექსუალობის საფუძველზე მოხდა, იმ შემთხვევებისგან, რომლებსაც გენდერული იდენტობის ნიადაგზე დისკრიმინაცია უდევს საფუძვლად (ან გამოვყოთ ლგბტქ ადამიანების ცალკეული ჯგუფების მიმართ ძალადობის შემთხვევები). გარდა ამისა, რთულია, მოვახდინოთ კროსნაციონალური შედარებები, იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვანაირად წარმოადგენენ საჯაროდ მისაწვდომ მონაცემებს. მიუხედავად ამისა, ხელმისაწვდომია გარკვეული სახის მონაცემები, რომლებმაც შეიძლება მიგვითითოს პრობლემის მასშტაბზე. FBI სტატისტიკა (www.fbi.gov) გვიჩვენებს, რომ 2006 წელს აშშ პოლიციამ „სექსუალურ ორიენტაციაზე“ დაფუძნებული სამართალდარღვევის 1,415 შემთხვევა აღრიცხა. ამავე წელს კანადის პოლიციამ ჰომოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის 78 შემთხვევა/ინციდენტი აღრიცხა (Canadian Centre for Justice Statistics: HYPERLINK "http://www.statcan.ca/"www.statcan.ca).

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულ სამეფოში პოლიციის სტატისტიკა ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ საჯაროდ მისაწვდომი არაა, ბევრი ინციდენტი გადაეცემა სასამართლოს ან გამოძიებას. 2006 წლის აპრილსა და 2007 წლის მარტს შორის, UK Crown Prosecution Service (CPS) ხელში მთელი ქვეყნის მასშტაბით ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილის დანაშაულის 822-მა შემთხვევამ გაიარა. მათგან, 478 დანაშაულის აღიარებით დასრულდა ხოლო 124 შემთხვევა სასჯელის მინიჭებით სასამართლო პროცესის შემდეგ: სულ, 73.5% მსჯავრის დადება (www.cps.gov.uk). დამნაშავეები, როგორც წესი, ახალგაზრდა (16-20 წლის ასაკის) თეთრკანიანი კაცები იყვნენ (www.homeoffice.gov.uk). რადგან ავსტრალიაში დანაშაულის სტატისტიკა დანაშაულის ტიპის მიხედვით უფრო აღირიცხება, ვიდრე მოტივით, შეუძლებელია, განვსაზღვროთ სექსუალობის/გენდერული იდენტობით მოტივირებული დანაშაულების მასშტაბი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

თქვენ შეამჩნევთ, რომ ამ სტატისტიკაში არ არსებობს ბიფობიის სპეციფიკური მოხსენიება. მთავარი მიზეზი ისაა, რომ მიიჩნევა, თითქოს ბისექსუალებზე თავდასხმა იმ დაშვებით ხდება ხოლმე, რომ ისინი ლესბოსელები ან გეები (შესაბამისად კი ჰომოფობიური დანაშაულის მსხვერპლნი) ან ტრანსგენდერები ჰგონიათ (და შესაბამისად, ტრანსფობიური დანაშაულის მსხვერპლად მიიჩნევიან).

აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს იმპლიციტურ (და არასწორ) დაშვებასთან, რომ ბისექსუალობის გამო ინდივიდები არ იდევნებიან (ან შეუძლებელია იდევნებოდნენ). აშშ-ს მონაცემები ერთადერთი სტატისტიკაა, რომელიც კატეგორიებადაა დაყოფილი. 2006 წელს, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე მომხდარ და აღრიცხულ ფაქტთა 1.5 % ბისექსუალების წინააღმდეგ იყო მიმართული, 62.3% გეების, 20.7 პროცენტი ჰომოსექსუალების (გენდერი არ არის დაზუსტებული), 13.6% ლესბოსელების წინააღმდეგ, ხოლო 2.0 ჰეტეროსექსუალების წინააღმდეგ (www.fbi.gov). აღსანიშნავია, რომ მაშინ, როცა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ტრანსფობიურ ელემენტებს შეიცავს, ტრანსი არ გამოიყენება, როგორც პირი ან მოტივის კატეგორია FBI–ის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკაში (Juang, 2006), ასეთი რამ არც სხვა ქვეყნების უმეტესობაში გვხვდება.

არსებობს ფსიქოლოგიური კვლევის დამკვიდრებული მასალა ჰომოფობიურ სიძულვილის დანაშაულზე. ამერიკელი ფსიქოლოგი გრეგორი ჰერეკი ამ სფეროში მთავარი მკვლევარია და მან არაერთი კვლევა ჩაატარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების შესასწავლად. ჰერეკის შრომა გვკარნახობს, რომ არსებობს საგრძნობი განსხვავება ჰომო-

ფობიურ დანაშაულის დონეებს შორის, რაც მსხვერპლის სექსუალობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, შედარებით ახალ კვლევაში (Herek, 2009), რომელიც 662 მონაწილეს მოიცავს, გეი კაცები საგრძნობლად უფრო მეტ ალბათობას (37.6%) აჩვენებდნენ ანტი–გეი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში, ვიდრე ბისექსუალი კაცები (10.7%), ლესბოსელები (12.5%) და ბისექსუალი ქალები (12.7%).

უფრო ადრინდელი კვლევიდან (Herek et al., 1997) ასევე გამოიკვეთა, რომ დანაშაულის ინციდენტის ადგილის მიხედვით შეინიშნება გენდერული განსხვავება. ამ კვლევამ გამოავლინა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ქალების წინააღმდეგ, როგორც წესი, პრივატულ გარემოში ხდება (მაგ. მსხვერპლის ან მოძალადის სახლში), ხოლო დანაშაულის ფაქტები კაცების მიმართ, როგორც წესი, ხდება საჯარო სივრცეში (მაგ. გეი ადგილების სიახლოვეს). ორივე ტიპის შემთხვევებში მოძალადე, ძირითადად, კაცია.

ერთ-ერთი წინააღმდეგობა, რომელსაც როგორც მკვლევარები, ისე პრაქტიკოსები აწყდებიან, იმის განსაზღვრაა, თუ რა შეადგენს სიძულვილით მოტივირებულ ჰომოფობიურ დანაშაულს. მხოლოდ იმიტომ, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა ლგბტქ ადამიანის (ან მისი საკუთრების) მიმართ, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ის სიძულვილითაა მოტივირებული. მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ დანაშაულები ანტი-გეი წინასწარგანწყობით არის მოტივირებული, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ მსგავსი წინასწარგანწყობები საზოგადოებაში დომინირებს, ჰერეკმა და მისმა კოლეგებმა (Herek et al., 1997) გამოიკვლიეს, როგორ ასკვნიან ლესბოსელები და გეები, რომ ინციდენტი, რომელიც მათ გადახდათ, ჰომოფობიით იყო მოტივირებული. ინტერვიუებით მოგროვებული მასალის საფუძველზე, მათ სამი კრიტერიუმი გამოავლინეს: ვერბალური მინიშნებები (მაგ. დამნაშავემ ანტი-გეი ან ანტილესბოსური კომენტარი გააკეთა), ხილვადობის მინიშნებები (მაგ. ინციდენტი გეი-იდენტიფიცირებულ ადგილსა ან სიტუაციაში მოხდა) ან კონტექსტური დასკვნები (მაგ. ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც ცნობილი იყო, რომ მსხვერპლი გეი ღონისძიებაზე იმყოფებოდა).

მაშინ, როცა ანტი-ლგბტქ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საგრძნობი რაოდენობა ფიზიკურ ძალადობასა და მკვლელობაშიც კი გამოიხატება, ფსიქოლოგიური ტრავმა ყველაზე ხშირი შედეგია. ჩაღრმავებულ გამოკითხვაში, რომელიც კალიფორნიის საკრამენტოში მცხოვრებ 2,259 ლგბ ადამიანს მოიცავდა, რომელთაც გამოუცდიათ ჰომოფობიური თავდასხმა ან სხვა სახის დანაშაული, ბოლო 5 წლის განმავლობაში, ისინი უფრო მეტად ავლენდნენ დეპრესიის, ტრავმული

სტრესის, შფოთვისა და სიბრაზის სიმპტომებს, იმ ადამიანებთან შედარებით, ვისაც დანაშაული კონკრეტულად მათი ორიენტაციის გამო არ განუცდიათ, ან ვინც საერთოდ არ ყოფილა დანაშაულის მსხვერპლი (Herek et al., 1999).

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში, გარე პირები, როგორც წესი, ბრალს მოძალადეს სდებენ. თუმცა, ბოლოდროინდელ ამერიკულ კვლევაში, სოციოლოგმა კრისტოფერ ლიონსმა (2006) მიაკვლია, რომ იგივე არ ხდება ჰომოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში. 320 სტუდენტის მონაწილეობით ჩატარებულ კვლევაში, რესპონდენტები ჰომოსექსუალ მსხვერპლს ადანაშაულებდნენ პარტნიორული სითბოს საჯაროდ გამოხატვაში (მაგ. ხელიხელჩაკიდებული სიარული), რაც შეფასდა, როგორც უფრო პროვოკაციული საქციელი, ჰეტეროსექსუალების მიერ განხორციელებული იგივე საქციელისგან განსხვავებით.

კვლევა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი და ინფორმაციულია იმის შესასწავლად, თუ როგორ ხდება ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებული უარყოფითი წინასწარგანწყობის ამუშავება და ასევე ასეთი წინასწარგანწყობების შედეგებისა და გავლენების შესასწავლად. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს კვლევა ფოკუსირდება გამოხატულ ნეგატიურ წინასწარგანწყობებზე - ანუ იმაზე, რაც მოხდა ან შეიძლება მოხდეს (მაგ. აგრესიის ან ძალადობის აქტები, ანტი-ლგბტქ სენტიმენტების გამოხატულება) - და ცალკეულ ინციდენტებზე, ის ნაკლებად ვარგისია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მრავალმხრივი შედეგების გამოსავლენად. როგორც სელია კიტზინგერმა (1996: 11-12) გამოავლინა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შეიძლება გავიგოთ, „არა როგორც შემთხვევითი, ოპორტუნისტული ან პარტიკულარისტული თავდასხმა [ინდივიდებზე], არამედ როგორც აგრესია სპეციფიკური ჯგუფის წევრების და ამ ჯგუფის სიმბოლოების წინააღმდეგ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს აქტი არა მხოლოდ უშუალოდ მსხვერპლს აზიანებს, არამედ მუქარისა და დაშინების შეტყობინებას უგზავნის უფრო ფართო ლგბტქ თემს. ამიტომაც, ქმედებები, რომლებსაც ლგბტქ ადამიანები იყენებენ ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად და ის ქმედებები, რომლებსაც ჰეტეროსექსუალი ადამიანები იყენებენ იმისათვის, რომ „გეის ან ლესბოსელის იარლიყი“ არ მიეკეროთ, ერთნაირად მნიშვნელოვანია ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური ვიქტიმიზაციის გასაგებად, ისევე, როგორც თავად ინციდენტები.

სოციალური კლიმატის აღქმა

ლგბტქ ადამიანებისა და საკითხებისადმი ატიტუდებზე ან ჰომოფობიურ ქცევაზე ფოკუსირების ნაცვლად, ზოგიერთი ფსიქოლოგი მეტ

ყურადღებას აქცევს ლგბტქ ადამიანების მიერ მათი გარემოს აღქმას და ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ წინასწარგანწყობებთან შეჯახების გამოცდილებებს. ეს კვლევები ჰომოფობიის კვლევის მესამე შრეს შეადგენს და, როგორც წესი, მოიხსენიება, როგორც "კლიმატის კვლევა". ენტონი დ'აუჯელი, პირველი იყო, ვინც ჰომოფობიის ამ ასპექტზე იმუშავა (იხ. ჩანართი 5.3).

ჩანართი 5.3. კვლევა: ენტონი დ'აუჯელი: რატომ ვიკვლევ ლგბ სტუდენტების კამპუსის კლიმატს

ჩემი პროფესიული კარიერა და ჩემი უნივერსიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ისაა, რამაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდების კვლევამდე მიმიყვანა. პენის შტატის უნივერსიტეტი, რომელიც აშშ პენსილვანიის ცენტრში მდებარეობს, პატარა ქალაქია, სადაც 40,000-ზე მეტი სტუდენტი ცხოვრობს და მთებითა და ტყეებითა გარშემორტყმული.

სტუდენტების უმეტესობას უყვარს ამ უნივერსიტეტში ყოფნა, მშობლებისგან შორს, თემში, რომელიც მათ საჭიროებებსა და სურვილებზეა კონცენტრირებული. თუმცა, მე შევიტყვე, რომ 1980-იანების ბოლოს ყველა სტუდენტი როდი იყო კმაყოფილი. ლგბ სტუდენტები უნივერსიტეტს მათთვის მტრულ ადგილად აღიქვამდნენ. ეს აღმოვაჩინე, როდესაც საუნივერსიტეტო ლგბტ სტუდენტური ორგანიზაციის აკადემიური მრჩეველი გავხდი. მე კლინიკური და სათემო ფსიქოლოგი ვარ, ეს ის საფუძველია, რომელიც მგრძნობიარეს მხდის როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების, ისე სოციალური და სათემო გარემოებების პრობლემების მიმართ.

ლგბ ჯგუფის შეხვედრებზე დასწრებისას, ყური მოვკარი ჩუმ დისკუსიას ბევრ პრობლემაზე. როცა სტუდენტები ერთმანეთში საუბრობდნენ, მე სულ უფრო მაწუხებდა მათი კეთილდღეობა. პრობლემები, რომლებსაც ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ, სერიოზული იყო - დეპრესია, შფოთვა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გადაჭარბებული გამოყენება, თვითმკვლელობაზე ფიქრი. ეს პრობლემები კოლეჯში მათ წასვლამდე დაიწყო. მიზეზი იყო სტრესი, რომელიც ლგბ ადამიანად ყოფნას უკავშირდებოდა. ბევრმა უკვე მოზარდობაში იცოდა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, მაგრამ თავისი გრძნობები არც მეგობრებთან და არც ოჯახთან არ გაუზიარებიათ, ელოდნენ რა უარყოფით რეაქციასა და ხელის კვრას. ისინი, ვინც საკუთარი სექსუალური ორიენტაცია კოლეჯამდელ წლებში გააცხადა (ქამინგ აუთი გააკეთა), ყველაზე დატანჯულები იყვნენ; ზოგიერთი მათგანი თანატოლებისგან დაჟინებული ვერბალური შევიწროვების სამიზნე გახდა, დაბნეული მშობლებისგან - კრიტიკისა, მასწავლებლე-

ბისგან კი - გულგრილობისა, რომლებიც პასიურად ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ უსწორდება ჰომოფობია იმ მცირერიცხოვან ადამიანებს, ვინც გაბედა და განაცხადა... ან ვერ შეძლო დამალვა. პენ სტეიტში გადმოსვლისკენ მათ მშობლიური ქალაქიდან სიშორემ უბიძგათ, მაგრამ ღიაობის რისკი ჯერ კიდევ სერიოზული იყო. აქ ადგილი ჰქონდა ღიად ლგბ სტუდენტების ფართოდ გავრცელებულ შევიწროვებას, რომლის შემთხვევათა უმეტესობაც პროფესიონალთა ავტორიტეტს ქვეშ მყოფი საუნივერსიტეტო საცხოვრებლის სისტემაში ხდებოდა.

აკადემიური თემი, რომელშიც ეს ახალგაზრდები ცხოვრობდნენ, ლგბ ზრდასრული ადამიანებად ჩამოყალიბებაში კი არ ეხმარებოდა მათ, არამედ აიძულებდა, მსხვერპლის როლი მოერგოთ. ეს ვიქტიმიზაცია საფრთხეს უქმნიდა მათ სწავლას, და აკადემიური მოსწრება სუსტად აღწერდა მათ რეალურ პოტენციალს. ისინი ცხოვრობდნენ მუდმივ შიშში, მათი ორიენტაცის შესახებ არ შეეტყოთ სხვებს, და ეს შიში მათ კოლეჯშიც გამოყვათ.

მე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ამ ყველაფრისთვის წერტილი დამესვა. როგორც აკადემიური სტაფის წევრმა, მე ჯგუფს უნივერსიტეტისგან რესურსების შეძენაში დავეხმარე და ინსტრუქტაჟი გავუწიე იმაში, თუ როგორ უნდა მოეთხოვათ თანაბარი მოპყრობა და დაცვა. როდესაც უნივერსიტეტის უფროსობამ გააგრძელა ამ პრობლემებისადმი ზურგის შექცევა, მე მივადექი ყველაზე ძლიერ იარაღს, რითაც ამ სტუდენტების ცხოვრების შეცვლა მინდოდა, და ეს იყო კვლევა.

ასეთი იყო დასაწყისი 20-წლიანი პროექტისა, რომელიც გამოქვეყნდა და ახალგაზრდა და ზრდასრული ლგბტ ადამიანების მდგომარეობას ასახავდა (D'Augelli, 1989,1992; Grossman and D'Augelli, 2006; Hershberger and D'Augelli, 1995). კვლავ როცა ვაანალიზებ ამ კვლევებს, ვამაყობ იმით, რომ მან დიდი როლი შეასრულა ამ ახალგაზრდების ცხოვრებაში უსაფრთხოებისა და "ნორმალურობის" აღდგენის საქმეში. კვლევას მართლაც შეუძლია სამყარო შეცვლა, ჩემი და სხვა მკვლევარების მიერ ჩატარებულმა ფსიქოლოგიურმა კვლევებმა უდიდესი წვლილი შეიტანა ლგბ ადამიანების ცხოვრებაში.

კლიმატის კვლევები უფრო მეტად არის ფოკუსირებული იმის დოკუმენტირებაზე, თუ როგორია კონკრეტული გარემოების „უსაფრთხოების" და „ლგბტქ მეგობრულობის" აღქმა (როგორც წესი, კოლეჯები, უნივერსიტეტები ან სამუშაო ადგილებზე) ამერიკაში (Brown et al., 2004; D'Augelli, 1989; Eliason, 1996). კვლევის მთავარ ტექსტში წარმოდგენილია გამოკითხვაზე დაფუძნებული კვლევები, რომლებიც ერთ ინსტიტუციაში შეგროვდა

ლგბტქ სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში თანასწორი შესაძლებლობების მონიტორინგის მიზნით. ხშირ შემთხვევაში, კამპუსის კლიმატის შესახებ ლგბტქ ადამიანებისათვის პერსონალისა და სტუდენტების (ლგბტქ და ჰეტეროსექსუალები) გამოკითხვა ტარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევათა შედეგები ერთმანეთისგან განსხვავდება, ყველა მიუთითებს იმაზე, რომ ჰომოფობია კამპუსზე ჩვეული ამბავია. მაგალითად, დ'აუჯელის (1989) კვლევაში, გამოკითხული ლესბოსელი და გეი სტუდენტების 75% სიტყვიერ შეურაცხყოფას განიცდიდა, 25%-ს ერთხელ მაინც დამუქრებიან ფიზიკური ანგარიშსწორებით, ხოლო 17%-ს განუცდია პირადი საკუთრების დაზიანება. ასევე, ამერიკელმა სოციოლოგმა უილიამ ნორისმა (1991) მიაკვლია, რომ გამოკითხული (ლგბ და ჰეტეროსექსუალი) სტაფისა და სტუდენტების 80%-ს მოუსმენია სტერეოტიპული ან დამცინავი/შეურაცხმყოფელი კომენტარები ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალების მისამართით.

თუმცა კვლევები, რომლებშიც გამოკითხულია როგორც ლგბ, ისე ჰეტეროსექსუალი სტუდენტები და/ან სტაფი, როგორც წესი, გვკარნახობს, რომ კამპუსზე კლიმატი ნაკლებად მტრულია, ვიდრე ეს ექსკლუზიურად ლგბ რესპონდენტებთან ჩატარებულ კვლევებში ჩანს. მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგის მიშელ ელიასონის (1996) კვლევაში, სტაფის მხოლოდ 57%-ს მიაჩნდა, რომ ანტი-ლგბ ატიტუდები ჭარბობდა, ხოლო ამერიკელი სოციოლოგების მალანისა და მისი კოლეგების (1997) კვლევაში, გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 25% ფიქრობდა, რომ ანტი-ლგბტ ატიტუდები ჭარბობდა კამპუსზე. ჩატარებული კვლევების დეტალური შესწავლა, როგორც ჩანს, გვკარნახობს, რომ ეს განსხვავება შედეგებს შორის გამოყენებული საკვლევი ჯგუფის ფუნქციას, დასმულ შეკითხვებს და ინსტიტუციების ტიპს შორის განსხვავებას უფრო შეეხება, ვიდრე „რეალურ" განსხვავებას ჰომოფობიის ფაქტების არსებობისა და სიხშირის შესახებ. განსაკუთრებით, ის ფაქტი, რომ სამიზნე ჯგუფები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ჰეტეროსექსუალ რესპონდენტებს მოიცავენ, ჰომოფობიური კლიმატის ნაკლებ გამოცდილებას ავლენენ. თუმცა, ჰომოფობია ექსკლუზიურად ლგბტქ ადამიანებისადმი მიმართული არაა, უბრალოდ მათზე ის პირდაპირ გავლენას ახდენს და შესაბამისად, ეს კვლევაშიც მეტად ჩანს.

ასევე, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკაში არსებობს რამდენიმე მცირემასშტაბიანი ხარისხობრივი კვლევა, რომლებიც კამპუსის კლიმატს ისეთი სპეციფიკური გარემოებების მიხედვით აფასებენ, როგორიც არის, მაგალითად, საერთო საცხოვრებლის ოთახი (e.g., Evans and Broido, 2002; Taulke-Johnson and Rivers, 1999). მიუხედავად მცირე სამიზნე ჯგუფებისა, ეს კვლევები საერთო საცხოვრებლებში ლგბტქ გამოცდილების შესახებ

ფასეულ ინფორმაციას გვთავაზობს. კვლევების მთავარი აღმოჩენა ის იყო, რომ ამ ტიპის სასწავლო ცენტრებში ლგბტქ ადამიანებს უჭირდათ სხვადასხვა გარემოსა თუ კონტექსტში ქამინგ აუთის გაკეთება. თუმცა ზოგიერთი ამბობდა, რომ თემურობასა და მხარდაჭერას გრძნობდა კონკრეტულ დერეფანში ან ბინაში, სხვებს მტრულობით ეგებებოდნენ, რაც მათ ცხოვრებას უნივერსიტეტში საკმაოდ რთულს ხდიდა.

სონიას შედარებით ახალი კვლევა ლგბტქ სტუდენტების გამოცდილებებზე დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში, მიგვითითებს, რომ ჰომოფობია კამპუსზე ჯერ კიდევ აღიქმება ლგბტქ ადამიანების მიერ, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა და ძირითადად სხვა სტუდენტების მხრიდან მომდინარეობს (იხ. ჩანართი 5.4).

5.4. სონია ელისი (2008) ჰომოფობია უნივერსიტეტის კონტექსტში

ამ კვლევის მონაწილეებს შეადგენს 291 ლგბტ სტუდენტი (57% კაცი, 42% ქალი, 1 % დაუზუსტებელი), გაერთიანებული სამეფოს 42 უნივერსიტეტიდან. სხვა კამპუსის კლიმატის კვლევებში გამოყენებული გამოკითხვების საფუძველზე შექმნილი კითხვარი შეიცავდა 25 შეკითხვას, რომელიც კამპუსის კლიმატის 4 ძირითადი ასპექტისგან შედგებოდა: რეალური (actual) შევიწროვება/დისკრიმინაცია, კამპუსის კლიმატის აღქმა, კამპუსის კლიმატი და ლგბტ ინკლუზიურობა.

გამოკითხულ სტუდენტთა 23.4%-მა აღნიშნა, რომ ერთხელ მაინც ყოფილა ჰომოფობიური შევიწროვების/დისკრიმინაციის მსხვერპლი. ინციდენტების უმეტესობას დამცინავი, უარყოფითი კომენტარები წარმოადგენს (77.9%), ან პირდაპირი ან ირიბი ვერბალური შევიწროვება/მუქარა. თუმცა შევიწროვების ნაკლებად ხშირი სახეც იქნა გამოვლენილი, მათ შორის ზეწოლა, რომ ადამიანმა არ გამოავლინოს საკუთარი ლგბტ სტატუსი (16.2%). როგორც წესი, ეს ინციდენტები კამპუსის საჯარო სივრცეში ხდებოდა და შემთხვევათა უმეტესობაში (76.5%) სხვა სტუდენტების მიერ იყო განხორციელებული. სხვა მსგავს კვლევებთან თანხმობაშია ის ფაქტიც, რომ ამ ინციდენტთა უმეტესობა სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში მოხდა.

მიუხედავად შევიწროვების სიხშირისა, მონაწილეთა უმეტესობა (79.4%) ფიქრობდა, რომ ლგბტ ადამიანები ნაკლებ სავარაუდოა, კამპუსზე იყვნენ დაჩაგრულები, ხოლო 77.7%-მა განაცხადა, რომ ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს კამპუსზე ქამინგ აუთის შემდეგ. თუმცა, მონაწილეთა დაახლოებით ნახევარმა აღნიშნა, რომ სპეციალურად მალავდა ან ერიდებოდა საკუთარი იდენტობის გამჟღავნებას, შეშინებისა

ან ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ამასთან ერთად, მხოლოდ 39.2% დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა იმას, რომ „უნივერსიტეტი ზედმიწევნით აქცევს ყურადღებას კამპუსის საკითხებს, რომლებიც სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას უკავშირდება, ხოლო მხოლოდ 17.5% დაეთანხმა, რომ ლგბტ საკითხები ადეკვატურად არის წარმოდგენილი კურიკულუმში. ფსიქოლოგიის, სოციალური მეცნიერების, განათლებისა და მედიცინის სტუდენტები უფრო მეტად ($U = 3230$, $N = 203$,

$p < .004$), ვიდრე სხვა დისციპლინების შემსწავლელი სტუდენტები, აცხადებენ, რომ ლგბტ საკითხები არ იყო ადეკვატურად წარმოდგენილი კურიკულუმში.

კვლევის ზოგადი შედეგები გვკარნახობს, რომ ჰომოფობია კამპუსზე არ არის ყოვლისმომცველი პრობლემა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია და ამ პრობლემას თავად უნივერსიტეტები უწყობენ ხელს იმით, რომ ვერ ახერხებენ, აქტიურად მიაქციონ ყურადღება და გაუმკლავდნენ ჰომოფობიის, ტრანსფობიის, ბიფობიისა და ჰეტერონორმატიული წინასწარგანწყობის პრობლემებს.

მიუხედავად არსებული კვლევების შეზღუდვებისა, მასალა 1980-იანებიდან მოყოლებული გვკარნახობს, რომ ვერბალური შევიწროვება და ძალადობის მუქარა კამპუსზე საკმაოდ გავრცელებულია. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის რეალური ინციდენტების რაოდენობა მცირეა, ლგბტქ სტუდენტების გამოცდილებიდან გამომდინარე, კლიმატი სწორედ ის ფაქტორია, რაც უბიძგებს მათ, საკუთარი სექსუალობისა და/ან გენდერული იდენტობის შესახებ ღია არ იყონ და სთხოვს, საკუთარ მარგინალიზაციას შეუწყოს ხელი.

მაგალითად, ლგბტქ სტუდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ არ გრძნობდა თავს კომფორტულად, როდესაც საქმე სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებაზე მიდგებოდა და ბევრი მათგანი საგანგებოდ ცვლიდა ქცევას (მაგ. ერიდებოდა ლესბოსურ/გეი ადგილებს, თავს ჰეტეროსექსუალად „ასაღებდა“ და ლგბტქ ადამიანების ცნობისგან დისასოციაციას აკეთებდა) იმისათვის, რომ შევიწროვება და დისკრიმინაცია აერიდებინა თავიდან (Johnson and Rivers, 1999). შევიწროვებისა და დისკრიმინაციის (ფარული თუ ღია), ასეთი კლიმატი, სადაც მხარდაჭერის ნაკლებობაა, ლგბტქ სტუდენტებს ფსიქოლოგიური სტრესის მაღალი რისკის ქვეშ ამყოფებს.

თუმცა, ბრიტანელი სოციალური მეცნიერის, რიჩარდ თოლკიჯონსონის (2008) კვლევამ გეი სტუდენტების შესახებ, გამოავლინა, რომ ზოგიერთი სტუდენტისთვის ჰომოფობიური კლიმატი უფრო პოზიტი-

ურად აღიქმება. მაგალითად, ზოგიერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ანტიგეი სენტიმენტები ხშირად გამოიხატებოდა ხუმრობაში, რომელსაც ისინი მეგობრებისა და მეზობლების მხრიდან თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით კომფორტულობის განცდად აღიქვამდნენ. გარდა ამისა, მიუხედავად ჰომოფობიის, შეუწყნარებლობისა და ვიქტიმიზაციის სიჭარბისა, თოლკე-ჯონსონის კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს უნივერსიტეტი, როგორც სივრცე, სადაც მიუხედავად ყოვლისმომცველი დაშვებებისა, მოლოდინებისა, ნორმებისა და სავალდებულო ჰეტეროსექსუალობის რეგულაციებისა... მათ შეძლეს შეესწავლათ და პრაქტიკაში მოეყვანათ საკუთარი სექსუალური ორიენტაცია, განევითარებინათ ემოციური ინტელექტი და სოციალური მგრძნობელობა, [და] ოსტატურად მიდგომოდნენ საკუთარი ჰომოსექსუალობის გამოჩენისა და პერფორმანსის საზღვრებს (გვ. 131).

ამგვარად, ზოგიერთი ახალგაზრდა უნივერსიტეტს აღიქვამს არა როგორც სოციალურ კლიმატს, რომელიც მათ მხარს არ უჭერს, არამედ როგორც სივრცეს, სადაც მათ უნდა განივითარონ თვითაღქმა, როგორც ლესბოსელმა, გეიმ, ბისექსუალმა, ტრანსმა ან/და ქვიარ ადამიანებმა.

სექსუალობა და გენდერული იდენტობისადმი უარყოფითი წინასწარგანწყობა, როგორც სოციალური მარგინალიზაცია

ჰეტეროსექსიზმი

როგორც ამ სექციაში განხილულ ტერმინ „ჰომოფობიის“ კრიტიკის პირდაპირი შედეგი, ფსიქოლოგიურ ლექსიკონში გაჩნდა ტერმინი „ჰეტეროსექსიზმი“. ჰომოფობიისგან განსხვავებით, რომელიც ნეგატიური წინასწარგანწყობის თავისებურ ფორმას, უპირველეს ყოვლისა, გეებისა და ლესბოსელების წინააღმდეგ არსებულ ფენომენად აღიქვამს, ჰეტეროსექსიზმი უფრო სრულად მოიცავს წინასწარგანწყობას ყველა არაჰეტეროსექსუალისადმი და აქცენტი ჰეტეროცენტრიზმზე ან ჰეტეროსექსუალურ წინასწარგანწყობაზე გადააქვს. ტერმინი „ჰეტეროსექსიზმი“ უფრო ექსპლიციტურად ითავსებს სოციალური მარგინალიზაციის ცნებას, რადგან ასახავს იმ სიტყვებს, რომლებიც გამოიყენება სხვა ფორმის სისტემატური მარგინალიზაციის აღსანიშნად (რასიზმი, სექსიზმი, კლასიზმი).

რასიზმის, სექსიზმისა და კლასიზმის მსგავსად, ტერმინი „ჰეტეროსექსიზმი“ აღიარებს ლგბტქ ადამიანების მარგინალიზაციას, როგორც სოციალურს და არა როგორც ინდივიდუალურს. ეს კონსტრუქტი პოპულარიზებულ იქნა 1980-იანების ბოლოს გრეგორი ჰერეკის მიერ (1990: 316), რომელმაც ჰეტეროსექსიზმი განსაზღვრა, როგორც „იდეოლოგიური სისტე-

მა, რომელიც უარყოფს... და სტიგმატიზებას უკეთებს ქცევის, იდენტობის, ურთიერთობის ან თემის ნებისმიერ არაჰეტეროსექსუალურ ფორმას“.

ჰერეკი გვკარნახობს, რომ ჰეტეროსექსიზმი ორი ძირითადი საშუალებით გამოიხატება: „კულტურული ჰეტეროსექსიზმი“ და „ფსიქოლოგიური ჰეტეროსექსიზმი“. კულტურული ჰეტეროსექსიზმი (ან ინსტიტუციური ჰომოფობია), აღნიშნავს ჰეტეროსექსუალურ წინასწარგანწყობებს საზოგადოების წესებსა და ინსტიტუციებში (მაგ. რელიგია, განათლება და სამართლებრივი სისტემა), რასაც შედეგად მოაქვს ლგბტქ ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, ისტორიის წაშლა და უარყოფა ისევე, როგორც ჰეტეროსექსუალური გამოცდილებების, წეს-ჩვეულებებისა და ისტორიის პრივილეგირება. ფსიქოლოგიური ჰეტეროსექსიზმი, მეორეს მხრივ, ეხება ანტი-ლგბტქ ატიტუდებსა და ქცევას - ყველა იმ ასპექტს, რომელიც ზოგადად ჰომოფობიად არის გაგებული.

როდესაც ფსიქოლოგები ტერმინ „ჰეტეროსექსიზმს“ იყენებენ, ისინი, როგორც წესი, მის უფრო ფართო მნიშვნელობას იყენებენ (რომელიც ორივე – კულტურულ და ფსიქოლოგიურ, ასპექტებს მოიცავს), და ამგვარად, დაინტერესებულნი არიან უფრო ფართო სოციალური სტრუქტურებით, რომლებიც ხელს უწყობენ სექსუალობისა და გენდერული იდენტობისადმი ნეგატიურ წინასწარგანწყობას. აღსანიშნავია, რომ ტერმინები „ჰომოფობია“ და „ჰეტეროსექსიზმი“ ხშირად ერთმანეთის სანაცვლოდ გამოიყენება ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, რაც საკმაოდ დამაბნეველია! თუმცა, თუკი ავტორი შემოგვთავაზებს წინასწარგანწყობის სოციალურ ახსნას და იყენებს ხარისხობრივ მეთოდებს, ხოლო მისი საკვლევი თემა ეხება ნეგატიური წინასწარგანწყობის სათუთ/მსუბუქ ფორმებს, გამოდის, რომ ეს მკვლევარი სოციალურ ჰეტეროსექსიზმს უფრო სწავლობს, ვიდრე ფსიქოლოგიურ ჰომოფობიას (Clarke, 2005a; Ellis, 2001).

თეორია და კვლევა ჰეტეროსექსიზმზე, როგორც წესი, სოციალურ კონსტრუქტივისტულ ჩარჩოს ეფუძნება (იხ. მეორე თავი). ატიტუდებისა და ქმედებების დოკუმენტირებაზე მეტად, ისინი დაინტერესებულნი არიან, იკვლიონ, როგორ წარმოიქმნება ნეგატიური წინასწარგანწყობა და როგორ ხდება მისი კვლავწარმოება დისკურსსა და სოციალურ ინტერაქციაში, კულტურული არტეფაქტების მეშვეობით (მაგ. ვიზუალური მასალა, ოფიციალური დოკუმენტები, ინსტიტუციური ნორმები). ამგვარად, ეს კვლევა ყოველდღიურ ცხოვრებაში ანტი–ლგბტქ წინასწარგანწყობაზე კონცენტრირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ეს მიდგომა მთავარ აქცენტს სოციალურ ინტერაქციაზე აკეთებს, ის უკეთ ხსნის ცხად ცვლილებებს ატიტუდებში ერთი კონტექსტიდან მეორეში და უფრო მგრძნობიარეა წინასწარგანწყობის სათუთი ფორმების გამოვლენისადმი.

ჰეტეროსექსიზმის კვლევის საგანი თავად ფსიქოლოგიაც იყო. 1996 წელს სელია კიტზინგერმა გამოავლინა, თუ როგორ არიან ლესბოსელები სისტემატურად გამორიცხულნი ფსიქოლოგიიდან, ინკლუზია მხოლოდ და მხოლოდ ტოკენიზმის სახით ხდებოდა (იხ. მეორე თავი). კიტზინგერი გვეუბნება, რომ ფსიქოლოგები ხშირად აკეთებენ ზერელე კომენტარებს/მინიშნებებს ლესბოსელებისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, მხოლოდ იმისათვის, რომ ინკლუზიურებად ჩაითვალონ, მაგრამ ლესბოსურ პერსპექტივას საკუთარ სამუშაოში სისტემატურად არ რთავენ (Kitzinger, 1996a). მიუხედავად იმისა, რომ კიტზინგერი სპეციფიკურად ლესბოსელებზე წერს, ინკლუზიის პრობლემა, რომელზეც ის საუბრობს, ეხება გბტქ ადამიანებსაც. ათწლეული გავიდა და მხოლოდ ცოტა რამ თუ შეიცვალა. ბოლო კურსის ფსიქოლოგიური სახელმძღვანელოების ფართომასშტაბიანმა კვლევებმა, რომელიც ბრიტანელმა ფსიქოლოგმა მეგ ბარკერმა (2007) ჩაატარა, გვაჩვენა, რომ ზოგიერთს საერთოდ არ უხსენებია ლგბ სექსუალობები, ხოლო როცა უხსენებიათ, ეს მოხსენიება ცალკე გამოყოფილ სექციაში სახელად „სექსუალური ორიენტაცია“ იყო შესული და არ იყო სისტემატიურად დაფარული სახელმძღვანელოს მასშტაბით.

სახელმძღვანელოების იმ ნაწილებში, სადაც ურთიერთობებია განხილული, ხატთა და მაგალითთა უმეტესობა, ისევე, როგორც მოყვანილი კვლევები, ჰეტეროსექსუალ წყვილებს ეხებოდა. გარდა ამისა, წიგნების თითქმის ნახევარს საერთოდ არ უხსენებია ბისექსუალობა, ხოლო სხვა წიგნებში სიტყვა „ბისექსუალობა“ უბრალოდ იგულისხმებოდა „ლესბოსელი და გეი“ კატეგორიაში, ყოველგვარი სპეციალური განხილვის გარეშე. ეს ანალიზი აჩვენებს, რომ ლგბტქ პერსპექტივები არა უბრალოდ მარგინალიზებულია ფსიქოლოგიაში, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სისტემატურად არის გამორიცხული. ჰეტეროსექსიზმი საზოგადოების ჩვეულ პრაქტიკებშიც შეგვიძლია დავინახოთ. ერთი ასეთი პრაქტიკა ინტერსექსი ახალშობილების სამედიცინო მკურნალობაა (იხ. მეორე თავი). დაბადებისთანავე ამ ადამიანებს ან მდედრობითი ან მამრობითი გენდერი ენიჭებათ. უპირველესი კრიტერიუმი იმის განსაზღვრისა, თუ რომელი გენდერი უნდა მიენიჭოს ახალშობილს, ის არის, შესაძლებელი იქნება თუ არა ისეთი საშოს აგება, რომელიც შემდგომში პენისით იქნება პენეტრირებული, ან ასაკთან ერთად იქნება თუ არა ფალოსი საკმარისად გრძელი, რომ საშოში შევიდეს. ეს ცხადი მაგალითია ჰეტეროსექსუალობისა – ან, უფრო სწორედ, პენისი–საშოში აქტი, რომელიც ნორმად მიიჩნევა, იმ დანამატით, რომ სხეულები, რომლებიც არ ერგებიან „მამრისა“ და „მდედრის“ კონვენციურ კატეგორიებს, არ არიან ნორმალურები.

ნეგატიური წინასწარგანწყობის დისკურსული კვლევა (e.g., Wetherall and Potter, 1992) გვიჩვენებს, რომ ის ადამიანებიც კი, ვინც აცხადებს, რომ არ აქვს წინასწარგანწყობები, ასეთ აზრებს საუბრისას ხშირად გამოთქვამს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები, როგორც წესი, იწყება წანამძღვარით: „წინასწარგანწყობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ...“, რასაც შემდეგ მოსდევს ისეთი თავის მართლება, როგორიცაა „ვისურვებდი, რომ ისინი (ლესბოსელები და გეები) ერთმანეთს საჯარო სივრცეში არ კოცნიდნენ“.

ამ მაგალითებში წინასწარი თავის მართლება მოსაუბრის თვითპრეზენტაციის გასაკონტროლებლად გამოიყენება, რათა მას საშუალება მიეცეს, გამოხატოს (რაც შეიძლება ფორმულირდეს, როგორც) წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული განცხადება, მაგრამ, ამავე დროს, თავიდან აიცილოს წინასწარგანწყობებით მოლაპარაკეს სტატუსი. მაგალითად, ბრიტანელმა ფსიქოლოგმა ბრენდან გოფმა (2002) თავის კვლევაში ჰომოფობიის დისკურსულ რეპროდუქციაზე, წარმოაჩინა ერთ–ერთი მონაწილე, მარტინი, რომელიც თავს ლიბერალს უწოდებს („მე ყოველთვის ტოლერანტი ვიყავი ამის მიმართ“), სანამ თავდასხმას მოაწყობდა გეი პრაიდის მონაწილეებზე:

„თუკი ამას შევხედავთ, როგორც კონვენციურ ჰეტეროსექსუალობას, გყავს შენი პარტნიორი და შენთვის შეინახე, ამის ფრიალი არაა საჭირო, მე ყოველთვის ტოლერანტი ვიყავი, მაგრამ ნერვებს მიშლის, როდესაც გეი მსვლელობებს ვხედავ, ჩაცმულ–დახატულები არიან, გარყვნილ ტყავებში, რაც არის, ბდსმ–ის ტანსაცმელი – თუ ამის გაკეთება უნდათ სახლში, ეგრე იყოს, მაგრამ ჩემი აზრით, საკუთარ თავს ცუდ რეპუტაციას უქმნიან! (გვ. 226)“.

ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა სიუზან სპირმა და ჯონატან პოტერმა (2000) საუბრებსა და ტექსტებში ჰეტეროსექსიზმისათვის მსგავსი ანალიზი გამოიყენეს, გენდერულ თანასწორობასთან, სპორტსა და თავისუფალ დროსთან მიმართებაში. ამ კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სპიკერები უფრო მგრძნობიარენი იყვნენ იმ შესაძლებლობის მიმართ, რომ შეიძლება ვინმეს ჰეტეროსექსისტებად აღექვა და ამიტომ, სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებდნენ იმისათვის, რომ მათი საუბარი ასე არ ყოფილიყო გაგებული. ასეთი ჰეტეროსექსიზმის მაგალითები გულისხმობს ყოველდღიურ ჰეტეროსექსიზმს - ტერმინი, რომელიც ელიზაბეტმა დაამკვიდრა ლესბოსელ და გეი ცნობიერების ამაღლების ტრეინინგის კვლევაში (იხ. ჩანართი 5.5.).

ამგვარად, ცხადია, რომ ჰეტეროსექსიზმი, როგორც წესი, კვლავწარმოებული და გაძლიერებულია სოციალურ კონტექსტში, სადაც ის წინააღმდეგობების გარეშე არსებობს. ამის დანახვა შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმოიდგინეთ, რომ პაბში ხართ პარასკევს, რამდენიმე მეგობართან ერთად და ჩვეულებრივი საუბრის განმავლობაში ჰეტეროსექსუალი

კაცი კომპლიმენტს ეუბნება მეგობარს (მეორე ჰეტეროსექსუალ კაცს) ახალი ვარცხნილობის თაობაზე, და მათი ერთ–ერთი მეგობარი ხუმრობს, რომ ისინი „შეყვარებულები“ არიან. ასეთ რამეს არავინ ეწინააღმდეგება, ადამიანთა უმეტესობა (ლგბტქ ადამიანების ჩათვლით), ვერც კი შეამჩნევდა შეურაცხმყოფელ კომენტარს და ალბათ გაიცინებდა კიდეც, ამგვარად გაიზიარებდა ჰეტეროსექსიზმს. ეს მაგალითია იმისა, თუ როგორ არის ჰეტეროსექსიზმი სოციალურად წარმოქმნილი და როგორ შეიძლება ყველა (ისინიც კი, ვინც, როგორც წესი, საკუთარ თავს წინასწარგანწყობების მქონეს არ უწოდებს) ნეგატიურ წინასწარგანწყობას დავუკავშიროთ, ერთი წამით მაინც! ხუმრობაზე არ გაცინება სოციალურად უხერხულად ჩაითვლება. ხშირად, ლგბტქ ადამიანები ჰეტეროსექსიზმს საკუთარი იდენტობის უგულვებელყოფით და „ჰეტეროსექსუალივით“ მოქცევით უერთდებიან.

ჩვენი გამოცდილებებიდან რომ შემოგთავაზოთ მაგალითი, სონია ხანდახან არ უსწორებდა ნათქვამს უცნობებს, როდესაც ისინი აკეთებდნენ დაშვებას, რომ მას მამრობითი სქესის პარტნიორი ჰყავდა. ამგვარად, როდესაც ის და მისი პარტნიორი ოჯახის წევრების გარემოცვაში არიან, ისინი ერიდებიან სითბოს გამოხატვას, მაგალითად ტახტზე ერთად მოკალათებას იმისათვის, რომ ოჯახის მხრიდან (ნაგულისხმევი) ჰომოფობია გააკონტროლონ. საკუთარი ქცევის ჩუმად შეცვლა, ასე თუ ისე, ჰეტეროსექსიზმთან გვაკავშირებს. ჩვენს ქცევებთან შეწინააღმდეგება, რა თქმა უნდა, ყოველთვის თავისუფალ არჩევანს როდი იძლევა. ხშირად ის, თუ როგორ არის სოციალური ინტერაქცია სტრუქტურირებული, რთულს ხდის შეწინააღმდეგებას მიღებული დაშვებების მიმართ.

მაგალითად, ტრანსგენდერი ან ინტერსექსი ადამიანების შემთხვევაში, დაშვება გენდერის შესახებ, განსაკუთრებით პრობლემურია. დასავლურ სამყაროში, ჩვენი ენა და კულტურა აწყობილია იმ დაშვებაზე, რომ არსებობს ორი (და მხოლოდ ორი) დიქოტომიური გენდერული კატეგორია. ამიტომ, ყოველდღიურ საუბარში რთულია ვიფიქროთ და თან ვილაპარაკოთ გენდერზე ამ ბინარული სისტემის გამოყენების გარეშე. ასევე, ჩვენ მომართულნი ვართ, სხეულების კონსტრუქციაც მოვახდინოთ, როგორც ურყევად მამრობითი ან მდედრობითი და გენდერული იდენტობები, როგორც სრულიად შეთანხმებული ფიზიოლოგიურ სქესთან. ტრანსგენდერი კატეგორია ამ კონსტრუქციებს წინააღმდეგობას უწევს, აჩვენებს რა, რომ გენდერული იდენტობა და ბიოლოგიური სქესი ყოველთვის შეთანხმებული არაა, მაშინ, როცა ინტერსექსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ დაშვებას, რომ სხეულები მხოლოდ მამრობითი ან მდედრობითია.

ჩანართი 5.5. ელიზაბეტ პილი (2001a) ყოველდღიურ ჰეტეროსექსიზმზე

ყოველდღიური ჰეტეროსექსიზმი ეხება ჰეტეროსექსიზმის ყოველდღიურ ინციდენტებს, რომლებიც ან არ არის შემჩნეული, ან შეუმჩნეველია იმიტომ, რომ სოციალურად ნორმატიულია. ელიზაბეტის კვლევა ყოველდღიურ ჰეტეროსექსიზმზე იყენებს მასალას სექსუალობების შესახებ განხვავებულობის ტრეინინგებიდან: „სესიები სპეციფიკურად იყო მიმართული ჰეტეროსექსიზმთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაზე, ლესბოსელებისა და გეების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფის მეშვეობით“ (გვ.544). ცამეტი სატრეინინგო სესია, რომელიც ჩატარდა პროფესიონალთა მთელი სპექტრის დახმარებით, ახალგაზრდებისა და სოც. მუშაკების, კლინიკური ფსიქოლოგებისა და NHS ცხელი ხაზის ჩათვლით – ჩაწერილი იქნა და შემდგომ გაანალიზებული დისკურს ანალიზის ფორმის გამოყენებით.

ანალიზი ცხადყოფს იმას, თუ როგორ სჩადიან ადამიანები ყოველდღიურ ჰეტეროსექსიზმს. ყველაზე გავრცელებულ შემთხვევაში, ისინი აცხადებენ, რომ რაღაც ფორმით შებრუნებულ დისკრიმინაციას აქვს ადგილი, (ე.ი. არსებობს ნეგატიური წინასწარგანწყობა ჰეტეროსექსუალების მიმართ). მაგალითად, შემდეგ ამონარიდში, რომელიც მოცემულია საერთო ოთახების, დარბაზებისა და საცხოვრებლის დისკუსიიდან, ნეკეში ამტკიცებს, რომ სოციალური ნორმები ლესბოსელებისა და გეი კაცების წინააღმდეგ დისკრიმინაციას სჩადის, და ამ არგუმენტს იყენებს იმის სათქმელად, რომ სინამდვილეში ჰეტეროსექსუალები არიან დისკრიმინირებულნი:

ნეკეში: ... ავიღოთ ორი ადამიანი, გეი ან ლესბოსელი. ისინი ოთახს იყოფენ. შეადარე კაცს და ქალს, რომლებსაც საზიარო ოთახი აქვთ, განსხვავება არ არის, ხომ? მაგრამ ჩვენ ვუკრძალავთ ქალსა და კაცს, ოთახი გაიყონ.

ბილი: ეს უნდა მეთქვა ...

ნეკეში: მაგრამ ერთსქესიანებს ამას არ ვუშლით, ამიტომ აქ, გარკვეულწილად, ჰეტეროსექსუალების დისკრიმინაციაა.

ეს დისკურსი დამყარებულია ლესბოსელებს/გეებს და ჰეტეროსექსუალებს შორის ცრუ თანასწორობის დაშვებაზე, რომელიც უარყოფს იმ ფაქტს, რომ ოთახის გაყოფის „კანონი“ პირველ რიგში არ ითვალისწინებს ლესბოსელებისა და გეი კაცების არსებობას. ეს დისკურსი პრობლემურია, რადგან ის უგულვებელყოფს სტრუქტურულ უთანასწორობებს, რომლებიც ლესბოსელებისა და გეების მარგინალიზაციისკენ არის მიმართული.

კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც ყოველდღიური ჰეტეროსექსიზმი გამოიხატება, მრავალფეროვნებისა და იმის უარყოფაა, რომ ლგბტქ ადამიანებსა და ჰეტეროსექსუალებს შორის განსხვავება არსებობს. ეს

არგუმენტი, რომ ლგბტქ ადამიანები გამყოფები არიან და დანარჩენ საზოგადოებას რესურსებს ართმევენ, აქვთ რა ცალკე რესურსები (მაგ. ჯანდაცვის სერვისები, სათემო ცენტრები, დაფინანსება), უკვე გაცვეთილია. ხშირად ამ ტიპის არგუმენტი გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ლგბტქ ადამიანები საკუთარ მარგინალიზაციას ეთანხმებიან და იმას ემსახურება, რომ ნეგატიური წინასწარგანწყობის წყაროდან ყურადღება ლგბტქ ადამიანებზე გადაიტანოს. ის ასევე უარყოფს იმას, რომ განცალკევებული მიდგომები იმ უთანასწორობის გამოსწორების საშუალებაა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობს.

ჰეტერონორმატიულობა

ჰეტეროსექსიზმის იდეასთან უკავშირდება ჰეტერონორმატიულობის კონსტრუქტი. ეს ტერმინი 1991 წელს ამერიკელმა სოციალურმა თეორეტიკოსმა მაიკლ უორნერმა შეიმუშავა და მისი საფუძველი ქვიარ თეორიიდან მოდის (იხ. მეორე თავი). ჰეტერონორმატიულობა ეხება სოციალურ ინსტიტუციებსა და პოლიტიკაში სექსუალობასთან დაკავშირებული გარკვეული რწმენების გაძლიერებას.

ეს რწმენა მოიცავს ისეთ ცნებებს, რომელთა თანახმადაც სექსი უდრის პენისისა და საშოს მეშვეობით განხორციელებულ აქტს, რომ ოჯახი წარმოადგენს ჰეტეროსექსუალ წყვილს და მათ ბავშვებს, რომ ქორწინება რეპროდუქციული ინსტიტუციაა და აქედან გამომდინარე, მხოლოდ „საპირისპირო სქესის“ წყვილებისთვის უნდა იყოს მისაწვდომი. ამ პერსპექტივიდან, ჰეტეროსექსუალობა აღქმულია, როგორც სექსუალობის ერთადერთი ბუნებრივი გამოხატულება. ჰეტერონორმატიულობა ასევე დანახულია, როგორც პრაქტიკები და ინსტიტუციები, რომლებიც პრივილეგიას ანიჭებენ ნორმატიულ სექსუალობასა ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს და მის ლეგიტიმაციას ახდენენ. (Cohen, 2005)

მიუხედავად ამისა, ჰეტეროსექსუალობა თავისთავად ჰეტერონორმატიული არ არის – შესაძლებელია, ვიკამათოთ, რომ სექსისა და ურთიერთობების ზოგიერთი ფორმა კაცებსა და ქალებს შორის, ეწინააღმდეგება კიდეც მიღებულ ჰეტერონორმატიულ დაშვებებს. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს „ქვიარ ჰეტეროსექსუალებთან“ (იხ. Thomas, 2000), და პირიქით, არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობებისა და სექსის ზოგიერთი ფორმა, შესაძლოა, ჰეტერონორმატიულ დაშვებებს შეესაბამებოდეს, ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს „ჰეტეროსექსუალური ქცევის ქვიარებთან“ (ლგბტქ ადამიანები, რომლებიც არ გამოხატავენ სტერეოტიპულ გარეგნობასა და პრაქტიკებს.)

თუმცა, ჰეტერონორმატიულობა მხოლოდ სექსუალურ პრაქტიკებს არ ეხება. იგი საუბრობს იმ „საშუალებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ჰეტეროსექსუალური პრივილეგია ჩართულია სოციალური ცხოვრების ქსოვილში და სრულად და ფარულად/ვერაგულად აწესრიგებს ყოველდღიურ არსებობას“ (Jackson, 2006: 108). ამიტომაც, ლგბტქ ადამიანები უფრო მეტად არიან ჩართულები საზოგადოებაში, როდესაც მათი ცხოვრების სტილი ირეკლავს ნორმალიზებული ჰეტეროსექსუალობის ცხოვრების სტილს (ე.ი. მათი გარეგნობა გენდერულად კონვენციურია და მათი ურთიერთობა რომანტიკულია, მონოგამიური და ერთგული).

ამგვარად, ჰეტეროსექსისტურ პრაქტიკებზე კონცენტრირების ნაცვლად, ჰეტეროსექსუალობის ფუნქციონირების საშუალებები, რომლებიც გენდერულ ნორმებს ემსახურება და ქცევას ზღუდავს, საკვანძო ასპექტად იქცევა იმის გასაგებად, თუ როგორ არიან ლგბტქ სექსუალობები მარგინალიზებულნი ჰეტერონორმატიულობის მიერ.

ერთ–ერთი მთავარი გზა, რომლის მეშვეობითაც ჰეტერონორმატიულობა სოციალურად არის კონსტრუირებული, ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუციონალიზაციაა. 1980 წელს, ამერიკელმა ლესბოსელმა ფემინისტმა ედრიენ რიჩმა დაწერა სტატია „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური არსებობა“, რომელშიც ცხადყოფილია, თუ როგორ არის ჰეტეროსექსუალობა ინსტიტუციონალიზებული, როგორც ნორმატიული და ბუნებრივი (და ამავე დროს ახდენს სექსუალობის სხვა ფორმების მარგინალიზაციას). რიჩი აცხადებს, რომ ჰეტეროსექსუალობა ინსტიტუციაა, რომელიც შექმნილია, რათა კაცების ინტერესებს ემსახუროს და სულაც არ არის ბუნებრივი ქალთა უმეტესობისთვის. რიჩი აცხადებს, რომ ქალები „შეტყუებულნი“ არიან ჰეტეროსექსუალობაში, რომანტიკის, კაცის სხეულის ეროტიზაციის, გაუპატიურებითა და ლესბოსური სიამოვნების ცენზურის პოპულარიზაციის მეშვეობით.

ამგვარად, ჰეტეროსექსუალობა სავალდებულოდ მიიჩნევა, რადგან ქალების სოციალური, ემოციური და სექსუალური საჭიროებები დაქვემდებარებულია ქალების სხეულებისადმი კაცების პრივილეგირებულ სექსუალურ და ემოციურ მისაწვდომობასთან. თუმცა, დღეს, როდესაც ლგბტქ ადამიანები უფრო დიდი ხილვადობით სარგებლობენ, ვიდრე მაშინ, როცა რიჩმა ეს სტატია დაწერა, სექსუალობის სხვა ფორმების მარგინალიზაციის ხარჯზე ჰეტეროსექსუალობა კვლავ რეკლამირებული და პრივილეგირებულია.

ხანგრძლივი ძებნა არ გვჭირდება იმისათვის, რომ ჰეტერონორმატიულობის მოქმედებაში მყოფი მაგალითი ვიპოვოთ. მაგალითად, ამის საილუსტრაციოდ ბარათის საყიდლად მაღაზიაში წასვლაც საკმარისია –

წყვილების ურთიერთობასთან, ქორწინების წლისთავებთან დაკავშირებული ბარათები, როგორც წესი, ჰეტერონორმატიულ ნიმუშებს იყენებს, და იქაც, სადაც ვიზუალური მასალა იმთავითვე ჰეტეროსექსუალობაზე არ მიანიშნებს, ბარათები ხშირად შეიცავს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა, მაგალითად, „ჩემს ცოლს... მოსიყვარულე ქმრისგან.“ გარდა ამისა, რომელიმე ქუჩის მაღაზიაში ძალიან გაგიჭირდებათ, იპოვოთ ბარათი მსგავსი ტექსტით: “გილოცავთ ქამინგ აუთს“.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მედიაში, წიგნებსა და რეკლამაში ნორმატიული ჰეტეროსექსუალობის მაგალითებითაა გაჯერებული. არაჰეტეროსექსუალი ადამიანის ცხოვრების მიმდევარი ინდივიდისთვის, სხვა ადამიანებთან ყველანაირი კომუნიკაციისას, როგორც წესი, აქტუალურია საჭიროება ქამინგ აუთის გაკეთება–არგაკეთებასთან დაკავშირებით, რადგან ნებისმიერი დისკუსია პარტნიორის, ქორწინებისა ან ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, გამონაკლისის გარეშე, იწვევს დაშვებას, რომ მოსაუბრის პარტნიორი საპირისპირო სქესისაა (და რომ ისინი მონოგამურ ურთიერთობაში იმყოფებიან). ამისგან განსხვავებით, თვით ჰეტერონორმატიულობის არსებობა ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს არავითარი სოციალური იმპერატივი (ან საჭიროება), რომ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ან „ქამინგ აუთი“ გააკეთო, როგორც ჰეტეროსექსუალმა.

სატელეფონო საუბრებიდან ამოღებული ნატურალისტური მასალის გამოყენებით, ზოგიერთმა მკვლევარმა იკვლია „მოქმედებაში მყოფი ჰეტერონორმატიულობა“. ერთ-ერთ ასეთ კვლევაში ბრიტანელმა კონვერსაციულმა ანალიტიკოსებმა ვიქტორია ლანდმა და სილია კიტზინგერმა (2005) იკვლიეს, თუ როგორ ეწინააღმდეგებიან ლესბოსელი მოსაუბრეები (ან ხანდახან ვერ ეწინააღმდეგებიან) ჰეტეროსექსისტურ დაშვებებს ინსტიტუციურ სატელეფონო საუბრებში. 150 სატელეფონო ზარის განხილვის შემდეგ მათ გამოავლინეს, რომ ინსტიტუციურ სატელეფონო საუბრებში (მაგ. ზარი სტომატოლოგთან, მანქანის დაზღვევის კომპანიები, სანტექნიკოსები) ლესბოსელებს ხშირად უწევდათ იმ წინარე წინასწარდაშვებასთან გამკლავება, რომ ისინი ჰეტეროსექსუალები იყვნენ.

ამ კვლევამ გამოავლინა, რომ ლესბოსელებისთვის საკუთარი ლესბოსური იდენტობის შერწყმა უცხოებთან ინტერაქციისას საკმაოდ რთულია, რადგან საუბრისას „ქამინგ აუთი“ ანგრევს უთქმელ დაშვებებს სამყაროს ფუნქციონირების შესახებ. ამის საწინააღმდეგოდ, ჰეტეროსექსუალი სპიკერების სატელეფონო ჩანაწერების კვლევამ (Kitzinger, 2005) აჩვენა ის საშუალება, რომლითაც ჰეტეროსექსუალები გამუდმებით და რუტინულად წარმოაჩენენ საკუთარ თავს და სხვებს ჰეტეროსექსუალებად, ჩვეულებრივ საუბარში, რომელიც ვითომ არ ეხება სექსუალობას ან ურთიერთობებს.

„ჰეტერონორმატიულობის შესწავლის კიდევ ერთი გზა არის იმ საშუალებების შესწავლა, რომლებსაც ენა იყენებს სექსუალური (და გენდერული) იდენტობების გასაკონტროლებლად და ჰეტეროსექსუალური ქცევების დასარეგულირებლად. ისეთი ტერმინები, როგორცაა „დაიკი„ (ლესბოსელი ქალი) და „გეი“, გამოიყენება, როგორც დამცირება. ბრიტანულ კვლევაში, რომელიც სოციოლოგმა სიუ შარპმა (2002) მოზარდებზე ჩაატარა, გამოვლინდა, რომ ენა მნიშვნელოვან ფუნქციას ითავსებს გენდერული კონფორმულობის დაძალებაში და იმის უზრუნველყოფაში, რომ სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა შენარჩუნებული იყოს. ჟარგონის სხვა კვლევებმა, როგორიც არის გენიტალიების აღმნიშვნელი ჟარგონული ტერმინები (e.g., Braun and Kitzinger, 2001) ისევე, როგორც სექსუალური იდენტობების აღმნიშვნელი სიტყვები (e.g., Peel, 2005), ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს კვლევაში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რომელი სექსუალური იდენტობები რეგულირდება.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

- ემპირიული კვლევა ბიფობიისა და ტრანსფობიის ბუნებასა და სიხშირეზე უაღრესად შეზღუდულია.
- ეს სფერო დომინირებულია ჰომოფობიურ ატიტუდებზე კვლევებით, და მხოლოდ მცირე რაოდენობის კვლევებს წარმოადგენს ის ნაშრომები, სადაც ნეგატიური წინასწარგანწყობა სოციალურ კონტექსტშია გამოხატული.
- ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით მრავალშრიანი შევიწროვების შესახებ (მაგ. როგორ იკვეთება რასიზმი, სოციალური დიფერენციაცია, ჰომოფობიასთან მიმართებაში, და ქმნის გამოცდილებებს).
- მიუხედავად იმისა, რომ ლგბ ცნობიერების ამაღლების შესახებ მზარდი რაოდენობის ლიტერატურა არსებობს (e.g., Peel,2009), ისევე, როგორც ანტიჰომოფობიურ განათლებაზე (e.g., Hillman and Martin, 2002; Simoni, 1996), არსებობს საჭიროება იმისა, რომ მხარდაჭერილ იქნას კვლევა, რომელიც იკვლევს გზებს, თუ როგორ მივუდგეთ ჰომოფობიას, ჰეტეროსექსიზმსა და ჰეტერონორმატიულობას დადებითი სოციალური ცვლილებების მისაღწევად.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- შემოგთავაზეთ ლგბტ ადამიანების სოციო-პოლიტიკური და სამართლებრივი დისკრიმინაციის მოკლე მიმოხილვა.
- გაგაცანით ტერმინი „ჰომოფობია“ და მიმოვიხილეთ ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებული წინასწარგანწყობების შესახებ არსებული კვლევე-

ბი (ჰომოფობიის კვლევები), ლგბტქ ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ქცევები (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული) და ჰომოფობიის აღქმები (კლიმატის კვლევები).

- გაგაცანით სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ არსებული ცრურწმენებისადმი ესენციალისტური მიდგომების კრიტიკა.
- გაგაცანით ტერმინები „ჰეტეროსექსიზმი“ და „ჰეტერონორმატიულობა“ და გამოვყავით ის გზები, რომლის საშუალებითაც დისკურსული და საუბრის ანალიზით ჩატარებული კვლევები ნათელყოფენ გენდერულ და სექსუალურ წინასწარგანწყობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კითხვები განხილვისათვის და საკლასო სავარჯიშოები

1. მოძებნეთ ყოველდღიური ჰეტეროსექსიზმის ან ჰეტეროსექსუალური პრივილეგიის ცხოვრებისეული მაგალითები (მინიშნება: ძიებისათვის კარგი ადგილებია სქესობრივი ჯანმრთელობის სერვისები, მედია რეკლამები, ქალების მოდის ჟურნალები და კაცების ჟურნალები). განიხილეთ, როგორ შეიძლება ჰეტეროსექსიზმის ამ ფორმების პრევენცია და კონტროლი.

2. რა შეზღუდვები აქვს ჰომოფობიის სკალების გამოყენებას ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებული წინასწარგანყობების კვლევისას?

3. რა მსგავსებები და განსხვავებებია სექსუალობის შესახებ არსებულ წინასწარგანწყობებსა და სხვა წინასწარგანწყობებს შორის? (მაგალითად, რით განსხვავდება ჰომოფობია/ჰეტეროსექსიზმი რასიზმისაგან? რა განსხვავებაა ლგბტქ ადამიანების მიმართ არსებულ ცრურწმენებსა და უნარშეზღუდული ადამიანების შესახებ არსებულ ცრურწმენებს შორის?)

4. თქვენი აზრით რატომ ხდება, რომ გარკვეული ჯგუფები (მაგალითად კონსერვატული რელიგიური შეხედულებების მქონე კაცები) უფრო ჰომოფობიურები არიან?

5. დისკრიმინაციისა და წინასწარგანწყობების რომელ განსხვავებულ ფორმებს შეიძლება შეეჯახოს ტრანს ადამიანი ტიპიურ უნივერსიტეტის დღეს? როგორ შეიძლება დისკრიმინაციისა და წინასწარგანწყობების ამ ფორმების წინააღმდეგობა?

თავი 6

ჯანმრთელობა

თავის მიმოხილვა:

- რა არის ლგბტქ ჯანმრთელობა?
- სქესობრივი ჯანმრთელობა
- ფსიქიკური ჯანმრთელობა
- ფიზიკური ჯანმრთელობა

რა არის ლგბტქ ჯანმრთელობა?

აშშ-ს გეებისა და ლესბოსელების სამუშაო ჯგუფმა მათი (ჩვენ ბტქ-ს დავამატებდით), ჯანმრთელობა განსაზღვრა, როგორც „დაავადებები ან მდგომარეობები, რომლებიც უნიკალური, უფრო ხშირი ან უფრო სერიოზულია ამ ჯგუფისთვის და რომელთათვისაც რისკფაქტორები თუ ჩარევის გზები ჰეტეროსექსუალებისგან (ჩვენ დავამატებდით: არატრანსი ადამიანებისგან) განსხვავებულია (Plumb, 1997: 365). ლგბტქ ჯანმრთელობის კვლევა ფსიქოლოგიის მიღმა მრავალ სხვადასხვა დისციპლინას (ჯანდაცვა, მედიცინა, **ეპიდემიოლოგია)** და ასევე კვლევის მრავალ განსხვავებულ დარგს მოიცავს.

ისტორიულად, ლგბტქ ადამიანების სხეულები ხშირად ხდებოდა სამედიცინო დაკვირვების ობიექტი. ერთი მაგალითია, სქესის ვარიაციების შემსწავლელი კომიტეტის მიერ 1930-იან წლებში ნიუ-იორკში ჩატარებული კვლევა. კვლევის მიზანი ჰომოსექსუალობის გამოვლენისა და განკურნების სამეცნიერო მეთოდების შემუშავება იყო. მკვლევარები ეყრდნობოდნენ დაშვებას, რომ ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ქალებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავება არსებობდა; ამის გადასამოწმებლად, მონაწილეებს თავის ქალის რენტგენს უღებდნენ და გენიტალიების აგებულებას უმოწმებდნენ მასკულინობის ნიშნების აღმოსაჩენად (Terry, 1990). მიიჩნეოდა, რომ პათოლოგიის ნიშნები სხეულზე იყო ასახული. სტივენსი (1992: 91–2) იმ დროს გაბატონებული შეხედულების კარგ შეჯამებას გვთავაზობს:

„1970-იანი წლების ბოლომდე მედიცინა ლესბოსელებს ავადმყოფებად, საშიშებად, აგრესიულებად, ტრაგიკულად უბედურებად, თვითდესტრუქციულებად და დაავადების გადამცემებად წარმოაჩენდა. ჯანმრთელობის დაცვის მათეული სისტემა ისეთ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული, რომელიც ლესბოსელობას ცოდვად, დანაშაულად და დაავადებად ასაღებდა.“

გასაგებია, რომ ადრეული გეი-მხარდამჭერი ჯანმრთელობის კვლევების ძირითადი მიზანი ლგბტქ ადამიანების „ჯანმრთელობისა“ და „ნორმალურობის“ დამტკიცება იყო. ამისგან განსხვავებით, დღევანდელი კვლევები, როგორც ამ თავში განვიხილავთ, ლგბტქ ადამიანების ჯანმრთელობის სირთულეების/დაავადებების აღწერითა და მათთან გამკლავებით არის დაკავებული. რა წარმოადგენს „კარგ“ ან „ცუდ“ ლგბტქ ჯანმრთელობას, ეს არა მარტო ძალიან რთული და მრავალი ფაქტორით განპირობებული საკითხია, არამედ იგი მჭიდრო კავშირშია გაბატონებულ იდეოლოგიებთანაც. თანამედროვე დასავლეთში, მაგალითად, ჯანმრთელობაზე/დაავადებებზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრების ჰეგემონიური დისკურსი დიდ გავლენას ახდენს ჯანმრთელობის კვლევების ძირითად ფოკუსებსა და მათ ინტერპრეტაციაზე (Petersen and Lupton,1996). ტელევიზორის ერთი ჩართვაც საკმარისია იმის დასანახად, თუ რამდენი თვითგამაძლიერებელი პროგრამა არსებობს ცხოვრების წესისა და ქცევის შეცვლის შესახებ („You are what you eat“ („ის ხარ, რითიც იკვებები“ - ერთი მაგალითია). ინდივიდუალიზმი და ბიოსამედიცინო (სინამდვილეში **ბიოფსიქოსოციალური**) მოდელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული (Stam, 2000). ბიოსამედიცინო მოდელი კონცენტრირდება ფიზიკურ პროცესებზე (როგორიცაა დაავადების ფიზიოლოგია). თუმცა, ბიოფსიქოსოციალური მოდელიც კი, რომელიც ნაკლებად რედუქციონისტულია, ჯანმრთელობასა და დაავადებაზე ინდივიდს უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს, ვიდრე - „სოციალურ“ გარემოს. ლგბტქ ჯანმრთელობის შესახებ არსებული კვლევების უმეტესობა ბიოსამედიცინო და ბიოფსიქოსოციალური მოდელების მიხედვით ხორციელდება და სხვადასხვა ქვეყანაში (მაგალითად აშშ-ში; Epstein, 2003), ერთგვარი ზეწოლაც ხდება ლგბტქ ადამიანებზე, რომ ბიოსამედიცინო კვლევებში მიიღონ მონაწილეობა. თუმცა, **კრიტიკული ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის** (Murray, 2004b) პრინციპები და მიდგომები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ინდივიდუალიზმზე თანდართულ „მსხვერპლის დადანაშაულების“ პრინციპსაც ეწინააღმდეგება (Crossley, 2000), უკვე ლგბტქ ფსიქოლოგიაშიც გამოიყენება (იხ. ჩანართი 6.8).

1970-იანი წლების ბოლოს ჩატარებულ კვლევათა ძირითადი ფოკუსი ლგბტქ ადამიანებისა და ჰეტეროსექსუალებად თუ არატრანსებად წარმოსახული დანარჩენი მოსახლეობის ჯანმრთელობას შორის უთანასწორობის შესწავლა იყო. ამასთან ერთად, ლგბტქ ადამიანების გამოცდილებების აღწერა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ხდებოდა. ჯანმრთელობის სფეროს თანამშრომლების მხრიდან (იხ. ჩანართი 6.1) უთანასწოროდ მოპყრობის მიზეზად ხშირად სახელდებოდა სოციალური და ინტერპერსონალური ანტი-ლგბტქ ცრურწმენების არსებობა ჯანდაცვის სფეროში და ექიმებში

(Peterson, 1996). ამ საკითხის ნათელი ილუსტრაციაა კანადის ანგარიში, რომელიც სიკვდილიანობის სტატისტიკას ადარებს ლგბ და არა-ლგბ ადამიანებს შორის. ის აღწერს ჰომოფობიით გამოწვეული ადრეული სიკვდილიანობის რიცხვს (Banks,2003: 9). ანგარიშში დათვლილია ჰომოფობიით განპირობებული ლგბ თვითმკვლელობების რაოდენობა (818-968 ადამიანი წელიწადში). გარდა ამისა, სიგარეტის მოწევით გამოწვეული ლგბ სიკვდილიანობა წელიწადში 1232-2599 ადამიანია, ალკოჰოლის მოხმარებით - 236-1843, ხოლო ნარკოტიკის გამოყენებით 64-74 ადამიანი იღუპება.

ლგბტქ ჯანმრთელობის საკითხები მრავალ ქვეყანაშია შეტანილი ჯანმრთელობის დაცვის გეგმაში. მაგალითად, ინფორმაცია ლგბტქ ჯანმრთელობის შესახებ შეგვიძლია, მოვიძიოთ აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრში, ასევე ბრიტანეთის ჯანმრთელობის დეპარტამენტს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მრჩეველთა ჯგუფი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ ჯანმრთელობა სასარგებლო, „ყოვლისმომცველი“ ტერმინია და ფართოდ გამოიყენება აკადემიურ ლიტერატურაში, ადვოკატირების ორგანიზაციებსა და „ნაცრისფერ ლიტერატურაში“ (მაგალითად, პოლიციის დოკუმენტები და ტექნიკური ანგარიშები), ის, ცოტა არ იყოს, არასწორი ცნებაა. **ჯანმრთელობის უთანასწორობები** და ადამიანების ჯანმრთელობის შესახებ გამოცდილებები სექსუალობის გარდა ბევრ სხვა საკითხთან არის დაკავშირებული: ეკონომიკურ სიძლიერესა და სიღარიბესთან, რასასა და კულტურასთან, განათლებასა და ათასგვარ სხვა სოციალურ, ფსიქოლოგიურ და გენეტიკურ ფაქტორებთან. ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაჰეტეროსექსუალი და ტრანს ადამიანების ჯანმრთელობის გააზრებაში. დაავადებების გამოცდილება, ასევე, მნიშვნელოვნად გენდერული საკითხია: მაგალითად, ბიოლოგიური მამაკაცებისათვის იშვიათია მკერდის კიბო, ხოლო ბიოლოგიური ქალისათვის შეუძლებელია პროსტატის კიბოთი დაავადება.

ჩანართი 6.1. პატრიცია სტივენსი, ლესბოსელთა ჯანდაცვის კვლევა

აშშ-ში მოღვაწე პროფესორი, პატრიცია სტივენსი, თავის გავლენიან ნაშრომში ოცდარვა სხვადასხვა კვლევას განიხილავს. მათ შორის, ცხრა ჯანდაცვის თანამშრომლების შეხედულებებზეა ლესბოსელების მიმართ (გამოქვეყნებული 1978 – 91 წლებში), ცხრამეტი კი - ლესბოსელების შეხედულებებზე ჯანდაცვის სფეროს შესახებ (გამოქვეყნებული 1973–90

წლებში). კვლევებში, რომლებიც ჯანდაცვის თანამშრომლების შეხედულებებს ეხებოდა, ჩართულები იყვნენ ექთნები, ექიმები, ფსიქოლოგები/თერაპევტები და ფსიქოლოგიის სტუდენტები. მხოლოდ ერთი კვლევა იყო ექსპლიციტურად შავკანიანი ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების შეხედულებების შესახებ (Cochran and Mays, 1988). სტივენსმა მხოლოდ აშშ-ში ჩატარებული კვლევების მოძიება შეძლო. ძირითადი დასკვნები ასეთია:

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების შეხედულებები:

- ბევრი მათგანის მიერ ლესბოსელობა ჯერ კიდევ სამწუხარო მოვლენად მიიჩნეოდა;
- ექიმებისა და ექთნების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არაკომფორტულად გრძნობდა ლესბოსელთათვის სხვადასხვა დახმარების აღმოჩენისას და ისინი რეგულარულად ეუბნებოდნენ უარს დახმარებაზე ლესბოსელ პაციენტებს;
- მრავალი მათგანი არასწორად ახდენდა აივ ინფექციისა და მისი გავრცელების ასოცირებას ლესბოსელ პაციენტებთან;
- ექიმები და ექთნები ლესბოსელობას „არაბუნებრივად“, „საზიზღრობად“, „ამორალურად“, „გარყვნილებად“ და „დანაშაულად“ აღიქვამდნენ. ლესბოსელ პაციენტებთან ურთიერთობა, კი მათში „შეცოდების“, „სიძულვილის“, „ზიზღის“, „უხერხულობის“, „შიშის“ და „სევდის“ გრძნობას იწვევდა.

ლესბოსელთა გამოცდილებები ჯანდაცვაში

- ლესბოსელები ფიქრობდნენ, რომ ჯანდაცვის წარმომადგენლები „ზოგადად უარყოფითად იყვნენ განწყობილნი და არაფერი იცოდნენ მათ შესახებ. ისინი ხშირად აღწერდნენ ჯანდაცვის წარმომადგენლების ქცევას, როგორც მტრულს და არაკეთილგანწყობილს და თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ. ლესბოსური იდენტობის გამჟღავნებისას, სამედიცინო პერსონალი უხეშად მოპყრობას იწყებდა“ (გვ. 109), როგორებიცაა უხეში ფიზიკური მოპყრობა, კონფიდენციალობის დარღვევა და ინტიმურ საკითხებში ცხვირის ჩაყოფა;
- კვლევამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის წარმომადგენელთა ჰეტეროსექსისტური შეხედულებები ეფექტური თერაპიის ძირითადი შემაფერხებელი იყო;
- ზოგიერთი ქალი არასწორად გადაამისამართეს ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებთან;
- ყველაზე სახიფათო ჯანდაცვის სერვისებად მიიჩნეოდა: სასწრაფო დახმარება, ჰოსპიტალური დახმარება, ხანგრძლივი მკურნალობა და ოპერაცია;
- ლესბოსელები ხშირად აგვიანებდნენ მკურნალობას თავიანთი შიშე-

ბისა და ცუდი გამოცდილების გამო;

არის თუ არა სტივენსის დასკვნები დღემდე რელევანტური? სამწუხაროდ, ჰეტეროსექსიზმისა და ჰომოფობიის მაგალითები უფრო თანამედროვე მსგავს კვლევებშიც მრავლადაა (Beehler,2001; Elias on and Schope, 2001; Hinchcliff et al ., 2005– ასევე იხ. ჩანართი 6.6). თუმცა, მეორე მხრივ, ახლანდელმა კვლევამ აშშ-ში, რომელიც FTM ტრანს ადამიანებს ეხებოდა, აჩვენა, რომ 122 რესპონდენტის 70% ჯანმრთელობის დაცვის სერვისებს „კარგად“ ან „ბრწყინვალედ“ აფასებდა (Rachlin et al ., 2008).

შესაბამისად, ჯანმრთელობის კვლევაც ხშირად იყოფა გენდერული ნიშნით ლგბტქ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებში და ეს თავი ამ დაყოფას გარკვეულწილად აირეკლავს კიდეც. მართლაც, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ლგ(ბტქ) ჯანმრთელობის კვლევა მთლიანად დანაწევრებული უნდა იყოს, არა იმიტომ, რომ ამ თემის სხვადასხვა ჯგუფებს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემები აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ არაპროპორციული აქცენტი არ იყოს გადატანილი გეი მამაკაცების ჯანმრთელობაზე (Wilkinson, 2002).

როცა ლგბტქ ჯანმრთელობის შესწავლა და კვლევა დაიწყო, უფრო და უფრო დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ჯანმრთელობისადმი სხვადასხვა მიდგომა (მაგალითად, პოზიტიური ჯანმრთელობის შედეგზე ორიენტირებული ჯანმრთელობისა და დაავადებების სოციალური კონტექსტის კვლევა, ლგბტქ თემისა და ჯანმრთელობის პრობლემების დამაკავშირებელი კვლევა) ურთიერთდაკავშირებულად უნდა განვიხილოთ (Adams et al ., 2007). ლგბტქ ფსიქოლოგიის შესწავლისას ასევე მნიშვნელოვანია იმ როლის გათვალისწინება, რომელიც გეი და, განსაკუთრებით, ლესბოსელმა ადამიანებმა ითამაშეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სოციალურ ცვლილებებში: მაგალითად, აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის პროგრამები და ჯანმრთელობის საჭიროებების გათვალისწინებით გეგმების დასახვა (Rofes, 2007; Wilton, 1997). ამ თავში შეუძლებელია ყველა დაავადების მიმოხილვა, რომლებიც ლგბტქ ადამიანებზე ახდენს გავლენას; თუმცა, ვეცდებით, ლგბტქ ჯანმრთელობის ცენტრალური საკითხები გამოვყოთ და გაგარკვიოთ ფართო და მრავალფეროვან ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თავებად დავყოფთ „სქესობრივ“, „ფსიქიკურ“ და „ფიზიკურ“ ჯანმრთელობას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ჯანმრთელობის ყველა ეს ასპექტი ურთიერთდამოკიდებულია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საკვერცხის კიბო ტიპურად „სქესობრივი ჯანმრთელობის“ განყოფილებას მიეკუთვნება, კიბო ფიზიოლოგიური

დაავადებაცაა; ან, მიუხედავად იმისა, რომ კვებითი აშლილობები „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ საკითხია, მას, შესაძლოა, ფიზიოლოგიური შედეგებიც მოჰყვეს. ასევე, მოწევა თუ სხვა ნივთიერებათა ჭარბი მოხმარება „ფიზიკურ ჯანმრთელობას მიეკუთვნება“, თუმცა, ისინი ფსიქიკურ და სქესობრივ ჯანმრთელობასაც უკავშირდება.

სქესობრივი ჯანმრთელობა

ამ თავში გეი, ლესბოსელ და ბისექსუალ ადამიანთა სქესობრივ ჯანმრთელობაზე ვისაუბრებთ, იმიტომ, რომ ლიტერატურის უმეტესობა სწორედ ამ იდენტობების შესახებ არის. ტრანს ადამიანების სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ არსებული მცირერიცხოვანი კვლევების მონაცემების მიხედვით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ აივ ინფექცია და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი) ტრანს თემშიც საკმაოდ აქტუალურია: დაუცველი ანალური, ვაგინალური და ორალური სექსი ყველაზე გავრცელებულ სარისკო ქცევად ითვლება ცდის 181 ტრანს პირში. აშშ-ში (Bockting et al ., 2005). ამერიკაში მოღვაწე კლინიკური ფსიქოლოგის, ვოლტერ ბოკტინგისა და კოლეგების კვლევამ აჩვენა, რომ ტრანს-მონაწილეებს სქესობრივი ფუნქციონირების პრობლემები აქვთ (ასევე დისკრიმინაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის). ისინი ამტკიცებენ, რომ მნიშვნელოვანია, ექიმებმა ზოგადი ჯანმრთელობის შეფასების კითხვარებში სქესობრივი ცხოვრების ისტორიაც შეიტანონ ტრანს ადამიანების შემთხვევაში (Feldman and Bockting, 2003).

გეი და ბისექსუალ მამაკაცთა სქესობრივი ჯანმრთელობა

გეი, ბისექსუალი და MSM მამაკაცთა ჯანმრთელობის კვლევები 1980-იანი წლებიდან აივ ინფექცია/შიდსის პრევენციაზეა კონცენტრირებული (იხ. ჩანართები 6.2 და 6.3). ჟურნალ „მედლაინის“ (1980-დან 1990-მდე) მონაცემთა ბაზაში არსებული ლიტერატურის მიმოხილვის მიხედვით, ლგბტქ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნაშრომების 56% აივ ინფექციასა და სგგი-ზე საუბრობს გეი და ბისექსუალ მამაკაცებში (Boehmer, 2002).

ჩანართი 6.2. პოლ ფლაუერსი: რატომ შევისწავლი გეი მამაკაცების სქესობრივ ჯანმრთელობას

გეების სქესობრივი ჯანმრთელობის შესწავლა სტუდენტობისას ჩემი სადიპლომო კვლევითი პროექტის დროს დავიწყე. ამავე დროს მოხალისედ

ვმუშაობდი აივ ინფექციის გავრცელების პრევენციისა და მკურნალობისათვის მოღვაწე ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციაში. როცა გეი მამაკაცებისა და აივ ინფექციის გავრცელების პრევენციის შესახებ ფსიქოლოგიური ლიტერატურის კითხვა დავიწყე, ამ ორ სამყაროს შორის დიდმა შეუსაბამობამ შემძრა. ჯანმრთელობის ფსიქოლოგია და მისი ტრადიციული კვლევის მეთოდები აქტიურად ქმნიდა გეი მამაკაცების ხატს, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა ჩემი, როგორც გეი მამაკაცის, გამოცდილებისგანაც და ჩემი გეი მამაკაცებთან მუშაობის გამოცდილებისგანაც.

ყველაზე საკვირველი, რასთან შეჯახებამაც მომიწია, ის იყო, თუ როგორ შეიძლებოდა შინაგანი, ინსტინქტური და ღრმად ინტერაქციული სქესობრივი ქცევის „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის შესახებ“ ინდივიდუალურ და ცნობიერ მსჯელობამდე დაყვანა. ცხადია, აივ ინფექციის გადადების რისკის შემცირება მნიშვნელოვანი და მრავალი გეი მამაკაცის გადარჩენისათვის აუცილებელი იყო. თუმცა, სქესობრივი ქცევის რაღაც ვაქცინაციისმაგვარ ქცევასთან გაიგივების საფუძველზე განმარტებების ძიება და პრაქტიკული საჭიროებების ილუსტრირება საკმაოდ სწორხაზოვნად და შეცდომაში შემყვანად ჟღერდა. ამ ორი სამყაროს გაყოფის საჭიროებამ და ჩემი კვლევის რეალურად გამოსადეგობის უზრუნველყოფის მცდელობამ მეთოდოლოგიების ფართო სპექტრში ჩაბმის საშუალება მომცა.

პრაგმატული კვლევის ფარგლებში მუშაობა სხვადასხვა მიდგომების ჩართვის საშუალებას მაძლევს, იდიოგრაფიულიდან და ფენომენოლოგიურიდან დაწყებული, ფართომასშტაბიან რაოდენობრივ ქცევაზე დაკვირვებით დამთავრებული (Flowers et al ., 2002). გეი მამაკაცების გამოცდილების ახსნა და გაზომვა სექსისა და სქესობრივი ჯანმრთელობის მათსავე გაგების გათვალისწინებით, საინტერესო და სასარგებლო ჩარჩოს გვთავაზობს პრაქტიკული ჯანმრთელობის ფსიქოლოგიისათვის. ფსიქოლოგიისათვის ინდივიდუალი ადამიანების გამოცდილებების მათსავე სოციოკულტურულ გარემოში შესწავლა ინტენსიურ, საგანმანათლებლო და ანალიტიკურ მოგზაურობას ჰგავს. მე საკმარისად პრივილეგირებული ვიყავი იმისათვის, რომ მომესმინა, თუ როგორ მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანების სექსუალური ქცევა მათ ავტობიოგრაფიასა და კულტურულ გარემოსთან. ვნახე, თუ როგორ კავშირშია სექსუალური გადაწყვეტილებების მიღება პარტნიორებს შორის ურთიერთობასთან, ადგილმდებარეობისა და სექსუალური ქცევის დროსთან (Flowers et al., 2000). მიუხედავად ამისა, აივ ინფექციასთან მებრძოლ საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და

საკანონმდებლო სააგენტოებში მუშაობის შემდეგ კარგად მესმის, რომ ჯანმრთელობის ხელშემწყობი სამუშაოების წარმატებისათვის ეს მუშაობა უნდა ვრცელდებოდეს, როგორც სექსის „მოუწესრიგებელ“ ასპექტებზე - თავისი კულტურული და დროებითი კონტექსტებით, ისევე იმ დილემებზე, რომლებიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის ბრძოლისას გვხვდება.

აივ ინფექციის გავრცელების პრევენციის გარდა, უფრო და უფრო დავინტერესდი, თუ რას ნიშნავს, იცხოვრო აივ ინფიცირებულმა ეფექტური მკურნალობისა და მედიკალიზაციის ეპოქაში. ჩემი მოხალისეობრივი მუშაობა გრძელდება და ახლა უკვე პოლიტიკის შემუშავებასა და სახელმწიფოს მუშაობაზეც ვრცელდება აივ ინფექციის პრევენციის, სქესობრივი ჯანმრთელობისა და აივ ვირუსის მკურნალობის სფეროში.

ჩანართი 6.3 პოლ ფლაუერსი და კოლეგები (2003): რა მნიშვნელობა აქვს შოტლანდიელი გეი მამაკაცებისათვის ინფორმირებულობას საკუთარი ინფიცირებულობის შესახებ

დასავლეთში აივ-ინფექციის მკურნალობის ეფექტური მეთოდები (მაგალითად: აქტიური ანტი-რეტროვირალური თერაპია HAART) პაციენტთა გადარჩენის კუთხით უკეთეს შედეგებს გვთავაზობს: აივ-ინფიცირებულობის დიაგნოზის მნიშვნელობა „სასიკვდილო განაჩენიდან“ „სამუდამო განაჩენად“ შეიცვალა. გეი მამაკაცებში აივ ტესტირება ბიოსამედიცინო პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია „არადიაგნოზირებული აივ-ინფიცირებული გეი მამაკაცების საკმაოდ მოზრდილი რაოდენობის“ შესამცირებლად, „სათანადო სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობის“ გასაზრდელად და „აივ-ინფიცირების გავრცელების“ შესამცირებლად (გვ. 180). აივ ტესტირებების რაოდენობა დიდ ბრიტანეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით (მაგალითად, აშშ და ავსტრალია) დაბალია. ბრიტანელი სქესობრივი ჯანმრთელობის ფსიქოლოგი, პოლ ფლაუერსი და კოლეგები ცდილობდნენ, IPA-ტექნოლოგიის გამოყენებით ეკვლიათ, თუ როგორ ესმით თვით გეი მამაკაცებს აივ ტესტირება:

მეთოდი:

- ფლაუერსმა და სხვებმა 18 გეი მამაკაცთან ინტერვიუები ჩაატარეს, ხოლო სხვა 19 მამაკაცი ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა.
- მონაწილეთა უმეტესობა თეთრკანიანი იყო, საშუალოდ 30 წლის და აივ ტესტირებასთან დაკავშირებით საკმაოდ სხვადასხვაგვარი გამოც-

დილებები ჰქონდათ. ზოგიერთ მათგანს არასოდეს გაუკეთებია აივ-ტესტი, ზოგიერთს მხოლოდ ერთხელ ან მეტჯერ. მონაწილეთაგან 12 (32%) აივ-ინფიცირებული იყო, სხვები არ იყვნენ ინფიცირებულები ან არ იცოდნენ საკუთარი ინფიცირებულობის შესახებ.

- დასმული კითხვები მოიცავდა: „რა არის აივ-ტესტირების უპირატესობები და ნაკლოვანებები?“ და „რატომ არ სურთ გეი მამაკაცებს აივ-ტესტირება?“

შედეგები:

1. *გაურკვევლობის შემცირება: რატომ გავიკეთოთ აივ-ტესტი.* ტესტის ჩატარების მნიშვნელოვანი მიზეზი „სიმშვიდის“ მიღწევაა. მონაწილეები, რომლებმაც ზუსტად არ იციან თავიანთი სტატუსის შესახებ, თუმცა უარყოფით შედეგს ელოდებიან ტესტირებისას, ასეთი შედეგი მათ გაურკვევლობას უმცირებს. თუმცა, იმ მონაწილეებში, ვინც უარყოფითი შედეგი მიიღო, შესაძლოა შემცირებულიყო „დანაშაულისა“ და „შფოთვის“ განცდა ადრინდელი სექსუალური ქცევების შესახებ. ამას კი, შესაძლოა, გამოეწვია ქცევის შეცვლის მოტივაციის ზრდა, ან აივ სარისკო ქცევისადმი სიმშვიდის გაზრდა.

2. *გაურკვეველ მომავალთან გამკლავების გზა: რატომ არ გავიკეთოთ აივ ტესტი.* სხვა მონაწილეებისათვის დადებითი პასუხის შიშმა, შეიძლება, ტესტის ჩატარების გადადება ან მასზე უარის თქმა გამოიწვიოს. შიში, უმეტესად, იმით იყო განპირობებული, რომ მონაწილეებმა არ იცოდნენ, როგორ შეძლებდნენ დადებით პასუხთან გამკლავებას.

3. *გაურკვევლობაში ცხოვრება:* ზოგიერთი მონაწილე გულის სიღრმეში აივ ინფექციის ქონის შესაძლებლობით ცხოვრობდა და „ბედნიერად უვიცის“ პოზიციაში რჩებოდა საკუთარი აივ-სტატუსის შესახებ.

ფლაუერსმა და მეგობრებმა ასეთი დასკვნა გააკეთეს: 1) აივ ტესტირება მხოლოდ ბიოსამედიცინო პერსპექტივიდან ვერ აიხსნება და ტესტირების შესახებ გეი მამაკაცების გადაწყვეტილებებს კონტექსტური და სხვადასხვანაირი (და ცვალებადი) მნიშვნელობები აქვთ; 2) აივ ტესტირების პოლიტიკა და ამ სერვისის მიწოდების სტრატეგია აივ ტესტირების შესახებ გეი მამაკაცების შეხედულებებზე უნდა იყოს მორგებული.

მიუხედავად იმისა, რომ აივ ინფექცია/შიდსზე ასეთი აქცენტი გარკვეულწილად გასაგებია ისეთ ქვეყნებში, სადაც გეი მამაკაცები გადაჭარბებულად არის წარმოჩინებული აივ ინფექციის გავრცელების მაჩვენებლებში, და სადაც ჯანდაცვის სფეროში ამ საკითხის პრიორიტეტულობის გამო კვლევის დაფინანსება (შედარებით) ადვილი მოსაპოვებელია, ინფექ-

ციაზე ასეთმა ორიენტირებამ გეი და ბისექსუალ მამაკაცთა სქესობრივი ჯანმრთელობის სხვა საკითხების უგულვებელყოფა გამოიწვია. აივ ინფექცია/შიდსს „თანაბარი შესაძლებლობის“ ვირუსად აღიქვამენ, თუ ხაზს უსვამენ კავშირს გეი მამაკაცებსა და ინფექციას შორის. ეს კი ისეთი საკითხია, რომელიც ხშირად გავლენას ახდენს ჩვენ მიერ ადამიანებს „ჰომოფობებად“ ან „არაჰომოფობებად“ აღქმაზე (Kitzinger and Peel, 2005).

სელია კიტზინგერმა და ელიზაბეტ პილმა (2005) აღმოაჩინეს, რომ როდესაც ლგბ მრავალფეროვნების ტრენინგზე აივ ინფექციასა და შიდსს განიხილავდნენ, უმეტესად გეი მამაკაცი ტრენერები უსვამდნენ ხაზს მის კავშირს გეი მამაკაცებთან, მაშინ, როცა ჰეტეროსექსუალი ტრენერები ამ კავშირზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას. ეს 1980-იანი წლებისაგან საკმაოდ განსხვავებული სცენარია. მაშინ შიდსი საჯაროდ „გეი ჭირად“ იყო შერაცხული. ეს აღმოჩენა დაავადების (და ჯანმრთელობის) შესახებ ყოველდღიურ კონტექსტში საუბრის ფორმის შესწავლის მნიშვნელოვნებას აჩვენებს.

„სარისკო ქცევებსა“ და გეი მამაკაცების „წარუმატებლობაზე“ აქცენტი აივ ინფექციის გავრცელების პრევენციისას იმას ნიშნავდა, რომ აივ ინფექციის/შიდსის კვლევები ხშირად პათოლოგიზაციური ხასიათის იყო, სადაც „რისკის შესახებ საუბარი სულაც არ იყო უწყინარი პროცესი, რადგან ეს დანაშაულისა და პასუხისმგებლობის დაკისრების გამზადებულ ჩარჩოს ქმნიდა, რომელსაც ეპიდემიის მთელი სიმძიმე ინფიცირებულზე გადააქვს“ (Flowers, 2001: 68). „მსხვერპლის დადანაშაულების“ საპასუხოდ, ზოგიერთი კვლევა, ჯანმრთელობაზე ინდივიდუალიზებული პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად, გეი მამაკაცების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების სოციალურ მიზეზებს შეისწავლის. სარისკო სექსუალურ ქცევაზე (უმეტესად, დაუცველი ანალური ინტერკურსი ანუ „ბეარბექინგი“) ზეგავლენის მომხდენი მრავალი ფაქტორის გამოყოფა მოხერხდა: თვითშეფასება, სოციალური მხარდაჭერა, ოპტიმიზმისა და ფატალიზმის განცდა, გაქცევის საჭიროების განცდა, ასაკი, განათლება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარება, გეი იდენტობის განმტკიცების საჭიროება და სიახლოვის სურვილი (Flowers et al ., 1997a, 1997b; Hospers and Kok,1995). აივ ინფექციისა და შიდსის კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური უთანასწორობა გეი და ბისექსუალ მამაკაცებს *შორის* ზოგიერთ მამაკაცს დაავადებისადმი უფრო მოწყვლადს ხდის, ვიდრე სხვებს. მაგალითად, მეინსტრიმ აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის პროგრამები ტიპურად (სავარაუდოდ) ინკლუზიურ ტერმინ MSM-ს (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან) იყენებენ და სექსუალური ქცევის სექსუალურ იდენტობაზე მაღლა დაყენებით სგგი-ების გავრცელების შემცირებას ცდილობენ. თუმცა, ამავე

დროს, მეინსტრიმ პროგრამები ასევე ხშირად ეფუძნებიან თეთრკანიანთა, დასავლურ გაგებას, თუ რას ნიშნავს დაავადება, სქესი და სექსუალობა. ეს კი ნიშნავს, რომ თემებში (ძირითადად, რასობრივად მარგინალიზებულში), სადაც სექსუალობის განსაზღვრული განმარტებები (მაგალითად, „გეი იდენტობა“) ნაკლებად დამკვიდრებულია ან საერთოდ არ არის რელევანტური, ინფექციის გავრცელება, შესაძლოა, სულაც არ შემცირდეს ისეთი მეინსტრიმული პრევენციის პროგრამებით, რომლებიც ასეთი ჯგუფების საჭიროებებს არ ითვალისწინებს (Cáceres, 2002). კვლევები ასევე აჩვენებს, რომ სოციო-ეკონომიკური მარგინალიზაცია ასევე აივ-ინფექციის მიმართ მოწყვლადობას ამაღლებს რასობრივად მარგინალიზებულ ჯგუფებში, რადგან სოციო-ეკონომიკური და რასობრივი მარგინალიზაცია ხშირად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული (Nemoto et al., 2004). სოციალური მარგინალიზაციის ამ ფორმებმა, შესაძლოა, გაზარდოს ალბათობა, რომ გეი მამაკაცები სექსუალურ აქტში შემოსავლის მიღების მიზნით ერთვებიან, ისევე, როგორც მაღალია ინტრავენური ნარკოტიკის მოხმარების რისკი, და შესაბამისად, იზრდება ამ ჯგუფებში აივ ინფექციის გავრცელების საფრთხე (Peterson et al ., 2001). მაგალითად, კვლევა, რომელიც თეთრკანიან და აფრიკელ ამერიკელ გეი და ბისექსუალ მამაკაცებს ადარებდა, ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფი აივ ინფექციის გადაცემის გზების შესახებ ერთნაირად გათვითცნობიერებულია, აფროამერიკელი მამაკაცები მეტად მოწყვლადები არიან ინფიცირების მიმართ სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო (Peterson et al ., 1992).

მკვლევარები მიუთითებენ იმ სოციალური კონტექსტების კვლევის საჭიროებას, სადაც ჰეტეროსექსუალი და გეი მამაკაცების ჯანმრთელობას შორის უთანასწორობა შეინიშნება (სადაც გეი მამაკაცები ნაკლებად პრივილეგირებულები არიან სოციალური გარიყვის, დისკრიმინაციისა და საჭირო მომსახურებების სიმცირის გამო). ასევე მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ, თუ როგორ გვესმის და ვზომავთ სქესობრივ ჯანმრთელობას (Meyer, 2001). ბეარბექინგის შესახებ არსებული ლიტერატურის დიდი ნაწილი იმის კარგ მაგალითს გვთავაზობს, თუ რატომ არის საჭირო ვისწავლოთ, როგორ ვზომავთ სქესობრივ ჯანმრთელობას და, ასევე, იმ სოციალურ კონტექსტებს გვიჩვენებს, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე (Gauthier and Forsyth, 1999). ეს ლიტერატურა იმ MSM-ების ქცევას შეისწავლის, ვისაც დაუცველი ანალური ინტერკურსი აქვს და განსაკუთრებით კი, იმ მამაკაცების, რომლებიც ამას პარტნიორის აივ ინფიცირების სტატუსის ცოდნის გარეშე აკეთებენ (და შესაბამისად, საკუთარ თავს აივ-ინფიცირების საფრთხის ქვეშ აგდებენ). ითვლება, რომ “ბეარბექინგის” შესახებ ჩატარებული კვლევები ხშირად „მორალურ პანიკას“ ქმნიან,

იმიტომ, რომ ისინი გეი მამაკაცების დიდ ნაწილს წარმოაჩენენ ისე, თითქოს მათ თავად სურთ აივ ვირუსით ინფიცირება, ან სულაც არ ადარდებთ საკუთარი სქესობრივი ჯანმრთელობა (Halperin,2007). ასეთი კვლევები გეი მამაკაცების პათოლოგიზაციას ემსახურება; ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჯანმრთელობის ახსნას „რისკ-ფაქტორებისა“ და „ქცევის ცვლილებასთან“ ასოცირებით ახდენს, „კარგ ჯანმრთელობაზე“ მორალური გადმოსახედიდან საუბრობს (მორალის ჩარჩოში ათავსებს) (Barker et al ., 2007; Riggs,2005). გეი მამაკაცების სქესობრივ ჯანმრთელობისადმი ასეთი მიდგომა არა მარტო ამკვიდრებს ნორმატიულ გაგებას იმაზე, თუ რას ნიშნავს, „იყო ჯანმრთელი“, არამედ მორალზე, ჯანმრთელობასა და სექსუალურ პრაქტიკაზე გეი მამაკაცთა საკუთარი შეხედულებების მარგინალიზებას ახდენს.

გეი მამაკაცთა სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ჩატარებულ კვლევებში აივ ინფექციაზე ასეთი აქცენტირების ერთ-ერთი შედეგი ისიც არის, რომ აივ ინფექცია ხდება ცენტრალური მოვლენა, რომლის ირგვლივაც გეი მამაკაცთა იდენტობებს აბრუნებენ. მაშინ, როცა აივ ინფექცია ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გეი თემში, ხშირად მას ერთადერთ პრობლემად აღიქვამენ; ზედმეტად აკეთებენ აქცენტს როგორც კვლევებში, ისე გეი თემში. ბეარბექინგის კვლევები, შესაძლოა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს აივ ინფექციის გავრცელების პრევენციაში, თუმცა, მას ასევე წვლილი შეაქვს აივ ინფიცირებული მამაკაცების მარგინალიზაციაში და შესაძლოა, აივ ინფექციის ნორმალიზაციაც მოახდინოს აივ უარყოფით მამაკაცებში (Riggs, 2006a). გეი და ბისექსუალი მამაკაცების სქესობრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მოითხოვს მიდგომებს, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ კონტექსტს და მამაკაცთა ინდივიდუალურ შეხედულებებს თავიანთ ჯანმრთელობასა და სექსუალობაზე (იხ. ჩანართი 6.3).

ცხადია, სქესობრივი ჯანმრთელობა მხოლოდ სგგი-სა და აივ ინფექცია/შიდსს არ მოიცავს. გეი და ბისექსუალი მამაკაცების სექსუალური ჯანმრთელობა ასევე მათ პოზიტიურ სექსუალურ გამოცდილებებს ეხება და იმას, თუ როგორ ახდენს გავლენას გეი თემის ნორმები და მოლოდინები მათ სქესობრივ ჯანმრთელობაზე. სქესობრივი ჯანმრთელობა, როცა მას მთლიანობაში აღვიქვამთ, არ დადის კონკრეტულ სექსუალურ ქცევებამდე, სქესობრივი ცხოვრების ოდენობამდე ან სგგის-ს პრევენციამდე. მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ სქესობრივი ჯანმრთელობა ზოგადი ჯანმრთელობისა და დემოგრაფიის მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, და ეს ფაქტორები ერთიანობაში განსაზღვრავენ, როგორ ცხოვრობენ და იქცევიან კონკრეტული MSM-ები.

ლესბოსელ და ბისექსუალ ქალთა სქესობრივი ჯანმრთელობა

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მცირერიცხოვანი კვლევები, რომლებიც სპეციფიკურად „ლესბოსელთა“ სქესობრივ ჯანმრთელობას ეხება (e.g., Bailey et al ., 2004; Evans et al ., 2007), ლბქ და სხვა WSW (women who have sex with women - ქალი რომელსაც სექსი აქვს ქალთან) ქალების სქესობრივი ჯანმრთელობა და სქესობრივი ჯანმრთელობის საჭიროებები უმეტესად უგულვებელყოფილი იყო ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. ფსიქოლოგიაში (და, უფრო ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ ძალიან ბევრი თეორია და კვლევა არსებობს. თუმცა ყველა კვლევა უმეტესად ორსულობასა და სგგი-ს გავრცელებას ეხება ჰეტეროსექსუალური კავშირების შედეგად.

არაჰეტეროსექსუალ ქალთა შესახებ კვლევების ნაკლებობა ძირითადად სქესობრივი ჯანმრთელობის კვლევების სფეროში (და, ზოგადად, საზოგადოებაში) სექსისა და სექსუალობის ჰეტერონორმატიული გაგების შედეგია. ეს ნაკლებობა, შესაძლოა, ასევე დავუკავშიროთ გავრცელებულ და მცდარ შეხედულებას, რომ ქალებს შორის სექსით სგგი-ს გავრცელება არ ხდება, ან ლესბოსელი ქალები უმეტესად „არასარისკო“ სქესობრივ აქტივობებში ერთვებიან სხვა ქალებთან და, შესაბამისად, ლესბოსური სექსი „უსაფრთხო“ სექსია. „ეპიდემიოლოგიური შეუსაბამობის“ ცნება პრობლემურია და სქესობრივი ქცევის სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებით იგი ქმნის (მცდარ) წარმოდგენას, რომ ლესბოსელებს სქესობრივი ჯანმრთელობის საჭიროებები არ აქვთ. ის ასევე უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ ლესბოსელი ქალები, შესაძლოა, მამაკაცის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, ან საკუთარი არჩევანით ჰქონდეთ სექსი მამაკაცთან, ან ეს ფულის გამო გააკეთონ (Lampon, 1995). გარდა ამისა, ეს შეხედულება უშვებს, რომ სგგი და სხვა სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ სქესობრივი გზით გადადის და უგულვებელყოფს ინტრავენული ნარკოტიკების მოხმარებას ან „თვითგანაყოფიერებას“. ქალის სექსუალობის სპეციფიკურად არაჰეტეროსექსუალურ კონტექსტში განხილვის სიმწირე ბისექსუალი და სხვა WSW ქალების საჭიროებების ხილვადობას ამცირებს. გარდა ამისა, რადგან ლბქ ქალების სექსუალური პრაქტიკა და სექსუალური ისტორია ძალიან სხვადასხვაგვარია რაოდენობრივი, ინტენსივობის, პარტნიორთა გენდერისა თუ მათი პოტენციურად სარისკო აქტივობებში (მაგალითად, ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება) ჩართვის მიხედვით, სქესობრივი ჯანმრთელობის საჭიროებების სექსუალური იდენტობის მიხედვით განსაზღვრა უსარგებლოდ ჟღერს.

სამედიცინო კვლევები მიუთითებს, რომ სგგი-ს გავრცელების ალბათობა ქალებს შორის სექსუალური კავშირით დაბალია. თუმცა, დაბალი რისკი არ ნიშნავს რისკის არარსებობას. მიუხედავად იმისა, რომ სგგი-ს ქალიდან ქალზე გადაცემის შემთხვევები იშვიათია, ექსკლუზიურად ქალი პარტნიორების მყოლი ქალების 10%-ს სგგი-ს გამოცდილება აქვს (Bauer and Welles, 2001). გარდა ამისა, ბაქტერიული ვაგინიოზი (ბაქტერია, რომელიც ვაგინის გამორეცხვას იწვევს) WSW-თა შორის მეტია, ვიდრე ექსკლუზიურად ჰეტეროსექსუალ ქალებში (Evans et al ., 2007; Hughes and Evans, 2003). WSW-ებში ასევე ხშირია გენიტალიური მეჭეჭი (ადამიანის პაპილომავირუსი (HPV)) და სოკო (კანდიდოზი) (Bailey et al ., 2004; Marrazzo et al ., 2005). მიუხედავად იმისა, რომ ქალებს შორის სქესობრივი ურთიერთობის დროს რისკის შესაძლებლობის მტკიცებულებები არსებობს, აშშ-ში განხორციელებული კვლევები ლესბოსელი ქალების მიერ რისკის აღქმის შესახებ აჩვენებს, რომ ძალიან ცოტა WSW ქალს ჰგონია, რომ „საფრთხის წინაშე“ დგას და ძალიან ცუდად არიან ინფორმირებული ვაგინალური სითხეების ურთიერთგაცვლასთან დაკავშირებული პოტენციური რისკის შესახებ (Dolan and Davis, 2003; Montcalm and Meyer, 2000). მაგალითად, ფოკუს ჯგუფების კვლევის მონაცემებით, აშშ-ში მოღვაწე სოციოლოგები, კატლინ დოლანი და ფილიპ დევისი, (2003) ასკვნიან, რომ მრავალ ქალს სწამს ლესბოსელების *ფიზიკური* იმუნიტეტის მითის სგგი-ებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მრავალი ქალი საუბრობდა საკუთარ *სოციალურ* იმუნიტეტზე. ეს საუბარი ეყრდნობოდა საკმაოდ პრობლემურ დაშვებებს, როგორიცაა პარტნიორის ნდობა, ქალების მამაკაცებზე უფრო სანდო ხასიათი და იდეა, რომ გულახდილობა და კომუნიკაცია ინფექციას აგაცილებს. კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ WSW-ებს რისკის საშიშროების შესახებ არასაკმარისი ცოდნა აქვთ.

მეინსტრიმ ჯანმრთელობის ფსიქოლოგიაში ლესბოსელებისათვის „უფრო უსაფრთხო სექსის“ ცნება უხილავია (MacBride-Stewart, 2004). „ლესბოსელთა სექსუალური ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობის მცდელობებმა ვერ შეძლეს, მოეცვათ WSW-ების სექსუალური პრაქტიკების მრავალფეროვნება და აქცენტი თითქმის ყოველთვის ორალურ სექსზეა გამახვილებული. ამ მიზეზით, უსაფრთხო სექსის წახალისებისას აქცენტი დენტალური დემების (ლატექსის ბადეების) გამოყენებაზეა მიმართული ორალური სექსისას (კუნილინგუსი). ამ მიდგომის ერთი პრობლემა ისაა, რომ დენტალური დემები ხშირად რთულად ხელმისაწვდომია (თუმცა, ზოგიერთი ქალი კონდომის ნაწილებს ან ცელოფნის შესაფუთ პარკს იყენებს), ისინი მხოლოდ ლგბტქ ღონისძიებების დროს ვრცელდება და ნაკლებად სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამებში. თუმცა, მაშინაც კი, როცა მათი

დარიგება ხდება, დენტალური დემების მოხმარება დაბალია და მხოლოდ იმ შემთხვევაში იზრდება, თუ რისკის შესახებ ცნობიერებაა ამაღლებული და თუ ცნობილია, რომ სხვა ლესბოსელებს სგგი შეეყარათ (Montcalm and Myer, 2000). გარდა ამისა, დენტალური დემების გამოყენების წახალისება შესაძლოა, ქალებს შორის ორალური სექსის პათოლოგიზების წყარო გახდეს, რადგან შექმნას წარმოდგენა, რომ ის უპირობოდ სარისკო და საშიშია (MacBride-Stewart, 2004). მაგალითად, დენტალურ დემებს არ სთავაზობენ ჰეტეროსექსუალებს, რომლებიც იდენტურ სექსუალურ პრაქტიკას ახორციელებენ და მამაკაცის მიერ ქალისთვის გაკეთებული კუნილინგუსი ზოგადად „დაბალი რისკის“ შემცველ სქესობრივ ქცევად ითვლება.

ლესბოსური სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებიდან, ასევე იკვლევენ სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, კერძოდ კი, ლესბოსელი ქალების საშვილოსნოს ექოსკოპიისა და მკერდის თვითგასინჯვის პრაქტიკებში ჩართულობას. დიდი ბრიტანეთის ლესბოსელთა და ჯანდაცვის ეროვნულმა გამოკითხვამ (Fish and Anthony, 2005; Fish and Wilkinson, 2000), რომელიც 1066 ლესბოსელს იკვლევდა ბრიტანეთის 117 საფოსტო სექტორიდან (122-დან) აჩვენა, რომ ლესბოსელთა მხოლოდ 55% იტარებდა საშვილოსნოს გამოკვლევას რეგულარულად. ამის ერთ-ერთ ცენტრალურ მიზეზად მამაკაცთან სექსუალური კავშირის ქონის გარეშე გამოკვლევის „საჭიროების არქონა“ სახელდებოდა. ასევე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ლესბოსელებს ეუბნებოდნენ, რომ მათ გამოკვლევა არ სჭირდებოდათ. ეს ორივე ახსნა საკმაოდ პრობლემურია. მიუხედავად იმისა, რომ **პენისი-ვაგინაში ინტერკურსი** საკვერცხის კიბოს მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია, მხოლოდ მასზე კონცენტრირება უგულვებელყოფს სხვა ფაქტორებს (მაგალითად, მოწევა), რაც ასევე საფრთხეს ქმნის. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჯანდაცვის პროფესიონალების რჩევას ვენდოთ, ისინი (სხვა ადამიანებივით) ხშირად ასკვნიან, რომ ლესბოსელებს არასოდეს ჰქონიათ ან არასოდეს ექნებათ სექსი მამაკაცთან, ან არ არიან რისკის ქვეშ.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ჰომოსექსუალობა და ტრანსსექსუალობა, როგორც ფსიქიკური დაავადება

ისტორიულად, ლგბტქ ადამიანები ფსიქიკურად ავადმყოფებად მხოლოდ იმიტომ ითვლებოდნენ, რომ ისინი ჰეტეროსექსუალები არ იყვნენ და გენდერულ როლებს არ ერგებოდნენ. როგორც პირველ თავში განვიხილეთ, მიუხედავად იმისა, რომ დიაგნოსტიკური კატეგორია „ჰომოსექსუალობა“ DSM-იდან 1973 წელს ამოიღეს (და მისი მომდევნო ეგოდისტონიკური

ჰომოსექსუალობა - 1987-ში), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან (ICD) მისი ამოღება მხოლოდ 1993 მოხდა. ხოლო გენდერული დისფორია (DSM-ში) ჯერ კიდევ არის და ეს კატეგორია ხშირად გამოიყენება დიაგნოზირებისას „ტრანსსექსუალობის“ ნაცვლად. გენდერული დისფორია ძალიან წინააღმდეგობრივი ცნებაა, რადგან იგი ეფუძნება პოპულარულ სტერეოტიპს, თითქოს ადამიანები იცვამენ განსაზღვრული გენდერის მიხედვით ან საკუთარ გენდერს სექსუალური მიზნების გამო იცვლიან. ამით „გენდერული იდენტობისა“ და „სექსუალური იდენტობის“ ცნებები ერთმანეთში ირევა, რაც ხელისშემშლელია ტრანს ცხოვრების გასაგებად და ლგბ და ტრანს ადამიანებს შორის განსხვავების დასანახად (Lombardi and Davis, 2006). ეგოდისტონიკური სექსუალური იდენტობისა და გენდერული იდენტობის აშლილობის დიაგნოზის კატეგორიებად შენარჩუნება და ჰომოსექსუალობისა და ტრანსობის პათოლოგიზების ისტორია კლინიკურ დიაგნოზში იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ლგბტქ ადამიანების სტიგმატიზებისათვის კიდევ დიდი პოტენციალი არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ლგბტქ იდენტობის გამო დღეს ცოტა ფსიქოლოგი თუ ხედავს ლგბტქ ადამიანებს, როგორც ფსიქიკურად დაავადებულებს, როგორც პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, 1970-იან წლებამდე ფსიქოლოგიური კვლევის უმეტესობა აქცენტს აკეთებდა, იყო თუ არა ჰომოსექსუალობა დაავადება და როგორ შეიძლებოდა მისი განკურნება (Morin, 1977). იმის გამო, რომ „ჰომოსექსუალობის პათოლოგიურობის“ დისკურსი იმ დროს გაბატონებული იყო, ლგბტქ ადამიანებს ხშირად ათავსებდნენ ფსიქიატრიულ ინსტიტუტებში და ავერსიული თერაპიით უმკლავდებოდნენ (ლესბოსელებს, უმეტესად, კეტავდნენ, ხოლო მამაკაცებს ავერსიის თერაპიას უტარებდნენ). ავერსიული თერაპია ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მკურნალობაა, რომლის დროსაც პაციენტზე სტიმულით მოქმედებენ მაშინ, როცა ამავდროულად მისთვის დისკომფორტის რამე ფორმის შექმნა ხდება. ასეთი თერაპიები მოიცავდნენ ელექტროშოკს მამაკაცებისათვის და, ამავე დროს, შიშველი მამაკაცის სურათის ჩვენებას, ქიმიურ კასტრაციას (ჰორმონული საშუალებების მიღება, რომლებიც აქვეითებს სექსუალურ სურვილს); ან აპომორფინის ინექცირებას ძლიერი დაავადების გამოსაწვევად. გასაკვირი არ არის, რომ ავერსიის თერაპიას ძალიან მაღალი წარუმატებლობის მაჩვენებელი ჰქონდა და ხშირად მიჰყავდა პაციენტები დეპრესიასა და სუიციდამდე. ირონიულია, რომ ის, შესაბამისად, ფსიქიკურ აშლილობას იწვევდა და არა - განკურნებას.

სოციალური სტრესი და ლგბტქ ფსიქიკური ჯანმრთელობა

ადრეული კვლევებისგან განსხვავებით, ლგბტქ ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევისას, ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ სოციალურ სტრესზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგად ლიტერატურაში **სუბკლინიკური** სტრესი (აფექტური აშლილობები, შფოთვითი და ნივთიერებაზე მიჯაჭვულობის აშლილობები) სოციალური სტრესის შედეგად მიიჩნევა (Dohrenwend, 2000). შესაბამისად, ლგბტქ იდენტობასთან დაკავშირებული მაღალი სოციალური სტიგმა ლგბტქ ადამიანებს ფსიქიკური აშლილობის დიდ საფრთხეს უქმნის. თუმცა, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ არსებული ფსიქოლოგიური ლიტერატურა ხშირად ამას სათანადო ყურადღებას არ უთმობს (Nelson, 1994).

ლგბტქ ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ცოტაა ცნობილი და ეს ცოდნაც, უმეტესად, თეთრკანიანი, საშუალო კლასის, აშშ-ში მცხოვრები გეებისა და ლესბოსელების თვითანგარიშების მონაცემების წყვეტილ კოლექციას ეფუძნება. ამის ერთი მიზეზი შერჩევის სირთულეა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კლიენტთა სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალების მიერ სისტემურად არ გროვდება. ასე რომ, თუკი კლიენტი თავად არ გაამახვილებს ყურადღებას სექსუალურ იდენტობაზე, როგორც პრობლემაზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ადამიანის ფსიქიკაზე გავლენას მხედველობაში მიიღებენ. ამ სფეროში კვლევები უფრო მეტად ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებზეა, ვიდრე მამაკაცებზე. ამის მნიშვნელოვანი მიზეზი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალებთან ურთიერთობის გენდერულად დაყოფილი ხასიათია - ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკები შერჩევის შედგენის გავრცელებული ადგილია; ასევე არსებობს ზოგადად ცნობილი დაშვება, რომ ქალებს უფრო ხშირად აწუხებთ ფსიქიკური პრობლემები, ვიდრე მამაკაცებს. ამ დაშვებას კი ამყარებს ის ფაქტი, რომ იმის ალბათობა, რომ ქალები ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებს მიმართავენ, რამდენჯერმე მაღალია კაცებთან შედარებით, და ქალების შესახებ დეპრესიისა ან შფოთვის დიაგნოზირება ბევრად უმარტივდებათ, ვიდრე მამაკაცების (Kerr and Emerson, 2003). გარდა ამისა, თვითმკვლელობების შესახებ ლიტერატურა ამბობს, რომ მამაკაცებს სუიციდის ჩადენის მეტი ალბათობა გააჩნიათ, ვიდრე ქალებს. რადგან სუიციდის შემთხვევების მიზეზების დადგენა უმეტესად რთულია, და რადგან სექსუალობისა და გენდერის შესახებ ინფორმაცია იშვიათად არის დაფიქსირებული, ასევე რთულია იმის განსაზღვრა, იყო თუ არა გენდერი და სექსუალობა თვითმკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი. ყველა ამ მიზეზის გამო, ჩვენი ცოდნა ლგბტქ ადამიანების შესახებ

უმეტესად არაკლინიკურ მონაცემებზეა დაფუძნებული; თითქმის ყოველთვის სუბკლინიკური სტრესის ინდიკატორებს მოიცავს და არა მწვავე, ხანგრძლივი ფსიქიკური დაავადებებისა (მაგალითად, ისეთების, რომლებიც ოფიციალურ კლინიკურ დიაგნოზსა და მკურნალობას მოითხოვს).

მეორე პრობლემა ისაა, რომ თითქმის არაფერია ცნობილი რასობრივად და კულტურულად მარგინალიზებული ლგბტქ ადამიანების ფსიქიკური დაავადებების ეპიდემიოლოგიაზე. ამ ჯგუფების შესახებ ლიტერატურა ძალიან მწირია და კლინიკური გარემოებიდან მოძიებულ ერთეული შემთხვევების შესახებ არსებულ ინფორმაციას ეფუძნება. აშშ-ში მოღვაწე ფსიქოლოგის ბევერლი გრინის (1997) თქმით, რასობრივად და კულტურულად მარგინალიზებული ჯგუფების წევრი ლგბტქ ადამიანები **„ორმაგ დისკრიმინაციას“** განიცდიან: ისინი საკუთარ რასობრივ და კულტურულ ჯგუფში ლგბტქ იდენტობის გამო არიან მარგინალიზებულნი, ხოლო ლგბტქ თემში მათი „ცხოვრების სტილი“, თეთრკანიანი ეთნოცენტრულობის შედეგად, სტიგმატიზებულია. განცდა, რომ არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნები, სრულიად ხშირად იზოლაციისა და გაუცხოების გრძნობებს იწვევს, ამას კი ფსიქიკური დაავადებების მიმართ მაღალ ფსიქოლოგიურ მოწყვლადობამდე მივყავართ.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ფსიქოლოგიური (და სამედიცინო) კვლევა იყენებს იზოლირებულ ლგბტქ ადამიანთა შერჩევას, თანამედროვე კვლევები, რომლებიც ლგბ ადამიანებს მათ ჰეტეროსექსუალ დედმამიშვილებს (e.g., Balsam et al ., 2005; Rothblum and Factor, 2001) ან არამონათესავე ჰეტეროსექსუალ ადამიანებს (e.g., King et al ., 2003; Koh and Ross, 2006) ადარებს, მუდმივად აცხადებენ, რომ მათ ფსიქიკური დაავადების მაღალი რისკი აქვთ ჰეტეროსექსუალებთან შედარებით. აშშ-ს კვლევაში, რომელშიც 524 ლესბოსელი, 143 ბისექსუალი და 637 ჰეტეროსექსუალი ქალი მონაწილეობდა, გამოვლინდა, რომ ლესბოსელების 56.7-სა და ბისექსუალი ქალების 53.2 პროცენტს უმკურნალია დეპრესიის გამო, ჰეტეროსექსუალი ქალების 42.1 პროცენტისგან განსხვავებით. ეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობაა ($p < .01$) (Koh and Ross 2006). ფართომასშტაბიანმა ავსტრალიურმა კვლევამ, რომელიც 5476 ლგბტქ ადამიანს მოიცავდა, ასევე აღმოაჩინა, რომ დეპრესიული აშლილობის გამოვლინების რიცხვი საკმაოდ მაღალი იყო (Pitts et al ., 2006). ამ კვლევაში მამაკაცთა 70-მა, ხოლო ქალთა 80-მა პროცენტმა თქვა, რომ ჰქონიათ დეპრესიული აშლილობა და მონაწილეთა ნახევარს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიუმართავს კონსულტანტისათვის ან ფსიქიატრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დეპრესიის მაჩვენებელი კვლევიდან კვლევამდე საკმაოდ განსხვავებულია, დეპრესია ლგბტქ ადამიანებში მაინც ყველაზე ჩვეულ დიაგნოზად მიიჩნევა (მომ-

დევნოა შფოთვითი აშლილობა). უმეტესწილად, დეპრესიისა და შფოთვითი აშლილობის მქონე მონაწილეები სუბკლინიკურ მკურნალობას გადიოდნენ (და არ ყოფილან საავადმყოფოში), რაც ერთგვარად ამყარებს მოსაზრებას, რომ სოციალური სტრესი ლგბტქ ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კვლევები ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ ძალიან მცირერიცხოვანია. თუმცა, სავარაუდოა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადნი სწორედ ეს ჯგუფები არიან (Mathy et al ., 2003; Pitts et al ., 2009). საბოლოო ჯამში, სტრესითა და პრეჯუდისებით გამოწვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ყურადსაღები საკითხია.

ლგბტქ ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევების დიდი ნაწილის მიხედვით, ლგბტქ ადამინების თვითმკვლელობის მაჩვენებელი ასევე მნიშვნელოვნად მაღალია ზოგად მოსახლეობასთან შედარებით. თუმცა, თვითმკვლელობის მაჩვენებლების გაზომვა ხშირად თვითმკვლელობის შესახებ არსებული აზრების საფუძველზე ხდება, რაც ძალიან პრობლემური მეთოდია მტკიცე შედეგების მისაღებად. მაგრამ, თვითანგარიშის კვლევები მუდმივად აჩვენებს, რომ თვითმკვლელობისა და წინასწარგანზრახული თვითდაზიანების რაოდენობა ლგბტქ ახალგაზრდებში ჰეტეროსექსუალებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია (Roberts et al ., 2004). მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული 1285 ლგბ ადამიანის კვლევა ინგლისსა და უელსში აჩვენებს, რომ მონაწილეთა 31%-ს ჰქონია თვითმკვლელობის მცდელობა (Warner et al., 2004). ასეთი შემთხვევები არადასავლურ კონტექსტებშიც ფიქსირდება (e.g., in Taiwan, Kuang et al., 2003). კვლევების უმეტესობის მიხედვით, ჰეტეროსექსუალ ახალგაზრდებში თვითმკვლელობების სავარაუდო რიცხვი 10%-ია; ახალგაზრდა ლგბტქ ადამიანებს კი სუიციდის ორჯერ მაღალი ალბათობა აქვთ მათ ჰეტეროსექსუალ თანატოლებთან შედარებით (Robertset al ., 2004).

ლგბტქ ადამიანების ურთიერთობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს წარმომადგენლებთან

ასევე კვლევის საგანი იყო ლგბტქ ადამიანების ურთიერთობა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროს წარმომადგენლებთან (კონსულტანტები და თერაპევტები), რას ფიქრობენ ისინი „ფსი“ პროფესიებზე და როგორ უნდა ტარდებოდეს თერაპია ლგბტქ ადამიანებთან, ან როგორ არ უნდა ტარდებოდეს (იხ. ჩანართი 6.4, ამ საკითხის მიმოხილვისათვის, ასევე 6.5 ლგბტქ ადამიანებთან თერაპიის ჩატარების რეკომენდაციებისათვის). აქამდე სპეციფიკურად გბქ მამაკაცების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის

სერვისების გამოყენების შემსწავლელი კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ქალებთან შედარებით მამაკაცები ნაკლებად მიმართავენ თერაპიას, თუმცა, მეტი შანსია მათი ფსიქიატრიული ჰოსპიტალიზაციისა 18 წლამდე (Balsam et al ., 2005). რაც შეეხება ქალებს, მათზე მრავალი კვლევა არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გამოყენების შესახებ. ამ კვლევების მიხედვით ლბქ ქალების 70%-ზე მეტი სარგებლობდა სპეციალისტთა დახმარებით (მაგალითად, კონსულტაციები და თერაპია) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო (e.g., Razzano et al ., 2002; Robert et al ., 2004). დეპრესია და პრობლემები ურთიერთობებში ხშირად ცხადდება, როგორც დახმარების საჭიროების ძირითადი მიზეზი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ძალიან მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ სტრესს.

ჩანართი 6.4. თერაპია (რა სახის თერაპია), კი თუ არა? საკითხავი, აი, ეს არის!

ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის მიერ ლგბტქ ადამიანების არასწორი მკურნალობის ხანგრძლივი ისტორიის გათვალისწინებით, მრავალი კამათი მიმდინარეობს, უნდა ჩაერთონ თუ არა არაჰეტეროსექსუალები და, განსაკუთრებით, ლესბოსელები, თერაპიულ აქტივობაში, როდესაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებთ. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისში ჟურნალ „ფემინიზმსა და ფსიქოლოგიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ანტითერაპიულ და პროთერაპიულ პოზიციებს იკვლევდა. ბრიტანეთის კლინიკური ფსიქოლოგი, რეიჩელ პერკინსი (1991), ლესბოსური ფემინისტური პერსპექტივიდან ამტკიცებდა, რომ ის ფსიქოლოგიური თერაპიებიც კი, რომლებიც მიზნად ისახავენ, იყვნენ ქალზე ორიენტირებული და მისი მხარდამჭერნი, მაინც ანტილესბოსური და ანტიფემინისტური, რადგან ლესბოსური ფემინიზმი და თერაპია ფუნდამენტურად შეუთავსებელია ერთმანეთთან. პერკინსისათვის თერაპია ინდივიდუალიზებულ და ფსიქოლოგიზებულ განმარტებებზეა დაფუძნებული, ფემინიზმი კი პოლიტიკურია და კონცენტრირებულია **პატრიარქატსა** და ქალთა ჩაგვრაზე. ის ასევე ამბობდა, რომ ლესბოსელებმა ერთმანეთს უნდა დაუჭირონ მხარი და ერთმანეთს უნდა დაეყრდნონ ფსიქოლოგიური საჭიროებისას დახმარების აღმოსაჩენად თერაპევტებსა და ფსიქოლოგებზე დამოკიდებულების ნაცვლად. ამის საპირისპიროდ, თერაპევტი ლაურა ბრაუნი (1992), ლესბოსელთა თერაპიას ოპტიმისტურად უყურებს, ის ხაზს უსვამს პოლიტიკურად

გათვითცნობიერებული ფემინისტური თერაპიის დადებით ასპექტებს და მას (პრობლემურ) არაფემინისტურ თერაპიას უპირისპირებს.

ლგბტქ ადამიანების თერაპიის შესახებ თანამედროვე დისკუსიებში განხილვის საგანი ის კი არ არის, უნდა მიმართონ თუ არა ლგბტქ ადამიანებმა თერაპიას, არამედ ის, ,,თუ რომელი თერაპიული მიდგომაა „საუკეთესო“ და რა ხდის თერაპიას „გეი მხარდამჭერს“. დებატების ხასიათი, ნაწილობრივ, იმიტომ შეიცვალა, რომ მეტი „მხარდამჭერი“ თერაპია არსებობს და უფრო და უფრო მეტი ლგბტქ ადამიანი თვითონ არის პრაქტიკოსი, ფსიქოლოგი და თერაპევტი; ასევე იმიტომ, რომ არაჰეტეროსექსუალებს ფსიქოთერაპიისა და კონსულტაციების გამოყენების საჭიროების მეტი ალბათობა აქვთ, ვიდრე ჰეტეროსექსუალებს (Malley and Tasker, 2007).

ლგბტქ ადამიანების, განსაკუთრებით კი, ქალების, მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხშირი გამოყენება ძალიან პრობლემური ხდება, როდესაც თერაპიის კონტექსტი ჰეტეროცენტრულია (ან ჰომოფობიურიც კი). არ შეიძლება, თერაპია თავისთავად და არსებითად პრობლემურად აღვიქვათ. თუმცა, სექსუალობისა და გენდერული იდენტობის პათოლოგიზაციის ისტორიამ ისეთი სამედიცინო პრაქტიკა დაამკვიდრა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები, უმეტესად, ცუდად აღჭურვილია ლგბტქ ადამიანების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (იხ. ჩანართი 6.6.). მაგალითად, 217 ბისექსუალი ქალისა და მამაკაცის კვლევისას აშშ-ს კერძო პრაქტიკოსმა, ემილი ფეიგმა (2004), აღმოაჩინა, რომ რესპონდენტთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოცდილებები დადებითი ნამდვილად არ იყო. რესპონდენტები ამბობდნენ, რომ თანამშრომლებს აკლდათ ბისექსუალობის საკითხების ცოდნა და კლიენტები გრძნობდნენ საკუთარი ბისექსუალური იდენტობის ინვალიდაციასა და პათოლოგიზაციას. ეს მოიცავდა ისეთ დაშვებას, რომ ბისექსუალობა კლინიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, როცა სულაც არ იყო ასე, და დასკვნას, რომ პაციენტების ბისექსუალური მიდრეკილებები/ქცევები ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დაბრუნებასთან ერთად გაქრებოდა. ბრიტანული კითხვარი შეისწავლიდა, თუ რა სურთ ლგტ ადამიანებს თერაპიისაგან და/ან თერაპევტებისგან (Malley and Tasker, 2007). კვლევა უმეტესად ლონდონში მცხოვრებ, განსხვავებული შემოსავლის მქონე 637 ლგტ ადამიანის შერჩევას ეფუძნებოდა. კვლევის ძირითადი აღმოჩენები შემდეგი იყო: (1) დადებითად ფასდებიან თერაპევტები, რომლებსაც აქვთ ცოდნა და თავდაჯერება სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად; (2) თერაპევტის მიერ პაციენტის სექსუალობის უარყოფა ძირითადი უარყოფითი ასპექტი იყო; (3)

ყველაზე გავრცელებული პასუხი, თუ რას შეცვლიდნენ რესპონდენტები მომდევნო თერაპიებისათვის, იყო ლესბოსელი ან გეი თერაპევტის პოვნა; (4) რესპონდენტები ძალიან აფასებდნენ ისეთ ზოგად ფაქტორებს, როგორიცაა „გაგება“ და მოსმენა; (5) მეგობრები ძალიან დადებითად ფასდებოდნენ, როგორც მხარდაჭერის წყარო; და (6) სხვადასხვა ურთიერთშემავსებელი თერაპიული მიდგომების გამოყენება ასევე დადებითად ფასდებოდა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით ლგბტქ ადამიანებისათვის ყველაფერი ბოლომდე ცუდად მაინც არ არის. ფსიქიკური *ჯანმრთელობა* ირონიულად ხშირად უგულვებელყოფს ფსიქიკურ ჯანმრთელობას და მხოლოდ ლგბტქ ფსიქიკურ *პრობლემებზე* კონცენტრირდება. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ლგბტქ ადამიანების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ხელშემწყობი მოვლენების შესწავლაც. თუ გეი მამაკაცებს ავიღებთ, მაგალითად, ავსტრალიურმა კვლევამ აჩვენა, რომ გეი თემთან მიკუთვნებულობამ შესაძლოა, ფართო საზოგადოებისაგან იზოლაციის განცდა შეამციროს და საზოგადოებაში ჩართულობას შეუწყოს ხელი. ორივე შემთხვევას ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე საკმაოდ დადებითი შედეგი აქვს (McLaren et al., 2008; see also Ellis, 2007a).

ჩანართი 6.6. ალიშა ლუკსტედი (2004) - საჯარო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიღება ლგბტქ ადამიანების მიერ

პროექტი, რომელსაც ამ ჩანართში შევაჯამებთ, მიზნად ისახავდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით შეესწავლა გზები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გაუმჯობესებას ლგბტ კლიენტების, განსაკუთრებით კი, მძიმე ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანების, საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას. კვლევისათვის მონაცემები მრავალი სხვადასხვა წყაროდან მოგროვდა ამერიკის მასშტაბით, მათ შორის: შესაბამისი პროფესიული ლიტერატურიდან, სანაცნობო წრიდან და 35 ინტერვიუდან (რესპონდენტები: სერვისის მომხმარებლები, ადვოკატები, სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის მუშაკები და პროფესიონალები, ვინც მძიმე ფსიქიკური დაავადების მქონე ლგბტ პირებს უწევს დახმარებას).

ლგბტ ადამიანებისათვის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დახმარების გაწევისას რამდენიმე ცენტრალური საკითხი გამოიყო:

- *მძიმე ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანების გარიყვა.* მძიმე ფსიქიკური დარღვევები არ შედის ლგბტქ მხარდამჭერი კლინიკოსების სფეროსა და პროგრამებში; ლგბტქ სათემო ორგანიზაციები ხშირად უგულ-

ვებელყოფენ მძიმე ფსიქიკური დარღვევების მქონე ლგბტქ ადამიანთა ცხოვრებას.

- *სექსუალობას ყურადღება არ ექცევა.* სექსუალობას მხოლოდ პრობლემის კონტექსტში განიხილავენ. არსებობს ერთგვარი დაშვება, რომ კლიენტებს არ აქვთ, ან არ უნდა ჰქონდეთ სექსუალობა.
- *თანამშრომლობის უცოდინრობა და უარყოფითი დამოკიდებულება.* უცოდინრობის მაღალი ხარისხი; არსებობს დაშვება, რომ „ლგბტქ ადამიანები ან აივ-დადებითები არიან, ან სექსუალური მანიაკები, ან კაცთმოძულეები, ან ქალურები, ან ბუჩები, ან ავადმყოფები, ან სხვა ასეთივე სტერეოტიპი (გვ. 31); და ასევე არსებობს მოსაზრება, რომ იყო ლგბტ, „სახარბიელოს არაფერს ნიშნავს“.
- *თანასწორთა არატოლერანტულობა.* თემის შიგნით და თვითდახმარების ჯგუფებში სხვა კლიენტების მხრიდან ხშირია უპატივცემულობა და დისკრიმინაცია.
- *ინფორმაციის ნაკლებობა ლგბტ სათემო რესურსების შესახებ.* ლგბტ საკითხები ხშირად იგნორირებულია მკურნალობის გეგმებში. ლგბტქ მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმირებულობა ძალიან დაბალია.

ეს კვლევა პრობლემატიზებას უკეთებს მძიმე ფსიქიკური დარღვევების მქონე ლგბტ ადამიანების კარგად ყოფნის საკითხს. ლუკსტედი ჯგუფის მოწყვლადობას უსვამს ხაზს, და შესაბამისად, აქცენტირებას უკეთებს ჯგუფის წევრების დამოკიდებულებას ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე. იგი სერვისის მომწოდებლებში ლგბტ საკითხების შესახებ ცნობიერების გაზრდის საჭიროებაზე საუბრობს.

ფიზიკური ჯანმრთელობა

ფიზიკური ჯანმრთელობა (სქესობრივი ჯანმრთელობის საზღვრებს მიღმა) ლგბტქ ჯანმრთელობის კვლევებში, გარკვეულწილად, უგულვებელყოფილი იყო. ძალიან ცოტაა კვლევები სპეციფიკურად ტრანსი და ბისექსუალი ადამიანების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ასე რომ, ეს განყოფილება უმეტესად კონცენტრირებული იქნება ლესბოსელებისა და გეების ფიზიკური ჯანმრთელობის საკითხებით (რა თქმა უნდა, ტრანსგენდერი ადამიანებიც შეიძლება, იყვნენ ლესბოსელი ან გეი). ტრანს ადამიანების ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ ვიცით, რომ ჰორმონულ თერაპიასთან გარკვეული ფიზიკური ჯანმრთელობის რისკები არის ასოცირებული (მაგალითად, ღვიძლის დაავადებები (Lurie, 2005), ასევე შესაძლოა, კავშირი იყოს ფემინურ ჰორმონებსა და გლუკოზისადმი მიმღებლობას შორის

(მაგალითად, დიაბეტის მე-2 ტიპით დაავადების საფრთხე „ჭარბწონიან“ ტრანსსექსუალ ქალებში; Feldman, 2002, ასევე იხ. ჩანართი 6.7).

ჩანართი 6.7. ფიზიკური ჯანმრთელობა ტრანს მამაკაცებში

ტრანსი მამაკაცები უამრავ წინააღმდეგობას ეყრებიან: დისკრიმინაციის ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგები; სირთულეები ისეთი პარტნიორის მოძებნისას, ვინც მათ მამაკაცის გენდერულ იდენტობას აღიარებს, მკურნალობის რეჟიმის მყისიერი გვერდითი ჩვენებები. ყველა ამ სირთულეს ემატება ის, რომ, როგორც თანამედროვე კვლევები აჩვენებს, ტრანს მამაკაცებისათვის ხანგრძლივ ჰორმონალურ თერაპიას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ჯანმრთელობაზე. ტრანს მამაკაცების ფიზიკური ჯანმრთელობის კვლევები ჰორმონული თერაპიის როგორც დადებით, ისე უარყოფით გვერდით მოვლენებზე საუბრობს. თანამედროვე მონაცემებით, ჰორმონული თერაპიის პოზიტიური შედეგი ის არის, რომ ტესტოსტერონის მიღება ხელს უწყობს ძვლის სიმტკიცის განვითარებასა და შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ოსტეოპოროზის შესაძლებლობის განსასაზღვრად. თუმცა, ეს შესაძლოა, მხოლოდ იმ ტრანს მამაკაცებს ეხებოდეს, ვინც საკვერცხეების ამოკვეთის პროცედურა ან სრული ჰისტერექტომია ჩაიტარა (Turneret al ., 2004).

რაც შეეხება ჰორმონული თერაპიის უარყოფით შედეგებს, მკერდის კიბოს ზოგადი კვლევები ამბობენ, რომ ანდროგენების (ტესტოსტერონი) გაზრდილ ოდენობასა და მკერდის კიბოს საფრთხეს შორის კავშირი არსებობს (Burcombeet al.,2003; Andrews, 2008). ეს განსაკუთრებით ვრცელდება იმ ტრანს მამაკაცებზე, ვინც ჰორმონულ თერაპიას ხანგრძლივად იტარებს. იმ ტრანს მამაკაცებისათვის, რომლებიც ჰისტერექტომიას გადიან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოპერაცია ამცირებს ესტროგენის გამოყოფას (რაც, კვლევების მიხედვით, მკერდის კიბოს რისკს დაბალს ხდის), ტესტოსტერონის მიღება (ჰორმონული თერაპიისას) შემცირებული ესტეროგენის გამოყოფის დადებით ეფექტს უმეტესად ამცირებს. გარდა ამისა, ასევე ამბობენ, რომ შესაძლოა, ტრანს მამაკაცების მიერ ჩატარებულმა არჩევითმა მასტექტომიამ, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სულაც არ შეამციროს მკერდის კიბოს წარმოშობის სავარაუდო ალბათობა.

ეს კვლევა ხაზს უსვამს გენდერის კვლავმინჭების ფიზიკურ სირთულეებს ტრანს ადამიანებისათვის. მაშინ, როცა ტრანზიციის ფსიქოლოგიური ეფექტები ტრანს ადამიანებისათვის შესაძლოა, დადებითი იყოს (მათ შესაძლოა, იგრძნონ, რომ მათი სხეული, ბოლოს და ბოლოს, შეესაბამება მათ გენდერულ იდენტობას), ფიზიკური შედეგები, შესაძლოა, ხანგრძლივი და სიცოცხლისათვის სახიფათო აღმოჩნდეს. საჭიროა დამატებითი კვლევები იმის შესასწავლად, თუ როგორ ფიქრობენ ტრანს ადამიანები ამ ორი

ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგის შესახებ და როგორ ახდენს მათზე ნეგატიურ გავლენას გენდერული ნორმები და სოციალური მოთხოვნები სხეულისა და გენდერული იდენტობის შესაბამისობასთან მიმართებაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ტრანს მამაკაცებს სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ ჰორმონული თერაპიის ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგების შესახებ, და ასევე იმ ფაქტზე, რომ მასტექტომია და ჰისტერექტომია არ გამორიცხავს სიმსივნის წარმოქმნის შესაძლებლობას მომავალში.

ამ ბოლო სექციაში ჩვენ ვკონცენტრირდებით (ცუდ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევებზე ლგბტქ ადამიანებში და ინდივიდუალისტური მიდგომის სხვადასხვა პრობლემებს გამოვკვეთთ; ასევე განვიხილავთ ქრონიკულ დაავადებებს, რომლებიც აივ ინფექციასთან არ არის დაკავშირებული.

ცხოვრებისეული „არჩევანი", ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა და ქრონიკული დაავადებები

ზოგადად ჯანმრთელობის კვლევასა და ჯანმრთელობის ფსიქოლოგიაში ცხოვრების სტილის „არჩევანსა" და ლგბ(ტქ) ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევებზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება. (ცნება „არჩევანი" ბრჭყალებში იმიტომ მოვათავსეთ, რომ არჩევანი ყოველთვის გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში არსებობს. მაგალითად, შესაძლოა, მხოლოდ ორგანული ხილისა და ბოსტნეულის ან ხორცის ჭამა გსურდეთ, თუმცა, რადგან ეს ყველაფერი უფრო ძვირია, ვიდრე ინტენსიური წარმოების პროდუქტები, მეტი ფული დაგჭირდებათ თქვენი არჩევანის განსახორციელებლად). მაგალითად, გეი მამაკაცების ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ არსებული კვლევები ლგბტქ თემში ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად გენდერის მნიშვნელოვნებას უსვამენ ხაზს. ამბობენ, რომ ჰეტეროსექსუალი მამაკაცების მსგავსად, გეი მამაკაცებსაც ნაკლები ალბათობა აქვთ ისეთი დაცული აქტივობების განხორციელების, რომლებსაც დადებით შედეგებამდე მივყავართ. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ისეთ აქტივობებში ერთვებიან, რომელიც დაავადების საფრთხეს ზრდის (Adams et al ., 2004)

გარდა ამისა, ლგბ(ტქ) ადამიანები, შესაძლოა, ჭარბად მოიხმარდნენ ალკოჰოლს (e.g., Hughes and Eliason,2002), სიგარეტს (Ryan et al ., 2001) და რეკრეაციულ ნარკოტიკებს (Skinner and Otis, 1996). ზოგიერთ კვლევის მიხედვით, ლგბ ადამიანების მიერ ასეთი ნივთიერებების მოხმარება ჰეტეროსექსუალებთან შედარებით გაცილებით მაღალია (Lee, 2000), განსაკუთრებით კი, ლგბ ახალგაზრდებში ნივთიერებათა ჭარბად გამოყენების

მაღალი ალბათობა შეინიშნება (Savin-Williams, 1994). ერთ-ერთი კვლევის შედეგების მიხედვით, ლესბოსელები განსაზღვრულ ასაკში მარიხუანასა და კოკაინის, ხოლო მამაკაცები ინჰალანტების (მაგალითად, amyl ან butyl, nitrate, 'poppers'), ჰალუცინოგენებისა და სხვა უკანონო ნივთიერებებს უფრო დიდი დოზით მოხმარებას აფიქსირებენ, ვიდრე „ზოგადი მოსახლეობა" (Skinner and Otis,1996). თანამედროვე ავსტრალიური კვლევის მიხედვით, გამოკითხული ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების მესამედს (33%) უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც მიეღო უკანონო ნარკოტიკი (განსაკუთრებით, კანაბისი, ექსტაზი და სპიდი) ზოგადი მოსახლეობის 17%-თან შედარებით (Hyde et al., 2007). ნივთიერებათა ბოროტად მოხმარების კვლევების მხოლოდ მცირე ნაწილში მონაწილეობენ ადამიანები მარგინალიზებული რასობრივი და კულტურული თემებიდან იმისათვის, რომ რამე დასკვნა გაკეთდეს ამ ჯგუფებში ნარკოტიკების მოხმარების თაობაზე მათი შედარებით მათსავე რასობრივი და კულტურული ჯგუფის ჰეტეროსექსუალ ან თეთრკანიან ლგბტ თემთან.

რატომ ხდება, რომ კვლევების მიხედვით ლგბ ადამიანები ჰეტეროსექსუალებზე მეტ ნარკოტიკებს მოიხმარენ? ამის ასახსნელად რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ლგბ(ტქ) ადამიანებს შედარებით ნაკლები საშუალებები აქვთ სოციალური კომუნიკაციისათვის (მაგალითად, ბარები და კლუბები ქალაქის გარემოში). ამან შეიძლება, ლგბ(ტქ) ადამიანების მიერ ალკოჰოლის, ნიკოტინისა და სხვა რეკრეაციული ნარკოტიკების მოხმარების ჩვევა გააჩინოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბევრი ლგბ(ტქ) ადამიანი სოციალიზებას ბარებსა და კლუბებში ახდენს, ეს გარემო კი აქტიურად უწყობს ხელს მავნე ნივთიერებების მოხმარებას. მეორე ახსნაა, რომ ნივთიერებების ბოროტად გამოყენება თვითგადარჩენის სტრატეგიაა, ან ჰეტეროსექსიზმისაგან, ჰომო, ბი და ტრანსფობიისაგან გაქცევის გზა (Hiller et al., 2004). ასევე, არის ეჭვი, რომ როდესაც მკვლევარები „ეძებენ" პრობლემურ ქცევას, კიდეც პოულობენ მას. ბოლო წლების განმავლობაში დიდი ზეწოლა არსებობდა იმისათვის, რომ ემპირიულად დადასტურებულიყო ლგბტ ადამიანებში თვითდესტრუქციული ქცევების არსებობა (რადგან ისინი ლგბტ არიან, და არა იმიტომ, რომ, მაგალითად, ახალგაზრდა, მამრობით სქესისა და უფლება შეზღუდულები არიან). ამის მიზანი „ლგბტ ჯანმრთელობის" ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვა იყო.

ლგბტქ ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევებზე ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია „კულტურულად სათანადო" ჯანმრთელობის მომსახურებისა და მხარდაჭერის შესათავაზებლად. თუმცა, ინდივიდუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევებზე დავიწროებული მიდგომა პოტენციურად „მსხვერპლის დადანაშაულებასა" და ლგბტქ

ადამიანების პათოლოგიზაციას იწვევს. შედეგად ლგბტქ ფსიქოლოგების ნაწილი კრიტიკული ფსიქოლოგიის მიდგომით შეისწავლიან ჯანმრთელობის უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ განზომილებებს. ახალზელანდიელი კრიტიკული ფსიქოლოგის, ჯეფრი ადამსისა და კოლეგების კვლევა, რომელიც გეი მამაკაცების მიერ ალკოჰოლის მოხმარებას შეისწავლის, ასეთი მიდგომის კარგი მაგალითია. ადამსი (2007) კონცენტრირებულია სოციოკულტურულ კონტექსტზე, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ რატომ და როგორ წახალისდებიან გეი მამაკაცები ალკოჰოლის დასალევად და როგორ არის გეი აუდიტორია სასმელის მწარმოებელი კომპანიების სპეციფიკური სამიზნე ჯგუფი რეკლამებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ალკოჰოლის მოხმარება გეი კულტურის სიღრმისეული ნაწილია. ადამსი და კოლეგები ასევე ამბობდნენ, რომ გეი მამაკაცებზე, როგორც სამიზნე ჯგუფზე მიმართული რეკლამები, შესაძლოა, ზოგიერთი გეი მამაკაცის მიერ განცდილი სოციალური გარიყვის თანამონაწილე იყოს. გარდა ამისა, რეკლამას განსაკუთრებული როლი აქვს სხეულის ხატის პრობლემებში გეი მამაკაცებს შორის მამაკაცების სხეულის „იდეალურობის“ სტერეოტიპის რეპრეზენტაციის გამო (მაგალითად, ძლიერი, დაკუნთული).

ინდივიდუალური ქცევის სოციოკულტურული ახსნა პრობლემური ქცევების შემცირების სხვადასხვა გამოსავალს გვთავაზობს. ასე რომ, მაგალითად, ალკოჰოლის შემცირების (ან მოწევისთვის თავის დანებების) პროგრამების ლგბტქ ადამიანებსა და ჯგუფებზე მიმართვის ნაცვლად, ამ ფართო სოციოკულტურულ კონტექსტში ყურადღება გარემოს პრევენციების სტრატეგიებზეა მიმართული. მაგალითად, ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევაში, უალკოჰოლო ლგბტ სათემო ღონისძიებების ორგანიზება, ლგბტქ ორგანიზაციებისა და კერძო ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანიების თანამშრომლობა ალკოჰოლის გავრცელების მიზანშეწონილი გზების მოსაძებნად - ერთ-ერთი პოტენციური სტრატეგიაა ლგბტქ ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის (Gay and Lesbian Medical Association (GLMA),2001).

დიეტა და ფიზიკური აქტივობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის ასევე ცენტრალური ასპექტებია. ცოტა რამაა ცნობილი ლგბტქ ადამიანების დიეტასა და ფიზიკურ აქტივობაზე ჯანმრთელობისათვის მათი მნიშვნელოვნების მიუხედავად. თუმცა, არსებობს გარკვეული მონაცემები, რომლებიც ამბობენ, რომ ლგბტქ ადამიანებს ცუდი კვების, ზედმეტი წონისა და კვებითი აშლილობების მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ასეთი კვლევის მონაცემები გენდერულად დიფერენცირებულია: მარტივად რომ ვთქვათ, ლესბოსელებს აქვთ ზედმეტი წონა, ხოლო გეი მამაკაცებს - არასაკმარისი, და მიდრეკილნი არიან კვებითი აშლილობების მიმართ

(Siever,1994). მაგალითად, ახალზელანდიური კვლევის მიხედვით, რომელიც ლესბოსელების სხეულის მასის ინდექსს შეისწავლიდა, მონაწილეთა 45% საკუთარ „იდეალურ წონაზე“ მეტია ზოგადი მოსახლეობის 36%-თან შედარებით (Saphira and Glover, 2000). არსებობს მოსაზრება, თითქოს ლესბოსელები არ ექვემდებარებიან ფემინურობის კონვენციურ გაგებას და შესაბამისად, საშუალოდ, უფრო მეტი წონა აქვთ, ვიდრე ჰეტეროსექსუალ ქალებს (Brand et al ., 1992). არსებობს სხვა მოსაზრებებიც; მაგალითად, რომ ზოგიერთ ლესბოსელს უფრო დაბალი შემოსავალი აქვს და ამიტომ ვერ ახერხებს ჯანსაღი საკვების მიღებას, ან ისინი, შესაძლოა, დიდი წონის ქონით ფსიქოლოგიურ სარგებელს იღებენ, რადგან დიდი წონა თავს დაცულად აგრძნობინებთ, ეხმარებათ სივრცის ათვისებაში (Wilton, 1997).

ჟენევის გეი მამაკაცთა ჯანმრთელობის კვლევამ აღმოაჩინა, რომ გეი მამაკაცებს (477) მნიშვნელოვნად დაბალი სხეულის მასის ინდექსი ჰქონდათ ზოგად მოსახლეობასთან შედარებით და ისინი მეტ ყურადღებას უთმობდნენ საკვების არჩევას (Wang et al ., 2007). ახალგაზრდა გეი მამაკაცებს კვებითი აშლილობების მეტი რისკი აქვთ, ვიდრე ზრდასრულ გეებს, თუმცა, ამაზე კიდევ ერთხელ გავლენას ახდენს გეი მამაკაცების გეი თემთან მიკუთვნებულობის განცდა (Williamson and Spence, 2001). გეი თემების ესთეტიკაზე, განსაკუთრებით კი სხეულის იდეალებზე კონცენტრირებულობამ, შესაძლოა, კვებითი აშლილობები განაპირობოს. თუმცა, ცხადია, გეი თემები ჰომოგენური (ერთნაირი) არ არის. მაგალითად, ამბობენ, რომ გეი მამაკაცები, რომლებიც იდენტიფიცირდებიან „დათვად“ (და აქვთ უფრო თმიანი სხეული, წვერი, არიან უფრო ჭარბწონიანები), „ამაყობენ დიდი სხეულით, როგორც უფრო მასკულინური ფორმით“ (GLMA, 2001: 245). ამის გამო მათ, შესაძლოა, ჭარბ წონასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორის მოქმედება განიცადონ. ასე რომ, ლესბოსელები და გეი მამაკაცები საკუთარ წონასა და სხეულს/გარეგნობას კულტურულად უნიკალური კუთხით ხედავენ და ისინი, შესაძლოა, უარყოფდნენ ჰეტეროსექსუალურ ნორმებს.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები მრავალი ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბებას იწვევს (მაგალითად, მე-2 ტიპის დიაბეტი და გულის დაავადებები). განსაკუთრებით კი, მოგვიანებით ცხოვრებაში, მაგრამ ფიზიკური დაავადებების ლონგიტიდური კვლევები ლგბტქ ფსიქოლოგიაში საკმაოდ უგულვებელყოფილი საკითხია (იხ. ჩანართი 6.8). დაავადებები, რომლებსაც იკვლევდნენ, უმეტესწილად სექსუალურ ჯანმრთელობასა და ფუნქციონირებას უკავშირდება: სწორ ნაწლავთან დაკავშირებულ დაავადებებს (Lipton, 2004) და პროსტატის კიბოს (Santillo and Lowe, 2005)

გეი მამაკაცებში და საკვერცხისა და მკერდის კიბოს ლესბოსელებში (Fish and Wilkinson,2000).

ქრონიკული დაავადებები, რომლებიც ლგბტქ ადამიანებს მაინცდამაინც სექსუალიზებულ ქმნილებებად არ წარმოაჩენს, განსაკუთრებით ყურადღების მიღმაა დარჩენილი (თუმცა იხ. Axtell, 1999). ეს კი მომდევნო კვლევისათვის მნიშვნელოვანი საკითხია.

ჩანართი 6.8. ადამ იოვეტი და ელიზაბეტ პილი (2009) - ლგბტ ადამიანების გამოცდილებები და ქრონიკული დაავადებები

ბრიტანელმა ლგბტქ ფსიქოლოგებმა, ადამ იოვეტმა და ელიზაბეტ პილმა, კრიტიკული ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის მიდგომაზე დაფუძნებული, უმეტესად თვისებრივი, ელექტრონული გამოკითხვა ჩაატარეს ლგბტქ ადამიანების ქრონიკული დაავადებების გამოცდილების შესახებ. მონაცემები შეგროვდა 364 ლგბტ ადამიანისაგან, რომელთაგანაც 190-მა (52%) თქვა, რომ მათ ქრონიკული დაავადება ჰქონდათ. გამოკითხვა 2008 წელს ჩატარდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. მონაცემებში გამოჩნდა 52 ქრონიკული დაავადება, მათ შორის ყველაზე ხშირი იყო: ართრიტი (20%), მაღალწნევიანობა (20%), დიაბეტი (15%), ასთმა (14 %) და ქრონიკული გადაღლილობის სინდრომი (8%). აივ ინფექცია და სიმსივნე ერთად ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა შორის მერვე ადგილზეა (6%). ფსიქიკური ჯანმრთელობა (ყველაზე ხშირად დეპრესია) მონაწილეთა 10%-ს აწუხებდა. მონაწილეთა კომენტარების ანალიზში გამოიყო ოთხი ძირითადი საკითხი:

- *ლგბტ თემი: განსხვავებული შესაძლებლობების მიმართ არატოლერანტული თუ განსხვავებისადმი მიმღებელი?* მონაწილეების პასუხების მიხედვით, ისინი ლგბტ თემს „აივ ინფექციაზე კონცენტრირებულად“ აღიქვამდნენ. მათი თქმით, სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაუკავშირებელი დაავადებები უგულვებელყოფილია და ეს, ზოგადად, საზოგადოებაში გაბატონებული განსხვავებული უნარ-შესაძლებლობების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების ასახვაა.
- *ლგბტ თემისაგან გარიყულობა და სხვა ქრონიკული დაავადებების მქონე ლგბტ პირებთან დაახლოების სურვილი.* მონაწილეები საუბრობდნენ უამრავ სხვადასხვა გზაზე, თუ როგორ ახდენდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე (მაგალითად, ურთიერთობების დასრულება, პარტნიორის მოძებნის სირთულე) გავლენას დაავადება. პაციენტები, რომლებსაც უფრო მძიმე დაავადება ჰქონდათ, გამოხატავდნენ ლგბტქ ადამიანებისაგან და თემებისაგან იზოლირებულობის განცდას.
- *ჰეტერონორმატიულობა ინფორმაციისა და მხარდაჭერის მოპოვების*

წყაროებში. რამდენიმე მონაწილეს (ძირითადად აშშ-დან) ჰქონდა მათივე დაავადების მქონე ლგბტ ჯგუფებთან შეხვედრების საშუალება. ზოგიერთი მონაწილე ამბობდა, რომ არ განიცდიდა ასეთი ჯგუფების არსებობის საჭიროებას; სხვები ამტკიცებდნენ, რომ დაავადებასთან დაკავშირებული ზოგადი მხარდამჭერი ჯგუფები, უმეტესად, ჰეტეროსექსუალი ადამიანებისაგან შედგება და ასევე პოტენციურად ჰომოფობიური გარემოა. სხვა მონაწილეები მხარდაჭერის სხვა ფორმებს (მაგალითად, წერილობით ინფორმაცია, დაავადებასთან დაკავშირებული საქველმოქმედო ვებ-გვერდები) აღწერდნენ, როგორც ჰეტერონორმატიულს, რადგან ისინი ეყრდნობოდნენ დაშვებას, რომ მომხმარებელი ჰეტეროსექსუალია.

- *ჯანმრთელობის დაცვის სფეროს წარმომადგენლებში არსებული ჰომოფობია/ჰომოფობიის შიში.* ზოგიერთი რესპონდენტი იხსენებდა ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლებისაგან წამოსულ ჰომოფობიურ შემთხვევებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ „ჰომოფობია დღემდე მუდმივად არსებული რეალობაა“ ჯანდაცვის სფეროში. ეს უარყოფითი გამოცდილებები, ძირითადად, ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლების მიერ საკუთარი ანტი-ლგბტ შეხედულებების გამოხატვას უკავშირდებოდა. ზოგიერთი მონაწილე წერდა, რომ ექიმებს არ ანდობდნენ საკუთარ სექსუალურ იდენტობას (და მათი სექსუალობა არ იყო დაკავშირებული ჯანმრთელობის სხვა პრობლემებთან); სხვები ამბობდნენ, რომ თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ ექიმისათვის საკუთარი სექსუალობის გასანდობად, რადგან ეშინოდათ, რომ ეს უარყოფით გავლენას მოახდენდა მათზე.

ავტორების დასკვნის მიხედვით, ლგბტქ ფსიქოლოგებს შეუძლიათ, კრიტიკული ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის პრინციპებსა და ჩარჩოს დაეყრდნონ არაჰეტეროსექსუალთა ქრონიკული დაავადებების გამოცდილებების შესასწავლად. ისინი ასევე ამბობენ, რომ მუდმივად საჭიროა სპეციფიკურად მიზანმიმართული მხარდამჭერი ჯგუფებისა და მომსახურებების არსებობა (ვირტუალურად ან სხვაგვარად), ქრონიკული დაავადებების მქონე ლგბტქ ადამიანებისათვის.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

- საჭიროა ლგბტქ ჯგუფების დაავადებების შესახებ ინფორმაციის ჩართვა საჯარო ჯანმრთელობის სტატისტიკაში, ასევე სექსუალობისა და გენდერული იდენტობის აღრიცხვა რუტინულ დემოგრაფიულ ინფორმაციასა და მოსახლეობის აღწერაში.

- მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული ფსიქოლოგიის კვლევები მხედველობაში იღებდა გენდერს, ძალიან მცირე კვლევები არსებობს არაჰეტერო-სექსუალობასა და ტრანსგენდერობაზე;
- საჭიროა ტრანს და ბისექსუალთა ჯანმრთელობის და დაავადებების კვლევა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში საჭიროა გბქ მამაკაცებისა და კულტურულად და რასობრივად მარგინალიზებული ლბგტქ ადამიანების გათვალისწინება;
- საჭიროა ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ლგბტქ ადამიანების გამოცდილებებზე ყურადღების გამახვილება;
- სასურველია, ვნახოთ, რამდენად შეესაბამება „მეინსტრიმ“ ფსიქოლოგიის მოდელები (დაგეგმილი მოქმედების თეორია) ლგბტქ ადამიანებსა და მათ ჯანმრთელობას.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- ლგბტქ ჯანმრთელობის კვლევა ისტორიულ კონტექსტში მოვათავსეთ;
- გამოვყავით ჯანმრთელობის კვლევის ძირითადი პერსპექტივები და ხაზი გავუსვით ჯანმრთელობის უთანასწორობის მიზეზებს ჰეტერო-სექსუალებსა და ლგბტქ ადამიანებს შორის;
- მიმოვიხილეთ ლგბტ(ქ) სექსუალური ჯანმრთელობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მთავარი საკითხები ლგბტქ ადამიანებისათვის;
- განვიხილეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა და ცხოვრების სტილის არჩევანი, ასევე ვისაუბრეთ ქრონიკულ დაავადებებზე.

კითხვები განხილვისათვის და საკლასო სავარჯიშოები

1) წარმოიდგინეთ, რომ ჯანმრთელობის ფსიქოლოგი ხართ და ლგბტქ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნაზე მუშაობთ. შეიმუშავეთ ჯანმრთელობის მხარდამჭერი პლაკატი, რომელის სამიზნე ჯგუფიც არაჰეტერო-სექსუალი და ტრანსგენდერია. რა იქნებოდა თქვენი მთავარი გზავნილი? რას დახატავდით თქვენს პლაკატზე? სად მოათავსებდით მას სამიზნე აუდიტორიის მისაწვდომად?

2) განიხილეთ ლგბტქ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ბიოფსიქო-სოციალური და კრიტიკული ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის მიდგომების უპირატესობები და ნაკლოვანებები. რომელი გირჩევნიათ? რატომ?

3) იპოვეთ თანამედროვე ჟურნალი და მოიძიეთ ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის კვლევა. შემდეგ უპასუხეთ შეკითხვებს: არის თუ არა მონაწილეთა სექსუალობა მხედველობაში მიღებული? რატომ? ან რატომ არ არის?

განიხილება თუ არა გენდერი „ქალი“ და „მამაკაცი“ დიქოტომიის მიღმა? შეგიძლიათ თუ არა, იფიქროთ გზაზე, თუ როგორ მოახდენდა ჯანმრთელობის ეს კონკრეტული საკითხი გავლენას ლგბტქ ადამიანებზე?

4) განიხილეთ განაცხადი: „არ არსებობს ლგბტქ დაავადება“. რა კრიტერიუმები შეიძლება გამოიყენო, რათა გადაწყვიტო, რომ რაღაც დაავადება ლგბტქ დაავადებაა ან არ არის? რა კრიტერიუმებს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ? რა თეორიული და პრაქტიკული შედეგი მოჰყვება ჯანმრთელობის კონკრეტული სფეროს ან კონკრეტული დაავადებისთვის ლგბტქ იარლიყის მინიჭებას? ან ამისათვის თავის არიდებას?

ნაწილი მესამე

ლგბტ ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილება

თავი 7

ახალგაზრდები, გამჟღავნება (ქამინგ აუთი) და იდენტობის ჩამოყალიბება

თავის მიმოხილვა

- ახალგაზრდები, სექსუალობა და გენდერული იდენტობა
- ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბების მოდელები
- სექსუალური ცვალებადობა
- ოჯახთან და მეგობრებთან გამჟღავნება
- ლგბტქ ახალგაზრდები სკოლაში
- იდენტობის კვლევა და თემის პოვნა

ახალგაზრდები, სექსუალობა და გენდერული იდენტობა

ლგბტქ იდენტობის გამოვლენა შეიძლება მოხდეს ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. თუმცა, კვლევათა უმეტესობა ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს. აქედან გამომდინარე, ეს თავი უმეტესწილად ახალგაზრდებში ლგბტქ იდენტობის გამოვლენას დაეთმობა.

სექსუალობასა (მაგ. Savin-Williams, 2005) და გენდერულ იდენტობასთან (მაგ. Grossman et al., 2006) დაკავშირებული იდენტობის ჩამოყა-

ლიბების შესახებ არსებულ შრომათა დიდი ნაწილი გვთავაზობს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლგბტქ ახალგაზრდების ამოცნობა ადრეული ასაკიდანვეა შესაძლებელი ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა „განსხვავებულობის“ ბავშვობისეული აღქმა და გენდერულად ატიპური ქცევა, გარეგნობა ან ინტერესები. მეტიც, ბავშვებში გენდერული იდენტობის მოშლა/დარღვევა ზრდასრულ ადამიანებში უფრო მეტად ჰომოსექსუალობასთან ასოცირდება, ვიდრე ტრანსგენდერობასთან (deVries et al., 2007). რეალობა კი ისაა, რომ ლგბტქ ადამიანები იმდენადვე განსხვავდებიან თავიანთი წარსული კავშირებითა და გამოცდილებით, რამდენადაც ყველა ადამიანი. ხშირად ჩანაწერები „ბავშვობის განსხვავებისა“ და „გენდერული ატიპურობის” შესახებ, კვლევის დროს დასმული კითხვებისა და სოციალური მოთხოვნის შედეგს წარმოადგენს. ისინი მოითხოვენ, მონაწილემ თანმიმდევრულად ააშენოს სექსუალური და გენდერული იდენტობები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვინაიდან ლესბოსელებს აქვთ ქალების მიმართ სექსუალური ლტოლვა, ხოლო გეებს - მამაკაცების მიმართ, იგულისხმება, რომ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ ან ჰქონოდათ საპირისპირო სქესის ადამიანებთან სექსუალური გამოცდილება ან მათ მიმართ გრძნობა. ასევე, ვინაიდან სქესი თანდაყოლილად მიიჩნევა, იგულისხმება, რომ ტრანსგენდერი ადამიანები თავს ადრეული ასაკიდანვე უნდა აღიქვამდნენ თავიანთ სქესისთვის შეუსაბამოდ. ამიტომაც, ადამიანებისთვის დამახასიათებელია თავიანთი სექსუალობის და გენდერული იდენ-ტობის იმგვარად წარმოჩენა, რომ იმ ინფორმაციის შესატყვისნი გახდნენ, რომელიც იდენტობის შესახებ არსებულ ზოგად წარმოდგენას შეესაბამება, და იმის დამალვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ამ ზოგად წარმოდგენასთან. ამის მაგალითია ისეთი ფრაზები, როგორიცაა „ყოველთვის ლესბოსელი ვიყავი“, „დაბადებიდან გეი ვარ“ ან „ყოველთვის ვგრძნობდი თავს, როგორც მამაკაცის სხეულში გამომწყვდეული ქალი“ (ან პირიქით).

ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ შექმნილ ფსიქოლოგიურ თეორიასა და კვლევას თითქმის ყოველთვის აქვს წამძღვარებული ის მოსაზრება, რომ ახალგაზრდები, რომლებსაც არ მოუხდენიათ საკუთარი სექსუალური იდენტობის გასაჯაროება (ქამინგ აუთი) ან თავს იკავებენ ამისგან, წინააღმდეგობაში მოდიან თავიანთ სექსუალობასა თუ გენდერულ იდენტობასთან ან, სურვილის მიუხედავად, არ ძალუძთ თვითგამჟღავნება (ქამინგ აუთი). თუმცა, როგორც Ritch Savin-Williams (2005) აღნიშნავს, განსხვავებული სექსუალობის ხილვადობის ზრდასთან ერთად, ახალგაზრდებს, რომლებსაც თავიანთი სქესის მიმართ ლტოლვა გააჩნიათ, ნაკლებად აქვთ სურვილი, მიიკერონ იარლიყები თავიანთ სექსუალობასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს

უამრავი მიზეზი, რის გამოც ახალგაზრდები არ იყენებენ ან გაურბიან „ლესბოსელის“ და „გეის“ იარლიყების გამოყენებას (მაგ. მათ არ მოუხდენიათ თვითგამჟღავნება (ქამინგ აუთი); მათ მიაჩნიათ, რომ იარლიყი მათ არ ერგება; ისინი არ ჩაბმულან ერთსქესიან სექსუალურ კავშირებში), ბევრი ახალგაზრდა დღეს უარს ამბობს იარლიყებზე, „უგულვებელყოფენ რა ისეთი სოციალური იდენტობის იარლიყებს, რომელიც პირველ ადგილზე სექსუალობას აყენებს მათ პიროვნულ იდენტობაში“ (Cohler and Hammack, 2007: 48). იმ ახალგაზრდების პარალელურად, რომლებიც თავიანთ თავს ლგბტქ ადამიანებად მიიჩნევენ, არსებობენ სხვა ახალგაზრდები, რომლებიც ვერ ახდენენ საკუთარი თავის ლგბტქ ადამიანებად იდენტიფიცირებას, მაგრამ გააჩნიათ საკუთარი სქესის წარმომადგენელთა მიმართ ლტოლვა და/ან ერთსქესიანი სექსუალური კავშირები. ზოგიერთმა შესაძლოა მოგვიანებით მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება ლგბტქ ადამიანად, მაშინ როცა მან, ვინც ამჟამად თავს ლგბტქ ადამიანად მიიჩნევს, მოგვიანებით შეიძლება (ჩა)მოიშოროს ეს იარლიყი. სხვები შეიძლება ჩაბმულნი იყვნენ რიგ სექსუალურ ურთიერთობებში, მათ შორის ერთსქესიან კავშირებშიც და მიუხედავად ამისა, თავს ჰეტეროსექსუალად მიიჩნევდნენ. ასევე, მარგინალიზებული რასობრივი და კულტურული ჯგუფების ადამიანთა შესახებ შრომები გვთავაზობენ მოსაზრებას, რომ ამ ჯგუფის ახალგაზრდები მიდრეკილნი არიან, წინააღმდეგობა გაუწიონ სექსუალური იდენტობის მაჩვენებელ იარლიყებს, აღიქვამენ რა ამას პროდასავლურ მოსაზრებად, რომელიც მათ არ ეხება (მაგ. იხ. ჩანი, 1996 (Chan, 1996)). ამიტომაც, სექსუალობა და გენდერული იდენტობა ხშირად სუსტი კრიტერიუმია ტრანსგენდერების და საკუთარი სქესის ადამიანების მიმართ ლტოლვის მქონე ახალგაზრდების გამოცდილებისა თუ იმ საკითხების საკვლევად, რაც მათ ცხოვრებასა და განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს. განსხვავებულობის ეს საფეხური გვთავაზობს მოსაზრებას, რომ თვითგამჟღავნება-არგამჟღავნების „არჩევანი“ საკმაოდ რთულია. იგი, ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყველა ლგბტქ ახალგაზრდისათვის თვითგამჟღავნების (ქამინგ აუთის) მნიშვნელობას.

ამ საკითხთან კავშირშია ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდა დღესდღეობით თავის სექსუალობას ცვალებადად აღიქვამს, მაშინ, როცა ზოგ ახალგაზრდას მკაფიო წარმოდგენაც არ აქვს თავისი სექსუალური „მეს“ შესახებ, მაგრამ ეძიებს მას, და შესაძლოა ეძიებს განსხვავებულ იდენტობასა და გამოცდილებასაც. ადამიანისთვის საკუთარი სქესისადმი ლტოლვა და ერთსქესიანი ურთიერთობები არ გულისხმობს რაიმე მუდმივ წარმოდგენას საკუთარი სექსუალობის შესახებ (Savin-Williams, 2005). ეს ახალგაზრდები ლტოლვას აღიქვამენ, როგორც სექსუალობისა და გენდერული იდენტობის

იარლიყებს მიღმა მდგომ ცვალებადობას და შესაბამისად, სქესის/გენდერის განურჩევლად ირჩევენ თავიანთ სექსუალურ პარტნიორებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა თავს ლგბ ადამიანად აღიქვამს, ბევრი სხვა ახალგაზრდა საკუთარი სქესისადმი ლტოლვას, სურვილებსა და ქცევას მოიაზრებს, როგორც „სექსუალურ თავისუფლებას“ ან „სექსუალურ არჩევანს“ - სხვა მხრივ, პირობითი ჰეტეროსექსუალობის ერთგვარ „დამატებად“ (Diamond,2005). ზოგიერთ ახალგაზრდას სექსუალურმა ცვალებადობამ შესაძლოა გაუადვილოს საკუთარ იდენტობაში გარკვევა; სხვებისათვის კი ეს წარმოადგენს ლგბ იდენტობაში გარკვევისკენ მიმავალ რთულ (ან დამაბნეველ) გზას.

არსებულ ფსიქოლოგიურ კვლევათა დიდი ნაწილის კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ იგი ერთმანეთს ადარებს ლგბ ახალგაზრდებსა და ჰეტეროსექსუალებს, თითქოს ისინი მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილს წარმოადგენდნენ. თუმცა, ლგბ ახალგაზრდების სექსუალური გამოცდილება აშკარად მსგავსია მათი თანატოლი ჰეტეროსექსუალების გამოცდილებისა, როგორიცაა განსხვავებული სექსუალური კავშირები საკუთარი და საპირისპირო სქესის ადამიანებთან. ლგბ ახალგაზრდების ერთგვაროვან/ჰომოგენურ ჯგუფად დახასიათება, ხელს უშლის განსხვავებულობის წარმოჩენასა და ადამიანებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების ამოცნობას ისეთ ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორიცაა გენდერი, კლასი და კულტურა (Savin-Williams,2001).

გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება კიდევ უფრო რთული აღმოჩნდეს ახალგაზრდა ტრანსგენდერებისათვის. ზოგიერთ ახალგაზრდა ტრანსგენდერს, შესაძლოა, თავისი გენდერი სრულიად რიგიდულად/მტკიცედ ან უცვლელად მიაჩნდეს (სრულიად განსხვავებით დაბადების სქესისგან), სხვები შეიძლება თავიანთ გენდერს ცვალებადად ხედავდნენ. გენდერული ცვალებადობა ზოგჯერ სცდება ქცევის საზღვრებსა და ინტერესებს. იგი ინდივიდს მრავალფეროვანი, ზოგჯერ საპირისპირო, გენდერული იდენტობების მოსინჯვისკენ უბიძგებს. მაგალითად, ზოგიერთი ახალგაზრდა საკუთარ თავზე საუბრისას ამბობს, რომ ერთ დღეს თავს გრძნობს „გოგოდ“ და მეორე დღეს - „ბიჭად“, და რომ ვერც ერთი ტერმინი ვერ აღწერს მის იდენტობას ზუსტად. თუმცა, იმ საზოგადოებაში, რომელიც მკაცრად მხოლოდ და მხოლოდ ორი სქესობრივი/გენდერული კატეგორიის ირგვლივაა სტრუქტურირებული (ანუ, მამაკაცი/ქალი და მამრობითი/მდედრობითი) და სადაც იშვიათად გვხვდება გენდერული მრავალფეროვნება, ახალგაზრდებს მცირე შესაძლებლობები გააჩნიათ, ჩაერთონ გენდერული იდენტობის კვლევაში. გენდერული ცვალებადობის რეალური გამოცდილება სადავოს ხდის სქესზე არსებული წარმოდგენის

დუალისტურ მეთოდს და სწორედ ეს არის ის, რაც ფსიქოლოგიურ კვლევებში დღემდე ფართოდ შეუსწავლელი რჩება.

ერთი რამ ნათელია - 1980-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა სოციალურ-პოლიტიკური ფონი, მაგრამ კვლევა ჯერ კიდევ ადეკვატურად ვერ ასახავს იმ ზეგავლენას, რაც ამ ცვლილებებმა იქონია თანამედროვე ლგბტქ ახალგაზრდების იდენტობის ჩამოყალიბებასა და სექსუალურ გამოცდილებაზე. იმის გამო, რომ ლგბტქ ახალგაზრდებთან დაკავშირებული კვლევა არაკვალიფიციურად ტარდებოდა, აღნიშნული სფერო შეზღუდული მაგალითებით, ხშირად კი კვლევის სიმწირით შემოიფარგლებოდა, რის შედეგადაც მივიღეთ ლგბტქ ახალგაზრდების იდენტობის ჩამოყალიბებისა და გამოცდილების ამსახველი, რამდენადმე ფრაგმენტული და არასრული სურათი. უფრო მეტიც, ლგბტქ ახალგაზრდებთან დაკავშირებული კვლევა უმეტესწილად ფოკუსირებული იყო ლგბტქ იდენტობის უარყოფით/ნეგატიურ ასპექტებზე. ეს ნაწილობრივ შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ მკვლევარებს დადებითი სოციალური ცვლილების მოხდენა სურდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ცოტა რამაა ცნობილი ლგბტქ ახალგაზრდების ძლიერი მხარეებისა და მედეგობის შესახებ, შედეგად მივიღეთ ამ სფეროს გაღარიბება (Savin-Williams,2001). ლგბტქ ახალგაზრდების მოქმედი რეალობა და გამოცდილება საფუძვლიანად განსხვავდება იმისგან, რაც ათი წლის წინ იყო; ასევე, არსებობს მნიშვნელოვანი კროსნაციონალური და კროსკულტურული განსხვავებები. ლგბტქ ახალგაზრდების შესახებ არსებული კვლევების უმეტესი ნაწილი საკმაოდ მოძველებულია და ვერ ასახავს ჩვენს მიერ აღწერილ სექსუალურ და გენდერულ მრავალფეროვნებას. უფრო მეტიც, ის უკიდურესად მიკერძოებულია, დანახულია რა თეთრკანიანი დასავლური პერსპექტივიდან, და სექსუალობას გენდერულ იდენტობაზე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამ თავში შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, დაგვეხატა უკანასკნელი კვლევების სურათი, თუმცა, წინამდებარე თეორიებისა და კვლევების გაცნობისას, გირჩევთ არ დაივიწყოთ, რომ აქ მოტანილ ნიმუშებს თავისი შეზღუდვები აქვს და ამასთან ერთად არსებობს სხვა მეთოდოლოგიური პრობლემებიც, რამაც, შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს კვლევის შედეგებზე.

ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბების მოდელები

ლგბტქ იდენტობის გამჟღავნება-გასაჯაროება, რაც ზოგჯერ მოიხსენებაა, როგორც „coming out to self“ - ქამინგ აუთი საკუთარ თავთან, ფსიქოლოგების მიერ ტიპურად კონსტრუირებულია, როგორც პროცესი, რომელიც ადამიანმა უნდა გაიაროს საკუთარი სექსუალური/გენდერული იდენტობის

განსასაზღვრად. სხვა ევოლუციური ფსიქოლოგიური პროცესების მსგავსად, რომლებიც ესენციალისტურ მიდგომას იყენებენ (იხ. თავი 2), მისი (ლგბტქ იდენტობის გამჟღავნების) თეორიზებაც მოხდა საფეხურებრივი მოდელების შექმნის შედეგად. 1979 წლიდან მოყოლებული, 1980-ანი წლების შუა ხანებამდე „ჰომოსექსუალური“ იდენტობის ჩამოყალიბების რამდენიმე საფეხურებრივი მოდელი გამოიცა (მაგ. Cass,1979; Coleman,1982; Troiden,1979). პირველად ვივიენ კასის (Vivienne Cass's (1979)) ყველაზე ხშირად გამოყენებული 6-საფეხურიანი მოდელი გამოქვეყნდა „ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს იმ ნიმუშს/არქეტიპს, რომელსაც მსგავს მოდელთა უმეტესობა ეფუძნება. ავსტრალიელმა ფსიქოლოგმა კასმა ხსენებული მოდელი ლესბოსელებთან და გეი მამაკაცებთან რამდენიმეწლიანი კლინიკური მუშაობის შედეგად შეიმუშავა (იხ. ჩანართი 7.1).

ჩანართი 7.1. ძირითადი ფაქტები: ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების ვივიან კასისეული მოდელი (1979)

საფეხური 1. იდენტობის გაურკვევლობა - ადამიანი მთელი შეგნებით აცნობიერებს, რომ ჰომოსექსუალობა რელევანტურია მასთან და/ან მის ქცევასთან.

საფეხური 2. იდენტობის შედარება - საკუთარი თავის ჰომოსექსუალად აღქმასა და სხვათა მიერ საკუთარი ჰომოსექსუალობის აღქმას შორის არსებული შეუსაბამობა იწვევს თანატოლთა მიმართ გაუცხოებასა და მათგან გარიყულობისა ან განსხვავებულობის განცდას.

საფეხური 3. იდენტობასთან შეჩვევა - საკუთარი თავით, როგორც ჰომოსექსუალით, დაინტერესების ზრდასა და სოციალური, ემოციური და სექსუალური საჭიროებების გაცნობიერებას შედეგად მოაქვს გაძლიერებული გაუცხოება ჰეტეროსექსუალური სამყაროს მიმართ და სხვა ჰომოსექსუალთა და ჰომოსექსუალური სუბკულტურის აქტიური ძიება.

საფეხური 4. იდენტობის აღიარება - სხვა ჰომოსექსუალებთან ურთიერთობა იძენს უფრო ხშირ და რეგულარულ ხასიათს. საფუძველი ეყრება ჰომოსექსუალური სოციალური გარემოს პრიორიტეტულობასა და მათ შორის მეგობრობის ჩამოყალიბებას.

საფეხური 5. იდენტობის კულმინაცია (სიამაყე) - გეი ჯგუფით ინტენსიური დაინტერესება წარმოშობს ჯგუფური იდენტობის

განცდას. ჰეტეროსექსუალურ იდენტობასთან შედარებით, პრიორიტეტული ხდება ჰომოსექსუალური იდენტობა.

საფეხური 6. იდენტობის სინთეზი - ხდება ჰომოსექსუალური იდენტობის შეთავსება/ინტეგრირება პირადი მეს სხვა მხარეებთან/ასპექტებთან და ის აღიქმება არა მხოლოდ როგორც იდენტობა, არამედ როგორც „მეს“ ერთ-ერთი ასპექტი.

1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის არსებობდა რამდენიმე მოდელი, რომელიც აღწერდა ადამიანის მიერ საკუთარი თავის ლესბოსელად ან ჰომოსექსუალ მამაკაცად იდენტიფიკაციის პროცესს. ყველა მათგანისათვის არსებობს ოთხი ძირითადი ელემენტი: (1) ჰომოსექსუალურ გრძნობათა გაცნობიერება; (2) ჰომოსექსუალობის აღმოჩენა; (3) ლესბოსური/გეი თვითიდენტობის არჩევა; და (4) საკუთარი ლესბოსური/გეი იდენტობის ინტეგრირება საკუთარი თავის უფრო ფართო აღქმასთან. თითოეული მოდელი ემყარება იმას, რასაც კოლერი და ჰამაკი (Cohler და Hammack (2007)) „ბრძოლისა და წარმატების ისტორიას“ უწოდებენ, ანუ, ლესბოსელად ან გეიდ იდენტიფიკაცია კონსტრუირებულია ნორმატიულად, მაგრამ გადაჯაჭვულია სტიგმის მართვის პრობლემასთან, რათა ადამიანს გაუჩინოს საკუთარი სექსუალობის უსაფრთხო და პოზიტიური განცდა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სექსუალობა ტიპურად გააზრებულია/კონცეპტუალიზებულია, როგორც მარტივი ჰეტეროსექსუალური/ჰომოსექსუალური ბინარულობა, ეს მოდელები სერიოზულ ყურადღებას არ უთმობენ ბისექსუალობას; იმის გამო, რომ ისინი (მოდელები) ფოკუსირებული არიან მხოლოდ სექსუალობაზე, უგულვებელყოფენ რა სქესისა და სექსუალობის თანხვედრას/შეხების წერტილს. ტრანსგენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე საუბარიც არაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰეტეროსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების პარალელური მოდელი დღემდე არ არსებობს.

1990-იან წლებში ფსიქოლოგთა დღის წესრიგში დადგა ბისექსუალობა. ლესბოსურ და გეი ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული მოდელების მსგავსად, ბისექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ არსებული ადრეული შრომები, ასევე, იყენებდნენ პროცესზე დამყარებული საფეხურებრივი მოდელის მიდგომას. ყველაზე ფართოდ გამოყენებული მოდელი შექმნეს ამერიკელმა სოციოლოგმა მარტინ უაინბერგმა და მისმა კოლეგებმა (1994) (იხ. ჩანართი 7.2). მაშინ, როცა ლესბოსელად ან გეიდ იდენტიფიკაციას ახასიათებდა საკუთარ თავთან მიმართებაში იარლიყის „ჰეტეროსექსუალი“ უარყოფა, ბისექსუალობა უარყოფდა ორივეს, - როგორც „ჰეტეროსექსუ-

ალს“, ასევე კატეგორიებს „ლესბოსელი/გეი“. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ ბისექსუალად იდენტიფიკაციას თან ხლებოდა ლესბოსელად ან გეიდ იდენტიფიკაციის მსგავსი, მაგრამ განსხვავებული პრობლემები. იდენტობის ჩამოყალიბების ამ მოდელსა და ლესბოსურ და გეი იდენტობის ჩამოყალიბების მოდელს შორის მთავარი განსხვავება მოდელის ბოლო საფეხურში მდგომარეობს. უაინბერგის მოსაზრებით, ნაცვლად იმისა, რომ მიღწეულ იქნას საკუთარი თავის, როგორც ბისექსუალის, მყარი აღქმა (რაც ჩვეულია ლესბოსურ და გეი იდენტობის ჩამოყალიბების მოდელისთვის), ბისექსუალად იდენტიფიკაციას ახასიათებს გამუდმებული ორჭოფობა საკუთარი სექსუალობის მიმართ. კანადელი ფსიქოლოგის მარია გურევიჩისა და მისი კოლეგების ნაშრომი (2007) კიდევ უფრო ამყარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ ამასთანავე ამ „ორჭოფობას“ განმარტავს, როგორც იარლიყის („ბისექსუალობა“) მიმართ წინააღმდეგობასა და შესაფერისი ალტერნატივის მოძიების სურვილს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ტრანსგენდერული იდენტობის ჩამოყალიბება უგულვებელყოფილია, რადგანაც აქ ყურადღება გამახვილებულია ტრანსსექსუალიზმის „მიზეზებსა“ და მკურნალობაზე და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე (GID) და არა ტრანსგენდერი ადამიანების არსებულ გამოცდილებასა და ტრანსგენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე. თუმცა, ბრიტანელმა კლინიკურმა ფსიქოლოგებმა კლერ კლიფორდმა და ჯიმ ორფორდმა შექმნეს გარკვეული შრომები (2007), რომლებიც ეთმობა ტრანსგენდერული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესების შესწავლას. კლიფორდმა და ორფორდმა, დიდი ბრიტანეთის მასშტაბით, თავი მოუყარეს 28 ტრანსგენდერი ქალისა და მამაკაცის მონაცემებს (19 მქ (MTF) და 9 – ქმ (FTM)), რომლებიც ტრანსგენდერული და ლგბტქ ქსელიდან შეარჩიეს. კლიფორდისა და ორფორდის კვლევაში, 8 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუში და დეტალურად აღწერა ტრანსგენდერად იდენტიფიკაციის პირადი გამოცდილება. ამ ინტერვიუებზე დაყრდნობით შემუშავდა წინასწარი მოდელი. 12 ტრანსგენდერი ადამიანისგან შემდგარ სხვა ჯგუფს შესთავაზეს მოდელის დიაგრამისებრი გამოსახულება, აღწერილობა და საგულისხმო კითხვების ჩამონათვალი, მათი უკუკავშირი კი მოდელის დასახვეწად გამოიყენეს (ზოგიერთი კატეგორია ამოვარდა, სხვები კი ორ ან მეტ კატეგორიად დაიყო).

ჩანართი 7.2 . მარტინ უაინბერგისა და მისი კოლეგების (1994) მოდელი ბისექსუალური იდენტობის განვითარების შესახებ

საფეხური 1. ძირითადი გაურკვევლობა - სექსუალურ

იდენტობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, ორჭოფობა ან ბრძოლა. გააჩნია ძლიერი გრძნობა ორივე სქესის მიმართ, მაგრამ არ შესწევს ამ გრძნობების დახარისხების/კატეგორიზების უნარი.

საფეხური 2. იარლიყის პოვნა და მორგება - იარლიყის „ბისექსუალი“ აღმოჩენა. პირველი სექსუალური გამოცდილებები ერწყმის იმის აღქმას, რომ სექსი ორივე სქესთან სასიამოვნოა.

საფეხური 3. იდენტობის განმტკიცება (settling) - თვითკატეგორიზება და ადეკვატური თვითშეფასება.

საფეხური 4. გამუდმებული გაურკვევლობა - ეჭვისა და გაურკვევლობის ცვალებადი პერიოდები. ადგილი აქვს დაბალანსებული სექსუალური სურვილებისა და ქცევის არარსებობას (ანუ, ერთ სქესთან უფრო მეტად, ვიდრე მეორესთან), რაც იწვევს ადამიანის დაეჭვებას საკუთარ ბისექსუალობაში.

დასასრულს, განახლებული მოდელის განსახილველად მოიწვიეს 8 მონაწილისაგან შემდგარი ჯგუფი. მოდელი შედგება სამი ძირითადი საფეხურისგან, როგორც ეს მოცემულია ჩანართში 7.3.-ში.

მიუხედავად პოპულარობისა, სექსუალობის ჩამოყალიბების საფეხურებრივ მოდელებს ძალიან მძიმე კრიტიკა შეხვდა. იდენტობის ჩამოყალიბებისა და იდენტობის გამჟღავნებასთან ერთად (ტრანსების შემთხვევაში, სქესის ფიზიოლოგიურ ცვლილებასთან ერთად), საფეხურებრივი თეორიის მიდგომის კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ იგი სექსუალობას თანდაყოლილად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ თვითანალიზით ადამიანებს თავიანთი „ჭეშმარიტი“ იდენტობის აღმოჩენა შეუძლიათ. მოკლედ რომ ვთქვათ, ლგბ ადამიანად იდენტიფიკაცია მოიაზრება, როგორც საკუთარი თავის შეცნობისაკენ მიმავალი გზა, რომლის გავლის შემდეგაც ადამიანები კარგავენ თავიანთ „ცრუ“ ჰეტეროსექსუალურ იდენტობას და ახდენენ ნამდვილ ლგბ იდენტიფიკაციას. პირიქით, რომ არსებულიყო ტრანსგენდერთა იდენტობის განვითარების საფეხურებრივი მოდელები, რომლებიც დამყარებულნი იქნებოდნენ ისეთ მოსაზრებაზე, როგორსაც ემყარება ლესბოსური/გეი იდენტობის ჩამოყალიბების საფეხურებრივი მოდელები, ტრანზიტულობა მიჩნეული იქნებოდა იმ გზად, რომლის მეშვეობითაც ადამიანი უკუაგდებდა თავის ცრუ იდენტობას, როგორც „მამრი“ (თუ იგი დაიბადა მამაკაცად), ან „მდედრი“ (თუ იგი დაიბადა ქალად), და აღმოაჩენდა ჭეშმარიტ იდენტობას, როგორც „გენდერულ ვარიანტს“ ან თანდაყოლილი სქესისგან

განსხვავებულს. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ სექსუალობა და გენდერული იდენტობა არის მყარი და გამორიცხავს (პოტენციურ) ცვალებადობას ამ იდენტობებში.

ჩანართი 7.3. კლერ კლიფორდისა და ჯიმ ორფორდის (2007) მოდელი ტრანსგენდერული იდენტობის განვითარების შესახებ

საფეხური 1. განსხვავებულად ყოფნის გაცნობიერება - გენდერული გაურკვევლობის შინაგანი გრძნობების მართვა. სრული შეცნობა იმისა, რომ შინაგანი (ფსიქოლოგიური) სქესი განსხვავებულია ფიზიკური სხეულისგან.

საფეხური 2. პროცესის დაწყება - გენდერული გაურკვევლობისა და სხვებთან გამჟღავნების გრძნობებისათვის ხორცშესხმა და პროფესიულ დახმარებასა და მკურნალობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე (პოტენციური) ზრუნვა.

საფეხური 3. ახალ ცხოვრებასთან შეგუება - გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან და ცხოვრების სტილის სხვა თანმდევ ცვლილებებთან ფსიქოლოგიური შეგუება.

ამასთან, სოციალური გარემო მოიაზრება, როგორც სცენის უკანა პლანი/დეკორაცია, რომლის ფონზეც ადამიანის თვითაღქმა ყალიბდება. შესაბამისად, მოდელები ნათლად ვერ ასახავს სოციალური გარემოსა (მაგ. ოჯახი, თანატოლები, თემი) და ისტორიული პროცესების (მაგ. ქალთა და გეების განმათავისუფლებელი მოძრაობა; შიდსის/HIV კრიზისი) როლს იდენტობის ჩამოყალიბების ხელშეწყობასა თუ დაბრკოლებაში (როგორც თავად საფეხურებრივი თეორიის მიმდევრები აღიარებენ, მაგ. კასი, 2005). მიმდევართა შორის იდენტობის ჩამოყალიბების პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს სოციალურ-ისტორიული ფაქტორებით. მაგ. 1940-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები გეი მამაკაცების გამოცდილება (მაშინ, როცა სოციალურ-პოლიტიკური დამოკიდებულება იყო ძალზე კონსერვატიული და გეი სექსი იყო არალეგალური), საგრძნობლად განსხვავებული იქნება დღევანდელი გეი მამაკაცების გამოცდილებისაგან, რადგან სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი გაცილებით უფრო მეტად ლიბერალურია და ლგბტქ ადამიანებს გააჩნიათ თვითგამოხატვის მეტი თავისუფლება. შესაბამისად, არადასავლურ (სოციალურ-ცენტრისტულ) საზოგადოებაში მცხოვრებ ახალგაზრდა ადამიანს შესაძლოა გააჩნდეს ტრანსგენდერად იდენტიფიკაციის განსხვა-

ვებული გამოცდილება, ვიდრე იმ ახალგაზრდას, რომელიც (ინდივიდუალისტურ) დასავლურ საზოგადოებაში ცხოვრობს.

კიდევ ერთი, რის გამოც ამ მოდელებს აკრიტიკებენ, მათი რიგიდულობაა. ამ შემთხვევაში, მათი მიხედვით ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბება არის სწორხაზოვანი, თანამიმდევრული და ცალმხრივი პროცესი. მართალია, მოდელების მომხრეები ამბობენ, რომ სხვადასხვა ადამიანი შეიძლება სხვადასხვა ხარისხით იცავდეს ამ საფეხურების თანმიმდევრობას, მაგრამ თავად მოდელის სტრუქტურა გულისხმობს, რომ ადამიანები ამ საფეხურებს მოცემული თანმიმდევრობით გადიან. მიიჩნევა, რომ მას, ვისაც ყველა ეტაპი არ გაუვლია, ჯერ არ დაუსრულებია ჩამოყალიბების პროცესი. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს ბევრი ადამიანი, ვის მიერაც სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ განვლილი გზა არ ჯდება ამ მყარ/რიგიდულ ჩარჩოში. მაგალითად, ქალებთან ხანგრძლივმა მუშაობამ წარმოშვა აზრი, რომ განსხვავებული სექსუალური იდენტობის ხელახლა გააზრება და ხელახალი აღმოჩენა (ან რეკონსტრუქცია - გააჩნია, თუ რომელ თეორიულ მიდგომაზეა საუბარი), არაერთი ქალის ცვალებადი სექსუალური ლტოლვის, პრაქტიკისა და ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია (Diamond, 2006). შესაბამისად, საფეხურებრივი მოდელის მიდგომა მოკლებულია იმ აზრს, რომ შესაძლებელია ცვალებადობა სხვადასხვა იდენტობებში და საფეხურებში, სადაც სექსუალობისა და გენდერული იდენტობის არასტაბილურობა იმდენად ნორმატიულია, რამდენადაც მათი სტაბილურობა (Griffin,2000). ეს ჩარჩო ასევე აღიარებს იდენტობის ლიბერალურ ინტეგრირებას ადამიანის პიროვნების ერთიან ცნებაში და ამიტომაც არაკეთილგანწყობით უყურებს სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ალტერნატიულ კონსტრუქციებს, რომლებიც სექსუალობის პირველობას ამტკიცებენ (მაგ. სადაც სექსუალობა/გენდერული იდენტობა პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებლად ითვლება; იხ. Kitzinger,1987). ანალოგიურად, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მარგინალიზებულ რასობრივ და კულტურულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, სადაც სექსუალობა/გენდერული იდენტობა გამოყოფილია ადამიანის პიროვნების ერთიანი ცნებისგან, სექსუალური იდენტობა შეიძლება კონსტრუირებულ იქნას იდენტობის სხვა ასპექტებისგან განცალკევებულად (იხ. ქვემოთ „ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან გამჟღავნება“).

კიდევ ერთი პრობლემა არის ის, რომ სექსუალობის/გენდერული იდენტობის მოდელები აქცენტს აკეთებენ გამოცდილებაზე (მაგ. სექსუალური გამოცდილება; ლგბტქ თემთან ასოცირება; ტრანზიტულობა), როგორც კატალიზატორზე და/ან სექსუალური/გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების ხასიათის განმსაზღვრელზე. თუმცა, სავალდებულო არაა, ლგბტქ

იდენტობა ამ ასპექტებს მოიცავდეს. გამჟღავნების/ქამინგ აუთის შესახებ არსებულ ცალკეული შემთხვევების ანგარიშებში ხშირად ნახსენებია ის ლგბ ადამიანები, რომლებმაც ისე მოახდინეს ლგბ იდენტიფიკაცია, რომ არც კი ჰქონიათ ერთსქესიანი ურთიერთობები და სექსუალური გამოცდილება და/ან ლგბტქ თემთან ურთიერთკავშირები.

როცა ვსაუბრობთ ტრანსგენდერი იდენტობის განვითარებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ტრანსგენდერი ადამიანი ცდილობს ჰქონდეს სქესის შეცვლის შესაძლებლობა, სინამდვილეში ყველა მათგანი არ იკეთებს ოპერაციას. მოზარდებს, რომლებსაც გენდერული დისფორიის დიაგნოზი დაუსვეს, შეიძლება გააჩნდეთ სქესის შეცვლის ძლიერი და შეუპოვარი სურვილი, ორჭოფობდნენ, იყვნენ გაურკვევლობაში ან გადაიფიქრონ (de Vrieset al., 2007). აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანისთვის, იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება მოიცავდეს „ტრანსგენდერულ უკიდურესობას“ (‘transgender emergence’) (Lev,2004): საკუთარი გენდერულ იდენტობის გაცნობიერების, გამჟღავნების, იდენტიფიცირებისა და მისთვის სახელის დარქმევის პროცესს. ტრანსგენდერობის გამჟღავნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ლგბ გამჟღავნებისაგან/ქამინგ აუთისაგან იმით, რომ ტრანსგენდერი იმდენად ფართოდ გაგებული ცნება არაა და სქესის ნაცვალსახელების მეტყველებაში ხმარება (მაგ.‘he’,‘she’) ხელს უშლის ტრანსგენდერი ადამიანების ხილვადობას. შესაბამისად, ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად ძალისხმევას არ იშურებენ, რათა დაამკვიდრონ თავიანთი გენდერული იდენტობის ამსახველი ტერმინი (Lev,2004). სამოცდახუთი MTF (მამაკაციდან ქალზე) ტრანსგენდერის (24-68 წწ) ინტერვიუს გზით შესწავლისას, ამერიკელმა სოციოლოგმა პატრისია განიემ (Patricia Gagné) და კოლეგებმა (1997) აღმოაჩინეს, რომ გარდა ბავშვობისას მომხდარი მოვლენებისა, რომლებიც როგორც მცდარს ისე ახასიათებდა მათ კროს-გენდერულ გრძნობებს, მონაწილეთა მიერ ტრანსგენდერული იდენტიფიკაციის მთავარი კატალიზატორი იყო იმის აღმოჩენა, რომ არსებობდა მათი გრძნობების გამომხატველი იდენტობის დეფინიცია, ისევე როგორც მსგავსი გამოცდილების მქონე ბევრი სხვა ადამიანი.

და ბოლოს, საფეხურებრივი მოდელები ხატავენ გამჟღავნების/ქამინგ აუთის პროცესს, როგორც არსებითად ნეგატიურს. ყველა მათგანი თვლის, რომ ლგბტქ იდენტიფიკაციის პროცესი აღსავსეა პიროვნული დაძაბულობით და საკუთარი თავის მიმართ მიმღებლობის განვითარებით. მაგალითად, კოულმენი (1982: 471) აღნიშნავდა, რომ „ერთსქესიან ინტერესებსა და გრძნობებში გარკვევა ნელი და მტკივნეული პროცესია“. მართალია, ეს შეიძლება ითქვას ზოგიერთი ლგბტქ ადამიანის გამოცდილებაზე, მაგრამ

ლგბტქ იდენტობის პროცესი იმ სახით, როგორც ამას მოდელები გვთავაზობენ, შორსაა უნივერსალურობისაგან. აქედან გამომდინარე, ეტაპობრივი მოდელები ამყარებენ მოსაზრებას ლგბტქ პათოლოგიის შესახებ და ძირს უთხრიან თანამედროვე ლგბტქ ფსიქოლოგების მცდელობებს, შექმნან სექსუალური/გენდერული იდენტობის უფრო პოზიტიური მოდელები. მოდელები ზედმეტად აუბრალოებენ/აკნინებენ სექსუალური/გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს და ადეკვატურად ვერ ასახავენ ლგბტქ იდენტობის რთულ/კომპლექსურ პროცესს.

ქამინგ აუთის შესახებ არსებული ლგბტქ ფსიქოლოგიური ლიტერატურა ძირითადად იმ აზრისაა, რომ სექსუალობის ჩამოყალიბება ტიპიურად იწყება იმის გაცნობიერებით, რომ ადამიანი არ არის ჰეტეროსექსუალი, რასაც მოსდევს ერთსქესიანი სექსუალური გამოცდილება, რაც ეჭვის დადასტურებას იწვევს და პროცესი კულმინაციას აღწევს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ლგბტქ იდენტობის გამჟღავნებისას. თუმცა, ამერიკელი ფსიქოლოგების, შირა მაგუენისა და მისი კოლეგების უკანასკნელმა კვლევებმა (2002) გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავება გამოკითხული ლგბ ადამიანების ჩამოყალიბების გზებს შორის. კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანად მცირე ნაწილისთვის პირველი ერთსქესიანი სექსუალური გამოცდილება ლგბ იდენტობის გაცნობიერებასთან ერთად გაჩნდა, მაშინ, როცა გამოკითხულთა 33% თავის სექსუალობაში უფრო ადრე გაერკვა, ვიდრე ერთსქესიან სექსუალურ კონტაქტებში ჩაერთვებოდა. მაგუენმა და მისმა კოლეგებმა აგრეთვე მნიშვნელოვან განსხვავებებს მიაკვლიეს სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ფუნქციების განვითარების გზებს შორის. სექსუალური გამოცდილების მქონე რესპონდენტთაგან, გეი მამაკაცების მხოლოდ 14%-ს, განსხვავებით ლესბოსელთა 45%-ისა და ბისექსუალთა (მამაკაცთა და ქალთა) 46%-ისა, პირველი სექსუალური კონტაქტი ჰქონდათ განსხვავებული სქესის ადამიანთან. რაც შეეხება, კვლევის მონაწილეთაგან ლესბოსელებს, მათ განსხვავებული სქესის ადამიანებთან ურთიერთობა დაიწყეს ერთსქესიანი ურთიერთობების დაწყებიდან 1-2 წლის შემდეგ.

სექსუალური ცვალებადობა/მოქნილობა

სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების მოდელებში არსებული სექსუალობისა და გენდერის ესენციალისტური კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, ზოგიერთი კვლევა გვთავაზობს მოსაზრებას, რომ სექსუალური ლტოლვა, გამოცდილება და იდენტობები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. ეს მოვლენა ცნობილია ცვალებადობის (ან სექსუალური ელასტიურობის, მოქნილობის) სახელით. უკანასკნელ

დრომდე, ფსიქოლოგები ნაკლებად საუბრობდნენ იმ ადამიანებზე, რომელთა სექსუალურმა ლტოლვამ, გამოცდილებამ და იდენტობებმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა და მეტ ყურადღებას უთმობდნენ მათ, ვის შემთხვევაშიც, ყოველივე ზემოხსენებული უცვლელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ბისექსუალობა“ ხშირად გამოიყენებოდა სექსუალური მოქნილობის ცნების გამოსახატად, ჩვენი აზრით, იგი ადეკვატურად ვერ ასახავს ინდივიდუალური სექსუალური ტრაექტორიების მრავალფეროვნებას, სირთულესა და კომპლექსურობას (იგი, აგრეთვე, აერთიანებს ბისექსუალი ადამიანების გამოცდილებებს იმ ადამიანების გამოცდილებებთან, რომლებიც ამას აღიქვამენ, როგორც გენდერულ ცვალებადობას, ანუ აერთიანებენ იმ ორ კატეგორიას, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ზოგჯერ ნაწილობრივ ფარავენ კიდეც ერთმანეთს). მას შემდეგ, რაც სექსუალობის გაგება დაშორდა დიქოტომიურ მიდგომას, უფრო ხშირად ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ხედავენ იმაში, რომ მამაკაცებთან ურთიერთობა ჩაანაცვლონ ქალებთან, ან ორივე სქესთან ურთიერთობით. ამ ადამიანებისათვის სექსუალური ლტოლვა, ქცევა და იდენტობა კავშირშია უფრო მეტად თავად პიროვნების ან ურთიერთობის ხასიათთან და არა გენდერთან/სქესთან (Diamond, 2003; Peplau, 2001). როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ბევრი ახალგაზრდისთვის ეს წარმოადგენს იმ გავრცელებულ ჩარჩოს, რომლსაც ისინი თავიანთი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ მსჯელობისას იყენებენ, და არის სექსუალობისა და გენდერული იდენტობის იარლიყების გამოყენების მიმართ წინააღმდეგობის უმთავრესი მიზეზი (Savin-Williams,2005).

მაგალითად, ზემოთ ხსენებული სექსუალური ცვალებადობის ცნება მამაკაცებზე უფრო სწრაფად ქალებმა შეითვისეს (მაგ. იხ. Baumeister,2000). თუმცა, ეს იმთავითვე როდი გულისხმობს იმას, რომ ქალების უმეტესობის სექსუალური იდენტობები და პრაქტიკა დროთა განმავლობაში შეიცვლება. ზოგიერთმა ქალმა შეიძლება გამოამჟღავნოს ასეთი ცვლილება, მაგრამ სხვებმა შეიძლება მოირგონ ჰეტეროსექსუალური და ლესბოსური ნიმუში/მოდელი, რომელიც უცვლელი იქნება დროთა განმავლობაში (Peplau and Garnets,2000). ყოველ შემთხვევაში დასავლეთში, სექსუალურ ცვალებადობაში არსებული სქესობრივი განსხვავებები შეიძლება ფართოდ ახასიათებდეს ქალთა და მამაკაცთა სოციალიზების სხვადასხვა მეთოდებს ურთიერთობა იქონიონ საკუთარი სქესის ადამიანებთან. კერძოდ, ქალები განზოგადებულად ანიჭებენ უპირატესობას სხვა ქალებთან ურთიერთობების ემოციურ და გრძნობისმიერ (მაგრამ არა სექსუალურ) ასპექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოულოდნელი გამოცდილების პოტენციალის

გამოვლენას. ეს შლის საზღვრებს სიყვარულს, რომანტიკას, მეგობრობასა და სექსუალობას შორს (Thompson and Morgan,2008). მეორეს მხრივ, მამაკაცები ურთიერთობისას ინარჩუნებენ მტკიცე ემოციურ და გრძნობისმიერ საზღვრებს, რაც ნათლად მიჯნავს ერთმანეთისგან მეგობრობასა და სექსუალურ ურთიერთობებს შორის არსებულ განსხვავებებს.

ახალგაზრდები ხშირად იყენებენ ტერმინებს „ლეზი“#და „პუფი“#, შეძახილებად იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ შეესაბამებიან ჰეტერონორმატიულ წარმოდგენებს გენდერსა და სექსუალობაზე. უმთავრესად, ამ მიზეზით და კიდევ იმიტომ, რომ იარლიყი „ლესბოსელი“ ასოცირდება არაპოპულარულ ‘F’ სიტყვასთან (ფემინიზმი), ახალგაზრდა ქალები თავიანთი თავზე საუბრისას ერიდებიან მის გამოყენებას. მაშინ, როცა ზოგიერთი შეიძლება ახდენდეს იდენტიფიკაციას, როგორც ბისექსუალი, და ინარჩუნებდეს ამ იდენტობას სიცოცხლის ბოლომდე, სხვებმა შეიძლება აირჩიონ იარლიყი „ბისექსუალი“, როგორც იარლიყის- „ლესბოსელი“, დროებითი ალტერნატივა. თუმცა, ბოლო დროს შედარებით უფრო ახალი და „უსაფრთხო“ ალტერნატივების გავრცელება (მაგ. „უმეტესად ჰეტეროსექსუალი“; „ჰეტეროფლექსიური“; „ბიდაინტერესებული“) საშუალებას აძლევს ახალგაზრდა ქალებს, შეინარჩუნონ თავიანთი ჰეტეროსექსუალური იარლიყი და იმავდროულად გააჩნდეთ საკუთარი სქესის მიმართ ლტოლვა და სურვილები (Thompson and Morgan,2008). მიუხედავად შეთანხმებული მცდელობებისა, გამოეკვლიათ სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბება (ახალგაზრდა) ქალებში, მცირეა შესადარი შრომების რაოდენობა, რომლებიც გამოიკვლევდნენ, როგორ აგებენ თავიანთ სექსუალურ იდენტობებს ახალგაზრდა მამაკაცები, ან სადაც სიღრმისეულად იქნებოდა გამოკვლეული ის მეთოდები, სადაც მამაკაცურობის/მასკულინობის შესახებ მსჯელობა უპირისპირდება ახალგაზრდა მამაკაცებში სექსუალური ცვალებადობის გამოვლენას.

მიუხედავად იმისა, თუ იდენტობის რომელ იარლიყებს იყენებენ ესა თუ ის ცალკეული პირები, ფსიქოლოგიური თეორიისა და კვლევის დიდი წილი ფოკუსირებულია სექსუალურ ცვალებადობაზე, ანუ დროთა განმავლობაში ლტოლვასა და ქცევაში მომხდარ ცვლილებაზე, რასაც ადგილი აქვს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ განსაზღვრავენ საკუთარ თავს ცალკეული პირები. ეს მიდგომა გვაბრუნებს წარსულში, ალფრედ კინსისა (Alfred Kinsey) და მისი კოლეგების ადრეულ შრომებთან (იხ. თავი 1). კინსის შრომებზე დაყრდნობით, სექსუალური ცვალებადობის საზომის შემუშავებით, ფრიც კლაინმა (Fritz Klein) შექმნა კინსის სკალა: კლაინის სექსუალური ორიენტაციის ცხრილი (Kleinet al.,1985). ეს საზომი შეიქმნა სექსუალობის რიგი ასპექტების გამოსაკვლევად, მათ შორის ისეთებისა,

როგორიცაა პიროვნების საკუთარი და საპირისპირო სქესისადმი ლტოლვა, ქცევა, ფანტაზიები, პრიორიტეტები და იდენტობები დროთა განმავლობაში (წარსული, აწმყო და სასურველი). უკანასკნელმა კვლევებმა ამ სკალის გამოყენებით (მაგ. Amestoy,2001;Weinrich and Klein, 2002) ემპირიულად აჩვენეს, რომ სექსუალობა არ არის ერთგანზომილებიანი კონსტრუქტი. მაგალითად, აშშ-ში 250 კურსდამთავრებული სტუდენტის შესწავლისას (Amestoy, 2001), მონაწილეთა სექსუალური ლტოლვის, სექსუალური პრაქტიკისა და თვითიდენტიფიკაციის იარლიყები შეესაბამებოდა მათ ამჟამინდელ სექსუალობას, მაგრამ მნიშვნელოვანწილად არ ემთხვეოდა მათ წარსულში არსებულ სექსუალობას. მხოლოდ სამმა მონაწილემ (ყველა მათგანი იყო აზიური წარმოშობის ამერიკელი) აჩვენა სრული მდგრადობა დროისა (წარსული, აწმყო და სასურველი) და სექსუალობის ასპექტში (ქცევა, ფანტაზია, პრიორიტეტი, თვითიდენტიფიკაცია).

სექსუალური ცვალებადობის კონცეფცია გვთავაზობს ფსიქოლოგთა ტიპური მოსაზრებებისაგან რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებას სექსუალობაზე. მაგალითად, სექსუალობისა და გენდერული იდენტობისადმი ესენციალისტური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ იგი გულისხმობს ადამიანის სექსუალურ თუ გენდერულ იდენტობასთან არათავსებად გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილებას (ან მის უგულვებელყოფას). აქედან გამომდინარე, ადამიანებისაგან, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალად მიიჩნევენ, ხშირად გვესმის ხოლმე, რომ ადრინდელ ერთსქესიან ურთიერთობებს ისინი მოიაზრებენ როგორც „ექსპერიმენტს“, „ფაზას“ ან „პრაქტიკას ჰეტეროსექსისთვის“. ასევე, ლესბოსელებისა და გეებისაგანაც თავიანთ ადრინდელ ჰეტეროსექსს მოიაზრებდნენ, როგორც გრძნობების ჩახშობას ან სოციალური ტრადიციების მიმდევრობას. ლესბოსელებისა და გეების გამჟღავნების/ქამინგ აუთის ისტორიებში ასევე ვხვდებით ადრინდელი ჰეტეროსექსუალური გამოცდილების უარყოფით დახასიათებას (მაგ. როგორც „არშემდგარი“ ან „არადამაკმაყოფილებელი სექსი“) ან საერთოდ არაფერს საუბრობენ ასეთ გამოცდილებაზე და წარმოადგენენ თავიანთ ერთსქესიან გამოცდილებას, როგორც უკიდურესად დადებითს. გამომდინარე იქიდან, რომ იდენტობის კატეგორიები შეიძლება სადავო იყოს, ადამიანები მათ ორივე შემთხვევაში იყენებენ - როგორც ავთენტურს/ჭეშმარიტს და როგორც საეჭვოს. ეს ნათლად ჩანს იმ ლესბოსელების მოხსენებებში, რომლებმაც გააკეთეს ქამინგ აუთი ხანგრძლივი პერიოდს მანძილზე ჰეტეროსექსუალად ყოფნის შემდეგ (იხ. Kitzinger და Wilkinson,1995; Rickards და Wuest,2006).

უმეტეს შემთხვევებში, სექსუალური ცვალებადობის შესახებ არსებული კვლევები ეყრდნობა მონაცემებს ერთჯერადი მაგალითებიდან, როცა

ახალგაზრდებს სთხოვეს გაეხსენებინათ რეტროსპექტიულად თავიანთი წარსული სექსუალური ლტოლვები, ქცევები და იდენტობები. მაშინ, როცა აშკარაა ახალგაზრდებში სექსუალური ცვალებადობა, სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებაში გარკვევის საუკეთესო გზაა დროთა მანძილზე მომხდარი ცვლილებების შესწავლა. თუმცა კი ასეთი კვლევები გარკვეულწილად იშვიათია, ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლიზა დაიმონდმა (Lisa Diamond) უკანასკნელ ხანს გამოაქვეყნა კვლევა, სადაც შესწავლილია 79 ქალის სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბება 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში (იხ. ჩანართი 7.4).

ჩანართი 7.4. კვლევის საგანი: ლიზა დაიმონდი (2008) ქალთა ბისექსუალობის შესახებ მოზარდობიდან მოწიფულობამდე

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში სერიოზული კამათია იმის თაობაზე, თუ რა არის ბისექსუალობა: უარყოფის, გარდამავლობის/ტრანზიტულობის ან ექსპერიმენტაციის დროებითი ეტაპი, სექსუალური ორიენტაციის კატეგორია, რომელსაც ახასიათებს ორივე სქესის - ქალებისა და მამაკაცებისადმი ლტოლვა, თუ სექსუალური ცვალებადობის უნარი. ამ მოდელთაგან თითოეული მოიცავს განსხვავებულ რაკურსს დროთა მანძილზე მომხდარი ცვლილებების შესახებ სექსუალურ ლტოლვებში, ქცევებსა და იდენტობებში. ლიზა დაიმონდის კვლევა (2008) პირველია, რომელმაც ლონგიტიდურად შეისწავლა სექსუალურ იდენტობაში მომხდარი დროებითი ცვლილებები.

ამ კვლევისათვის დაიმონდმა ნიმუშად აიღო 79 არაჰეტეროსექსუალი ქალი, რომელთა გამოკითხვასაც აწარმოებდა ათი წლის მანძილზე, დაახლოებით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. პირველი ინტერვიუს დროს მონაწილეთა ასაკი შეადგენდა 18-25 წელს და მათი შერჩევა მოხდა ლგბ თემის ღონისძიებებიდან, ახალგაზრდების ჯგუფებიდან და ნიუ-იორკსა და მის მიმდებარედ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული დაჯგუფებებიდან. კვლევის დასრულებისთვის, მონაწილეთა 67%-ს პირველი ინტერვიუს შემდეგ შეცვლილი იდენტობა ჰქონდა მინიმუმ ერთხელ მაინც, ხოლო 36%-ს - ერთზე მეტად. კვლევისას გამოვლენილი სიმპტომები საკმარისი არ აღმოჩნდა იმ მოდელის მხარდასაჭერად, რომელიც ბისექსუალობას გარდამავალ ეტაპად მოიაზრებს, და რომლის დროსაც ისინი, ვინც თავდაპირველად ახდენდნენ „ბისექსუალად“ ან „უიარლიყოდ“ იდენტიფიკაციას, უფრო მიდრეკილნი არიან, იმოძრაონ ამ ორ იარლიყს შორის, ვიდრე დასჯერდნენ „ლესბოსელის“ ან „ჰეტეროსექსუალის“ იარლიყებს. ყველა ის ქალი, რომელიც ირგებდა იარლიყს „ბისექსუალი“ ან „უიარლიყო“, კვლევის მანძილზე შედარებით (50-60%-ით) უფრო მტკიცე აღმოჩნდა და ათი წლის შემდეგ მონაწილეთა 80%-მა ამ იარლიყთაგანი ერთ-ერთი კვლევის

მანძილზე რაღაც მომენტში გაითავისა. აქედან გამომდინარე, ეს ცვლილება/გარდასახვა უპირატესად ამ იდენტობებთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე შორს და ეწინააღმდეგება „ბისექსუალობის“, როგორც ტრანზიტული/გარდამავალი იდენტობის, მოდელს.

მუხედავად ამისა, კვლევამ ნათლად დაამტკიცა, რომ ბისექსუალობა არის განსაზღვრული, როგორც ორიენტაცია და ცვალებადობის უნარი. „ბისექსუალი“ და „უიარლიყო“ ქალების მონაყოლიდან ჩანს, რომ მათი საკუთარი სქესისადმი ლტოლვის პროცენტული მაჩვენებელი ერთგვარად დაბალია, ვიდრე „ლესბოსელი“ ქალების შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება მათ ლტოლვას საკუთარი და საპირისპირო სქესისადმი, ძირითადად იგივე დარჩა, რაც იყო კვლევის დასაწყისში. მეტიც, მათ ვინც იდენტობა „ლესბოსელად“შეიცვალა, არ აჩვენა საკუთარი სქესისადმი ლტოლვის მნიშვნელოვანი ზრდა/მატება დროთა განმავლობაში და მათ, ვინც გადაერთნენ „ჰეტეროსექსუალურ“ იდენტობაზე, არ აჩვენეს მნიშვნელოვანი კლება. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი და საპირისპირო სქესისადმი ლტოლვის/ქცევების ბალანსი/თანაფარდობა შეიძლება იცვლებოდეს, როგორც პიროვნებათაშორისი სიტუაციური ფაქტორების ფუნქცია, მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობთ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბისექსუალობა შეიძლება აღქმული იქნას, როგორც (შედარებით) უფრო სტაბილური ლტოლვა ორივე სქესის მიმართ.

დაკვირვება მოხდა როგორც „ლესბოსელებზე“, ასევე „ბისექსუალი/უიარლიყო“ ქალების ლტოლვასა და ქცევაში არსებულ ცვლილებებზე, რაც კიდევ უფრო ამყარებს სექსუალური ცვალებადობის ცნებას. კვლევის დასასრულს, „ლესბოსელთა“ 60%-ს ჰქონდა მამაკაცთან სექსუალური კონტაქტი და 30%-ს - რომანტიკული გატაცება. ეს ხსნის იმ მიზეზს, თუ რატომაა უფრო ხშირი „ბისექსუალ/უიარლყო“ იდენტობებზე გარდამავლობა/ტრანზიტულობა, ვიდრე სხვებზე. ერთიანობაში, ქალების იდენტობის ცვლილებები მათსავე ცვალებად/მერყევ გამოცდილებებზე აისახა და წარმოაჩინა ლესბოსურ იდენტობასა და ლესბოსელთა სხვა სქესისადმი ლტოლვას/ქცევებს შორს არსებული წინააღმდეგობების გადაჭრის გზა. „ქამინგ აუთის შემდგომი“ იდენტობის ეს ცვლილებები ეჭვქვეშ აყენებს მიღებულ მოსაზრებას, თითქოს სექსუალობის შესახებ ყველა კითხვის ნიშანი მოიხსნება მაშინვე, როგორც კი პიროვნება საწყის ეტაპზევე მოახდენს კატეგორიასთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. უფრო სწორად, სექსუალობა და გენდერული იდენტობა გაცილებით უფრო ექვემდებარება ხელახლა გადაფასებას, ვიდრე ამას გვთავაზობენ სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების მოდელები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანებს გააჩნიათ მყარი სექსუალური იდენ-

ტობები, რომლებიც უცვლელი რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ქამინგ აუთი ოჯახთან და მეგობრებთან

ლგბტქ ახალგაზრდებისათვის ქამინგ აუთი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან, და გამხელა, რომ ისინი არიან არაჰეტეროსექსუალი ან ტრანს იდენტობის მქონენი, ხშირად განვითარების უმნიშვნელოვანეს საფეხურად ითვლება. ტიპურად ქამინგ აუთი საყოველთაოდ მიღებული ჰეტეროსექსუალური და გენდერზე დამყარებული სოციალური მოლოდინების რღვევას და ლგბტქ იდენტობაზე არჩევანის გაკეთებას ნიშნავს.

ეს პროცესი შეიძლება საკმაოდ სტრესული აღმოჩნდეს, როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ასევე მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისათვის, მაგრამ დღესდღეობით კვლევები ამას დიდ ყურადღებას არ უთმობენ. იქ სადაც კვლევა ჩატარდა, გადამეტებულად მოხდა ფოკუსირება მშობლების უარყოფით რეზონანსზე და შესაბამისად, ცოტა რამაა ცნობილი იმ ახალგაზრდების შესახებ, რომელთა გამჟღავნებაც/ქამინგ აუთიც (შედარებით) უფრო წარმატებულად მოხდა (Gorman-Murray,2008).

აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა უფრო აქტიურად ახდენს თავისი ლგბტქ იდენტობის გამჟღავნებას, ვიდრე წინა თაობების ახალგაზრდები (Savin-Williams,2005). შესაძლოა, ეს ნაწილობრივ „გეი-კონსტრუქციული“ სოციალური კლიმატით იყოს განპირობებული, ასევე, ახალგაზრდები დღეს უფრო მეტად გახსნილები არიან სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხებისადმი (მათ შორის ლგბ სექსუალობებისადმი), ვიდრე წინათ. ამიტომაცაა უფრო გახშირებული, რომ ლგბ ახალგაზრდები სკოლის პერიოდშივე ახდენენ სხვებთან გამჟღავნებას, საშუალოდ, დაახლოებით 16 წლის ასაკში (Clarke and Broughton, 2005; Maguenet al., 2002).

ტრანსგენდერი იდენტობის მქონე ადამიანების გამჟღავნება ოჯახს წევრებსა და მეგობრებთან (დღემდე) არ გამხდარა შესწავლის საგანი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ტრანსგენდერები საზოგადოებაში უფრო მეტად სტიგმატიზებულნი არიან, ტრანსგენდერი იდენტობის გამჟღავნება ახალგაზრდებისათვის პოტენციურად უფრო რთულია, ვიდრე ლგბ იდენტობის გამჟღავნება. მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგების განიესა და მისი კოლეგების კვლევაში (1997), სამოცდახუთმა MTF ტრანსგენდერმა მონაწილემ აღნიშნა, რომ თავიანთ მშობლებთან ქამინგ აუთი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოახდინეს, ხოლო უმეტესობას ეს გაუჭირდა.

რაც შეეხება თავად ქამინგ აუთს, კვლევა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები მშობლებთან ქამინგ აუთამდე, თავიანთ საკუთარი სქესისადმი მიდრეკილებას თანატოლებთან განხილავენ . სავინ-უილიამსისა და რიმის ამერიკულ (Savin-Williams and Ream'sUS) (2003) კვლევის მიხედვით, მათ შორის, ვინც ჰეტეროსექსუალურ ოჯახებში ქამინგ აუთი გააკეთა ორივე

მშობელთან, 54%-მა პირველად დედას უთხრა, ხოლო 35%-მა - ორივეს ერთდროულად. მუხედავად იმისა, რომ მშობლებს შესაძლებელია სხვადასხვანაირი რეაქცია ჰქონდეთ, ამ კვლევის ზოგმა მონაწილემ იგრძნო, თუ როგორ აისახა ქამინგ აუთი მათი მშობლებთან ურთიერთობების ხარისხზე. თუმცა, ეს და სხვა კვლევები, რომლებიც ქამინგ აუთზე მშობლების რეაქციებს აკვირდებიან, ეყრდნობიან ძალიან შეზღუდულ მაგალითებს. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ გამჟღავნების/ქამინგ აუთის ვარიაციები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეს კვლევებშია დაფიქსირებული. მაგალითად, ცალკეული შემთხვევების ანალიზიდან ცნობილი გახდა, რომ ლგბტქ იდენტობის გამჟღავნების შედეგად ზოგიერთი ახალგაზრდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა და სახლიდანაც კი გააგდეს.

მშობლებისა და დედ-მამიშვილების რეაქციებს გამჟღავნებაზე/ქამინგ აუთზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ახალგაზრდის, როგორც ლგბტქ პიროვნების ინდივიდუალობაზე/სუბიექტივიზმზე. მაგალითად, ენდრიუ გორმან-მიურეის (Andrew Gorman-Murray) ავსტრალიური ქამინგ აუთების ისტორიების ანალიზში (2008), მშობლებისა და დედ-მამიშვილების დადებითმა რეაქციამ ლგბ ახალგაზრდებს ქამინგ აუთი შეუმსუბუქა და შეცვალა მათი აზრი ოჯახზე, როგორც მთლიანად ჰეტერონორმატულ გარემოზე. თუმცა, ოჯახების უნარი, დადებითად უპასუხონ ოჯახის წევრის გამჟღავნებას/ქამინგ აუთს, ძლიერაა დამოკიდებული თვით ამ ოჯახის ხასიათზე. გამოიყენეს რა ჩარჩოდ ოჯახური სტრესის თეორია, ამერიკელმა ფსიქოლოგმა ბრაიან უილაფბაიმ და მისმა კოლეგებმა (2008) განიხილეს ემპირიული მონაცემები სექსუალობის გამჟღავნებაზე მშობლების რეაქციის შესახებ. მათმა მიმოხილვამ გამოკვეთა სამი ძირითადი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებული იყო ლგბ ქამინგ აუთზე საპასუხო რეაქციები: რამდენად შესაძლებელია ოჯახში გამჟღავნება (მაგ. დადებითი ურთიერთდამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის; პრობლემების გადაჭრის ძლიერი უნარი), რა აზრის იყვნენ და რა დამოკიდებულება ჰქონდათ ოჯახის წევრებს საკუთარი სქესის მიმართ ლტოლვისადმი მანამდე, და ოჯახის მხრიდან სხვა რა ზეწოლას ჰქონდა ადგილი გამჟღავნებისას.

ტრანსგენდერი მოზარდების მშობლების შესწავლისას, ბრიტანელმა კლინიკურმა ფსიქოლოგმა ბერნადეტ რენმა (2002) აღმოაჩინა, რომ მშობლებს ხშირად გამჟღავნებამდე ეპარებოდათ ეჭვი თავიანთი შვილების გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ოჯახს შიგნით, გენდერული იდენტობის საკითხებს უდგებოდნენ დიდი სიფრთხილით. მაშინ, როცა რენის მიერ გამოკითხულ მშობელთაგან ზოგიერთი პოზიტიურად არ შეხვედრია ამ სიახლეს (უყურებდნენ რა ამას, როგორც განუვითარებლობის ნიშანს ან სხვა სირთულეების ინდიკატორს), ბევრმა

მათგანმა მიიღო თავისი შვილის ატიპური გენდერული იდენტობა. მიუხედავად ამისა, მანაც, ვინც გაგებით მოეკიდა შვილის ატიპურ გენდერულ იდენტობას, როგორც რენის ინტერვიუს დროს განუცხადეს, გრძელი გზა განვლო, რათა გამართლება მოეძებნა თავისი დამოკიდებულებისათვის ბიოლოგიური მიზეზის საფუძველზე (მათი შვილი დაიბადა სქესობრივი/გენდერული პრობლემით), უპირობო სიყვარულით (რომ მშობელს ყველაფრისდა მიუხედავად უნდა უყვარდეს საკუთარი შვილი) და განუყოფლობით (რომ მათი შვილი იგივე ადამიანია, რომელსაც ისინი გამჟღავნებამდე იცნობდნენ და უყვარდათ).

გამჟღავნება-არგამჟღავნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ლგბტქ ახალგაზრდებმა უნდა გაითვალისწინონ, ვისთან და როგორ უნდა გააკეთონ ეს. ასევე, უნდა აწონ-დაწონონ სავარაუდო რისკი და სარგებელი, რაც შეიძლება ამას მოყვეს. ლგბ (e.g., Hillier, 2002; Lasser andTharinger,2003) ან ტრანსგენდერი (e.g., Gagnéet al.,1997) იდენტობის გამჟღავნების შესახებ არსებული კვლევები გამუდმებით გვიჩვენებს, რომ ლგბტქ ადამიანები ზედმიწევნით აცნობიერებენ არაჰეტეროსექსუალობასა და ტრანსგენდერად ყოფნასთან ასოცირებულ პოტენციურ სტიგმას და იმ შედეგებს (როგორც კარგს, ასევე ცუდს), რაც შეიძლება იდენტობის გამჟღავნებამ მოუტანოს მათ და თავიანთ მშობლებს. კვლევებში ახალგაზრდების მონაყოლიდან ვგებულობთ, რომ გამჟღავნებამდე ისინი ინფორმაციას აგროვებენ ლგბტქ ადამიანებისადმი დამოკიდებულებისა და მათ მიმართ ქცევის შესახებ და აფასებენ თავიანთ გარემოს (სახლი, კლასი, თანატოლები), რათა განსაზღვრონ, თუ ვისთან შეიძლება „უსაფრთხოდ“ ქამინგ აუთი და ამა თუ იმ ადამიანთან გამჟღავნების შემდეგ ხომ არ აღმოჩნდება იგი „საშიში“. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მათ წაერთვათ თქმის ან ართქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. მაგალითად, ჰილიერის კვლევაში (2002) ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათმა მშობლებმა ხელი შეუშალეს მათ გამჟღავნებას/ქამინგ-აუთს, პირდაპირ ჰკითხეს, „გეი“ ხომ არ ხარო, ან უნებურად წააწყდნენ თავიანთი შვილის არაჰეტეროსექსუალობის დამამტკიცებელ საბუთს (მაგ. სასიყვარულო წერილის პოვნა, თავისი სქესის შეყვარებულთან ერთად ლოგინში თავზე წადგომა და სხვ). ზოგიერთი მოზარდი, ვისაც გენდერული იდენტობის აშლილობა აქვს, ასევე აქტიურად ცხოვრობს იმ სქესის ცხოვრებით, რომლადაც თავს აღიქვამს (და არა იმ სქესისა, რომლითაც დაიბადა) მაგრამ მაინც ამჯობინებს გამჟღავნებისგან თავის შეკავებას (Holman and Goldberg,2007), და არ რისკავს, რომ მისი ტრანსგენდერული სტატუსი სხვებისთვის გახდეს ცნობილი (მაგ. სკოლაში ადგილების გაცვლით).

მიუხედავად იმისა, რომ მწირია კვლევათა რაოდენობა იმის შესახებ, თუ რა სოციალური და ფსიქოლოგიური სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ოჯახთან და მეგობრებთან გამჟღავნებას, ზოგადად მიიჩნევა, რომ ადამიანის ლგბტქ იდენტობის მიღება სხვების მიერ პოზიტიური ნაბიჯია. თუმცა, ქამინგ აუთი ყოველთვის შესაძლებელი ან უსაფრთხო სულაც არ არის. მაგალითად, საფრა პროექტის (Safra Project - www.safraproject.org) თავდაპირველმა აღმოჩენებმა აჩვენეს, რომ ბევრი მუსლიმი ლბტ ქალის ქამინგ აუთს შედეგად მოყვა ოჯახის წევრებისა და მეგობრების მხრიდან უარყოფითი რეაქციები (მაგ. სრული უარყოფა, გაძლიერებული ზეწოლა რომ დაქორწინდეს, ოჯახური ძალადობა და სხვ). მათ მსგავსად, ფინანსურად და ემოციურად ოჯახზე დამოკიდებული ადამიანებისთვის გამჟღავნების/ქამინგ აუთის შემდგომ მხარდაჭერის დაკარგვა შეიძლება ისეთ საკითხებზე აისახოს, როგორიცაა საცხოვრებელი პირობები, განათლება და დასაქმება. აქედან გამომდინარე, გამჟღავნების/ქამინგ აუთის სარგებელი ყოველთვის არ გადაწონის პოტენციურ დანაკარგებსა და რისკებს. მარგინალიზებული რასობრივი და კულტურული ჯგუფების ბევრი წევრისათვის ოჯახთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებასა და თემში/საზოგადოებაში ოჯახის პატივს დიდი ფასი აქვს. შესაბამისად, ამ საზოგადოებებში მყოფი ლგბტქ ახალგაზრდები ფრთხილად უნდა მიუდგნენ კულტურულ ღირებულებებსა და თავიანთი ოჯახებისა და ფართო საზოგადოების მოლოდინებს მათი ლგბტქ იდენტობასთან დაკავშირებით. ამის გამო, რასობრივად და კულტურულად მარგინალიზებული ჯგუფებიდან გამოსული ბევრი ლგბტქ ახალგაზრდა ინარჩუნებს მტკიცე საზღვრებს, რომლებიც მიჯნავს მათ ლგბტქ ცხოვრებას სხვა ცხოვრებისეული ასპექტებისაგან.

ოჯახთან და მეგობრებთან გამჟღავნების შესახებ არსებულ კვლევათა ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ იგი მთლიანად კონცენტრირდება თავად ქამინგ აუთზე და უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ ლგბტქ ადამიანებისათვის იდენტობის გამჟღავნება არის მიმდინარე მოვლენა და არა ერთჯერადი ფაქტი (იხ.Kitzinger,2000b). მეტიც, ლგბტქ ადამიანებს შეუძლიათ, ერთ შემთხვევაში გადაწყვიტონ ქამინგ აუთი და სხვა შემთხვევაში - არა. უმეტესწილად, ასეთ ყოფით/ჩვეულებრივ სიტუაციებში ქამინგ აუთი გამოტოვებულია ფსიქოლოგიურ კვლევებში. თუმცა, როგორც ვიქტორია ლენდი და სელია კიტზინგერი (2005) აღნიშნავენ, იმის გამო რომ ლგბტქ იდენტობის გამჟღავნება ანგრევს საზოგადოდ არსებულ წარმოდგენებს სოციალური სამყაროს შესახებ, გამჟღავნება (განსაკუთრებით ინსტიტუციურ გარემოში) ორმხრივად რთულია. ლგბტქ პირებს უხდებათ იდენტობის მართვის მნიშვნელოვანი სამუშაოს გაწევა, რათა შესწორება შეიტანონ (ან

უშვებენ ამის შესაძლებლობას ხელიდან) იმ მოსაზრებაში, რომ ისინი ჰეტეროსექსუალები არიან (იხ. აგრეთვე თავი 5).

ლგბტქ ახალგაზრდები სკოლაში

საკუთარ სექსუალობაში გარკვევა, პირადი „მეს“ გრძნობის ჩამოყალიბება და გამჟღავნება (ან არგამჟღავნება) მოზარდი ახალგაზრდების სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის უმთავრესი საკითხია. თუმცა, ყველა ლგბტქ ახალგაზრდისათვის აუცილებლად რთული როდია ამ განვითარების ამოცანის გადაჭრა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ირგვლივ არსებული სოციალური გარემო (მაგ. სახლი, სკოლა), ვერ უზრუნველყოფს მათ ადეკვატურ სოციალურ მხარდაჭერას სექსუალობასთან და/ან გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

დიდ ბრიტანეთში (Hunt and Jensen,2006; Ryan and Rivers,2003), აშშ-ში (Ryan and Rivers,2003), ავსტრალიასა (Hillieret al.,2005) და ახალ ზელანდაში (Nairn and Smith,2003) ჩატარებული კვლევები გამუდმებით ამტკიცებს, რომ სკოლები წარმოადგენს განსაკუთრებულად პრობლემურ ადგილს ლგბტქ ახალგაზრდისათვის. კერძოდ, ჰომოფობიური ბულინგი (მუქარა/დაშინება/წვალება/აბუჩად აგდება) სხვა მოსწავლეთა მხრიდან (და ზოგ შემთხვევაში მასწავლებელთა მხრიდანაც), მიანიშნებს იმაზე, რომ ბევრი ლგბტქ ახალგაზრდა დღის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს იმ გარემოში, რომელიც ზიანს აყენებს მის სწავლა-განათლებას, ისევე, როგორც ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. 1145 ლგბტქ ახალგაზრდის კვლევამ ბრიტანეთში (Hunt and Jensen,2006) გამოარკვია, რომ გამოკითხულთა 65%-ს აქვს განუცდია ჰომოფობიური მუქარა/ბულინგი. თითქმის ყველა რესპონდენტს აქვს გაგებული მისი მისამართით დამამცირებელი ტონით ნათქვამი ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა „dyke“#, „poof“ და „you’re so gay“. ჰომოფობიური ბულინგის მსხვერპლთა 92%-მა ვერბალური/სიტყვიერი ჰომოფობია განიცადა, 41%-ს ფიზიკურად გაუსწორდნენ და 17%-ს მოკვლით დაემუქრნენ. ლგბტქ ახალგაზრდები ასევე ხშირად ყვებიან, რომ თანატოლებმა ისინი გარიყეს. ეს ინციდენტები ხელს უწყობს მტრული კლიმატის ჩამოყალიბებას, რაც იწვევს ლგბტქ ახალგაზრდების გაუცხოებას (იხ. ჩანართი 7.5).

ჩანართი 7.5. მთავარი მკვლევარი: იან რივერსი: „რატომ ვსწავლობ ჰომოფობიურ მუქარას/ბულნგს“

1987 წელს Journal of Personality-მ გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მამაკაცებს, რომლებიც სკოლის პერიოდში ბულინგის მსხვერპლი იყვნენ, ზრდასრულ ასაკში ხანგრძლივი ინტიმური

ურთიერთობების დამყარება უჭირდათ. რაკი ამ თემაზე დისერტაციის დაწერა მქონდა გადაწყვეტილი, კვლევა არამც თუ საინტერესო აღმოჩნდა, არამედ, კითხვისას, ძალიან დამაინტრიგა ავტორის მიერ გამოყენებულმა ნიმუშის ჩარჩომ. სხვა კვლევების მსგავსად, ავტორი ამერიკული კოლეჯების სტუდენტებს იკვლევდა. თუმცა, თავის ანალიზსა და მოვლენების აღწერაში მან შეიყვანა მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალებად მიიჩნევდნენ და გვერდი აუარა მათ (13%-ს), რომლებმაც სხვა იდენტობა დააფიქსირეს. მე მოვიძიე ლიტერატურა, რათა მენახა ხომ არ ჩატარებულა ამ ჯგუფის შემდგომი კვლევა, რათა დამედგინა იგივე შედეგი იქნებოდა თუ არა და ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩვენს ცოდნაში არსებული სიცარიელის მიუხედავად, არავითარი შემდგომი დაკვირვება არ ჩატარებულა. ჩემი კვლევის გეგმა დასახული იყო.

1993 წელს, როცა პირველად დავიწყე მუშაობა ლექტორად, ძალიან გამიმართლა, რომ შემხვდა ისეთი ფაკულტეტის დეკანი, რომელმაც მცირე ბიუჯეტი გამომიყო კვლევის ჩასატარებლად. ჩემთვის ამ ფულის მოცემის მისეული მიზეზი მარტივი იყო: „ვფიქრობ, ისინიც (ლესბოსელები და გეები) არიან ბულინგის მსხვერპლნი“. 500-ფუნტიანი ბიუჯეტიდან აღმოცენდა პირველი კვლევა ჰომოფობიურ ბულინგსა და მის ხანგრძლივმოქმედ კორელატებზე (Rivers,2001). სამ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე შევძელი ბულინგის 190 ყოფილი მსხვერპლის შესახებ მონაცემების შეგროვება. ისინი დაწვრილებით ყვებოდნენ სკოლის პერიოდის დროინდელ გამოცდილებაზე, რაც მათ მიმართ ხანგრძლივი სისტემატური შეურაცხყოფის საფუძველი გახდა. ამის შემდეგ მონაწილეებს ვთხოვე, შეევსოთ შემდეგი კითხვარი, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ხანგრძლივმოქმედ კორელატებზე (დეპრესია, შიში, პოსტტრავმული სტრესი, ურთიერთობებით კმაყოფილება, სუიციდური აზრები და ბულინგი სამსახურში). საბოლოო ჯამში, ჩავწერე ინტერვიუების მთელი სერია.

ათი წელი გავიდა და ეს კვლევა ჯერ ისევ აქტუალურია. არსებობს ბევრი და უფრო ფართო ყოვლისმომცველი პოტენციური და რეტროსპექტული კვლევა ჰომოფობიური მუქარის/ბულინგის შესახებ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ავსებს ამ კვლევას. მე ვაგრძელებ ჰომოფობიური ბულინგის შესწავლას, რადგან ვნახე, თუ როგორ გამოიყენეს ჩემი კვლევა (მაგ. Rivers, 2000; 2001) პოლიტიკოსებმა, რათა ბრიტანეთი იგნორირების პოზიციიდან თვითკმაყოფილების პოზიციაში გადაეყვანათ. ნიშნავს კი სკოლის შემოწმებისას უჯრაში აღნიშვნის გაკეთება იმას, რომ სკოლა მართლა უსაფრთხოა? მე ვაგრძელებ ჩემს სამუშაოს, რადგანაც ვხედავ, რომ შემუშავებული სისტემა ვერ ჩაწვდა ჩემი კვლევის სიფაქიზეს. მართლა ჩამორჩებიან თუ არა ჰომოფობიური ბულინგის მსხვერლპნი

აკადემიურად სკოლაში? მე ასე არასოდეს ვიტყოდი. დასასრულს, მუშაობას ვაგრძელებ, რადგანაც გამუდმებით ვეძებ უკეთეს გზას ჰომოფობიური ბულინგის გასაზომად და მისი გრძელვადიანი შედეგების შესაფასებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში საკმაოდ გაზრდილია ჰომოფობიური ბულინგის წილი, ცოტა რამ თუ კეთდება (თუკი საერთოდ კეთდება რამე) ამ საკითხების მოსაგვარებლად. დიდ ბრიტანეთში, სკოლების მხოლოდ 6%-ზე ნაკლებს აქვს ბულინგის შესახებ ისეთი ნორმები, რომელიც უშუალოდ ჰომოფობიურ ბულინგს ეხება, მიუხედავად მთავრობის განკარგულებისა (DfEE Circular 10/99), სადაც აღნიშნულია, რომ კლასის დამრიგებლებს სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რათა „აღკვეთონ ბულინგის ყველა ფორმა - მათ შორის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ბულინგი“ (Warwick et al., 2001: 133). ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო სხვადასხვა პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული და სექსუალობის მრავალფეროვნების აღიარებასა და ჰომოფობიის შემცირებას ავსტრალიის სკოლებში, ძალიან მცირეა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ამ ჩარევამ რაიმე ზეგავლენა იქონია (Hillier et al., 2005). მაშინ, როცა მასწავლებლები არ ეწევიან სექსუალური და გენდერული მრავალფეროვნების აქტიურ პროპაგანდას, იშვიათად აქცევენ ყურადღებას ჰომოფობიურ ბულინგს, და ზოგ შემთხვევაში თავად ქმნიან ამ ცრურწმენებს, გასაკვირი არაა, რომ ჰომოფობიური ბულინგი სკოლებში შესაფერისად ანგარიშგაწეული არ არის და რომ ლგბტქ ახალგაზრდები ვერ გრძნობენ მხარდაჭერას. ამას კიდევ უფრო ამძიმებს ლგბტქ საკითხებისა და პრობლემების ჩაურთველობა სასკოლო კურიკულუმებში. დიდ ბრიტანეთში, ლგბტქ ადამიანების 30%-ზე ნაკლებს უსწავლია რაიმე ლესბოსელებისა და გეების შესახებ სკოლაში (Hunt and Jensen,2006), მაშინ როცა ავსტრალიაში ასეთი ადამიანების რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა და 20%-ზე ნაკლებს შეადგენს (Hillier et al.,2005). მეტიც, უშუალოდ დაკავშირებულ საგნებში, როგორიცაა პიროვნული, სოციალური და ჯანმრთელობის განათლება დიდი ბრიტანეთში (Personal, Social and Health Education - PSHE), და პიროვნული განვითარება ჯანმრთელობა და ფიზიკური განათლება ავსტრალიაში (Personal Development, Health and Physical Education -PDHPE), ლგბტქ საკითხები და პრობლემები იშვიათადაა განხილული. ამგვარად, იმ დროს, როცა განსხვავებული სქესის ადამიანების ურთიერთობებისა და უსაფრთხო ჰეტეროსექსის შესახებ ინფორმაცია და რეკომენდაციები ფართოდ ხელმისაწვდომია, არ არსებობს ინფორმაცია ერთსქესიანი ურთიერთობებისა და სექსუალური პრაქტიკის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ ადამიანები მათი სექსუალობის ან გენდერული იდენტობის გარდა შესაძლოა ბულინგის მსხვერპლი სხვა მიზეზის გამოც გახდნენ, კონკრეტულად ჰომოფობიური, ბიფობიური (ბისექსუალების მიმართ შიში) და ტრანსფობიური ბულინგის პრობლემა სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული. სავალდებულო არაა ბულინგის სამიზნე იყოს ლგბტ, იმიტომ რომ ჰომოფობიური ბულინგის ერთ-ერთი მიზანია გენდერული კონფორმულობის და ჰეტეროსექსუალობის, როგორც ნორმის დამკვიდრება (Sharpe, 2002). მაგალითად, გოგონები, რომელთა გარეგნობა ან ქცევა არ არის სტერეოტიპულად ქალური/ფემინური ('butch girls') და ბიჭები, რომელთა გარეგნობა ან ქცევა არ არის სტერეოტიპულად მამაკაცური/მასკულინური ('effeminate boys') შეიძლება, აგრეთვე, იყვნენ ჰომოფობიური ბულინგის ობიექტები. ამავე დროს, ამგვარ შემთხვევებს ლგბტქ ახალგაზრდები უფრო მძაფრად განიცდიან, ის ქმნის ცრურწმენის კლიმატს, რომელიც ეხება ყველა ახალგაზრდას, განურჩევლად მისი სექსუალური თუ გენდერული იდენტობისა. მიუხედავად იმისა, რომ ჰომოფობიური ბულინგი უმეტესწილად შემახილებში ვლინდება, ანუ ისეთი ტერმინების გამოყენებაში, როგორიცაა 'poof' და 'lezzie' - ბულინგის ზოგი ფორმა ბევრად უფრო სერიოზულია. ამგვარი ინციდენტები მოიცავს ფიზიკურ ძალადობას (დარტყმას, მუშტის კვრას, ხელისკვრას, გაუპატიურებასა და საკუთრების მოპარვას ან დაზიანებას).

ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური ბულინგის შედეგად, ბევრმა ლგბტქ ახალგაზრდამ შეიმუშავა ამგვარი თავდასხმების თავიდან აცილების სტრატეგია. ფაქტებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მიმართავს გაცდენას, რათა ბულინგი აირიდოს თავიდან (იხ. Carragher and Rivers, 2002; Rivers, 2000) და ზოგიც „ხილვადობის მართვას". ამერიკელი ფსიქოლოგები იონ ლაზერი(Jon Lasser) და დებორა თარინგერი (Deborah Tharinger) (2003) ხილვადობის მართვას/მენეჯმენტს განმარტავენ, როგორც მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ლგბტქ მოზარდები იღებენ ფრთხილ, გეგმიურ გადაწყვეტილებებს, გაამჟღავნონ თუ არა თავიანთი სექსუალობა და გენდერული იდენტობა, და თუ გაამჟღავნონ - ვისთან, და როგორ შეძლებენ, აწარმოონ თავიანთი თვითპრეზენტაციის მონიტორინგი ისე, რომ თავიდან აიცილონ ამასთან დაკავშირებული დავიდარაბა. ეს შესაძლოა გულისხმობდეს ჩაცმულობის, საუბრის მანერისა და ჟესტების შეცვლას ან განსხვავებული სქესის ადამიანთან პაემანზე სიარულს, რათა სხვები დაარწმუნონ, რომ ისინი გენდერულ სტერეოტიპებს შეესაბამებიან და შეძლონ „თავი გაასაღონ" ჰეტეროსექსუალებად (უკანასკნელი კვლევები გვიჩვენებს, რომ

ჩაცმულობა და გარეგნობა ახალგაზრდებისათვის ლგბ იდენტობის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია (იხ. Clarke and Turner,2007).

თუმცა, ლგბტქ ახალგაზრდებისათვის სკოლის გარემოში მთავარ გამოწვევად მასწავლებელთა მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა რჩება. ზოგიერთ შემთხვევაში, სახეზეა მასწავლებელთა მხრიდან ლგბტქ ახალგაზრდებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების აქტიური და პასიური მხარდაჭერა და ზოგჯერ, თავად მასწავლებლებიც კი ღებულობენ მონაწილეობას ფიზიკურ, ვერბალურ და ემოციურ აგრესიაში (Rivers, 2000). ამას გარდა, ლგბტქ ახალგაზრდებს ხშირად საქმე აქვთ ისეთ მასწავლებლებთან, რომლებიც დაბნეულები არიან, ძალა არ შესწევთ ან არ სურთ მათი პრობლემების გადაწყვეტა. თუმცა, შესაძლოა დიდ ბრიტანეთში ასეთი ქცევა ნაწილობრივ N28 სექციის მემკვიდრეობით იყოს განპირობებული. კანადურმა კვლევამ, ინტერვიუებზე დაყრდნობით (Mishnaet al., 2008), აჩვენა, რომ ლგბ ახალგაზრდებთან მომუშავეთა მხრიდან ჰომოფობიური ბულინგის საკითხისადმი გულგრილობის რამდენიმე მთავარი მიზეზი არსებობს: მათ არ სჯერათ, რომ ლგბ ახალგაზრდები არსებობენ, არ მიიჩნევენ ჰომოფობურ ბულინგს სეროზულ პრობლემად და ეშინიათ, რომ თავადაც გახდებიან ბულინგის მსხვერპლნი.

ლგბქ ახალგაზრდების შესახებ დიდი ბრიტანეთის სკოლებში ჩატარებული უკანასკნელი კვლევა (Hunt and Jensen, 2006) ავითარებს მოსაზრებას, რომ სკოლებში, სადაც ჰომოფობიური ბულინგი არასწორ საქციელად მიიჩნევა, სადაც მასწავლებლები რეაგირებას ახდენენ ჰომოფობიურ ინციდენტებზე და სადაც მოსწავლეებს დადებითად აწვდიან ინფორმაციას ლესბოსელებთან და გეებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ნაკლებია ლგბქ ახალგაზრდების ბულინგის შემთხვევები და ისინი თავს უსაფრთხოდ და ბედნიერად გრძნობენ სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ მაგალითში მოყვანილი არაა, სავარაუდოდ იგივე შეიძლება ითქვას ტრანსგენდერ ახალგაზრდებზეც. სკოლის მხრიდან მხარდაჭერის არარსებობის შემთხვევაში, სათემო ახალგაზრდული ლგბტქ ჯგუფები ცდილობენ, ხელი შეუწყონ ახალგაზრდების კარგად ყოფნას და უზრუნველყონ მათთვის უსაფრთხო სივრცეების არსებობა, სადაც ლგბტქ ახალგაზრდებს შეეძლებათ შეიკრიბონ და უკეთ შეიმეცნონ საკუთარი თავი თუ თავიანთი სექსუალური/გენდერული იდენტობები. (Crowleyet al., 2007; Warwick et al., 2001). თუმცა, ძირითადად, ასეთი ინიციატივები რამდენიმე დიდ ქალაქში არსებობს და ამიტომაც იოლად ხელმისაწვდომი არაა ლგბტქ ახალგაზრდების უმეტესობისათვის.

ჰომოფობიური ბულინგის ფსიქოლოგიური შედეგები და სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა ლგბტქ ახალგაზრდების შეშფოთების მიზეზია.

მაგალითად, კანადელმა ფსიქოთერაპევტმა ფეი მიშნამ და მისმა კოლეგებმა (2008) აღნიშნეს, რომ ჰომოფობიურ ბულინგს გააჩნია როგორც ფსიქოლოგიური (მაგ. დაბალი თვითშეფასება, შიში და დეპრესია) ასევე სოციალური გავლენა (მაგ. ჩაკეტილობა, თანატოლებისაგან გაუცხოება). როგორც გაირკვა, ლგბტქ ახალგაზრდებში უფრო დიდია სუიციდის/თვითმკვლელობის რისკი და სტატისტიკურად უფრო მაღალია ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარების მაჩვენებლები, სკოლის გაცდენა და სკოლიდან გაგდება (Rivers,2000). მიუხედავად ამ სფეროში არსებულ შრომათა სიმწირისა (მაგ. მცირე მაგალითები ლოკალიზებული გარემოდან), დაბეჯითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰომოფობიურ, ტრანსფობიურ და ბიფობიურ ბულნგს გააჩნია უარყოფითი შედეგები და რომ სასკოლო კლიმატი არ გვევლინება ლგბტქ საკითხების მხარდამჭერად. თუმცა, საკმაოდ მწირია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად „რისკის ქვეშ“ არიან ლგბტქ ახალგაზრდები და კერძოდ, რომელი ლგბტქ ახალგაზრდები არიან განსაკუთრებით დაუცველნი.

იდენტობაში გარკვევა და თემის პოვნა

როგორც აღვნიშნეთ, სკოლასა და სახლში უკიდურესად შეზღუდულია ლგბტქ საკითხების განხილვის შესაძლებლობები. აგრეთვე, ძალიან მცირეა იმ სოციალური სივრცეების რაოდენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სექსუალობასა და გენდერულ იდენტობაში გარკვევა. მაგალითად, თუმცა კი არსებობს, - უკიდურეს შემთხვევაში დიდ ქალაქებში მაინც - „გეი“ ღამის კლუბები, ეს გარემო მეტად სექსუალიზებული და ხმაურიანია. აქედან გამომდინარე, ის შორსაა ისეთი სოციალური გარემოსაგან, რომელიც საჭიროა სექსუალობისა და გენდერული იდენტობის ემოციური და სოციალური ასპექტების ჩამოსაყალიბებლად და იძლევა სოციალური მხარდაჭერის ქსელის შექმნისა და ინფორმაციის მოძიების მცირე შესაძლებლობას მაინც. ამის გამო ლგბტქ ახალგაზრდებში ხშირია მხარდაჭერისა და მეგობრობის ალტერნატიული წყაროების ძიების შემთხვევები.

ისტორიულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლგბტქ ახალგაზრდები ძირითადად ერთმანეთს ხვდებიან ლგბტქ სათემო ჯგუფებში (მაგ. გამჟღავნების/ქამინგ-აუთის ჯგუფები; ლგბტქ ახალგაზრდების ჯგუფები). ასეთ ჯგუფებს დაეკისრათ გამჟღავნების/ქამინგ აუთის პროცესში ახალგაზრდების მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ფუნქცია - ისინი წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს და შეხების იმ წერტილს, სადაც შესაძლებელია ფართო ლგბტქ თემთან დაკავშირება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგან ეს ჯგუფები აგრძელებენ ზრდასა და აღმავლობას, მათ ხშირად არ გააჩნიათ დაფინანსება და თანამშრომლები მოხალისეებად მუშაობენ, ამიტომ ისინი

ბევრი ლგბტქ ახალგაზრდისთვის რთულად ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, ეს ჯგუფები ტიპურად მდებარეობს დიდ ქალაქებში და დასასწრებად საჭიროა, ახალგაზრდას გააჩნდეს გარკვეული დამოუკიდებლობა და მდგომარეობა, ჰქონდეს გარკვეულწილად გამჟღავნებული სექსუალობა/გენდერული იდენტობა. ასევე, უმეტეს შემთხვევებში, დამსწრეთა მინიმალური ასაკი 14-16 წელია.

ბევრი ლგბტქ ახალგაზრდისათვის ინტერნეტმა მოახდინა რევოლუცია სექსუალურ და გენდერულ იდენტობაში გარკვევის შესაძლებლობების მხრივ, ისევე როგორც, ინფორმაციისა და მხარდაჭერის ძიებისა და სხვა ლგბტქ ადამიანებთან დაკავშირების შესაძლებლობების კუთხით. აშშ-სა და ავსტრალიაში ჩატარებულმა კვლევამ (მაგ. Hillier and Harrison,2007; Thomas et al., 2007) შეისწავლა ინტერნეტის როლი ლგბ ახალგაზრდების იდენტობის ჩამოყალიბებასა და გამჟღავნებაში/ქამინგ აუთში (იხ. აგრეთვე, თავი 8). ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, რასაც ინტერნეტი ადამიანებს სთავაზობს, არის ინფორმაციის მოძიებისას და სხვებთან დაკავშირებისას ანონიმურობის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ჯერ ისევ ცდილობენ საკუთარ სექსუალობაში გარკვევას, ისევე როგორც მათთვის, რომლებიც თავიანთ სოციალურ და ოჯახურ გარემოში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ საკუთარი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის გასამჟღავნებლად. ინტერნეტი ახალგაზრდებს სთავაზობს სივრცეს, სადაც მათ შეუძლიათ იყვნენ უფრო დარწმუნებულნი საკუთარ „მე“-ში, და სადაც მათ, გამჟღავნებაში ვარჯიშით, შეუძლიათ გაერკვნენ იმაში, თუ რას ნიშნავს იყო ლგბტ, გაიჩინონ ონლაინ მეგობრები და ჩაერთონ კიბერსექსში ისე, რომ რისკის ქვეშ არ დააყენონ თავიანთი ანონიმურობა. ინტერნეტი ასევე ასრულებს ლგბტქ საკითხების (ისეთებისა, როგორიცაა ქამინგ აუთი და უსაფრთხო სექსი - ინფორმაცია, რომელიც სხვაგან უმეტესწილად არ არსებობს) საინფორმაციო ბაზის ფუნქციას.

კერძოდ, ჩეთ-რუმები (chat room) შეიქმნა იმისათვის, რომ მომხმარებლისათვის შეეთავაზებინა ეფექტური სოციალური ხელსაწყო, რომელიც დაეხმარებოდა მას ემოციური (მაგ. სიმორცხვე; შიში) და სოციალური (მაგ. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; მშობლებთან თანაცხოვრება) ბარიერების გადალახვაში. ამ კუთხით, ჩეთ-რუმები ასრულებენ მთავარ როლს ქამინგ აუთის პროცესში თვითგამორკვევის ხელშესაწყობად, იძლევიან რა ლგბტქ ცხოვრების შიშის დაძლევის, სოციალური მხარდაჭერის მოპოვების, ლგბტქ თემში გაწევრიანებისა და პოტენციური პარტნიორების მოძიების შესაძლებლობას. როგორც ახალგაზრდები ამბობენ, ისინი არაერთგზის იყენებენ ასეთ ფორუმებს ახალი სოციალური წრეების ჩამოსაყალიბებლად,

რომლებიც შესაბამისად განვითარებას პოულობს რეალურ მეგობრობასა და ურთიერთობებში.

ტრანსგენდერი ადამიანები განსაკუთრებით დაუცველნი არიან იზოლირებისა და სოციალური გარიყულობის წინაშე. ტრანსგენდერ ახლგაზრდებს ინტერნეტი სთავაზობს დამატებით შესაძლებლობას იმით, რომ იგი არ მოითხოვს პირისპირ კონტაქტს და ადამიანებთან ურთიერთობა შესაძლებელია ფიზიკური ნიშნების სირთულის გარეშე. ეს ჩანს შემდეგ ამონარიდში, სადაც ბილი (FTM ტრანსგენდერი) აღწერს, თუ როგორ იყენებს ინტერნეტს სხვა ტრანსგენდერებთან დასაკავშირებლად:

მე შემიძლია ვიყო „მე“. მე მაქვს ფიქრის საშუალება, სანამ დავბეჭდავ. ასე რომ, როცა სხვებთან ლაპარაკი მიჭირს, ამით არაფერს ვაფუჭებ. მე შემიძლია, ვეკონტაქტო ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს მთელს მსოფლიოში. მე შემიძლია ვეკონტაქტო მათ, როგორც ბიჭი (ანუ რაც ვარ) და გავეცნო სხვა ადამიანების გამოცდილებებს. იმ ფაქტს, რომ მე ბიოლოგიურად (ვაი რომ) ქალი ვარ, არა აქვს მნიშვნელობა. ჩემი სახეც დ ხმაც დაფარულია. ასე რომ, ერთადერთი, რასაც სხვები ჩემგან გებულობენ, ჩემი აზრებია. (ციტირებულია Hillieret al., 2001: 56).

როგორც გაირკვა, ინტერნეტის ჩეთ-რუმის ის ასპექტები, რასაც მშობლები და მასწავლებლები პრობლემურად მიიჩნევენ იმის გამო, რომ დაუცველი ახალგაზრდების ექსპლუატაციის საშუალებას აჩენენ, სწორედ ის ასპექტები გახლავთ, რომლებიც გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევიან, განსაკუთრებით ტრანსგენდერი ახალგაზრდებისათვის. მეტიც, როგორც ავსტრალიელი სოციოლოგები ლაინ ჰილიერი და ლინ ჰარისონი აღნიშნავენ (2007), ლგბტქ ახალგაზრდები საკმაოდ კარგად ერკვევიან იმაში, თუ რამდენად განავითარონ ინტერნეტით დამყარებული მეგობრობა და ურთიერთობები. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ლგბტქ ახალგაზრდები არ ხდებიან მოძალადე ზრდასრული ადამიანების მსხვერპლი, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი უკვე იყვნენ იდენტობასთან დაკავშირებული რისკის ქვეშ ფიზიკურ სოციალურ სამყაროში, უკეთ აცნობიერებენ ვირტუალური სამყაროს პოტენციურ რისკებსაც. თუმცა, ასეთი საკითხები ჯერ კიდევ არაა კარგად გამოკვლეული, რადგან , ძნელია განსაზღვრო, თუ როგორია მსგავსება ფიზიკურ და ვირტუალურ გარემოში არსებულ რეალურ და მოსალოდნელ რისკებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ფართოდ იყენებენ ინტერნეტს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყველას ერთნაირად არ აქვს მასზე ხელმისაწვდომობა. მაგალითად, ეროვნული სტატისტიკის ოფისის (ესო) მიხედვით, დიდ ბრიტანეთში ოჯახთა სავარაუდოდ მხოლოდ 57%-ს აქვს ინტერნეტზე წვდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდების არცთუ

უმნიშვნელო უმცირესობა (მათ შორის ლგბტქ ახალგაზრდები) მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს ინტერნეტში არსებულ თემებსა და ინფორმაციას. მეტიც, მათაც კი ვისაც ინტერნეტი აქვს სახლში, უმეტეს შემთხვევებში აქვს საზიარო კომპიუტერი ოჯახის სხვა წევრებთან, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანწილად შეზღუდოს ლგბტქ სპეციფიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

- ძალიან შეზღუდული ინფორმაცია მოგვეპოვება ახალგაზრდა ტრანსგენდერების გამოცდილების შესახებ ტრანსგენდერად იდენტიფიკაციასა და სხვებთან გამჟღავნების/ქამინგ აუთის თაობაზე.
- ფსიქოლოგები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ იმ მეთოდებს, სადაც სექსუალობა და გენდერი კვეთენ სხვა ფაქტორებს (მაგ. რასა, კულტურა, რელიგია, უნარი, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსი და სოციალური კლასი) და ამ სხვა ფაქტორების ზეგავლენას იდენტობის ჩამოყალიბებისა და გამჟღავნების პროცესზე.
- ვირტუალურად არაფერია ცნობილია იმ ლგბტქ ახალგაზრდების გამოცდილებების შესახებ (დასაქმებულები არიან თუ არა), რომლებმაც სწავლა-განათლება მიატოვეს და არც მათთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხების თაობაზეა ცნობილი რამე.
- არაჰეტეროსექსუალად გამჟღავნების შესახებ არსებულ კვლევათა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდებზე; ცოტა რამაა ცნობილი გამჟღავნების/ქამინგ-აუთის შესახებ ცხოვრების გვიანდელ წლებში.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- გამოკვეთილია ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბების რამდენიმე კლასიკური მოდელი და გაკრიტიკებულია ქამინგ აუთისადმი საფეხურებრივი მოდელის მიდგომა.
- განხილულია სექსუალური ცვალებადობა ახალგაზრდებში და უფრო ზოგადად - ცხოვრების განმავლობაში.
- განხილულია ლგბტქ ახალგაზრდების გამოცდილებები ოჯახებთან და მეგობრებთან საკუთარი სექსუალობის/გენდერული იდენტობის გამჟღავნების შესახებ.

- გამოკვლეულია ლგბტქ ახალგაზრდების სკოლისდროინდელი გამოცდილებები ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ ბულინგზე დაყრდნობით.
- მიმოხილულია ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ლგბტქ ახალგაზრდები ადგენენ საკუთარ იდენტობას და პოულობენ თემს.

კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები

1. არის ლგბტქ ახალგაზრდების გამოცდილება უპირობოდ ნეგატიური? რის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლგბტქ ახალგაზრდებს გააჩნიათ ლგბტქ-ად ყოფნის/გახდომის დადებითი გამოცდილება?

2. პირველად როდის აღმოაჩინეთ, რომ ჰეტეროსექსუალი/ლესბოსელი/გეი/ ბისექსუალი/ტრანსგენდერი/ქვიარი იყავით? როგორ შეიტყვეთ? რა ახსნა მოგეპოვებათ (თუ გაქვთ საერთოდ რაიმე ახსნა) თქვენი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ?

3. დაფიქრებულხართ თუ არა ოდესმე, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე, საკუთარი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შეცვლაზე? რამ გაფიქრებინათ შეცვლა? გენდერის/სექსუალობის შესახებ არსებულ რომელ თეორიულ ვარაუდს ემყარება თქვენი დასკვნა?

4. წარმოიდგინეთ, რომ დაგევალათ თქვენს სკოლაში ანტიჰომოფობიური, ანტიბიფობიური და ანტიტრანსფობიური ბულინგის კამპანიის მოწყობა. რა ინფორმაციას მოუყრიდით თავს? როგორ აამაღლებდით ცნობიერებას სკოლებში არსებული ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური ბულინგის შესახებ? რა ზომებს გაატარებდით ამგვარ ბულინგთან საბრძოლველად?

5. რაში მდგომარეობს ლგბტქ იდენტობის ჩამოყალიბების ეტაპების მიხედვით თეორიზების უპირატესობა და ნაკლი? შეეცადეთ, შეიმუშავოთ თქვენი საკუთარი მოდელი იდენტობის ერთი ან ყველა კატეგორიისათვის. რით აჯობებდა ის არსებულ მოდელებს?

თავი 8

ურთიერთობები

თავის მიმოხილვა

- ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება
- ერთ და სხვადასხვასქესიანი ურთიერთობების შედარება
- სექსუალური პრაქტიკა
- ნორმატიულ წყვილს მიღმა

ლგბტ ურთიერთობების შესახებ უამრავი სტერეოტიპი არსებობს, მათ შორისაა მოსაზრება, თითქოს არაჰეტეროსექსუალ ადამიანებს არ შეუძლიათ ინტიმური ურთიერთობების ქონა და მარტოსულები არიან; რომ ერთსქესიანი ურთიერთობები არასტაბილურია და ბაძავს ტრადიციულ ჰეტეროსექსუალურ როლებს; და რომ გეი მამაკაცებსა და ბისექსუალებს ბევრი სექსუალური პარტნიორი ჰყავთ (და ეს ნეგატიური მოვლენაა). როგორც ამ თავში ნახავთ, ერთსქესიანი ურთიერთობების კვლევები აჩვენებს, რომ ეს სტერეოტიპები მცდარია და ხშირად ასახავენ ნორმატიულ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „კარგი“ ურთიერთობა. ერთი და იგივე სქესის/გენდერის მქონე ადამიანებთან. ტრანსი და ბისექსუალი ადამიანების ურთიერთობების შესახებ კვლევები ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში დღემდე მწირია. ამიტომ, ეს თავი უმეტესად ლესბოსელთა და გეების ურთიერთობების გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება

რადგან ერთსქესიანი ურთიერთობები ისტორიულად იყო მარგინალიზებული, პარტნიორობის უფლებები ლესბოსელებისა და გეებისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი გახდა (მაგრამ, იხ. Kandaswamy, 2008). ელიზაბეთ პილმა და სოციოლოგიისა და სამართლის მკვლევარმა როზი ჰარდინგმა ინტერნეტ კვლევა ჩაატარეს 1538 ლგბტქ ადამიანთან ოცდაშვიდ ქვეყანაში. მათ აღმოაჩნეს, რომ მონაწილეთა 94.5 პროცენტი თანხმდება, რომ ერთსქესიან წყვილებს უნდა ჰქონდეთ ქორწინების შესაძლებლობა განსხვავებული სქესის მქონე წყვილების მსგავსად (Harding and Peel,2006). სამართლებრივი აღიარების არარსებობას უარყოფითი შედეგები აქვს ლგბტქ ადამიანებისათვის. შერონ კოვალსკის აღწერილი აშშ-ის შემთხვევა კარგი მაგალითია. შერონი და მისი პარტნიორი კარენ ტომპსონი ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად, როცა 1998 წელს შერონმა მიიღო მძიმე დაზიანება ავარიის შედეგად. კარენს სურდა,

შერონისათვის დახმარება სახლში გაეწია და მასზე ეზრუნა, თუმცა შერონის მშობლებმა ის სპეციალურ მომვლელთა სახლში მოათავსეს და ორ ქალს შორის კავშირს ხელი შეუშალეს. დაახლოებით ათწლიანი სამართლებრივი დავის შემდეგ, კარენმა ბოლოს და ბოლოს შეძლო შერონის სახლში წაყვანის ნებართვის მოპოვება (Townsend,1998). ასეთი მაგალითები გვიჩვენებს, რატომ არის ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მნიშვნელოვანი მრავალი ლგბტქ ადამიანისათვის.

უკანასკნელ წლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ცვლილება ერთსქესიანი წყვილებისათვის (განსაკუთრებით კი საშუალო ფენის გეი მამაკაცებისა და ლესბოსელებისათვის), მათი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარებაა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში (Peel and Harding, 2008). არსებობს რამდენიმე გამონაკლისი - აშშ და ავსტრალია ფედერალურ დონეზე, საბერძნეთი, ირლანდია და იტალია. სამართლებრივი აღიარების ტიპი ცვალებადია. 2008 წელს ჰეტერო-სექსუალური ქორწინების ეკვივალენტური ქორწინების ნების დამრთველი სამართლებრივი რეგულაცია 9 ქვეყანას ჰქონდა. უმეტესი ქვეყნების იურის-დიქციაში სამართლებრივი აღიარების სხვა მსგავსი ფორმები მოქმედებს, მათ შორის სამოქალაქო პარტნიორობა დიდ ბრიტანეთში (იხ. ჩანართი 8.1).

კიტზინგერი და ვილკინსონი (2006:177) ამტკიცებენ, რომ გენდერის მიუხედავად, ქორწინების თანაბარი შესაძლებლობის ქონა მნიშვნელოვანია, რადგან „ის ხელს შეუწყობს ისეთი კატეგორიების მუდმივად გამოყენების შემცირებას, როგორიცაა „მამაკაცი“, „ქალი“, „ლესბოსელი“/„გეი“/“ბისექსუალი“ და ა.შ.

ჩანართი 8.1. ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება მსოფლიოში

ამ სფეროში კანონები მუდმივად იცვლება და შესაძლებელია ერთსქესიანი ქორწინება ან მსგავსი კანონი უფრო მეტ ქვეყანასაც ჰქონდეს, როდესაც თქვენ ამ მონაცემებს წაიკითხავთ! ქორწინებასა და სხვა სამოქალაქო კავშირებს მეტი პასუხისმგებლობები და უფლებები ერთვის თან, ვიდრე ოჯახურ პარტნიორობასა და თანაცხოვრებას. აქ ჩამოთვლილი თარიღები აღნიშნავენ წელს, როდესაც კანონი ძალაში შევიდა. როგორც ნახავთ, დანია მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც პარტნიორთა უფლებების დანერგვა დაიწყო ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს.

ქორწინება

ჰოლანდია (2001), ბელგია (2003), კანადა (2005), ესპანეთი (2005), სამხრეთ აფრიკა (2006), ნორვეგია (2009) და აშშ-ს შტატები: მასაჩუსეტსი

(2004), აიოვა (2007) და კალიფორნია (2008)

სამოქალაქო კავშირი, სამოქალაქო პარტნიორობა, რეგისტრირებული პარტნიორობა

სამოქალაქო კავშირი: აშშ-ს შტატები: ვერმონტი (2000), კონეკტიკუტი (2005), ნიუ ჯერსი (2007), ნიუ ჰამპშირი (2008), ტასმანია, ავსტრალია (2004), ახალი ზელანდია (2005), რიო გრანდე დე სული, ბრაზილია (2004), მექსიკის ორი ნაწილი: ქალაქი მექსიკა (2006) და კოაუილას რეგიონი (2007).

სამოქალაქო პარტნიორობა: დანია (1989), შვედეთი (1995), ისლანდია (1996), გრინლენდი (1996), ჰოლანდია (1998), საფრანგეთი (1999), გერმანია (2001), ფინეთი (2002), ლუქსემბურგი (2004), ანდორა (2005), ჩეხეთი (2006), შვეიცარია (2007).

ოჯახური პარტნიორობა და თანაცხოვრების უფლებები

უნგრეთი (1996), სამხრეთ აფრიკა (1999), აშშ-ს შტატები: ჰავაი (1997), კალიფორნია (2000), მაინი (2004), ვაშინგტონი (2007), ორეგონი (2008) და ქალაქი ვაშინგტონი (2002), პორტუგალია (2001), ავსტრია (2003), ხორვატია (2003), იტალიის ზოგიერთი რეგიონი (2004), სლოვენია (2006), ავსტრალია: ურთიერთობის დარეგისტრირება შეიძლება ვიქტორიასა და ახალ სამხრეთ უელსში (2008), სამოქალაქო კავშირის (რომელსაც ფორმალური უფლებები არ აქვს) - ტასმანიასა (2004) და ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიაზე (2008).

საჭიროა არა „ერთსქესიანი ქორწინება“ ან „გეი ქორწინება“ არამედ ქორწინების (და სამოქალაქო პარტნიორობის) თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის, მათი გენდერისა და სექსუალობის მიუხედავად“. ისინი ასევე ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთის ახლანდელი მიდგომა ტრანსი, ინტერსექსუალი და ბისექსუალი ადამიანების მიმართ უსამართლოა, იმიტომ, რომ ქორწინების განსაზღვრება შემოიფარგლება ერთ ქალსა და ერთ მამაკაცს შორის კავშირით, სამოქალაქო პარტნიორობა კი - ორ მამაკაცსა და ორ ქალს შორის კავშირით. ეს გენდერულ საზღვრებს აწესებს და სქესისა და გენდერის ბინარულ განსაზღვრებებს ამლიერებს.

გენდერისა და სექსუალობის საფუძველზე სამართლებრივმა სეგრეგაციამ შესაძლოა ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუქმნას პრობლემები, განსაკუთრებით კი თუ ისინი ტრანსსექსუალები ან პოლიამურულები არიან და ერთდროულად ერთზე მეტი ურთიერთობა აქვთ. დიდ ბრიტანეთში მოღვაწე სოციოლოგი კრისტიან კლესის (2006b) მიხედვით, თანამედროვე ბრიტანული სამართლებრივი კონტექსტი ბისექსუალ არამონოგამიურ ურთიერთობებში მყოფ ადამიანებს ძალიან ურთულებს ცხოვრე-

ბას. პირველ რიგში, მათ უნდა აირჩიონ, პარტნიორთაგან რომელთან სურთ სამართლებრივად აღიარებული კავშირის ქონა, და მეორეც, თუ ისინი თავიანთ განსხვავებული სქესის პარტნიორთან იქორწინებენ, მათი ურთიერთობა ერთსქესიან ურთიერთობასთან შედარებით პრივილეგირებული იქნება (იხ. ჩანართი 8.2 იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია კანონს პრობლემები შექმნას ტრანსსექსუალ ადამიანთა ურთიერთობებში.

ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების შედეგები

ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების შესახებ მცირერიცხოვანი ემპირიული კვლევები არსებობს, თუმცა მათი რიცხვი მუდმივად იზრდება (e.g., Clarke et al ., 2006; Porche and Purvin, 2008). კვლევები ისეთ კითხვების ირგვლივ ტარდება, როგორიცაა:

- რა შედეგები აქვს სამართლებრივ აღიარებას ურთიერთობებზე? ან აქვს კი საერთოდ?
- რა გავლენას ახდენს ერთსქესიანი წყვილების სამართლებრივი აღიარება ფართო საზოგადოებაზე?
- არის თუ არა სხვაობა სამართლებრივად აღიარებულ და არაღიარებულ ერთსქესიან ურთიერთობებს შორის?
- როგორ უმკლავდებიან ერთსქესიანი წყვილები ურთიერთობების გაგებას ყოველდღიურ ცხოვრებაში?

თვისებრივი კვლევები, რომლებიც ერთსქესიანი წყვილების შეხედულებებს იკვლევენ სამართლებრივი აღიარების შესახებ, ამბობენ, რომ პარტნიორობის ყოველდღიური მიზეზებია: სიყვარული, უკვე არსებული ორმხრივი პასუხისმგებლობების დაცვა (მაგალითად, ლესბოსელ ოჯახში არაბიოლოგიური დედის როლი), ოჯახის წევრების მხრიდან ურთიერთობის აღიარების მოპოვება, სამართლებრივი და ფინანსური უფლებები, და ვალდებულებების საჯაროდ განცხადების მნიშვნელოვნება (Clarke et al ., 2007; Shipman and Smart, 2007).

აშშ-ს ლგბტქ ფსიქოლოგმა ეშტერ როთბლუმმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელიც სამ ჯგუფს ადარებდა: (1) სამოქალაქო კავშირში მყოფი ერთსქესიანი წყვილები; (2) ერთსქესიანი წყვილები, რომლებიც არ არიან სამოქალაქო კავშირში, (3) სამოქალაქო კავშირში მყოფი წყვილების ჰეტეროსექსუალი დაქორწინებული ოჯახის წევრები (e.g., Rothblum et al ., 2006). მათ მოიპოვეს ყველა სამოქალაქო კავშირის ყველა სერთიფიკატი, რომელიც ვერმონტში სამოქალაქო კავშირის დაწესების პირველ წელს გამოიცა (2000-2001) და ამ ერთსქესიან მოსახლეობას სთხოვეს, გამოკითხვაში მიეღოთ მონაწილეობა. რადგან ისინი სამ ჯგუფს

ადარებდნენ, გადაწყვიტეს, კვლევის შერჩევა იმ პირველ 400 დარეგისტრირებულ წყვილზე შეეჩერებინათ, რომლებიც თანახმანი იყვნენ, საკუთარი მეგობრები და ოჯახის წევრებიც ჩაერთოთ კვლევაში. ამ შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ თავის შემდეგ განყოფილებაშია განხილული, თუმცა ლესბოსელებსა და გეებს შორის, რომლებიც იმყოფებოდნენ ან არ იმყოფებოდნენ სამოქალაქო კავშირში, გარკვეული განსხვავებები იპოვეს. სამოქალაქო კავშირში მყოფი ლესბოსელი წყვილები უფრო ღიად საუბრობდნენ საკუთარ სექსუალურ იდენტობაზე, მეტად ურთიერთობდნენ თავიანთ დედებთან, და მეტად წარმოედგინათ საკუთარი თავი გათხოვილი, ვიდრე ლესბოსელ წყვილებს, ვინც არ იმყოფებიან სამოქალაქო კავშირში. სამოქალაქო კავშირში მყოფ გეი მამაკაცებს არარეგისტრირებულ გეი წყვილებთან შედარებით მეტი შვილები ჰყავთ (17 პროცენტი 9.7 პროცენტთან შედარებით), მეტად წარმოუდგენიათ საკუთარი თავი ქორწინებაში, სურთ კომუნიკაცია საკუთარი პარტნიორის დედასთან და ამბობენ, რომ მათი პარტნიორის მამა თავს ოჯახის წევრად აგრძნობინებთ. წყვილები, რომლებიც არ იმყოფებიან სამოქალაქო კავშირში, უფრო სერიოზულად ფიქრობენ ურთიერთობის დასრულებაზე. როგორც ჩანს, სამართლებრივ კავშირში მყოფ წყვილებს უფრო ახლო ურთიერთობები აქვთ თავიანთ ოჯახებთან, ისევე როგორც მათი პარტნიორების ოჯახებთან, და უფრო მეტად ჰგვანან ჰეტეროსექსუალ დაქორწინებულ წყვილებს.

ჩანართი 8.2. გენდერის აღიარების აქტის (2004) შედეგები ტრანსსექსუალ ადამიანებზე

გენდერის აღიარების აქტი (GRA, 2004), რომელიც დიდ ბრიტანეთში ერთ და სხვადასხვა სქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების სხვადასხვა დონეებთან არის დაკავშირებული, კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ახერხებს საზოგადოება სექსუალობისა და გენდერის რეგულირებას ისე, რომ ჰეტერონორმატიულობას პრივილეგია მიანიჭოს. GRA ტრანსსექსუალ ადამიანებს გენდერის შეცვლისას სრულ სამართლებრივ აღიარებას სთავაზობს, ასე რომ ტრანსსექსუალ ქალს (male-to-female (MTF)) შეუძლია სამართლებრივად დარეგისტრირდეს როგორც ქალი, ხოლო ტრანსსექსუალ მამაკაცს (female-to-male (FTM)) შეუძლია დარეგისტრირდეს მამაკაცად. როდესაც პირი გენდერის აღიარების სერთიფიკატს მოიპოვებს, მას შეუძლია ახალი დაბადების მოწმობაც აიღოს შესაბამისი გენდერით. ამ პირს შეუძლია სამოქალაქო პარტნიორობაში შევიდეს მისივე გენდერის პიროვნებასთან, ან იქორწინოს „საპირისპირო“ გენდერის მქონე პირთან.

მაგრამ რა ხდება, თუ ადამიანი უკვე ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში იმყოფებოდა, სანამ საკუთარ გენდერს დაარეგისტრირებდა? ბრიტანეთში რამდენიმე ასეთმა შემთხვევამ პრესის ყურადღება მიიპყრო :

დიან პარი, 66 წლის უელსელი პირი, რომელიც სულ მალე საკუთარი გენდერის სამართლებრივ აღიარებას მიიღებს, როგორც ქალი. მაგრამ, ეს ფაქტი ანიტასთან ორმოცდახუთწლიანი ქორწინების გაუქმებას და მათ სამოქალაქო პარტნიორებად დარეგისტრირებას გამოიწვევს. ქორწინების ანულირება, როგორც მისმა წარმომადგენელმა რეგიონულ გაზეთს - „Wales on Sunday“ - განუცხადა (1 იანვარი, 2006), ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ქორწინებაში მყოფი ადამიანებისათვის ფიზიკური განცალკევების ტოლფასია“. დიანი იძულებულია, საკუთარ გენდერსა და ქორწინებას შორის არჩევანი გააკეთოს.

2003 წელს 31 წლის ედინბურგელმა ფინანსურმა მენეჯერმა სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია გაიკეთა და ახლა პეტიცია წამოიწყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ, რადგან ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს საკუთარი ქალის გენდერის სამართლებრივად აღიარებას, თუკი საკუთარ 6 წლიან ქორწინებას გაუქმებს ქალთან. წყვილმა, ეროვნულ გაზეთ „the Sunday Times-ს“ (30 ოქტომბერი, 2005) განუცხადა: „მახეში გავებით. როდესაც დავქორწინდით, საჯარო ვალდებულების აღიარების განაცხადი გავაკეთეთ ჩვენი მეგობრებისა და ოჯახის წინაშე, რომ გაჭირვებასა თუ ლხინში ერთად ვიქნებოდით, და სულაც არ გვსურს დანაპირების შეუსრულებლობა... ეს კანონმდებლობა ჩვენს ადამიანის უფლებებს აღვევს, რადგან ეს სახელმწიფოს მხრიდან ჩვენს პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევაა... სამოქალაქო პარტნიორობა ქორწინების ტოლფასი სულაც არ არის“.

ერთ და სხვადასხვა სქესიანი ურთიერთობების შედარება

ურთიერთობების კვლევების ძირითადი ტრადიცია ერთ და სხვადასხვასქესიანი ურთიერთობების შედარებითი შესწავლაა. ეს კვლევები ერთ და სხვადასხვა სქესიან წყვილებს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებს აღწერს. თუმცა, ამ კვლევებში ყურადღება მსგავსებებზეა გამახვილებული, განსაკუთრებით კი ადრეულ ნაშრომებში, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ერთსქესიანი ურთიერთობები ისეთივე კარგია, როგორც ჰეტეროსექსუალური კავშირი, და სურდათ, შეწინააღმდეგებოდნენ ერთსქესიანი ურთიერთობების შესახებ არსებულ მითებს. ამ შედარებებში ძირითადი საკითხები იყო: ოჯახური სამუშაოს განაწილება, ურთიერთობით კმაყოფილება, მისი ხარისხი და თანხების მენეჯმენტი. ამჯერად ორ

საკითხს განვიხილავთ: ოჯახური სამუშაოს განაწილება და ურთიერთობით კმაყოფილება (თანხების გადანაწილების შესახებ იხ. Burns et al ., 2008; Clarke et al ., 2005).

ჰეტეროსექსუალური ქორწინების კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ ჰეტეროსექსუალი მამაკაცები უფრო და უფრო მეტად ერთვებიან ოჯახურ სამუშაოში, მთლიანობაში ოჯახური სამუშაოს პასუხისმგებლობა ჰეტეროსექსუალ ქალებს ეკისრებათ (გადაწყვეტილება, თუ რა უნდა გაკეთდეს და როდის) და ისინი მეტ ოჯახურ რუტინულ საქმეს აკეთებენ, ვიდრე მამაკაცები (Dryden, 1999). ამის საპირისპიროდ, კვლევების მიხედვით, ლესბოსურ და გეი ურთიერთობებში სამუშაო უკეთ გადანაწილებულია. წყვილთა უმეტესობა ამბობს, რომ ისინი ოჯახურ სამუშაოს იყოფენ. გეი მამაკაცები უმეტესად იყოფენ კონკრეტულ სამუშაოებს (მაგალითად: ერთი პარტნიორი საჭმელს აკეთებს, მეორე კი რეცხავს); ლესბოსელები კი ერთსა და იმავე საქმეებს იყოფდნენ (Kurdek,2007).

ლესბოსურ და გეი წყვილებსა და ოჯახებში მეტი პასუხისმგებლობა სტრუქტურული და იდეოლოგიური მიზეზებით აიხსნება (Patterson et al., 2004). ჰეტეროსექსუალ ურთიერთობებში მამაკაცები ჯერ კიდევ მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე ქალები, მეტ დროს ატარებენ სრულგანაკვეთიან სამუშაოზე და აქვთ უფრო მაღალი სტატუსის სამსახური, ვიდრე მათ ქალ პარტნიორებს (Equal Opportunities Commission, 2006). დღეს ადვილია იფიქრო, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის გენდერული სხვაობა აღარ არის, თუმცა, მაგალითად, ბრიტანეთში 2005 წელს, ქალსა და მამაკაცის ხელფასებს შორის განსხვავება 17.1% იყო სრულ განაკვეთიან სამსახურებში, და 38.4% ნახევარ განაკვეთზე. 5 წლამდე მცირეწლოვანი ბავშვების მამების 90% დასაქმებულია, ხოლო ქალების მხოლოდ 55% (Equal Opportunities Commission, 2006). ეს სტრუქტურული საკითხები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მამაკაცების მიერ აუნაზღაურებელი ოჯახური სამუშაოს არ შესრულების გასამართლებლად გამოიყენება.

შედარებისათვის, ლესბოსური და გეი წყვილების ურთიერთობებში უმეტესად ორმხრივი შემოსავალია (Peplau and Fingerhut, 2007). ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ ლესბოსური წყვილების სამუშაოების პრესტიჟი უმეტესად თანაბარია, და ისინი ასევე იდეოლოგიურად ეთანხმებიან ოჯახში აუნაზღაურებელი სამუშაოს თანაბრად შესრულებას (Dunne, 1997). თანასწორობის იდეოლოგიის მხარდაჭერა, ლესბოსურ წყვილებში და ოჯახებში მნიშვნელოვანწილად უკავშირდება კონვენციური (ჰეტეროსექსუალური) გენდერული ნორმების უარყოფას და ქალს, მამაკაცსა და მათ შვილებს შორის კავშირის დამკვიდრებულ ნორმებთან წინააღმდეგობას (Dunne, 2003). ბრიტანეთში მოღვაწე სოციოლოგი გილიან დუნი (1998:292) ამტკიცებს, რომ

მნიშვნელოვანია ერთსქესიან წყვილებში ოჯახური სამუშაოს გადანაწილების შესახებ შეთანხმებების შესწავლა: „იმის ცოდნა, თუ რისი მიღწევა შეიძლება ასეთ სიტუაციებში, დომინანტური ჰეტეროსექსუალური პრაქტიკის ალტერნატიულ მოდელს და მისი ეფექტურობის და სამართლიანობის შეფასების გზებს გვთავაზობს. ასევე, ეს ცოდნა სასარგებლოა იმ ბარიერების გამოსარკვევად, რომლებიც სქესთა შორის გენდერული თანასწორობის მიღწევას აფერხებს“. შესაბამისად, ოჯახური სამუშაოს გაყოფის კუთხით, ერთსქესიანი ურთიერთობები უმეტესად უფრო დადებითად ფასდება, ვიდრე ჰეტეროსექსუალური და შესაძლოა, ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს ეგალიტარული მოდელის მაგალითსაც სთავაზობდეს.

თუმცა, როგორც მეორე თავში მოკლედ აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ეჭვის თვალით უყურებს „თანასწორობის ნორმას“ ერთსქესიან წყვილებში და სვამს კითხვას, ეს კონკრეტული კვლევის მეთოდების, მიზნებისა და პოპულაციების ქმნილება ხომ არ არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ კვლევები უმეტესად თეთრკანიან, საშუალო კლასის შერჩევებს ეყრდნობა, როცა ორივე პარტნიორის თანაბარმა სოციალურმა ფონმა შესაძლოა გავლენა იქონიოს კვლევის შედეგებზე (Carrington, 1999; Gabb, 2004). აშშ-ს სოციოლოგმა კრისტოფერ კარინგტონმა (1999) ეთნოგრაფიული დაკვირვებისა და ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით ორმოცდათორმეტი ერთსქესიანი წყვილი იკვლია სან-ფრანცისკოში. მან აღმოაჩინა, რომ მონაწილეთა სამ მეოთხედს ოჯახური სამუშაოს განაწილების სპეციალიზებული მოდელი ჰქონდა, სადაც ერთერთი პარტნიორი ოჯახური სამუშაოს მეტ ნაწილს ასრულებდა, ვიდრე მეორე. მიუხედავად იმისა, რომ წყვილებს ეგალიტარიანიზმი სურდათ (ისევე, როგორც მრავალ სხვადასხვასქესიან წყვილს), კარინგტონმა გამოყო ოჯახური სამუშაოს შესრულების ურთიერთსაწინააღმდეგო აღწერები, როდესაც გეი მამაკაცები უმეტესად თვითონ მიიწერდნენ საქმის მეტ ნაწილს, ლესბოსელები კი საკუთარ პარტნიორს ავალებდნენ უფრო მეტი საქმის შესრულებას. მან დაასკვნა, რომ ერთსქესიანი წყვილები საქმის არათანაბარ განაწილებას ნიღბავენ, რათა დაიცვან საკუთარი პარტნიორის გენდერული იდენტობა, რომელიც მათ შესახებ არსებულ კულტურულ მოლოდინებს გასცდა, თავიანთი გენდერისგან „მოსალოდნელ“ საქმეზე მეტის ან ნაკლების გაკეთებით.

ურთიერთობებით კმაყოფილება და ურთიერთობების ხარისხის კვლევები უმეტესად აჩვენებს, რომ ლესბი, გეი და ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის მცირედი განსხვავებები არსებობს და პროცესები, რომლებიც ურთიერთობების ფუნქციონირებას არეგულირებენ, ურთიერთობათა ამ სხვადასხვა ტიპებს მაინც მიესადაგება. *ამერიკელი წყვილების* კლასიკურ

კვლევაში, სოციოლოგებმა ფილიპ ბლამსტეინმა და პეპერ შვარცმა (1983) აღმოაჩინეს, რომ შემოსავლების შესახებ კამათი, სამუშაოს ურთიერთობაში ჩართვა, დიდი დროის განცალკევებით გატარება და არამონოგამიურობა ურთიერთობის ცუდ ხარისხზე მიუთითებდა ჰეტეროსექსუალ, ლესბოსელ და გეი წყვილებში. ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსად, ლესბოსელი და გეი წყვილებისათვის სასურველია პარტნიორებს შორის მსგავსი სოციალური ფონის, შეხედულებებისა და ღირებულებების არსებობა (Peplau and Fingerhut, 2007).

ფსიქოლოგიური შემგუებლობის, პიროვნული ნიშნების, ურთიერთობის სტილისა და კონფლიქტის გადაწყვეტის ფსიქომეტრიული გაზომვის შედეგად, ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლაურენს კურდეკმა (2004) აღმოაჩინა, რომ ორმოცდაცამეტ ლესბოსურ, ოთხმოც გეი და ოთხმოც შვილებიან ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის არანაირი განსხვავება არ იყო მონაცემთა ნახევარში. განსხვავებების უმეტესობა კი მიუთითებდა, რომ გეი და ლესბი პარტნიორები მოცემულ შერჩევაში ჰეტეროსექსუალ წყვილებზე უკეთ ფუნქციონირებდნენ. ლესბი და გეი წყვილები ნაკლებ ღირებულებას ანიჭებდნენ სოციალურ მხარდაჭერას, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა ერთსქესიან ურთიერთობებში ნაკლები „სოციალური მიჯაჭვულობა“ არსებობს, ვიდრე ჰეტეროსექსუალ წყვილებში, რომელიც მათ ურთიერთობის შენარჩუნებაში მოეხმარებოდათ რთული პერიოდების დროს. ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხით, სქემა ერთნაირია სხვადასხვა სექსუალობებში (იხ. ჩანართი 8.3 ლგბტქ ადამიანების ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ).

ჩანართი 8.3. სიყვარული კიბერსამყაროში

როგორ ხვდებიან ლგბტქ ადამიანები ერთმანეთს და როგორ აყალიბებენ ურთიერთობებს? ტრადიციულად, პაბები და კლუბები, გეი პრესა და ღონისძიებები (მაგალითად, პრაიდი ან მარგი გრასი), სხვა ლგბტქ ადამიანებისთვის შექმნილი საზოგადოებრივი სივრცეები (მაგალითად, ახალგაზრდული ჯგუფები) ერთადერთი უსაფრთხო სივრცეები იყო, სადაც არაჰეტეროსექსუალ და ტრანს ადამიანებს შეეძლოთ ერთმანეთს შეხვედროდნენ. დღესდღეობით კი შეხვედრები უფრო და უფრო მეტად ვირტუალური ხდება: ლგბტქ ადამიანები სიყვარულს კიბერსივრცეში პოულობენ ისეთ სამეგობრო და გასაცნობ საიტებზე, როგორიცაა: Gaydar, Gaydargirls, Poly Matchmaker, BiCupid and TransPassions. ამბობენ, რომ „კიბერსექსუალობა“ ფანტაზიასა და ქმედებას შორის შუალედური გზაა, რომელიც სექსუალურ ჯგუფებს ქმნის“ (Ross, 2005: 342). სოციალურად მარგინალიზებული ჯგუ-

ფებისათვის, როგორიც ლგბტქ ჯგუფია, ინტერნეტს აქვს პოტენციალი გეოგრაფიული, ასაკობრივი, სოციალური კლასის, კულტურული, ფიზიკური/გონებრივი შესაძლებლობების და სხვა ბარიერების დასარღვევად. გარდა ამისა, რადგან ლგბტქ ადამიანებს რეალურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ნაკლები შესაძლებლობები აქვთ ერთმანეთთან შესახვედრად უარყოფითი შედეგების შიშის გარეშე, ინტერნეტმა (რომელიც ხშირად ანონიმურია) ძალიან გაზარდა პარტნიორებთან შეხვედრის შესაძლებლობა, პერსონალურ პროფილებთან დაკავშირება, ჩატ-რუმების გამოყენება და კიბერსექსით დაკავება.

თუმცა, ბრიტანელი ფსიქოთერაპევტი მარტინ მილტონი (2006: 306-8) სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებს იმ გზების შესახებ, რომლებითაც მაგალითად გეი მამაკაცები შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდნენ ინტერნეტსა და ჩატ-რუმებში, იმიტომ რომ ეს ფორუმები:

„გარკვეულ წინასწარ არსებულ დაშვებებს ეყრდნობა, „მიიღე რაც გინდა და როცა გინდას“ დაპირებასთან ერთად. ერთ-ერთი პოპულარული საიტი ზუსტად ამ ფრაზასაც კი იყენებს. ვის შეიძლება არ მოეწონოს იდეა, რომ შეგიძლია რაც გინდა ის გქონდეს და თან როცა გინდა მაშინ?... [მაგრამ] „მაპატიე, უბრალოდ „ეს“ მე არ მინდა“ - ნიღბის ქვეშ, ჩვენ შეგვიძლია შეურაცხვყოთ, გავლანძღოთ, უარვყოთ და ფსიქოლოგიური ტრავმა მივაყენოთ ვიღაცას... ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაღაც ძალიან კარგი გავაკეთეთ, როცა ვთქვით: „მაპატიე, მაგრამ ეს არ მაინტერესებს“... თუმცა, ადამიანები მართლა განიცდიდნენ ამ თვითკმაყოფილებას, თუკი გააცნობიერებენ, რომ ამით ჩვენ მგრძნობიარე ახალგაზრდას, რომელიც საკუთარი იდენტობის გაცხადების პირველ ნაბიჯებს დგამს, ვაგრძნობინეთ, რომ ტყუილად წუხდება?“

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი განსაკუთრებით პოპულარულია ლგბტქ ადამიანებში ურთიერთობების დასამყარებლად (იქნება ეს ჩვეულებრივი, სექსუალური, ხანგრძლივი თუ პლატონური), ამ სფეროში ძალიან ცოტა კვლევებია ჩატარებული. არსებული კვლევები უმეტესად MSM-ზეა ორიენტირებული. აშშ-ში მოღვაწე მკვლევარებმა ალენ ტომასმა და სხვებმა (2007) მცირემასშტაბიანი თვისებრივი კვლევა ჩაატარეს ახალგაზრდა გეი მამაკაცებთან (19-26 წელი). მონაწილეების ქამინგ აუთის ისტორიების ანალიზმა აჩვენა, რომ ინტერნეტ გამოცდილებამ დიდი როლი შეასრულა მათ მიერ საკუთარი სექსუალობის მიღებაში. სოციალური სამუშაოს მკვლევარი მარკ ჰენრიკსონი (2007) ამბობს, რომ აზიაში დაბადებული ახალზელანდიელები სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო მეტად იყენებენ ინტერნეტს ლგბ თემთან მათი პირველი და შემდგომი ურთიერთობებისათვის. მამაკაცი მონაწილეები უფრო მეტად იყენებდნენ ინტერნეტს, ვიდრე ქალე-

ბი სექსუალური კავშირისათვის, ასაკის, შემოსავლისა თუ ურთიერთობის სტატუსის მიუხედავად. თუმცა კვლევაში, რომელიც გეი მამაკაცების მიერ ჩატ-რუმების გამოყენებას შეისწავლიდა შვედეთში, რონი ტიკანენმა და მაიკლ როსმა (2000) აღმოაჩინეს, რომ დისკრიმინაცია და სოციალური გარიყვა ლგბტქ ადამიანებს შორის ინტერნეტ სივრცეშიც ხდება. მათ ასევე დაადგინეს, რომ ინტერნეტთან ასოცირებული დემოგრაფიული მონაცემები ჯერ კიდევ ასოცირდება უფრო ახალგაზრდა და ფინანსურად შეძლებულ ლგბტქ ადამიანებთან. გარდა ამისა, ავსტრალიური კვლევის მიხედვით, ლგბტქ ადამიანების ინტერნეტ სივრცეები ძალიან დაყოფილია რასობრივად: თეთრკანიანი ახალგაზრდა გეი მამაკაცები ნორმაა, რომელსაც ყველა სხვა ჯგუფს ადარებენ, ან რომლისგანაც სხვა ჯგუფებს განასხვავებენ.

მეინსტრიმ ფსიქოლოგიაში შედარებითი კვლევების შესახებ შეთანხმებული დასკვნა

ასეთია: „გეი, ლესბი და ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის გარეგანი განსხვავებების მიუხედავად, როგორც ჩანს, გეი და ლესბოსელი წყვილები ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსი ფორმით ცხოვრობენ“ (Kurdek, 2005:253). თუმცა, ეს კვლევები ერთ და სხვადასხვა სქესიან წყვილებს შორის განსხვავებების უგულვებელყოფის გამო გაკრიტიკდა. თუკი როთბლუმის და სხვების სამოქალაქო კავშირების კვლევას კიდევ ერთხელ შევხედავთ, შერჩევაში მონაწილე წყვილებს შორის გარკვეულ განსხვავებებს დავინახავთ. მაგალითად, კვლევაში მონაწილე ლესბოსელები, იმისდა მიუხედავად, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი სამოქალაქო კავშირში, საუბრობდნენ ოჯახური სამუშაოებისა და ფინანსების უფრო თანაბარ განაწილებაზე, ვიდრე მათი ჰეტეროსექსუალი დედმამისშვილები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთნაირი სოციალური გარემოდან მოდიოდნენ (Rothblum et al., 2006).

მკვლევარები ხშირად უსვამენ ხაზს ერთ და სხვადასხვასქესიან წყვილებს შორის მსგავსებებს, და ასევე ხშირად უგულვებელყოფენ ძალაუფლების დაუბალანსებლობის პოტენციურ წყაროებს ერთსქესიან ურთიერთობებში. ამის მიზეზი ისაა, რომ მიიჩნევა, თითქოს „მსგავსების ხაზგასმა“ ერთსქესიანი ურთიერთობების „ნორმალურობას“ ამტკიცებს. თუმცა, ეს მიდგომა შეიძლება ჰეტერონორმატიული იყოს, და შესაძლოა მოახდინოს იმ ლგბტქ ურთიერთობების პათოლოგიზება, რომლებიც მიზანმიმართულად (ანდაც უნებლიეთ) არ იმეორებენ ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების სქემას. მაგალითად, ლესბოსური ურთიერთობები ხშირად აღიქმება ზედმეტად ინტიმურად ან „ურთიერთშეზრდილად“, რადგან ქალებს შორის პირადი საზღვრები საკმაოდ ბუნდოვანია, და ქალები საკუთარ

ინდივიდუალობას კარგავენ (e.g., Krestan and Bepko, 1980). თუმცა, ეს ანალიზი ჰეტეროსექსუალური კავშირის მაგალითზეა აგებული, სადაც მიიჩნევა, რომ ურთიერთობაში „განცალკევებულობა“ ნორმაა (განსხვავებულები ერთმანეთს იზიდავენ!) და ლესბოსელების ამ ნორმასთან მოურგებლობა პრობლემურად აღიქმება. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია როგორც მსგავსებების, ისე განსხვავებების ხაზგასმა. მსგავსებების აქცენტირება სექსუალობებს შორის შესაძლოა პოზიტიური იყოს, თუკი ეს გამოიწვევს ლესბოსური და გეი ურთიერთობების ნაკლებად სტიგმატიზებას და მათ შესახებ მითების გაქრობას. განსხვავებების ხაზგასმა კი, ზოგადად ადამიანების ურთიერთობების გასაგებად ერთსქესიანი ურთიერთობების უნიკალურ და მნიშვნელოვან მაგალითს გვაძლევს (Dunne, 1997).

სექსუალური პრაქტიკა

სექსუალური ურთიერთობები და პრაქტიკა მოზრდილი ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლესბოსელები და გეი მამაკაცები კონკრეტული სახეობის სექსუალურ აქტებთან არიან ასოცირებულნი (ლესბოსელები ორალურ, ხოლო გეები ანალურ სექსთან, Peel, 2005), სექსუალური პრაქტიკა სექსუალობების მიხედვით დაყოფილი არ არის, ჰეტეროსექსუალებსაც ასევე აქვთ ანალური და ორალური სექსი, იყენებენ ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა: დომინირება და მორჩილება, სადიზმი და მაზოხიზმი (bondage, domination, sadism, masochism - BDSM). ლგბტქ სექსუალური პრაქტიკის კვლევა ფრაგმენტულია, ნაწილობრივ სექსთან დაკავშირებული საკითხების კვლევასთან ასოცირებული ეთიკური დილემების გამო (Klesse,2007), ასევე სექსუალური პრაქტიკის აქცენტირებისათვის თავის არიდების მიზნით, რათა ამან ლგბტქ ადამიანების პათოლოგიზება და „გარყვნილებად“ მონათვლა არ გამოიწვიოს (Halperin, 2007). უმეტესწილად, ის სექსუალური პრაქტიკა ითვლება უფრო მისაღებად (როგორც ლგბტქ თემში, ისე ზოგადად საზოგადოებაში), რომელიც დაწყვილებულ, მონოგამიურ ლგბტქ ადამიანებს შორის ხდება საკუთარი სახლის პირად სივრცეში. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა და მასზე თანდართული (ან მისი მაფორმირებელი) საზოგადოებრივი აზრი ლგბტქ სექსუალობაზე ასეთი მონოგამიური შეხედულების მიმართ უმეტესად მიმღებელია. ლგბტქ ურთიერთობები, რომლებიც უფრო საჯაროდ ხილვადია, ან არ თანხვდებიან მონოგამიური წყვილის მოდელთან, ხშირად აღიქმება, როგორც პრობლემური ან საშიშიც კი (მაგალითად მამაკაცებს შორის სექსუალური კავშირი სექსის საზოგადოებრივ ადგილებში - **public sex environments(PSEs))**

გასაკვირი არ არის, რომ შედარებითი კვლევებისათვის ურთიერთობებში სექსი რიგით მეორე პოპულარული საკითხია. ერთ და სხვადასხვა-სქესიან ურთიერთობებში სექსუალური კავშირების ქონის სიხშირესა და ფორმებში ძალიან დიდი მრავალფეროვნებაა, და ორივე მათგანში შეინიშნება სექსუალური კავშირის სიხშირის ზოგადი კვლევა დროთა განმავლობაში. სოლომონისა და სხვების (2005) კვლევაში, დაქორწინებულ ჰეტეროსექსუალ ქალებს უფრო მეტჯერ ჰქონდათ სექსუალური კავშირი (თვეში ორჯერ ან სამჯერ), ვიდრე ლესბოსელებს (საშუალოდ თვეში ერთხელ). ჰეტეროსექსუალ და გეი მამაკაცებში სექსუალური კავშირის ქონის სიხშირე თითქმის ერთნაირი იყო, მაგრამ გეი მამაკაცების თითქმის ნახევარს ჰქონდა ურთიერთობის გარეთ სექსის გამოცდილება ჰეტეროსექსუალ მამაკაცთა 15.2 პროცენტთან შედარებით. ეს შედეგები ასევე ასახავს ზოგადად კვლევების შედეგებს - გეი მამაკაცებს ყველაზე დიდი რაოდენობით სექსი აქვთ, ლესბოსელებს კი - ყველაზე ცოტა (Blumstein and Schwartz, 1983). ჰეტეროსექსუალ და ლესბოსელ წყვილებს უფრო სექსუალურად ექსკლუზიური ურთიერთობები აქვთ, ვიდრე გეი მამაკაცებს (და ზოგიერთ ბისექსუალ ადამიანს), რომლებიც უფრო სექსუალურად გახსნილები და არამონოგამიურები არიან. თუმცა მონოგამიის ღირებულება წყვილებს შორის სხვადასხვაგვარია; ჰეტეროსექსუალებისა და ლესბოსელებისთვის ის პოზიტიურად ფასდება, ხოლო გეი წყვილებისათვის - ნაკლებად (Kurdek, 1991a).

ურთიერთობების კვლევებში მრავალი ღირებულებითი განსჯაა ჩადებული. „პრომისკუიტეტის“ მაგალითი ამის კარგი ილუსტრაციაა. თუ რა რაოდენობით აქვთ ადამიანებს სექსი და ვისთან, კულტურული დონის ღირებულებაა და „პრომისკუიტულობის“ იარლიყი, რომელსაც გეი მამაკაცებს, ბისექსუალებს, და აქტიური სექსუალური ცხოვრების მქონე ახალგაზრდა ქალებს აკერებენ, დადებითი შეფასება სულაც არ არის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გეი მამაკაცებს სხვებზე მეტი სექსი აქვთ, თუმცა „პრომისკუიტეტის“ ცნება ძალიან პრობლემურია და საჭიროა ვიკითხოთ, ვინ წყვეტს, რას ნიშნავს ძალიან ბევრი სექსი. ცხადია, გეი მამაკაცები ამას არ წყვეტენ, იმიტომ რომ თუ სექსის ქონის ოდენობის სტანდარტი გეი მამაკაცების მიხედვით დადგინდებოდა, მაშინ ყველა სხვას ძალიან მწირი სექსუალური ცხოვრება ექნებოდა! ამ საკითხთან მიდგომის მეორე გზა სექსის უსაფრთხოებაზე და არა მის რაოდენობაზე კონცენტრირებაა: თუკი ადამიანებს უსაფრთხო სექსუალური კავშირები აქვთ, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, რამდენად ხშირად აქვთ მათ სექსი? ლიბერალური პერსპექტივიდან პასუხია „არა“, თუმცა ზოგიერთი კულტურული და რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფი პერსპექტივა უპასუხებდა „დიახ“. ასე რომ, კვლევების მორალური

განზომილებები ყოველთვის არსებულ სოციალურ ფონშია შერეული და კვლევის მეთოდების მიუხედავად, მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

მიუხედავად „კარგ“ (პირად სივრცეში მოქცეულ, მონოგამიურ) და „ცუდ“ (საჯარო, არა მონოგამიურ) ლგბტ სექსუალურ კავშირებს შორის ბინარული დიქოტომიისა, ლგბტქ ადამიანები მაინც ერთვებიან მრავალფეროვან სექსუალურ პრაქტიკებში, რომლებიც ამ საზღვარს აქრობს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ლგბტქ სექსუალური პრაქტიკა მიზანმიმართულად არსებულ საზღვრებს გაცდენილია; თუმცა, მათ ხშირად ხედავენ ასე, რადგან ის ჰეტეროსექსუალური ნორმისგან განსხვავდება. ზოგიერთი ლგბტქ ადამიანი ისეთ სექსუალურ პრაქტიკაში ერთვება, რომელიც მიზანმიმართულად ტრანსგრესიულია (ტრანსგრესია - საზღვრების რღვევა) - ისინი მიმართულია სოციალურ ნორმებთან დასაპირისპირებლად და მათი მიზანია სექსუალური იდენტობებისა და პრაქტიკების ალტერნატიული ხედვების ძიება (მაგალითად, BDSM).

გეი სექსუალური პრაქტიკა

ისტორიულად, საჯარო ადგილებში სექსის ქონა და სექსისათვის განკუთვნილი ადგილების არსებობა (მაგალითად, გეი საუნები), მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გეი კაცებისათვის ერთმანეთთან შეხვედრის სივრცის ქონის შესაძლებლობაში. თუმცა, იმის თქმაც შესაძლებელია, რომ მამაკაცებს, რომლებსაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (MSM) მხოლოდ ამ სექსუალური ცხოვრების შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ ამ სივრცეებში ჰქონდათ, ალტერნატივის არარსებობის გამო. საჯარო და სექსისათვის განკუთვნილი სივრცეები მათ ასევე საკუთარი სექსუალური ჯგუფების ჩამოყალიბების საშუალებას აძლევდა (Frankis and Flowers,2005).

სექსუალური პრაქტიკის მრავალფეროვნება არა მხოლოდ ლგბტქ ადამიანებში, არამედ ლგბტქ თემების ინდივიდუალურ ქვეჯგუფებშიც არსებობს. მაგალითად, კვლევებში იკვეთება ტრანს ადამიანების მიერ მორგებული მრავალი სხვადასხვა სექსუალური იდენტობა. აშშ-ში მოღვაწე სოციოლოგი დევიდ შლეიფერი (2006) იკვლევდა გეი ტრანს მამაკაცების სექსუალურ პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია (განსაკუთრებით ფალოპლასტია), ძალიან ჩამორჩება იგივე ოპერაციას ტრანსი ქალებისათვის, ტრანს მამაკაცებს ხშირად ჰქონდათ სექსუალური და სხვა ინტიმური ურთიერთობები ადამიანებთან, რომლებიც აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ მათ არჩეულ გენდერს, მათი ფიზიოლოგიის მიუხედავად. შლეიფერი ამბობს, რომ გეი ტრანს მამაკაცები ხშირად ჭოჭმანობენ სექსუალური კავშირების დამყარებამდე, რადგან ფიქრობენ, რომ მათი, როგორც გეი მამაკაცის იდენტობა არ იქნება აღია-

რებული. შლეიფერის კვლევის ზოგიერთი მონაწილისათვის ვაგინალური ინტერკურსი გეი ტრანს მამაკაცებს შორის (ვაგინების მეშვეობით) და არა-ტრანს გეი მამაკაცთან ხშირად ორივე მონაწილის სექსუალურ სურვილს აკმაყოფილებს, მათი გეი იდენტობის მნიშვნელობის დაკნინების გარეშე.

ასევე მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს რასობრივი განსხვავებები სექსუალურ პრაქტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური ინტერრასობრივი სექსუალური კავშირებიც გვხვდება სხვადასხვა ლგბტ ადამიანებს შორის, ზოგიერთ ადამიანს უარყოფითი სტერეოტიპები აქვს სხვა ისეთი რასობრივი (კულტურული) ჯგუფების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, თეთრკანიანი ამერიკელი გეი მამაკაცების მოლოდინი, რომ აფრიკელი ამერიკელი გეი მამაკაცები სექსუალურად აგრესიულნი იქნებიან (McBride, 2005), ან ასევე თეთრკანიანი მამაკაცების მოლოდინი, რომ აზიელი გეი მამაკაცები პასიურნი არიან (Han,2006).

ლესბოსური სექსუალური პრაქტიკა

იმის ასახსნელად, თუ რატომ აქვთ ლესბოსელებს უფრო ნაკლები სექსი, ვიდრე სხვებს, მრავალი მოსაზრება არსებობს, განსაკუთრებით კი ხანგრძლივი ურთიერთობების შემთხვევაში. ამას ხშირად „ლესბოსური საწოლის სიკვდილს“ უწოდებენ. ლესბოსელებსა და ლესბი ფსიქოლოგებს შორის მრავალი დებატი იყო, არსებობს თუ არა „ლესბოსური საწოლის სიკვდილი“. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, გენდერული სოციალიზაცია ქალებს აიძულებს, დათრგუნონ სექსუალური განცდები და არ იყვნენ სექსის ინიციატორები, ეს კი ქალებს შორის ინტიმურ ურთიერთობებზე ახდენს გავლენას (Nicols, 2004). განსხვავებული არგუმენტია, რომ ხშირად სექსი მხოლოდ „პენისი-ვაგინაში ინტერკურსად“ განიმარტება, და ამიტომ, ნებისმიერი კვლევა, რომელიც ზოგად ცნება „სექსს“ იყენებს, შესაძლოა ადექვატურად ვერ ასახავდეს ლესბოსელთა სექსუალურ გამოცდილებებს, რომლებიც პენეტრაციასთან შედარებით ბევრად ფართო და მრავალფეროვანია. ეს კი ნიშნავს, რომ საჭიროა ეჭვქვეშ დადგეს ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ლესბოსელებს „ნაკლები სექსის“ მქონედ აღვიქვამთ (Peplau and Fingerhut, 2007). შესაბამისად, ერთი მხრივ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ლესბოსელებს შორის ნაკლები სექსის ქონის „არაჯანსაღად“ აღქმა ჰეტეროსექსისტური და პატრიარქალურია, მეორე მხრივ კი, ხანგრძლივ ლესბოსურ ურთიერთობებში „სექსის არქონის“ ნორმის დაწესება პრობლემურია, რადგან ის ამყარებს კულტურულ ნორმას, თითქოს ქალები არასექსუალური არსებები იყვნენ (Iasenza, 2002). რაც შეეხება იმას, თუ რას *აკეთებენ* ქალები სექსუალურად, (უმეტესწილად) ლონდონში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რომელშიც 1218 ლესბოსელი მონაწილეობდა, 90%

კავდება ორალური სექსით, თითების საშუალებით ვაგინალური პენეტრაციით და ურთიერთმასტურბაციით, 53% იყენებს სექს-სათამაშოს ვაგინალური პენეტრაციისათვის და 85%-ს ასევე აქვს სექსუალური კავშირი მამაკაცთან (Farquharet al ., 2001).

ლესბოსელები, რომლებსაც „სექსუალურად რადიკალური“ პოზიცია აქვთ, ინდივიდუალი ქალების სექსუალური აქტიურობის უფლებას უსვამენ ხაზს, რათა მათ არ შეარქვან „პრომისკუიტული“ ან „პატრიარქატის სულელები“ (Gordon, 2006). ასევე ისინი აღნიშნავენ, რომ სექსუალური ურთიერთობებში ძალაუფლება თავისთავად მჩაგვრელობად არ უნდა აღვიქვათ, ის შეიძლება სექსუალური პრაქტიკის ახალი ფორმების შესაქმნელად პროდუქტიულადაც განვიხილოთ.

ლესბოსური სექსის შესახებ ამ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ორი თანამედროვე კვლევა აჩვენებს, რომ თეთრკანიან, საშუალო კლასის ქალები ხაზს უსვამენ მზრუნველობითი ურთიერთობების ქონის სურვილს, ჩვეულებრივი შემთხვევების ნაცვლად, და მრავალ ლესბოსურ თემში არამონოგამიურობა უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი (Gordon, 2006; Bullock, 2004). ლესბოსურ იდენტობებში ისტორიული ცვლილებები ხშირად ლესბოსურ თემში სექსუალური პრაქტიკის შესახებ ნორმების ცვლილებას იწვევს (Gordon, 2006), მაგალითად, „ბუჩსა“ და „ფემ“ ლესბოსელებს შორის განსხვავების გაჩენა (იხ. ჩანართი 8.4). ლესბოსელი ფსიქოლოგი ნიკოლსი (1987) ხაზს უსვამს იმ ცვალებად გზებს, რომელთა მიხედვითაც ლესბოსელი ქალები ისეთ იდენტობებს ირგებენ, რომლებიც შესაძლოა სულაც არ შეესაბამებოდეს მათ სექსუალურ პრაქტიკას. იმის მაგალითად დაშვება, რომ „ბუჩი“ აუცილებლად დაკავშირებულია „მასკულინურ“ სექსუალურ ქცევასთან, სულაც არაა სიმართლე.

ჩანართი 8.4. ვინ არის ქალი და ვინ არის მამაკაცი? ბუჩ-ფემი და ტოპ-ბოტომი (ინგ. ზემოთ-ქვემოთ)

სტუდენტები ხშირად კითხულობენ, თუ როგორ ნაწილდება გენდერი ერთსქესიან ურთიერთობებში. ლესბოსელების შემთხვევაში განსაკუთრებით, „ბუჩის“ და „ფემის“ როლები, ისტორიულად (ახლა კი ნაკლებად) მნიშვნელოვნად ითვლებოდა („ტოპი“ და „ბოტომი“ უფრო გეი მამაკაცებთან მჭიდროდ ასოცირებული ტერმინებია, რომელიც ანალური სექსის დროს „აქტიურსა“ და „პასიურს“ აღნიშნავს). როგორც ბრიტანელი კულტურის თეორეტიკოსი სალი მუნტი (1998:4) აღნიშნავს: “ყველაზე საჯარო ლესბოსური გენდერები „ბუჩი“ და ფემია“. დამოუკიდებელი კატეგორიებია „ბუჩი“ და „ფემი“ თუ ურთიერთდამოკიდებული ერთობა ბუჩ/ ფემი, ისინი

წლების განმავლობაში ახდენდნენ გავლენას ლესბოსურ სექსზე, ლესბოსურ სურვილზე. ბუჩ-ფემი იდენტობები განსაკუთრებით გავრცელებული იყო მუშათა კლასის ლესბოსურ თემში აშშ-ში 50-იანებსა და 60-იან წლებში. ლესბოსური ურთიერთობები ლგბ ადამიანების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების „განსახიერებით“ გადაურჩნენ (Faderman, 1991). დღესდღეობით, დასავლურ საზოგადოებებში ბუჩ-ფემი ლესბოსური ურთიერთობების ცენტრალური მაორგანიზებელი პრინციპი აღარ არის.

ბუჩს და ფემს და ტოპ-ბოტომის ცნებები არადასავლურ კულტურებშიც გვხვდება, თუმცა სხვა მნიშვნელობითა და სხვა სახელით. მაგალითად, ბრაზილიაში (და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში), სექსუალური ინტერკურსისას ადამიანის პოზიცია მისი გენდერისა და სექსუალობის მთავარი განმსაზღვრელია. ასე რომ ის, ვინც ახორციელებს პენეტრაციას განიმარტება, როგორც მასკულინური (მაჩო) და ვისი პენეტრაციაც ხდება, ის როგორც ფემინური (ბიჩა ან ვიადო). როგორც ამერიკელი ანთროპოლოგი სერენა ნანდა (2000:46) წერს:

„მამაკაცი, რომელიც სხვა მამაკაცთან ამყარებს სექსუალურ კავშირს, აუცილებლად არ თმობს საკუთარ მასკულინობას, თუ ის პენეტრატორის, აქტიურ და მასკულინურ როლს ახორციელებს სექსუალური ინტერკურსისას... მას არც საკუთარ თავი მიაჩნია ჰომოსექსუალად, და არც საზოგადოება ფიქრობს ასე. სექსუალურად მიმღები პარტნიორი კი მიიჩნევა, რომ სხვა ფემინურ გენდერულ როლებსაც უნდა ემორჩილებოდეს: უნდა იქცეოდეს, მეტყველებდეს და იცვამდეს, როგორც ქალი“.

შესაბამისად, ბრაზილიაში ტოპ-ბოტომის ცნება გენდერული/სექსუალური ურთიერთობების განსაზღვრის ფუნდამენტური პრინციპია.
ბუჩ-ფემ ურთიერთობები ასევე გვხვდება, მაგალითად, დასავლეთ სუმატრან მინანგკაბაუში (ისლამური ეთნიკური ჯგუფი ინდონეზიაში), სადაც მატრილინერული ურთიერთობებია (მიწის საკუთრება დედიდან ქალიშვილს გადაეცემა). ტომბოისი (ბუჩი პარტნიორი) საკუთარ თავს მამაკაცად აღიქვამს და არა ლესბოსელად. ისინი აღიქმებიან ტრანსგრესიულებად, რადგან ქალებზე არსებობს კულტურული წნეხი, რომ დაქორწინდნენ მამაკაცებზე და იყოლიონ ბავშვები, რათა შეინარჩუნონ მატრილინია (Blackwood and Wieringa, 1999).

BDSM - დომინირება და მორჩილება, სადიზმი და მაზოხიზმი

ლგბტქ სექსუალობების შესახებ ჰეტერონორმატიულმა და ჰომოფობიურმა შეხედულებებმა ისინი ისტორიულად პათოლოგიურად და გადახრი-

ლად გამოაცხადა. როგორც ადრე ვთქვით, ეს ხშირად იწვევდა კონკრეტული სექსუალური პრაქტიკების მიჩქმალვას ან მათზე კვლევების ნაკლებობას. ამის მაგალითი BDSM-ია (Langdridge and Barker, 2007). BDSM პრაქტიკაში ერთვებიან არა-ტრანსი და ტრანსი, ჰეტეროსექსუალი და არა-ჰეტეროსექსუალი ადამიანები. ტრადიციულად, ეს სექსუალური ქცევები ხშირად განისაზღვრება ბინარულად: მასკულინური/ფემინური, დომინანტი/დაქვემდებარებული და აქტიური/პასიური. ასევე, ეს ბინარული განმარტებები კონკრეტულ იდენტობებთან ასოცირდებიან (მაგალითად, მასკულინური ადამიანები დომინანტურნი და აქტიურნი არიან, ფემინური ადამიანები კი - დაქვემდებარებულნი და პასიურნი). გეი SM-ერების (მაგალითად, გეი მამაკაცები, რომლებსაც სადო-მაზოხისტური იდენტობა აქვთ) კვლევების მიხედვით, გეი მამაკაცებს არ აქვთ ექსკლუზიურად სადიზმის ან მაზოხიზმის მიმართ მიდრეკილება და მათი არჩევანი კონტექსტის, მათი წუთიერი სურვილის, კონკრეტული სექსუალური პარტნიორის მიხედვით იცვლება (Chaline, 2005). გეი მამაკაცებს შორის ანალური სექსის შესახებ კვლევებიც აჩვენებენ, რომ ანალური ინტერკურსი ყოველთვის არ თანხვდება კონკრეტულ იდენტობას (მაგალითად, პასიური პარტნიორი ხდება აქტიური და პირიქით). ეს როლები ინდივიდუალური მამაკაცების მიერ ინდივიდუალურ შემთხვევებში იცვლება, რადგან ამისგან სიამოვნებას განიცდიან (Kippax and Smith, 2001).

ნორმატიულ წყვილს მიღმა

მრავალი ლბტქ მკვლევარი ხანგრძლივი მონოგამიური ურთიერთობების ნორმატიულ მოდელს განიხილავს. მაგალითად, რინგერი (20001:138) ამბობს, რომ „იმ ცოდნის უმეტესობა, რომელიც ერთსქესიან ურთიერთობებზე კვლევების საშუალებით გვაქვს მიღებული, დაფუძნებულია ნორმატიულ ჰეტეროსექსუალურ დაშვებებზე და ღირებულებებზე, რომლებიც ურთიერთობას ხედავენ როგორც აუცილებელს, ორ ადამიანზე დაფუძნებულს და მუდმივს. შეესაბამება თუ არა ეს დაშვებები გეი, ლესბოსელი და ბისექსუალურ ურთიერთობებსაც?“ როგორც ვნახეთ, მრავალი კვლევა არსებობს ერთსქესიანი *წყვილების* შესახებ, მაგრამ როგორც ჰოსტეტლერი და კოლერი (1997:200) აღნიშნავენ, „მარტოობის გამოცდილება ცხოვრების განმავლობაში ან დროის ნებისმიერ მონაკვეთში თითქმის სრულად უგულვებელყოფილია“. მარტოობას ორგვარად შეგვიძლია შევხედოთ: როგორც არანებაყოფლობითი მდგომარეობა პარტნიორის მოძებნის შეუძლებლობის გამო, და როგორც იდეოლოგიური არჩევანი ან მიზანმიმართული გადაწყვეტილება, რომ იყო მარტო სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის სურვილი (Sandfi eld and

Percy, 2003). ორივე შემთხვევაში, ამ სფეროში კვლევების ძალიან მცირე ნაწილი ხედავს მარტოობას, როგორც დადებით მოვლენას. ამას თან ერთვის ანგარიშები, რომ ლესბოსურ და გეი წყვილებს მარტოხელა ლესბოსელებსა და გეებზე ნაკლები პრობლემები აქვთ და უკეთ გრძნობენ თავს. გეი მამაკაცები უფრო ხშირად არიან მარტო, ვიდრე ლესბოსელები, რომლებიც უმეტესწილად ჰეტეროსექსუალების მსგავსი მაჩვენებლით ქმნიან წყვილებს (Hostetler and Cohler, 1997).

არსებობს ასევე პრობლემა იმ ლგბტქ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებსაც აქვთ ან ჰქონდათ ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები. ადამიანების ურთიერთობები დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება და ლგბ ადამიანების უმეტესობას ჰქონია სხვადასხვასქესიანი ურთიერთობა. ზოგიერთი ლესბოსელი და გეი საკუთარი იდენტობის გაცხადებამდე ქორწინდება განსხვავებულ სქესთან და არ არღვევს კავშირს. ჰეტეროსექსუალური ქორწინება შესაძლოა სულაც არ იყოს ის, რაც გარედან ჩანს (მაგალითად, „ხელსაყრელი ქორწინება“ გეი მამაკაცსა და ლესბოსელ ქალს შორის) და ზოგიერთი არაჰეტეროსექსუალი ადამიანისათვის ქორწინება შესაძლოა ერთადერთი გამოსავალი იყოს, განსაკუთრებით კი ლგბტქ ადამიანების მიმართ არაკეთილგანწყობილ გარემოში. მაგალითად, ისეთი ადამიანებისათვის, რომელთა კულტურაში ან რელიგიაში ჰეტეროსექსუალურ ოჯახსა და კავშირებზე განსაკუთრებული აქცენტია დასმული (მაგალითად, სამხრეთაზიური მოსახლეობა დიდ ბრიტანეთში), შესაძლოა შეუძლებელი იყოს ჰეტეროსექსუალური ჩარჩოს გარეშე ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მათ საკუთარი სქესის ადამიანი იზიდავდეთ ან იდენტიფიცირდებოდნენ კიდეც, როგორც ლგბქ ადამიანები. სხვებისათვის ერთსქესიანი ურთიერთობის ქონა მაღალ საზღაურს მოითხოვს. ბრიტანელმა ფსიქოლოგმა ალისონ როლფმა (2008) ჩაღმავებულ ინტერვიუებზე დაფუძნებული კვლევა ჩაატარა 8 წყვილსა და ინდივიდებთან, ვინც მიზანმიმართულად უარი თქვა სამოქალაქო კავშირზე. მან აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი წყვილისათვის კულტურული აკრძალვები მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. შერეული რასის გეი მამაკაცთა წყვილი (ერთი შუა აზიელი და ერთი ბრიტანელი) საუბრობდა „ღირსების მკვლელობების“ (ეს არის ერთი ოჯახის წევრის მიერ მეორის დამსჯელობითი მკვლელობა, როცა მიიჩნევა, რომ მან ოჯახის ღირსება შელახა) შიშზე, თუკი ისინი სამოქალაქო კავშირში შევიდოდნენ. როგორც “დავიდმა“ თქვა, „ჩვენი ურთიერთობის საჯაროდ აღიარება მყისიერად სასიკვდილო საფრთხეს ნიშნავს“ (Rolfe, 2008). ეს ექსტრემალური მაგალითია, თუმცა ცხადყოფს, თუ რატომ არის ზოგიერთი ადამიანისთვის ღიად ერთსქესიანი ურთიერთობის ქონა ძალიან დიდი სირთულე.

მონოგამიური ერთსქესიანი წყვილის გარდა მრავალი სხვა ურთიერთობის ფორმა არსებობს და „წყვილის“ მნიშვნელოვნება მრავალჯერ დააყენეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ამის მაგალითია არამონოგამიური და პოლიამურული ურთიერთობების კვლევები, **არჩევანის ოჯახები,** მოზრდილთა მეგობრობა ლგბ(ტ) ადამიანებს, და ჰეტეროსექსუალებსა და ლგბ(ტ) ადამიანებს შორის. ახლა მოკლედ განვიხილავთ თითოეულ ამ საკითხს.

პოლიამურული ურთიერთობები

პოლიამურია, ან მოკლედ - „პოლი“, ინტიმური ურთიერთობების შესახებ მიდგომაა, რომელიც უშვებს, რომ მრავალი სასიყვარულო/სექსუალური პარტნიორების ყოლა დასაშვები და შესაძლებელია (იხ. ჩანართი 8.5). ბრიტანელი ფსიქოლოგი მეგ ბარკერი (2005) ხსნის, რომ ცნება „პოლიამორია“ 1960-იან წლებში წარმოიშვა მიზანმიმართული არამონოგამიურობის აღსანიშნავად. პოლიამურული ურთიერთობების მრავალგვარი ტიპი არსებობს, მათ შორის, ერთი ან ორი „ძირითადი“ და სხვა „მეორადი“ პარტნიორების ყოლა, ტრიადული ურთიერთობა (სამ ადამიანს შორის), ან კვარტეტი (მაგალითად, ორი წყვილი, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან). პოლი ადამიანთა გარკვეული ნაწილი ერთად ცხოვრობს „ჯგუფებად“ და ან მხოლოდ საკუთარი ჯგუფის წევრებთან (პოლიერთგულება) აქვთ სექსუალური კავშირი, ან ღია არიან სხვა ადამიანების მიმართაც. პოლი ურთიერთობების მქონე ადამიანები ცდილობენ, „გასცდნენ მონოგამიის შეზღუდვებსა და დაარღვიონ დაწესებული ბინარული დიქოტომიები, მათ შორის მითი, რომ ჩაკეტილი წყვილის წევრობა სიყვარულის ერთადერთი ავთენტური ფორმაა... პოლიამორია შეგვიძლია დავინახოთ, როგორც ახალი ტერმინი არამონოგამიურობისთვის, რომელიც ნეგატიურს „პოზიტიურად“ აქცევს (D’Onofrio,2004: 165). „პოლი“ ურთიერთობების კვლევა ინტიმური ურთიერთობების შესახებ დომინანტური კონსტრუქციების შესწავლის საშუალებაა, რადგან პოლი ხშირად გულისხმობს მონოგამიისა და ერთგულების სტანდარტული იდეალების უარყოფას (Barker, 2005).

ხშირად პოლი ადამიანები იდენტიფიცირდებიან ბისექსუალებად და ურთიერთობები აქვთ როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან (Ritchie and Barker, 2006). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამონოგამიურობა ასევე ჩვეული მოვლენაა გეი მამაკაცებს შორის (Bettinger, 2005). გორდონი (2006) ამბობს, რომ ტიპურად არამონოგამიურობა მამაკაცებისათვის უფრო სოციალურად მისაღებია, ვიდრე ქალებისათვის. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანს ქალებისათვის, რომლებიც არამონოგამიურ ცხოვრების წესს ირჩევენ და ვინც შესაძლოა პოტენციურად

სოციალურად გაირიყონ ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანს ჯგუფებისაგან ამ არჩევანის გამო.

ჩანართი 8.5. ანი რიჩი და მეგ ბარკერი (2006) პოლიამურული ენის კონსტრუირება სავალდებულო მონოგამიის კულტურაში

ბრიტანული მედიისა და კულტურის მკვლევარი ანი რიჩი და ფსიქოლოგი მეგ ბარკერი იკვლევდნენ იმ ენას, რომელსაც პოლიამურული ჯგუფები იყენებენ საკუთარი იდენტობის აღსანიშნად, ურთიერთობების განსამარტად და გრძნობების აღსაწერად. სოციალური კონსტრუქტივიზმის პერსპექტივიდან, ისინი ამტკიცებენ, რომ პოლი ცხოვრების წესის შესახებ ახალი სასაუბრო ენის შექმნით შესაძლებელია მონონორმატიულობასთან შეწინააღმდეგება და პოლი იდენტობებისა და ჯგუფების აღიარება მოპოვება.

მათი ანალიზი ეყრდნობოდა ინტერნეტ სადისკუსიო ჯგუფების, თემის შეტყობინებების დაფის, ელ-ფოსტის სიებისა და პოლიამურული ვებ-საიტების (მაგალითად, alt.polyamory და bi-org/uk-poly) ტექსტებს.

ამ მიდგომის ერთ-ერთი უპირატესობა „ახალი სიტყვების შექმნისა და თვალყურის დევნების შესაძლებლობა იყო. ის აადვილებდა სპეციფიკური ტერმინების დამკვიდრებისა და გამოყენების ფორმების შემჩნევას“ (2006:587). ისინი განსაკუთრებით აქცევდნენ ყურადღებას ბრიტანული პოლი ჯგუფების მიერ გამოყენებულ ტერმინებს, კერძოდ კი ლონდონურ სოციალურ ქსელ LondonPolyBis' (London Polyamorous Bisexuals). ტერმინოლოგიის შესწავლისას, მათი საკვლევი შეკითხვა იყო „რა მიიღწევა ენის გამოყენებით და რა ძალა აქვს ისტორიის ამ ტერმინებით მოყოლას ძველთან შედარებით?“ (გვ 589)

მათი ძირითადი დასკვნები ასეთია:

- პოლი ურთიერთობებში მრავალი ადამიანი თავს შეზღუდულად გრძნობს ურთიერთობების შესახებ არსებული ენით, განსაკუთრებით კი ისეთი ცნებებით, როგორიცაა ერთგულება, ღალატი, რომანი, მოტყუება და არაერთგულება.
- ტერმინი „ეთიკური კახპა“ გამოიყენება პოზიტიური კუთხით, რათა დადებითად დაამკვიდროს მისი მნიშვნელობა და (მიუხედავად მისი ტიპურად ქალთან ასოცირებულობისა), ის თანაბრად გამოიყენება ქალებისა და მამაკაცების მიმართ. მას ხედავენ, როგორც რეზისტენციის სტრატეგიას ვირტუალურ (უსაფრთხო) სივრცეში.
- წინააღმდეგობის გაწევა. მაგალითად, მამაკაცის დამატებითი ქალი პარტნიორის მიმართ „სხვა ქალის“ ან „საყვარლის“ (რომელთაგან არც ერთი

არ იღებს მხედველობაში პოლი ადამიანის ურთიერთობას თავის პარტნიორებთან) ნაცვლად გამოიყენება სიტყვა „მეტამორი“ (ეს სიტყვა ასევე გამოიყენება სხვა მამაკაცი პარტნიორების აღსანიშნადაც), „პარამორი“ აღნიშნავს დაქორწინებული პოლი ადამიანის ქორწინებისგარე პარტნიორს.

- პოლი ურთიერთობებში ეჭვიანობა ხშირია, თუმცა ზოგიერთმა პოლი ადამიანმა შექმნა განსხვავებული ენა ეჭვიანობის შესახებ, ემოციის ახლებურად განცდის ხელშესაწყობად. პარტნიორის სხვა ურთიერთობების შესახებ დისკომფორტისა და საფრთხის განცდის გამოსახატად გამოიყენება სიტყვა „უიბლი“ (ინგ. Wibble - ემოციების მოზღვავება, რომლის გამოხატულებაც წარბების შეკვრა, თვალების გაფართოვება და ზოგჯერ ტუჩების კანკალია). ასე რომ „უიბლინგი“ შესაძლოა შფოთვის გამოხატვის საშუალება იყოს თანადგომის მისაღებად, ეჭვიანობასთან ასოცირებული ნეგატიური მნიშვნელობის გარეშე.
- ტერმინი “ფრაბლი” (ინგ. Frubbly - სხვისი სიამოვნებისაგან სიამოვნების მიღება) -გამოიყენება საკუთარი პარტნიორის სხვა პარტნიორ(ებ)თან ურთიერთობით მიღებული სიამოვნებისა და დადებითი განცდების აღსაწერად.

რიჩი და ბარკერი ადამიანთა გამოცდილებების ფორმირებაში ენის მნიშვნელოვნების ხაზგასმით ასკვნიან, რომ „პოლიამურული ჯგუფები, რომლებიც ჩვენ შევისწავლეთ, სიტყვების „მოგონებით“ აქტიურად წერენ ხელახლა სიყვარულის, ურთიერთობების და ემოციების ენას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, უკეთ მოარგონ ერთმანეთს სასაუბრო/საწერი ენა და რეალური გამოცდილებები“(p. 598).

აშშ-ს კომუნიკაციების მკვლევარმა ჯეფრი რინგერმა (2001) ჩაღრმავებული კვლევები ჩაატარა ოცდაათ გეი წყვილთან. ის წყვილებს სთხოვდა, შეხვედრის დღიდან დაწყებული, საკუთარი ურთიერთობის შესახებ მოეყოლათ. რინგერს აინტერესებდა გეი მამაკაცების შეხედულებები ურთიერთობებზე და აღმოაჩინა, რომ არამონოგამიურობა ცენტრალური პრინციპი იყო, რომელსაც კვლევაში მონაწილე წყვილები მიჰყვებოდნენ სხვადასხვა გზებით. მაგალითად, ისინი:

- თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ერთ-ერთ პარტნიორს შეეძლო, ჰქონოდა სექსი ურთიერთობის გარეთ, თუმცა ეს მალევე უნდა ეთქვა თავისი პარტნიორისთვის;
- ცდილობდნენ სხვა სექსუალურ პარტნიორთან ურთიერთობას და ამ ადამიანს აძლევდნენ საშუალებას, ორივე პარტნიორთან ემეგობრა, რადგან მათი აზრით, „ორ ადამიანს არ შეუძლია სრულად შეავსოს ერთმანეთი“;

- უფლებას აძლევდნენ ერთმანეთს, სხვა ადამიანთანაც ჰქონოდეთ სექსი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ერთ-ერთი მათგანი ქალაქიდან იყო გასული;
- რამდენიმე წლის მონოგამიური ურთიერთობის შემდეგ აპირებდნენ, გამხდარიყვნენ არამონოგამიურები, რათა გაემყარებინათ თავიანთი ურთიერთობა;
- აცნობიერებდნენ, რომ პარტნიორის „მხრიდან“ ღალატი გარდაუვალი იყო, „რადგან მამაკაცები ასეთები არიან“, თუმცა არ სურდათ ამის შესახებ თავად გაეგოთ.

რინგერუ (2001:148) ასკვნის, რომ მონოგამიურობის ნორმატიულობის ან **მონონორმატიულობის** გამო „ურთიერთობის ალტერნატიული იდეოლოგიური კონფიგურაციის შენარჩუნება მუდმივ ხელშეწყობას საჭიროებს“. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ღიად პოლიამურული და არამონოგამიური ურთიერთობები ზოგადად უფრო იშვიათია, ვიდრე მონოგამიური, ისინი პერსონალური ურთიერთობების ორგანიზების ალტერნატიული გზების შესწავლის და მონონორმატიულობის ეჭვქვეშ დაყენების საშუალებას გვაძლევენ. არამონოგამიურობა და პოლიამურული პრაქტიკა ასევე ხშირად ვრცელდება ჰეტერეოსექსუალებშიც საკუთარი სექსუალობის ჰეტერონორმატიულობის საზღვრებს მიღმა გამოსავლენად - სექსუალობის გასაქვიარებლად (Thomas, 2000).

მეგობრობა

მეგობრობასა და სექსუალურ/რომანტიკულ ურთიერთობებს შორის ზღვარი საკმაოდ კომპლექსურია არაჰეტეროსექსუალურ კონტექსტში და ლგბქ ადამიანები ხშირად მეგობრებად რჩებიან საკუთარ ყოფილ სექსუალურ პარტნიორებთან (Weinstock and Rothblum, 1996). ლგბტქ მეგობრობა ძალიან ცუდად ნაკვლევი სფეროა უმეტესად იმიტომ, რომ ენა, რომელსაც მეგობრობის აღსაწერად ვიყენებთ, ხშირად ახდენს მეგობრობის მნიშვნელობის ტრივიალიზებას:

„თუ სექსუალური ურთიერთობა „ძირითადი ურთიერთობაა“, მაშინ მეგობრობა „მეორადია“? თუ სექსუალური პარტნიორი „მნიშვნელოვანი მეორე ნახევარია“, მეგობრები „უმნიშვნელო მეორე ნახევრები“ არიან? და რას ნიშნავს კითხვები: „ერთად ხართ თუ უბრალოდ მეგობრები ხართ?“, მაშინ როდესაც „ერთადაც ხართ“ და „მეგობრებიც“ ხართ და არანაირი „უბრალოდ“ აქ არ არის?“ (Kitzinger, 1996c: 296).

მეგობრობას მრავალი სხვადასხვა კუთხით შეგვიძლია შევხედოთ: რა მნიშვნელობა აქვს მეგობრობას ლგბტქ ადამიანების ცხოვრებაში? ვისთან მეგობრობენ ლგბტქ ადამიანები და რატომ? რა როლი აქვს სექსუალურ

მიზიდულობას ლგბტქ ადამიანების სხვა ლგბტქ ადამიანებსა და ჰეტეროსექსუალებთან მეგობრობაში? ჟაკლინ ვინსტოკი, აშშ-ს განვითარების ფსიქოლოგი, იკვლევდა ლესბოსელებისა და გეების მეგობრობას მოზრდილ ასაკში და აღმოაჩინა, რომ ლესბოსელებიცა და გეებიც საკუთარ ჯგუფთან უფრო მეგობრობს, ვიდრე ერთმანეთთან (Weinstock, 1998). ლესბოსელები უფრო ხშირად ინარჩუნებენ მეგობრობას თავიანთ ყოფილ შეყვარებულებთან, ვიდრე გეები და ჰეტეროსექსუალები (Weinstock, 2004). მიუხედავად იმისა, რომ ლესბოსელ წყვილებში „ერთმანეთში გათქვეფას“ (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ), პრობლემურად აღიქვამენ ჰეტერონორმატიული თვალთახედვიდან, შესაძლებელია ძალიან დადებითი მოვლენა იყოს მაშინ, როცა ურთიერთობის რომანტიკულ/სექსუალურიდან პლატონურად გარდაქმნისას ლესბოსელებს ერთმანეთთან კავშირის შენარჩუნებაში ეხმარება (Fitzgerald, 2004, იხ. ჩანართი 8.6).

ჩანართი 8.6. ჟაკლინ ვინსტოკი (2004) - მეგობრობის შენარჩუნება ლესბოსური ურთიერთობების ცვლილებისას

მეგობრობასა და სექსუალურ ურთიერთობებს შორის საზღვრების ხასიათი გენდერულად განსხვავებულია. ბევრი ქალი იწყებს სექსუალურ ურთიერთობას ახლო მეგობრობის შედეგად, მაშინ როცა გეი მამაკაცებს შორის მეგობრობა თავდაპირველი სექსუალური კავშირის შემდეგ უფრო ხშირად იწყება (Weeks et al ., 2001). ლესბოსური და გეი მეგობრობის ამერიკულ კვლევაში, ლესბოსელები გეი მამაკაცებთან შედარებით ორჯერ ხშირად ამბობდნენ (ოცდათოთხმეტი პროცენტი ჩვიდმეტ პროცენტთან შედარებით), რომ მათი საუკეთესო მეგობარი (ვისთანაც იმ დროს არ ჰქონდათ ურთიერთობა), მათი ყოფილი შეყვარებული იყო (Nardi and Sherrod, 1994). ვინსტოკმა ათი სხვადასხვა ისტორია გამოყო (ოთხს პრობლემურად მიიჩნევდა, ხოლო დანარჩენი ექვსის შესახებ ფიქრობდა, რომ ისინი მარგინალიზებულ გარემოსთან ადაპტაციის ნიშანი იყო), რომლებიც ხსნიან, თუ რატომ ინარჩუნებენ ლესბოსელები მეგობრობას თავიანთ ყოფილ შეყვარებულებთან:

პრობლემური ისტორიები:

1) ლესბოსელების სასიყვარულო და ყოფილი სასიყვარულო ურთიერთობები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთში გათქვეფილია;

2) ლესბოსელებს არ შეუძლიათ რაღაცის დავიწყება, წინ წასვლა; ლესბოსელების მეგობრობა განშორების შემდეგ გაცალკევების სირთულეებზე

მეტყველებს;

3) ლესბოსელთა სასიყვარულო ურთიერთობები არ არის აღიარებული, ამიტომ ისინი არ აწესებენ მოთხოვნებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ერთი პარტნიორი თავის ან მეორე პარტნიორის ყოფილ შეყვარებულებთან;

4) ლესბოსელთა სოციალური ქსელები და ჯგუფები უფრო ვიწროა, ისინი პარტნიორებს ამ წრეებში პოულობენ და შესაბამისად, ერთმანეთის ცხოვრებაში ჩართული სოციალური ქსელები ყოფილი შეყვარებულების ჩართვით მიღებულია;

მარგინალიზებულ გარემოსთან ადაპტაციის ისტორიები

5) იზოლაცია და ურთიერთობის ფორმალური აღიარების ნაკლებობა ნიშნავს, რომ ყოფილ შეყვარებულებთან ურთიერთობა სოციალური კონტექსტიდან პოზიტიური ადაპტაციაა;

6) მარგინალიზაციის სხვა ლესბოსელებთან გაზიარებული გამოცდილება, მათ შორის კი ყოფილ შეყვარებულებთან, ახლო კავშირების შენარჩუნებას უწყობს ხელს;

7) ლესბოსელებმა, როგორც ქალებმა, გაიარეს ისეთი სოციალიზაცია, რომელიც ასწავლიდა „ურთიერთობების“ უნარებსა და მეტ მზრუნველობას ახლო ურთიერთობების მიმართ;

8) მეგობრობა არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შექმნისა და განვითარების აუცილებელი ნაწილია და შესაბამისად, ყოფილ შეყვარებულებთან მეგობრობის შენარჩუნება ჰეტეროსექსისტურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია;

9) სხვადასხვა სექსუალობებს შორის მეგობრობის შენარჩუნება (მაგალითად, ლესბოსელების მეგობრობა ჰეტეროსექსუალ ქალებთან) შესაძლოა რთული იყოს, ეს კი ზრდის ლესბოსელთა მოტივაციას, რომ ყოფილ შეყვარებულებთან იმეგობრონ;

10) ლესბოსელების მეგობრები ხშირად ოჯახად აღიქმება, ეს კი ხელს უწყობს მეგობრობის შენარჩუნებას ურთიერთობების ფორმის ცვლილებისას;

ვინსტოკმა შექმნა ტერმინი FLEX (‘friend and/or family connections among lesbian ex-lovers’ - მეგობრული ან ოჯახური კავშირები ლესბოსელ ყოფილ შეყვარებულებს შორის, გვ. 200). ეს ტერმინი აღნიშნავს და აღიარებს „ჩვენს სურვილს და შესაძლებლობას, რომ მოქნილები ვიყოთ ინტიმურ ურთიერთობებში, და ურთიერთობების ფორმისა და ფუნქციის ცვლილებისას ხელი შევუწყოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი კავშირების შენარჩუნებას.“

ამერიკელი სოციალური ანთროპოლოგი კატ ვესტონი (1991) კრიტიკულად განიხილავს „მეგობრები როგორც ოჯახის“ ცნებას ლესბოსელებსა და გეი მამაკაცებს შორის. ის ამბობს, რომ მეგობრების ნათესავებად წარმოჩენისას, ხდება ტრადიციული ჩარჩოს, რომელიც (ბიოლოგიურ) ოჯახს მის ცენტრად აღიქვამს, გამყარებაც და დარღვევაც; ის ირღვევა იმიტომ, რომ მეგობრების ოჯახის შექმნა ოჯახის ტრადიციულ გაგებას ეწინააღმდეგება. ბრიტანელმა სოციოლოგმა, ჯეფრი ვიკსმა, ბრაიან ჰეფიმ და კატერინ დონოვანმა (2001:4) 96 არაჰეტეროსექსუალ ქალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოყვეს „პირველადი ოჯახები“ და“ არჩეული ოჯახები“. „არჩეული ოჯახები“ - აღნიშნავს „მეგობრებისა და შეყვარებულების მოქნილ, არაფორმალურ და ცვალებად, თუმცა ძლიერ და მხარდამჭერ ქსელებს, და ის ხშირად ოჯახის წევრებსაც მოიცავს“. ისინი ნაკლებად კრიტიკულები არიან არაჰეტეროსექსუალების მიერ საკუთარი ქსელების აღწერისას ნათესაური ენის გამოყენების შესახებ და ამბობენ, რომ „მეგობრობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალო დასაყრდენი, იმ ადამიანებისათვის, ვისაც საზოგადოება ძლივს აღიარებს... ის ალტერნატიულ შესაძლებლობებს გვთავაზობს, რომლებიც კონვენციური ოჯახური ცხოვრების აუცილებლობას ეწინააღმდეგება“ (გვ. 53). არჩეული ოჯახები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველადი ოჯახებისაგან გარიყული და სახლიდან გაძევებული ლგბტქ ადამიანებისათვის (Israel, 2005).

მეგობრობის მეორე ასპექტი სხვადასხვა სექსუალურ იდენტობების მქონე ადამიანებს შორის მეგობრობაა (Price, 1998). ამერიკელი კომუნიკაციების მკვლევარი ლიზა ტილმენ-ჰელი (2001), მაგალითად, აკვირდებოდა თუ როგორი მეგობრობა ჰქონდა მასა და მის ქმარს გეი მამაკაცებთან. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჰეტეროსექსისტული განწყობების შემცირებას ამ მეგობრობის შედეგად. თუმცა, ლესბოსელებს, გეებსა და ჰეტეროსექსუალებს შორის მეგობრობების ბარიერებიც არსებობს. ამერიკელი ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების ფოკუს ჯგუფის საშუალებით შესწავლისას, ო’ბოილმა და ტომასმა (1996) აღმოაჩინეს, რომ ლესბოსელები ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია ჰეტეროსექსუალ ქალებს ეფრთხილათ ნებისმიერი ფიზიკური სიახლოვის გამოვლინებისას ან სექსუალური ურთიერთობების შესახებ საუბრისას. შესაბამისად, ლესბოსელები ცდილობდნენ, შეეზღუდათ ეს ქცევები თავიანთ ჰეტეროსექსუალ ქალ მეგობრებთან. ასევე, ჰეტეროსექსუალი ქალები, რომლებსაც ლესბოსელი მეგობრები ჰყავდათ, თავიანთ ჰეტეროსექსუალ ქალ მეგობრებთან შედარებით, საუბრობდნენ ნაკლებ პერსონალურ გახსნილობაზე ლესბოსელებთან თავიანთი სექსუალური ურთიერთობების განხილვისას. სხვადასხვა სექსუალობებს შორის განსხვავება, ისევე, როგორც განსხვავების სხვა მახასიათებლები,

შესაძლოა გადაილახოს ურთიერთობებში, თუმცა ჰეტეროსექსიზმის შესახებ ცოდნა და ლგბტქ საკითხების შესახებ დადებითი პოზიცია ჰეტეროსექსუალების ლგბტქ ადამიანებთან მეგობრობისათვის უმნიშვნელოვანესია.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

ისევე, როგორც ლგბტქ ფსიქოლოგიაში კვლევების უმეტესობა, ურთიერთობების კვლევის უმეტესი წილი ლესბოსელებსა და გეებზეა კონცენტრირებული. შესაბამისად, მეტი კვლევაა საჭირო ბისექსუალებისა და ტრანსების ურთიერთობების შესახებ. ასევე, კვლევების უმეტესობა თეთრკანიან, საშუალო ფენის გეი მამაკაცებსა და ლესბოსელებს ეყრდნობა, საჭიროა უკეთ გავიგოთ მუშათა კლასისა და არათეთრკანიანი ადამიანების გამოცდილებები;

- ურთიერთობების კვლევების უმეტესობა აშშ-ში და სხვა დასავლურ ქვეყნებშია ჩატარებული; ერთსქესიანი ურთიერთობების მეტი კვლევაა საჭირო არადასავლურ კონტექსტში;
- ძლიერად აქცენტირებულია ერთად მცხოვრები მონოგამიური წყვილები. საჭიროა, მეტი გავიგოთ იმ წყვილებზე, ვინც არ ირჩევს ერთად ცხოვრებას, ან არამონოგამიური თუ პოლიამურული ურთიერთობა აქვთ;
- ძალიან ცოტა კვლევა არსებობს ინტიმური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ. მიზეზები, რომლებსაც ლესბოსელები და გეები ასახელებენ განშორებისას, ჰეტეროსექსუალური პატერნის მსგავსია (Kurdek, 1991b), თუმცა სამართლებრივად აღიარებული ერთსქესიანი ურთიერთობების დამთავრება ახალი და ჯერ შეუსწავლელი საკვლევი თემაა;
- ცოტა კვლევა არსებობს, რომლებიც ინტერრასობრივ და ინტერსარწმუნოებრივ ერთსქესიან წყვილებს შეისწავლის;
- ძალიან ცოტა კვლევა არსებობს მარტოხელა ლგბტქ ადამიანების შესახებ;
- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს გაძლიერდა ინტერესი ერთსქესიან ურთიერთობებში ოჯახური ძალადობის შესახებ (მაგალითად, Turrell, 2000; Halpern et al., 2004), ზოგადად ძალიან ცოტაა ცნობილი ერთსქესიან ურთიერთობებში ძალაუფლების ფუნქციონირების შესახებ, არსებულ კვლევებში ურთიერთობების თანასწორობაზე აქცენტის გადატანის გამო.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- განვიხილეთ ერთსქესიანი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება ქორწინებისა თუ სამოქალაქო პარტნიორობის საშუალებით;
- ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა ვიცით ერთსქესიან ურთიერთობებზე სამართლებრივი აღიარების გავლენის შესახებ;
- გამოვყავით კვლევები, რომლებიც ადარებს ერთ და სხვადასხვასქესიან ურთიერთობებს და შემოგთავაზეთ შედარებითი კვლევების კრიტიკა. განსაკუთრებით ხაზი გავუსვით, თუ როგორ ახდენს გავლენას ერთსქესიან

ურთიერთობებზე გენდერი, რასა, კულტურა, სოციალური კლასი და განსხვავებულობის სხვა ფორმები;

- გამოვყავით ცენტრალური საკითხები ლგბტქ სექსუალურ პრაქტიკასთან მიმართებაში და აღვნიშნეთ ლგბტქ სექსუალური პრაქტიკის მრავალფეროვნება;
- მოვახდინეთ „მონოგამიური წყვილის“ ცნების, როგორც ურთიერთობების კვლევის ცენტრის პრობლემატიზირება და აღვწერეთ შესწავლისთვის საინტერესო ურთიერთობების სხვა ფორმები, როგორებიცაა მეგობრობა და არამონოგამიური ურთიერთობები.

კითხვები დისკუსიისათვის და საკლასო დავალებები

1) აკადემიკოსები და ლგბტქ თემის წევრები ბევრს კამათობენ ურთიერთობების სამართლებრივი აღიარებების დადებით და უარყოფით მხარეებზე ერთსქესიანი წყვილებისა და ლგბტქ თემისათვის, და ასევე იმ განსხვავებულ ფორმებზე, რაც სამართლებრივმა აღიარებამ შეიძლება მიიღოს. რა უპირატესობები აქვს ურთიერთობის აღიარებას ლგბტქ თემებისა და ინდივიდებისათვის? რა უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს ამას?

2) ურთიერთობაში თანასწორობა მითია - ააწყვეთ არგუმენტი დამამტკიცებელი მასალის გამოყენებით, რათა მხარი დაუჭიროთ ან უარყოთ ეს განცხადება ერთსქესიან ურთიერთობებთან მიმართებაში.

3) რა არის ურთიერთობების ჰეტეროსექსუალური ნორმები და როგორ არიან ისინი გამოყენებულნი ლგბტქ ურთიერთობების კვლევისას ფსიქოლოგიაში?

4) რა განსხვავებები და მსგავსებები შეიძლება არსებობდეს ვირტუალურ და „ნამდვილ“ ლგბტქ ურთიერთობებში? მართლა სცდება თუ არა კიბერსივრცე მარგინალიზაციის ისეთ საზღვრებს, როგორიცაა რასა, კულტურა, უნარშეზღუდულობა? თუ კი, მაშინ როგორ და რატომ? თუ არა, რატომ? როგორ ქმნის ინტერნეტი ლგბტ ურთიერთობებს და როგორ ცვლის ის მათ განსაზღვრებას?

5) გამოყავით ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები თქვენს ცხოვრებაში. ვინ იქნებოდა თქვენი „არჩეული ოჯახის“ წევრი? რითი განსხვავდება იგი თქვენი „საწყისი ოჯახისგან?“ როგორ შეიძლება თქვენი არჩეული და საწყისი ოჯახები შეიცვალონ დროთა განმავლობაში?

თავი 9

მშობლობა და ოჯახი

თავის შინაარსი:

- მშობლობის საშუალებები ლგბტქ ადამიანებისათვის
- ლესბოსელი, გეი და ტრანსი ოჯახების შედარება ჰეტეროსექსუალ ოჯახებთან
- „საპირისპიროდ დამტკიცების“ დღის წესრიგის მიღმა
- ლგბტქ ოჯახის წიაღში

მშობლობის საშუალებები ლგბტქ ადამიანებისათვის

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი, რომელსაც საფუძველი მხოლოდ ცოტა ხნის წინ შეერყა, გახლდათ მოსაზრება, რომ ლესბოსელებს და გეებს არ შეეძლოთ შვილები ყოლა. 1970-იან წლებში ლესბი, გეი და ტრანსგენდერი მშობლობის კვლევა შემუშავების პროცესში იყო და მას შემდეგ ცოდნის საგრძნობი რაოდენობა შეიქმნა, ამიტომ დღეს უკვე ვიცით, რომ ეს სტერეოტიპი სიმართლეს არ შეესაბამება.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაჰეტეროსექსუალი ადამიანი არჩევს, არ გახდეს მშობელი, და ერთ-ერთი, რასაც ისინი საკუთარ არაჰეტეროსექსუალობაში აფასებენ, შვილების ყოლის სოციალური წნეხისგან თავისუფლებაა (Stacey, 2006), ბევრი არაჰეტეროსექსუალი ადამიანი მშობელიც არის. არაჰეტეროსექსუალი ადამიანების რეპრეზენტაციული საკვლევი ჯგუფების შედგენის სირთულეების გამო, რომელზეც მესამე თავში ვისაუბრეთ, შეუძლებელია წარმოვადგინოთ ზუსტი სტატისტიკა არაჰეტეროსექსუალი მშობლების რაოდენობაზე. თუმცა, კვლევათა ნაწილმა აღმოაჩინა, რომ ლესბოსელების მესამედი ნაწილი და გეი კაცების 10-20 % მშობლები არიან (ბისექსუალებზე მონაცემები არ არის). ზოგიერთმა ფსიქოლოგმა განაცხადა, რომ ეს სტატისტიკა სათანადოდ არ ასახავს მშობლობის მაჩვენებელს რასობრივად და კულტურულად მარგინალიზებულ ჯგუფებში. ვარაუდობენ, რომ ამ ჯგუფების წარმომადგენლები ნაკლები ალბათობით აიგივებენ თავს ისეთ კატეგორიასთან, როგორიცაა „ლესბოსელი” და „გეი” და უფრო მეტი შანსია, ისინი ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში იყვნენ. აქედან გამომდინარე, უფრო დიდია ალბათობა, რომ ისინი მშობლები იყვნენ (Bell and Weinberg, 1978). ნავარაუდევია, რომ ტრანსგენდერი ადამიანების მესამედს, რომელიც გენდერული იდენტობის კლი-

ნიკაში დადის, შვილი ჰყავს (di Ceglie, 1998). ზოგიერთი ჩასახვის კლინიკა ასევე საუბრობს მცირე რაოდენობით ტრანსგენდერ ადამიანებსა და მათ პარტნიორებზე, რომლებსაც მათი სერვისით სარგებლობა სურთ (იხ. ჩანართი 9.1).

ლგბტქ მშობლობაზე ჩატარებული კვლევის უმეტესობა კონცენტრირებულია ლესბოსურ ოჯახებზე, უფრო კონკრეტულად კი, თეთრკანიანი, საშუალო კლასის ლესბოსურ ოჯახებზე (Gabb, 2004). არსებობს მთელი რიგი პერსონალური მონათხრობებისა, რომლებიც ეხება ბისექსუალი კაცების მშობლობას (Anders, 2005), შავკანიან ლესბოსელ დედებს (Lorde, 1987), თეთრკანიან ლესბოსელებს, რომელმაც ბავშვი იშვილა (Cook-Daniels, 2000). თუმცა, ასეთ მშობლურ გამოცდილებებზე არსებული ემპირიული კვლევა მინიმალურია. ამ მიზეზით, ამ თავის ფოკუსი ლესბოსური მშობლობა იქნება, მაგრამ ჩვენ გბტქ მშობლობის შესახებ არსებულ მონაცემებსაც შევეხებით.

ჩანართი 9.1. ტრანსსექსუალობა და მშობლობა

როგორც პოლ დე სატერი, ბელგიის ფერტილობის ცენტრში მომუშავე ექიმი აღნიშნავს, „ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, სასურველ გენდერზე ტრანზიცია და რეპროდუქცია ერთმანეთის გამომრიცხავად მიიჩნეოდა ტრანსსექსუალი ადამიანებისათვის. ბევრისთვის, რეპროდუქციული პოტენციალის დაკარგვა ერთგვარი „საფასურია", რომლის გადახდაც ტრანზიციისთვის უწევთ" (2001: 612). ჰორმონული და ქირურგიული მკურნალობა რეპროდუქციული პოტენციალის შეუქცევად დაკარგვას იწვევს; თუმცა თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიები იმის საშუალებას იძლევა, რომ ტრანსსექსუალმა ქალებმა საკუთარი სპერმა გაყინონ სამედიცინო მკურნალობამდე, ისევე, როგორც ამას ბიოლოგიური კაცები აკეთებენ სიმსივნის მკურნალობის კურსის გავლისას. 121 ტრანსსექსუალ ქალზე ჩატარებულმა კვლევამ დე სატერის და მისი კოლეგების მიერ (2002) გამოავლინა, რომ რესპონდენტების უმეტესობა ამჯობინებდა, სპერმის გაყინვის საშუალება ჰქონოდა.

წარსულში, ბევრი ფსიქოლოგი მიიჩნევდა, რომ მამაკაცურ წარსულსა და მამობის შესაძლებლობასთან სრული წყვეტა, ქალის როლისაკენ წარმატებული ტრანზიციის აუცილებელი ფსიქოლოგიური კომპონენტი იყო. შვილიან ადამიანებს ხშირად უარს ეუბნებოდნენ მკურნალობაზე. საბედნიეროდ, ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ფერტილობის დაკარგვა წარმატებული ტრანზიციისათვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. გარდა ამისა, გენდერული იდენტობის

აშლილობის მკურნალობის სტანდარტები გვირჩევს, რომ მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ადამიანების აზრი რეპროდუქციული პოტენციალის დაკარგვასთან დაკავშირებით. დე სატერი (2001) აღნიშნავს, რომ რადგან ახლა უკვე უფრო და უფრო ადრეულ ასაკში ხდება დიაგნოზის დადგენა და მკურნალობის დაწყება, დიდია ალბათობა იმისა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ტრანზიციის შემდეგ შეეცადონ, მშობლები გახდნენ.

ლგბტქ ადამიანებისათვის მშობლობის უამრავი გზა არსებობს, ისევე, როგორც ჰეტეროსექსუალი და არატრანსგენდერი ადამიანებისათვის. წარსულში და ხანდახან დღესაც, არაჰეტეროსექსუალების უმეტესობა ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის შედეგად ხდება მშობელი (Tasker and Patterson, 2007). ამ მშობლებს, როგორც წესი, **„განქორწინებულ ლესბოსელ დედებად და გეი მამებად"** მოიხსენიებენ და ბევრი მათგანი აგრძელებს მშობლის ფუნქციის შეთავსებას ყოფილ პარტნიორთან. ოჯახური ურთიერთობა შესაძლოა გულისხმობდეს ჰეტეროსექსუალური და ერთსქესიანი წარსულისა და აწმყო ურთიერთობებისგან შემდგარ რთულ ქსელს.

ლესბოსელებმა და გეებმა შეიძლება, ასევე, მშობლობა ლესბოსელებად ან გეებად ქამინგ აუთის შემდეგ გადაწყვიტონ; დაგეგმილი ლესბოსური/გეი ოჯახები ყველაზე ხშირად შედგება **ბიოლოგიური დედის/მამის** და **თანამშობლისა** ან **სოციალური მშობლისგან**. ტერმინი თანამშობელი არ ნიშნავს მეორად როლს; ზოგიერთი ლესბოსური ოჯახები შეიძლება თანაბრად იყოფდნენ ბავშვზე ზრუნვას, მაშინ, როცა სხვებმა შეიძლება უფრო ტრადიციული მოდელი აირჩიონ, სადაც ერთი მთავარი შემომტანი იქნება, მეორე კი მთავარი მზრუნველი (Patterson, 1995). ასევე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ **ქვიარ ნუკლეარული ოჯახები** ხშირია (Folgerø, 2008), ზოგიერთი დაგეგმილი არაჰეტეროსექსუალური ოჯახი შეიცავს ორზე მეტ მშობელს.

ლესბოსელებისა და მარტოხელა ქალების მზარდი რაოდენობა ირჩევს, რომ **დონორული ინსემინაციით** დაფეხმძიმდეს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანისა და მათი პარტნიორებისათვის ხელმისაწვდომი გამოსავალიცაა).ზოგიერთი ქალი არჩევს, „უცნობი" დონორი ჰყავდეს (ისინი ბავშვს მხოლოდ საბაზისო ინფორმაციას ეუბნებიან მასზე), სხვები კი „ცნობილი" დონორის ყოლას არჩევენ, რომელიც მეტ-ნაკლებად მაინც ჩართული იქნება ოჯახურ საქმეში. გეების მცირე ნაწილი არჩევს, სუროგაციის მეშვეობით გახდეს მშობელი. გეი კაცები, როგორც კვლევები აჩვენებს, სუროგაციას ირჩევენ იმიტომ, რომ საკუთარ

შვილთან ბიოლოგიური კავშირი სურთ (Lev,2006). ზოგიერთი არაჰეტეროსექსუალი ასევე არჩევს ისეთ მშობლურ ურთიერთობებს, სადაც არავითარი ნათესაური კავშირი არ არსებობს და ბავშვებმა რაღაც პერიოდი სხვა ოჯახში გაატარეს, კონკრეტულად კი, მშვილებელ ან მიმღებ ოჯახებში (იხ. ჩანართი 9.2).

ჩანართი 9.2. შვილება და მიმღები ოჯახები ლგბტქ თემში

ბევრი არაჰეტეროსექსუალი თვლის, რომ შვილება და ბავშვის აღზრდა ოჯახის შექმნის ძირითადი საშუალებაა. როგორც რაიანი (2007) აღნიშნავს, მშვილებელ ლესბოსელ და გეი მშობლებზე არასაკმარისი კვლევებია ჩატარებული. ის მცირე რაოდენობის კვლევა, რაც ხელმისაწვდომია, გვიჩვენებს, რომ იმისდა მიუხედავად, რომ გასულ ათწლეულში ერთსქესიანი გაშვილების მიმართ არსებული ოფიციალური დამოკიდებულებები სულ უფრო და უფრო პოზიტიური ხდებოდა, ლესბოსელები და გეები გაშვილებისა და აღმზრდელი ოჯახის შეფასების პროცესში ხშირად აწყდებიან ჰეტეროსექსიზმს (Riggs, 004b).

ამ მიზეზით შეფასების პროცესი საკმაოდ სტრესული შეიძლება იყოს და უარყოფითი გავლენა იქონიოს პოტენციურ მშვილებელთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Ross et al., 2008). არაჰეტეროსექსუალებისგან ხშირად ელოდებიან, რომ მათ „გაანათლონ“ სოციალური მუშაკები არაჰეტეროსექსუალური ცხოვრების შესახებ და აჩვენონ, რომ ისინი აუცილებლად უზრუნველყოფენ შვილებს „საპირისპირო სქესის“ როლური მოდელით (Hicks, 2005a; Riggs, 2007b). შავკანიანმა მონაწილეებმა ბრიტანულ კვლევაში განაცხადეს, რომ სოც. მუშაკებისგან განიცდიდნენ როგორც ჰეტეროსექსიზმს, ასე რასიზმს (Hicks and McDermott, 1999). დემიენ რიგზი (2007ბ) აცხადებს, რომ ლესბოსელი და გეი მიმღები ოჯახების აპლიკაციების შეფასება ლესბოსელებისა და გეი კაცების სპეციფიკურ გამოცდილებებზე უნდა ფოკუსირდებოდეს და ლესბოსური და გეი ოჯახების ჰეტეროსექსუალიზაციას უპირისპირდებოდეს.

ლესბოსური და გეი მიმღები ოჯახების ოჯახური ფუნქციონირება რამდენიმე მკვლევარმა შეისწავლა. ბენეტმა (2003) იკვლია მიჯაჭვულობის აღქმები 15 ლესბოსელ წყვილში, რომლებმაც ბავშვი სხვა ქვეყნიდან იშვილეს. ამ ხარისხობრივ კვლევაში გამოჩნდა, რომ ყველა ამ ოჯახში ბავშვმა ორივე დედა მტკიცედ შეაკავშირა, თუმცა ბავშვების 80%-ს უმთავრესი კავშირი ერთ დედასთან აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვზე ზრუნვა და საოჯახო საქმე თანაბრად არის გადანაწილებული. ლესბოსელი, გეი და ჰეტეროსექსუალი მიმღები ოჯახების შედარებით

კვლევაში, ლიუნგმა და სხვებმა (2005) აღმოაჩინეს, რომ ლესბოსელი და გეი მშობლების მიერ ნაშვილებ ბავშვებზე არ შეინიშნება არანაირი ნეგატიური ზეგავლენა. უფროსი ასაკის ბავშვები და ბავშვები, რომლებმაც სხვა ოჯახები გამოიარეს გაშვილებამდე, ხშირ შემთხვევაში, გაშვილების შემდეგ უფრო დიდ სირთულეს აწყდებიან. მაგრამ, ლესბოსურ და გეი ოჯახებში ეს გაუცხოება მინიმუმამდეა დაყვანილი, ისინი ოჯახში განსაკუთრებული პრობლემების გარეშე ადაპტირდებიან.

რაიანი (2007; see also Riggs, 2009a) აცხადებს, რომ ლესბოსურ და გეი მიმღები ოჯახების კვლევა, ძლიერი მხარეებისა და რესურსების ნაცვლად, ხშირად დეფიციტებსა და პრობლემებზე ფოკუსირდება.

მან დაადგინა, რომ ლესბოსელი და გეი მიმღები მშობლები მშობლური უნარების მაღალ დონეს ავლენენ, მათი შვილებიც, ასევე, დიდ ძალისხმევას იჩენენ. „საპირისპირო სქესის“ როლური მოდელის საჭიროების საპირისპიროდ, მელონი (2006) აცხადებს, რომ შვილების შემთხვევაში გენდერული ერთგვაროვნება ლესბოსელ და გეი ოჯახებში უნიკალური დადებითი მხარეების მატარებელია. მაგალითად, ახალგაზრდა გოგონებს, რომლებსაც მამები ან სხვა ზრდასრული ადამიანები ჩაგრავდნენ, უკეთესი საშუალება აქვთ, დადებითი ურთიერთობები ააწყონ ახალ მშობლებთან, როდესაც მხოლოდ ქალებისგან შემდგარ ლესბოსურ კერაში ხვდებიან.

იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი არაჰეტეროსექსუალი მშობელი დადგენილ ნორმებს მიღმა რჩება, არ არსებობს ფართოდ შეთანხმებული ტერმინები, რომლებიც განკუთვნილი იქნებოდა არაჰეტეროსექსუალური ოჯახური ფორმებისა და ურთიერთობებისთვის. მიუხედავად ამისა, ბიოლოგია მძიმედ არის ჩაქსოვილი იმ ტერმინებში, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში განვითარდა და ზოგიერთი მკვლევარი კრიტიკულად უდგება ამ ფაქტს (Gabb, 2004). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბევრ ზემოთ ნახსენებ ტერმინს მკაცრად ეწინააღმდეგებიან და ბევრმა არაჰეტეროსექსუალმა მშობელმა შეიძლება უარყოს ეს ტერმინები და უბრალოდ „დედა“, „მამა“ ან „მშობელი“ არჩიოს.

უარყოფითი დაშვებები ლგბტქ მშობლების შესახებ

კანონი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არაჰეტეროსექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების თავისუფლებაში, გახდნენ მშობლები (იხ. ჩანართი 9.3). მკვლევარები აცხადებენ, რომ საჯარო დამოკიდებულებები შეიძლება ყველაზე დიდი სირთულე იყოს იმ ლგბტქ ადამიანებისათვის,

რომლებმაც თანასწორ მშობლობის უფლებას მიაღწიეს. ზოგიერთმა კვლევამ ლესბოსელი და გეი მშობლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებები გამოავლინა. ლესბოსელი და გეი წყვილები ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით განიხილება, როგორც ბავშვებისთვის სახიფათო გარემოს შემქმნელი წინაპირობა. (Crawford and Solliday, 1996).

ჩანართი 9.3. ლგბტქ მშობლობა, კანონი და თანასწორობა

იმის გაგება, თუ როგორ აძლევს კანონი და სოციალური პოლიტიკა ლგბტქ ადამიანებს მშობლობის უფლებას, საკმაოდ რთულია. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ კანონისა და სოციალური პოლიტიკის ძალიან ბევრი განსხვავებული არეალი გამუდმებით ახდენს გავლენას მშობლობისა და ოჯახის კანონის ცვლილებაზე.

ზოგადად, ლგბტქ ადამიანები მშობლობის შემდეგი უფლებებისთვის იბრძვიან:

* თანასწორი მოპყრობა ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით;
* ბავშვების შვილებისა და მიმღებ ოჯახად გახდომის უფლება, როგორც წყვილისათვის, ისე ცალკეული ინდივიდისათვის, იმ პირობების ქონა, რაც ჰეტეროსექსუალ და არატრანსგენდერ ადამიანებს აქვთ.
* უფლება ჩასახვის მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე, ჰეტეროსექსუალ და არატრანსგენდერ ადამიანებთან თანასწორ ბაზისზე; პრივატული ინსემინაციის დაგეგმვის უფლება.
* სოციალური მშობლების უფლება, სრულად იყვნენ აღიარებულნი თავიანთი ბავშვის მშობლებად.
* უფლება ურთიერთობის აღიარების ხელმისაწვდომობაზე (ერთსქესიანი ქორწინების ლეგიტიმაცია ჰეტეროსექსუალური ქორწინების თანაბარი უფლებებით).

არაჰეტეროსექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიერ ამ უფლებების დაკანონება სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად სხვადასხვაგვარ სურათს გვაძლევს. ისეთ ფედერალურ ქვეყნებშიც კი, როგორიც აშშ და ავსტრალიაა, ამ მხრივ სხვადასხვა შტატში სხვადასხვა სურათი გვაქვს. მაგალითისთვის, ბრიტანეთმა ყველაზე პროგრესული კანონმდებლობა მიიღო, სადაც ერთსქესიან წყვილებს და ცალკეულ არაჰეტეროსექსუალ პირებს უფლება აქვთ, იშვილონ და აღზარდონ ბავშვები.

ცოტა ხნის წინ მიღებული კანონის თანახმად, ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსად, ლესბოსელ წყვილებსა და მარტოხელა ქალებს ჩასახვის საშუალებებზე ექნებათ ხელმისაწვდომობა. სექსუალობა, როგორც ასეთი, აღარ წარმოადგენს ფაქტორს მეურვეობის დავებში, რომ-

ლებიც ლესბოსელ დედებს ეხება; თუმცა გეი მამები და ტრანსგენდერი მშობლები ჯერ კიდევ აწყდებიან უარყოფით დაშვებებს მათი მშობლობის შესახებ. ერთსქესიანი წყვილების მისაწვდომობა სამოქალაქო პარტნიორობაზე (იხ. მერვე თავი), და კანონი სამოქალაქო პარტნიორობაში ავტომატურად უზრუნველყოფს მშობლის სტატუსს სოციალური მშობლებისათვის (ლესბოსურ წყვილებში). ქალებისთვის, რომლებიც ჩასახვის სერვისებს იყენებენ, სოციალური მშობელი ავტომატურად არის მიჩნეული ლეგალურ მშობლად. ამ გარემოში სოციალურ მშობლებს შეუძლიათ, ბავშვის დაბადების მოწმობაში თავიანთი სახელი ჩაწერონ. კერძო ინსემინაციის შემთხვევაში, სადაც წყვილი არ იმყოფება სამოქალაქო პარტნიორობაში, ბავშვის დაბადებისას ბიოლოგიური დედა და სპერმის დონორი დაუქორწინებელი ჰეტეროსექსუალი წყვილის ეკვივალენტად მიიჩნევა. ეს იმას ნიშნავს, რომ დონორს შეუძლია სცადოს მშობლობის უფლების მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდანვე დათანხმდა დედას (დედებს) სპერმის დონორობაზე და არა მამობაზე.

ლესბოსელი და გეი მშობლების შვილებს ისე უყურებენ, თითქოს ისინი საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით უფრო მეტ გაურკვევლობაში უნდა იყვნენ, უნდა „ჩამოყალიბდნენ“ ჰომოსექსუალებად და განიცადონ მეტი სტიგმა და დაცინვა, ვიდრე ჰეტეროსექსუალი მშობლების შვილებმა (Morse et al., 2007). თუმცა, ამერიკელი კოლეჯის სტუდენტების კვლევამ გამოავლინა, რომ მონაწილეთა უმეტესობა სურვილს გამოთქვამდა, ყოფილიყო ლესბოსელების შვილების მეგობრები (King and Black, 1999), ხოლო პრაქტიკანტი სკოლის მასწავლებლების კვლევამ გამოავლინა მოსალოდნელზე ბევრად ნაკლები ჰომოფობიური დამოკიდებულებები და უფრო მეტი პოზიტიური დამოკიდებულება ლესბი და გეი ოჯახების მიმართ (Maney and Cain, 1997).

ასევე, არსებობს კვლევები, რომლებიც შეისწავლის ლესბოსელი და გეი მშობლობის შესახებ მედიაში არსებულ დისკუსიებსა და არგუმენტებს, რომლებიც ლესბოსური და გეი მშობლობის წინააღმდეგ გამოიყენება (იხ. ჩანართი 9.4). მის თანახმად, ლესბოსური და გეი მშობლობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ოჯახისა და ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული ნორმატიული იდეების მთელ რიგს, მათ შორის მოსაზრებას, რომ ბავშვის ჯანსაღი განვითარება ერთმანეთის საპირისპირო გენდერულ როლებზეა დამოკიდებული (Clarke, 2006; 2007).

ჰომოსექსუალობის „გენდერული ინვერსიის“ თეორიასთან შეთანხმებაში (იხ. პირველი თავი), ლესბოსელები ხშირად მიიჩნევიან მეტისმეტად მასკულინურებად, ხოლო გეები მეტისმეტად ფემინურებად იმისათვის, რომ კარგი მშობლები იყვნენ და გენდერული როლების მოდელები კარგად გაითავისონ. უარყოფითი დაშვებები ტრანსგენდერი ადამიანების მშობლობასთან დაკავშირებით ასევე ხშირად არის დაკავშირებული ამ ადამიანების გენდერულ იდენტობასთან და იმ ნავარაუდევ უარყოფით გავლენასთან, რომელიც მას ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე შეიძლება ჰქონდეს.

ჩანართი 9.4. მედიის მითები ლესბოსურ და გეი მშობლობასთან დაკავშირებით

ვიქტორია კლარკმა (2001) გამოავლინა ექვსი გავრცელებული არგუმენტი, რომელიც ლესბოსელებისა და გეების მშობლობის წინააღმდეგ გამოიყენება გაზეთებში, ჟურნალებში, სატელევიზიო თოქ–შოუებსა და დოკუმენტალურ ფილმებში: 1) ეს ცოდვაა – „ღმერთმა შექმნა ადამი და ევა და არა ადამი და სტივი!“; 2) ეს არაბუნებრივი, არანორმალურია; 3) ეს ეგოისტურია და „ბავშვის თანდაყოლილ უფლებებს „უგულვებელყოფს“; 4) ბავშვებს უარს ეუბნებიან სათანადო როლურ მოდელებზე; 5) საკუთარ გენდერულ იდენტობასა და სექსუალობასთან მიმართებაში ბავშვებს ექმნებათ გეებად ან ლესბოსელებად ჩამოყალიბების საფრთხე; 6) ჰომოსექსუალობისადმი საზოგადოების ნეგატიური წინასწარგანწყობის გამო ბავშვები ბულინგის რისკის ქვეშ ექცევიან.

მაშინ, როცა პირველი ორი არგუმენტი პირდაპირ „მორალური“ არგუმენტებია, მათი უკუგდება ადვილია, როგორც ერთმნიშვნელოვნად ჰომოფობიურისა, შემდეგი ოთხი კი ბავშვების კეთილდღეობაზე ფოკუსირდება და ამიტომ უფრო რთულია. არგუმენტები ბულინგის შესახებ განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება იმ სპიკერთა მიერ, ვინც გაცხადებულად უარყოფს გეებისა და ლესბოსელებისადმი უარყოფითი წინასწარგანწყობების ქონაზე. მაგალითად, „არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ლესბოსელებსა და გეებს რომ შვილები ჰყავდეთ, მაგრამ ის მაღელვებს, თუ რა გავლენას მოახდენს ბულინგი მათ შვილებზე”. მსგავსი არგუმენტები არაჰეტეროსექსუალებისგან მოითხოვს, ადაპტირება მოახდინონ და მშობლობაზე უარის თქმით ჰეტეროსექსიზმს დამორჩილნენ.

მსგავსი არგუმენტების მოყვანა რასასთან მიმართებაში – შავკანიანებს არ უნდა ჰყავდეთ ბავშვები საზოგადოებაში არსებული რასიზმის გამო – ცხადს ხდის ჰომოფობიური ბულინგის არგუმენტების შეურა-

ცხმყოფელ ხასიათს. ვიქტორიამ და მისმა კოლეგა სელია კიტზინგერმა გააანალიზეს, თუ როგორ უმკლავდებიან მსგავს არგუმენტებს ლესბოსელი და გეი მშობლები და მათი მოკავშირეები. ლესბოსელი და გეი მშობლები, როგორც წესი, ხაზს უსვამენ ოჯახური პროცესის მნიშვნელობას – რომ „სიყვარული ქმნის ოჯახს“, და ლესბოსური და გეი ოჯახური ცხოვრების ჩვეულებრიობას. ლესბოსელი და გეი მშობლები, „უბრალოდ მშობლები“ არიან, ისინი არ „ცხოვრობენ ლესბოსურ პლანეტაზე“ (Clarke and Kitzinger, 2005) და არ აკეთებენ „გეი საუზმეს“ (Clarke and Kitzinger, 2004), და რომ ლესბოსური და გეი ოჯახი „მორიგი მეზობელი ოჯახია“. ლესბოსელი და გეი მშობლების შვილები, „საპირისპიროს დასამტკიცებლად“, ხშირად მონაწილეობენ ტელეგადაცემებში, (Stacey, 1996) რომლებიც ლესბოსელი და გეი მშობლების შესახებ მოგვითხრობს. გოგონებს ვარდისფერი აცვიათ, ბიჭებს ცისფერი, ხოლო ზრდასრულ შვილებს, რომლებიც ჰეტეროსექსუალად იდენტიფიცირდებიან, აპლოდისმენტებით ეგებებიან მსგავს შოუებში. ყველა ეს სტრატეგია პრობლემურს ხდის ლესბოსელი და გეი ოჯახების ნორმალიზაციას: ისინი თავდაცვით და ბოდიშის მოხდის პოზიციაში არიან, ცდილობენ, გეები და ლესბოსელები ოჯახისა და მშობლობის არსებულ სქემაში მოათავსონ და უარყოფენ მათ (სქესობრივ) განსხვავებას. შესაბამისად, ლესბოსური მშობლობის დისკურსის მარგინალიზება ჰეტეროსექსიზმს უბამს მხარს (Clarke, 2002b).

ლესბოსური, გეი და ტრანსი ოჯახების შედარება ჰეტეროსექსუალ ოჯახებთან

ლესბოსური მშობლობის მხარდამჭერი კვლევა 1970–იან წლებში დაიწყო. იგი მიმართული იყო იმ ნეგატიური დაშვებების შეწინააღმდეგებისაკენ, რომლებიც ლესბოსურ ოჯახში გაზრდილ ბავშვზე მოქმედ ფსიქოლოგიურ გავლენებს ეხებოდა. ამ ადრეული კვლევებიდან ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ბრიტანელი განვითარების ფსიქოლოგისა და მკვლევარის (იხ. ჩანართი 9.5) სიუზან გოლომბოკის და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევა (1983). ამ კვლევაში ხდება ოცდაჩვიდმეტი 5-დან 17 წლამდე ოცდაშვიდ ლესბოსურ ოჯახში გაზრდილი ბავშვის დაწვრილებითი შედარება 27 მარტოხელა ჰეტეროსექსუალ დედის 38 შვილთან. მონაწილეები მოხალისეობრივ საწყისზე იქნენ შერჩეულნი გეი და მარტოხელა მშობლების ორგანიზაციებისა და ბეჭდური რესურსების მეშვეობით. ავტორებმა მასალა შეაგროვეს დედების, ბავშვებისა და ბავშვების მასწავლებლებისგან და სტანდარტიზებული ინტერვიუ და სხვა მეთოდების

ფართო სპექტრი გამოიყენეს. მათ ბავშვების განვითარების, ქცევისა და ურთიერთობების მრავალრიცხოვანი ასპექტები და დედების დამოკიდებულებები იკვლიეს. კვლევამ გამოავლინა, რომ იმ ბავშვების უმეტესობა, ვინც ლესბოსელ დედებთან ცხოვრობს, მანამდე ორი წელი მაინც ჰეტეროსექსუალ ოჯახში ცხოვრობდა და ამ ბავშებს მეტი კონტაქტი ჰქონდათ მამებთან, ვიდრე ჰეტეროსექსუალი დედების სახლში.

ლესბოსელი დედების შესახებ ჩატარებულ ამ და სხვა ადრეულ კვლევებში, „ფსიქოსექსუალური განვითარება“ ანუ „სქესობრივი იდენტობის განვითარება“ კრებით ტერმინად გამოიყენებოდა გენდერული იდენტობის განვითარების, სქესობრივი როლის ქცევისა და სექსუალური ორიენტაციის აღსანიშნად. ამ კვლევებში ბავშვების მხრიდან “შეუსაბამო“ გენდერული იდენტობა არ გამოვლინდა. ბავშვების სქესობრივი როლის ქცევა ორი სკალით იზომებოდა და ორივე სკალაზე ბიჭების ქცევა „მასკულინური მახასიათებლების“ მქონე, ხოლო გოგონების ქცევა - „ფემინური მახასიათებლების” მქონე იყო. ამასთან, ორ ჯგუფს შორის არსებითი განსხვავება არ ყოფილა. პუბერტალური და პოსტპუბერტალური ასაკის ბავშვებთან „ორივე ჯგუფი არ განსხვავდებოდა სექსუალური ორიენტაციის მიხედვით და ორივე შემთხვევაში საერთო მოდელი ტიპური იყო მათი ასაკობრივი ჯგუფისათვის” (გვ.564). ლესბოსელი დედების უმეტესობას არ ჰქონდა ცხადი პრეფერენცია ბავშვების სექსუალობასთან მიმართებაში და არ უბიძგებდნენ მათ ატიპური სექსუალური როლების ათვისებისკენ.

არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯგუფებს შორის ბავშვების ემოციურ სირთულეებთან მიმართებაში, მათ ქცევასთან სახლში და სკოლაში და თანატოლებთან ურთიერთობაში. ბავშვების უმეტესობა ორივე ჯგუფში აჩვენებდა თანატოლებთან კარგ ურთიერთობას.

სხვა ადრეული კვლევები ლესბოსელი და მარტოხელა ჰეტეროსექსუალი დედების ოჯახების შედარებაზე იყო დაფუძნებული და ამ კვლევებმაც მსგავსი დასკვნა გამოიტანეს, ხაზი გაუსვეს რა ამ ორი ტიპის ოჯახებს შორის განსხვავების ნაკლებობას. ამან ბევრი მკვლევარი და პროფესიონალი (მათ შორის ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია) მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „არ არსებობს მონაცემები, რომ ლესბოსელი და გეი მშობლების შვილების განვითარებას საფრთხე ემუქრებათ ჰეტეროსექსუალ მშობელთა შვილებთან შედარებით“ (Patterson, 1992: 1025).

ჩანართი 9.5. სიუზან გოლომბოკი, რატომ ვსწავლობ ლესბოსურ ოჯახებს

1976 წელს ჟურნალ Spare Rib–ში სტატია წავიკითხე. გარეკანზე სამი

ქალი და მათი ბავშვები იყვნენ გამოსახული, და სურათზე შემდეგი ტექსტი იყო დართული: „რატომ შეიძლება ამ ქალებმა ბავშვებზე მეურვეობა დაკარგონ?“ პასუხი ამ კითხვაზე ის იყო, რომ დედები ლესბოსელები იყვნენ და ერთ–ერთ მათგანს სამეურვეო დავა ჰქონდა, რომელიც აუცილებლად იმით დამთავრდებოდა, რომ ის ბავშვს დაკარგავდა – მხოლოდ და მხოლოდ თავისი სექსუალური ორიენტაციის გამო. სტატიაში ფსიქოლოგებს მოუწოდებდნენ, მოხალისეობრივ საწყისებზე განეხორციელებინათ დამოუკიდებელი კვლევა ლესბოსელი დედებისა და მათი ბავშვების შესახებ. ამ დროისათვის მე ახალი დამთავრებული მქონდა სწავლა სწორედ ბავშვის განვითარების სფეროში და მსურდა, სოციალურად მნიშვნელოვანი კვლევა ჩამეტარებინა, ეს კი ხელსაყრელ შანსად მეჩვენა. განცხადებას ვუპასუხე და მალე კვლევათა სერია დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება.

პირველი კვლევა ფოკუსირდებოდა ბავშვების სოციალურ, ემოციურ და გენდერულ განვითარებაზე – ბავშვზე მეურვეობის დავებში მთავარი სამი ასპექტი – ხდებოდა ლესბოსურ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების შედარება ჰეტეროსექსუალ მარტოხელა დედებთან გაზრდილ ბავშვებთან (Golombok et al., 1983). აღმოჩნდა, რომ ბავშვები ლესბოსურ ოჯახებში ემოციური ან ქცევითი პრობლემების მხრივ, ან თანატოლებთან ურთიერთობის ხარისხის მხრივ არ განსხვავდებოდნენ ჰეტეროსექსუალ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისგან. ამასთან ერთად, არავითარი გენდერული როლების განსხვავებები არ იქნა გამოვლენილი ლესბოსურ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებსა და ჰეტეროსექსუალ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს შორის, განურჩევლად სქესისა.

მაგრამ ეს ამბის დასასრული როდია. რადგან მხოლოდ სკოლის ასაკის ბავშვები იქნენ გამოკვლეული, გაჩნდა აზრი, რომ შეიძლება „მიძინებული ეფექტი“ მოქმედებდეს, და რომ ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები ზრდასთან ერთად წააწყდებოდნენ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ამ დაშვებაზე პასუხის გასაცემად, ამ პირველ კვლევაში მონაწილე ბავშვები კვლავ იქნენ გამოკვლეულნი, როდესაც 20 წლის ასაკს გადასცდნენ (Tasker and Golombok, 1997). ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ისინი საკმაოდ კარგად ადაპტირებული ზრდასრული ადამიანები იყვნენ. საინტერესო ის იყო, რომ მათ საკმაოდ დადებითი ურთიერთობა გამოავლინეს დედის მდედრობითი სქესის პარტნიორთან, მათი თანატოლებისგან განსხვავებით, რომლებიც მამინაცვალთან ერთად გაიზარდნენ.

იმ დაშვების საწინააღმდეგოდ, რომელიც წლების განმავლობაში იყო გაბატონებული, ლესბოსურ სახლში გაზრდილი ადამიანების უმეტესობა ჰეტეროსექსუალად აღიქვამდა თავს. ამას სხვა კვლევებიც მოჰყვა, მათ

შორის ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილი ბავშვების ცხოვრების შესწავლა დაბადებიდან, რათა მამის არყოლის შედეგები გამოევლინათ (Golombok et al., 1997), და ლესბოსელი დედების ზოგადი მოსახლეობიდან შედგენილი შერჩევის კვლევა, რათა თავიდან აგვერიდებინა მოხალისეობრივ საწყისზე შეგროვებული რესპონდენტების მიკერძოებულობა (Golombok et al., 2003). ორივე კვლევამ წინა კვლევების მსგავსი შედეგები გამოავლინა.

ოცდამეერთე საუკუნეში ლესბოსელების სექსუალური ორიენტაცია აღარ არის დედისთვის მეურვეობაზე უარის თქმის მიზეზი და ლესბოსელ ქალებს შეუძლიათ აიყვანონ ან გააჩინონ ბავშვი რეპროდუქციული სერვისების მეშვეობით. სწორედ იმიტომ შევისწავლი ლესბოსურ ოჯახებს, რომ ფსიქოლოგიურმა კვლევამ დიდი წვლილი შეიტანა ნეგატიური წინასწარგანწყობით განპირობებული რწმენების გაბათილებაში და შეეწინააღმდეგა უსამართლობას, რომელიც ხშირად ანგრევდა მათ ცხოვრებას.

ადრეული კვლევების კრიტიკებისას:

* მხოლოდ სკოლის ასაკის ბავშვები იქნა გამოკვლეული, მაგრამ „მიძინებული ეფექტიც“ შეიძლება არსებობდეს, რასაც ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები პრობლემებს ზრდასთან ერთად წააწყდებიან (Golombok, 2007)

* ამ ბავშვების უმეტესობამ ცხოვრების ადრეული წლები ჰეტეროსექსუალ ოჯახში გაატარა, სანამ ლესბოსურ ოჯახში განიცდიდა ტრანზიციას, ამიტომ კვლევის შედეგები არ შეიძლება იყოს განზოგადებული ბავშვებზე, რომლებსაც დაბადებიდან ლესბოსელი მშობლები ზრდიდნენ (Golombok, 2007). ასევე მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ მშობლის სექსუალობის გავლენა იმ გავლენებისგან, რომლებსაც იწვევს განქორწინება, ახალი მშობლები და ჰეტეროსექსიზმი (Stacey and Biblarz, 2001)

* მხოლოდ მოხალისე ან ადვილად მოსაპოვებელი სამიზნე ჯგუფები იქნა შესწავლილი, რამაც შეიძლება ატიპური შედეგები შექმნას ლესბოსურ ოჯახებში ბავშვების განვითარებასთან დაკავშირებით (Golombok, 2007).

* იქიდან გამომდინარე, რომ სამიზნე ჯგუფები „უმეტესწილად თეთრკანიანი, კარგად განათლებული და წარმატებული“ ლესბოსელი დედებისგან შედგებოდა (Hill, 1987: 215; see Box 9.6), ძალიან ცოტა რამ ვიცით არათეთრკანიანი და დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ლესბოსური ოჯახების, აგრეთვე ტრანსგენდერი, ბისექსუალი და გეი ოჯახების შესახებ.

ჩანართი 9.6. მარჯორი ჰილი (1987) შავკანიანი ლესბოსელი დედების შეხედულებები ბავშვის აღზრდის შესახებ

ჰილი აცხადებს, რომ „ძირითადი განსხვავება ლესბოსელ დედებსა და ჰეტეროსექსუალ დედებს შორის ის არის, რომ ლესბოსელები ტრადიციული ოჯახური სტრუქტურის ალტერნატივას წარმოადგენენ... ლესბოსელი დედისათვის არ არსებობს წესები, რომელსაც უნდა მისდიოს. მშობლობასთან დაკავშირებული უნივერსალური საწუხარი და პრობლემები … შეიძლება ლესბოსელობასთან იყოს დაკავშირებული. ამავე დროს, მშობლობის რეკომენდაციების არჩევანი ლესბოსელ დედას საშუალებას აძლევს, მშობლობა უფრო კრეატულ საქმედ აქციოს“ (გვ. 215) ჰილი მოელოდა, რომ ლესბოსელი დედების შეხედულებები ბავშვის აღზრდის შესახებ კვლევის შედეგებში აისახებოდა, რაც აჩვენებდა, რომ ლესბოსელები „უფრო დამოუკიდებლები, უფრო წრფელები, უფრო გამძლეები და უფრო თვითმყოფადები არიან, ვიდრე ჰეტეროსექსუალები“ (გვ.216). ჰილმა შეადარა 26 შავკანიანი ლესბოსელი დედა 26 შავკანიან ჰეტეროსექსუალ დედას, რომლებიც შავკანიან ქალთა ჯგუფებიდან შეირჩნენ. ქალებმა შეავსეს კითხვარები თავიანთი ბავშვის აღზრდის პრაქტიკებზე, ბავშვების აღქმულ და მოსალოდნელ სქესობრივ როლებზე და მათ გახსნილობაზე ბავშვების სექსუალური განათლების კუთხით. მთავარი დასკვნები ასეთია:

* ჰეტეროსექსუალი დედები უფრო ხშირად მოითხოვდნენ წესებისადმი მორჩილებას, ვიდრე ლესბოსელი დედები.
* ლესბოსელი დედები უფრო მაღალ შემწყნარებლობას იჩენდნენ შვილების სექსუალობისადმი, ვიდრე ჰეტეროსექსუალი დედები – ლესბოსელი დედები უფრო ღიები იყვნენ სექსის შესახებ ინფორმაციის გაცემისას.
* ლესბოსელი დედები მამრობითი და მდედრობითი სქესის ბავშვებს ბევრად ნაკლებად განასხვავებდნენ, ვიდრე ჰეტეროსექსუალი დედები.
* ლესბოსელი დედების მოლოდინი მათი ქალიშვილებისადმი უფრო მეტად ტრადიციულად მასკულინურ როლებს უკავშირდებოდა, ვიდრე ჰეტეროსექსუალი დედების შემთხვევაში.
* ლესბოსელი დედები დამოუკიდებლობას უფრო დიდ ღირებულებას არ ანიჭებდნენ.

მარცხი იმ ჰიპოთეზის დამტკიცებაში, რომ ლესბოსელები ჰეტეროსექსუალ ქალებზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ დამოუკიდებლობას, შეიძლება იმით აიხსნას, რომ სექსუალობის მიუხედავად, ზოგადად შავკანიანი ქალები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დამოუკიდებლობას. ჰილი ასევე ამბობს, რომ ლესბოსელი დედების ღიაობა, ბავშვისთვის ნებართვის

მარტივად მიცემა, ნაკლებად ტრადიციული იდეები გენდერის შესახებ, შეიძლება მათი ალტერნატიული ცხოვრების სტილის ნაყოფი იყოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კვლევაში მონაწილე ლესბოსელთა 35% კარგად განათლებული იყო და ბევრი მათგანი გეი თემში პოლიტიკურად აქტიური და გათვითცნობიერებული იყო.

ჰილმა აღიარა, რომ იმის აღმოჩენამ, რომ ლესბოსელებს უფრო მასკულინური მოლოდინები აქვთ მათი ქალიშვილებისგან, შეიძლება ნეგატიურად იქნას აღქმული, მაგრამ მან არჩია, ეს აღმოჩენა დადებითად შეეფასებინა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ როგორც შეუძლებელი იქნება თეთრკანიან ლესბოსელ დედებზე ჩატარებული კვლევების სხვა რასობრივ ჯგუფებზე განზოგადება, ასევე არ შეიძლება მისი სამიზნე ჯგუფის განზოგადება ყველა შავკანიან ლესბოსელ დედაზე: „როგორც დედობაა კომპლექსური, ასევე კომპლექსურია შავკანიანობა, ქალობა და ჰომოსექსუალობა“ (გვ, 220; ასევე იხ. Cahill, 2003).

ხანგრძლივი (ლონგიტიდური) კვლევა

ამ თავში განხილული იქნება კვლევები, რომლებიც ცდილობდნენ ზოგიერთ ზემოთხსენებულ კრიტიკასა და ნაკლოვანებასთან გამკლავებას. ფიონა ტასკერმა და სიუზან გოლომბოკმა (1997) ჩაატარეს პირველი ლონგიტიდური კვლევა ლესბოსურ ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე. მათ იკვლიეს 25 ახალგაზრდა, რომლებიც ლესბოსელმა დედებმა გაზარდეს და შეადარეს 21 ახალგაზრდას, რომლებიც ჰეტეროსექსუალმა მარტოხელა დედებმა გაზარდეს. საკვლევი ჯგუფი გოლომბოკის ადრეული კვლევიდან იყო (Golombok et al. 1983). რესპონდენტების საშუალო ასაკი 23 წელი იყო. ტასკერმა და გოლომბოკმა მიაკვლიეს, რომ ლესბოსელი დედების მიერ აღზრდილი ბავშვები მათი აღზრდის გამო არავითარ ნეგატიურ გავლენას არ განიცდიდნენ.

კვლევის მნიშვნელოვან აღმოჩენებში შედიოდა ის, რომ ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს მოზარდობის განმავლობაში ბულინგისა ან დაცინვის ფაქტები არ ახსოვდათ უფრო მეტად, ვიდრე მარტოხელა ჰეტეროსექსუალ დედებთან გაზრდილ ახალგაზრდებს. თუმცა, გაჩნდა ტენდენცია, რომ ლესბოსელ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს მეტად აჯავრებდნენ და „გეის“ ან „ლესბოსელს“ უწოდებდნენ (ეს ფაქტები, ალბათ, უფრო გამორჩეული იყო).

ლესბოსურ ოჯახში მცხოვრები ბავშვები საკუთარ ურთიერთობას დედის პარტნიორთან უფრო დადებითად აღწერდნენ, ვიდრე განქორწინებულ მარტოხელა დედებთან გაზრდილი ბავშვები დედის ახალ

მამრობითი სქესის პარტნიორთან. ლესბოსელი დედების მიერ გაზრდილი ბავშვები არ ავლენდნენ მეტ სექსუალურ ლტოლვას საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი. თუმცა, ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს ერთხელ მაინც ჰქონდათ ერთსქესიანი ურთიერობა (6 ასეთი შემთხვევა, ჰეტეროსექსუალ დედებთან გაზრდილი ბავშვების 0 ასეთი შემთხვევის წინააღმდეგ) და უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილები იმისაკენ, რომ ეფიქრათ ასეთი ურთიერთობის დამყარებაზე (14, 3–ის წინააღმდეგ).

ბავშვების იმ მცირე რაოდენობას, ვინც უარყოფითად ახასიათებდა ლესბოსურ ოჯახში ცხოვრებას, უფრო ღარიბი ფონი ჰქონდა და ჰომოსექსუალობისადმი უფრო მტრულ რაიონებში ცხოვრობდნენ.

დაბადებიდან ლესბოსურ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები და ზოგადი მოსახლეობიდან შერჩეული საკვლევი ჯგუფები

დონორული ინსემინაციის შედეგად გაჩენილი ბავშვების შედარებითი კვლევები ლესბოსურ და ჰეტეროსექსუალ ოჯახებზე ჩატარდა აშშ-ში (Chan et al., 1998), გაერთიანებულ სამეფოში (Golombok et al., 1997), ბელგიასა (Brewaeys et al., 1995) და ნიდერლანდებში (Bos et al., 2003). ამ კვლევების შედეგები უმეტესწილად ამტკიცებს ადრეული კვლევების შედეგებს – ლესბოსელი მშობლების ბავშვები არ განსხვავდებიან ჰეტეროსექსუალურ ოჯახებში გაზრდილი მათი თანატოლებისგან, ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა ან გენდერული განვითარების მხრივ. ერთადერთი მკაფიო განსხვავება, რაც ამ კვლევებმა გამოავლინა, ის იყო, რომ ლესბოსურ ოჯახებში სოციალური დედები უფრო ჩართულები არიან ბავშვის აღზრდაში, ვიდრე მამები ჰეტეროსექსუალ ოჯახებში (Short et al., 2007).

ამერიკელმა ფსიქოლოგმა რეიმონდ ჩანმა და მისმა კოლეგებმა (1998) ისაუბრეს იმაზე, რომ ბავშვის განვითარება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახურ პროცესსა და ინტერაქციასთან (მშობლობის სტრესი და კონფლიქტი მშობლებს შორის), ვიდრე იმ საკითხებთან, რომლებიც ოჯახის სტრუქტურას უკავშირდება (მშობლების რაოდენობა და მშობლების გენდერი, ისევე, როგორც მათი სექსუალობა). როგორც ამერიკელმა ფსიქოლოგმა დევიდ ფლეიკსმა და მისმა კოლეგებმა (1995) შენიშნეს, დასკვნა, რომ არც მამის არსებობა და არც მშობლების ჰეტეროსექსუალობა არ არის გადამწყვეტი ბავშვის ჯანსაღი განვითარებისათვის, საკმაოდ წინააღმდეგობრივია განვითარების ფსიქოლოგიისათვის, რადგან ის ეწინააღმდეგება ფართოდ გავრცელებულ ფსიქოანალიტიკურ და სოციალურ სწავლებას ბავშვის განვითარებაზე.

ფლეიკსმა და მისმა კოლეგებმა (1995: 113) განაცხადეს:

„იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი თეორიები ეყრდნობა ტრადიციულ ოჯახურ სტრუქტურებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ბავშვის განვითარების ფაქტორების გამოყოფა, მათ არ შესწევთ უნარი, მარტივად ახსნან არატრადიციულ ოჯახებში გამოვლენილი დადებითი შედეგები, განსაკუთრებით იმ ოჯახებში, სადაც საპირისპირო სქესის მშობელი არ არის. იმედია, მასალა ... რომელიც გვკარნახობს, რომ ორივე სქესის კარგად ადაპტირებული ბავშვები შეიძლება აღიზარდონ განსხვავებული კონფიგურაციების მქონე ოჯახებში, უზრუნველყოფს სტიმულს იმისათვის, რომ მშობლური თვისებების გადაფასება მოხდეს, რომლებიც ბავშვის ოპტიმალური განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა".

კრიტიკა, რომლის მიხედვითაც ადრეული კვლევები მხოლოდ მოხალისეობრივ ან ადვილად მოსაპოვებელ სამიზნე ჯგუფებს იყენებდა, გათვალისწინებულ იქნა თანამედროვე კვლევაში. აშშ–სა (Wainright et al., 2004) და დიდ ბრიტანეთში (Golombok et al., 2003) საკვლევმა ჯგუფებმა ჩაატარეს კვლევა მოსახლეობის ზოგად ჯგუფებზე, საიდანაც ლესბოსელი დედების შვილები შეირჩა. ორივე ეს კვლევა ავლენს, რომ ბავშვების ადაპტაცია არ არის დამოკიდებული ოჯახის ტიპზე.

ტრანსგენდერი ადამიანები, როგორც მშობლები

ტრანსგენდერთა ოჯახებში გაზრდილი ბავშვების ფსიქოლოგიურ ადაპტაციაზე, მცირერიცხოვანი კვლევა არსებობს. პირველ თავში განვიხილეთ ბრიტანელი ფსიქიატრის რიჩარდ გრინის (1978) ინოვაციური კვლევა, რომელიც ლესბოსელი დედებისა და ტრანსსექსუალი მშობლების მიერ გაზრდილი ბავშვების ადაპტაციას აფასებდა. ამ კვლევაში გამოვლინდა, რომ ტრანსსექსუალი მშობლის 16 შვილიდან, არც ერთს არ ჰქონდა გენდერული იდენტობის პრობლემები და ყველამ გამოავლინა ტიპური გენდერული აქტივობები და ინტერესები. ყველა პოსტპუბერტალურმა ბავშვმა გამოავლინა ჰეტეროსექსუალური ფანტაზიები და ურთიერთობები. 1998 წელს, გრინმა მეორე კვლევა გამოაქვეყნა, სადაც ტრანსსექსუალი მშობლების 18 შვილი იქნა გამოკვლეული. არც ერთი მათგანი არ პასუხობდა DSM-IV–ის კრიტერიუმებს გენდერული იდენტობის აშლილობის შესახებ და არ ავლენდა კლინიკურად მნიშვნელოვან კროსგენდერულ ქცევას (სხვა კვლევებმა აღმოაჩინეს ძალიან ცოტა მასალა კროსგენერაციული კროსგენდერული კვლევისა; Freedman et al., 2002). გამოკითხულთაგან სამი ბავშვი საკუთარი ტრანსსექსუალი მშობლის შესახებ ადამიანთა მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს უყვებოდა; სამი განიცდიდა გარკვეულ არამძიმე ფორმის დაცინვას; დარჩენილ რესპონდენტებს არანაირი პრობლემები არ დაუსახელებიათ. გრინმა დაასკვნა, რომ მშობლების ტრანსსექსუალობა ბავშვებზე

უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს და ბავშვების ინტერესს საუკეთესო კუთხით სწორედ მათ ტრანსსექსუალ მშობელთან კონტაქტი წარმოადგენს.

მსგავსი შედეგები გამოავლინეს ამერიკული კვლევის ავტორებმაც (White and Ettner, 2007). ამ კვლევაში ასევე გამოიკვეთა, რომ ბავშვებს, რომლებიც უფრო პატარები იყვნენ მათი მშობლების ტრანზიციის დასაწყისში, უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მშობლებთან და ყველაფერს ნაკლებად რთულად ეგუებოდნენ (see also Israel, 2005). ერთი დილემა, რომელსაც ეს ოჯახები აწყდებიან, ის არის, თუ რა სახელი გამოიყენონ მშობლის ტრანზიციის შემდეგ (იხ. ჩანართი 9.7). კვლევაში გამოკითხული ბავშვების მესამედი ნაწილი საჯარო სივრცეში მშობლის ამჟამინდელ სახელს იყენებს, ხოლო მესამედმა გააგრძელა მშობლის ტრანზიციამდელი სახელის გამოყენება (ამ ბავშვებს ყველაზე მეტად რცხვენოდათ ტრანზიციის), ხოლო დანარჩენი მოიხსენიებდა „ბიძათი“, „დეიდათი“, ან ტრანზიციის შემდგომი გენდერული იდენტობის შესაბამის მშობლური სტატუსით. უაითმა და ეტნერმა აღნიშნეს, რომ მათთვის შეუძლებელი იყო, განქორწინების შედეგები ტრანზიციის გავლენისგან განეცალკევებინათ, რადგან მათი კვლევა არ მოიცავდა იმ ბავშვების შედარებით ჯგუფს, რომლებმაც მშობლების განქორწინება გადაიტანეს.

ჩანართი 9.7. სელი ჰაინსი (2007) ტრანსგენდერი მშობლობის პრაქტიკების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ კაცები და ქალები, რომლებიც კროს-დრესინგს მისდევდნენ და კროს-გენდერული იდენტიფიკაცია ჰქონდათ, ჩვეულებრივ, ყოველთვის იყვნენ მშობლები, ხოლო ტრანსგენდერი მშობლის თვითიდენტიფიკაცია შედარებით ახალი სოციალური მოცემულობაა. ბრიტანელმა სოციოლოგმა სელი ჰაინსმა გამოაქვეყნა კვლევა. და ის წარმოადგენს ერთ–ერთს იმ მცირე მასალიდან, რომელიც გენდერული ტრანზიციის კონტექსტში მშობლობაზე საუბრობს. მისი კვლევა დაფუძნებულია შვიდი ტრანსგენდერი მშობლის ინტერვიუზე. მთავარი საწუხარი მონაწილეებისათვის ის იყო, თუ როდის და როგორ უნდა ეთქვათ შვილებისთვის მოსალოდნელი ტრანზიციის შესახებ, ასევე მათ მოელოდათ თვითიდენტობის დაბალანსება ბავშვებზე ემოციური ზრუნვის შესაბამისად. ბევრმა მშობელმა ხაზი გაუსვა ღია დიალოგის საჭიროებას იმისათვის, რომ ბავშვებს დახმარებოდნენ ცვლილებებთან ადაპტაციაში, რაც მათი გენდერული ტრანზიციით იქნებოდა გამოწვეული.

ჰაინსმა განიხილა დენის შემთხვევა, რომელიც მარტოხელა მშობელია და 9 წლის ვაჟი ჰყავს. დენმა დაქორწინება და ბავშვის ყოლა გადაწყვიტა იმიტომ, რომ ფიქრობდა, რომ ამით „ყველა პრობლემა გაქრებოდა“ (გვ. 137), მაგრამ მშობლობამ სულაც არ შეცვალა მისი გენდერული თვითაღქმა. თავდაპირველად დენი ტრანზიციას უყურებდა, როგორც რაღაცას, რაც გაწყვეტდა მის ურთიერთობას შვილთან, მაგრამ თანდათანობით გააცნობიერა, რომ ტრანზიცია სწორედ იმისთვის ჭირდებოდა, რომ კარგი მშობელი ყოფილიყო.

დენის შვილს თავიდან სიტუაციის გაგება გაუჭირდა, მაგრამ დენის ღიაობამ მას საშუალება მისცა, უფრო სრულად გაეგო გენდერის კვლავმინიჭების პროცესი. დენმა შვილს შესთავაზა მისთვის სახელის ვერსიით - „დენნი“ - მიემართა, იმის ნაცვლად, რომ მშობლის აღმნიშვნელი სიტყვისათვის შეეცვალა სქესი „დედადან“ „მამაზე“, რაც დაეხმარებოდა მის შვილს შეგუებოდა ტრანზიციას. ჰაინსი აცხადებს, რომ იმ ბავშვებმა, რომელთა მშობლებმაც ტრანზიცია მდედრობითი სქესიდან მამრობითზე განიცადეს, უფრო ადვილად მოახდინეს ადაპტაცია, რადგან მათი მშობლები უფრო ანდროგინულები იყვნენ ტრანზიციამდე, ვიდრე ტრანსგენდერი ქალი მშობლები. დენს, მაგალითად, ტრანზიციამდეც ყოველთვის პერანგი და ჰალსტუხი ეცვა სამსახურში. მისი შვილისათვის მაღალ კულტურულ მიმღებლობამ მდედრობითი ანდროგინულობისადმი დადებითი შედეგი გამოიღო. დენის შვილის სკოლის დირექტორი, მოსწავლის კლასთან „უსაფრთხო და ურთიერთმხარდამჭერი ქსელის“ შექმნის საჭიროებაზე საუბრით, ტრანზიციის პროცესის გამარტივებას შეეცადა (144). ჰინსი საუბრობდა სხვების, მაგალითად მასწავლებლების, თანატოლების და მათი მშობლების რეაქციების მნიშვნელოვნებაზე. შესაძლოა, მშობლებს შორის ურთიერთობას ასევე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ბავშვის ადაპტაციასა და კარგად ყოფნაზე.

ბრიტანელმა ფსიქიატრმა დომენიკო დი ჩელიემ (1998) წელს განაცხადა, რომ ბავშვის რეაქციას მშობლის ტრანზიციაზე ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ის, თუ როგორ უმკლავდებიან გენდერის კვლავმინიჭებას მშობლები და როგორ განუმარტავენ ისინი შვილებს ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთობაზე ტრანზიციის გავლენის მნიშვნელოვნებას. ასევე, აქ დიდ როლს თამაშობს ოჯახის სხვა წევრების დამოკიდებულებები, ბავშვების მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერა და თანატოლებისა და საზოგადოების რეაქცია.

გეი მშობლობა

ასევე ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული გეი მშობლების შესახებ, ისიც უმეტესწილად 1970-იან და 1980-იან წლებში ჩატარდა და დღეისათვის საკმაოდ მოძველებულია. ეს კვლევა ძირითადად სოციოლოგიის დარგში ტარდებოდა და ისეთ საკითხებზე ფოკუსირდებოდა, როგორიც არის გეი მამების სოციალური იდენტობები (Bozett, 1981; Miller, 1979). ეს შედარებით მცირემასშტაბიანი ხარისხობრივი კვლევები აჩვენებს, რომ საჯარო სტიგმის მიუხედავად, გეი მამების უმეტესობა დროთა განმავლობაში მაინც აღწევს მამისა და გეი იდენტობის ინტეგრაციას (იდენტობებისა, რომლებიც ავთენტურად მიიჩნევა) და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გრძნობას.

სხვა სოციოლოგიურმა კვლევებმა შეისწავლეს დაქორწინებული და განქორწინებული არაჰეტეროსექსუალი მამების გამოცდილება (Dunne, 2001), და რუკაზე დაიტანეს მრავალფეროვანი მშობლური გარემოებები და ურთიერთობები ყოფილ ცოლებთან. ამერიკელი სოციოლოგის ჯუდით სტეისის (2006) მიერ ჩატარებულმა შედარებით ახალმა კვლევამ შეისწავლა გეი კაცების ნარატივები მშობლობის სურვილსა და გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

მან ჩამოაყალიბა „მშობლობისადმი სურვილის" კონტინუუმი. მის კვლევაში მონაწილე ორმოცდაათი კაციდან უმეტესობა შუალედური ზონაზე განთავსდა, რაც ნიშნავდა, რომ ცხოვრებისეულ გარემოებებს ან პარტნიორებს შეეძლოთ მამაკაცებისთვის მოენდომებინათ ან გადაეფიქრებინათ მშობლობის სურვილი.

ზოგიერთი კაცი საკუთარ თავს „მშობლობისათვის დაბადებულად" მიიჩნევდა და დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, ხშირად ხდებოდა მშობელი. ამ დროს, სხვები საკუთარ თავს "ბავშვებისგან თავისუფლად დაბადებულს" უწოდებდნენ. სტეისიმ შენიშნა, რომ მიუხედავად გეი კულტურის შესახებ არსებული დომინანტური სტერეოტიპებისა, მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ მშობლობას.

მამებზე ფოკუსირებულ ფსიქოლოგიურ კვლევას რაც შეეხება, ამერიკელი ფსიქოლოგების ჯერი ბიგნერისა და ბრუკ ჯეიკობსენის (1989a; 1989b) ნაშრომი ერთ–ერთია იმ მცირერიცხოვანი კვლევებიდან, რომელიც განქორწინებულ გეი და იმ ჰეტეროსექსუალ მამებს ადარებს, რომლებიც თავიანთ შვილებთან არ ცხოვრობენ. ბიგნერმა და ჯეიკობსენმა (1989a) შეადარეს 33 გეი მამა და 33 ჰეტეროსექსუალი მამა, „ბავშვების ღირებულების" სკალაზე, რომელიც მშობლობის მოტივაციას ზომავს, და აღმოაჩინეს რამდენიმე განსხვავება გეი და ჰეტეროსექსუალ მამებს შორის.

განსხვავებები იმაში მდგომარეობდა, რომ გეი მამები უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი ეფიქრათ, რომ ბავშვების ყოლა მასკულინობას მატებს

და ზრდასრულობაში შესვლას უზრუნველყოფს ისევე, როგორც ზრდის მიმღებლობას ჰეტეროსექსუალ თემში. კიდევ ერთმა ამერიკულმა კვლევამ (Robinson and Skeen, 1982) შეადარა სქესობრივი როლის ორიენტაცია 30 გეი მამაში და 30 არაგეი მამაში და გამოავლინა, რომ გეი მამების მასკულინობა არ აღემატება არაგეი მამებს, რაც გვკარნახობს, რომ კავშირი გეი მამობასა და მასკულინობას შორის სტერეოტიპი უფროა, ვიდრე რეალობა.

გეი მამების მშობლურ უნარებს, ქცევასა და ბავშვებთან მათი ჩართულობის მასშტაბს რაც შეეხება, ბიგნერისა და ჯეიკობსენის (1989b) შედარებითმა კვლევამ გამოავლინა, რომ გეი მამებს ჰეტეროსექსუალი მამების მსგავსი გულითადი დამოკიდებულება აქვთ შვილებთან. თუმცა, გეი მამები, ჰეტეროსექსუალებთან შედარებით, უფრო მიდრეკილნი არიან სიმკაცრისკენ, უფრო აქტიურად რეაგირებენ შვილების საჭიროებებზე, უფრო სისტემატურად ესაუბრებიან ბავშვებს წესიერი მოქცევის აუცილებლობაზე და ნაკლებად მიდრეკილნი არიან მამობაში კონვენციური მამრობითი სქესის როლის სტილის ათვისებისკენ. ბიგნერმა და ჯეიკობსენმა დაასკვნეს, რომ გეი მამებს უფრო მეტი მოტივაცია გააჩნიათ კომპეტენტურ მშობლად ჩამოყალიბების საკითხში. ისინი ბევრად მონდომებით ცდილობენ, გამოავლინონ დედისა და მამის როლისათვის კონვენციურად მიწერილი როლების ნარევი თვისებები, ვიდრე ჰეტეროსექსუალი მამები.

ამერიკულ 48 თეთრკანიანი გეი მშვილებელი ოჯახის კვლევაში, განგებ არ მოხდა ჯგუფის ანალოგიურ ჰეტეროსექსუალ ოჯახებთან შედარება იმის გამო, რომ „დომინანტ კულტურულ ოჯახებთან შედარება გამოიწვევდა დეფიციტური შედარების კონცეპტუალიზაციას ამ ოჯახებისთვის“ (Crosbie-Burnett and Helmbrecht, 1993: 256). ამ კვლევამ გამოავლინა, რომ ყველა ოჯახის წევრისთვის (ბიოლოგიური მამა, მამინაცვალი და ბავშვები) ოჯახური ბედნიერება მამინაცვლის ოჯახში ინკლუზიასთან იყო დაკავშირებული და პოზიტიურ მშობლურ ურთიერთობასთან მისი მხრიდან. როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ბავშვები უფრო ხშირად ინახავდნენ საიდუმლოდ საკუთარი ოჯახის თავისებურებას, ვიდრე დიდები და ამით მეგობრებისა და ნათესავების სოციალურ მხარდაჭერას ცოტათი აფერხებდნენ. ბრიტანელი გეი და ბისექსუალი მშობლების კვლევის ფარგლებში (Barrett and Tasker, 2001), მამებს ჰკითხეს, თუ რა ხარისხით განიცდიდნენ მათი შვილები სირთულეებს; ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ოჯახის საიდუმლოდ შენახვით, დაცინვით, ბულინგით და განსხვავებულობის გრძნობით გამოწვეული დაძაბულობა.

სხვა კვლევებმა გამოავლინეს, რომ გეი მამების ბავშვები წუხილს გამოთქვამდნენ თანატოლების მხრიდან ხელის კვრის გამო, მაგრამ ჰომოფობიის

რეალური ინციდენტები შედარებით იშვიათი იყო (Bozett, 1988; Miller, 1987). ბოზეტმა (1988) გამოკითხა 19 ბავშვი (13 გოგო/ქალი, 6 ბიჭი/ კაცი, 14 და 35 წლებს შორის) და 14 გეი მამა. მან აღმოაჩინა, რომ ბავშვები განსხვავებულ სოციალური კონტროლის სტრატეგიებს იყენებდნენ მამებთან მიმართებაში იმის გასაკონტროლებლად, თუ როგორ აღიქვამდნენ მათ სხვები.

ეს სტრატეგიები შეიცავს დაშვებულ ზღვარს, რომელიც მამის ქცევაზე ფოკუსირდება (თხოვნა, რომ პარტნიორთან ხელჩაკიდებულმა არ იაროს) და სხვა ქცევებს (მაგალითად, მეგობრების სახლში არ მოყვანა, რათა ისინი მამას არ შეხვდნენ). ამ სტრატეგიების გამოყენება ბავშვს უხერხულობის დაძლევაში ეხმარება. ბოზეტმა დაადგინა, რომ გეი მამების უმეტესობა ძალიან მგრძნობიარე იყო საკუთარი შვილებისადმი და ხშირად მაქსიმუმს აკეთებდნენ, რათა საკუთარი სექსუალობა დაემალათ და შვილები დაეცვათ. ამასთან ერთად, ბავშვების უმეტესობამ თავისით მოახერხა გაერკვია, ვისთვის შეიძლებოდა უსაფრთხოდ ეთქვა მამის სექსუალობის შესახებ. ბოზეტმა დაასკვნა, რომ ბავშვებს შეიძლება დახმარება დასჭირდეთ იმის გაცნობიერებაში, რომ მათი სტრესის დიდი ნაწილი ჰომოსექსუალობის შესახებ არსებულ სოციალურ ატიტუდებთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე აპრიორი მამის სექსუალობასთან. ლესბოსელი ოჯახების კვლევებმაც მსგავსი აღმოჩენები აჩვენეს (Vanfraussen et al., 2002).

გეი და ბისექსუალი მამების შვილების სექსუალობასთან დაკავშირებით, ამერიკელმა ფსიქოლოგმა მაიკლ ბეილიმ და მისმა კოლეგებმა (Bailey et al., 1995) გამოკითხეს გეი და ბისექსუალი მამები იმის თაობაზე, იყვნენ თუ არა მათი ზრდასრული შვილები (ვაჟიშვილები) ჰეტეროსექსუალი, ბისექსუალი ან გეი. მათ დაადგინეს, რომ ვაჟების 9% თავს გეიდ ან ბისექსუალად მიიჩნევდა. რაც შეეხება ტასკერისა და გოლომბოკის (1997) კვლევას და აღმოჩენებს ლესბოსელი დედების შვილების სექსუალობაზე, ეს დასკვნები დიდი ხანი იყო დებატების საგანი, სადაც გეი მხარდამჭერი მკვლევარები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ბავშვების უმეტესობა ჰეტეროსექსუალი იყო, ხოლო ანტი გეი მკვლევარები ამ კვლევას ჰომოსექსუალობის მშობლიდან შვილზე გადაცემის მტკიცებულების პატარა მაგალითად იყენებდნენ.

ახლა კვლევები დაგეგმილი გეი ოჯახების გამოცდილების (იხ. ზემოთ ჩანართი 9.2.) და გეი სპერმის დონორების შესწავლას იწყებენ. მაგალითად, დემიენმა მიაკვლია, რომ გეი კაცები უფრო ხშირად არიან სპერმის დონორები ლესბოსელი მეგობრების თხოვნის შემდეგ ან მშობლობის სურვილის გამო, ვიდრე ჰეტეროსექსუალები (Riggs, 2008). გეი სპერმის დონორები, დონაციისას, მნიშვნელოვანი დოზით გადიან „ემოციურ სამუშაოს“ დონაციის პრაქტიკულ მხარესთან დაკავშირებით, ასევე სპერმის დონოროზის

განხილვის გამო მათი მშობლობის კონტექსტსა და ჰეტეროსექსისტური ინსტიტუციების (ჩასახვის კლინიკები) მხრივ (Riggs, 2009c).

„საპირისპიროს მტკიცების“ დღის წესრიგს მიღმა

როგორც ლგბტქ ფსიქოლოგიური კვლევა ჩამოშორდა „საპირისპიროს მტკიცების“ საკვლევ მიმართულებას (ანუ ის აღარ ცდილობს ლგბტქ ადამიანების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მტკიცებას), მშობლობის კვლევამ ასევე დაიწყო ჩამოშორება გეი და ლესბოსურ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის საკითხებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ლესბოსელი მშობლობის შედარებითი კვლევა ქმედითი გამოდგა ლესბოსელი დედების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასთან დასაპირისპირებლად, იგი საკმაოდ წინააღმდეგობრივიც იყო. აქ მიმოვიხილავთ შედარებითი კვლევის ძირითად კრიტიკას.

შედარებითი კვლევა თავდაცვას გულისხმობს

როგორც სოციოლოგებმა ჯუდით სტეისიმ და ტიმოთი ბიბლარცმა (2001: 160) აღნიშნეს, ლესბოსელი და გეი მშობლობის კვლევის პოლიტიკური საფასური მაღალია: „იქიდან გამომდინარე, რომ ანტი-გეი მკვლევარები ცდილობენ ზიანის სამხილის მოპოვებას, მხარდამჭერი მკვლევარები თავს იცავენ და ცდილობენ ზიანის არარსებობა დაამტკიცონ“. სტეისიმ და ბიბლარცმა განიხილეს ლესბოსური და გეი ოჯახების მეოცე საუკუნის კვლევების შედეგები 1981 და 1998 წლებს შორის (18 კვლევა ლესბოსელ მშობლებს ეხება, ხოლო 3 გეი მშობლებს).

ავტორებმა განაცხადეს, რომ ანტი-გეი თუ პრო-გეი მკვლევარების კვლევა ჰეტერონორმატიულ დაშვებებზეა აწყობილი (რომ ბავშვის ჯანსაღი განვითარება დამოკიდებულია ჰეტეროსექსუალი დაქორწინებული წყვილის მშობლობაზე): „ყველაზე სიმპათიით განწყობილი მკვლევარებიც კი იღებენ თავდაცვით პოზიციას, რომელიც აღიარებს ჰეტეროსექსუალ მშობლობას, როგორც ოქროს სტანდარტს და იკვლევენ, რამდენად არიან ლესბოსელი და გეი მშობლები ამ სტანდარტს ქვემოთ“ (გვ.162). კვლევების უმეტესობა „მტკიცებულების ტვირთს“ ლესბოსელ და გეი ოჯახებს ჰკიდებს – მათ უნდა აჩვენონ, რომ არანაკლებ ჯანსაღი და ქმედითები არიან, ვიდრე ჰეტეროსექსუალური ოჯახები. გარდა ამისა, ლესბოსელი და გეი მშობლების შესახებ უარყოფითი დაშვებების გამოკვლევის ღირსად ჩათვლა, ამ დაშვებების ვალიდურობა და ოჯახის ჰეტერონორმატიული მოდელი, საფუძველს უყრის მათ (შეიძლება უნებლიეთ) გაძლიერებას (Clarke, 2002a).

შედარებითი კვლევა აძლიერებს პრობლემატურ სოციალურ ნორმებს

ამ კრიტიკის შემდეგ, ფემინისტი მკვლევარები, განსაკუთრებით, გამოხატავენ წუხილს იმაზე, თუ რა გზებით ახდენს შედარებითი კვლევა გენდერისა და სექსუალობის ჰეტერონორმატიული გაგების გაძლიერებას (e.g., Pollack, 1987). გოგონები "ტკბილი და სასიამოვნო არსებები არიან, ბიჭები კი ძლიერები და ვაჟკაცურები", ხოლო რომანი მხოლოდ მაშინ შედგება, როდესაც „ბიჭი შეხვდება გოგოს". შედარებითი კვლევის ავტორები ზომავენ იმას, თუ რა მასშტაბით არიან ბავშვები გენდერული იდენტობისა და გენდერული როლების ნორმატიული დეფინიციებისადმი კონფორმულები. ლესბოსელი და გეი მშობლების შვილებისთვის კროსგენდერული იდენტიფიკაციისა და არაკონვენციური გენდერული ქცევის ნიშნები „ცუდ შედეგად" მიიჩნევა, და არა გენდერული სტერეოტიპების მსხვრევისა და გენდერის ახალი თავისუფალი გზით განცდის დადებით ნიშნად.

შედარებითი კვლევა განსხვავებულობას პრობლემად განიხილავს

სტეისი და ბიბლარცი (2001) ამბობენ, რომ შედარებითი კვლევის ავტორები ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოაჩენენ განსხვავებას ლესბოსელი და ჰეტეროსექსუალი დედების შვილებს შორის, გენდერისა და სექსუალობის კუთხით. ისინი ამტკიცებენ, რომ მაშინ, როცა კვლევის შედეგების ინტერპრეტაციები ხშირად ტექნიკურად აკურატულია, მათ ყურადღება სხვაგან გადააქვთ და შორდებიან იმ განსხვავებებს, რომლებსაც ეს კვლევები რეალურად უჩვენებს.

გარდა ამისა, კვლევების უმეტესობა ძალიან მცირე საკვლევ ჯგუფებზე იყენებს მნიშვნელოვნების განსაზღვრის დამკვიდრებულ სტატისტიკურ მიდგომებს, რაც საგრძნობლად ამცირებს განსხვავებების აღმოჩენის ალბათობას. სტეისიმ და ბიბლარცმა ლიტერატურის მიმოხილვა დაასრულეს არგუმენტით, რომლის თანახმადაც: „თანამედროვე ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებსაც ლესბოსელი ან გეი მშობლები ჰყავთ, ინტიმურ საკითხებში საკმაოდ განსხვავდებიან იმ ბავშვებისგან, რომლებსაც ჰეტეროსექსუალი მშობლები ჰყავთ (გვ.176). განსაკუთრებით, ბავშვები ნაკლებად კონვენციური გენდერული ტიპების მატარებლები არიან და უფრო ღიანი არიან ერთსქესიანი ურთიერთობებისადმი. ავტორებმა განაცხადეს, რომ ეს განსხვავებები არ არის გამოწვეული მშობლების სექსუალობით, მაგრამ ალბათ მშობლის გენდერის ირიბი შედეგია".

გენდერის ბევრი თეორიის თანახმად, რომ ერთი და იგივე გენდერის მშობლების ბავშვები, განსაკუთრებით, ორი დედით, ნაკლებად გენდერუ-

ლად კონვენციურად ჩამოყალიბდებოდნენ, ჰეტეროსექსუალ მშობელთა შვილებთან შედარებით. მართლაც, გვიანდელმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ლესბოსელი დედები მოუწოდებენ და მოტივაციას აძლევენ ვაჟებს უფრო მგრძნობიარენი და მზრუნველნი იყონ, ვიდრე სტერეოტიპული მამრები (MacCallum and Golombok, 2004).

გენდერისა და სექსუალობის მხრივ განსხვავებების მიჩქმალვა მძაფრად ეწინააღმდეგება ლესბოსელი ფემინისტების მონათხრობს ლესბოსურ დედობასთან მიმართებაში. ის არ ითვალისწინებს, თუ როგორ ცდილობენ ლესბოსელი დედები, მათ ფემინისტურ პრინციპებთან შეთანხმებით, დაუპირისპირდნენ იმას, რაც მათი აღქმით, ზიანის მომტანი გენდერული ნორმაა (see Clarke, 2005). მაგალითად, ლესბოსელი ფემინისტი ჯეს უელსი (1997: x–xi), ლესბოსურ ოჯახებს ჰეტეროსექსუალ ოჯახებთან ადარებს და წერს:

„ლესბი კერები კაცების ახალ თაობას ზრდიან, რომლებიც საგრძნობლად განსხვავებულნი იქნებიან პატრიარქალური ოჯახებიდან გამოსული სხვა კაცებისაგან... პატრიარქალური ოჯახები გოგონებს ასწავლიან, რა არ შეიძლება გააკეთონ, ხოლო ბიჭებს - რა არ შეიძლება იგრძნონ... ლესბოსელი ოჯახები ვაჟებს არ აიძულებენ ემოციების მოთოკვას. ლესბოსურ სახლში არავინ ამბობს „კაცურად მიიღე ეს!" ან „ბიჭები არ ტირიან!".

„გარდა ამისა, ზოგიერთი ლესბოსელი ფემინისტი საუბრობს სიამაყეზე, რომელსაც ისინი საკუთარი სექსუალობისა და ლესბოსელად ყოფნის დადებითი გამოცდილების გამო გრძნობენ და ასევე იმის გამო, რომ სურთ, შვილებმა რაც შეიძლება მეტი კარგი მიიღონ ჰეტერონორმატიულობას გარეთ ცხოვრებისაგან. ლესბოსელი ფემინისტი ბაბა კოპერი (1987:239) ნაშრომში, რომელიც გოგონებთან ლესბოსური დედობის რადიკალურ პოტენციალზე საუბრობს, წერს:

„მორიგი ჰეტერომითი, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ის არის, რომ ლესბოსელი დედები ნეიტრალურნი უნდა იყვნენ მათი ქალიშვილების სამომავლო სექსუალური პრეფერენციის მიმართ... ჩვენ ლესბოსელები ვართ და ეს ფუნდამენტური გამოხატულებაა საკუთარი თავის სიყვარულისა, რომელიც გვსურს, რომ ჩვენმა ქალიშვილებმაც აითვისონ ზრდის პროცესში და ეს აისახოს მათ ქალურად იდენტიფიცირებულ არჩევანზე".

ზოგიერთმა ლესბოსელმა ფემინისტმა ასევე აღნიშნა ზიანი, რომელიც ადგებათ ქვიარ მშობლების ქვიარ შვილებს, როდესაც მათ ფარულად მიანიშნებენ, რომ მათი სექსუალობა მათი მშობლების წარუმატებლობაა.

ფემინისტები, სოციოლოგები და კრიტიკული ფსიქოლოგები შედარებით კვლევაში განსხვავებულობასთან მოპყრობას კრიტიკულად უდგებოდნენ (e.g., Hicks, 2005). ისევე, როგორც ადრეულ გეი მხარდამჭერ მკვლევა-

რებს აკრიტიკებდნენ იმ მოსაზრების ტირაჟირებისთვის, რომ განსხვავებულობა დეფიციტს უდრის, მსგავსი ბრალდება შედარებითი კვლევების ავტორებსაც შეეხოთ. შედარებითი კვლევის ლიბერალური მესიჯი იმის შესახებ, რომ „ლესბოსელი დედები ისეთივენი არიან, როგორც ჰეტეროსექსუალი დედები“, უგულვებელყოფს ლესბოსელი დედების მხრიდან ჰეტეროსექსიზმის გამოცდილებას და მათ მცდელობას, შექმნან და იცხოვრონ ნუკლეარული ნორმისგან განსხვავებულ ოჯახში (Clarke, 2002).

შედარებითი კვლევა აკონტროლებს ლესბოსელი დედების ცხოვრებას

კრიტიკულმა ფსიქოლოგებმა სცადეს ყურადღების მიპყრობა ფსიქოლოგიის რეგულატორული როლისადმი, იმის ხაზგასასმელად, თუ როგორ უჭერს მხარს ფსიქოლოგიური ცოდნა ნორმატიულ და დომინანტ პრაქტიკებსა და ქცევებს. მაგალითად, გოლომბოკის კვლევის ორიგინალში (1983), გენდერული როლების შესაბამისი ქცევა მოცემული იყო, როგორც კულტურულად განსაზღვრული მასკულინური და ფემინური. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები გენდერის ირგვლივ კულტურული ნორმების არსებობას აღიარებდნენ, მათ არ ეს ნორმები არანაირად არ გაუკრიტიკებიათ, შესაბამისად, მათი იმპლიციტური მხარდაჭერა უზრუნველყვეს.

შედარებით კვლევაში იმის მტკიცება, რომ გეი და ლესბოსელი მშობლები „ისეთივენი არიან, როგორც“ ჰეტეროსექსუალები, მხარს უჭერს განსხვავებას „კარგ ლესბოსელ დედებსა“ და „ცუდ ლესბოსელ დედებს“ შორის (Clarke, 2008). კარგი ლესბოსელი დედები საკუთარ სექსუალობას მალავენ, აცალკევებენ და მას დედობის როლს უქვემდებარებენ; ისინი ზრუნავენ, რომ მათი შვილებისთვის მამრობითი სქესის მოდელი იგნორირებული არ იყოს და ნეიტრალურები არიან საკუთარი შვილების სექსუალობასთან დაკავშირებით.

ამის საპირისპიროდ, ცუდი ლესბოსელი დედები სიამაყეს გამოთქვამენ საკუთარ სექსუალობასთან დაკავშირებით, ფემინისტურ ლესბოსურ თემებსა და აქტივიზმში არიან ჩართულნი (1970-1980-იანი წლებში მეურვეობასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების ენა რომ გამოვიყენოთ, ეს ქალები საკუთარი სექსუალობის „მისიონერი“ და „აქტივისტი“ გამავრცელებლები არიან), და შვილებს გენდერული სტერეოტიპებისგან გათავისუფლებისკენ უბიძგებენ. მიუღებელ და მიღებულ ქცევებსა და ატიტუდებს შორის არსებული ეს განსხვავება ზიანს აყენებს ბევრი ლესბოსელი დედის ცხოვრებას. მეურვეობის დავებთან დაკავშირებით, მაგალითად, ქალებს თავი იძულებულად უგრძვნიათ, ეთამაშათ კარგი ლესბოსელი დედის როლი, და მიეჩქმალათ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების ნებისმი-

ერი ასპექტი, რომელიც ამ როლს ემიჯნება ან როლიდან უხვევს. არაკონ-ფორმული (და კონფორმულიც კი) ქალები თავიანთ შვილებთან და ქალ პარტნიორებთან ურთიერთობაში მკაცრად იზღუდებოდნენ.

შედარების მიღმა?

ზემოთ მოყვანილი კრიტიკის პირობებში, მკვლევართა ნაწილმა ლესბოსურ და გეი მშობლობაზე ნაკლებად თავდაცვითი კვლევის საჭიროება დაინახა. ერთი არგუმენტი, რომელზეც ლგბტქ ფსიქოლოგებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ, ლესბოსური და გეი ოჯახების განმასხვავებელი ნიშნებია (მაგ. უფრო ეგალიტარული ურთიერთობები მშობლებს შორის). მათ ის დადებითი გავლენა უნდა განიხილონ, რომელიც შესაძლოა ამ ელემენტებმა იქონიოს ბავშვების განვითარებაზე.

მაგალითად, შედარებით ახალი შედარებითი კვლევა ფოკუსირებულია ლესბოსურ ოჯახებში მშობლობის „დეგენდერიზაციაზე“. კვლევა ადარებს ბავშვზე ზრუნვისა და ოჯახის საქმის გადანაწილებას ლესბოსურ ოჯახებსა და ჰეტეროსექსუალ (მარტოხელა ან ორივემშობლიან) ოჯახებში (Fulcher et al., 2008). ამ ოჯახთაგან ბევრში აღმოჩნდა, რომ ლესბოსური ოჯახები უფრო თანაბრად ინაწილებენ ბავშვზე ზრუნვისა და სახლის საქმის საკითხებს, ვიდრე ჰეტეროსექსუალი წყვილები. გარდა ამისა, ერთმა ამერიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ ლესბოსურ ოჯახებში საქმეების თანაბარი გადანაწილება დაკავშირებულია მშობლური კმაყოფილებისა და ბავშვის ადაპტაციის მაღალ დონესთან (Patterson, 1995).

შედარებითი კვლევის სხვა კრიტიკოსები, სტეისისა და ბიბლარცის მსგავსად (2001), ლგბტქ მშობლობის მკვლევარებს მოუწოდებენ, ახალი მიმართულება აიღონ და ერთსქესიანი მშობლობის გამოცდილების ირგვლივ არსებული მდიდარი მონაცემები გენდერის, სექსუალობისა და ოჯახური სტრუქტურის მშობლობასა და ბავშვის განვითარებაზე გავლენის საკვლევად გამოიყენონ. მსგავსი კვლევა შეძლებდა, ეღიარებინა ლგბტქ მშობლობის ძლიერი და სუსტი მხარეები და უფრო ჭეშმარიტად ასახავდა ოჯახური განსხვავებულობისადმი პლურალისტურ მიდგომას (იმის ნაცვლად, რომ ოჯახები დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი მშობლების „ოქროს სტანდარტის“ მიხედვით დაეჯგუფებინა).

სტეისისა და ბიბლარცის თანახმად, ლესბოსელი ფემინისტების განცხადებები იმის თაობაზე, რომ ლესბოსელები ემოციებს თოკავენ და გოგონებს თავიანთი სრული პოტენციალის გაცნობიერებას ასწავლიან, შემოწმებადი ჰიპოთეზებია, რომლებსაც სერიოზული თეორიული მნიშვნელობა გააჩნიათ. ამასთან ერთად, სტეისი და ბიბლარცი აცხადებენ, რომ არსებული აღმოჩენები სამომავლო კვლევისთვის ზოგიერთ მნიშვნელოვან სფეროს გვკარნახობს. მაგალითად, აღმოჩენა, რომ ბავშვები ლესბოსელ და გეი ოჯახებში ზოგჯერ სოციალური სტიგმის გარკვეულ ნაწილს განიცდიან, მაგრამ არ აჩვენებენ განსხვავებას ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში, გვკარნახობს, რომ ამ ოჯახში რაღაც აკომპენსირებს პროცესს. იმის კვლევამ, თუ როგორ

ეხმარებიან ლესბოსელი და გეი ოჯახები შვილებს სოციალურ სტიგმასთან გამკლავებაში, შეიძლება ზოგიერთი საინტერესო აღმოჩენა წარმოშვას.

ბოლოს, ზოგიერთმა კრიტიკულად განწყობილმა მკვლევარმა შემოგვთავაზა, საერთოდ დაგვენებებინა თავი შედარებითი კვლევისათვის და ფოკუსირება მოგვეხდინა ახალ საკვლევ გეგმაზე, რომელიც წინა პლანზე აყენებს არაჰეტეროსექსუალი ოჯახების გამოცდილებებს და მათზე სოციალური მარგინალიზაციის გავლენას (Clarke, 2002a). ლგბტქ ფსიქოლოგიურმა კვლევამ მშობლობისა და ოჯახის შესახებ დაიწყო იმის აღიარება, რომ ოჯახს ბევრი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ლგბტქ ადამიანებისათვის და ის შორდება ექსკლუზიურ ფოკუსს ქვიარ ნუკლეარული ან ორმშობლიან ოჯახებზე (Gross, 2006). მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ იმ საშუალებათა მრავალფეროვნება, რომლითაც ლგბტქ ადამიანები ქმნიან ოჯახს, ვიკვლიოთ არჩევნის ოჯახი (განხილული მერვე თავში), პოლიამურული ოჯახები (see Pallota-Chiarolli, 2006) და მულტიპარენტალური ოჯახები (სადაც ორზე მეტი მშობელია) (see Gross, 2006).

ლგბტქ ოჯახების წიაღში

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ლგბტქ ოჯახებზე კვლევის სრულიად ახალი მიმართულება განვითარდა, რომელიც ამ ოჯახების ყოველდღიურ გამოცდილებაზეა ორიენტირებული. ლესბოსური და გეი ოჯახებში გაზრდილი ბავშვების განვითარების ჰეტეროსექსუალ ოჯახებთან შედარების ნაცვლად, რაც ფართო საზოგადოების შეშფოთებას ეხმიანებოდა, მკვლევარები ყურადღებას აპყრობენ ლგბტქ ოჯახების ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, „ამ მარგინალიზებული მოსახლეობის ხმებსა და გამოცდილებებს აჟღერებენ“ (Litovich and Langhout, 2004: 415).

კვლევათა უმეტესობა, შედარებით მცირემასშტაბიანი, თვისებრივი და ინტერვიუებზე დაფუძნებული პროექტებია. ისინი ფოკუსირდება თეთრკანიან, საშუალო კლასის, დაგეგმილ ლესბოსურ ოჯახებზე (ბიოლოგიურ ან ნაშვილებ ბავშვებთან ერთად), რომლებიც დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრობენ. თუმცა, ამ ტრადიციის კვლევამ უკვე დაიწყო მშობლობისა და ოჯახის გამოცდილების უფრო ფართო სპექტრის შესწავლა, მათ შორის გეი ოჯახებისაც (Gianino, 2008), ლესბოსური და გეი მიმღები ოჯახებისაც (Riggs, 2004b; 2007b), და ლესბოსური ოჯახებისაც არადასავლურ ქვეყნებში.

ლგბტქ ოჯახები განიხილება, როგორც სოციალური ცვლილებისათვის საკვანძო წერტილი და არა ცენტრალურ ნორმასთან შესადარებელი მარგინალური მოდელი (Benkov, 1995). ამ ტრადიციის მკვლევარები, როგორც წესი, ოჯახზე საუბრისას უფრო მოქნილ ენას იყენებენ - საკვანძო ფრაზა არის „ოჯახის შექმნა“ (და არა თავად ოჯახი). ესენციალისტური გაგების საპირისპიროდ, სადაც ოჯახი თავისთავადი სოციალური ერთეულია,

ოჯახი განიხილება როგორც ზმნა (რაღაც, რასაც ვაკეთებთ) და არა როგორც არსებითი სახელი (რაღაც, რაც არის, ან ჩვენ ვართ) (Morgan, 1999). მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ ოჯახები ოჯახის სხვაგვარად აგებას ცდილობენ, ისინი არ ცხოვრობენ ოჯახის ნორმატიული გაგებებისგან სრულიად განსხვავებულად (Perlesz et al., 2006).

ეს ლიტერატურა ეხება საკითხების მთელ რიგს, მათ შორის: ბავშვების გამოცდილებას ჰეტეროსექსიზმთან მიმართებაში (Litovich and Langhout, 2004); როგორ ადაპტირდებიან ლესბი ოჯახები სკოლის გარემოსთან (Lindsay et al., 2006); ლესბოსელი დედების „კომფორტულად ცხოვრების“ გამოცდილება ჰეტეროსექსიზმის კონტექსტში (Short, 2007); გზები, რომელთა მეშვეობითაც ლესბოსური ოჯახები საკუთარ იდენტობებს სიმბოლოებისა და რიტუალების მეშვეობით გამოხატავენ (Suter et al., 2008), და ლესბოსელი დედების გადაწყვეტილებებს სპერმის დონორებთან დაკავშირებით (Touroni and Coyle, 2002). ამ ტრადიციის მკვლევარები ასევე ატარებენ გრძელვადიან კვლევებს – მაგალითად, ერთი ამერიკული კვლევა თვალყურს ადევნებს 78 ლესბოსურ ოჯახს (Gartrell et al., 2006).

მოდით, გავითვალისწინოთ ამ კვლევების მაგალითი. ამერიკელი ფსიქოლოგი ები გოლდბერგი (2007ა) ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, რომ აუცილებელია გავიგოთ ლგბ ოჯახების სტრუქტურებისთვის უნიკალური პროცესები. ერთ–ერთი ასეთი პროცესი ლგბ მშობლების შვილებისთვის ინფორმაციის გაცხადებაა: ლგბ მშობლების ზრდასრულს ბავშვებს მუდმივად უწევთ გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად ღიანი უნდა იყვნენ საკუთარი უნიკალური ოჯახის სტრუქტურასთან დაკავშირებით. გოლდბერგმა გამოკითხა 42 ზრდასრული ადამიანი (19 და 50 წლებს შორის, საშუალო ასაკი 30 წელი; 35 ქალი და 7 კაცი), რომლებსაც ერთი ან მეტი ლგბ მშობელი ჰყავდათ. ზოგიერთმა მონაწილემ ყოველთვის იცოდა მშობლების ლგბ იდენტობის შესახებ და მშობლების სექსუალობასთან დაკავშირებით ღია კომუნიკაციის ატმოსფეროში გაიზარდა. ეს მონაწილეები გრძნობდნენ, რომ ღია და დროული კომუნიკაცია იმ ბევრი შეკითხვისათვის პასუხის გაცემაში დაეხმარათ, რომელსაც შემდგომში წააწყდნენ თანატოლებსა და სხვა ადამიანებთან. სხვა მონაწილეებმა ბავშვობიდან იცოდნენ (თუმცა ზოგიერთ მშობელს ოფიციალურად არასოდეს გაუმჟღავნებია ან უსაუბრია საკუთარ სექსუალობაზე): ზოგიერთი მათგანი იხსენებს შედარებით პოზიტიურ რეაქციას მშობლების ქამინგ აუთზე, დანარჩენების რეაქცია თავიდან უარყოფითი იყო (მათგან ბევრი ჰომოფობიურ გარემოში

იზრდებოდა). მონაწილეები, რომელთა ოჯახებსაც საიდუმლოება გააჩნდა, ნაკლებად მზად იყვნენ სხვების შეკითხვებთან გასამკლავებლად.

ბევრმა მონაწილემ მშობლების სექსუალობით სიამაყე გამოხატა. ზოგიერთი თავდაპირველად ხმამაღლა საუბრობდა საკუთარ ოჯახებზე, თუმცა ამას ნეგატიური რეაქცია მოჰყვა და მათ მშობლების სექსუალობასთან დაკავშირებით ნაკლებად შემრიგებლური პოზიცია განუვითარდათ. თუმცა, მოგვიანებით, ამ ბავშვებს ისევ დაუბრუნდათ სიამაყის გრძნობა. ზოგიერთი მონაწილე საკუთარ ოჯახთან დაკავშირებით ქამინგ აუთს იმიტომ აკეთებდა, რომ საკუთარი ოჯახისა და ლგბ თემის დაცვის სურვილი ჰქონდათ. მათ ასევე სურდათ, გაენათლებინათ სხვებიც. ზოგიერთი ამ ინფორმაციას „ლაკმუსის ტესტივით“ იყენებდა, რათა განესაზღვრათ, სურდათ თუ არა უცხო ადამიანის გაცნობა. ზოგიერთი მათგანი ღიაობისა და გულწრფელობის საჭიროებას გრძნობდა (ეს მონაწილეები შედარებით ნაკლებად ღია ოჯახებში გაიზარდნენ), ზოგიერთი ქამინგ აუთს ნეგატიური რეაქციის წინასწარი პრევენციისთვის აკეთებდა, და ბოლოს, მონაწილეთა უმრავლესობა მალავდა საკუთარი ოჯახის სტრუქტურას.

გოლდბერგმა მონაწილეების ნარატივებში გარკვეული დაძაბულობა და წინააღმდეგობრიობა შენიშნა: ზოგმა მონაწილემ, რომელმაც განაცხადა, რომ ოჯახი მათთვის ძალიან პირადული საკითხი იყო, ასევე თქვა, რომ ჰომოფობიასთან დასაპირისპირებლად, ხშირად ინფორმაციის გამჟღავნებას ჩქარობდნენ. ამასთან, მონაწილეები, რომლებიც საკუთარ თავს ღიას უწოდებდნენ, ამბობდნენ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში საკუთარი მშობლების სექსუალობაზე საუბარს თავს არიდებდნენ (მაგ. გარემოში, სადაც ამ თემაზე საუბარი უსაფრთხო არ იყო).

სხვა ანგარიშში, გოლდბერგმა (2007ბ) იკვლია მონაწილეების თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი გავლენა მოახდინა მათზე, როგორც ზრდასრულებზე, ლგბ მშობლებთან გაზრდამ. მონაწილეები გრძნობდნენ, რომ უფრო ტოლერანტები და გონებაგახსნილები იყვნენ (see also Saffron, 1998) და უფრო მოქნილი აზრი გააჩნდათ გენდერისა და სექსუალობის შესახებ. გოლდბერგისა და მისი კოლეგის კეტრინ ალენის ყურადღების ცენტრში (2007) ასევე მოექცა მამაკაცის ოჯახში ჩართულობის ხარისხი ლესბი დედების მშობლად გახდომის პერიოდში. მათ აღქმებისა და განზრახვების მთელი სპექტრი აღმოაჩინეს კაცის ჩართულობასთან დაკავშირებით და ქალების სამი ჯგუფი გამოკვეთეს: ფრთხილი/კეთილგონიერი, მოქნილი და ამბივალენტური. პირველი კატეგორია თვლიდა, რომ კაცის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია და აპირებდა საგანგებო ძალისხმევის გამოჩენას, რათა საკუთარი შვილებისთვის მამაკაცთან კონტაქტი უზრუნველეყო. მოქნილი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ კაცის ჩართულობა მნიშვნელო-

ვანი იყო, მაგრამ არ სურდა ამაზე ზედმეტი ენერგიის დახარჯვა. და ბოლოს, ამბივალენტური ქალების გარკვეული კატეგორია სულაც არ აპირებდა ოჯახში კაცის ჩართულობის მოპოვებას.

ეს მხოლოდ ნაწილია კვლევების იმ მზარდი რაოდენობისა, რომლებიც ლესბოსური ოჯახის გამოცდილებებსა და ხმებს ანიჭებენ უპირატესობას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ თავმა ცხადი გახადა, რომ მაშინ, როცა არსებობს საკმაო ლიტერატურა ლგბტქ (და განსაკუთრებით ლესბოსურ) მშობლობაზე, ჯერ კიდევ ბევრია გასარკვევი ლგბტქ ოჯახებთან მიმართებაში.

ხარვეზები და ნაკლოვანებები

- კვლევის უმეტესობა დაფუძნებულია თეთრკანიანი ლესბოსელი დედებისგან მოპოვებულ მასალაზე, რომლებიც შედარებით უფრო განათლებულნი, მომწიფებულნი და თავიანთ პროფესიაში წარმატებულნი არიან, და ცხოვრობენ შედარებით პროგრესულ ურბანულ ცენტრებში. გარდა ამისა, არსებობს ტენდენცია იმისა, რომ ლგბტქ ოჯახებს მოექცნენ, როგორც ჰომოგენურ ჯგუფს და ყურადღება არ მიაქციონ განსხვავებებს ინდივიდუალურ ოჯახებს შორის. როგორც წესი, ჩვენი ცოდნა ლგბტქ ოჯახური ცხოვრების განსხვავებულობის შესახებ საკმაოდ შეზღუდულია.
- კვლევებით შესწავლილი ლგბტქ ოჯახური ფორმების სპექტრი, ჯერ კიდევ ვიწროა. კვლევათა უმეტესობა ფოკუსირდება ორი მშობლისაგან შემდგარ ოჯახებზე და უგულვებელყოფს მარტოხელა მშობლებს ან მრავალმშობლიან ოჯახებს.
- არც ერთ კვლევაში არ არის სისტემატიურად შესწავლილი, თუ როგორი რეაქცია აქვთ ლგბტქ მშობელთან კონტაქტის გაწყვეტაზე ბავშვებს, რომელსაც უარი უთხრეს მეურვეობისა და მონახულების უფლებაზე; ან როგორი რეაქცია აქვთ ლგბტქ მშობლებს საკუთარ შვილებთან კონტაქტის გაწყვეტაზე.
- სექსუალობის კონცეპტუალიზაცია არსებულ კვლევაში დაუხვეწავია – ცოტა რამ არის ცნობილი მონაწილე მშობლების სექსუალობაზე, გარდა მათი თვითიდენტიფიკაციისა, როგორც გეის ან ლესბოსელისა (Tasker, 2005). გარდა ამისა, სტეისიმ და ბიბლარცმა (2001) დაასკვნეს, რომ კვლევათა უმეტესობა სექსუალობას ზომავს, როგორც დიქოტომიას და არა როგორც კონტინუუმს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია იმით სპეკულირება, თუ რამდენად ნიუანსურია სექსუალობის კონცეპტუალიზაცია. ამან შეიძლება კვლევის შედეგებზეც იმოქმედოს.

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში:

- გამოვყავით ლგბტქ ადამიანების მშობლობის გზები და ლგბტქ მშობლების მიმართ გავრცელებული ნეგატიური დაშვებების არსებობა, რაც ხშირად ბავშვისათვის „დანაშაულის განცდის მქონე“ გენდერული და სექსუალური იდენტობის განვითარების რისკს ქმნის.
- შევაჯამეთ კვლევები, რომლებიც ლესბოსელ, გეი და ტრანს ოჯახებს ჰეტეროსექსუალურ ოჯახებთან ადარებს. ეს კვლევები ლგტ ადამიანების „ცუდი მშობლობის“ შესახებ უარყოფითი შეხედულებების და ბავშვის ლგტ ოჯახში გაზრდის უარყოფითი შედეგების სტერეოტიპების შეცვლას ცდილობდნენ.
- ასევე, შევაჯამეთ შედარებითი კვლევების კრიტიკა, რომლებიც მათ თავდაცვით მანერას უსვამენ ხაზს.
- განვიხილეთ ახალი კვლევების ნაწილი, რომელიც ლგბტქ ოჯახების გამოცდილებას, მათი ცხოვრების წესსა და საკუთარი იდენტობების განვითარებას უსვამს ხაზს ჰეტერონორმატიულ კონტექსტში.

კითხვები განხილვისათვის და საკლასო დავალებები

1) წარმოიდგინეთ, როგორია ტიპური სასკოლო გამოცდილება ლგბტქ მშობლების შვილებისათვის. შემდეგ წარმოიდგინეთ, რომ განათლების ფსიქოლოგი ხარ, რომელმაც სკოლას რეკომენდაციები უნდა მისცეს ინკლუზიური გარემოს შექმნისა და ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური კლიმატის კონტროლისათვის. რა ზომებს მიიღებდით სკოლაში? როგორ აამაღლებდით ცნობიერებას ოჯახების მრავალფეროვნების შესახებ?

2) რა მონაცემები არსებობს იმისათვის, რომ ლგბტქ ოჯახები ჰეტეროსექსუალური ოჯახების მსგავსია? რა მონაცემები არსებობს იმისათვის, რომ განსხვავებები არსებობს?

3) როგორ ეწინააღმდეგება ლგბტქ ოჯახების კვლევის მონაცემები ბავშვის განვითარების ტრადიციულ თეორიებს?

4) ისაუბრეთ ამ თავში განხილული შედარებითი კვლევების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. ფიქრობთ, რომ ფსიქოლოგებმა ასეთი კვლევები უნდა გააგრძელონ? რატომ?

5) ამერიკელმა სოციალურმა მუშაკმა ეკენა მარი დილაპმა (1989), სხვადასხვა ტიპის დედებისათვის მინიჭებული სოციალური ღირებულების ასახვის მიზნით დედობის იერარქიის სქემა შეადგინა. ის ამბობდა, რომ (თეთრკანიანი, საშუალო ფენის, დაქორწინებული) ჰეტეროსექსუალი ქალი „ყველაზე შესაფერისი“ დედაა, ხოლო ლესბოსელი „ყველაზე შეუფერებელი“, ბოლოდან მეორე ადგილზე იყო შეზღუდული უნარების მქონე, შავკანიანი, მუშათა კლასის თინეიჯერი დედა. ფიქრობთ, რომ ეს იერარქია ადეკვატურად ასახავს თანამედროვე რეალობას? ასახავს თუ არა ის თქვენი

საზოგადოების ღირებულებებს? სად მოათავსებდა ასეთი იერარქია ამ თავში განხილულ მშობლებს (ტრანს, ბისექსუალ და პოლიამურულ მშობლებს)?

დამატებითი საკითხავი

Adam W. Fingerhut, Letitia Anne Peplau, and Negin Ghavami, Psychology of Women Quarterly, University of California, Los Angeles, 2005

ორმაგი იდენტობის ჩარჩოს გასაგებად...

თარგმანი: ***ანა რეხვიაშვილი***

თანამედროვე ლესბოსელთა მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გამოცდილება ორ სოციალურ სამყაროსთან კავშირს მოიცავს: მეტწილად ჰეტეროსექსუალებისგან შემდგარ საზოგადოებასთან და ლესბოსელთა და სექსუალურ უმცირესობათა სუბკულტურულ სამყაროსთან. სტატიაში დეტალურადაა წარმოდგენილი ორმაგი იდენტობის სტრუქტურის კონცეპტუალური ანალიზი; აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ როგორ არიან ლესბოსელები ორივე, ჰომო- და ჰეტეროსექსუალური საზოგადოების ნაწილი. აქ განხილულია ამ მიდგომის სარგებლიანობა და გამოკვეთილია გეებში არსებული სტრესისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინდივიდუალურ განსხვავებათა გააზრების მნიშვნელობა. გამოკითხვამ, რომელიც 116 ლესბოსელს შორის ჩატარდა, გვიჩვენა, რომ ლესბოსური იდენტობის და მეინსტრიმ იდენტობის მქონე მონაწილეთა შედეგები ერთმანეთს არ შეესაბამებოდნენ. ორივე იდენტობის წარმომადგენლებს განცდილი აქვთ ლესბოსელების მიერ გამოვლილი დისკრიმინაცია, ინტერნალიზებული ჰომოფობიის გრძნობა, ცხოვრებით კმაყოფილება. სტატიაში განხილულია ორმაგი იდენტობის სტრუქტურის შეზღუდვები და შემოთავაზებები სამომავლო კვლევისათვის.

დღესდღეობით, აშშ-ში ლესბოსელებს ორ სოციალურ სამყაროსთან აქვთ კავშირი: უმეტესწილად ჰეტეროსექსუალთაგან შემდგარ საზოგადოებასთან, სადაც ისინი დაიბადნენ, და სექსუალურ უმცირესობათა სუბკულტურულ სამყაროსთან. ყოველდღიურად ისინი რეგულარულად მოძრაობენ ამ სამყაროთა შორის და ორივე მათგანში განსხვავებული რაოდენობით თანაგრძნობას ღებულობენ. როგორც ბრაუნმა (1989, p. 449) აღნიშნა, ლესბოსელები „ერთდროულად მონაწილეობენ ჰეტერო და გეი-ლესბოსურ ცხოვრებაში“. ლინდქუისტმა და ჰირაბაიაშიმ (1979, p. 90) გეები სხვა უმცირესობებს შეადარეს; მათი მტკიცებით, იმის გასაგებად, თუ როგორ უმკლავდებიან გეები თავიანთ პრობლემებს, ყურადღება მათ ურთიერთობებზე უნდა გამახვილდეს, არა მარტო გეი, არამედ ამ ყოველივეს მომცველ ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებასთან”. მიუხედავად

რჩევისა, ლესბოსური იდენტობა ორივე, ჰომო– და ჰეტეროსექსუალური სამყაროსთვის მიგვეკუთვნებინა, ფსიქოლოგებს ჯერაც არ ჩამოუყალიბებიათ ლესბოსური გამოცდილების ორი სამყაროს ანალიზი.

ლესბოსური იდენტობის გასაგებად, ამ სტატიაში ჩვენ წარმოვადგენთ ახალი, ორმაგი იდენტობის სტრუქტურას, რომელსაც კავშირი აქვს როგორც უმცირესობათა, ასევე უმრავლესობათა საზოგადოებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურა გეი იდენტობის გასაანალიზებლადაც გამოდგება, ამ სტატიაში ყურადღებას ლესბოსელებზე გავამახვილებთ. ორმაგი იდენტობის სტრუქტურის სარგებლიანობის საჩვენებლად რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ შემთხვევაში, ლესბოსელთა ნაირსახეობა იდენტობის იმ ერთმიმართულებიან მოდელებზე უკეთ ვლინდება, რომლებიც კავშირებს მხოლოდ „ლესბოსელ-სხვასთან“ და „გეი -სხვასთან“ აღიარებენ; მეორე, როგორც ამას ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ, ლესბოსელთა იდენტობის უფრო ყოვლისმომცველი განხილვა დაგვეხმარება მათ შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებების ახსნაში, რაც გამოწვეულია ცრურწმენებისა და დისკრიმინაციის ზემოქმედებით, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით. საბოლოოდ კი, ორმაგი იდენტობის სტრუქტურის ირგვლივ გაჩენილი შეკითხვები საფუძველს გვაძლევს ახალი კვლევის ჩასატარებლად.

სექსუალურ უმცირესობათა იდენტობის ჩამოყალიბება მე–20 საუკუნის ამერიკაში

დროისა და ადგილის განურჩევლად, ქალებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო სხვა ქალებთან სასიყვარულო და ეროტიკული ურთიერთობების ქონა (Peplau, 2001). ისტორიულად, ამ ერთსქესიან ურთიერთობებს გავლენა არ მოუხდენია ქალთა პირად იდენტობაზე, ისინი არ ასოცირდებოდნენ გამორჩეულ უმცირესობათა ჯგუფებთან და სუბკულტურებთან. აშშ–ში ყოველივე ეს მე–20 საუკუნეში შეიცვალა, როდესაც ლესბოსელობა უკვე სოციალურ იდენტობას ნიშნავს; ჰომოსექსუალები, სხვა ზეწოლის ქვეშ მყოფ უმცირესობათა მსგავსად, სექსუალურ უმცირესობათა ჯგუფად გამოცხადდნენ (Faderman, 1991). ამ ცვლილებებს წარსულ და ამჟამინდელ ფაქტთა შედარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ისტორიის მანძილზე, გოგონებს შორის ხშირი იყო ვნებისა და ფიზიკური ინტიმურობის შემცველი მეგობრული ურთიერთობები. მაგალითად, 1929 წელს კეთრინ დეივისმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ჩატარდა აშშ–ში 2.200 კოლეჯის კურსდამთავრებულ ქალთა შორის. აქედან, მთელმა 42%–მა აღიარა, რომ კოლეჯში მყოფ სხვა ქალებთან ინტენსიური ემოციური ურთიერთობები ჰქონდა; 52%–მა კი განაცხადა, რომ ჰქონდა სექსუა-

ლური ურთიერთობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლეჯში ყოველ მეხუთე ქალს ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა თავის საუკეთესო მეგობარ ქალთან. მიუხედავად ამისა, ისინი არ ატარებდნენ განსხვავებული იდენტობის სტატუსს. ანალოგიურად, უფრო ადრეულ დროში, როდესაც ქორწინება ეკონომიკურ და სოციალურ აუცილებლობას წარმოადგენდა, დაქორწინებული ქალები ხშირად აჩაღებდნენ ინტიმურ ურთიერთობებს სხვა ქალებთან ისე, რომ მათი სექსუალური იდენტობა ზედმეტ კითხვებს არ ბადებდა.

მე–20 საუკუნეში, აშშ–ში, ქალთა შორის ინტიმურმა ურთიერთობებმა სტატუსი მნიშვნელოვნად შეიცვალა:
მას შემდეგ, რაც სექსოლოგიაში ლესბოსელობის ცნება გაჩნდა, ქალთა, განსაკუთრებით საშუალო ფენის წარმომადგენლებს შორის სიყვარული, მეგობრული ურთიერთობებიდან „ლესბოსელობად“ გადაიქცა. ეკონომიკურმა ფაქტორებმა შესაძლებელი გახადა, რომ ქალების დიდ რაოდენობას მამაკაცისაგან დამოუკიდებლად ეცხოვრა, ხოლო მობილობამ უამრავ ქალს მისცა საშუალება, ემოგზაურა ადგილებში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ისეთი ადამიანების პოვნა, რომელთათვისაც ლესბოსელის იარლიყი მისაღები იყო (Faderman, 1991, p. 303).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სექსუალობა პირადი და სოციალური იდენტობის მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა. დღესდღეობით, კოლეჯის მოსწავლე გოგონა, რომელსაც თავისი ოთახის მეზობელი უყვარდება, საკუთარ სექსუალურ იდენტობაში ეჭვდება.

ლესბოსელების სოციალურ ჯგუფად ჩამოყალიბების გარდა, ყურადღება კიდევ ორი მნიშვნელოვან ცვლილებაზე უნდა გავამახვილოთ. ერთი, ეს არის ლესბოსელებისა და გეების აღიარება ზეწოლის ქვეშ მყოფ უმცირესობათა ჯგუფად, იმ ეთნიკური უმცირესობების მსგავსად, რომლებიც სამოქალაქო უფლებებისა და საზოგადოების ნაწილად ცნობისათვის იბრძოდნენ (D'Emilio, 1983). II მსოფლიო ომის შემდეგ, საზოგადოების მხრიდან ლესბოსელებისა და გეი მამაკაცების მიმართ ძლიერი მტრობა შეიმჩნევა, მათ შორისაა პოლიციის მხრიდან გეი და ლესბოსური ბარების დარბევა და ჰომოსექსუალთა სახელმწიფო სამსახურებიდან ჩამოშორების მოთხოვნები. ლესბოსელები და გეები შიშობდნენ, რომ მათი გამომჟღავნება სამსახურისა და სახლის, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ადგილის დაკარგვის მიზეზი გახდებოდა. ეს საზოგადოებრივი წნეხი, საერთო სოციალური იდენტობის მქონე გეებისა და ლესბოსელებისთვის ერთმანეთისათვის სოლიდარობის გამოცხადების მიზეზად იქცა. გეოგრაფიული საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, გეი და ლესბოსელ საზოგადოებას მტრულად განწყობილ გარემოში დაუცველობა აერთიანებდა. ლესბოსე-

ლობის საჯაროდ აღიარება იყო და დღესაც არის საზოგადოდ სტიგმატიზებული ჯგუფისათვის ლოიალობის გამოცხადება.

მეორე ცვლილება ლესბოსელ და გეი სუბკულტურათა და დაწესებულებათა თანდათანობით ჩამოყალიბებაა. მაგალითად, 1955 წელს სანფრანცისკოში დაარსდა „ბილიტისის ქალიშვილები“, პირველი ნაციონალური პოლიტიკური ლესბი ორგანიზაცია. მე–20 საუკუნის მეორე ნახევარი მომსწრეა ლესბოსური პუბლიკაციების, ხელოვნების, ორგანიზაციებისა და სოციალური სერვისების თანდათანობითი განვითარებისა, დაწყებული ლესბოსელთა სოფტბოლის გუნდიდან, დამთავრებული ქალთა მუსიკალური ფესტივალებითა და ჯანდაცვის კლინიკებით. ვინაიდან ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს, ჩვეულებისამებრ, ხანგრძლივი ისტორია და კარგად განვითარებული კულტურა აქვთ, ამერიკელ ლესბოსელებს მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა უნდა შეექმნათ. ისინი ამ საქმეს დიდი ენერგიითა და კრეატიულობით შეუდგნენ. მეცნიერები ცდილობდნენ ლესბოსელთა ისტორიის სააშკარაოზე გამოტანას, ატარებდნენ კვლევებს ლესბოსელების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების დასანგრევად და სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალებისთვის თავისუფალი ასპარეზის შექმნას სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

დღესდღეობით, დიდი მრავალფეროვნებაა იმ გზებს შორის, რომლითაც ლესბოსელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მთელი თავისი ნაირგვარობით, ლესბოსელ საზოგადოებას უკავშირდებიან – ისინი სწორედ ამ გზით უჩვენებენ საკუთარ თავს და სხვებს, თუ როგორ იბრძვიან უმცირესობათა უფლებებისათვის და როგორი ჩართულები არიან ლესბოსურ კულტურასა და ცხოვრებაში. ამავდროულად, მათ შორის არსებული მრავალფეროვნება ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ უკავშირდებიან ისინი მეინსტრიმ საზოგადოებას, როგორც ოჯახის წევრები, მუშები და მოქალაქეები. ლესბოსური იდენტობის კვლევები აქცენტს აკეთებს სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალთა საზოგადოებასთან კავშირებზე და უგულვებელყოფენ იმ ფაქტს, რომ საჭიროა, ლესბოსელებმა უფრო ფართო, ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებასთან დამაკავშირებელი გზა იპოვონ. ამის საპირისპიროდ, ორმაგი იდენტობის მოდელი იდენტობათა ამ ორივე კომპონენტს ითვალისწინებს.

ლესბოსელთა იდენტობის მაგალითები: ლესბოსურ და მეინსტრიმ იდენტობათა გადაკვეთის წერტილები

მე–20 საუკუნის დადგომასთან ერთად, ქალები, რომელთა ცხოვრება სხვა ქალების ცხოვრებაზე იყო ორიენტირებული, პირადი და სოციალური

იდენტობის შესაქმნელად სხვადასხვა გზებს პოულობდნენ, რაც მათ ლესბოსურ უმცირესობათა და ჰეტეროსექსუალურ უმრავლესობათა საზოგადოებებთან აერთიანებდა. ლესბოსურ იდენტობათა ნიმუშები ამ ჯგუფთა მიმართ ერთგულების კომბინაციაა, ეთნიკურ იდენტობებთან უამრავ მსგავსებას ამჟღავნებენ (e.g., Berry, 1984; LaFromboise, Coleman, & Gerton, 1993), რომელთა შორისაც ინდივიდები თავიანთი იდენტობის თვალსაზრისით განსხვავდებიან ეთნიკურ უმცირესობათა და უმრავლესობათა კულტურებში. თითოეულ საზოგადოებასთან გაერთიანება აღქმულია, როგორც შედარებით დამოუკიდებელი პროცესი. ერთია, რომ უმრავლესობათა კულტურასთან იდენტიფიკაცია ხელს არ უშლის უმცირესობებთან იდენტიფიკაციას და პირიქით. ამ ორი სამყაროს კვეთის შედეგად იდენტობათა ოთხ შესაძლო კატეგორიას ვიღებთ (e.g.,Berry, 1984). ესენია: ასიმილირებული (დაბალი აქტივობა ლესბოსურ საზოგადოებაში და მაღალი – ჰეტეროსექსუალურში), ლესბოსური იდენტობის ან განცალკევებული (მაღალი აქტივობა ლესბოსურ საზოგადოებაში და დაბალი – ჰეტეროსექსუალურში), ინტეგრირებული (მაღალი აქტივობა ორივეში), მარგინალიზებული (დაბალი ჩართულობა ორივე საზოგადოებაში). მიუხედავად იმისა, რომ ეს ოთხი კატეგორია ინდივიდთა შორის არსებულ განსხვავებებს დეტალურად ვერ აღწერს, იგი მაინც გამოსადეგია ლესბოსელთა ზოგადი ადგილის საილუსტრაციოდ ამ ორ, უმცირესობათა და მეინსტრიმ საზოგადოებებში. ლესბოსური და მეინსტრიმ იდენტობების გადაკვეთის შედეგად წარმოქმნილ იდენტობათა ნიმუშების საილუსტრაციოდ, ამ განყოფილებაში ჩვენ მიმოვიხილავთ ლესბოსელთა ცხოვრების ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებათა კვლევებს, *ასიმილაცია*.

პირადი იდენტობის განსაზღვრის თვალსაზრისით, ზოგიერთი ლესბოსელი სექსუალურ ორიენტაციას ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ის უპირატესობას ანიჭებს, აღქმული იყოს, როგორც ინდივიდი, ვიდრე როგორც რომელიმე ჯგუფის წევრი, და ხაზს უსვამს ზოგადად ადამიანობის ცნებას. „ბილიტისის ქალიშვილები“ (DOB) კულტურულ ინტეგრაციაში მონაწილე ორგანიზაციის პოზიციიდან მეინსტრიმ საზოგადოებაში ლესბოსელთათვის პატივისცემისა და აღიარების მოსაპოვებლად მოქმედებდა (Rupp, 1999,p. 163). DOB-ის ლიდერებმა შეამცირეს განსხვავება ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ქალებს შორის და ლესბოსელებს მოუწოდებდნენ, გარეგნობისა და ქცევის თვალსაზრისით დამორჩილებოდნენ ქალთა საყოველთაო სოციალურ ნორმებს (Esterberg, 1994). ისინი მასკულინურ ლესბოსელთა „არაქალურ“ საქციელს აკრიტიკებდნენ, რომელთაც მამაკაცური ჩაცმულობის სტილი და მანერები ჰქონდათ შეძენილი. იმ ეპოქაში, როდესაც ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირსაც კი არ სურდა

ლესბოსელებისა და გეების კრიტიკისგან დაცვა, რადგან ეს ეროვნული უსაფრთხოების დარღვევის პოტენციურ რისკად აღიქმებოდა (Faderman, 1991), გასაკვირი არაა, რომ DOB ლესბოსელებს მოუწოდებდა, ნაკლებად მოხვედროდნენ თვალში საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტეგრაციაში მონაწილე ქალებს თავიანთ მეწყვილეები ჰყავდათ და თავისუფალ დროს მათთან განმარტოებაში ატარებდნენ, მათი სოციალური პოზიციები უფრო ფართო საზოგადოებებში იდგამდნენ ფესვებს.

ინტეგრაციაში მონაწილე იდენტობათა (ასიმილაციონალისტთა) ნიმუშები დღესაც გვხვდება. ბრიტანელ ლესბოსელთა შესწავლისას კიტზინგერი (1987) აპოლიტიკურ ქალებს აღწერს, რომლებმაც თავიანთ ლესბოსელობა აღიარეს, მაგრამ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია პრივატულად მიიჩნიეს და საზოგადოებაში მათი ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტად გამოაცხადეს. ერთი ქალი წერს: „მე მე ვარ... სოციალური მუშაკი ვარ; ვარ დედა.. მიყვარს ბახი... ათასი რამის კეთება მიყვარს და დიახ, მე მათ შორის ვარ, მე ლესბოსელი ვარ... თუმცა ეს ჩემი მხოლოდ ერთი მხარეა“ (Kitzinger, 1987,p. 110). ყველა ასიმილაციონალისტი ქალი, მთელს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებაში, სექსუალური იდენტობის მახასიათებლებს უკანა პლანზე წევს და ლესბოსელთა და ჰეტეროსექსუალ ქალთა შორის არსებულ ძირეულ მსგავსებებს უსვამს ხაზს.

ლესბოსური იდენტობა ან სეპარატიზმი

ზოგიერთი ქალი საკუთარ ლესბოსელობას თავისი პირადი და სოციალური იდენტობის იმდენად მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მეინსტრიმ საზოგადოებისგან თავის განცალკევებას ცდილობს. 1970–იან წლებში რადიკალმა ფემინისტმა ლესბოსელებმა ქალებს სეპარატიზმისკენ მოუწოდეს და პატრიარქალური საზოგადოების ჩაგვრის საპასუხოდ ქალთა კავშირები შექმნეს (e.g., Valk, 2002). შედარებით ცოტა ხნით “Angry dyke in Boston”–მა (1998) ვებ გვერდზე ჰეტეროსექსუალების მაკრიტიკებელი კომენტარი გამოაქვეყნა. მან დაასკვნა: „თქვენ, სელექციონერები, ანგრევთ სამყაროს, ჩვენ, ჰომოსექსუალებმა კი ჩვენი საკუთარი უნდა შევქმნათ“.

არალესბოსურ სამყაროსთან კავშირის შეზღუდვის სურვილმა შესაძლოა მრავალგვარი სახე მიიღოს. ერთმა ლესბოსელმა პონსთან (1978,p. 103) ინტერვიუში განაცხადა, რომ დიდ კომპანიაში მუშაობდა და მაღალი ანაზღაურება ჰქონდა. შემდეგ კი, როგორც თვითონ ამბობს, გადაწყვიტა, რომ ჰეტეროსექსუალებისთვის აღარასდროს იმუშავებდა. მან ქალებისთვის დაიწყო მუშაობა მხატვრისა და დურგლის ამპლუაში. სხვები მუშაობენ ჰეტეროსექსუალთა გარემოცვაში, მაგრამ ცდილობენ, მათთან პირად მეგობ-

რობას თავი აარიდონ. მათი ჰეტეროსექსუალებთან ურთიერთობა სამსახურში, მხოლოდ საქმეს ადგება, მათი ნამდვილი ცხოვრება კი ლესბოსელთა გარემოცვაში გატარებულ დროზეა დაფუძნებული. თანამედროვე ლესბოსელთა მცირე ნაწილიღა თუ ცხოვრობს კაცებისა და ჰეტეროსექსუალების საზოგადოებისგან სრულიად განცალკევებით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ლესბოსელს მკვეთრად ურჩევნია, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს ლესბოსელებით ან უბრალოდ ქალებით დაკომპლექტებულ გარემოცვაში, თუნდაც სკოლაში, სამუშაოზე ან გართობის დროს.

ინტეგრირებული იდენტობები

ზოგიერთი ქალი ცდილობს, ძლიერი ლესბოსური იდენტობა მეინსტრიმ სოციალურ სამყაროში აქტიურ ჩართულობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. იმის გამო, რომ მთლიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ლესბოსელთა მიმართ მეგობრული გახდა, ზოგიერთ ლესბოსელთათვის სრულიად შესაძლებელია, თავიანთი ორიენტაცია თანამშრომლებთან, მეზობლებთან და ოჯახის წევრებთან გაამჟღავნონ. ზოგიერთი ლესბოსელისთვის ორი სოციალური სამყაროს შეერთება მისაღებია, მაგალითად, ჰეტეროსექსუალი მშობლების კოლეჯის გამოსაშვებ ცერემონიაზე დაპატიჟებით, ან ჰომო– და ჰეტეროსექსუალი მეგობრების ახალმოსახლეობის წვეულებაზე თავმოყრით. უამრავ პროფესიულ ორგანიზაციაში ლესბოსელები (ხშირად გეი მამაკაცებთან ერთად) აყალიბებენ ქსელებს სხვადასხვა პროფესიაში თანაზიარი დახმარებისა და აღიარების მისაღებად. ზოგიერთი ლესბოსელი ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებას მეინსტრიმ საზოგადოებასთან ინტეგრირების ერთ-ერთ გზად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ლესბოსელებს, რომლებსაც ინტეგრაცია სურთ, ზოგჯერ უსიამოვნო სოციალური რეალობის ატანა მოუწევთ, რაც მათი ნათესავების, ცრუმორწმუნე თანამშრომლებისა თუ კონსერვატიული საზოგადოებების მიერ მათი სექსუალური ორიენტაციის უარყოფაში გამოიხატება.

სტეინის (1997) ინტერვიუში შუა ხნის ლესბოსელებთან ინტეგრაციის თემა წამოიჭრა. ეს ქალები თავიანთ ახალგაზრდობაში ლესბოსური კულტურისა და ფასეულობების დიდი ქომაგები იყვნენ, ნაწილობრივ ეს იყო დომინანტურ კულტურაში გამეფებული სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი.

დროსთან ერთად, რაც უფრო რწმუნდებოდნენ ისინი საკუთარ სექსუალურ იდენტობაში, მით უფრო თავისუფალნი ხდებოდნენ და ნებისმიერ სიტუაციაში აქცენტებს უმცირესობათა ჯგუფის იდენტობაზე აკეთებდნენ, რაც საკმაოდ სასარგებლო ნაბიჯია. ისინი თავს კომფორტულად გრძნობენ [ლესბოსელთა საზოგადოებაში] და კიდევ სხვა მრავალ კონტექსტში,

რომლის ნაწილიც არიან და რომლითაც საკუთარ იდენტობას გრძნობენ (Stein, 1997, p. 152).

ამ ქალებიდან უმრავლესობისათვის სამუშაომ და ბავშვებმა უპირატესი ადგილი დაიჭირა რაც მათი საქმიანობის შეცვლის მიზეზი გახდა. ერთმა ქალმა განაცხადა: „სულ უფრო და უფრო ვეჭვდები საკუთარ თავში... თავს დიდი ნახატის ნაწილად ვგრძნობ, როგორც, მაგალითად, ჰეტეროსექსუალური კულტურის“ (pp. 151–152).

მარგინალიზაცია

ზოგიერთი ქალი, რომელსაც ასევე ქალები მოსწონს, მარგინალიზაციას განიცდის; ისინი ვერც ერთ იდენტობას ვერ შეესაბამებიან ლესბოსურ თუ უმრავლესობათა სოციალურ კულტურაში. მე–20 საუკუნის ადრეულ წლებში, როდესაც ლესბოსური ურთიერთობები გასაიდუმლოებული იყო, სოციალური იზოლაცია ფართოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენდა. ზოგიერთი ქალი, რომელსაც თავისივე სქესის წარმომადგენელი მოსწონდა, თავს ცუდად გრძნობდა, რადგან უწევდა ჰეტეროსექსუალური ცხოვრებით ეცხოვრა, უჭირდა თავისი თანამოაზრე ქალების პოვნა; ამავდროულად, მედიაც ნეგატიურად იყო განწყობილი ლესბოსელების მიმართ (Faderman, 1991). დიემილიო (1983, p. 21) აღნიშნავს, რომ ხშირად ლესბოსელებისთვის და გეებისთვის ძალიან ძნელი იყო, განცალკევებით მდგარიყვნენ ისეთი (სოციალური) დეფინიციებისგან, რომლებიც მათ დევნილებად, კანონგარეშე პირებად და გადაგვარებულებად მოიხსენიებდა მთელი მსოფლიოს თვალში.

მარგინალიზაცია თანამედროვე ლესბოსელთა ცხოვრებაშიც გრძელდება. ერთ-ერთ გეი და ლესბოსურ საიტზე ვაწყდებით ახალგაზრდა ქალის წერილს:

არ ვარ მამაკაცური და არ ვიქცევი ე.წ, ჰომოსექსუალივით… ძალიან ხშირად ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ვერც გეი და ვერც ჰეტეროსექსუალ საზოგადოებას ვერგები! თითქოს სადღაც შუაში გავიჭედე – დაბნეული ვარ და თავს მარტოსულად ვგრძნობ (Shell, 2000).

აქვეა სხვა ქალის (Femmegal, 2000) წერილიც :

„ვერ ვერგები საზოგადოებას და ვერც წარმომიდგენია, თუ ეს ოდესმე მოხდება“. მან თავი გარიყულად იგრძნო ჰომოფობი მშობლებისგან, ასევე შეუფერებლად ლესბოსელთა კლუბში, სადაც ცუდი თვალით უყურებდნენ, რადგან სტერეოტიპულად ჰომონორმატიულად არ გამოიყურებოდა. იგი ამბობს: „ახლა 29 წლის ვარ. თავს ისე მარტოსულად ვგრძნობ, რომ ეს სულაც არ არის სასაცილო“.

ლესბოსურ და მეინსტრიმ იდენტობათა მასშტაბების კონცეპტუალიზაცია

წინა თავში ჩვენ წარმოვადგინეთ მოკლე ისტორიები ლესბი და მეინსტრიმ იდენტობათა სივრცის გადაკვეთის შედეგად გამოკვეთილ იდენტობათა ნიმუშების საილუსტრაციოდ. ამ განყოფილებაში აქცენტს ორ მიმართულებაზე გავაკეთებთ, ასევე განვიხილავთ, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სტრუქტურის კონცეპტუალიზაცია და განსაზღვრა. ეთნიკურ უმცირესობათა და გეი/ლესბოსელთა კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ თითოეული მიმართულება კოგნიტურ, აფექტურ და ქცევით კომპონენტებს მოიცავს (Phinney, 1992; Reyst, 2001).

კოგნიტური და აფექტური კომპონენტები

როგორც ჩანს, ლესბოსურ საზოგადოებასთან შეერთების ყველაზე ძირითადი კოგნიტური ელემენტი საკუთარი თავისათვის ლესბოსელის (ან სექსუალურ უმცირესობათა ტერმინოლოგიაზე – ქვიარის, გეის, დაიკის და ა.შ.) იარლიყის მიკერებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს პირადი გრძნობებისა და განცდების გააზრებას და საკუთარი თავის სექსუალურ უმცირესობათა კატეგორიისთვის მინიჭებას (Ponse, 1978). ის ფაქტი, თუ რომელ იარლიყს მოუძებნის ქალი საკუთარ თავს, მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს იმის განსასაზღვრად, თუ როგორ აანალიზებს იგი საკუთარ სექსუალურ იდენტობას. ეთნიკურ უმცირესობათა ანალიტიკოსის, ფინეის (1992) თანახმად, იდენტიფიკაციის დამატებითი კოგნიტური კომპონენტი იდენტობათა მიღწევებია, რაც ჯგუფის წევრთა გამოცდილების პირად ცხოვრებაში გასინჯვას და შემდგომ ამ ჯგუფის წევრობის გაზიარებას გულისხმობს. ფინეიმ ასევე განიხილა მნიშვნელოვანი აფექტური კომპონენტი - დადასტურება, რაც ნიშნავს ჯგუფის წევრობის მოწონებას და გაჩენილ სიამაყის გრძნობას. ქალთა ლესბოსელ/გეი საზოგადოებასთან შეერთებისას ეს მნიშვნელოვანი ელემენტებია. გრძნობენ თუ არა ქალები თავს კომფორტულად ლესბოსელის ამპლუაში? ამაყობენ თუ არა ისინი გეებისა და ლესბოსელების მიღწევებით? რამდენად კარგად გრძნობენ ისინი თავს გეებისა და ლესბოსელების გარემოცვაში?

გაცილებით უფრო ძნელია მეინსტრიმ იდენტობათა მიმართულების აფექტური და კოგნიტური კომპონენტების კონცეპტუალიზაცია. საჩოთირო თემაა ისიც, თუ რამდენად ფართოდ უნდა განვიხილოთ უმრავლესობათა ჯგუფი. მაგალითად, თუკი ჯგუფის წევრობის მოწონება კომპონენტია, ნიშნავს კი ეს იმას, რომ ამ ინდივიდს შესაბამისად მოსწონს, იყოს ამერიკელი, მოსწონს რომელიმე კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლობა, ან თავის ნათესავებთან დროის გატარება? თანამედროვე ლესბოსელებში განსხვა-

ვებას იმ თვალსაზრისითაც კი ვიპოვით, რომ ზოგიერთი მათგანი ცდილობს, სრულიად მიეკედლოს მეინსტრიმ ჯგუფებს. განსხვავება ლესბოსელთა საკუთარ აღმზრდელ ოჯახებთან იდენტიფიკაციაშიც არის, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღებენ ოჯახის წევრები მათ სექსუალურ ორიენტაციას. პროფესიული ორგანიზაციები სხვადასხვა შესაძლებლობებს გვთავაზობენ. ლესბოსელი ფსიქოლოგი შეიძლება ამაყობდეს იმით, რომ იგი ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის წევრია, რომელიც პრო–გეი პოლიტიკას ატარებს, დადებითად უყურებს ერთსქესიანთა ქორწინებას და მათ მიერ შვილის აყვანას. საპირისპიროდ ამისა, საზღვაო ფლოტის ლესბოსელი ოფიცერი შეიძლება ამაყობდეს იმით, რომ თავის ქვეყანას ემსახურება, მაგრამ განაწყენდეს სამხედროთა „ნუ იკითხავ, ნუ იტყვი” პოლიტიკით სექსუალური ორიენტაციის თემაზე.

საჭიროა კვლევის ჩატარება იმის უკეთ გასაგებად, თუ რას ფიქრობენ ლესბოსელები ლესბოსურ/გეი და მეინსტრიმ საზოგადოებასთან თავიანთ კავშირებზე. ორივე შემთხვევაში, ქალთა განცდების მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ არა მხოლოდ მათი პირადი სურვილები, არამედ ვიმსჯელოთ მათ წინაშე არსებულ შესაძლებლობებზე და კავშირზე მათ დამოკიდებულებებსა და სოციალურ საზოგადოებებს შორის.

ქცევითი კომპონენტები

გეი/ლესბოსურ კულტურაში მონაწილეობის უამრავი შესაძლო ქცევითი ელემენტი არსებობს. პონსი (1978) აღწერს განსხვავებებს ლესბოსელთა ქცევის ორ ტიპს შორის: პირველ შემთხვევაში, ქალს აქვს წყვილური ურთიერთობა სხვა ქალთან, მეორე შემთხვევაში კი, ქალი, რომელიც მეგობრული ქსელების საშუალებით უფრო ფართო ლესბოსურ საზოგადოებაშია ჩართული, ლესბოსელებისა და გეების დაწესებულებებში ან ლესბოსურ/ფემინისტურ აქტივობებში მონაწილეობს. როსმა, ფერნანდეს ესკუერმა და სეიბტმა (1996) წარმოადგინეს უფრო თანამედროვე გეი კულტურის უფრო სრულყოფილი მახასიათებელთა სია. ლესბოსელებთან მიმართებაში იგი მოიცავს: ლესბოსურ/გეი მედიას, როგორიცაა გაზეთები, ჟურნალები, მოთხრობები, კინო და ტელეგადაცემები; ღირსშესანიშნავ თარიღებს, მაგ. ქამინგ აუთის საერთაშორისო დღე, ან ყოველწლიური გეი პარადი; ლესბოსელთათვის განკუთვნილ ადგილებს, მაგ. კაფეებს, წიგნის მაღაზიებს, ბარებს; გეი სიმბოლოებს, როგორიცაა ცისარტყელის ფერებიანი დროშა ან ვარდისფერი სამკუთხედები; ორგანიზაციებს, როგორიცაა ლესბოსელთა უფლებების დაცვის ეროვნული ცენტრი. როსმა და მისმა კოლეგებმა ასევე გეი კულტურის პრივატულ ასპექტებში მონაწილეობის ნიშნებზე მიუთითეს. სავარაუდოდ, ეს მოიცავს ლესბოსელ მეგობრებთან საზოგადო შეკრე-

ბებს ან ლესბოსელებისა და გეების მიმართ დადებითად განწყობილი თერაპევტების ძიებას. ამგვარად, ლესბოსელი, რომელიც მეგობრებთან ერთად ისვენებს ლესბოსელთათვის განკუთვნილ კურორტზე, წიგნებს ყიდულობს ლესბოსელთა მაღაზიაში, ფინანსურად ეხმარება ლესბოსელთა ჯანდაცვის კლინიკებს და ეძებს ლესბოსელი იურისტის მომსახურებას, გეი და ლესბოსელთა საზოგადოებაში კარგად დამკვიდრებულ წევრად მიიჩნევა.

რაც შეეხება აფექტურ და კოგნიტურ ელემენტებს, ლესბოსელთა მონაწილეობის კოცეპტუალიზაცია მეინსტრიმ კულტურაში ბევრად რთულია, ვიდრე უმცირესობათა, ლესბოსურ კულტურაში. ეს მიდგომები შესაძლოა სასარგებლო გამოდგეს (იხილეთ Reyst, 2001). ერთ-ერთი მიდგომა ითვალისწინებს იმ სივრცის დადგენას, სადაც ლესბოსელები ინარჩუნებენ კავშირს მეინსტრიმ საზოგადოებასთან, რომელშიც ვითარდებოდნენ, სანამ საკუთარ თავს ლესბოსელის იდენტობას მიანიჭებდნენ; ეს მაგალითი განიხილება, როგორც სპეციფიურ „მეინსტრიმ“ აქტივობასთან და ორგანიზაციებთან კავშირი. ამას დამატებული, მეინსტრიმის წევრობა გამოაშკარავდებოდა იმ ახალი კონტაქტებით, რომელსაც ლესბოსური ორიენტაციის საჯაროდ გაცხადების შემდგომ იძენს, მაგალითად, სამოქალაქო ჯგუფში, პროფესიულ ორგანიზაციაში ან თავისი შვილის სკოლის მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაციაში.

მეორე ქცევითი კომპონენტი არის ლესბოსელთა სოციალური ქსელების ნიმუშები. ლესბი/გეი საზოგადოებაში კარგად ინტეგრირებულ ადამიანს ასე თუ ისე გეი და ლესბოსელი ადამიანებისაგან შემდგარი ფართო სოციალური ქსელი უნდა ჰყავდეს, ან შესაძლოა მისი ნდობით აღჭურვილი პირები ლესბოსელები აღმოჩდნენ. მსგავსად ამისა, იმათ, ვინც კარგად არიან შერწყმულნი მეინსტრიმ საზოგადოებასთან, მეტნაკლებად ფართო ჰეტეროსექსუალური სანაცნობო უნდა ჰყავდეთ: ოჯახის წევრები, მეგობრები, თანამშრომლები, ბავშვები ან უბრალოდ მცირე ჰეტეროსექსუალური კავშირები. იმის გამო, რომ ლესბი/გეი თუ ჰეტეროსექსუალური ჩართულობები მიღებულია, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, სოციალურ ქსელში გეის ან ლესბოსელის ყოლა სულაც არ გულისხმობს ჰეტეროსექსუალი კავშირების უთუოდ ქონასაც. ორმაგი იდენტობის სტრუქტურის თანახმად, სასარგებლო იქნებოდა გამოგვერკვია თუ ლესბოსური/გეი და ჰეტეროსექსუალური სოციალური ქსელების რა ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს. ეს დაგვეხმარებოდა, გვეპოვა განსხვავება იმ ლესბოსელებს შორის, რომელთა ჰეტოროსექსუალი და ლესბოსელი მეგობრები და ნათესავებიც ერთმანეთს იცნობენ და კონტაქტობენ ერთმანეთთან სხვადასხვა თავშეყრის დროს (მაგ. გაერთიანებული სოციალური ქსელის შემთხვევა) და

მათ შორის, ვისაც ყავს ორივე, ჰომო და ჰეტეროსექსუალური სამეგობრო წრე, თუმცა ურჩევნიათ ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებით იყვნენ.

მესამე ქცევითი კომპონენტი სექსუალური იდენტობის გამჟღავნებას ეხება. ორმაგი იდენტობის სტრუქტურა სიტყვა „გამჟღავნების“ სულ სხვა მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას უმცირესობათა და უმრავლესობათა საზოგადოებაში. ლესბოსელის მიერ სხვა ლესბოსელებისთვის საკუთარი იდენტობის გამჟღავნება ნიშნავს გეი/ლესბი საზოგადოებისათვის მისი, როგორც ახალი წევრის შემატების ცნობას და საერთო ნიშნის ქვეშ გაერთიანების გაანალიზებას. ეს გამჟღავნება შესაძლოა წინ გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს ახალი ურთიერთობებისთვის. მკვლევარების აზრით, ლესბოსელები ძირითადად პირდაპირ ააშკარავებენ თავიანთ იდენტობას გეი და ლესბოსელ ნაცნობებთან და იშვიათად მალავენ ამ ფაქტს უმცირესობათა საზოგადოებაში. ამის საპირისპიროდ, ჰეტეროსექსუალებთან გამჟღავნებას შესაძლოა მოყვეს არასასურველი შედეგებიც, დაწყებული უხერხული სიტუაციის შექმნით, დამთავრებული სოციალური გარიყვითა და დისკრიმინაციით. მაშინ, როდესაც სხვა ლესბოსელთან ქამინგ აუთის დროს გაგებას მოელიან, ჰეტეროსექსუალს შესაძლოა რთული და განსხვავებული რეაქცია ჰქონდეს. არ არის გასაკვირი, რომ ლესბოსელები წინასწარ ანგარიშობენ, თუ ვისთან შეიძლება საკუთარი იდენტობის გამჟღავნება, და ვისთან – არა (Beals & Peplau, inpress). ქალი, რომელიც მოელის, რომ გამჟღავნების შემთხვევაში სამსახურს დაკარგავს, ან შვილებზე მეურვეობის უფლებას ჩამოართმევენ, ჭკვიანურად მოიქცევა, თუკი იდენტობას საიდუმლოდ შეინახავს. იმის გამო, რომ ჰეტეროსექსუალთან გამოტყდომა ხაზს უსვამს ქალის სურვილს, იყოს გულწრფელი თავისი სექსუალური ორიენტაციასთან დაკავშირებით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას აქვს მოლოდინი, რომ სანაცვლოდ ტიპურ ჰეტეროსექსუალურ რეაქციას მიიღებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავის გამჟღავნება არ არის ქალის ლესბოსური იდენტობის საუკეთესო ინდიკატორი.

უფრო ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ ლესბი კულტურისთვის მიკუთვნების ქცევითი ინდიკატორები გამოსადეგია, მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი შეზღუდვებიც, რადგან ადამიანების შესაძლებლობები, მონაწილეობა მიიღონ გეი/ლესბი კულტურაში, მნიშვნელოვნად იცვლება. შესაბამისად, მონაწილეობის ფაქტობრივი სიხშირე შესაძლოა სულაც არ მეტყველებდეს ქალის პრიორიტეტებსა და სურვილებზე. მაგალითად, ზოგ ქალს შეიძლება უნდოდეს, რომ იყოს აქტიურად ჩართული ლესბოსურ საზოგადოებაში, მაგრამ არ ეძლეოდეს ამის საშუალება, პატარა, კონსერვატიულ ქალაქში ცხოვრების გამო, სადაც არ არის ლესბოსური საზოგადოება და სადაც თვითგამჟღავნების შემთხვევაში

მტრობისა და დისკრიმინაციის ობიექტი გახდება. ინტერნეტს, ეროვნულ პუბლიკაციებსა და მოგზაურობასაც შეუძლია გააფართოვოს მცირე დასახლებებში მცხოვრებ ქალთა შესაძლებლობები; მათი ყოველდღიური საქმიანობა შესაძლოა არ გამოხატავდეს, რომ ისინი ლესბი კულტურის წევრები არიან.

ორმაგი იდენტობის მეთოდის სარგებლიანობა ლესბოსელ ქალებში უმცირესობათა შორის სტრესისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლის გასაგებად: ემპირიული კვლევა

ორმაგი იდენტობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი გამოყენებითი როლის საჩვენებლად, ჩავატარეთ კვლევა, რათა დაგვედგინა კავშირი მეინსტრიმ და უმცირესობათა იდენტობათა და დისკრიმინაციას, ინტერნალიზებულ ჰომოფობიასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის.

სტრესული გამოვლინებები: დისკრიმინაცია და ინტერნალიზებული ჰომოფობია

თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, ლესბოსელები დაუცველები არიან სტრესის, ყველაზე თვალშისაცემად – დისკრიმინაციისა და ინტერნალიზებული ჰომოფობიის წინააღმდეგ (Brooks, 1981; diPlacido, 1998; Lewis,Derlega, Bernd, Morris, & Rose, 2001; Meyer, 2003). ლესბოსელთა უმეტესობა ცხოვრების მანძილზე გარკვეული ფორმის გეების საწინააღმდეგო დისკრიმინაციას განიცდის. ბადჯეტის (1996) ცნობით, ლესბოსელთა 13–დან 59%–ს ერთხელ მაინც აქვს განცდილი დისკრიმინაცია სამსახურში. ლესბოსელები ასევე დაუცველები არიან „ჰეტეროსექსისტური ბარიერებისგან“ – სტერეოტიპების, გარიყვისა და მტრობის ყოველდღიური გამოცდილებისგან. უკანასკნელ ყოველდღიურ გამოცდილებათა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლესბოსელები და გეები კვირის განმავლობაში სულ ცოტა ორი ჰეტეროსექსისტური ბარიერის მსხვერპლნი ხდებიან, მონაცემებში მათი ოდენობა ნულიდან რვამდე მერყეობს (Swim, 2004).

დისკრიმინაციასთან ერთად ლესბოსელები შეიძლება ინტერნალიზებული ჰომოფობიითაც იტანჯებოდნენ, რაც საზოგადოებაში გეებისა და ლესბოსელების მიმართ არსებული ნეგატიური აღქმის მიღებას და გაზიარებას გულისხმობს (Meyer, 1995). ლესბოსელი, რომელსაც სურს, რომ მამაკაცები მოსწონდეს, ან აღიზიანებს ტელევიზორში ლესბოსელის გამოჩენა, ინტერნალიზებულ ჰომოფობიას განიცდის. ფსიქოლოგები ბოლომდე ვერ თანხმდებიან, თუ როგორ მოახდინონ ინტერნალიზებული ჰომოფობიის კონცეპტუალიზაცია: ზოგიერთი მას მუდმივ პიროვნულ ცვლადად მიიჩნევს, სხვათა აზრით კი, ის სტრესორია, რომელიც დროთა განმავლობაში, სხვადასხვა სიტუაციაში, შესაძლოა ნებისმიერი მიმართულებით

განვითარდეს. კვლევის თანახმად, ინტერნალიზებული ჰომოფობია, მაიერის მიერ ცოტა ხნის წინ განხილული შეხედულებებითურთ (2003), პოტენციურად ცვლად სტრესორად ჩაითვლება.

ვინ განიცდის დისკრიმინაციას და/ან ინტერნალიზებულ ჰომოფობიას ყველაზე მეტად ლესბოსელთა საზოგადოებაში? მკვლევართა ვარაუდით, გეებისა და ლესბოსელების უმცირესობათა საზოგადოებასთან კავშირი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გეებთან დაკავშირებულ სტრესზე, სადაც ერთმანეთთან ასოცირდება ლესბოსელთა იდენტობის ამაღლება, დისკრიმინაციის მატება და ინტერნალიზებული ჰომოფობიის კლება (Meyer, 1995). ჩვენი ორმაგი იდენტობის სტრუქტურის მიხედვით, ეს მნიშვნელოვანი ეფექტები შესაძლოა ლესბოსელ და მეინსტრიმ იდენტობათა გადაკვეთით იყოს განპირობებული. ერთი მაგალითის მიხედვით, იმ ლესბოსელთა შორის დისკრიმინაციულობა, რომლებიც ძლიერი ლესბოსური იდენტობით გამოირჩევიან, შესაძლოა დამოკიდებული იყოს მათ კავშირზე უმრავლესობათა სამყაროსთან. ქალებს, რომლებიც მნიშვნელოვნად იდენტიფიცირდებიან ლესბოსელებად, რომლებიც დროს მუდამ გეი–ლესბი საზოგადოების გარემოცვაში ატარებენ და რომლებსაც ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებასთან ძალიან სუსტი კავშირები აქვთ, საკუთარი თავის ანტი–გეი ცრურწმენებისგან დაცვა შეუძლიათ. ამის საპირისპიროდ, ასევე მნიშვნელოვნად ლესბოსელად იდენტიფიცირებული ქალები, რომლებიც მეტწილად ჰეტეროსექსუალურ სამყაროში მუშაობენ, მეტად დაუცველნი არიან ნეგატიური ურთიერთობებისა და დისკრიმინაციისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორმაგი იდენტობის თეორიის მიხედვით, მაღალი ლესბოსური იდენტობის მქონე ქალთა გამოცდილება განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი (ინტეგრირებული იდენტობა) თუ სუსტია (განცალკევებული იდენტობა) მათი კავშირები მეინსტრიმ საზოგადოებასთან.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

უამრავი ლესბოსელი ფსიქიკურად ჯანსაღი და დამაკმაყოფილებელი ცხოვრებით ცხოვრობს. როსბლუმისა და ფაქტორის (2001) კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ლესბოსელები თავიანთი ჰეტეროსექსუალი დებისგან არ განსხვავდებიან და უფრო მაღალი თვითშეფასებაც კი აქვთ. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგად, ლესბოსელებში სტრესზე მგრძნობელობის ფსიქიკური პრობლემების მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა. ადამიანის შუა ხნის ასაკის ეროვნულ კვლევაში, ლესბოსელებმა ჰეტეროსექსუალებთან შედარებით დეპრესიის ორჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელი გამოავლინეს (33% vs. 16%;

Cochran, Sullivan, & Mays, 2003). კვლევის განხილვისას, კოჰრანმა (2001) დაასკვნა, რომ ჰეტეროსექსუალ ქალებთან შედარებით ლესბოსელებში შფოთვის, დეპრესიისა და ფსიქიკისთვის მავნე პრეპარატთა მოხმარების უფრო მაღალი დონე შეიმჩნევა.

ლესბოსელთა შორის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების დასადგენად ორმაგი იდენტობის სტრუქტურა გამოიყენება. ვარაუდობენ, რომ ორ კულტურაში ინტეგრაციამ, რაც ორივე კულტურისათვის საჭირო უნარების ფლობას მოითხოვს, ეთნიკურ უმცირესობათა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს (LaFromboise et al., 1993). კვლევაში მოცემულია ამ თვალსაზრისის დემონსტრაცია: ინტეგრირებული იდენტობის მქონე ეთნიკურ უმცირესობებს, მარგინალიზებული უმცირესობებისგან განსხვავებით, ჯანმრთელობის დონის მაღალი მაჩვენებლები აღენიშნებათ; რაც შეეხება ასიმილირებულ ან განცალკევებულ ინდივიდებს, მათში ეს რიცხვი საშუალოა (Kim & Berry, 1986; Sands & Berry, 1993; Ying, 1995). მსგავსად ამისა, ლინდქუისტისა და ჰირაბაიაშის (1979) კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გეებში, რომლებიც ჩართული არიან როგორც ჰომოსექსუალთა, ასევე მეინსტრიმ საზოგადოებაში (ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, არიან ინტეგრირებულნი), ფსიქოლოგიური სტრესის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აღინიშნება; ხოლო მამაკაცები, რომელთაც კავშირი არც ერთ საზოგადოებასთან არ აქვთ (ანუ არიან მარგინალიზირებულნი), სტრესის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევიან. ასიმილირებული და გარიყული გეები სტრესის ზემოთ აღნიშნულ და საშუალო ოდენობას განიცდიან.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ანალოგიურ მაგალითებს ლესბოსელთა შორისაც ვაწყდებით, რადგან ლესბოსურ და მეინსტრიმ საზოგადოებებში ჩართულობამ ჯანმრთელობაზე გავლენა შესაძლოა დამოუკიდებლადაც მოახდინოს; ინტეგრაციის ამ ორმაგ პროცესს უფრო ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია. ლესბოსურ საზოგადოებაში ძლიერი ჩართულობა, შესაძლოა, ფსიქიკური სიჯანსაღის თვალსაზრისით, სასარგებლო გამოდგეს, რამდენადაც ლესბოსელებთან პარტნიორული ურთიერთობები სოციალური დახმარების მიღებას უზრუნველყოფენ, რაც ქალებისთვის ორიენტაციასთან დაკავშირებული სტრესის მავნე ეფექტებისგან დამცავ ფაქტორად გვევლინება (diPlacido, 1998). ლესბოსელ მეგობრებთან დროის გატარება და ლესბოსურ/გეი სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა ერთგვარად ჰეტეროსექსისტთა საზოგადოებაში ცხოვრებისგან მიღებული სტრესის საწინააღმდეგო, შვების მომგვრელი ფაქტორია. მეორეც, გეი/ლესბი საზოგადოებასთან კავშირი ჯგუფის წევრობის გრძნობას, ანუ როგორც

ლუტენინი და კროკერი (1992) ამბობენ, „პოზიტიურ ერთობლივ თვით-შეფასებას“ ბადებს, რაც მიღებული სტიგმის წინააღმდეგაა მიმართული. ლესბოსელთა შორის მაკავშირებელი იდენტობის ნიმუშები უაღრესად შეზღუდულია. ერთ-ერთ კვლევაში ლუისმა და მისმა კოლეგებმა (2001) აღმოაჩინეს, რომ ლესბოსელები და გეები, რომლებიც გეი/ლესბოსურ ორგანიზაციებში იყვნენ გაწევრიანებულნი (წევრობის მაღალი მაჩვენებელი) დეპრესიის დონის აღმნუსხველი კვლევების ეპიდემიოლოგიურ ცენტრში მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდნენ.

ამავდროულად, მეინსტრიმ საზოგადოებასთან კავშირს ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. ლესბოსელები, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ თავიანთ მშობლებთან და ოჯახის წევრებთან, მუდმივად სარგებლობენ სოციალური მხარდაჭერით. ლესბოსელებს, რომლებიც თავს კარგად გრძობენ მეინსტრიმ საზოგადოებაში, განსხვავებით იმ ქალთაგან, რომლებიც საკუთარი სურვილით, თუ საზოგადოების მიერ მიუღებლობის გამო, უფრო განცალკევებულ ცხოვრებას ეწევიან, გარკვეულ რესურსებამდე და შესაძლებლობებამდე მიუწვდებათ ხელი. საბოლოოდ ვასკვნით, რომ ფსიქოლოგიური კეთილდღეობა მეინსტრიმ და უმცირესობათა საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირზეა დამოკიდებული.

მეთოდი

ნიმუში. იდენტობისა და ორიენტაციასთან დაკავშირებული სტრესის გამოსაკვლევად, 116 ლესბოსელს შორის, რომლებსაც საკუთარ იდენტობად ლესბოსელობა მიაჩნიათ, მცირე კვლევა ჩატარდა. მონაწილეები ლოს-ანჯელესის გეი/ლესბი ორგანიზაციისა და სასაუბრო ჯგუფების წევრები (47%) და ლოს-ანჯელესისა და სან-ფრანცისკოს ყოველწლიური გეი აღლუმის მონაწილეები იყვნენ (53%). მოხალისეებისათვის ამის სანაცვლოდ არაფერი გადაუხდიათ, თუმცა, მათ სასარგებლოდ, რამდენიმე გეი/ლესბი დაწესებულებას მცირე საჩუქარი გადასცეს. სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელ მონაწილეთა (შავკანიანი აფროამერიკელები 5%, აზიური წარმომავლობის ამერიკელები 4%, კავკასიელები 69%, ლათინოამერიკელები 10%, და სხვა 12%) ასაკი 17-დან 87 წლამდე მერყეობდა (*Mdn* = 28).

ლესბი და მეინსტრიმ იდენტობები. ლესბი და მეინსტრიმ იდენტობათა განსაზღვრისთვის ფინეის (1992) ეთნიკურ იდენტობათა კვლევის ოცწევრიანი მრავალჯგუფიანი მეთოდი გამოვიყენეთ (MEIM). სამუშაო ინსტრუმენტები ფურცელი და ფანქარი იყო; მაშასადამე, მოცემულია 14-ერთეულიანი ეთნიკურ იდენტობათა ცხრილი და 6-

ერთეულიანი უმრავლესობათა იდენტობის ცხრილი. MEIM-ის საგნები ლესბი იდენტობებს შევუსაბამოთ. ისინი მოიცავენ: „მე ბედნიერი ვარ იმით, რომ გეი/ლესბი საზოგადოების წევრი ვარ“, „კარგად მაქვს გააზრებული ჩემი ორიენტაცია და ის, თუ რას ნიშნავს იგი ჩემთვის“, „მე ჩართული ვარ გეი/ლესბი საზოგადოების კულტურულ საქმიანობაში“. ასევე, ლესბოსელთათვის მოცემულია მეინსტრიმ იდენტობის საზომი MEIM-ის 6 პუნქტი. საილუსტრაციო პუნქტებია: „მე მომწონს იმ ადამიანებთან შეხვედრა და მათი გაცნობა, რომლებიც არ არიან გეები ან ლესბოსელები“ და „მე მომწონს იმ ადამიანებთან საერთო საქმიანობაში ჩართვა, რომლებიც არ არიან გეები ან ლესბოსელები“. მოცემული წინადადებები სკალაზე 5-ბალიანი სისტემით ფასდება, სადაც შედარებით მაღალი ქულები მეტად თანხმობის მანიშნებელია. გამოვიყვანეთ თითოეული სკალის საშუალო ქულა – ლესბოსურ იდენტობათა სკალა (α = .82); მეინსტრიმ იდენტობათა სკალა (α = .73). ეს არის ორმაგი იდენტობის აღნუსხვის მეთოდი ლესბოსელთათვის.

ორმაგი იდენტობის სტრუქტურაზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ მეინსტრიმ და ლესბოსური იდენტობები დამოუკიდებელი კონსტრუქციებია. როგორც ვვარაუდობდით, ნიმუშის მიხედვით, ამ ორი იდენტობის სკალები ერთმანეთს მაინცდამაინც არ შეესაბამებიან r = .06, p>.05. მთლიანობაში, მოდელი ორივე საზოგადოებასთან იდენტიფიცირდა. 5–ქულიან სკალაზე, ლესბოსური იდენტობის საშუალო ქულა იყო 3.89 (SD= .54), მეინსტრიმ იდენტობის საშუალო ქულა კი - 4.06 (SD = .63). მიუხედავად დადებითი გადახრისა, მოდელში სხვადასხვაობა მაინც შეიმჩნევა: ლესბოსურ იდენტობათა ქულებში 2,5– დან 5,00–მდე და მეინსტრიმ იდენტობათა ქულებში 1,63–დან 5,00–მდე.

სტრესორები და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა. მონაწილეებმა ორი სტრესორის, დისკრიმინაციული და ინტერნალიზებული ჰომოფობიის და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლები გამოიკვლიეს.

დისკრიმინაცია 5–ბალიანი სკალით იზომებოდა (Frable, Wortman, & Joseph, 1997). მონაწილეები სკალის მიხედვით აფასებდნენ, თუ რამდენად ხშირად განუცდიათ აღნიშნული დისკრიმინაციის ფორმები თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამო (მაგ. „დისკრიმინაცია სამსახურში დაწინაურების მხრივ“, „დისკრიმინაცია გაქირავების აგენტებისა და მომსახურე პერსონალის მხრიდან”). პასუხები 1–დან (სულაც არა), 5–მდე (ძალიან ხშირად) მერყეობდა. გამოვიყვანეთ ანტი–გეი დისკრიმინაციის საშუალო ქულა (α = .79). ამ კვლევამ, დისკრიმინაციის სკალის საშუალო ქულასთან

შედარებით, დაბალი შედეგი აჩვენა (1,76 ქულა 5–დან). ქულები მერყეობდა 1,0–დან 4,67–მდე, თუმცა 2–ს მათი მხოლოდ 25% აღემატებოდა.

ჰომოსექსუალებზე საზოგადოების ნეგატიური კომენტარების გავლენის გამოსაკვლევად, ინტერნალიზებული ჰომოფობია მარტინისა და დინის (1988) 13–ერთეულიანი სკალით გაიზომა. ლიკერტის 5–ერთეულიანი სკალით, მონაწილეები აფასებდნენ, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ მოცემულობებს, როგორიცაა: „ვცდილობ, არ შემეტყოს, რომ ლესბოსელი ვარ"; „ვიცი, რომ ლესბოსელობა ჩემი ნაკლია" და ა.შ. კვლევის შედეგად ინტერნალიზებული ჰომოფობიის საშუალო ქულა (α = .88) დადგინდა. კვლევის ამ მოდელში ლესბოსელებმა ინტერნალიზებული ჰომოფობიის შედარებით დაბალი დონე აჩვენეს, 5–ერთეულიანი სკალიდან – 1,69 ქულა (SD=.73). შედეგები 1,0–დან 3,5–მდე მერყეობდა. სკალის ნახევარს ზემოთ არჩეული ქულების რაოდენობა 5%–ს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების მიერ ჰომოსექსუალთა მიმართ გაკეთებულ ნეგატიურ რეპლიკებს ისინი მეტწილად ეთანხმებოდნენ.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა „ცხოვრებით კმაყოფილების 5–ბალიანი სკალით" განისაზღვრა (Diener, Emmons, Larsen, &Griffin, 1985). ეს ფართოდ გამოყენებული მეთოდი შემდგომი კომპონენტებით ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილების დონეს აფასებს: "უმეტესწილად, ჩემი ცხოვრება ახლოსაა ჩემს იდეალთან", „ჩემი ცხოვრების პირობები გენიალურია" და ა.შ. პასუხები 1–დან (ძალიან არ ვეთანხმები) 5–მდე (ძალიან ვეთანხმები) მერყეობს. გამოთვლილ იქნა ცხოვრებით კმაყოფილების სკალის საშუალო ქულა (α =.90). ამ ნიმუშის შედეგები, შედარებით უკეთესი აღმოჩნდა: მათი საშუალო ქულა 3,64 (SD = .88), სკალის შუა წერტილზე მაღალი იყო.

დისკუსიის შედეგები. იდენტობასა და დისკრიმინაციას, ინტერნალიზებულ ჰომოფობიასა და კეთილდღეობას შორის კავშირის დასადგენად კერძო კორელაციის სამი მიმართულება იქნა გამოთვლილი. პირველ მათგანში თითოეულ იდენტობასა და სხვა ცვლადებს შორის კავშირი განისაზღვრა. ამისათვის, ლესბოსური და მეინსტრიმ იდენტობებისათვის დისკრიმინაციის, ინტერნალიზებული ჰომოფობიისა და კეთილდღეობის კუთხით თანაფარდობა ცალ–ცალკე შეფასდა. მეორეში კორელაციათა ნაკრები იდენტობების სიდიდეს, დისკრიმინაციის ზომების, ინტერნალიზებული ჰომოფობიისა და კეთილდღეობის კომბინაციას შორის კავშირებს იკვლევს. კორელაციათა ამ მაგალითში, ორი იდენტობის სიდიდეების გადამრავლებით ლესბოსურ და მეინსტრიმ იდენტობათა კომბინაციის მაჩვენებელი ცვლადი შეიქმნა. შემდგომ, კორელაცია ამ ახალ ცვლადსა და დისკრიმინაციის, ჰომოფობიისა და კეთილდღეობის

ცვლადებს შორის მოექცა. საბოლოოდ, ორი იდენტობის ურთიერთკავშირისა და წინა ანალიზთა მიმართულებაში განხილული ორი ცალკეული შედეგის მარტივი კომბინაციის დასადგენად, კერძო კორელაციათა მესამე მიმართულება იქნა გამოთვლილი (Cohen & Cohen,1983). ამისათვის, კორელაციათა მეორე მიმართულება თავიდან გამოითვალეს; ამჯერად თითოეული იდენტობის სიდიდის ცალკეული ეფექტები კონტროლდებოდა. ყველა ეს ანალიზი კონტროლდებოდა უმცირესობათა ასაკისა და ეთნიკური წარმომავლობის ფაქტორების გათვალისწინებით.

იდენტობა და დისკრიმინაცია. კვლევამ აჩვენა, რომ ლესბოსური იდენტობები დისკრიმინაციასთან უმნიშვნელო კავშირში არიან r = .16, p = .10. ლესბოსურ საზოგადოებასთან მაღალი იდენტიფიკაცია უფრო მეტად დისკრიმინაციასთან ასოცირდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალები, რომელთაც გეი/ლესბოსური საზოგადოების წევრობის ძლიერი განცდა ჰქონდათ და ლესბოსელთა გარემოცვაში შედარებით მეტ დროს ატარებდნენ, სამსახურსა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ხშირად განიცდიდნენ დისკრიმინაციას. ამ ნიმუშში ჩვენს მონაცემთა კორელაცია შედეგთა მიზეზებზე არ მიგვითითებენ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლესბი იდენტობასთან ძლიერი კავშირი ჰეტეროსექსუალური საზოგადოებისგან უარყოფით რეაქციებს იწვევს. ასევე შესაძლებელია ისიც, რომ ქალები, რომლებიც ძლიერ დისკრიმინაციას განიცდიან, ლესბი საზოგადოებასთან კავშირს ამჯობინებდნენ; პოლიტიკურ მოტივთან ერთად, ეს შეიძლება, შენს მსგავსთა საზოგადოებისგან დახმარების მისაღების შესაძლებლობა იყოს.

ჩვენ მოველოდით, რომ ლესბოსურ იდენტობათა დისკრიმინაციის მიზეზს მეინსტრიმ საზოგადოებასთან სიახლოვე განაპირობებდა, თუმცა ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. აქ მნიშვნელოვანია მეინსტრიმ საზოგადოებასთან ასოციაცია r=–.27, p< .01. ჰეტეროსექსუალურ, მეინსტრიმ საზოგადოებასთან კავშირი დისკრიმინაციის მაჩვენებელს ამცირებს. ეს აღმოჩენა დამაბნეველია, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ძლიერი მეინსტრიმ იდენტიფიკაცია ცრუმორწმუნე ჰეტეროსექსუალებთან უფრო ხშირი კავშირისკენ მნიშვნელოვნად უბიძგებს ქალებს. მიუხედავად ჰეტეროსექსუალთა ნაირგვარი განწყობისა ლესბოსელთა მიმართ, ლესბოსელები მაინც ახერხებენ მეინსტრიმ სოციალური სამყაროს შექმნას, რომელიც ლესბოსელთა მიმართ მეგობრულად განწყობილი ჰეტეროსექსუალთაგან შედგება. შესაძლებელია ისიც, რომ ლესბოსელები, რომლებსაც შედარებით ლოიალური ჰეტეროსექსუალი ოჯახის წევრები და მეგობრები

ჰყავთ, მეინსტრიმ საზოგადოებასთან უფრო ადვილად იდენტიფიცირდებოდნენ. ნებისმიერს ამ შესაძლებლობათაგან მეინსტრიმ საზოგადოებისა და დისკრიმინაციის დონეების ნეგატიურ კავშირთან მივყავართ.

ინტერნალიზებული ჰომოფობია. კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ლესბოსური იდენტობა ინტერნალიზებულ ჰომოფობიასთან მჭიდრო კავშირშია, r =–.42, p < .01. ლესბოსელები, რომლებიც ლესბოსური საზოგადოების მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გეი/ლესბოსურ აქტივობებში და რომლებსაც გააზრებული ჰქონდათ, თუ რას ნიშნავდა ლესბოსელობა მათ ცხოვრებაში, ინტერნალიზებული ჰომოფობიის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ. თუმცა, მარგინალური იდენტიფიკაციის r = –.16, p = .10 იგივე მაჩვენებელი მეინსტრიმ იდენტობებშიც გამომჟღავნდა. ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებაში მაღალი ჩართულობა ინტერნალიზებული ჰომოფობიის მაჩვენებელს ამცირებს. ეს შედეგი გასაკვირი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებას, ჰეტეროსექსისტ, ჰომონეგატიურ კულტურად განვიხილავდით. ეს კი იმით აიხსნება, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეინსტრიმ კულტურაში ჩართული ქალები ძირითადად ლესბოსელთა მიმართ დადებითად განწყობილ ჰეტეროსექსუალებთან ურთიერთობენ.

საბოლოოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე იდენტობის სიდიდეთა მაღალი მაჩვენებლები ინტერნალიზებულ ჰომოფობიასთან ასოცირდებოდნენ, ამ ორი იდენტობის სიდიდეების კომბინაცია ინტერნალიზებულ ჰომოფობიასთან მნიშვნელოვნად დაკავშირებული აღმოჩნდა r = –.36, p < .01. ამ ორი იდენტობისა და ინტერნალიზებულ ჰომოფობიას შორის ნაწილობრივი შესაბამისობა იდენტობათა სიდიდეებისა და ინტერნალიზებული ჰომოფობიის ინდივიდუალური ურთიერთობის გაზომვის შემდგომაც კი r = .22, p < .05 მრავალმნიშვნელოვანია.

ამ ინტერაქციის ასახსნელად ქულები შუაზე გაიყო და მაღალი და დაბალი ლესბოსური იდენტობის ჯგუფები შეიქმნა. შემდგომ, თითოეული ჯგუფისთვის მეინსტრიმ იდენტობისა და ინტერნალიზებულ ჰომოფობიას შორის ცალკეული კორელაციები გატარდა. შედეგებმა აჩვენეს, რომ მაღალი ლესბოსური იდენტობის მქონე ქალებში მეინსტრიმ იდენტობასა და ინტერნალიზებულ ჰომოფობიას კავშირი მაინცდამაინც არ ჰქონიათ. ამის საწინააღმდეგოდ, დაბალი ლესბოსური იდენტობის მქონე ქალებში მაღალი მეინსტრიმ იდენტობა ინტერნალიზებული ჰომოფობიის დაბალ მაჩვენებელთან ასოცირდებოდა r =–.35, p< .05. ამგვარად, თუკი მაღალი ლესბოსური იდენტობის მქონე ქალებში ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებასთან კავშირი

ინტერნალიზებულ ჰომოფობიაზე ახდენა გავლენას, დაბალი ლესბოსური იდენტობის მქონე ქალებში მეინსტრიმ იდენტიფიკაცია ინტერნალიზებული ჰომოფობიის შემცირებას უკავშირდებოდა. იმ ჰეტეროსექსუალების შესახებ, რომლებთანაც ლესბოსელები ურთიერთობდნენ, ეს შედეგი შესაძლოა, კიდევ ერთ რამეზე მეტყველებდეს. დაბალი იდენტობის მქონე ლესბოსელებთან ასოცირებული ინტერნალიზებული ჰომოფობიის შემცირება შესაძლებელია ამ ქალთა თავისუფლად მოაზროვნე და ლესბოსელებთან მეგობრული ურთიერთობების მქონე ჰეტეროსექსუალებთან ინტეგრაციით.

ამ გადმოსახედიდან, ამ ურთიერთობებს ზუსტად ვერ ავხსნით, არც იმის თქმა შეგვიძლია დაზუსტებით, გვიჩვენებს თუ არა იგი რაიმე ახალს ჩვენ მიერ მოყვანილი მოდელის რეპრეზენტაციულობაში ან ჩვენ მიერ მიღებულ ზომებში; ვერც იმას ვიტყვით დაზუსტებით, გამოხატავს თუ არა იგი რაიმე უფრო ზოგადს ლესბი იდენტობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ლესბოსური გამოცდილების უკეთ გასაგებად, ეს მნიშვნელოვანი ინტერაქცია ორივე იდენტობის სიდიდეების გამოკვლევის აუცილებლობაზე მიუთითებს.

იდენტობა და ცხოვრებით კმაყოფილება. ორივე, ლესბი და მეინსტრიმ იდენტობები ცხოვრებით კმაყოფილებასთან არიან კავშირში r = .30, p < .01, and r = .21, p < .05, თითოეულ მათგანში, იდენტობის უფრო მაღალი მაჩვენებელი მეტ კმაყოფილებასთან ასოცირდება. დამატებით, ორივე იდენტობაში მაღალი მაჩვენებელი ასოცირდება ცხოვრებით კმაყოფილების მნიშვნელოვნად მაღალ დონესთან; ორივე მათგანში იდენტობის დაბალი დონე ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხს ამცირებს r =.33, p< .01. გარდა ამ ზეგავლენისა, ინტერაქციის სხვა მნიშვნელოვანი ეფექტი არ დაფიქსირებულა. ეს შედეგები პარალელებად გასდევს ადრე ზემოთ აღნიშნულ ეთნიკურ უმცირესობათა მაგალითს, სადაც ისინი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ორივე, უმცირესობათა და უმრავლესობათა საზოგადოებასთან, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდნენ, ხოლო ორივე იდენტობაში ნაკლებად ჩართულნი – კეთილდღეობის დაბალი მაჩვენებლით.

ჩვენმა ემპირიულმა კვლევამ ეთნოსისა და იდენტობათა საკითხი წამოჭრა. სავარაუდოდ, თეთრკანიანი ლესბოსელები უფრო უნდა იყვნენ ჩართული მეინსტრიმ საზოგადოებაში, ვიდრე ფერადკანიანები. ამ ვარაუდის გამოსაკვლევად, ANOVA–ს ტექნიკით თეთრკანიანთა მეინსტრიმ იდენტობათა, აფროამერიკელთა, აზიელ ამერიკელთა და ლათინოამერიკელთა საშუალო ქულები ერთმანეთს შევადარეთ. ქალთა ამ ოთხ ჯგუფს შორის მცირედი განსხვავებები გამომჟღავნდა F(4,111)=2.24, p< .10. ნიმუში შედარებით მცირე აღმოჩნდა, ამიტომაც, თითოეული ეთნიკური ჯგუფი-

სათვის სტატისტიკური შესაბამისობის მოძებნა ვერ შევძელით. საბოლოოდ, დადგინდა, რომ აზიელ (M = 3.67) და შავკანიან (M = 3.69) მონაწილეებს შედარებით დაბალი მეინსტრიმ იდენტობათა მაჩვენებლები ჰქონდათ, ვიდრე თეთრკანიან (M = 4.05) ან ლათინოამერიკელ (M = 4.08) ქალებს.

ეთნიკურ და ლესბოსურ იდენტობებში მნიშვნელოვანი განსხვავებები მოიძებნა $F(4,111) = 5.30$, $p < .01$. იმის გამო, რომ ლესბოსური იდენტობის საშუალო მაჩვენებელი მსგავსი იყო აფროამერიკელი (M = 3.62; n = 6), აზიელი ამერიკელი (M = 3.53; n = 5) და ლათინოამერიკელი (M = 3.66; n = 11) ქალებისთვის, ჩვენ შევძელით ამ ჯგუფების გაერთიანება და ფერადკანიანთა ლესბოსური იდენტობის საშუალო მაჩვენებლის (M =3.62; n = 22) თეთრკანიანთა საშუალო მაჩვენებლისთვის შედარება (M = 4.03; n = 80). თეთრკანიანები გაცილებით მაღალი ლესბოსური იდენტობით გამოირჩევიან, ვიდრე ფერადკანიანები $F(1,100) = 10.82$, $p < .01$. ეს შედეგები იმაზე მეტყველებენ, რომ ეთნიკურ უმცირესობათა გამოცდილების უფრო დეტალური შესწავლაა საჭიროა.

საბოლოოდ, შედეგები გვიჩვენებენ, რომ ორივე უმცირესობის, ლესბი იდენტობისა და უმრავლესობათა ჰეტეროსექსუალურ იდენტობებთან კავშირი, ორიენტაციასთან დაკავშირებულ სტრესორებსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ეს შედეგები ორმაგი იდენტობის სტრუქტურის გამოყენების პირველი მცდელობაა, იგი ლესბი იდენტობის მრავალმხრივი კონცეპტუალიზაციის კვლევის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

განხილვა

ამ სტატიაში ჩვენ გამოვკვეთეთ ორმაგი იდენტობის სტრუქტურის გამოყენება ლესბოსური იდენტობის შესაფასებლად და ასევე ვნახეთ იმის აუცილებლობა, რომ ეს მეთოდი თანამედროვე სექსუალურ უმცირესობათა ჯგუფში შემავალ ქალთა გამოცდილების გასაგებად გამოვიყენოთ. ორმაგი იდენტობის სტრუქტურის ირგვლივ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა, ემპირიული კვლევის სამომავლო ანალიზისათვის ასევე უამრავი სასარგებლო გზა არსებობს. ამ შემაჯამებელ ნაწილში რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას განვიხილავთ.

ბისექსუალობა

ვინაიდან ჩვენი კვლევა აქამდე ლესბი იდენტობის მქონე ქალებზე იყო ორიენტირებული, ბისექსუალი იდენტობის მქონე ქალთა სირთულეები ჯერ არ განგვიხილავს (e.g., Rust, 2000). ორმაგი იდენტობის სტრუქტურა ასევე შეესაბამება ბისექსუალ ქალებს, რომელთაც ლესბოსელები მოსწონთ

და როგორც უმცირესობათა, ასევე უმრავლესობათა საზოგადოებაში არიან ჩართული. თუმცა, კავშირები, რომლებიც ბისექსუალ ქალებს აქვთ სხვადასხვა საზოგადოებებთან, განსხვავებულია იმ კავშირთაგან, რომლებიც ლესბოსელებს აქვთ.

ეს პრობლემა ბისექსუალი ქალების გამოცდილების უფრო დეტალური კვლევის საჭიროებაზე მეტყველებს. უპირველეს ყოვლისა, ბისექსუალ ქალებს, შესაძლოა, თავიანთი იდენტობის ჭეშმარიტებაში გარკვევა გაუძნელდეთ. სხვა ადამიანები, როგორც ლესბოსელები, ისე ჰეტეროსექსუალები, შესაძლოა ბისექსუალობას სექსუალური ექსპერიმენტების მოკლევადიან ფორმად განიხილავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ბისექსუალმა შესაძლოა ბისექსუალთა ორგანიზაციებში და სოციალურ ქსელებში ნახოს დახმარება, ეს შესაძლებლობა ბევრ ქალს არ ეძლევა. საბოლოოდ, ზოგიერთი ბისექსუალი ქალი შესაძლოა, როგორც ჰეტეროსექსუალთა, ასევე გეი/ლესბი საზოგადოებისგან იყოს გარიყული (Rust, 2003).

ბისექსუალ ქალთა გამოცდილება მათი ამჟამინდელი პარტნიორის სქესის მიხედვითაც შეიძლება განსხვავდებოდეს. ის ფაქტი, რომ მათ საპირისპირო სქესის პარტნიორებიც მოსწონთ, მათ საშუალებას აძლევთ, იმ ფართო საზოგადოების წევრები გახდნენ, რომელიც ლესბოსელთათვის მიუწვდომელია. როდესაც ბისექსუალ ქალს მამაკაცი პარტნიორი ჰყავს, საზოგადოება მას და მის პარტნიორს აღიქვამს და ექცევა ისე, როგორც ჰეტეროსექსუალ წყვილებს. საპირისპიროდ ამისა, როდესაც მას ჰყავს თავისივე სქესის პარტნიორი, მის გარშემომყოფთაგან სრულიად სხვა რეაქციაა მოსალოდნელი. სპეციფიკურად ბისექსუალებისკენ მიმართული ორმაგი იდენტობის და მრავალი იდენტობის კვლევა, მართალია, ჯერჯერობით ნაკლულია, თუმცა სამომავლოდ მნიშვნელოვანი საკვლევი ორიენტირი გახდება.

ეთნიკური იდენტობა

ჩვენს მოდელში კონტრასტულად ქალთა ლესბი და ჰეტეროსექსუალურ კულტურებთან კავშირები განვიხილეთ, თუმცა, ცოტა რამ თუ ითქვა იმაზე, თუ როგორ გავლენას ახდენენ ლესბოსელთა ცხოვრებაზე სხვა მნიშვნელოვანი სოციალური იდენტობები, მაგალითად ეთნიკური იდენტობები. ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის წევრი ლესბოსელების გამოცდილების ირგვლივ ორი პრობლემა წამოიჭრა, რაც დეტალურ განხილვას საჭიროებს.

ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის ქალებისთვის მეინსტრიმ საზოგადოებას შესაძლოა მრავალგვარი მნიშვნელობა ჰქონდეს; იგულისხმება არამარტო ფართო ჰეტეროსექსუალური საზოგადოება, არამედ ქალთა კერ-

ძო კულტურული საზოგადოებაც. ქალთა კულტურული საზოგადოებისა და ბავშვობის ოჯახების დამოკიდებულება და ფასეულობები მეტად მნიშნელოვანია (Fukuyama & Ferguson, 2000). როგორც გრინი (2000, p. 28) აღნიშნავს, ვინაიდან ოჯახი და საზოგადოება რასიზმის წინააღმდეგ მიმართული მნიშვნელოვანი ბარიერია, ასევე წარმოადგენს მატერიალური უზრუნველყოფის წყაროს, თეთრკანიანთაგან განსხვავებით ჰომოფობია ამ საზოგადოებებში ფერადკანიან ლესბოსელებსა და გეებში მტკივნეულ კვალს ტოვებს.

ამის საილუსტრაციოდ, მექსიკელ ამერიკელ ქალთა კომენტარები გამოდგება: „თავი ჩემი რასის მოღალატედ ვიგრძენი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ქალები მომწონს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თეთრი ლესბოსური „დაავადება“ შემეყარა“ (cited in Rust, 2003, p. 232). ამდენად, ზოგიერთი წარმომავლობის ლესბოსელთათვის, იდენტობის ძლიერმა განვითარებამ ბავშვობის ოჯახებისა და კულტურული საზოგადოებისგან მხარდაჭერას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას.

მეორე პრობლემა, რომელიც სხვადასხვა ეთნოსის ლესბოსელთა შორის იჩენს თავს, სხვა ლესბოსელთა მიერ მათი მიღებაა. ზოგიერთი ფერადკანიანი, ლესბოსური საზოგადოებისგან, რომელშიც ძირითადად თეთრკანიანი ქალები და ევროამერიკული კულტურული ფასეულობები დომინირებს, თავს გაუცხოებულად გრძნობს. მცირე თვისებრივ კვლევაში ლოიაკანომ აღმოაჩინა (1989), რომ შავკანიან ლესბოსელებს, ხშირად, ლესბოსურ საზოგადოებაში ინტეგრაცია უჭირთ. უმეტესად თეთრკანიანებით დაკომპლექტებულ ლესბოსელთა ჯგუფთან გაერთიანების ნაცვლად, ქალები, რომელთაც ლოიაკანო სწავლობდა, განსაკუთრებული ნიშას მქონე გაერთიანებებს ქმნიდნენ (მაგალითად, მხოლოდ შავკანიან ქალთა გაერთიანება), სადაც იდენტობათა ფართო ნაირგვაროვნება იყო გამოხატული. უკანასკნელ წლებში, ზოგიერთი კოლეჯის მიდამოებში სპეციალური გეი/ლესბი ორგანიზაციები გავრცელდა აფროამერიკელი, აზიელი ამერიკელები, ლათინოამერიკელი, ებრაელი და სხვა ლესბოსელი სტუდენტებისთვის. ორმაგი იდენტობის სტრუქტურა სხვადასხვა ეთნოსის უმცირესობათა ჯგუფისა და მრავალგვარი სოციალური იდენტობის მქონე ქალთა პრობლემების დეტალური კონცეპტუალური ანალიზებით მდიდრდება.

მეთოდოლოგიური ხარვეზები

ორმაგი იდენტობის კონცეპტუალური ანალიზების ემპირიულ კვლევაში გამოყენებისას, უამრავი მეთოდოლოგიური შეკითხვა იბადება. კვლევა ლესბოსელთათვის ორმაგი იდენტობის ყოვლისმომცველი ზომების ჩამოსაყალიბებლად და შესამოწმებლადაა საჭიროა. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისისათვის ფინეის ეთნიკურ იდენტობათა სასინჯი მეთოდი გამოდგება,

უფრო ყურადღებით კონსტრუირებული მეთოდის ჩამოყალიბება მაინც საჭიროა. ამ პროცესში, საკითხავი ისაა, თუ რამდენად მოერგება ეს საზომი ყველა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ ქალს და გახდება თუ არა საჭირო ცალკეული საზომები ბისექსუალი და/ან ეთნიკური უმცირესობების კულტურის წარმომადგენელი ქალებისთვის. გარდა ამისა, გეი/ბისექსუალი მამაკაცების გამოცდილება ჩვენ არ გაგვითვალისწინებია, რაც, თავისთავად, სასარგებლო იქნებოდა.

ორმაგი იდენტობის ახალი საზომის კონსტრუირებისას მნიშვნელოვანია მეინსტრიმ და ლესბოსურ იდენტობათა კონცეპტუალიზაციისა და შეფასებისათვის საჭირო ძირითადი კომპონენტების გათვალისწინება. მაგალითად, რამდენად ფართო ან ვიწრო ჭრილში უნდა განვიხილოთ ლესბოსელებისა და გეების საზოგადოება? მასშტაბი ლესბოსელებისა და გეების ეროვნულ საზოგადოებას (მაგ. ფართო ორგანიზაციები, რომლებიც სამოქალაქო უფლებებისა და ინტერნეტ სასაუბრო ჯგუფების განვითარებაზე ზრუნავენ); ლოკალურ ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან ლესბოსელებს და გეი მამაკაცებს (მაგ. გეი სინაგოგა ან საზოგადოებრივი სერვისცენტრი); ლესბოსელთა გენდერულად დანაწევრებულ ჯგუფებს **(მაგ.: ლესბოსელთა მხარდაჭერის ჯგუფი ან კაფეები) (e.g., a lesbian support group or coffee shop)** ან უფრო ვიწროდ, ინდივიდთა სოციალურ ქსელს უნდა მოიცავდეს. ასევე, საჭიროა ლესბოსელთა მეინსტრიმ საზოგადოებასთან გამოცდილების შეფასება და კონცეპტუალიზაცია. რამდენად ახდენს მეინსტრიმ იდენტიფიკაციაზე ლესბოსელთა მიერ ზოგადად ჰეტეროსექსუალური საზოგადოების აღქმა გავლენას და პირიქით, – ლესბოსურ გამოცდილებაზე მათი ჰეტეროსექსუალი ოჯახის წევრებით, მეგობრებითა და თანამშრომლებით დაკომპლექტებული სოციალური ქსელი? კვლევა, რომელიც იყენებს ფოკუს ჯგუფებს და სხვა თვისებრივ მეთოდებს, შესაძლოა, ლესბოსელთა მიერ ამ იდენტობათა პრობლემების აღქმის აღნუსხვისათვის განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდეს.

უკანასკნელ მეთოდოლოგიურ პრობლემას იდენტობათა შესწავლის ორ მიდგომას შორის განსხვავება წარმოადგენს. პირველი იდენტობის ოთხ კატეგორიაზეა ორიენტირებული (ინტეგრირებული, ასიმილირებული, ლესბოსური იდენტობის მქონე და მარგინალიზებული) მეორე კი ძირითადად სიდიდეზე აკეთებს აქცენტს (ლესბოსური იდენტიფიკაცია და მეინსტრიმ იდენტიფიკაცია). ეს განსხვავება ადვილად შესამჩნევია ეთნიკურ უმცირესობათა კვლევებში, რომლებშიც ზოგიერთმა მკვლევარმა აქცენტი ოთხი განსხვავებული იდენტობის კატეგორიაზე გააკეთა (e.g., Berry, Kim, Power, Young, & Bujaki,1989). სხვებმა ყურადღება დაუთმეს ინდივიდის

მეინსტრიმ და უმცირესობათა იდენტობების სიდიდეებისათვის მიკუთვნებულობას (e.g., Phinney, 1992). ლესბოსური იდენტობის ანალიზისას, ორივე, სივრცული და კატეგორიების მომცველი მიდგომა შეიძლება გამოგვადგეს.

კატეგორიული მიდგომის დადებითი მხარე ის არის, რომ ოთხივე კვადრანტის გამოკვლევის შედეგად მკვლევარებისთვის ლესბოსური გამოცდილების სრული მასშტაბით შესწავლა შესაძლებელი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს იმ ლესბოსელთა კვლევაში ჩართვის მცდელობაა, რომლებიც ლესბოსურ საზოგადოებაში არ არიან გაწევრიანებულნი, ისინი მაინც თეორიულად მნიშვნელოვან პოპულაციად რჩებიან. მეორე მხრივ, სივრცულ მიდგომას თავისი უპირატესობები აქვს. კერძოდ, იგი იდენტიფიკაციათა სრულ სპექტრს, მათ შორის იდენტობათა უკიდურეს და ზომიერ დონეებს იძლევა. ამას პრაქტიკული გამოყენება იმ თვალსაზრისით გააჩნია, რომ იგი მკვლევარებს საშუალებას აძლევს, ერთმანეთს შეადარონ მეტნაკლებად ლესბოსური ან მეინსტრიმ საზოგადოების წევრი ადამიანები, იმ წინაპირობის გარეშე, რომ მათი მოდელი აბსოლუტური იდენტობის მქონე ინდივიდებს უნდა მოიცავდეს.

ლესბოსური იდენტობა და ფასეულობები

ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ოთხი ლესბოსური იდენტობის ნიმუშები ჰეტეროსექსუალების ან თვით ლესბოსელთა მიერ თანაბრად არ ფასდება. შეხედულებები ასიმილაციონისტ ქალებზე, ილუსტრაციულია. ზოგიერთი ჰეტეროსექსუალი ნამდვილად ამჯობინებდა, რომ ლესბოსელებს ასიმილაციონისტური პოზიცია ჰქონოდათ, რაც, მაგალითად, სამხედროების „ნუ იკითხავ, ნუ იტყვი“ პოლიტიკისთვისაა დამახასიათებელი. ლესბოსელებს, რომლებიც არ მალავენ თავიანთ ორიენტაციას, შესაძლოა თავიანთი სექსუალობის აფიშირება მიაწეროთ, ხოლო მათ, ვინც თავიანთი სამოქალაქო უფლებების გაზრდისათვის იბრძვის – განსაკუთრებული პრივილეგიების მოთხოვნა. საპირისპიროდ ამისა, ზოგიერთი თანამედროვე ლესბოსელი კრიტიკულად არის განწყობილი ასიმილაციონისტი ქალების მიმართ, რომელთა მცდელობები, სექსუალური იდენტობა ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოაჩინონ და პრეტენზია აქვთ, უბრალოდ ინდივიდებივით მოექცნენ, ძველმოდურ, ინტერნალიზებული ჰომოფობიის სიმპტომებადაა მიჩნეული. ლესბოსელმა აქტივისტებმა, რომლებიც გეი უფლებების გავრცობისათვის საჯარო ხილვადობის აუცილებლობას ცნობენ, ისევე, როგორც ლესბოსელებმა, რომლებიც მეტნაკლებად ტოლერანტულ გარემოცვაში არიან, ასიმილაციონისტ ქალთა გადაწყვეტილება ნაკლები საჯარო ხილვადობის საჭიროების თაობაზე შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ. მეცნიერ მკვლევართა

ამოცანაა, ამ იდენტობათა ნიმუშები იმ კუთხით გამოიკვლიონ, რომელიც ფასეულობებს კრიტიკულად უდგება და მათ ჭეშმარიტებას პირდაპირ არ ამტკიცებს.

პრაქტიკული მუშაობა ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან

ავტორი: ლიანა ბარაბაძე

შესავალი

მაგისტრატურის პირველ კურსზე, ავტორიტეტულმა ლექტორმა, დიდი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ფსიქოლოგმა, კონსულტაციის „ცოცხალი მაგალითის“ დემონსტრაცია შემოგვთავაზა - ერთერთი ჩვენგანისთვის მოკლე ინტერვიუს ჩატარება. ჩვენ გავიტრუნეთ; ერთმანეთის წინაშე პრობლემის გამოტანას ვერიდებოდით. ბოლოს მაინც მე ავიწიე ხელი და ასე აღმოვჩნდი კლიენტის სკამზე.

ჩემს წინაშეა ლექტორი, რომელსაც პატივს ვცემ და ცოტათი მეშინია, ჩემს უკან - რვა ყურადღებით მოკალათებული კურსელი. პრობლემის დადგენას დიდი ხანი არ დასჭირდა: შესაძლოა ის იყო კარგი ფსიქოლოგი, ან მე ეგოცენტრულად მუდამ ჩემს თავზე ვფიქრობ - რა მაწუხებს, რა მიხარია და რა მინდა, მოკლედ, პრობლემა დასახელდა: ბევრი რამის გაკეთებას ვცდილობ, მაგრამ მუდამ არ მყოფნის დრო და სულ დაღლილად ვგრძნობ თავს. ისტორია: ახალი გათხოვილი ვარ. ვცხოვრობ ცალკე. ვსწავლობ ბეჯითად. დავდივარ იოგაზე, დისკუსიებზე, ვწერ, ვკითხულობ, ვცდილობ, ვუყურო ბევრ ფილმს, მიტაცებს კულინარია და ფოტოგრაფია. მყავს, ასე ვთქვათ, ოთხი ცალ-ცალკე ოჯახი და ოთხივე ითხოვს ყურადღებას (მამიდაჩემი, ბებია-ბაბუა და მათ სახლში მცხოვრები ხალხი, მეუღლის დედა და მის სახლში მცხოვრები ხალხი, მეუღლის მამა და მის სახლში მცხოვრები ხალხი). ყველაფრის გაკეთებას ვერ ვასწრებ: სახლს მივხედო, მეუღლეს დავუთმო დრო, კარგად ვისწავლო, ჩემს ჰობის მივყვე, არ გავანაწყენო ოჯახები. ერთს ყოველთვის მეორის ხარჯზე ვაკეთებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლექციების მერე სახლში მოსვლისთანავე ვიძინებ, რაც ჩემთვის დამახასიათებელი არ არის, დღისით თუ დამეძინა, ესე იგი ძალიან დავიღალე.

მრავალი ფაქტორი განვიხილეთ, დაწყებული ჩემი სარეცხი მანქანის ფუნქციონირებით და დამთავრებული პრიორიტეტული საქმიანობების ჩამოწერითა და ორგანიზების გზების განხილვით. კურსელებმა მითხრეს, რომ ზედმეტად ბევრი რამის გაკეთება მიყვარს, რომ ჩემი იდეალი არის ადამიანი, რომელიც რაც შეიძლება ბევრს აკეთებს, რაც შეიძლება ბევრ სფეროში, რომ ეს იდეალი რეალისტური არ არის. მოკლედ, აღარ მახსოვს, რა გამოსავალი დავსახეთ, მგონი დღიურში უნდა დამეგეგმა ჩემი

აქტივობები, მიუხედავად იმისა, რომ ასე ჩამოწერა, დაგეგმვა, სტრუქტურა და ჩარჩოები ზოგადად მთრგუნავს. ფსიქოლოგმა დამანახა, რომ პრობლემებთან გამკლავების ახლანდელი მექანიზმები არ მუშაობს და ეს მეორე მექანიზმი, შესაძლოა, საბოლოოდ უფრო ადეკვატური აღმოჩნდეს.

ნახევარ წელიწადში, სრულიად შემთხვევით, დავიჩივლე ჩემს ექიმთან, სულ დაღლილი ვარ-მეთქი. იმან - ზამთარია და ვიტამინები გაკლია, მაგრამ, თუ გინდა, რამდენიმე გამოკვლევას მაინც ჩაგიტარებო. გამომართლა, რომ ყურადღებიანი ექიმი იყო. აღმოჩნდა, რომ „გაქანებული“ ჰიპოთირეოზი მჭირს, რომლის ერთ-ერთი სიმპტომი, ქრონიკული დაღლილობა და ენერგიის დაბალი დონეა. მას მერე ყოველ დილით ჰორმონ თიროქსინს ვსვამ აბების სახით. რაღაცას ვასწრებ, რაღაცას - ვერა, მაგრამ უმეტესად აღარ მაწუხებს გრძნობა, რომ სიტუაციას ვერ ვმართავ, დროს ადეკვატურად ვერ ვაფასებ ან სულ დაღლილი ვარ. სულაც არ დამჭირვებია აქტივობების დღიური.

ყოველთვის, როდესაც ფსიქოკონსულტაციაზე ვფიქრობ, ეს შემთხვევა მახსენდება. პრობლემის დადგენა, შემდეგ კი გამოსავლის პოვნა, იოლი არასდროს არის. საჭირო ინფორმაციის გარეშე, ძალიან გამოცდილი და კარგი ფსიქოლოგიც ვერ გამოიტანს სწორ დასკვნას. ამიტომ ადამიანები, რომლებიც კონსულტაციისათვის ემზადებიან, მუდამ უნდა იღებდნენ ახალ ინფორმაციას, იქნება ეს თეორიული ცოდნა, თუ ემპირიული გამოცდილება. ამ ნაშრომის მიზანიც ეს არის: მცირეოდენი ახალი ინფორმაცია მოგაწოდოთ და იმედია, მეტი შემოგთავაზოთ, ვიდრე ახლა იცით.

ლგბ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი) საკითხების განხილვა, არსებულ პრობლემებზე მუშაობა საქართველოში სიახლეა, მიუხედავად ამ პრობლემის მნიშვნელობისა. მრავალი კითხვაა დასასმელი, უამრავი კვლევაა ჩასატარებელი, გადასახედია არსებული „ჭეშმარიტება“, „მოცემულობა“, „რეალობა“. აქედან გამომდინარე, ვერც ეს ნაშრომი დაიკვეხნის გამართულობით და მყარი ინფორმაციით. თუმცა, ვეცადე ერთგვარი შესავალი გამეკეთებინა, როგორი უნდა იყოს ფსიქოლოგიური კონსულტაცია ლგბ საკითხებთან დაკავშირებით, ამის საკითხის შესახებ დამეწყო საუბარი და მისი უფრო ღრმად განხილვისათვის მიმეცა ბიძგი.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია: დავიწყებ ფსიქოლოგის ეთიკისა და ფსიქოლოგის პირადი რწმენების განხილვით, შემდეგ მიმოვიხილავ იმ ფაქტორებს, რომლის გათვალისწინება ნებისმიერ კლიენტთან მუშაობისას აუცილებელია, მაგრამ დიდ მნიშვნელობას იძენს კერძოდ ლგბ თემის წევრებთან მუშაობის დროს, შემდეგ მიმოვიხილავ ფსიქოლოგიური კონსულტაციის ძირითად სკოლებს, თეორიებსა და

პრაქტიკულ საკითხებს, ხოლო ბოლოს განვიხილავ ინტერვიუს ჩატარების კონკრეტულ ტექნიკებს და ჰოლისტიკური მიდგომის ავ-კარგობას.

ნებისმიერი ახალი საკითხის შესწავლა პროცესია. ამ პროცესის დროს, ხშირად სამ სტადიას გავდივართ: დასაწყისში, როდესაც იმაზე მეტ ინფორმაციას მოვიპოვებთ, ვიდრე აქამდე გვქონდა, გვეჩვენება რომ ძალიან ბევრი ვიცით, გაბედულად ვიყენებთ ახალ ნასწავლ ტერმინებს, გვგონია, რომ ახალი სფეროს ექსპერტები ვართ. შემდგომ, შუისკენ, აღმოვაჩენთ, რომ მიუხედავად არსებული ცოდნისა, შეუცნობი ბევრი რჩება და აღნიშნულ სფეროში ბევრად უფრო მეტი არ ვიცით, ვიდრე ვიცით. ამ ეტაპზე, გვეშინია და ხშირად ვეჭვობთ - ღირს კი წინ წასვლა, თუკი შედეგი ასეთი ზედაპირული ცოდნაა? არ შეგეშინდეთ, მხოლოდ პროცესის ბოლოს მიხვდებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკითხის მცოდნეები არ ხართ, იმაზე მეტი ისწავლეთ, ვიდრე აქამდე გაგეგებოდათ და შეგეძლებათ განსაზღვროთ, რა მიმართულებით წასვლა გინდათ მომავალში, რას უნდა ჩაუღრმავდეთ, ხოლო რას - დაანებოთ თავი. იმედია, ამ ნაშრომში განხილული თემით დაინტერესდებით და თქვენი მომავალი მოღვაწეობით შეავსებთ ამ სფეროში არსებულ უზარმაზარ ვაკუუმს.

ეთიკური პრინციპები

ფსიქოლოგის მოვალეობაა, დაიცვას გარკვეული ეთიკური პრინციპები. მრავალ ქვეყანაში ეს პრინციპები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მათი დარღვევა შესაძლოა ფსიქოლოგის ლიცენზიის დაკარგვას ნიშნავდეს. საქართველოში ლიცენზირების სისტემა ჯერ არ დამკვიდრებულა, შესაბამისად, ეთიკური პრინციპების დაცვა უფრო პირადი პასუხისმგებლობის საკითხია, ვიდრე - საჯარო. ეთიკური კოდექსის არარსებობის დროს, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თავად მოვიპოვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, ფსიქოლოგის რომელი საქციელი შეიძლება ჩაითვალოს არაეთიკურად და საშიშადაც კი, განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ მოწყვლად პოპულაციასთან მუშაობისას. ასეთად შეიძლება ლგბ თემის განხილვაც, რადგან დღევანდელ რეალობაში ხშირია თემის დისკრიმინაცია, არათანაბარ პირობებში ჩაყენება და მისი წევრების მიმართ ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის აქტების ჩადენა.

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის მიხედვით, ფსიქოლოგებს ევალებათ შემდეგი ეთიკური პრინციპების დაცვა:

1. კეთილგანწყობა: ფსიქოლოგების მიზანია, სარგებლობა მოუტანონ კლიენტებს. თავიანთი პროფესიული საქმიანობისას, ფსიქოლოგები ცდილობენ დაიცვან კლიენტის კეთილდღეობა და უფლებები. რადგანაც ფსიქოლოგების სამეცნიერო და პროფესიული შეხედულება გავლენას ახდენს სხვა ადამიანების

ცხოვრებაზე, ისინი ითვალისწინებენ იმ პიროვნულ, ფინანსურ, სოციალურ, ორგანიზაციულ ან პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელთა გამოც შესაძლოა ფსიქოლოგების შეხედულებების არასწორი გამოყენება მოხდეს.

ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი გამონათქვამი, რომელსაც ფსიქოლოგი საჯაროდ აკეთებს, უფრო დიდ დატვირთვას ატარებს, ვიდრე გამონათქვამი, რომელსაც არაფსიქოლოგი აკეთებს. მაგალითად, როდესაც ფსიქოლოგი საეთერო სივრცეში ჰომოფობიურ განაცხადს გააკეთებს, ის არა მხოლოდ თავის პირად, არამედ პროფესიულ პოზიციასაც აფიქსირებს. მისი ნათქვამი არა მხოლოდ საწყენია, არამედ შესაძლოა - საზიანოც.

2. **პასუხისმგებლობა: ფსიქოლოგები კლიენტის ნდობით სარგებლობენ. ფსიქოლოგები აცნობიერებენ თავიანთ პროფესიულ და სამეცნიერო პასუხისმგებლობას საზოგადოების და იმ კონკრეტული თემის წინაშე, რომელთანაც ისინი მუშაობენ. ფსიქოლოგები ვალდებულნი არიან, დაიცვან საქმიანობის პროფესიული სტანდარტი, ნათელი გახადონ თავიანთი პროფესიული როლი და ვალდებულება, აიღონ შესაბამისი პასუხისმგებლობა თავიანთ ქცევაზე და ეცადონ, მართონ ინტერესთა კონფლიქტი, რომელსაც შესაძლოა ექსპლუატაცია ან ზიანი მოჰყვეს. ფსიქოლოგები ცდილობენ, საკუთარი პროფესიული დროის ნაწილის გამოყენებას მცირე კომპენსაციით ან უკომპენსაციოდ ან პირადი სარგებლის გარეშე.**

გამოდის, რომ ფსიქოლოგი არა მხოლოდ ვალდებულია, პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა, არამედ უნდა ეცადოს, რომ თავისი დროის ნაწილი მაინც პირადი სარგებლის გარეშე დაუთმოს ამ საქმიანობას.

1. პატიოსნება: ფსიქოლოგები მეცნიერებაში, ფსიქოლოგიის სწავლასა და პრაქტიკაში სიზუსტის, პატიოსნების და ჭეშმარიტების დამკვიდრებას ცდილობენ.

2. სამართლიანობა: ფსიქოლოგები აცნობიერებენ, რომ სამართლიანობის პრინციპით, ყველა ადამიანი იმსახურებს თანაბარი ხარისხის პროცესს, პროცედურასა და სერვისებს. ფსიქოლოგები მსჯელობენ და ფრთხილობენ, რომ მათი პოტენციური წინასწაგანწყობების, კომპეტენციისა და ექსპერტიზის საზღვრების გამო არ მოხდეს უსამართლო პრაქტიკის გატარება.

აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგს ევალება განსაჯოს, რა წინასწარგანწყობები გააჩნია, რათა მოახდინოს მათი საკუთარ მუშაობაზე ზეგავლენის მოხდენის პრევენცია. მაგალითად, სანამ ლგბ საკითხებზე

მუშაობას დაიწყებთ, უნდა გააცნობიეროთ, რა რწმენები, რა აზრები გაგაჩნიათ ამ სფეროს შესახებ და რამდენად გაძლევთ თქვენი ექსპერტიზა ამ საკითხზე მუშაობის უფლებას.

3. **ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემა: ფსიქოლოგები ყველა ადამიანის ღირსებას სცემენ პატივს. ისინი პატივს სცემენ ადამიანების კონფენდენციალობისა და თვით–გამორკვევის უფლებას. ფსიქოლოგებს გააზრებული აქვთ, რომ განსაკუთრებული დაცვა შეიძლება ისეთი ადამიანების ან თემის უფლებებს დასჭირდეს, რომელთა მოწყვლადობაც აფერხებს გადაწყვეტილების ავტონომიურად მიღების საშუალებას. ფსიქოლოგებს გააზრებული აქვთ და პატივს სცემენ კულტურულ, ინდივიდუალურ და როლურ განსხვავებებს, რომლებიც დაფუძნებულია ასაკის, გენდერის, გენდერული იდენტობის, რასის, ეთნიკურობის, კულტურის, ნაციონალური წარმომავლობის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ენისა და სოციო-ეკონომიკური სტატუსის ფაქტორებზე და ითვალისწინებს მათ ამ ჯგუფის წევრებთან მუშაობისას. ფსიქოლოგები ცდილობენ, აღმოფხვრან ამ ფაქტორებზე დაფუძნებული წინასწარგანწყობების გავლენა თავიან საქმიანობაზე და ცნობიერად არ იღებენ მონაწილეობას, ან მხარს არ უჭერენ მსგავს წინასწარგანყობებზე დაფუძნებულ სხვათა აქტივობებს.**

ამ ეთიკური პრინციპის გზავნილი ნათელია: ფსიქოლოგს არ აქვს ადამიანთა დისკრიმინაციის უფლება. თუკი ადამიანის პირადი შეხედულებები ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების საფუძველზე ადამიანის დისკრიმინაციას მოიცავს, მაშინ ეს ადამიანი ფსიქოლოგი ვერ იქნება.

ლგბ თემის შესახებ არსებულმა სტერეოტიპებმა შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს ფსიქოლოგის საქმიანობაზე, რის გამოც ფსიქოლოგმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რას ფიქრობს ამ საკითხის შესახებ. უფრო მეტიც, ფსიქოლოგს ევალება, მხარი არ დაუჭიროს სხვების დისკრიმინაციულ მოქმედებებსაც. თუკი ადამიანის აზროვნება დისკრიმინაციულია, მას ორი გზა აქვს: ან მიიღოს მეტი ინფორმაცია მოცემული სფეროს შესახებ და გადახედოს თავის მოსაზრებებს, ან სხვა პროფესია აირჩიოს. მსგავსი კატეგორიული იმპერატივის მიზეზი კი ის არის, რომ ფსიქოლოგის პროფესიული მოღვაწეობა საკუთარ თავს სცდება და სხვების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ამგვარად, ფსიქოლოგს არ აქვს ფუფუნება კულტურული, ინდივიდუალური და როლური განსხვავებების, ასაკის, გენდერის, გენდერული იდენტობის, რასის, ეთნიკურობის, კულტურის, ნაციონალური წარმომავ-

ლობის, რელიგიის, სექსუალობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ენისა და სოციო-ეკონომიკური სტატუსის ფაქტორების შესახებ ადამიანის ღირსების შემლახველი წინასწარგანწყობებით ხელმძღვანელობდეს, მაშინ როდესაც სხვა პროფესიის წარმომადგენელს, მაგალითად მშენებელს ამისი სრული უფლება აქვს (თუკი წინასწაგანწყობებს დისკრიმინაციული მოქმედებებით არ გამოხატავს და კანონს არ არღვევს).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ამ ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები. ყურადღებას რამდენიმე სტანდარტზე გავამახვილებ:

სტანდარტი 3: ადამიანური ურთიერთობები

3.01. უსამართლო დისკრიმინაცია

სამსახურეობრივი აქტივობის დროს, ფსიქოლოგები არ ახდენენ უსამართლო დისკრიმინაციას ასაკზე, გენდერზე, გენდერულ იდენტობაზე, რასაზე, ეთნიკურობაზე, კულტურაზე, ეროვნულ წარმომავლობაზე, რელიგიაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, შეზღუდულ შესაძლებლობაზე, სოციო-ეკონომიკურ სტატუსზე ან კანონით გაწერილ სხვა საფუძველზე დაყრდნობით.

3.10 ინფორმირებული თანხმობა

როდესაც ფსიქოლოგი აწარმოებს კვლევას ან შეფასებას, თერაპიას, კონსულტაციას, პირადად თუ კომუნიკაციის სხვა ფორმების მეშვეობით, ის ინდივიდისაგან ან ინდივიდებისაგან ინფორმირებულ თანხმობას იღებს, ამ პირებისათვის გასაგებ ენაზე. ხდება ამ თანხმობის შესაბამისი დოკუმენტირება.

სტანდარტი 4. პირადულობა და კონფიდენციალობა

4.1 კონფიდენციალობის შენახვა

ფსიქოლოგის პირდაპირი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა უსაფრთხოების გონიერი ზომების მიღება, რათა ინფორმაცია კონფიდენციალურად შეინახოს.

კონფიდენციალობის ცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე გვაქვს ლგბ თემთან. ხშირად, კლიენტი თავის პრობლემებს სხვებთან არ ამხელს და კონსულტანტი მზად უნდა იყოს ამისათვის. შესაძლებელია მათ განცდებზე, აზრებსა და ემოციებზე ოჯახმაც კი არაფერი იცოდეს. ასეთი პოპულაციისათვის განსაკუთრებით ტრავმულია დაფარული ინფორმაციის გაჟონვა. გარდა ეთიკური პრინციპებისა, ლგბ თემის წევრების შესახებ ინფორმაციის დაცვა მათი უსაფრთხოებისთვისაც აუცი-

ლებელია. ქვეყანაში, სადაც არაჰეტერონორმატიული ქცევა შესამჩნევი, მიუღებელი და დასაგმობია, ფსიქოლოგიური ტრავმის მატარებელი ადამიანის სექსუალური საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელება უბრალოდ საშიშია და მას შესაძლოა მძიმე შედეგებიც მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, კონფიდენციალობის შენახვა, ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების უსაფრთხოდ მოთავსება, ნებისმიერი კონსულტანტის მოვალეობაა, განსაკუთრებით კი, როდესაც ის მოწყვლად პოპულაციასთან მუშაობს.

ფსიქოლოგის ეთიკის კოდექსის სრული ვარიანტის ნახვა შესაძლებელია ამ მისამართზე: http://www.apa.org/ethics/code/

საკუთარი რწმენების გააზრება

კონსულტირების დაწყებამდე, აუცილებელია, აღმოაჩინოთ ის განცდები, აზრები, ემოციები, განწყობები, რომელსაც ყოველთვის თან ატარებთ. ეს საშუალებას მოგცემთ, თქვენს რწმენებს გარედან შეხედოთ, ზოგი გადააფასოთ, ზოგი—განამტკიცოთ, მაგრამ, რაც მთავარია, გაიაზროთ, რომ სამყაროს აი ასეთი რაკურსით უყურებთ და მაქსიმალურად ეცადოთ, თქვენმა წინასწაგანწყობებმა არ მოახდინოს გავლენა თქვენს მუშაობაზე. თუმცა, ისიც იცოდეთ, რომ შეუძლებელია ადამიანი მაქსიმალურად ობიექტური იყოს. პიროვნება ყოველთვის საკუთარი თავიდან გამომდინარე აფასებს გარემოს, ობიექტურობა და ჭეშმარიტება კი არარსებული ცნებებია. ამგვარად, კონსულტაციის წინ ყველა წინასწარგანწყობას უკან ვერ მოიტოვებთ და კლიენტს სუფთა დაფის განწყობით ვერ გაესაუბრებით; ეს შეუძლებელია. სამაგიეროდ, თქვენ შეგიძლიათ, აკონტროლოთ თქვენი რწმენები და თავს უფლება არ მისცეთ, მათი ზეგავლენის ქვეშ მოექცეთ.

ჩვენს კულტურაში საკუთარი თავის შეცნობას, თვითდაკვირვებას, ემოციებისა და აზრების გამოხატვას იშვიათად ვუთმობთ დროს. ამიტომ არის, რომ უცხოური ფილმების თარგმანი ხშირად ყურში გხვდება: „თავს უსასრულოდ მარტოდ ვგრძნობ“, „შენი ნათქვამი გულს მტკენს“, „შენ რომ გხედავ, მუცელში პეპლები მივლის“—ქართულ რეალობაში ასე არ საუბრობენ. ჩვენს კულტურაში პირიქით, თავშეკავება, ნებისყოფა, ემოციების დამალვა (განსაკუთრებით კი უცხო ხალხთან), ფასობს. მახსოვს, პირველ კურსზე ნებელობით პროცესებს გავდიოდით და ლექტორმა მითხრა: „რაც უფრო მაღალი განვითარების საფეხურზე დგას ადამიანი, მით უფრო განვითარებული აქვს ნებისყოფა და მით უფრო შეუძლია ემოციების კონტროლი“. შედეგად, ჩვენს კულტურაში ადამიანი არ არის მიჩვეული გრძნობებისა და რწმენების გამოხატვას, არ ახდენს საკუთარი თავის ინტროსპექციას, არ უკვირდება—რას ფიქრობს და რატომ. ასეთი განწყობა ცუდი ან კარგი კი არ არის, უბრალოდ - ჩვენს კულტურაში გავრცელებულია და ამიტომ მეტი ძალისხმევაა საჭირო საკუთარი თავის შესაცნობად.

ადამიანი, რომლის პროფესიის მთავარი მიზანი სხვებისათვის საკუთარი თავის შეცნობაში დახმარებაა, პირველ რიგში ძლიერი ინტროსპექციით უნდა გამოირჩეოდეს, თუნდაც იმისათვის, რომ კლიენტის თვითგამორკვევისადმი ემპათია იგრძნოს.

ლგბ თემასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ პოლარიზებული რწმენებია: საზოგადოების ნაწილს ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება აქვს, ხოლო დანარჩენ ნაწილს – რეაქციული, ან პოზიტიური. ამ საკითხს ხშირად განიხილავენ მორალური კუთხით; ის ადამიანის ღირებულებათა სისტემას ეხება. ბოლო დროს გახშირდა ლგბ საკითხების სხვადასხვა მედიუმების საშუალებით განხილვა, თუმცა მიღებული ინფორმაციის ხარისხი ხშირად დაბალია. ამგვარ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ბევრ ადამიანს ინფორმირებული ცოდნა არ გააჩნია, ან თავისი დამოკიდებულება არ აქვს გააზრებული.

სანამ ლგბ საკითხების უფრო ღრმად განხილვას დავიწყებდით, მოგიწოდებთ, დააკვირდეთ საკუთარ თავს და ჩამოაყალიბოთ, რა რწმენები გაგაჩნიათ. ეცადეთ, დაწეროთ კონკრეტული მოსაზრებები, თავი შორს დაიჭიროთ ზოგადი განაცხადებისაგან. აქ და აწი ყველგან, არ დაგეზაროთ და დაწერეთ თქვენი აზრები. მათი ვერბალიზაცია, აზრების საკუთარი თავიდან ქაღალდზე გადმოტანა დაგეხმარებათ ამ რწმენების გვერდიდან დანახვაში. მაგალითისათვის, მე დავწერ ჩემს რწმენებს ამერიკელების შესახებ (ვგულისხმობ აშშ-ში მცხოვრებ მოსახლეობას)

მე მჯერა, რომ ამერიკელები:

1. ექსტრავერტები არიან;
2. გახსნილები და მეგობრულები არიან;
3. თვითირონია კარგად გამოსდით;
4. ფეხით ცოტას დადიან/გადაადგილდებიან მანქანებით;
5. ახალგაზრდობაში ბევრს ერთობიან;
6. აფასებენ კომფორტულ ცხოვრებას;
7. აქვთ კარგი სერვისი;
8. აფასებენ ინდივიდუალიზმს;
9. უყვართ შეჯიბრი, კონკურენცია;
10. ჩვენზე უკეთ ერკვევიან ბიზნესში;

ახლა გთხოვთ, ჩამოწეროთ 10 რწმენა ლგბ თემის წარმომადგენლებთან დაკავშირებით

მე მჯერა რომ ლგბ პიროვნებები:

1.
2.
3.

4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

გადახედეთ თქვენს რწმენებს. შემოხაზეთ ისეთი რწმენები, რომლებიც დადებით ან უარყოფით შეფასებას ატარებს (აუცილებელი არ არის, ეს დადებით ან უარყოფით ტერმინებში იყოს გამოხატული). მაგალითად, ჩემს რწმენებში ასეთი შეფასებითი რწმენებია: ექსტრავერტები არიან, გახსნილები და მეგობრულები არიან, თვითირონია კარგად გამოსდით, აფასებენ კომფორტულ ცხოვრებას, აფასებენ ინდივიდუალიზმს, უყვართ შეჯიბრი, კონკურენცია, ჩვენზე უკეთ ერკვევიან ბიზნესში. რა განსხვავებაა ამ რწმენებსა და დაუშვათ რწმენას - „აქვთ კარგი სერვისი“ - შორის? დავიწყოთ იმით, რომ აქვთ კარგი სერვისი ჩემთვის უფრო ფაქტის აღნიშვნაა, ვიდრე დამოკიდებულება—ის ზოგად მოვლენას ეხება და არა პიროვნებებს. აქედან გამომდინარე, ის ჩემთვის უფრო ნეიტრალურია. მე რომ დამეწერა, ამერიკელები უფრო უკეთესი სერვისის მომწოდებლები არიან-მეთქი (როგორც დავწერე ჩვენზე უკეთ ერკვევიან ბიზნესში), ეს რწმენა ემოციურად უფრო დატვირთული იქნებოდა და ჩემს დამოკიდებულებას უკეთ გამოხატავდა. ახლა გადავხედოთ ყველა იმ რწმენას, რომელიც მე სუბიექტურად მივიჩნიე დადებითი ან ნეგატიური შეფასების მატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს რწმენებიც ვითომ და ფაქტს აღწერენ. ჯერ ერთი, ყოველი მათგანი პიროვნების თვისებას მოიცავს. მეორეც, ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე - ექსტრავერტობა, ინდივიდუალიზმი, თვითირონია, გახსნილობა და მეგობრულობა, შეჯიბრი და კონკურენცია, ჩემთვის ღირებულია. ამ თვისებებს ადამიანებში ვაფასებ. რწმენა - „ჩვენზე უკეთ ერკვევიან ბიზნესში“ - უფრო ნათლად გამოხატავს ჩემს დადებით პოზიციას — „მათ“ ვადარებ „ჩვენ“ და „მათ“ უპირატესობას ვუსვამ ხაზს. რწმენა „აფასებენ კომფორტულ ცხოვრებას“ ჩემთვის ნეიტრალურია. აფასებენ და აფასებდნენ.

რა გავიგე ამ ანალიზის შედეგად? თუნდაც ის, რომ ამერიკელებისადმი ზოგადად კარგად ვარ განწყობილი. 10 რწმენიდან უმეტესობა მათ ჩემს თვალში დადებით პიროვნულ თვისებებს აღწერს. ახლა უნდა დავფიქრდე, რამდენად მოახდენს ეს გავლენას ჩემსა და კლიენტს შორის ურთიერთობაზე? დავუშვათ, ჩემთან ერთსა და იმავე დღეს მოვიდა ქართველი და ამერიკელი კლიენტი, ამერიკელთან უფრო თბილად მოვიქცევი? თუ ვეცდე-

ბი ჩემი სიმპათიები უკან მოვიტოვო და ყოველ კლიენტს თანაბრად მოვეპყრა?

გარდა ამ შეფასებითი რწმენებისა, ის წინასწარგანყობებიც კი, რომელიც ვითომდა არსებულ რეალობას ასახავს, ინფორმაციის მატარებელია. მაგალითად, მე მჯერა, რომ ამერიკელები ფეხით ცოტას დადიან/გადაადგილდებიან მანქანებით. ერთი შეხედვით, ეს საკმაოდ უწყინარი ინფორმაციაა.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ჩემთან კონსულტაციისათვის მოვიდა 32 წლის ინტროვერტი, ჩაკეტილი მამაკაცი, რომელიც ცხოვრობს ქალაქ ნიუ-იორკში და მთელი ცხოვრება ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს, ან ფეხით დადის. მას სოციალისტური ევროპული ეკონომიკა მოსწონს და ამერიკელ ლიბერალებს უჭერს მხარს. ამჟამად ახალ გარემოში ცდილობს თავის დამკვიდრებას, მუდამ ფრუსტრირებულია და ირონიისათვის ენერგია აღარ ჰყოფნის. მე კი მხოლოდ ის ვიცი მის შესახებ, რომ ამერიკელია. თუკი 1. არ გავაცნობიერე ჩემი რწმენები და შესაბამისად, თავი არ ავარიდე ნაჩქარევ დასკვნებს; 2. არ შევეცადე ობიექტური ინფორმაცია მოვიპოვო კლიენტის შესახებ, შევძლებ მასთან ადეკვატური კონსულტაციის ჩატარებას? (სხვათა შორის, ეს გამოგონილი პიროვნება სულაც არ არის. ჩემი მეგობარია. რომ გავიცანი, პირადი კონტაქტი დიდხანს ვერ დავამყარე, რადგან ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, რომ ის არ აკმაყოფილებდა ჩემს წარმოდგენას „ნამდვილ ამერიკელზე“, რომელსაც მე ასე ვაფასებ).

დაუბრუნდით თქვენს მიერ ჩამოწერილ რწმენებს. დაფიქრდით და დაწერეთ:

- რამდენი ატარებს პოზიტიურ ელფერს?
- რამდენია ნეგატიური შეფასება?
- რამდენზე გგონიათ, რომ ნეიტრალურია და თქვენთვის მნიშვნელოვანი არ არის? მართლა ასეა?
- რომელი რწმენებია ყველაზე ემოციურად დამუხტული?
- რამდენი აღწერს პიროვნულ ნიშან–თვისებას?
- რამდენი გამოხატავს ჭეშმარიტებებს, რომლებიც „ისედაც ყველასათვის ცნობილია“?

თქვენ მიერ ჩამოწერილი რწმენები, და ემოციები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ ზემოთხსენებულ ეთიკურ კოდექსს ხომ არ ეწინააღმდეგება? მოახდენს კი იგი გავლენას თქვენს პროფესიულ საქმიანობაზე? რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ეს რწმენები: უშვებთ მათი ცვლილების შესაძლებლობას?

ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებები ძალიან გაზვიადებული ხომ არ არის?

რომელი რწმენები ამოგიტივტივდებათ პირველ რიგში, როდესაც, მაგალითად, ოთახში გეი მამაკაცი შემოვა? ქალი?

გასათვალისწინებელი ფაქტორები

ხშირად, ლგბ საკითხების განხილვისას, ყურადღება ექცევა განსხვავებებს ჰეტეროსექსუალ და არაჰეტეროსექსუალ ჯგუფებს შორის, ამ დაყოფას კი ლგბ თემის ჰომოგენურ ჯგუფად აღქმა მოყვება. მაგრამ, როგორც ნებისმიერ სხვა კლიენტთან, ლგბ კლიენტთანაც აუცილებელია იმ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც მასზე ახდენს გავლენას. მოკლედ, განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული ფაქტორები.

კულტურა

ადამიანები ვაკუუმში არ არსებობენ. ისინი გარკვეულ გარემოში ცხოვრობენ, მუშაობენ, გადაადგილდებიან და ამ გარემოს ერთ–ერთი განმსაზღვრელი კულტურა გახლავთ. მისი განმარტება, აბსტრაქტულობის გამო, რთულია. კულტურის ერთ–ერთი კონცეპტუალიზაცია გულისხმობს, რომ ეს არის სოციალურად გადაცემული ან სოციალურად აგებული ერთობლიობა, რომელიც მოიცავს პრაქტიკებს, კომპეტენციებს, იდეებს, სქემებს, სიმბოლოებს, ნორმებს, ინსტიტუციებს, მიზნებს, არტეფაქტებსა და ფიზიკური გარემოს მოდიფიკაციას. მარტივად რომ ვთქვათ, კულტურა მოიცავს ადამიანების ჯგუფის გამაერთიანებელ, საერთო ელემენტებს.

მსგავსი აზრის გამოსახატად, საქართველოში ხშირად გვესმის ფრაზა: „ქართული მენტალიტეტი“. განვიხილოთ ფრაზა „ეს ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელია“, რაც ქართული კულტურის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს. ამ წინადადებაში ორი დამოკიდებულება ნათლად არის ასახული: 1. მისაღების ან მიუღებლის განმარტება ხდება მენტალიტეტზე, ანუ მენტალობაზე, ანუ გონებაზე დაყრდნობით 2. ეს განმარტებები სტატიკური და უცვლელია („მიუღებელია“—აწმყოში). სინამდვილეში, წარმოდგენას კულტურის შესახებ ახასიათებს როგორც კოგნიტური, ისევე ემოციური ელემენტები, ანუ კულტურა შედგება როგორც აზრებისაგან, მაგალითად რას ვფიქრობ მე, ასევე ემოციებისაგან, რას ვგრძნობ მე ამ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კულტურული ფასეულობები მხოლოდ სტატიკური არ არის. ხშირად, პრაქტიკები, აქტივობები, მოსაზრებები, რომლებიც ადრე მიუღებელი იყო, ახლა შესაძლებელია მისაღები აღმოჩნდეს.

ლგბ კლიენტთან ადეკვატური ურთიერთობის დასამყარებლად, აუცილებელია დაფიქრდეთ, რა დამოკიდებულებები არსებობს არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობების მიმართ თანამედროვე ქართულ კულტურაში.

ამის გაგების საუკეთესო საშუალება საფუძვლიანი კვლევა იქნებოდა, მაგრამ ასეთის არარსებობის გამო, იძულებულნი ვართ, დაკვირვებებითა და მოსაზრებებით შემოვიფარგლოთ. ამ მხრივ, საინტერესოა, მასმედიის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაც, რადგან მას მედია ხშირად ირეკლავს საზოგადოების განწყობას. მაგალითად, ჩატარდა ჰომოსექსუალობის და ჰომოსექსუალობის რეპრეზენტირების მონიტორინგი ქართულენოვან ბეჭდვით მედიაში, 01.05.2011–31.05 2011 პერიოდში. აღმოჩნდა, რომ საკითხის გაშუქების თვალსაზრისით, ნეგატიური შინაარსის სტატიების რიცხვი მნიშვნელოვნად უფრო დიდია (24), ვიდრე ნეიტრალური (9) ან პოზიტიური (5) სტატიის რიცხვი. ეს თემა ხშირად პოლიტიკური სპეკულაციისათვის გამოიყენება; არაჰეტეროსექსუალ ადამიანებს მასმედიაში ნეგატიური ტერმინებით აღწერენ; ლგბ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ლექსიკა გამოიყენება; ეს ყველაფერი საზოგადოებაში არსებულ განწყობებზე მიგვითითებს.

ამგვარად, თქვენი აზრით:

ზოგადად, ჩვენი კულტურა დადებითად აფასებს არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობას, თუ უარყოფითად? ეცადეთ, დაასახელოთ ის აზრები და ემოციები, რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული.

როგორ იცვლება ეს დამოკიდებულებები?

რა გახდა მისაღები ჩვენი კულტურისათვის ამ საკითხთან მიმართებაში და რა პირიქით–მიუღებელი?

რას ეყრდნობით, როდესაც თქვენს პასუხებს ასაბუთებთ?

ამ კითხვებზე დაფიქრება (და აზრების დაწერა) სამი რამისათვის გჭირდებათ: 1.მოიპოვებთ ინფორმაციას იმ გარემოს შესახებ, რომლიდანაც თქვენი ლგბ კლიენტი მოდის და შესაბამისად, რომელიც მასზე ზემოქმედებს. 2. მოიპოვებთ ინფორმაციას თავად კლიენტზე, რადგან ისიც ამავე კულტურის ნაწილია და შესაძლოა ამ კულტურისათვის დამახასიათებელ მრავალ ღირებულებას ატარებდეს 3. მოიპოვებთ ინფორმაციას საკუთარ თავზე, რადგან თქვენც იმავე კულტურის ნაწილი ი ხართ და მისი თამაშის წესების ფარგლებში ოპერირებთ.

აქედან გამომდინარე, კულტურასთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია:

რას წარმოადგენს კულტურა კონსულტანტისათვის და როგორია კონსულტანტის დამოკიდებულება სოციალური ნორმებისადმი.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კონსულტანტმა და კლიენტმა ერთმანეთს თავიანთი პოზიციები უნდა გააცნონ.

კონსულტანტმა არ უნდა დაასკვნას, რომ კლიენტის კულტურული ღირებულები და/ან სექსუალური ღირებულებები ადვილად ამოსაცნობია კლიენტის შესახედაობიდან გამომდინარე.

კონსულტანტმა უნდა გაიაზროს მარგინალიზაცია და დისკრიმინაცია, რომელსაც შესაძლოა კლიენტი განიცდიდეს ჰეტეროსექსუალურ და ჰეტერონორმატიულ საზოგადოებაში.

გენდერი
განმარტებები

დასავლურ საზოგადოებებში, ქალსა და კაცს ერთმანეთის საპირისპირო, მაგრამ შემავსებელ მახასიათებლებს მიაკუთვნებენ. მაგალითად, კაცს ხშირად ახასიათებენ როგორც გამძლეს, ძლიერსა და დომინანტურს, ხოლო ქალს – ემოციურს, სუსტსა და პასიურს. რა თქმა უნდა, ყველა (ანდა თუნდაც, რომელიმე) ქალი და კაცი ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს ამ არქეტიპულ პატერნებს, მაგრამ ეს მოსაზრებები სოციალურად აგებულ დამოკიდებულებებს გამოხატავს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს კაცი და ქალი.

თეორიულად, სქესი და გენდერი ერთიანი კონსტრუქტი არ არის: სქესი გამოხატავს ბიოლოგიურ განსხვავებას, ხოლო გენდერი – კულტურულ/სოციალურად აგებულ განსხვავებას. ამ თეორიული დაყოფის მიუხედავად, ტერმინები „სქესი“ და „გენდერი“ პრაქტიკაში ხშირად სინონიმებად აღიქმება. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც არის, რომ ბიოლოგიურად და სოციალურად განპირობებულ განსხვავებებს შორის დაყოფა თვალსაჩინო არ არის. გარდა ამისა, ორივე ცნება ისტორიულად დიქოტომიურად არის ჩამოყალიბებული და ერთმანეთს „ემთხვევა“: მამრობითი და მასკულინური, მდედრობითი და ფემინური.

ასეთ თვალთახედვას მოჰყვება მოსაზრება, რომ ფუნდამენტური გენდერული განსხვავებები ბიოლოგიური ფაქტორებითაა განპირობებული, ანუ სქესი იწვევს გენდერს, რასაც შესაძლოა მთელი რიგი უსაფუძვლო დასკვნები მოჰყვეს (მაგალითად, ქალი კაცზე მაღალი მიჯაჭვულობით ხასიათდება, რადგან მდედრობითი სქესის ადამიანებს ბავშვების გაჩენა შეუძლიათ).

ასევე პრობლემურია დასკვნა, რომ გენდერი ბიოლოგიურ სქესს ემთხვევა. მაგალითად, ტრანსგენდერ ადამიანებს სჯერათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთი ბიოლოგიური სქესით დაიბადნენ, ისინი „საპირისპირო“ გენდერის არიან.

აქედან გამომდინარე, სქესისა და გენდერის გაიგივება ხშირად ხდება მცდარი დასკვნების საფუძველი.

ფსიქოლოგიის ისტორიის განმავლობაში ბატონობდა მოსაზრება, რომ „ქალი“ და „კაცი“ ფუნდამენტურად განსხვავებულია. ხშირად ტარდებოდა კვლევები, რომლების მიზანიც ამ კატეგორიებს შორის არსებული განსხვავებების დამტკიცება იყო. ამ მოსაზრებებს დაუპირისპირდნენ ფსიქოლოგები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ასეთი კვლევები ხშირად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და უმეტესად კაცის უკეთესობის გამოსახატავად გამოიყენებოდა. ამ მიზნის მისაღწევად, კაცისათვის „დამახასიათე-

ბელ“ ღირებულებებს და ატრიბუტებს, რომელიც სტანდარტად მიიჩნეოდა, ადარებდნენ ქალებს. მაგალითად, არსებობს მრავალი კვლევა ტვინის ფუნქციის და ჰორმონების შესახებ, რომლებიც აღნიშნავენ, როგორ არის მამაკაცი უპირატესი და ამას ბიოლოგიური ფაქტორებით ხსნიან. ასეთი ნაშრომები ხშირად გამოიყენებოდა ქალების დისკრიმინაციის მიზნით.

ის აზრი, რომ გენდერულ განსხვავებებს ბიოლოგია განსაზღვრავს, ხშირად გამოიყენება ერთსქესიანი ურთიერთობების გენდერული ნორმიდან დევიაციად მიჩნევის მხარდასაჭერად. მაგალითად, ტარდებოდა კვლევები, რომელთა მიზანიც იყო დაემტკიცებინა, რომ გეი მამაკაცების ჰიპოთალამუსი უფრო მცირეა, ვიდრე ჰეტეროსექსუალი მამაკაცის ჰიპოთალამუსი და ის ჰეტეროსექსუალი ქალის ჰიპოთალამუსის ზომისაა. ეს გენდერ–სქესის ორ კატეგორიიანი სისტემის სიმცდარის კარგი მაგალითია, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ ჰომოსექსუალი მამაკაცები ჰეტეროსექსუალი ქალების მსგავსნი არიან, ხოლო ქალები კი – ჰეტეროსექსუალ კაცებს გვანან.

გენდერთან და სქესთან დაკავშირებული დისკრიმინაცია

სექსიზმი ნიშნავს ადამიანების მიმართ არათანაბარ და მავნე მოპყრობას მათი სქესის გამო.

ჰეტეროსექსიზმი სექსიზმის ფორმაა, რომელიც შეეხება ფართო საზოგადოებრივ სტრუქტურებს (ინსტიტუციებს, ჩვეულებებსა და ისტორიას) და ინდივიდის ჰეტეროსექსუალობაზე დაფუძნებულ დამოკიდებულებასა და ქცევას.

ჰეტერონორმატიულობა გულისხმობს სოციალურ ინსტიტუციებში სექსუალობის შესახებ გარკვეული რწმენების განმტკიცებას და პრაქტიკასა და ინსტიტუციებს, რომლებიც ჰეტეროსექსუალობისა და ჰეტეროსექსუა-ლური ურთიერთობების ლეგიტიმაციასა და პრივილეგიას უზრუნველყოფს.

ჰეტერონორმატიულობის არსებობა ნიშნავს, რომ ადამიანს არ სჭირდება საკუთარი თავის ჰეტეროსექსუალად იდენტიფიცირება. მაგალითად, როდესაც უცხო ხალხი ერთმანეთს ხვდება, მათი საუბარი ავტომატურად გულისხმობს, რომ მოსაუბრეები ჰეტეროსექსუალები არიან. თუმცა, თუკი მოსაუბრე არაჰეტეროსექსუალია, მაშინ საუბარი ამ ნორმას დაარღვევს, რადგან ნებისმიერი დისკუსია პარტნიორის, ქორწინების ან ყოველდღიური ცხოვრების შესახებ საპირისპირო სქესის პარტნიორს გულისხმობს. ჰეტერონორმატიულობის გამო, არაჰეტეროსექსუალები ინტერაქციის დროს ყოველთვის აწყდებიან პრობლემას, როდესაც მათთვის აუცილებელი ხდება საკუთარი სექსუალობა გაამჟღავნონ, ან საუბარს აარიდონ თავი. ზოგიერთი

ადამიანისათვის ეს შეიცავს განდევნის, ჰომოფობიური ჩაგვრისა და ძალადობის საფრთხეს. ჰეტერონორმატიულ საზოგადოებაში ყოველდღიური ცხოვრება ტვირთად აწევს ინდივიდებს, რომლებიც ხსენებულ ნორმებს გარეთ იმყოფებიან.

დაფიქრდით,

- რა გენდერული ნორმები არსებობს საქართველოში?
- ჩამოთვალეთ სამი მახასიათებელი, როგორი უნდა იყოს ქალი და როგორი უნდა იყოს კაცი.
- რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ადამიანი ამ მახასიათებლებს არ ატარებს?
- როგორია საზოგადოების რეაქცია?
- როგორია თქვენი რეაქცია?
- აქედან გამომდინარე, 0–10 სკალაზე (0 საერთოდ არა, 10 ძალიან) რამდენად ჰეტერონორმატიული ბრძანდებით?
- რამხელა გავლენას იქონიებს ეს თქვენს მიერ ჩატარებულ კონსულტაციაზე?

გენდერთან მიმართებაში გასათვალისწინებელია:

- კონსულტანტი უნდა ეცადოს, ერთმანეთისაგან გამიჯნოს სქესი, გენდერი და სექსუალობა, რათა გაიგოს, რა მიმართებაშია ეს ფაქტორები მის კლიენტთან. არ უნდა მოხდეს ამ კონსტრუქტების გაიგივება.
- კონსულტანტმა არ უნდა დაასკვნას, რომ ლგბ თემის წევრები ერთგვარი გამოცდილების მქონე ერთი ჯგუფია. ამის მაგიერ, მან უნდა განიხილოს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მასკულინობის გავრცელებულმა ფორმებმა გეი მამაკაცებზე, როგორც მამაკაცებზე და როგორ გავლენას ახდენს ფემინურობის დომინანტი გაგება ლესბოსელ ქალებზე, როგორც ქალებზე.
- კონსულტანტმა არ უნდა იფიქროს, რომ არაჰეტეროსექსუალ წყვილებში ჰეტეროსექსუალი წყვილების გენდერული ნორმებია დომინანტური.
- თერაპევტმა უნდა იცოდეს, რომ გარეგნობა მატყუარაა. ლგბ ადამიანის შესახედაობა აუცილებლად არ გამოხატავს მათ გენდერულ დამოკიდებულებას სოციალურ კონტექსტში ან სექსუალურ ურთიერთობებში.
- თერაპევტს უნდა ახსოვდეს, რომ ურთიერთობების და გენდერული როლების მრავალგვარი სახე არსებობს. მან უნდა სცადოს, რომ კლიენტის სექსუალური და ურთიერთობის არჩევანი კლიენტის განმარტებიდან და თვალსაზრისიდან გამომდინარე განსაზღვროს.

რელიგია

არაჰეტეროსექსუალობისადმი რელიგიური შეხედულებების სპექტრი არსებობს: ერთ მხარეს ძალადობაა, ხოლო მეორე მხარეს გაგება, მოწონების გარეშე. თუმცა, მიიჩნევა, რომ რელიგიური მიდგომა მაინც ოპოზიციურია. აქედან გამომდინარე, ვითომდა წარმოუდგენელია, რომ ადამიანი შეიძლება თან ლგბ თემის წარმომადგენელი და თან რელიგიური იყოს; თითქოს ეს ორი იმდენად განსხვავებულია, რელიგია ისეთი ანტი-გეი პოზიციაა, რომ მათი შეთავსება წარმოუდგენელია. ლგბ ადამიანები, რომლებიც რელიგიურნი არიან, ხშირად მწვავე კრიტიკის ქვეშ ექცევიან, რადგან იმ ინსტიტუტის წიაღში რჩებიან, რომელიც მათ სისტემატურ ექსკლუზიას ცდილობს.

ეს დიქოტომია და შეუთავსებლობა, როგორც ჰომოსექსუალობის, ასევე რელიგიის ზედაპირულ გაგებას ეყრდნობა. ვინ როგორ ინტერპრეტაციას უკეთებს საკუთარ რწმენას, რა გზას ირჩევს ცხოვრებაში, მხოლოდ და მხოლოდ ამ პიროვნებას ეხება (თუკი, რა თქმა უნდა, მისი რწმენა სხვებს არ ვნებს). როგორც დანარჩენ შემთხვევებში, ნაჩქარევ დასკვნებს თავი უნდა ავარიდოთ. იყო გეი, არ ნიშნავს იყო ათეისტი, ხოლო იყო რელიგიური არ ნიშნავს იყო ჰომოფობი.

გასათვალისწინებელია, რომ ლგბ ადამიანებს, რომლებსაც რელიგიური თემი მხარდაჭერას არ უწევს, შესაძლოა გაუჭირდეთ თავიანთი სექსუალური და რელიგიური იდენტობების ერთმანეთთან მორგება, რაც იდენტობების დაპირისპირებას გამოიწვევს. ეს თავისთავად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შინაგანი კონფლიქტისა და ფსიქოლოგიური სტრესის მიზეზი აღმოჩნდეს. კონსულტანტი მზად უნდა იყოს დაეხმაროს კლიენტს ამ კონფლიქტის ამოხსნაში. ასევე, ფსიქოლოგებს საზოგადოებაში ისეთი ადგილი უკავიათ, რომ მათ პოზიტიური სოციალური ცვლილებების გამოწვევა, იმ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, რომელსაც არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობები ავადმყოფობად, წყევლად ან ამორალურად მიაჩნია. მათ თავიანთი ცოდნის სხვებისთვის გაზიარება შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რელიგიურები ვართ თუ არა, უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი ჩვენი კლიენტისათვის რელიგია შესაძლოა მნიშვნელოვან პოზიტიურ ან ნეგატიურ როლს თამაშობდეს.

დაფიქრდით,

- როგორი დამოკიდებულება აქვს საქართველოში გავრცელებულ რელიგიას არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობების მიმართ?
- რას ფიქრობთ ამ დამოკიდებულებაზე თქვენ? ეთანხმებით თუ პირიქით?
- როგორ გავლენას მოახდენს თქვენი პოზიცია თქვენს პროფესიულ საქმიანობაზე?

რელიგიასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია:

- ზოგიერთი არაჰეტეროსექსუალი კლიენტისათვის რელიგია მნიშვნელოვანია;
- კონსულტანტს შესაძლოა გააჩნდეს საკუთარი რელიგიური შეხედულებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ კლიენტთან ურთიერთობაზე;
- კონსულტანტმა უნდა გაიაზროს, რომ კლიენტის სექსუალობის შეცვლაზე მუშაობა არ იმ მიზნით, რომ ეს ცვლილება კლიენტის ან კონსულტანტის რელიგიურ შეხედულებებს აკმაყოფილებდეს, არაეთიკურია;
- ბევრ ლგბ კლიენტს რელიგიური თემის მხრიდან შესაძლოა გარიყვა ან დისკრიმინაცია უგრძვნია;
- რელიგიური ლგბ კლიენტი შესაძლოა ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი იყოს: რელიგიის გამო ლგბ თემთან, ხოლო სექსუალობის გამო - რელიგიურ თემთან.

სექსუალობა

საკუთარი სექსუალობის აღმოჩენა/აღიარება/გაცნობიერება/მისთვის სახელის მინიჭების პროცესი ქამინგ აუთის ტერმინით არის ცნობილი. ქამინგ აუთი ლგბ ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ქამინგ აუთის პროცესი, შესაძლოა, კლიენტისათვის სტრესის მოხსნის საშუალება აღმოჩნდეს, როდესაც ის სირცხვილისა და საიდუმლოს ტარების პრობლემებს მოაგვარებს, მაგრამ მას ასევე შესაძლოა გაზრდილი შფოთვა და ტრავმა მოჰყვეს. კონსულტანტმა პატივი უნდა სცეს კლიენტს, რომელსაც ქამინგ აუთი არ მიაჩნია პრობლემის გადაწყვეტის გზად. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ჰომოსექსუალობა მენტალური დარღვევების სიიდან ამოიღეს, ფსიქოლოგებმა შენიშნეს, რომ პრობლემების წყარო ხშირად იდენტობის დამალვაა და არა თავად იდენტობა. ქამინგ აუთი განიხილებოდა, როგორც კარგი ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისა და ჭეშმარიტი ურთიერთობების გარანტი, ხოლო დაფარულობა სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან გახდა ასოცირებული. ეს დამოკიდებულება გულისხმობს, რომ სექსუალური იდენტობის გამჟღავნება მხოლოდ ინდივიდის ფსიქოლოგიურ ფაქტორებზეა დამოკიდებული და არა სოციალურ გარემოზე და რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შედარებით უპრობლემოა. მიუხედავად იმისა, რომ დაფარულობა გულისხმობს მუდმივ კონტროლსა და გრძნობების შენიღბვას, სექსუალური იდენტობის გამჟღავნებაც შეიძლება სარისკო აღმოჩნდეს. ასეთი პიროვნება შესაძლოა გარიყოს ოჯახმა და მეგობრებმა, მან შეიძლება დაკარგოს სამსახური, შვილის ნახვის უფლება, გახდეს ძალადობის მსხვერპლი.

2002 წელს ინგლისში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გეი მამაკაცი რესპონდენტების უმეტესობას გამჟღავნებული ჰქონდა თავისი სექსუალური იდენტობა მეგობრებთან, მეოთხედს არ ჰქონდა ნათქვამი და-ძმისათვის, სამსახურში და სამეზობლოში, ხოლო მესამედს არ ჰქონდა ნათქვამი მშობლებისათვის. სხვა კვლევის მიხედვით, ლესბოსელი ქალები ხშირად მიაჩნიათ ჰეტეროსექსუალებად და ისინი ამას გარდაუვალ ბოროტებად აღიქვამენ, რომელიც უნდა აიტანო უსაფრთხოების, სამსახურის, რელიგიური მიკუთვნებულობისა და ოჯახის შესანარჩუნებლად.

ბისექსუალი ადამიანების ქამინგ აუთის პროცესს შესაძლოა დამატებითი პრობლემები ახლდეს თან. მათი სექსუალური იდენტობა ხშირად მიიჩნევა, როგორც გარდამავალი სტადია ჰომოსექსუალური იდენტობის აღიარებისაკენ. თერაპევტმა უნდა გაიაზროს, რომ ბისექსუალისთვის ქამინგ აუთი უფრო რთული პროცესია და ბევრმა ბისექსუალმა კლიენტმა შესაძლოა არასოდეს აღიაროს თავი ბისექსუალად.

არსებობს ლგბ იდენტობის განვითარების რამდენიმე მოდელი, თუმცა ყველა მათგანის მინუსია, რომ იდენტობის განვითარებას მარტივ, წრფივ პროცესად მიიჩნევს. მათ უპირისპირდება თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სექსუალობა მკაცრად დაყოფილი კატეგორიებისაგან არ შედგება, რომ ჰომო და ჰეტეროსექსუალობა ერთ სპექტრზე არსებული მოვლენაა. ზოგი თეორია კი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს სექსუალური იდენტობის არსებობას იმ ტერმინების ფარგლებში, რომელიც დღეს არის დამკვიდრებული. მიუხედავად ამისა, შემოგთავაზებთ სექსუალური იდენტობის განვითარების მოდელს, რომელიც აუცილებლად გასავლელ გზად არ უნდა აღვიქვათ. ის შეგიძლიათ სექსუალურ იდენტობის განვითარების ერთ-ერთ ვარიანტად მიიჩნიოთ, რომლის ცოდნაც შესაძლოა კლიენტის პოზიციის გაგებაში დაგეხმაროთ.

სტადია 1: გაუგებრობა იდენტობასთან დაკავშირებით. ჰომოსექსუალობას გააჩნია პიროვნული მნიშვნელობა. იქმნება დისონანსი საკუთარ ჰეტეროსექსუალობასთან, საკუთარი თავის შესაძლო ლგბ ადამიანად აღქმასთან.

სტადია 2: იდენტობის შედარება. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანი ალბათ ჰომოსექსუალია. სოციალური გარიყულობის გრძნობა მატულობს.

სტადია 3: იდენტობის შემწყნარებლობა. მზარდი გაცნობიერება იმისა, რომ ადამიანი ლგბ იდენტობისაა, ამ იდენტობის მიმღებლობის გარეშე. ინდივიდი ეძებს სხვა ლგბ ადამიანებს, მაგრამ ცდილობს ჰეტეროსექსუალად გამოჩნდეს ჰეტეროსექსუალურ კულტურაში.

სტადია 4: იდენტობის მიღება. ეს სტადია საკუთარი სექსუალური იდენტობის პოზიტიურ მიმღებლობას და ლგბ ადამიანებთან უფრო მეტ

სოციალურ ინტერაქციას გულისხმობს. ინდივიდი უფრო გახსნილია საკუთარი იდენტობის შესახებ.

სტადია 5: სიამაყე იდენტობის გამო. ხდება ლგბ კულტურის გაცნობა და მასთან ასოცირება, ასევე დომინანტური, დისკრიმინაციული ჰეტერო-სექსუალური კულტურის მიმართ წინააღმდეგობა. კონსულტანტი კლიენტს სიბრაზესა და ნეგატიურ ემოციებთან გამკლავებაში უნდა დაეხმაროს.

სტადია 6: იდენტობის სინთეზი: სექსუალობა ინტეგრირდება იდენტობის სხვა ფაქტორებთან. ინტერაქციები მოიცავს ჰომო და ჰეტერო-სექსუალ ადამიანებს. ინდივიდის ემოციები სიტუაციის შესატყვისია.

კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ სექსუალური იდენტობის განვითარების ასეთი მარტივი მოდელი არ მოიცავს ყველა ასპექტსა და გზას, თუმცა ის სექსუალური იდენტობის ფორმირების ერთი გავრცელებული ვარიანტის განზოგადებაში გვეხმარება.

დაფიქრდით,

- როგორ ყალიბდებოდა თქვენი სექსუალური იდენტობა?
- რა ბარიერები და რა ხელის შემწყობი ფაქტორები არსებობდა კულტურაში თქვენი სექსუალური იდენტობის განვითარებისას?
- რა დამოკიდებულება გაგაჩნიათ განსხვავებული სექსუალური იდენტობის მქონე ადამიანების მიმართ?
- რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ დამოკიდებულებამ თქვენს პროფესიულ მოღვაწეობაზე?

სოციალური კლასი

სოციალური კლასი შესაძლოა განსაზღვრავდეს, თუ როგორ აღიქვამენ ლგბ ადამიანები თავიანთ სექსუალობას. სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს. მაგალითად, ერთი კვლევის მიხედვით, მუშათა და საშუალო კლასის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარ დისკრიმინაციასა და ძალადობას განიცდიდნენ. მუშათა კლასის წარმომადგენლებს მეტი ძალადობა ჰქონდათ გამოცდილი, ვიდრე საშუალო კლასის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, საშუალო კლასის წარმომადგენლები უფრო ხშირად მიმართავდნენ თერაპიას, ვიდრე მუშათა კლასის წარმომადგენლები, რომლებიც მას არ ენდობოდნენ.

სოციალური კლასი მორალური ღირებულებით დატვირთული კონსტრუქტია. სოციალურად დაუცველი ადამიანები ხშირად ნეგატიურად ფასდებიან. ამ შემთხვევაში დაბალი ფენის ლგბ ადამიანები ორმაგი დისკრიმინაციის წინ აღმოჩნდებიან ხოლმე.

დამატებით, უკეთესი სოციალური სტატუსი ნიშნავს, რომ ადამიანს ხელი მიუწვდება მეტ სერვისზე, განათლებაზე, განვითარებაზე, ასევე სხეულის შეცვლაზე და ჩაცმაზე, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სექსუალურ იდენტობის გამოსახატად.

კვლევების მიხედვით, მუშათა კლასის ლესბოსელი ქალებისათვის ქამინგ აუთის პროცესი მოითხოვს, როგორც ემოციურ, ისე ფინანსურ რესურსებს. ეს ლოგიკურიც არის, რადგან ხშირად, ლგბ ადამიანს უწევს ოჯახის დატოვება და საკუთარი თავის რჩენა, რაც ფინანსურ დამოუკიდებლობას გულისხმობს. ამას ემატება დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას, რაც განსხვავებულ კლასებთან დაკავშირებული განსხვავებული პროფესიით, განათლებითა და სამუშაო გარემოთია გამოწვეული.

დაფიქრდით,

- როგორი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს სოციალურმა გარემომ ლგბ ადამიანზე და რა მოჰყვება ამას?
- რა განსხვავებული პრობლემები შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა სოციალური ფენის ლგბ ადამიანებს?
- რა დამოკიდებულება გაგაჩნიათ სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებისადმი? საშუალო ფენისადმი? უფრო მაღალ სოციალურ პოზიციებზე მდგომი ადამიანებისადმი?
- რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ადამიანის სოციალურმა კლასმა თქვენს დამოკიდებულებაზე და პროფესიულ საქმიანობაზე?

სოციალურ კლასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია:

- როგორ განსაზღვრავს სოციალური კლასი კლიენტის აღქმას, დამოკიდებულებას და რწმენას საკუთარი გენდერის და სექსუალობის მიმართ, როგორ გამოხატავენ ისინი ამას და როგორ უყურებენ მათ იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლები.
- კონსულტანტმა უნდა გაიაზროს საკუთარი სოციალური პოზიცია და ის ფაქტორი, თუ როგორ შეიძლება ამან კლიენტის აღქმაზე მოახდინოს გავლენა; ასევე იმაზე, თუ როგორ აღიქვამს კლიენტი კონსულტანტს.
- გაიგეთ კლიენტის სოციო-პოლიტიკური გარემოს შესახებ და რა გავლენას ახდენს ის კლიენტის გამოცდილებაზე. განიხილეთ ამ გარემოს არა მხოლოდ ზეწოლა, გამოწვევები და პრობლემები, არამედ, არსებული მხარდაჭერის კერები, შესაძლებლობები.
- გაითვალისწინეთ, როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს კლიენტზე კონსულტანტის კლასის გამოხატულებამ და როგორ შეიძლება ამ კლასის

„კოდმა“ (მაგალითად ბრენდული ტანსაცმლის ტარებამ) ხელი შეუშალოს კარგი თერაპიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

- თქვენს კლიენტს შესაძლოა ორმაგი პრობლემები ჰქონდეს, როგორც სექსუალობის, ასევე სოციალური მდგომარეობის გამო.

ასაკი

ლგბ კლიენტის ასაკის გათვალისწინება აუცილებელია. გარდატეხის ასაკი მნიშვნელოვანი მომენტია ლგბ ადამიანების ცხოვრებაში, რადგან ამ დროს სექსუალობა ყურადღების ქვეშ ექცევა.

1998 წელს ჩატარებული ერთი ინგლისური კვლევის თანახმად, სექსუალური იდენტობის თვითაღქმის საშუალო ასაკი 10 , სექსუალური იდენტობის დასახელების ასაკი 14, მეგობრებთან მისი გამჟღავნების საშუალო ასაკი 16, ხოლო ოჯახთან გამჟღავნების საშუალო ასაკი 17 წელია. მონაცემების მიხედვით, წინა თაობებთან შედარებით, ახალგაზრდები უფრო ადრე ახდენენ ქამინგ აუთს ოჯახის წევრებთან. გასათვალისწინებელია, რომ სექსუალური იდენტობის დაფარვამ შესაძლოა შფოთვა, დეპრესია და თვითმკვლელობის მცდელობაც კი გამოიწვიოს.

კვლევების მიხედვით, არაჰეტეროსექსუალი ახალგაზრდები, ჰეტეროსექსუალ ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო მეტად ერთვებიან სექსუალურ აქტივობებში, როგორც ჰომო-, ისე ჰეტეროსექსუალურში. ახალგაზრდა ლგბ პირები უფრო მაღალი ალბათობით ჩაერთვებიან სარისკო სექსუალურ ქცევებშიც, დაუცველი ჰეტეროსექსუალური კავშირის ჩათვლით.

ლგბ ახალგაზრდები ჰეტეროსექსუალ ახალგაზრდებთან შედარებით მეტ დისკრიმინაციას და დაცინვას განიცდიან. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ძლიერი ოჯახური და ინტერპერსონალური კავშირები, ტოლერანტული გარემო, ლგბ ახალგაზრდებს სტრესთან გამკლავებას საგრძნობლად უადვილებს. ერთი კვლევის მიხედვით, ლგბ ახალგაზრდების სუიციდის რისკი სხვა ახალგაზრდებთან შედარებით ორჯერ არის გაზრდილი. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 72-85%, ანუ ლგბ ადამიანების უმრავლესობა სუიციდური არ არის.

ლგბ ახალგაზრდები ჰეტეროსექსუალურ ახალგაზრდებთან შედარებით უფრო ხშირად რჩებიან სახლის გარეშე, დისკრიმინაციის, წინასწარგანწყობებისა და ჩაგვრის გამო. ისინი განიცდიან ემოციურ სტრესს და სოციალურ იზოლაციას, ოჯახისა და მეგობრების მხრიდან დაწუნების გამო. მათ ასევე აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები თავისი სექსუალობის გააზრებასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდებთან შედარებით, უფროს ლგბ ადამიანებს, შესაძლოა სხვა პრობლემებიც ჰქონდეთ. მაგალითად, ზოგიერთი მშობელი მალავდა

საკუთარ სექსუალობას, რადგან შვილებთან სიახლოვის შენარჩუნებას ცდილობდა. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ წარმართული კვლევები მეტყველებს, რომ უფროსი ლგბ ადამიანები კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით, სექსუალურად აქტიურები არიან და სხვებთან კარგი ურთიერთობა აქვთ.

შესაბამისად, სხვადასხვა ასაკის ლგბ ადამიანს სხვადასხვა პრობლემა, პერსპექტივა და ჩივილი ექნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კონსულტანტის მუშაობა გარდამავალ ასაკში მყოფ კლიენტებთან.

დაფიქრდით,

- რატომ არის გარდატეხის ასაკში სექსუალობა ასეთი მნიშვნელოვანი და როგორ გავლენას ახდენს ეს არაჰეტეროსექსუალ ახალგაზრდებზე?
- რამდენად ტოლერანტულები არიან ახალგაზრდები განსხვავებული სექსუალობის ადამიანებისადმი?

ასაკთან მიმართებაში გასათვალისწინებელია:

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ადამიანის ასაკთან დაკავშირებული გამოცდილებები. ადამიანი, რომელმაც თავისი განსხვავებული სექსუალობა 50 წლის წინანდელ ეპოქაში აღმოაჩინა, მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანისაგან, რომელიც ამას თანამედროვე სამყაროში აკეთებს.

- კონსულტანტმა უნდა გაიაზროს, რომ გარდამავალ ასაკში სექსუალობის განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რასაც შესაძლოა ისეთი პრობლემები მოჰყვეს, რომლებიც უფროს ადამიანებს არა აქვთ. ამავე დროს, უფროს ლგბ ადამიანებს თავიანთი ასაკისა და შესაბამისად მდგომარეობით განპირობებული პრობლემური სიტუაციები ექმნებათ.

კონსულტაციის ძირითადი სკოლები

კონსულტირებისა და თერაპიის რამდენიმე წამყვანი სკოლა არსებობს და თქვენ, როგორც კონსულტანტს, მოგიწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, რომელი პარადიგმით მუშაობაა გამართლებული ლგბ ადამიანებთან. რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კვლევა, რომელიც გვაჩვენებს, რა წამყვანი პრობლემები იკვეთება ქართულ რეალობაში და ამ პრობლემებთან გამკლავებაში, რომელი მიდგომაა ყველაზე ეფექტური. ასეთი კვლევის არარსებობის გამო, თერაპევტი გადაწყვეტილებას თავისი განათლებისა და გამოცდილების საფუძველზე იღებს.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში კონსულტაციის სხვადასხვა სკოლებს მიმოვიხილავ, დავასახელებ ამ სკოლის დამაარსებლებს, ჩამოვაყალიბებ

ძირითად თეორიულ დებულებებს და მიმოვიხილავ პრაქტიკას: მიზნებს, მეთოდებს, კლიენტისა და კონსულტანტის დამოკიდებულებას. ბოლოს კი დავსვამ ლგბ ადამიანებთან დაკავშირებულ რამდენიმე კითხვას. მოგიწოდებთ, ამ კითხვებზე პასუხი დაწეროთ, სხვაგვარად გამოვა, რომ უბრალოდ მიმოიხილავთ მეოცე საუკუნის წამყვან ფსიქოლოგიურ მიმდევრობებს, მაგრამ მათ ლგბ საკითხებთან არ დავაკავშირებთ. მხოლოდ მიმოხილვისათვის კი მრავალი უკეთესი წყარო არსებობს.

პიროვნებაზე ცენტრირებული კონსულტირება

ძირითადი დებულებები

1951 წელს როჯერსმა წარმოადგინა პიროვნებაზე ცენტრირებული კონსულტირების თეორია.

დამოკიდებულებების პერცეფციული ანუ სუბიექტური სისტემა

ქცევის განხილვა შესაძლოა გარეთა დამკვირვებლის ან ქცევის განმახორციელებელი ადამიანის კუთხით. დამკვირვებელი ქცევას გარედან დააკვირდება, ხოლო პიროვნება—სუბიექტური ანუ პერცეპტული პერსპექტივით. როჯერსის თანახმად, „ყოველი ადამიანი ცხოვრობს საკუთარ პირად და სუბიექტურ სამყაროში და ყველაზე ობიექტური ფუნქციონირებაც კი, მაგალითად მათემატიკაში, სუბიექტური მიზნისა და არჩევნის შედეგია“ (Нельсон-Джоунс Р. გვ 2). კლიენტის სუბიექტურ, პერცეპტულ დამოკიდებულებაზე დაყრდნობით წარმოიშვა ტერმინი „კლიენტზე ცენტრირებული“. ამ მიდგომაში კლიენტების აღქმა განიხილება, როგორც რეალობის მისეული ვერსია.

აქტუალიზაციის ტენდენცია

ერთადერთი შინაგანი მოტივაციური იმპულსი აქტუალიზაციის ტენდენციაა. ყოველ ორგანიზმს გააჩნია საკუთარი „მე“–ს გაფართოების ტენდენციები.

მე–კონცეფცია

მე–კონცეფცია ეს არის ინდივიდის მიერ აღქმული მე, ანუ ის, რასაც ადამიანი გულისხმობს, როდესაც ამბობს - „მე“. ზოგიერთი ადამიანი მე–კონეფციაში შემდეგ ელემენტებს გულისხმობს: ფიზიკური, სოციალური და სექსუალური სფერო და ემოციები, გემოვნება, ინტელექტუალური საქმიანობა და ღირებულებები. განსხვავებული ადამიანები განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მე–კონცეფციის სფეროებს ან განსხვავებულ სფეროებს აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, ერთი ადამიანისათვის შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ცხვირის ფორმას, მეორისათვის კი ის ყურადღების ღირსიც არ იყოს. მე–კონცეფციების აღწერა ხშირად ხდება საკუთარი თავის

შესახებ დებულებების ჩამოყალიბებით, მაგალითად „მე მიყვარს ნაყინი“, „მე ვნერვიულობ, როდესაც ახალ ხალხს ვხვდები“ და ა.შ.

ღირებულების პირობები

შეფასებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს სხვების აზრი და არა ინდივიდის შეფასების ორგანიზმული პროცესი, ღირებულებების პირობები ეწოდება. ანუ, ადამიანს შეფასების ორი პროცესი გააჩნია: 1. აქტუალიზაციის ტენდენციის ამსახველი ორგანიზმული პროცესი. 2. ღირებულებით პირობებთან დაკავშირებული პროცესი, რომელიც სხვა ადამიანების შეფასებების საფუძველზე გაშინაგნდება და აქტუალიზაციის ტენდენციას აფერხებს.

იმაზე დაყრდნობით, რამდენად ძლიერად სჭირდება პიროვნებას სხვების პოზიტიური დამოკიდებულება, განსხვავებულია ღირებულების პირობები. ზოგიერთი ინდივიდის მე–კონცეფცია ისე ყალიბდება, რომ მიღებული გამოცდილების მაქსიმალურად ზუსტად აღქმა ხდება. თუმცა, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ძალიან ბევრ ღირებულების პირობას ითვისებენ. ღირებულების პირობების მაგალითებია: „ ფულის კეთება მნიშვნელოვანია, მე ამას ვერ ვაკეთებ, ამიტომ მე არასრულყოფილი პიროვნება ვარ“, „სექსუალური ფანტაზიები და ლტოლვა ცუდია, მე არ უნდა მიყვარდეს ჩემი თავი ამ ფანტაზიების გამო“. ღირებულებების პირობების შედეგად, ადამიანები არა მხოლოდ იმას აფასებენ, როგორები არიან, არამედ იმას, თუ როგორები უნდა იყვნენ. შედეგად, ადამიანები უარყოფენ საკუთარ გამოცდილებას და ხშირად კარგავენ თვითპატივისცემას. ადამიანთა უმეტესობა ღირებულებების პირობების გამო ვერ ახერხებს აქტუალიზაციას.

როჯერსის მიხედვით, ფსიქოლოგიური პრობლემები წარმოიქმნება, როდესაც ადამიანების აქტუალიზაცია ორგანიზმულ შეფასებაზე არ არის დაფუძნებული. როდესაც ხდება გამოცდილების უარყოფა, ხდება განსვლა მე–კონცეფციასა და გამოცდილებას შორის. ამას შესაძლოა მოჰყვეს შფოთვა, ან, თუ განსვლა ძალიან დიდია – ფსიქოლოგიური პრობლემები.

პრაქტიკა

პიროვნებაზე ცენტრირებული კონსულტაციის დროს, კლიენტისა და კონსულტანტის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. მთავარი მიზანი სრულყოფილად ფუნქციონირებადი ადამიანია. ეფექტური ქცევისათვის აუცილებელია შემდეგი მახასიათებლები:

1. მიმღებლობა განცდებისადმი. მე–კონცეფცია, რომელიც მიიღებს მთელს სენსორულ გამოცდილებას, ეფექტური ფუნქციონირების საფუძველია. განცდებისადმი მიმღებლობა ნიშნავს, რომ ადამიანს უფრო ფართო

აღქმითი ველი აქვს, ის საკუთარი არჩევნის შესაბამისად მოქმედებს, მზად არის ცვლილებისთვის.

2. რაციონალურობა. განცდების მიმღებლობა ინდივიდებს რაციონალურად მოქცევის საშუალებას აძლევს. თუ ადამიანი აქტუალიზაციის გზაზეა, ის რაციონალურად მოიქცევა.

3. პირადი პასუხისმგებლობა. ადამიანები პასუხისმგებელნი არიან, თუკი თვითაქტუალიზაციას ცდილობენ. როჯერსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზმის შეფასების პროცესს, საკუთარ თავზე და ქცევაზე პასუხისმგებლობის აღებას. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ თვითკონტროლი, თვითგანვითარება და საკუთარი ცხოვრების წარმართვა.

4. თვითპატივისცემა. ეს ადამიანების მე–კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, საკუთარი თავის დიდი მიმღებლობითაც გამოირჩევა. მისი თვითპატივისცემა დაფუძნებულია შეფასების ორგანიზმულ პროცესზე და არა სხვა ადამიანების შექებაზე ან დაკმაყოფილებაზე.

5. კარგი პირადი ურთიერთობის წარმართვის უნარი. ადამიანები, რომლებსაც საკუთარი თავის მიმართ მიმღებლური დამოკიდებულება აქვთ, ნაკლები თავდაცვითი პოზიციით ხასიათდებიან და სხვასთან ურთიერთობა, სხვისი უნიკალობის აღქმა უადვილდებათ.

6. ეთიკური ცხოვრება. ზოგადად ადამიანი ნდობას იმსახურებს. აქტუალიზაციის გზაზე მდგომ ადამიანს სწორი არჩევნის გაკეთება ძალუძს. ეთიკური ადამიანები უფრო შინაგან ავტორიტეტს ენდობიან, ვიდრე გარეგანს, მატერიალურ ღირებულებებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ, ბუნებასთან სიახლოვეს გრძნობენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სულიერ ღირებულებებს.

პიროვნებაზე კონცენტრირებული კონსულტირება არ გულისხმობს გარკვეული მეთოდიკის გამოყენებას; რაც მთავრია, ის არ გულისხმობს რაიმეს გაკეთებას კლიენტის ინტერესებში. ეფექტური კონსულტაცია კონსულტანტისა და კლიენტის ურთიერთობით განისაზღვრება. ამ მიდგომით, კლიენტის აზრებსა და გრძნობებს მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე კონსულტანტის.

კონსულტანტმა კლიენტთან პირდაპირი კონტაქტი უნდა დაამყაროს, მან თავი უნდა აარიდოს ინტელექტუალურ მიდგომას, რომლის დროსაც კლიენტს ექცევიან, როგორც ობიექტს. კონსულტანტები როლს არ თამაშობენ.

კონსულტანტებს ახასიათებთ უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება. როჯერსი იყენებს მშობლის ბავშვისადმი სიყვარულის ანალოგიას, როდესაც მშობელს ბავშვი მისი ქცევის მიუხედავად უყვარს.

რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი დამოკიდებულების საზღვრები. მაგალითად, თუ კლიენტი ფიზიკურად საშიშია კონსულტანტისათვის. ეს არც კლიენტის ყველა საქციელის მოწონებას ნიშნავს. თუმცა, ზოგადად პოზიტიური დამოკიდებულება კონსულტანტის ფილოსოფიაა.

კონსულტანტი ემპათიური უნდა იყოს, ანუ აუცილებელია „კლიენტის შინაგანი სამყაროს ისე აღქმა, ვითომ ეს შენი სამყაროა, მაგრამ ამ „ვითომ“-ის შენარჩუნება – ეს არის ემპათია“ (19 გვ.). კონსულტანტი კლიენტის განცდებისადმი მგრძნობიარე უნდა იყოს. ის უნდა იყოს ტაქტიანი, უნდა ცდილობდეს კლიენტისაგან უკუკავშირი მიიღოს იმის შესახებ, სწორად გაიგო თუ არა კლიენტის აზრი. კონსულტაცია ემოციურად დამუხტულია, ხოლო კონსულტანტი მაქსიმალურად ცდილობს გაიგოს კლიენტის პოზიცია.

დაფიქრდით:

- რა ადგილი შეიძლება ეკავოს სექსუალობას ლგბ ადამიანის მე–კონცეფციაში?
- რა პრობლემებს შეიძლება გადაეყაროს ლგბ ადამიანი აქტუალიზაციის გზაზე? რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მასზე ღირებულების პირობებმა?
- რა შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზმული შეფასების, ანუ საკუთარ გამოცდილებაზე გაკეთებული შეფასების მაგალითად ლგბ ადამიანისათვის?

გეშტალტ კონსულტირება
ძირითადი დებულებები

გეშტალტი

გერმანული სიტყვა გეშტალტი ნიშნავს ფორმას ან ხატს. გეშტალტფსიქოლოგიის მთავარი პოსტულატია, რომ ადამიანის ბუნება ორგანიზებულია მრავალი ხატისა და მთლიანობების ნაკრების სახით და ადამიანური ბუნების არსის გაგება შეიძლება მხოლოდ მისი, როგორც შემადგენელი ელემენტების ფუნქციის განხილვით.

ჰოლისტიკური დოქტრინა

ადამიანის ორგანიზმი მთლიანობაა. გეშტალტფსიქოლოგი პერლსი ეწინააღმდეგებოდა სულისა და სხეულის დაპირისპირებას. ადამიანები ერთიანობას წარმოადგენენ, რომლებიც ფიქრობენ, როლებს თამაშობენ და გარკვეულად იქცევიან. მაგალითად, ქცევების მიხედვით შესაძლოა განვსაზღვროთ ადამიანების აზრები, ხოლო აზრების ცოდნით შეგვიძლია გავიგოთ, რისი გაკეთება სურთ მათ. ანუ, ადამიანებს ორგანიზმები კი არ აქვთ, არამედ თავად არიან ორგანიზმები, რომლებიც გარკვეულ

ქცევებს ასრულებენ და მათი აქტივობების დაყოფა, როგორც ინტელექტუალური და ფიზიკური - არასწორია.

მეორე მცდარი დიქოტომიაა „მე“–სა და გარე სამყაროს შორის დაპირისპირება. ინდივიდი არ არის თავისთავადი, მას მხოლოდ გარემოში შეუძლია ფუნქციონირება. გარემო არ ქმნის ინდივიდებს, ინდივიდები არ ქმნიან გარემოს. ყოველი მათგანი ისეთია, როგორიც არის, რადგან სხვასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ადამიანი ხედავს ხეს; ვერაფერს შეხედავ, თუკი შესახედი არაფერია, მაგრამ რაიმეს შემჩნევა შეუძლებელია, თუკი არ არსებობს თვალი, რომ ის შეამჩნიოს.

ჰომეოსტაზი და წონასწორობა

ყოველი ორგანიზმი მიისწრაფის წონასწორობისაკენ და ეს ტენდენცია წამყვანია. ორგანიზმს მუდამ ემუქრება დისბალანსი, რის გამოც ის წონასწორობიდან გამოდის. ამის მიზეზი კი გარეთა (გარემოს მოთხოვნები) ან შიდა (მოთხოვნილებები) ფაქტორებია. სიცოცხლეს ახასიათებს მუდმივი ცვლილება წონასწორობასა და გაუწონასწორებლობას შორის.

კონტაქტის ზღვარი და კონტაქტი

პერლსის მიხედვით, მე–სა და გარე სამყაროს შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი, რადგან ორგანიზმი და გარემო მუდმივად ზემოქმედებენ ერთმანეთზე. კონტაქტის ზღვარი - ეს არის ზღვარი ორგანიზმსა და გარემოს შორის და ფსიქოლოგიური მოვლენები ამ ზღვარზე ხდება.

ყველა აზრი, გრძნობა და ქცევა კონტაქტის ზღვარზე წარმოიქმნება. ნორმალურად განვითარებული ინდივიდი ან ამყარებს გეშტალტს გარემოსთან, ან კონტაქტის ანულირებას აკეთებს. მარტივად რომ ვთქვათ, ხდება გარემოს მიღება ან მიუღებლობა.

მეობა და თვითაქტუალიზაცია.

მეობა–ეს არის დროის ნებისმიერ მომენტში კონტაქტის ზღვარზე არსებული კონტაქტების სისტემა.

მეობა შედგება კონტაქტის ზღვარზე არსებული იდენტიფიკაციებისა და გაუცხოებისაგან. მაგალითად, ინდივიდები შესაძლოა თავის იდენტიფიცირებას ახდენდნენ საკუთარი ოჯახის წევრებთან, მაგრამ ქვეყნებში მცხოვრები სხვა ადამიანების მიმართ გაუცხოვებას გრძნობდნენ.

პერლსი თვლიდა, რომ ნებისმიერი გარეთა კონტროლი, ისიც კი, რომელსაც ინდივიდი გაიშინაგნებს (ანუ „შენ ეს უნდა გააკეთო“ ხდება „მე ეს უნდა გავაკეთო“), უშლის ორგანიზმის ნორმალურ მუშაობას. მხოლოდ ერთი რამ განაპირობებს კონტროლს, - ეს არის სიტუაცია.

ემოცია

ემოცია დამოუკიდებელია და არ რეგულირდება გამოთქმული მსჯელობებით. ემოციები ერთმანეთს მუდამ მისდევენ, რადგან ადამიანის

ცხოვრების ყველა მომენტს სხვადასხვა ინტენსივობის უსიამოვნო ან სასიამოვნო გრძნობა მოჰყვება.

პრაქტიკა

გეშტალტ კონსულტანტის კლიენტის მოტივებს საკმაოდ ცინიკურად განიხილავდა: „ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მიდის თერაპევტთან, რაღაცას მალავს. მე ვიტყოდი, რომ თერაპევტთან მიმავალი კლიენტების 90% ამას, არა განკურნების მიზნით, არამედ თავისი ნევროზის გასამართლებლად აკეთებს“ (Нельсон-Джоунс Р. გვ. 31). გეშტალტ კონსულტანტის მთავარი მიზანია, დაეხმაროს კლიენტს, არ ეძებდეს მუდმივ მხარდაჭერას გარემოში და დამოუკიდებელ არსებობაზე გადავიდეს.

კლიენტებმა უნდა მიაღწიონ გაგებას, რისთვისაც ის ავტომატური ჩვევები უნდა აღმოაჩინონ, რომლებიც გაგებას ბლოკავს. ამისათვის გამოიყენება გაგების ტექნიკები. კონსულტანტი კლიენტისაგან მოითხოვს, შეიგრძნოს თავი „აქ და ახლა“ და გაიაზროს, რა დარღვევები აქვს კონტაქტის ზღვარზე, თავიდან განიცადოს წარსულში გადაუჭრელი პრობლემები და ტრავმები. პერლსი თვლიდა, რომ მის მიდგომას საფუძვლად მარტივი ფრაზა უდევს – „ახლა მე გავიგე“.

კონსულტანტი კლიენტს სთხოვს, გაიგოს საკუთარი სხეულის ენა, შეიგრძნოს საკუთარი სუნთქვა, ხმის ტემბრი, გააცნობიეროს აკვიატებული აზრები. მაგალითად, პერლსი კლიენტს ეკითხებოდა: „რას აკეთებთ ახლა ფეხებით?“ „გრძნობთ, რომ თვალები დაგისველდათ?“ „გრძნობთ თქვენი სახის გამომეტყველებას?“

ამ ტექნიკის მეშვეობით კლიენტი სწავლობს განცდას – „ახლა“ და თავის მოთხოვნილებებს იცნობს.

კლიენტისადმი სიმპათიის გრძნობა საკმარისი არ არის, რადგან მხოლოდ სიმპათია მავნეა კლიენტისათვის. უნდა მოხდეს ფრუსტრაციისა და სიმპათიის კომბინაცია. კლიენტებმა უნდა შეხედონ საკუთარ ბლოკებს, აკრძალვებსა და რეალობისგან გაქცევის გზებს. პროცესის დასაჩქარებლად, პერლსი იყენებდა ფანტაზიას – ზეპირ, დაწერილ და დრამატულ ფორმაში. მაგალითად, ის კლიენტს ეკითხებოდა: „შეგიძლიათ, აღწეროთ ადგილი, სადაც წასვლას ისურვებდით?“, „წარმოიდგინეთ, რომ ამ ადგილას იმყოფებით, და ის უსაფრთხოა. რას გააკეთებდით აქ?“ „მე რა უნდა გავაკეთო, როდესაც თქვენ დასახელებულ ადგილას ხართ?“.

გეშტალტ თერაპიის დროს გამოიყენება სხვა ტექნიკებიც: „პასუხისმგებლობის ენა“. მაგალითად, გამოთქმა „ამას ვერ ვაკეთებ“, გადაკეთდება ფრაზად: „მე ამას არ გავაკეთებ“; გაგების გამოყენება: გასარკვევია „ახლა“ „რა“ და „როგორ“ და არა „რატომ“; პასიური კითხვების აქტიური კითხვებით შეცვლა. არსებობს მრავალი გეშტალტ თამაში და ექსპერიმენტი, რომელსაც

კონსულტანტი იყენებს, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის. შესაძლოა მათი ჯგუფურად ან ინდივიდუალურად ჩატარება.

„მე მაქვს საიდუმლო“: კლიენტი ფიქრობს ისეთ საიდუმლოზე, რომელიც მასში სირცხვილის გრძნობას იწვევს. კლიენტი არ ამჟღავნებს საკუთარ საიდუმლოს, მაგრამ წარმოიდგენს, როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეთ სხვებს, ამას თუ გაიგებენ.

„მე ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე“: კლიენტს სთხოვენ, ყოველ გამონათქვამს მიაბას ფრაზა „ამაზე პასუხიმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“. მაგალითად, „მე ვიცი, რომ ვამოძრავებ ფეხს და ამაზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“.

დაუმთავრებელი საქმე: კლიენტი ასახელებს რაიმე დაუმთავრებელ საქმეს (მაგალითად, რასაც ადრე მშობლებთან აკეთებდა), და კლიენტს მის დასრულებას სთხოვენ. დაუმთავრებელ საქმეს ხშირად წყენა ახასიათებს.

გეშტალტ თერაპია იყენებს მრავალ ასეთ თამაშს, ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად.

დაფიქრდით:

- რა გარემო ფაქტორები ზემოქმედებენ ლგბ ადამიანზე?
- რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გარემომ ლგბ ადამიანის შინაგან ჰომეოსტაზზე?

რეალიზმი

ძირითადი დებულებები

რეალიზმის კონსულტირებას საფუძვლად კონტროლის თეორია უდევს, რომლის ძირითადი კონცეფციებია:

აქტიური მეტყველება

ქცევის კომპონენტებია: აზროვნება, ქცევის განხორციელება და გრძნობები. ქცევისა და აზროვნების განსასაზღვრად ყოველთვის გამოიყენება ზმნები (მაგალითად დარბის, ფიქრობს), გრძნობების გამოსახატად გამოიყენება ზედსართავები (მაგალითად, მოწყენილი), ან არსებითი სახელები (მაგალითად, დეპრესია). მაგრამ, ადამიანები ირჩევენ არა მხოლოდ აზრებსა და ქცევებს, არამედ გრძნობებსაც. დეპრესია თავად არ ჩნდება – ადამიანები ირჩევენ დათრგუნულობას. ფსიქოლოგ გლასერის მიხედვით, გრძნობებზე საუბრისას ზმნები უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, დეპრესირება, ფობირება. ასეთი აქტიური მეტყველებით, გლასერი ცდილობს აღწეროს ქცევა, რომელსაც ადამიანები ირჩევენ, რათა თავიანთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მართონ სამყარო.

ბაზისური მოთხოვნილებები

ადამიანებს დაბადებისთანავე თანდაყოლილი ბაზისური საჭიროებები მართავს. ქცევა–ეს არის სამყაროს გაკონტროლების მცდელობა ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთანავე, ჩნდება მეორე.

არსებობს ოთხი ფსიქოლოგიური მოთხოვნილება:

1. მიკუთვნებულობის მოთხოვნილება – სიყვარული, ვინმესთან რამის გაზიარება და თანამშრომლობა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება მეგობრების, ოჯახის, ჯგუფებს, კლასის და შინაური ცხოველების მეშვეობითაც კი (ასევე, მაგალითად, უსულო ობიექტებით, როგორიცაა მანქანა ან კომპიუტერი).

2. ძალაუფლების მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება სტატუსის, აღიარებისა და სხვების გამოცდილების გზით. ეს მოთხოვნილება ხშირად მიკუთვნებულობის მოთხოვნილებას უპირისპირდება.

3. თავისუფლების მოთხოვნილება. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის თავისუფლება, როგორ იცხოვრებენ; ან ცხოვრების გარკვეული ასპექტების არჩევა უნდა შეეძლოთ. ადამიანები საკუთარ თავს უნდა გამოხატავდნენ და ურთიერთობდნენ იმათთან, ვისთანაც საქმის დაჭერა უნდათ. ეს მოთხოვნილება შესაძლოა სხვას დაუპირისპირდეს, მაგალითად მიკუთვნებულობის მოთხოვნილებას.

4. ინტერესის (გართობა) მოთხოვნილება. განვითარებული ნერვული სისტემის მქონე ყოველი ცხოველისათვის მნიშვნელოვანია გართობა, რადგან ის მას ეფექტურად სწავლის საშუალებას აძლევს.

მთლიანობითი ქცევა

კონტროლის თეორიის ფარგლებში, ქცევა განიხილება, როგორც ადამიანის მცდელობა, გააკონტროლოს სამყარო, რათა დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. ქცევა მეტია, ვიდრე მოქმედება. მას 4 კომპონენტი ახასიათებს:

1. მოქმედება. აქტიური მოქმედება, მაგალითად სივრცეში გადაადგილება.

2.აზროვნება. ცნობიერი და არაცნობიერი (მაგალითად სიზმარში) აზრების გენერირება.

3. გრძნობა. სასიამოვნო და მტკივნეული გრძნობების სპექტრი.

4. ფიზიოლოგია. ზემოთ აღნიშნულ სამ კომპონენტთან ერთად ჩნდება ფიზიოლოგიური გამოვლინება (მაგალითად გაოფლიანება).

გლასერი ყვებოდა დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი კლიენტის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, კლიენტი თავად თრგუნავდა საკუთარ თავს. მის ქცევაში ოთხი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება:

1. მოქმედება: ერთ ადგილას აპათიური ჯდომა. 2. აზრები: „რა აზრი აქვს რაიმეს გაკეთებას, მაინც ვერაფერს შევცვლი?“ 3. გრძნობა: ტანჯვა 4.

ფიზიოლოგია: ტკივილი მუცელში და უძილობა. რაც უკეთ იგებს კლიენტი, რომ გრძნობის კომპონენტი ოთხიდან მხოლოდ ერთია და რაც უფრო ხშირად იყენებს ადამიანი ზმნებს, როგორიცაა „დეპრესირება“ საკუთარი ქცევის აღსაწერად, მით უკეთ აკონტროლებს ცხოვრებას. ადამიანი, რომელიც აღიარებს, რომ ის დეპრესირდება ან იმას, რომ საკუთარი არჩევანით არის დეპრესიაში, იძულებული ხდება, აღიაროს, რომ შეუძლია სხვა რამის არჩევაც.

ადამიანები, როგორც კონტროლის სისტემები

ყველა ადამიანს სამყაროს კონტროლის ორი მექანიზმი გააჩნია. 1. ყოველი ორგანიზმი ცდილობს, აღიქვას სამყაროში არსებული რამ, რომ უკეთ გაიაზროს, როგორ დაიკმაყოფილოს მოთხოვნები. ეს არის სამყაროს კონტროლის შემავალი განზომილება. 2. ყველა ორგანიზმი ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, რის მეშვეობითაც მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება. ეს კონტროლის გამომავალი განზომილებაა. მაგალითად, მწყურვალე ადამიანი ჯერ უნდა განიცდიდეს წყურვილს და შემდეგ გაიაზროს რომ მისი დაკმაყოფილება წყლის დალევით შეიძლება.

პრაქტიკა

რეალიზმით კონსულტირებისას მყარი წესები არ არსებობს. თუმცა, კონსულტანტს უნდა შეეძლოს, ლოგიკურად ახსნას თავის ქმედებები. გლასერი კონსულტირების ნებისმიერ სახეს სწავლად მიიჩნევდა. რეალიზმით კონსულტირების მთავარი მიზანია, კლიენტს თავისი ცხოვრების ეფექტური კონტროლი ასწავლოს.

კონკრეტული მიზნებია: 1. კონტროლის თეორიის უკეთ ახსნა კლიენტისათვის; 2. კლიენტისთვის მისი ქცევის არჩევნის დანახება და ჩვენება, როგორ ცდილობს ის სამყაროს კონტროლს ასეთი არჩევნით; 3. კონსულტირება, რომელიც ზრდის კლიენტის პასუხისმგებლობას გაკეთებულ არჩევანზე; 4. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალისტური სურათის შექმნა; 6. კლიენტის მიერ ქცევის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შესაბამისი ქცევის არჩევა; 7. ისეთი ქცევის განვითარება, რომელიც დაეხმარება მოთხოვნილებები ახლაც და მომავალში დაიკმაყოფილოს; 8. კლიენტის მიერ გააზრება, რომ იგი არ უნდა მოხვდე სხვა ადამიანების ნეგატიური მაკონტროლებელი ქცევის ქვეშ.

მნიშვნელოვანია ურთიერთობა კლიენტსა და კონსულტანტს შორის. კონსულტანტი უნდა ეცადოს, დაუმეგობრდეს კლიენტს. კონსულტანტს უნდა ჰქონდეს მოთმინების უნარი, უნდა შეეძლოს სხვების გაგება. კარგია, თუ კლიენტი და კონსულტანტი მუშაობისას იყენებენ იუმორს. კონსულტანტი ერთგულია და ცდილობს, არასდროს დაიხიოს უკან.

ის ცდილობს გაიგოს, რა უნდა კლიენტს მოცემულ მომენტში. როდესაც ის კითხულობს: „რა გინდათ?“, ის ცდილობს გაიგოს „რა გინდათ ახლა?“ თუ კონსულტანტი კლიენტისთვის ცვლილების მიღწევას ცდილობს, ის მიუთითებს, რომ შეცვლა მხოლოდ საკუთარი თავის შეიძლება, სხვისი კონტროლი კი - დაუშვებელია.

თერაპიის დროს ხდება იმის გარკვევა, რა ქცევა ხორციელდება ახლა და რამდენად ეფექტურია ის. კონსულტანტები მოქმედებისა და აზროვნების კომპონენტებს აქცევენ ყურადღებას, რადგან მათი შეცვლა ყველაზე იოლია. ისინი კლიენტის ცხოვრებაში ეფექტურად მოქცევის მაგალითებს ეძებენ და ცდილობენ, კლიენტს დაანახონ მისი პოზიტიური თვისებები, განავითარონ ის ადეკვატური ქცევები, რომლებიც კლიენტს უკვე გააჩნია.

თუკი კლიენტი აღმოაჩენს, რომ მისი ახლანდელი ქცევა ვერ აკმაყოფილებს იმას, რაც მას უნდა, კლიენტმა უნდა მონახოს ეფექტური ქცევის გზები. მას სთხოვენ, წარმოიდგინოს, როგორ დააკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, შეადგინოს გეგმები, რომლებიც მოიცავს ქცევის მთლიანობით კომპონენტებს, რომელიც დაკავშირებულია მოქმედებასთან და აზროვნებასთან. გეგმები უნდა იყოს შესრულებადი და მათი შედგენა ხდება კლიენტის მოტივაციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გეგმების ჩამოყალიბებისას, კონსულტანტი სვამს კითხვებს, რომლებიც კლიენტს აიძულებს, დეტალურად აღწეროს თავისი გეგმა.

კლიენტს ასევე ევალება საშინაო დავალებების შესრულება.

კონსულტანტი აქებს იმ კლიენტს, რომელმაც წარმატებით შეასრულა გეგმები. ნებისმიერ ნეგატიურ დებულებას კონსულტანტი განიხილავს, როგორც დასჯას, რაც კლიენტის და კონსულტანტის პროგრესს აფერხებს.

დაფიქრდით:

- რა სირთულეები შეიძლება შეექმნას ლგბ ადამიანს მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მცდელობისას?
- ძალაუფლების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მცდელობისას?
- თავისუფლების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მცდელობისას?
- ინტერესის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მცდელობისას?
- რომელ არაეფექტურ ქცევას შეიძლება ლგბ ადამიანმა მიმართოს მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად?

ეგზისტენციური მიმართულება
ძირითადი დებულებები

ადამიანებს შეუძლიათ არსებობის არჩევა, მაგრამ გავრცელებული კონფორმისტული თუ კოლექტივისტური ტენდენციების გამო, ადამიანები

ითრგუნავენ არსებობის გრძნობას. აუცილებელია მათ ამ სამყაროში თავიანთი არსებობა შეიგრძნონ და დააგროვონ „მე ვარსებობ“ გამოცდილება.

არსებობის 3 ფორმა გხვდება: 1. გარეთა სამყარო, ანუ ბუნებრივი სამყარო, ბუნების კანონები და გარემო. ის გულისხმობს ინსტინქტებს და ბიოლოგიურ მისწრაფებებს, ორგანიზმის ყოველდღიურ ციკლებს. 2. ერთობლივი სამყარო, რომელიც გულისხმობს მსგავს ადამიანებთან სოციალურ ურთიერთობებს ჯგუფებში. როგორც პირადი, ასე ჯგუფური ურთიერთობებისას, ადამიანები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. 3. შინაგანი სამყარო, რომელიც ყოველი ადამიანისათვის უნიკალურია და განაპირობებს თვითშეცნობასა და თვითგაცნობიერებას. ის არის საგნებისა და ადამიანების არსის წვდომის საფუძველი.

არსებობის ეს სამი ფორმა ერთმანეთთან დაკავშირებულია. მაგალითად, სიყვარული მეტია, ვიდრე მხოლოდ გარეთა ან ერთობლივი სამყარო, მისთვის აუცილებელია შინაგანი სამყაროც.

კრიზისის დროს ადამიანი განიცდის შფოთვას, რომელსაც სტრესის დაძლევისა და გამოცდილების გასამდიდრებელ სტიმულად იყენებს. ნევროტული ღელვის დროს, ობიექტურ საფრთხეზე არაადეკვატური რეაქციაა; ამ შემთხვევაში შფოთვა უფრო დამანგრეველია, ვიდრე კონსტრუქციული. ადამიანები საფრთხის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღების საშუალებას კარგავენ.

როგორც შფოთვა, ასევე დანაშაულის გრძნობა ადამიანის არსებობის ნაწილია. არსებობს ეგზისტენციური დანაშაულის გრძნობის სამი ფორმა:

1. შინაგანი სამყაროს შესაბამისი, რომლის შედეგადაც ადამიანი ვერ ცხოვრობს თავისი პოტენციალის შესაბამისად. მაგალითად, ადამიანებს შეუძლიათ, დანაშაული იგრძნონ იმის გამო, რომ საკუთარ თავს ავნეს; 2. ერთობლივი სამყაროს შესატყვისი. მაგალითად, ადამიანი განიცდის, რომ რაღაც დაუშავა ახლობლებს; 3. როგორც გარეგანი, ისე დანარჩენი ორი სამყაროს შესატყვისი, რომლის ობიექტი მთლიანად ბუნებაა.

ეგზისტენციური დანაშაულის გრძნობა უნივერსალურია, ის თავისთავად სახიფათო არ არის, თუმცა, შესაძლოა სტრესის მიზეზი გახდეს.

პრაქტიკა

ეგზისტენციური კონსულტირება უფრო ადამიანის განხილვის მიდგომაა, ვიდრე მკაცრი სისტემა. ზოგადად, ეგზისტენციური კონსულტანტები ყველა ადამიანს უყურებს, როგორც კლიენტს, უბრალოდ როგორც წესი, კლიენტი კონსულტანტთან და სხვებთან შედარებით მეტ პრობლემას აწყდება. ასეთი კონსულტირების მთავარი მიზანია, საკუთარი არსებობის, როგორც რეალობის განცდა.

ეგზისტენციური კონსულტანტები ცდილობენ, კლიენტისადმი მექანიკურ მიდგომას თავი აარიდონ, არ გამოიყენონ სიმპტომატური მკურნალობა. კლიენტი განიხილება, როგორც ინდივიდი და არა ობიექტი. კონსულტანტი ეხმარება კლიენტს, გაიგოს საკუთარი შინაგანი კონფლიქტი, გაიაზროს დაცვის არაადეკვატური მექანიზმები და მათი ნეგატიური შედეგები. მათ შეუძლიათ სხვა კონსულტირების სკოლების მეთოდებიც გამოიყენონ, თუკი ეს მეთოდები ეგზისტენციურ სტრუქტურასთან შესაბამისობაშია.

კონსულტანტი დიდ ყურადღებას აქცევს მასსა და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობას, ის ავთენტური და ერთგულია. ეგზისტენციური კონსულტანტი არ არის ადამიანი, რომელიც უბრალოდ აირეკლავს კლიენტის გრძნობებს, ის ცოცხალი არსებაა, რომელიც ცდილობს, გაუგოს კლიენტს.

როდესაც კლიენტი სიცოცხლის აზრის ნაკლებობას უჩივის, კონსულტანტი გამოიყენებს გარკვეულ მეთოდებს:

პრობლემის გადაჭრა. როდესაც ადამიანი აღიარებს, რომ ვერ პოულობს სიცოცხლის აზრს, ის უშვებს, რომ ასეთი აზრი არსებობს. კონსულტანტი ეხმარება კლიენტს გაიგოს, რომ სიცოცხლეს არა აქვს დამახასიათებელი აზრი, რომ ინდივიდები თავად ქმნიან საკუთარ აზრს.

ასევე, კონსულტანტი ცდილობს, კლიენტი უფრო აქტიურად ჩართოს ცხოვრებაში, რისთვისაც შეისწავლის კლიენტის მიზნებისა და იმედებს, აფასებს კლიენტის უნარს, უყვარდეს და გამოხატოს საკუთარი თავი.

დაფიქრდით,

- რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ლგბ ადამიანს გარესამყაროსთან დაკავშირებით?
- ერთობლივ სამყაროსთან დაკავშირებით?
- შინაგან სამყაროსთან დაკავშირებით?
- როგორ შეიძლება ამ პრობლემების გამო კლიენტმა დაკარგოს სიცოცხლის აზრი, აქტიური არსებობის გრძნობა?

ლოგოთერაპია
ძირითადი დებულებები

თავისუფალი ნება

ლოგოთერაპევტი ფრენკლის მიხედვით, ადამიანებს თავისუფალი ნება გააჩნიათ. მათ არჩევნის ვარიანტებზე დაფიქრება და შეფასება შეუძლიათ. როდესაც ადამიანები თავისი არსებობის სხეულებრივ და ფსიქიკურ განზომილებებზე მაღლა დგებიან, ისინი ახალ განზომილებაში გადადიან, რომე-

ლიც მოიცავს აზროვნებას, ცნობიერებასა და ადამიანისათვის დამახასიათებელ სხვა ფუნქციებს.

სწრაფვა არსის წვდომისაკენ

ადამიანების ფუნდამენტური მოტივაციის წყარო არსის წვდომისაკენ სწრაფვაა. ადამიანს ყველაფრის აზრის გაგება სჭირდება. როგორც ფრენკლიმ საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას აღმოაჩინა, ადამიანებს სჭირდება რაღაც, რისთვისაც ღირს ცხოვრება. ადამიანის არსებობა საფრთხის ქვეშ დგება, თუკი ის სამყაროს ტრანსცენდენციის პოზიციიდან არ უყურებს, არ აღიქვამს მას მოვლენად, რომელიც მისი „მე“-ს გარეთაა.

ლოგოთერაპია კონცენტრირდება არსის წვდომის სწრაფვაზე, რომელიც განსხვავდება თვითაქტუალიზაციისაგან. ფრენკლის მიხედვით, თვითაქტუალიზაცია აზრის წვდომის გვერდითი ეფექტია. ადამიანები მხოლოდ იმ დონემდე შეძლებენ თვითაქტუალიზაციას, რამდენადაც ისინი არსს განახორციელებენ.

ცნობიერება

ლოგოთერაპია ეყრდნობა დაშვებას, რომ ადამიანები სულიერი არსებები არიან, თუმცა სულიერება რელიგიურობას არ ნიშნავს. ლოგოთერაპიის მიზანია, კლიენტმა გაიაზროს საკუთარი სულიერი „მე“, გაიგოს, რა არის მისი ცხოვრების უნიკალური არსი.

სულიერი არაცნობიერი

მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერსა და არაცნობიერს შორის ზღვარი „ფლუიდურია“ (მყარი არაა), ფრენკლი მიიჩნევს, რომ ადამიანის არსებობის სულიერი საწყისი არაცნობიერშია.

ცნობიერი

ცნობიერის საფუძველი არაცნობიერია. ლოგოსი ლოგიკაზე ღრმაა. ეგზისტენციურად ავთენტური გადაწყვეტილებების მიღება არაცნობიერად ხდება. ცნობიერის მეშვეობით, შესაძლებელია არსის უნიკალური შესაძლებლობების გამოვლენა, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში უნდა განხორციელდეს.

თვითტრანცენდენცია

თვითტრანცენდენცია ადამიანის არსებობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ადამიანებს მუდამ უნდათ, საკუთარი თავის საზღვრებს გასცდნენ. ფრენკლის მიაჩნია, რომ ადამიანის მთავარი მოთხოვნილებაა, მონახოს ცხოვრების არსი და არა საკუთარი „მე“. ადამიანები საკუთარ თავზე ზედმეტად არ უნდა კონცენტრირდებოდნენ. თვითტრანცენდენცია ყველაზე ნათლად ჩანს, როდესაც ადამიანები საკუთარ თავს ივიწყებენ.

ფრენკლის მიაჩნია, რომ ტრანცენდენციის მიღწევა სამი გზით შეიძლება: საქმის კეთება, ღირებულების განცდა და ტანჯვა.

არსი მუშაობაში, სამსახური, მთავარი სფეროა, სადაც ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის საზღვრებს იქით გავიდეს. მნიშვნელოვანია, თუ როგორ გამოიყენებს ადამიანი თავის უნიკალურ თვისებებს საქმის შესრულებისას. მაგალითად, ექთანს შეუძლია რეგლამენტირებულ სამუშაოზე მეტი გააკეთოს და პაციენტს თბილი სიტყვა უთხრას. თუკი სამსახური რუტინულია, ადამიანი შემოქმედებითობას თავისუფალ დროს უნდა ეძიებდეს.

არსი სიყვარულში - ფსიქოანალიზისაგან განსხვავებით, ლოგოთერაპია სიყვარულს არ განიხილავს, როგორც სექსის მეორად ფენომენს. სიყვარულს, როგორც ტრანცენდენციის ფორმას, განსხვავებული მახასიათებლები გააჩნია. სიყვარული გულისხმობს სხვა ადამიანის სულიერი ბირთვის გაგებას. უაზრო გატაცება ოშვიათად გრძელდება დიდხანს.

ტანჯვის არსი - ადამიანის ბედის განხილვა ორნაირად შეიძლება: როდესაც შესაძლებელია, უნდა მოხდეს ბედის ფორმირება, როდესაც ეს შეუძლებელია, უნდა მოხდეს მასთან შეგუება. ეს პოზიცია იმ ადამიანების პოზიციის მსგავსია, რომლებსაც უკურნებელი სენი სჭირთ ან საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდნენ (ფრენკლი თავად ჰოლოკოსტის მსხვერპლი გახლავთ). ზოგიერთი ადამიანი ტანჯვის გამო სულიერად იზრდება და მდიდრდება.

ეგზისტენციური ვაკუუმი

ეგზისტენციური ვაკუუმი აღწერს იმ მდგომარეობას, როდესაც ადამიანები შინაგან სიცარიელეზე ჩივიან. ისინი სიცოცხლის უაზრობისგან და სიცარიელისაგან იტანჯებიან.

პრაქტიკა

ლოგოთერაპიული კონსულტაციის მიზანია, კლიენტის კონცენტრაცია იმ არჩევანზე, რომელიც დაეხმარება გაუმკლავდეს ეგზისტენციურ ვაკუუმს. ლოგოთერაპევტები ცდილობენ კლიენტებს მათი სასიცოცხლო ამოცანები დაანახონ და მათ ამოხსნაში გაუძღვნენ. კლიენტებმა უნდა გაიაზრონ თავიანთი პასუხისმგებლობა სიცოცხლის არსის გაგებაში.

ფრენკლი აღნიშნავს, რომ კონსულტირებას გააჩნია „მე-შენ“ ურთიერთობის სტრატეგია. ლოგოთერაპია ვერ იქნება ზედმეტად ინდივიდუალიზებული.

კონსულტაციის დროს ეგზისტენციური ვაკუუმის დიაგნოსტირება ხდება. კონსულტანტი ყურადღებით აკვირდება ვაკუუმის არა მხოლოდ ნათლად გამოხატულ მახასიათებლებს („ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს“), არამედ აპათიას და მოყირჭებასაც, რაც ხშირად შინაგან სიცარიელეზე მიუთითებს. ფსიქოლოგიური „დაავადებები“ მხოლოდ 20%-ში გვხვდება და ფრენკლი ხშირად ამშვიდებს კლიენტებს, რომ მათი

ეგზისტენციური ვაკუუმი ინტელექტუალური სიღრმის მაჩვენებელია და არა ნევროზი.

კონსულტანტი ეხმარება კლიენტს, საკუთარ ცნობიერებას მოუსმინოს, სიცოცხლის არსი აღმოაჩინოს. ფრენკლი ხშირად იმეორებს, რომ არსის მხოლოდ აღმოჩენა შეიძლება და არა - მიღება.

ეგზისტენციური ცნობიერების გაღრმავებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები.

ერთ-ერთია ახსნა. კლიენტებს უხსნიან, რომ სიცოცხლის ხანმოკლეობა მას არსს სძენს, კი არ ართმევს.

ასევე ხდება შედარებების გამოყენება. კლიენტს სთხოვენ, წარმოიდგინოს ცხოვრება, როგორც მოძრავი ნახატები, რომლებსაც კინოფირზე იღებენ. კონსულტანტის შეხსენების შემდეგ, რომ არაფრის ამოჭრა ან შეცვლა ამ ფირზე არ შეიძლება, კლიენტი ხვდება, რომ ცხოვრებას უკან ვერ დააბრუნებ. შეიძლება კლიენტს შესთავაზონ სხვა შედარებაც, წარმოიდგინონ, რომ ის არის სკულპტორი, რომელსაც სკულპტურის შესაქმნელად გარკვეული დრო აქვს, მაგრამ მან არ იცის, როდის ამოიწურება ეს დრო.

შემდეგია არსის გამოვლენა სოკრატესეული დიალოგის მეშვეობით. ფრენკლი იხსენებს შემდეგ მაგალითს: მის კლიენტს სიცოცხლის ხანმოკლეობა აწუხებდა, ფრენკლმა თხოვა გაეხსენებინა ადამიანი, რომელსაც ის აფასებს, კლიენტმა ოჯახის ექიმი გაიხსენა. კითხვების მეშვეობით ფრენკლმა კლიენტს დაანახა, რომ მიუხედავად ექიმის გარდაცვალებისა, მისმა ცხოვრებამ აზრი არ დაკარგა.

დაფიქრდით,

- რა ბარიერები შეიძლება შეექმნას ლგბ ადამიანს საქმიანობისა და სიყვარულის არსის წვდომის პროცესში?
- როგორ შეიძლება ამ პრობლემებმა ხელი შეუწყონ ეგზისტენციური ვაკუუმის ჩამოყალიბებას?

რაციონალურ-ემოციური ბიჰევიორული კონსულტირება

ძირითადი დებულებები

ფსიქოლოგი ელისი თვლის, რომ ყველა ადამიანს 3 ფუნდამენტური მიზანი ამოძრავებს: 1. გადარჩენა 2. ტკივილისაგან გათავისუფლება 3. კმაყოფილება

ადამიანებს შემდეგი სუბ-მიზნები აქვთ - მათ ბედნიერება სურთ:

1. მარტო
2. სხვებთან ერთად
3. ინტიმურად, რამდენიმე შერჩეულ ადამიანთან
4. ინფორმაციისა და განათლების სფეროში

5. პროფესიულად და ეკონომიკურად

6. დასვენებისა და გართობის სფეროში

რაციონალური ცხოვრება გულისხმობს აზროვნებას, გრძნობასა და ქცევას, რომლის საშუალებითაც ადამიანი მიზნების მიღწევას ცდილობს, ხოლო არარაციონალური აზრები, გრძნობები და ქცევა მიზნების მიღწევას ხელს უშლის.

ემოცია, კოგნიცია და ქცევა

1. ემოცია და აზროვნება დაკავშირებულია; 2. ისინი იმდენად ახლოს არის დაკავშირებული, რომ ხშირად ერთმანეთის თანმხლებია, ხშირად ერთსა და იმავეს წარმოადგენს - აზროვნება გარდაიქმნება ემოციად და პირიქით; 3. აზროვნებას და ემოციებს გააჩნიათ შინაგანი დებულებების ფორმის მიღების ტენდენცია. აქედან გამომდინარე, ადამიანის შინაგანმა გამონათქვამებმა შეიძლება წამოიწყოს ან შეცვალოს ემოციები.

გამართლებული და გაუმართლებელი ემოციები

გაუმართლებელი ემოციები ხელს უშლის მოკლე და გრძელვადიან მიზნებს შორის ბალანსის მიღწევას. მაგალითად, გასაგებია, რომ უცხო და რთულ სამყაროში ადამიანი შეშინებული, ფრთხილი და თავდაცვისათვის მზადყოფნაშია. მაგრამ, შფოთვა და ზედმეტი შეწუხება მიუღებელი ემოციებია, რადგან ისინი არარაციონალურ აზროვნებაზეა დაფუძნებული და შესაძლოა, მიზნის მიღწევას ხელი შეუშალოს.

ბიოლოგიური ტენდენციები

ადამიანები ბიოლოგიურად განწყობილები არიან, რომ აუცილებლობითი მოცემულობები (უნდა) განახორციელონ. ეს შინაგან დისბალანსს იწვევს. ადამიანებს დაბადებისთანავე გააჩნიათ შეცდომების ჩადენის ტენდენცია.

კონსულტანტმა უნდა დაარწმუნოს კლიენტი, რომ შესაცვლელად და მიღწევების შესაცნობად აუცილებელია მუდმივი მუშაობა და პრაქტიკა.

პიროვნების ABC თეორია

ელისმა შეიმუშავა ცნობილი ABC პარადიგმა, რომელსაც მერე დაამატა D და E:

A(activating)--ადამიანის ცხოვრებაში არსებული *მააქტივირებელი* მოვლენები

B (beliefs) --რაციონალური და ირაციონალური *რწმენები*

C (consequences)--ემოციური და ქცევითი *შედეგები*

D (disputing)--ირაციონალური მოცემულობების *განხილვა*

E (effective)-- ცხოვრების ახალი, *ეფექტური* ფილოსოფია

როდესაც ადამიანები მააქტივირებელ (A) მოვლენებს განიხილავენ, რომელიც ან ეხმარებათ, ან ხელს უშლით მიზნების მიღწევაში, ისინი აზროვნებენ. აზროვნება გულისხმობს რწმენათა (B) სისტემის უხილავ რეაგირებასა და ემოციებს, რომელთა შედეგადაც გამოვლინდება პრაქტიკულ საქმიანობაზე დამყარებული ქცევითი შედეგები (C).

არარაციონალური აზროვნების ABC მოდელი

როდესაც მიზნების მიღწევას მააქტივირებელი მოვლენები ხელს უშლის, ადამიანები, ცნობიერად ან არაცნობიერად, შესაბამის ან შეუსაბამო ემოციებსა და ქცევებზე დაფუძნებულ ქცევით შედეგს ირჩევენ. თუ ადამიანის ფსიქიკური წონასწორობა დაირღვა, მას ურჩევნია არარაციონალური მოცემულობები.

არარაციონალური რწმენები 4 სახისაა:

1. პირველადი მყარი მოთხოვნების რწმენები: აქ იგულისხმება მააქტივირებელ მოვლენასთან დაკავშირებული მრავალი მოთხოვნა და ბრძანება, რომლებიც გამოხატულია მოთხოვნების სხვადასხვა ფორმით: „უნდა“, „საჭიროა“, „აუცილებელია“, მაგალითად: „მე უნდა ვიყო წარმატებული და სხვა ადამიანებმა უნდა მოიწონონ ყველა ჩემი ქცევა“, „სხვები ჩემს მიმართ თავაზიანნი და ყურადღებიანნი უნდა იყვნენ“, „ჩემი ცხოვრების პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ ფაქტიურად ყველაფრის მიღება შემეძლოს, თანაც სწრაფად და მარტივად“

2. პირველადი მყარი მოთხოვნების რწმენების წარმოებულები: მოთხოვნების სქემაზე დაყრდნობით, ადამიანები არარეალისტურ და მეტის-მეტად განზოგადებულ დასკვნებს აკეთებენ და არარაციონალური რწმენების ჩამოყალიბება ხდება, მაგალითად, შიში, კომშმარი – „თუ ჩემს მიზნებს ვერ მივაღწევ, როგორც ეს საჭიროა, ეს საშინელება იქნება!“; მე ამას ვერ ავიტან—“ვერ გადავიტან, თუკი ჩემს მიზნებს ვერ მივაღწევ, როგორც ეს საჭიროა,!“; საკუთარი არარაობის განცდა და სიძულვილი – „თუ ჩემს მიზნებს ვერ მივაღწევ, როგორც ეს საჭიროა, გამოვა, რომ მე ვარ სულელი, ვერაფრის გამკეთებელი ადამიანი“; მუდმივი წარუმატებლობის წინასწარმეტყველება – „თუკი ვერ მივაღწევ ჩემს მიზნებს, როგორც ეს საჭიროა, ვერასდროს მივიღებ იმას, რაც მინდა და მხოლოდ იმას მივაღწევ, რაც არ მინდა, ახლა და მომავალშიც“.

3. მეორადი მყარი მოთხოვნების რწმენები: როგორც კი ადამიანები გრძნობენ, რომ პირველადი მყარი მოთხოვნილებების რწმენების გამო უბედურნი არიან, ისინი საკუთარ უბედურებას ამართლებენ და თავს იმით იუბედურებენ, რომ უბედურნი არიან. მაგალითად:

პირველადი

მააქტუალიზებელი მოვლენა: დღეს ცუდად ვიმუშავე.

პირველადი მყარი მოთხოვნა: ეს საშინელებაა! მე ხომ ყოველთვის წარმატებული უნდა ვიყო!

პირველადი მყარი მოთხოვნების რწმენების წარმოებულები: მე ვარ გაღიზიანებული, დათრგუნული და ვგრძნობ, რომ არაფრად ვღირვარ.

მეორადი

მააქტუალიზებელი მოვლენა: მე ვარ გაღიზიანებული, დათრგუნული და ვგრძნობ, რომ არაფრად ვღირვარ.

მეორადი მყარი მოთხოვნების რწმენები: მე ხომ არ უნდა ვგრძნობდე თავს გაღიზიანებულად, დათრგუნულად ან არაფრის მაქნისად, ეს საშინელებაა არაა?!

მეორადი მყარი მოთხოვნების რწმენების წარმოებული: თავს კიდევ უფრო გაღიზიანებულად, დათრგუნულად ან არაფრის მაქნისად ვგრძნობ.

ადამიანები ხშირად ღელავენ თავისი აღელვების გამო, განიცდიან დეპრესიას დეპრესიის გამო და ა.შ.

პრაქტიკა

ამ მიდგომის 2 მთავარი მიზანია: 1. ემოციური ბლოკებისაგან და აშლილობებისაგან გათავისუფლება; 2. უფრო ფუნქციური, თვითაქტუალიზებული და ბედნიერი ცხოვრება. კონსულტანტის მიზანია, კლიენტს დაეხმაროს ღრმა ფილოსოფიური ცვლილებების მოხდენაში, კოგნიციის, ემოციის და ქცევის ცვლილებაში. ელისის მიხედვით, „ელეგანტური“ ცვლილება მხოლოდ სიმპტომის დაძლევას არ გულისხმობს. მისი მიზანია, შეამციროს კლიენტის შესაძლებლობა და თავად დაარღვიოს სულიერი ბალანსი.

კლიენტი კონსულტანტს ყოველკვირეულად ხვდება. ელისის სეანსები 30 წუთს გრძელდებოდა. სულ კლიენტთან 5-50 სეანსი ტარდებოდა.

კონსულტანტები უფრო აქტიურად არიან ჩართულები საუბარში (განსაკუთრებით დამწყებ სეანსზე), ვიდრე კლიენტები. ისინი კლიენტს მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ ამყარებენ ისინი საკუთარ უბედურებას. დისკუსიის მეშვეობით, კონსულტანტები კლიენტებს უმტკიცებენ, რომ ისინი არალოგიკურად აზროვნებენ, და საკუთარი აზროვნების არალოგიკურობის აღქმაში ეხმარებიან. მაგრამ, მხოლოდ აღმოჩენა/აღქმა არ კმარა. კლიენტისა და კონსულტანტის ერთობლივი ძალებით მათი დაძლევა ხდება. ამისათვის ყველაზე ხშირად დისკუსიის ტექნიკა გამოიყენება.

უმეტეს შემთხვევაში კონსულტანტი „გამოიჭერს“ კლიენტს, როდესაც ის არარაციონალურ იდეებსა და მათ წარმოებულებს „გასცემს“. შემდეგ, კონსულტანტი ეჭვქვეშ აყენებს ამ იდეებს. ამის გარდა, ის კლიენტს ასწავლის თავისი რწმენების შეფასებას. ამისათვის უამრავი ტექნიკა გამოიყენება, მაგრამ მთავარი მაინც ენერგიული დისკუსიაა.

კონსულტანტს ხშირად უწევს, კლიენტს არგუმენტების მეშვეობით დაანახოს მისი ლოგიკის სუსტი მხარეები. უენერგიო ან რბილი დისკუსია საკმარისი არ არის.

ასევე საინტერესოა ერთ-ერთი ტექნიკა, რომლის დროსაც კონსულტანტი კლიენტს სთხოვს, წარმოიდგინოს მააქტივირებელი მოვლენის (A) ყველაზე საშინელი შედეგი (პირველადი მოთხოვნა რწმენა). მაგალითად, კლიენტმა შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ის არ მიიღო იმ ადამიანმა, რომლის აზრიც მისთვის მნიშვნელოვანია. კლიენტს სთხოვენ, შეინარჩუნოს თავისი უარყოფითი გრძნობები რამდენიმე წუთის განმავლობაში. შემდეგ, კლიენტმა უნდა შეცვალოს ამის შედეგად გამოწვეული გადამეტებული ნეგატიური ემოციები (მეორადი მოთხოვნა რწმენა) უფრო ადეკვატური ნეგატიური ემოციებით. ამისათვის კლიენტი საკუთარ თავს უმეორებს კონკრეტულად ჩამოყალიბებულ, წინასწარ შემუშავებულ დებულებებს, მაგალითად, „დიახ, ის მე ნამდვილად უსამართლოდ მომექცა და მე არ მინდა, რომ ასე მექცეოდეს. მაგრამ არ არსებობს იმის მიზეზი, რომ ის სამართლიანად მექცეოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკეთესი იქნებოდა“. კლიენტი წარმოდგენებისა და რაციონალური დებულებების გამოყენებაში უნდა გავარჯიშდეს, სანამ შეუსაბამო გრძნობას შესაბამისით არ შეცვლის.

მნიშვნელოვანია, რომ კონსულტანტი კლიენტს უპირობოდ იღებს, რის შედეგადაც კლიენტმა იცის, რომ მას მხარს უჭერენ, თავისი უარყოფითი მხარეების მიუხედავად. იუმორის გონიერი (!) გამოყენება კონსულტანტს კლიენტისთვის მისი არარაციონალური იდეების აბსურდულობის დანახვების საშუალებას აძლევს.

დაფიქრდით,

- როგორი რწმენები შეიძლება განვითარდეს შემდეგი დასახელებული მოვლენის შედეგად?

A—მას შემდეგ, რაც მეგობრებს გავუმხილე, რომ გეი ვარ, ისინი აღარ მეკონტაქტებიან

პირველადი

პირველადი მყარი მოთხოვნა :

პირველადი მყარი მოთხოვნების რწმენების წარმოებული:

მეორადი

გამააქტიურებელი მოვლენა (უნდა ემთხვეოდეს პირველადი მოთხოვნების წარმოებულს):

მეორადი მყარი მოთხოვნების რწმენები:

მეორადი მყარი მოთხოვნების რწმენების წარმოებული:

- რა არარაციონალური რწმენები გამოჩნდა კლიენტის აზროვნებაში?
- როგორ დავანახოთ მას ეს არარაციონალური რწმენები ისე, რომ კლიენტს არ ეწყინოს, გვენდოს, დაინახოს თავისი შეცდომები და მოუნდეს მათი გამოსწორება (რწმენის იდენტიფიკაცია)?
- რა სავარჯიშოების მეშვეობით შეგვიძლია დავეხმაროთ კლიენტს შეცვალოს თავისი არარაციონალური რწმენები (რწმენის შეცვლა)?

კოგნიტური კონსულტირება
მთავარი დებულებები
კოგნიტური სქემები

კოგნიტური ფსიქოლოგის ბეკის მიხედვით, სქემები შედარებით მყარი კოგნიტური მოდელებია, რომლებიც რწმენების მეშვეობით გავლენას ახდენს იმაზე, როგორ ახარისხებენ ადამიანები შემოსულ მონაცემებს. ბეკი თვლიდა, რომ ადამიანები თავიანთი გამოცდილების შეფასებასა და კლასიფიკაციას სქემების მეშვეობით აკეთებენ.

არსებობს 5 ტიპის სქემა:

1. კოგნიტური სქემა: გულისხმობს აბსტრაგირებას, ინტერპრეტაციას, გახსენებას. საკუთარი თავისა და სხვების შეფასებას;
2. ემოციური სქემა: პასუხისმგებელია გრძნობების აღმოცენებაზე;
3. მოტივაციური სქემა: დაკავშირებულია მისწრაფებასთან და სურვილთან;
4. ინსტრუმენტული სქემა: ამზადებს ადამიანებს ქცევისათვის;
5. კონტროლის სქემა: მოიცავს თვითკონტროლისა და საკუთარი ქცევების მართვის უნარს.

მას შემდეგ, რაც ადამიანი სტიმულებს აღიქვამს, ხდება მათი გარჩევა, რის დროსაც ამ მონაცემების შეფასება იცვლება ემოციისა და მოტივაციის ფორმირებით, შემდეგ კი შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებითა და განხორციელებით. მაგალითად, საშიშროების სტიმულის დროს, ირთვება „საშიშროების სქემა“, იწყება ინფორმაციის გადამუშავება. ადამიანი კოგნიტურ სქემას იმისათვის იყენებს, რომ სტიმულის საშიშროება შეაფასოს; შემდეგ ემოციური სქემის აქტივაცია ხდება, იწყება შფოთვა. ეს ააქტიურებს მოტივაციურ სქემას, რომელიც ადამიანს უბიძგებს გაიქცეს, რაც თავის მხრივ უბიძგებს ინსტრუმენტულ ქცევას, რომელიც აუცილებელია სირბილისათვის. შემდეგ, ადამიანი კონტროლის სქემას იყენებს, რომ ან შეაჩეროს სირბილი ან გაქცევის მიმართულება აირჩიოს.

ავტომატური აზრები

ავტომატური აზრები, რომლებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე ცნობიერი აზრები, ირეკლავს სქემების შინაარსს - ანუ უფრო ღრმა რწმენებ-

სა და დაშვებებს. ნორმალური ფუნქციონირების დროს, თვითშეფასება ასე თუ ისე, ავტომატურად მიმდინარეობს და ადამიანები განაგრძობენ დასახული კურსით მოძრაობას; პრობლემების დროს, ზოგიერთი ავტომატური აზრი ადამიანებს ამ კურსით მოძრაობაში ხელს უშლის.

კოგნიტური შეცდომები

დისფუნქციური დაშვებები, კოგნიტურ სქემაში სისტემატური კოგნიტური შეცდომების წარმოქმნის მიზეზია (ეს შეცდომები ყველაზე უკეთ ავტომატური აზრების ანალიზის დროს ჩანს). შეცდომების სახეებია:

1. თვითნებური დასკვნა. გარკვეული დასკვნების გამოტანა მაშინ, როდესაც არ არსებობს მათი დამადასტურებელი მტკიცებულება, ანდაც საერთოდ რეალობა ამ დასკვნას ეწინააღმდეგება. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ „მსუქანია“, როდესაც მისი წონა ნორმას არ აღემატება.

2. არჩევითი აბსტრაგირება. ამ დროს ადამიანი ყურადღებას აქცევს კონტექსტიდან ამოვარდნილ დეტალს და იმავდროულად ყურადღებას არ აქცევს სხვა, უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას. მაგალითად, ადამიანი, რომელიც იწყებს ეჭვიანობას, როდესაც მისი პარტნიორი თავს ხრის მოსაუბრისკენ, რათა უკეთ გაიგოს მისი ნათქვამი.

3. განზოგადება. რამდენიმე იზოლირებული შემთხვევის საფუძველზე საერთო წესის გამოყვანა. მაგალითად, ცუდი პაემანის შემდეგ ადამიანი ასკვნის: „ყველა მამაკაცი/ქალი ერთნაირია. მე არავის მოვეწონები“

4. გაზვიადება ან ნაკლები მნიშვნელობის მიცემა. არასწორი შეფასება, კონკრეტული მოვლენის შეფასება, როგორც ბევრად უმნიშვნელო ან მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე ის არის. მაგალითად, სტუდენტი, რომელსაც ეშინია, რომ ოდნავაც თუ ინერვიულებს, აუცილებლად ჩაიჭრება გამოცდაში.

5. პერსონალიზაცია. ადეკვატური მტკიცებულებების გარეშე გარეთა მოვლენების საკუთარ თავთან დაკავშირების ტენდენცია. მაგალითად, ადამიანი ხედავს, რომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიმავალი მისი მეგობარი მას ვერ ამჩნევს და ასკვნის: „ალბათ რამე ვაწყენინე და ამიტომაც არ მომესალმა“.

6. დიქოტომიური აზროვნება. პოლარიზებული, მაქსიმალისტური აზროვნება. მაგალითად „გოგოები ან უმწიკვლოები არიან, ან გარყვნილები“.

7. გვირაბული ხედვა. დაკავშირებულია არჩევით აბსტრაქციასთან. ადამიანები მხოლოდ იმას იხსენებენ, რაც მათ განწყობას შეესაბამება. მაგალითად, გულნატკენი ადამიანი, რომელიც ვერ იხსენებს რაიმე პოზიტიურს, რომელიც მისთვის მის პარტნიორს გაუკეთებია.

8. მიკერძოებული ახსნა. თუ ურთიერთობა ადამიანებს ტკივილს აყენებს, ისინი ერთმანეთს აწერენ უარყოფით გრძნობებს, აზრებსა და ქცევას.

მაგალითად, მოსწავლე, რომელიც მასწავლებლის მიერ გაკეთებულ ცუდ აკადემიურ შეფასებას მასწავლებლის ცუდი ხასიათით ხსნის.

9. უარყოფითი იარლიყების მიმაგრება. ეს შეცდომა მიკერძოებული ახსნის საფუძველზე ხდება. ხშირად, გაბრაზებული პარტნიორები ერთმანეთის ქცევას კრიტიკულ იარლიყებს აწებებენ, მაგალითად „ის უყურადღებოა“ და ამ იარლიყებზე ისე რეაგირებენ, თითქოს ისინი რეალური მახასიათებლების მატარებელნი არიან.

10. აზრების წაკითხვა. პარტნიორს ჰგონია რომ: „მე შემიძლია ჩემი პარტნიორის აზრების კითხვა“ ან „ჩემს პარტნიორს უნდა შეეძლოს ჩემი აზრების გამოცნობა“.

11. სუბიექტური არგუმენტირება. საფუძვლად მცდარი დაშვება უდევს: თუკი ადამიანი განიცდის ძლიერ ემოციას, ეს ემოცია გამართლებულია.

პრაქტიკა

კოგნიტური კონსულტირების მიზანია, კლიენტმა თავიდან აამოქმედოს რეალობის შეფასების სისტემები. ამ მოდელის მიხედვით, კლიენტს დაკარგული აქვს დისფუნქციური ინტერპრეტაციების შეფასების საშუალება. კონსულტანტი კლიენტს ასწავლის, როგორ უნდა შეასწოროს კოგნიტური გადამუშავების შეცდომები და გაამყაროს დაშვებები, რომლებიც სიტუაციასთან გამკლავებაში ეხმარებიან. კონსულტანტის საბოლოო მიზანია, კლიენტის სისტემატური წინასწარგანწყობების აღმოფხვრა.

კონსულტანტი კლიენტს ასწავლის:

1. უარყოფითი ავტომატური აზრების კონტროლს;

2. კოგნიციას, ემოციასა და ქცევას შორის არსებული კავშირების გაგებას;

3. კოგნიტური აზრებისა და მათი მხარდამჭერი ან უარმყოფელი არგუმენტების შესწავლასა და შეფასებას;

4. წინასწარგანწყობებზე დაფუძნებული კოგნიციების რეალისტურ ინტერპრეტაციებად შეცვლას;

5. ისეთი დებულებების იდენტიფიცირებას და ცვლილებას, რომელიც გამოცდილების არასწორ აღქმას უწყობს ხელს.

კოგნიტური კონსულტირება სტრუქტურიზებული და მოკლევადიანია. „მკურნალობის“ სტანდარტული სქემა 12 კვირის განმავლობაში ჩატარებულ 15-20 სესიას მოიცავს. სესია, როგორც წესი, 45 წუთი გრძელდება.

პირველი ინტერვიუს დროს, კონსულტანტის მიზნებია: ურთიერთობის დაწყება, კოგნიტური კონსულტირების არსის ახსნა, სიმპტომების გამოვლენის შემცირება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება. კონსულტანტები იწყებენ პრობლემების გამოვლენას, რასაც მოჰყვება ფუნქციური

და კოგნიტური ანალიზი. ანუ ხდება შემდეგი ინფორმაციის გაგება „პრობლემის რომელი კომპონენტებია მთავარი?“, „როგორ ვლინდება პრობლემა?“, „რამდენად ხშირად მეორდება პრობლემა?“, „როგორია შედეგები?“. კოგნიტური ანალიზის დროს, კონსულტანტი განსაზღვრავს, რამდენად აკონტროლებს კლიენტი მის აზრებსა და ემოციებს, რაც კონსულტანტს პრობლემებისა და მათი შედეგების პროგნოზირებაში ეხმარება.

„მკურნალობის“ პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, კონსულტანტი და კლიენტი პრობლემების სიას ადგენენ.

ბეკს მიაჩნია, რომ მისი სტილი როჯერსის სტილის მსგავსია. კონსულტანტი კლიენტს პატივისცემით ეპყრობა, უხსნის, როგორც მთლიანი პროცესის, ისე ყოველი მეთოდის არსს.

კოგნიტური კონსულტანტი თერაპიული სეანსის დროს აქტიურ როლს თამაშობს. ის კლიენტის გააქტიურებასაც ცდილობს. კლიენტის ყველა კოგნიცია განიხილება, როგორც გადასამოწმებელი ჰიპოთეზა. კონსულტანტი და კლიენტი თანამშრომლობენ და ცდილობენ კლიენტის კოგნიციების გასამყარებელი ან უარმყოფელი მტკიცებულების განხილვას. კლიენტის ნათქვამზე დაყრდნობით, კონსულტანტი ჰიპოთეზას იმუშავებს, რომელიც კლიენტს ეხმარება, იდენტიფიცირება გაუკეთოს კოგნიტურ შეცდომებსა და მათ საფუძვლად არსებულ წინასწარგანწყობებს.

კოგნიტური კონსულტაციის წამყვანი მეთოდია სოკრატეს სტილის დიალოგი, რომელიც თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობს და მიზნად ავტომატური აზრების გამოვლენას ისახავს. ტიპიური კითხვებია: „რა ამტკიცებს ამას?“ „რა არის ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს?“ „რა ვისწავლე ამ გამოცდილებიდან გამომდინარე?“

სხვა ტექნიკები მოიცავს: გამონათქვამების დაფაზე ჩაწერა (რათა კლიენტებმა დაინახონ თავიანთი აზრები და გარისკონ უფრო ღრმად ჩამალული აზრების გამოხატვაც); კლიენტისთვის მოწოდება, დაკავდეს იმით, რაც მას აშინებს, და როდესაც კლიენტი ამ ქცევას ახორციელებს, კითხვა: „რა ხდება თქვენს ცნობიერებაში ახლა?“; კონსულტანტის მიერ ყველაზე ხშირი კოგნიტური შეცდომების იდენტიფიკაცია; დეკატასტროფირება – კონსულტანტი სვამს კითხვას: “ეს თუ მოხდება, რა იქნება?“, ხდება სიტუაციის წარმოქმნის ანალიზი, განიხილება კლიენტის ამ სიტუაციასთან გამკლავების უნარი, მხარდამჭერი ფაქტორების არსებობა, კლიენტის მიერ უარყოფითი შედეგის მიმართ მიმღებლობის უნარი.

დაფიქრდით,

- რა კოგნიტური შეცდომები შეიძლება გააკეთოს ლგბ კლიენტმა თავისი სექსუალობის შესახებ:

1. თვითნებური დასკვნა:
2. არჩევითი აბსტრაგირება:
3. განზოგადება:
4. გაზვიადება ან ნაკლები მნიშვნელობის მიცემა:
5. მიკერძოებული ახსნა:

- აირჩიეთ ერთ-ერთი და შეეცადეთ გააანალიზოთ, რა მხარდამჭერი და უარმყოფელი არგუმენტების მოყვანა შეიძლება ამ შეცდომის გამყარებისა და უარყოფის მიზნით? რომელია უფრო ლოგიკური?

განხილული მასალიდან, ნათელია, რომ არსებობს კონსულტაციის მრავალი მიდგომა და თქვენ მოგიწევთ იმისა გადაწყვეტა, რომელი უკეთ შეესაბამება თქვენს მსოფლმხედველობას, სტილს, ცხოვრებისადმი მიდგომას და რომელია უფრო ეფექტური ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის დროს. შესაძლოა, პროცესს ჰოლისტიკურადაც მიუდგეთ და იმის მაგივრად, რომ ერთ სკოლას გაჰყვეთ, რამდენიმე მიმდევრობა გააერთიანოთ. ამ შემთხვევაში, თქვენ ორი ვარიანტი გაქვთ: გამოიყენოთ მხოლოდ მეთოდიკა ან გააერთიანოთ, როგორც მეთოდები, ისე თეორია. საბოლოო ჯამში, ჰოლისტიკური მიდგომა ყველაზე ეფექტურია, რადგან, რაც ერთი პრობლემის დროს ეფექტურია, მეორე ტიპის პრობლემის დროს ვერ გამოგვადგება.

ასეთ მიდგომას თავისი საფრთხეები გააჩნია. პირველი საფრთხე ზედაპირულობაა. ერთი სკოლის საფუძვლიანად შესწავლაც კი რთულია, მით უმეტეს, თუნდაც 3 მათგანის კარგად გარჩევა, ფილოსოფიისა და პრაქტიკის გააზრება. მეორე კი შეუთავსებლობის პრობლემაა. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ გავაერთიანოთ ისეთი თეორიები, რომლებიც სინამდვილეში ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მაგალითად, გეშტალტ ფსიქოლოგიის ჭრილში, კლიენტისა და კონსულტანტის ურთიერთობა ძალიან განსხვავდება კლიენტისა და კონსულტანტის ურთიერთობისაგან ლოგოთერაპიის დროს.

თუკი გაინტერესებთ 3 სხვადასხვა მიდგომის ერთმანეთთან შედარება, აკრიფეთ youtube-ის საძიებო გრაფაში three approaches to psychotherapy და შეგიძლიათ იხილოთ როგორ გადის ერთი და იმავე კლიენტი კონსულტაციას სამი მიდგომის დამფუძნებელთან: როჯერსთან, ელისთან და პერლსთან.

რომელი მიმდინარეობაც არ უნდა აირჩიოთ, ყოველი მათგანი გულისხმობს ინტერვიუს ჩატარებას და ზოგადად, არსებობს კონსენსუსი, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი განხორციელება.

მაგალითად, ყველა ეს მიდგომა გულისხმობს, რომ კონსულტაციის შედეგად უნდა მოხდეს ცვლილება, იქნება ეს ქცევის, კოგნიციის, ემოციისა თუ ცხოვრების ფილოსოფიის ცვლილება. კლინიკური ინტერვიუ არ

ტარდება საუბრის მიზნით. ის ფუჭი ჭორაობა არ არის. კლინიკური ინტერვიუ ყოველთვის ემსახურება 1. ინფორმაციის მოგროვებას 2. პრობლემის გამოკვეთას 3. გადაჭრის გზების დასახვას 4. განხორციელებასა და მონიტორინგს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, როგორ ხდება ეს ყველაფერი, ვინ განსაზღვრავს პრობლემას, მიზანს, რა არის მიზანი, როგორ ხდება პრობლემის გადაჭრის მონიტორინგი და ასე შემდეგ.

კლინიკური ინტერვიუს ჩატარებისას, ყურადღება კლიენტის ცხოვრების მრავალ ასპექტს ექცევა. რადგან თქვენი კლიენტი ლგტ თემის წევრია, არ ნიშნავს, რომ მას რაღაც განსაკუთრებული „ლგბ პრობლემები“ ექნება. ისევე როგორც ნებისმიერ კლიენტს, გარკვეული ჩივილები ექნება. ეს მიზეზები კი შესაძლოა მისთვის განსხვავებული იყოს, ნაშრომის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ფაქტორების გამო.

ხშირად, კონსულტანტს გააჩნია წინასწარ შემუშავებული სქემა, რომლის მიხედვითაც ის კლიენტს აფასებს და ეს შეფასება მრავალ სფეროს მოიცავს. შესაძლებელია, შეფასების დროს, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი შეფასება ხდებოდეს. შეფასებისათვის შესაძლოა გამოიყენებოდეს სხვადასხვა ტესტები ან მეთოდები. პირველი სესიის დროს კონსულტანტი შესაძლოა აფასებდეს: სოციალურ სტრესს, თვითშეფასებას, შფოთვას, დეპრესიას, სოციალურ ურთიერთობებს, დამოკიდებულებას სასწავლო დაწესებულებებისადმი, ურთიერთობას მშობლებთან, ინტერპერსონალურ ურთიერთობას, გარეგნობასა და მრავალ სხვას.

კონსულტანტი არ განსჯის კლიენტს, ის არის ემპათიური და მუშაობისას პატივს სცემს კლიენტის ავტონომიასა და გადაწყვეტილებებს. კლინიკური ინტერვიუს დროს, ხშირად ხდება შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

1. ღია შეკითხვები: ღია შეკითხვები ხელს უწყობს კლიენტთან თანამშრომლობას და მიმღებლობით ატმოსფეროს ამკვიდრებს. მაგალითად, დასაწყისში კონსულტანტმა შეიძლება დასვას კითხვა: „რამ მოგიყვანათ ჩემთან?“ და კლიენტის შესახებ რამდენიმე ღია შეკითხვა მოაყოლოს.

2. რეფლექტური მოსმენა. რეფლექტური მოსმენის მიზანია, კლიენტის მონაყოლის აზრის გაგება. კონსულტანტი უსმენს კლიენტს და შემდეგ აკეთებს მოკლე განცხადებას, რომელსაც კლიენტი დაეთანხმება, შეასწორებს ან თავის ისტორიას უფრო ვრცლად განიხილავს.

3. კლიენტის ჩივილის მხარდაჭერა. კონსულტანტმა მხარი უნდა დაუჭიროს კლიენტს, როდესაც ის თავის ისტორიას ყვება. კლიენტის გულწრფელი საუბარი უნდა დაფასდეს.

4. შეჯამება. შეჯამების მეშვეობით, კონსულტანტი კრავს კლიენტის გამონათქვამებს და საკუთარი დასკვნების სისწორეს ამოწმებს. მაგალითად

კონსულტანტს შეუძლია თქვას: "როგორც გავიგე, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ..." და პერიფრაზი გაუკეთოს კლიენტის ნათქვამს.

და ბოლოს...

შეჯამების სახით ვიტყვი, რომ ნებისმიერი კლიენტი იმსახურებს პატივისცემას, მოსმენასა და საუკეთესო პრაქტიკას. ამის გაკეთება კი იოლი არ არის: კონსულტანტმა კარგად უნდა იცოდეს ფსიქოლოგის ეთიკა, გაიაზროს საკუთარი რწმენები, მართოს მათი ზეგავლენა პროფესიულ საქმიანობაზე; ლგბ თემთან მუშაობისას ფსიქოლოგმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორები, რომლებიც მის კლიენტზე ახდენენ გავლენას: კულტურა, გენდერი, სექსუალობა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ასაკი; ის კარგად უნდა იცნობდეს კონსულტირების სხვადასხვა გზებსა და თეორიულ მოდელებს, რათა ყველაზე მისაღები აირჩიოს ან ჰოლისტიკურად რამდენიმეს კომბინაცია მოახდინოს; მას უნდა შეეძლოს კარგი კლინიკური ინტერვიუს წარმართვა. ეს ყველაფერი უამრავ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ფსიქოლოგია მარტივი პროფესია არ არის, ხოლო ფსიქოლოგის საქმიანობა - ადამიანების ცხოვრებას ცვლის. რამდენად მზად ხართ ამ უღელში შესაბმელად, რამდენად გინდათ მაქსიმალური სარგებელი მოუტანოთ ყველა თქვენს კლიენტს - ეს უკვე თქვენი არჩევანია. თუმცა, უწოდეთ მას რაც გინდათ, პროფესიული თვითაქტუალიზაცია, სიცოცხლის არსის წვდომა თუ მიზნის მისაღწევი შესაბამისი კოგნიცია-ემოციები, მისი მიღწევა შეუძლებელია, თუკი საკუთარ თავს ბოლომდე ამ საქმეს არ დაუთმობთ და არ გათავისუფლდებით ყოველგვარი წინასწარგანწყობებისაგან (კოგნიტური შეცდომებისაგან, ავტომატური აზრებისაგან, გაუმართლებელი ემოციებისაგან და ა.შ...).

წარმატებას გისურვებთ!

ბიბლიოგრაფია

- Nair R. and Butler C (2012) *Intersequality, Sequality and Psychological Therapies*. UK: John Wiley and Sons
- Anderson S. (2009) *Substance Use Disorders in Lesbian, Gay, Bisexual and Transgender Clients*. Columbia UP
- Mallon G. (1998) *Social Work Practice with Lesbian, Gay, Bisexual and Transgender People*. NY and London:Routledge
- აღდგომელაშვილი ე. (2011) *სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში – ნოემბერი, 2011.* http://minority.ge/research/
- Нельсон-Джоунс Р. (2000) *Теория и практика консультирования*. Издательство «Питер»

Sally Hines, TransForming gender, Transgender practices of identity, intimacy and care, University of Bristol, 2007

ტრანსგენდერთა პარტნიორობა და მშობლური ურთიერთობები

თარგმანი: ***ნათია გვიანიშვილი***

უკანასკნელ პერიოდში, სოციოლოგიასა და სოციალური პოლიტიკის სფეროში, ოჯახური და პარტნიორობის ცვალებადი სტრუქტურების კუთხით კვლევის არეალის გაფართოება მოხდა. ინტიმურობა უკვე აღქმულია, როგორც თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური ტრანსფორმაციის ადგილი (Giddens, 1992; Beck and Beck-Gernsheim, 1995). ლესბოსელი და გეი ადამიანების მშობლობა და პარტნიორული ურთიერთობები ემოციური სტრუქტურების ცვლილებათა მოწინავე ხაზზეა მოთავსებული (Weston, 1991; Giddens, 1992; Sandell, 1994, Stacey, 1996; Roseneil,2000; Weeks et al., და 2001; Roseneil and Budgeon, 2004). სტეისისთვის ლესბოსური და გეი ოჯახები წარმოადგენს ***„პოსტმოდერნული ოჯახური მდგომარეობის პიონერულ ავანპოსტს, რომელიც ყველაზე პირდაპირ ეწინააღმდეგება საკუთარი იმპროვიზაციის, მრავალგვაროვნების, განსხვავებულობის, წინააღმდეგობის, თვითრეფლექსიისა და მოქცევის მახასიათებლებს”.*** ეს კვლევა გვკარნახობს, რომ ტრანსგენდერთა ინტიმურობის პრაქტიკები მეტად ზრდის იმის თვალსაჩინოებას, თუ რამდენად არის ოჯახური ცხოვრება მიმდინარე პაექრობების, განხილვისა და ინოვაციის გავლენის ქვეშ. ერთსქესიანი ოჯახებისა და ინტიმური ურთიერთობების კვლევა გამოწვევას წარმოადგენს ”ოჯახის” სოციოლოგიისათვის, რომელიც ინტიმურობის თეორიებს ექსკლუზიურად ნუკლეარული, ჰეტეროსექსუალური, მონოგამიური, რეპროდუქციული ოჯახის ჩარჩოებზე აგებს. როუზნილი და ბადჯენი აცხადებენ, რომ ინტიმურობის არანორმატიული ნიშნები ჩამოქვეითებულია ***„ოჯახისა და გენდერის სოციოლოგიის ქვესფეროებში”*** (2004:136). გარდა ამისა: ***”სოციოლოგიურ ლიტერატურაში ეს პრაქტიკები, ურთიერთობები და ქსელები ფართო მასშტაბით რეგისტრირებული არ არის. ეს უკანასკნელი კი, ამის ცხადად აღიარების გარეშე, სოციალური ფორმაციის ცენტრად ჰეტეროსექსუალურ წყვილს მოიაზრებს, რაც თავის მხრივ, სოციალური რეპროდუქციისათვის ტუმბავს სისხლს”*** (Roseneil and Budgeon 2004: 136).

ამასთანავე, ტრანსგენდერი ადამიანების პარტნიორული და მშობლური ურთიერთობები უგულვებელყოფილია არა მხოლოდ ოჯახის სოციო-

ლოგიაში, არამედ გენდერულ კვლევებშიც. ამგვარად, ოჯახის სოციოლოგიას, ერთსქესიანი ინტიმურობის კვლევებსა და გენდერული ურთიერთობების ანალიზს ჯერ კიდევ გასათვალისწინებელი აქვს ტრანსგენდერთან დაკავშირებული სპეციფიკური მხარეები. მაშინ, როცა ტრანზიციის გავლენა პარტნიორებთან, საყვარლებსა და შვილებთან ურთიერთობაზე ინდივიდუალურ გარემოებებში სხვადასხვანაირია, ტრანზიციის პროცესი, გარკვეულწილად, ყოველთვის სოციალური ინტიმურობის ჩარჩოში ხორციელდება. სწორედ ამ წერტილიდან გადავინაცვლებთ ტრანსგენდერი ადამიანების მშობლობისა და პარტნიორობის პრაქტიკებზე დაყრდნობით ინტიმურობის ცვალებადი გამოცდილების შესწავლაზე.

ამ თავის პირველ ნაწილში განხილულია ურთიერთობების გადახალისებასთან დაკავშირებული ინტიმურობის მოდელები. თავში მოყვანილი და გაანალიზებულია იმ მონაწილეთა ნარატივები, ვისი ტრანზიციაც პარტნიორთან დაშორებას უკავშირდება. ამის შემდეგ ჩვენ შევეხებით ტრანზიციის შემდეგ ახალი ინტიმური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ბოლოს, შევხედავთ, როგორ აგვარებენ ჩვენი მონაწილეები გენდერული ტრანზიციის სირთულეებს მშობლობის გადმოსახედიდან.

პარტნიორობის პრაქტიკები გარდაქმნილი პარტნიორული ურთიერთობები

კვლევის იმ მონაწილეთა ნარატივში, რომლებმაც შედარებით გვიან გაიარეს ტრანზიციის პერიოდი, ხშირად გამეორებული თემები ხანგრძლივ პროფესიულ და ურთიერთობებში ნაკისრ ვალდებულებებს, ასევე მათდამი ერთგულებას ეხება. ბერნადეტს (71 წლის) მაღალი თანამდებობა და წარმატებული კარიერა ჰქონდა, როგორც სამთავრობო მაუწყებლობის მრჩეველს. ის ტრანზიციამდე 40 წლით ადრე დაქორწინდა და ამბობს:

„ცოლი და შვილები მყავდა სარჩენი, ჰოდა, მეც სხვადასხვა საგამომძიებლო საბჭოს წევრი გავხდი და 11 წლის განმავლობაში ძალიან დაკავებული ვიყავი. მთელი ამ დროის განმავლობაში, პროფესიული და აკადემიური წინსვლა დამეხმარა, ჩემი გენდერული პრობლემები გვერდზე გადამედო, მაგრამ ისინი არასოდეს გამქრალა. ვფიქრობ, რომ უბრალოდ ჩემი გრძნობები ჩემს პროფესიულ წარმატებას დავუმორჩილე და ამან იმოქმედა კიდეც. მე შევეგუე აზრს, რომ იმ დროს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ვთამაშობდი სამთავრობო მომსახურების სფეროში, და რომ ჩემი მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნებოდა, ავმდგარიყავი და ის გამეკეთებინა, რისი გაკეთებაც

ყოველთვის მინდოდა. მე ხომ ძალიან ბევრი ვალდებულება მქონდა ნაკისრი უამრავი ადამიანისა და ორგანიზაციის წინაშე“.

წინა რესპონდენტის მსგავსად, კრისტინს (60 წლის) წარმატებული კარიერა ჰქონდა, როგორც საერთაშორისო საბუღალტრო კომპანიის პარტნიორს. კრისტინი გენდერული ტრანზიციის დაწყებამდე 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ქორწინებაში. შემდეგ ციტატაში ის განიხილავს, თუ როგორი ფორმა მისცა მის ცხოვრებას სამსახურმა და ადრეულ ასაკში ნაკისრმა ოჯახურმა ვალდებულებებმა:

„1960-1970-იან წლებში ყველაფერი სულ სხვანაირად იყო, ვიდრე დღეს არის. სკოლას რომ ამთავრებდი, შენს მოვალეობას ასრულებდი. ზედმეტ შეკითხვებს არ სვამდი. იკეთებდი კარიერას, ქორწინდებოდი და აჩენდი შვილებს. საერთოდ არ გქონდა დრო იმაზე დასაფიქრებლად, თუ ვინ იყავი. მეც სწორედ ასეთ გარემოში ვცხოვრობდი”.

ისე მოხდა, რომ კრისტინის კარიერის განვითარებასთან ერთად მისი ქალად იდენტიფიკაციის ხარისხი იზრდებოდა; თუმცა ტრანზიციის შესახებ ფიქრისას, ის პროფესიულ პერსპექტივებსაც განიხილავდა და საბოლოოდ გადაწყვიტა, ეს პროცესი პენსიამდე გადაედო:

„დროთა განმავლობაში მივხვდი, რაც ხდებოდა და საკუთარ გრძნობებშიც უფრო გავერკვიე, მაგრამ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჩემი კარიერა ძალიან სწრაფად ვითარდებოდა და საკმაოდ წარმატებულად ვმუშაობდი ჩემივე პროფესიით დიდ ფირმაში. ამიტომ, საუკეთესო გამოსავლად მიმაჩნდა, პენსიაზე გასვლის მომენტს დავლოდებოდი. სწორედ ასეც მოვიქეცი. პენსიაზე დროზე ადრე გავედი და ცხოვრების სტილიც შევიცვალე. აღარ მჭირდებოდა თავის მოკატუნება, აღარ მქონდა რესპექტაბელური სამსახური, რომელიც უნდა დამეცვა, ამიტომ, რადგან ეს ყველაფერი აღარ მქონდა, პენსიაზე გასვლიდან სამი კვირის შემდეგ „ქამინგ აუთი“ გავაკეთე”.

ამ ნარატივებში პროფესიულ და პირად ურთიერთობებში ნაკისრი ვალდებულებები და ერთგულება გამოხატულია, როგორც გენდერული იდენტობის ირგვლივ არსებულ კომპლექსურ გრძნობებთან გამკლავების მექანიზმი და როგორც გვიან დაწყებული ტრანზიციის გამართლება. ბერნადეტისა და კრისტინის გენდერული ტრანზიცია, ამგვარად, რეფლექსურად შეთანხმდა და განხორციელდა სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების კონტექსტში. ეს ნარატივები ასევე გვიჩვენებს, რომ ბერნადეტი და კრისტინი ***„ენერგეტიკულ მორალურ აგენტებს“*** წარმოადგენენ ***„საკუთარი ქმედებებით გამოწვეული შედეგების დადებითი და უარყოფითი***

მხარეების აწონ-დაწონაში, იმ მხრივ, რომ ითვალისწინებენ სხვების პერსპექტივებს, საჭიროებებს და ფიქრობენ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ“ (Williams, 2004:42).

როდესაც ბერნადეტი (71 წლის) 30 წლის იყო, მისი დიდი ხნის უახლოესი მეგობარი გარდაიცვალა. მეგობრის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ბერნადეტმა მისი მეუღლე შეირთო ცოლად. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზიცია ამ ფაქტიდან 30 წლის შემდეგ დაიწყო, ბერნადეტი უკვე ღია იყო პარტნიორთან საკუთარ გენდერულ იდენტობასა და გრძნობებთან დაკავშირებით. როგორც ბერნადეტი შემდეგ ციტატაში გვეუბნება, მისი პარტნიორი მისთვის ემოციური მხარდაჭერის მთავარ წყაროდ იქცა: ***„ჩემი მეუღლე ყოველთვის ძალიან მიჭერდა მხარს და მეხმარებოდა. […] ის ყოველ ნაბიჯზე ჩემ გვერდით იდგა და ახლაც ამავეს აკეთებს“.***

კრისტინი (60 წლის) ასევე განიხილავს მხარდაჭერას, რომელიც მან თავისი ცოლისგან მიიღო მათი ქორწინების განმავლობაში: ***„ჩვენთან არავითარი მხარდაჭერის მექანიზმი ან კონსულტანტი არ არსებობს, სამაგიეროდ, ჩემი ცოლის სრული თანადგომა მქონდა“.***

ტრანზიციამდე 4 წლით ადრე ბერნადეტი და მისი ცოლი სოფელში გადავიდნენ (სადაც ახლაც ცხოვრობენ) და ბერნადეტი იქ ძალიან პოპულარული გახდა. ის ადგილობრივი ეკლესიის აქტიური წევრი იყო და იქაურ საბჭოში წევრად აირჩიეს. ბერნადეტი მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში სოფლის მოსახლეობის შეცვლის გამო, მისი ტრანზიცია ნაკლებად საჯარო ამბავი გახდა და ის და მისი პარტნიორი უკვე იშვიათად აღიქმებიან, როგორც ჰეტეროსექსუალი წყვილი. ამის ნაცვლად, ბერნადეტის (71 წლის) თქმით, ***„ყველას ჰგონია, რომ დები ვართ. ბევრი ადამიანი თვლის ასე“.*** კრისტინი (60 წლის), ბერნადეტის მსგავსად საუბრობს იმაზე, თუ როგორ წარმოაჩენს მეუღლესთან თავის ურთიერთობას საჯაროდ: ***”თუკი გვიწევს ერთმანეთზე ვიწმესთან საუბარი, ვამბობთ, რომ ერთმანეთის რძლები ვართ”.*** ეს ურთიერთობები სქესობრივი ჩარჩოს მიღმა არის გასული და ხელახლა მოთავსებულია ნათესაობრივი კავშირების ჩარჩოში. ბერნადეტს არ აღელვებდა, თუ მის თემში ზოგიერთი იფიქრებდა, რომ ის და მისი მეუღლე ლესბოსელი წყვილი იყვნენ და უფრო დიდი აქცენტი გააკეთა ცხოვრებისეული ურთიერთობის განმავლობაში ინტიმურობის მნიშვნელობებში სუბიექტურ ცვლილებებზე, როგორც მასთან ინტერვიუს შემდეგ სექციაშია ნაჩვენები:

ს. ***არ ფიქრობ, რომ ზოგიერთი ადამიანი თქვენს ურთიერთობას ლესბოსურად აღიქვამს?***

გ. ***ზოგიერთი, ალბათ, ასეც აღიქვამს, მაგრამ ეს მათი სუბიექტური გაგებაა. მე ჩემს ცოლთან ძალიან ინტიმური და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობა მაქვს - ასე იყო ბოლო 40 წლის განმავლობაში და ახლა არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ისევე კარგად არის, როგორც ადრე [...] მე ვფიქრობ, რომ სექსუალობის ფიზიკურ ასპექტებში ყოველთვის უფრო დამკვირვებელი ვიყავი, ვიდრე მონაწილე და ეს სწორედ ის პრობლემაა, რაც ყოველთვის გვქონდა ამ კუთხით, მაგრამ ჩემი მეუღლე ამას არ აპროტესტებდა.***

ბერნადეტი გულისხმობს, რომ მასა და მის პარტნიორს შორის უწყვეტი ემოციური კავშირის შენარჩუნება შესაძლებელი გახდა ტრანზიციამდელ ურთიერთობაში, სექსზე ნაკლები აქცენტის გაკეთების ხარჯზე. კრისტინი (60 წლის) აგრეთვე ამბობს, რომ მის ქორწინებაში სექსი პერიფერიული მოვლენაა: ***„არასოდეს მქონია დიდი ინტერესი სექსის ფიზიკური მნიშვნელობისადმი. უპირატესობას სითბოსა და სინაზეს ვანიჭებდი. მზრუნველობის ფაქტორები, რომლებიც ფართო სურათს წარმოადგენს, ჩემთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო“.***

ეს ურთიერთობები შეიძლება მივიჩნიოთ ხანგრძლივი, განსაკუთრებით - ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების ტიპური აღქმის ანალოგად, სადაც ემოციური სიახლოვე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ვიდრე - სქესობრივი სურვილი. თავიანთ ურთიერთობებში სექსის დეცენტრალიზაციით ბერნადეტი და კრისტინი შეეწინააღმდეგნენ იმ დაშვებას, რომლის მიხედვითაც, სექსი პარტნიორული ურთიერთობების ცენტრალური კომპონენტია, და აქცენტი უფრო ემოციურ მზრუნველობაზე გააკეთეს. შეუძლებელია, ეს ურთიერთობები ცალსახად სექსუალურ ურთიერთობად ან მეგობრობად მოვნათლოთ. აქ ინტიმურობის მნიშვნელობა ზემოხსენებულ ორივე ჩარჩოს სცდება და გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ინტიმური პრაქტიკები დროისა და სიტუაციის მიხედვით გადახალისდეს.

აქ შეიძლება დავინახოთ კავშირი როუზნილისა და ბადჯენის (2004) ნაშრომთან მეგობრობასა და არაკონვენციურ პარტნიორულ ურთიერთობებზე, რომელიც გვკარნახობს, რომ ინტიმურობის თანამედროვე პრაქტიკებში ზღვარი საყვარლებსა და მეგობრებს შორის წაშლილია. უიქსი და სხვები გვეუბნებიან, რომ მეგობრობის როლი ლესბოსელებისა და გეი კაცების ცხოვრებაში შინაგანად არის დაკავშირებული ინტიმური ურთიერთობებისათვის მინიჭებულ მნიშვნელობასთან:***„[...] მეგობრული ეთიკის სიჭარბე უზრუნველყოფს უფრო დიდი ინტიმურობისათვის საჭირო პირობებს“*** (2001:120). ამგვარად, მეგობრობა წარმატებული

ურთიერთობის ისეთივე მნიშვნელოვან ნაწილად მოიაზრება, როგორიც არის სექსუალური მიზიდულობა ან სურვილი. გარდა ამისა, „უიქსისა და სხვების“ კვლევაში (2001), დროსა და გარემოებებიდან გამომდინარე, მეგობრობისა და სექსუალური სურვილის კონტინუუმი გრძელვადიან ურთიერთობებში საკმაოდ ცვალებადია და ერთმანეთს ენაცვლება. სექსუალურ და მეგობრულ კავშირებს შორის ზღვარის წაშლა ასევე ჩანს ქერენის (31 წლის) ნარატივიდან. მოცემულ ციტატაში ქერენი გვიყვება, თუ როგორ გადაიზარდა მისი ურთიერთობა ამჟამინდელ პარტნიორთან ახლო მეგობრობაში:

„ჩვენ შევხვდით კურსზე, რომელსაც ერთად გავდიოდით და დაახლოებით ერთი წელი ვმეგობროზდით. ადამიანების უმეტესობა ან ფიზიკურ მხარეზე ფიქრობს, ან მეგობრად აღგიქვამს. ამ შემთხვევაში ასე არ იყო. ერთი-ორი წლის განმავლობაში ერთად ყოფნის შემდეგ დავქორწინდით და ჯერ კიდევ ერთად ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ტრადიციული საქორწინო ურთიერთობა, ჩვენ გვიხარია, რომ ასე მოვიქეცით და დაქორწინებულები ვართ. მას მოუწია, ძალიან ძლიერი ყოფილიყო … ორივეს მოგვიწია, ძლიერები ვყოფილიყავით. მე ვთვლი, რომ ერთმანეთისადმი ჩვენი ნდობა გაიზარდა“.

ამ ხანგრძლივი ურთიერთობების კონტექსტში ინტიმურობის ცხოვრებისეული გამოცდილებები შეიძლება აღვიქვათ, როგორც არამყარი და გენდერული იდენტობის ცვლილებასთან ადაპტირებადი რამ. გარდა ამისა, აქ ემოციური მზრუნველობის პრაქტიკებსა და ნდობისა და გულახდილობის ღირებულებას აქვს ხაზი გასმული. ეს ნარატივები თანხმობაშია გიდენსის (1992) „სუფთა/ჭეშმარიტი ურთიერთობების“ ცნებასთან, რომლისთვისაც თანასწორობა წინა პლანზე დგას. გენდერული ტრანზიციის ცვალებად კონტექსტში ინტიმურობის გამოცდილებების გარდაქმნა ასევე ჩანს ნარატივებში, რომლებიც პარტნიორების განქორწინება/დაშორებაზე მოგვითხრობს.

პარტნიორთან დაშორება

ბევრმა მონაწილემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება, გენდერულმა ტრანზიციამ პარტნიორთა როლებში რადიკალური ცვლილებები განაპირობოს, რამაც შეიძლება მათი დაშორება გამოიღოს შედეგად. მიუხედავად ამისა, ინტიმურობა უცვლელი პროცესი არ არის, ის დინამიკურ მოვლენად რჩება, რომელსაც ხშირად შესწევს უნარი, სექსუალური ურთიერთობისა და მეგობრობის საზღვრებს გასცდეს.

ტრანზიციამდე რებეკა (55 წლის) თავისი შვილის დედას გაეყარა. შემდეგ ციტატაში ის საუბრობს ამ განშორების სირთულეებზე:

„ეს ჩემთვისაც და ჩემი ყოფილი ცოლისთვის ძალიან რთული გზა იყო. მე მას ძალიან ვუყვარდი და თვითონ ამბობს, რომ წლები დასჭირდა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. იგი მხოლოდ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გახდა უფრო ცივილიზებული [...] ყოველთვის უნდოდა ჩემთან მეგობრობა, მაგრამ არ შეეძლო. თუმცა, ბოლო დროს დამშვიდდა. დაახლოებით ორი წლის წინ ძალიან ავად იყო და დახმარება მე მთხოვა, რაც ძალიან დიდი სიხარულით გავაკეთე. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ვიყავით ერთად, ამიტომ ის ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია და არ არსებობს არაფერი, რასაც მისთვის არ გავაკეთებდი და აუცილებლად გავაკეთებ. მე ყოველთვის მის გვერდით ვარ".

რებეკას მონათხრობი თანამედროვე ურთიერთობებში უფრო ფართო რყევებსა და ცვლილებებს უკავშირდება, სადაც ყოფილი მეუღლეები ერთმანეთის მხარდამჭერთა ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილები ხდებიან (Williams, 2004). რებეკას ნარატივი გვაჩვენებს, რომ ინტიმურობამ შესაძლოა, დროთა განმავლობაში ფორმა იცვალოს და მხარდაჭერასა და მზრუნველობაზე აგებული ურთიერთობის ჩამოყალიბება გამოიწვიოს. ტონის (39 წლის) და ჩერილის (45 წლის) ნარატივები ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, სექსუალური ურთიერთობები ახლო მეგობრობად გარდაიქმნას. ტონის პარტნიორმა მას ემოციური და, როგორც შემდეგი ციტატა გვიჩვენებს, პრაქტიკული მხარდაჭერა შესთავაზა ტრანზიციის საწყის პერიოდში:

„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს ერთად გაგვეკეთებინა და რაც უნდა მომხდარიყო, ერთად დავრჩენილიყავით. საკმაოდ ხშირად, როდესაც საჭმელად სადმე მივდიოდით, უბრალო ჰეტეროსექსუალ წყვილს ვთამაშობდით".

როგორც კი ტონი საკუთარ მასკულინურ იდენტობაში უფრო დარწმუნებული გახდა, მისმა პარტნიორმა ცვალებადი გენდერული როლები პრობლემურად მიიჩნია და ისინი დაშორდნენ. თუმცა, როგორც შემდეგი ციტატა აჩვენებს, ტონისა და მისი ყოფილი პარტნიორის ურთიერთობა სექსუალურიდან ახლო მეგობრობაში გადაიზარდა: ***„ჩვენ კიდევ ვხვდებით ერთმანეთს და ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. მას არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს და მე, ფაქტობრივად, ამ ოჯახის წევრი გავხდი".***

ჩერილი ასევე საუბრობს თავისი გენდერული ტრანზიციის პირვანდელ მიმღებლობაზე პარტნიორის მხრიდან. ჩერილი ტრანზიციის პროცე-

სის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იცვამდა ხოლმე ქალის ტანსაცმელს. ის ორჯერ იყო დაქორწინებული და ეს ორივე ურთიერთობა დასრულდა. ჩერილი ღია იყო თავის პარტნიორებთან საკუთარ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით და ამბობდა, რომ ***„[...] ურთიერთობის დაწყებიდან ერთ თვეში ორივეს ვუთხარი ყველაფერი, ასე რომ, როდესაც დავქორწინდით, ორივემ იცოდა, რომ გადაცმას გავაგრძელებდი“.*** ჩერილის თქმით, მისი პირველი ქორწინება იმიტომ დასრულდა, რომ ის და მისი ცოლი ერთმანეთს „გაუუცხოვდნენ“, თუმცა, ასევე აღნიშნავს, რომ ***„ის [პირველი ცოლი] მაინცდამაინც კარგად ვერ ეგუებოდა“*** მეუღლის გენდერულ იდენტობას. იმ დროისთვის, როდესაც ჩერილი თავის მეორე ცოლს შეხვდა, ის სხვა ტრანსგენდერ ადამიანებს დაუმეგობრდა და ისინი ხშირად ატარებდნენ უიქენდებს ქალაქგარეთ ტრანსგენდერებისათვის განკუთვნილ სოციალურ ღონისძიებებზე, სადაც თავიდან ცოლიც მიყვებოდა ხოლმე. ჩერილი ამბობს:

„მე და ჩემი მეორე ცოლი ერთმანეთს კარგად ვეწყობოდით. ის ჩემს იდენტობას კარგად ეგუებოდა და ერთი-ორჯერ წამომყვა კიდეც ჩვენს უიქენდებზე, მერე კი ამბობდა, რომ საუკეთესო დრო გაატარა ჩვენთან ერთად. ყველა ძალიან მეგობრული იყო. ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, როდესაც ქალის ტანსაცმელი მეცვა“.

მიუხედავად ამისა, ისინი მაინც დაშორდნენ, როდესაც მეუღლემ აღმოაჩინა, რომ ჩერილის გენდერულ როლებში ცვლილებებს ვეღარ უმკლავდებოდა. როგორც ჩერილი ამბობს, ***„შემდგომში, წინა ნოემბრიდან მოყოლებული, სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ ექიმთან უნდა წავსულიყავი და დაამატა: „შენ თუ ტრანსი ხარ, მე შენთან ვეღარ ვიცხოვრებ, იმიტომ, რომ მე კაცს გავყევი ცოლად, შენ კი ამ როლს აღარ ასრულებ“. ეს ორივე ჩვენგანისთვის რთული იყო“.***

ტონის მსგავსად, ჩერილმა შეძლო, მეგობრული ურთიერთობა აეწყო ყოფილ პარტნიორთან: ***„მეუღლემ მითხრა, რომ რამდენადაც შეძლებდა, მხარს დამიჭერდა და ახლა ჩვენ კარგი მეგობრები ვართ“.***

ამ ნარატივებიდან ჩანს ალტერნატიული ემოციური შესაძლებლობების მთელი სპექტრი და სექსუალურ ურთიერთობებსა და მეგობრობას შორის ზღვარის არამდგრადობა. თუმცა, სექსუალური სურვილისა და პრაქტიკის ირგვლივ არსებული საკითხები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ტრანზიციის შემდეგ ურთიერთობების ჩამოყალიბების გამოცდილებაში.

ურთიერთობების ჩამოყალიბება

ინტიმურობის შესახებ ბევრი მონაწილის ნარატივში ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. რებეკა (55 წლის) ამჟამად თავისუფალია და შემდეგ ციტატაში ის განიხილავს, თუ როგორ შეიძლება, ტრანზიციამ სირთულეები შემოიტანოს ახალი ურთიერთობების დამყარებაში:

„პირველ რიგში, ძალიან რთული რამდენიმე წელი გამოვიარე, რომელთა განმავლობაშიც უნდა შევგუებოდი იმ ფაქტს, რომ ჩემ მიერ არჩეული გენდერული თვითგამოხატვა და ყველა სირთულე და ორაზროვნება, რომელსაც ის იწვევს, შეამცირებდა იმის შანსებს, რომ მე შევხვედროდი ქალს, რომელსაც ჩემი გაგება შეეძლო [პაუზა]. ერთი-ორი საგრძნობლად ხანმოკლე ურთიერთობა მქონია ქალთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ურთიერთობები მყარი არ იყო, იმის გამო, რომ ჩემს პარტნიორებს ჩემდამი საკმაოდ არეული გრძნობები ჰქონდათ“.

დიონი (40 წლის) ტრანზიციის შემდეგ ასევე მარტო დარჩა. რებეკას მსგავსად, ისიც ამბობს, რომ სურს, პარტნიორი ჰყავდეს, თუმცა ტრანზიციის შემდეგ ურთიერთობათა ფორმირების კუთხით ის კიდევ ერთ პრობლემას ხედავს:

„მე არასოდეს შემეძლება, ვიყოლიო შვილები. ამის გაკეთება არც როგორც კაცს და არც როგორც ქალს, არ შემიძლია, არადა, ეს ის არის, რისი დიდი სურვილიც მაქვს და რისი მსხვერპლად შეწირვაც მომიხდა. ამიტომ, თუკი პარტნიორს შევხვდები, ის ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელსაც ბავშვების ყოლა არ სურს. ასეთის პოვნა კი რთულია. მეორე მხრივ, არის კიდევ ერთი რამ, რაც მაღელვებს - არ მინდა, ვინმეს ჩენთან ყოფნა იმიტომ მოუნდეს, რომ შვილების ყოლა არ შემიძლია“.

თუმცაღა, სხვა მონაწილეების გამოცდილებები ტრანზიციის შემდეგ ახალი სექსუალური და პარტნიორული ურთიერთობების ფორმირების პოტენციალს აჩვენებს. სანამ თავის პარტნიორს შეხვდებოდა, დევიდს (26 წლის) დიონის მსგავსი შიშები ჰქონდა მშობლობის პერსპექტივებთან დაკავშირებით და ამას ურთიერთობის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქვამდა. დევიდი ამბობს:

„ურთიერთობების აწყობას არ ვცდილობდი. მეგონა, რომ ეს ძალიან პრობლემური იქნებოდა. პრობლემა იყო ისიც კი, რომ უნდა მეთქვა, რომ ტრანსსექსუალი ვარ, რომ ვერასოდეს

დავჭორწინდებით, რომ ვერასოდეს ვიყოლიებთ შვილებს. არ მინდოდა, ურთიერთობასთან დაკავშირებული სირთულეები ამეკიდებინა. მაგრამ მასთან ერთად ეს, უბრალოდ, ასე მოხდა. ეს იყო მსხვერპლი, რომლის გაღებისთვისაც მზად ვიყავი: არ მქონოდა ურთიერთობა, თუკი ეს იმის პირობა იქნებოდა, რომ საკუთარ თავს შევინარჩუნებდი. მაგრამ ყველაფერი კარგად გამოვიდა და ის ჩემი მთავარი მხარდამჭერია. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა ჩვენ მომავალში შვილების ყოლაზეც ვფიქრობთ. ამაზე გვისაუბრია კიდეც - შვილად აყვანაზეც და ინ ვიტრო განაყოფიერებაზეც“.

მაშინ, როცა დევიდის ნარატივი მიუთითებს, რომ მშობლობის ირგვლივ არსებული შიშები და საფიქრალი აუცილებელი არაა, ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებას აფერხებდეს. სხვა მონაწილეთა გამოცდილება უფრო ფართოდ აჩვენებს, თუ როგორ ვითარდება ხშირად ახალი ურთიერთობები ტრანზიციის შემდეგ. ამელია (47 წლის) საუბრობს მის ამჟამინდელ პარტნიორთან (მამაკაცთან) შეხვედრაზე: ***„ჩვენ სრულიად შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი და მისი რეაქცია [ამელიას გენდერულ იდენტობაზე] იყო: „მერე რა? მე მხოლოდ ისეთს გიცნობ, როგორიც ხარ და ის მეორე ადამიანი ჩემთან არაფერ შუაშია, მას არასოდეს ვიცნობდი,“ - რაც, ჩემი აზრით, გადასარევი რეაქციაა“.*** ამელიას მსგავსად, უილიამის (25 წლის) ამჟამინდელმა პარტნიორმაც მშვიდად მიიღო უილიამის მონათხრობი მისი გენდერული ტრანზიციის შესახებ: ***„მან მაშინვე გაიგო ყველაფერი და არავითარი პრობლემა არ ჰქონია. ჩემი სხეულის მიღებას რაც შეეხება, მე ბევრი ცვლილება გამოვიარე და ის ჩემი სხეულის მიმართ აბსოლუტურად მიმღებელია. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას ჩემს სხეულთან არავითარი პრობლემა არ აქვს, ეს ქმედითუნარიანობის გრძნობას მანიჭებს“.***

სხეულებრივი მიმღებლობა ასევე ცენტრალურია დენის (37 წლის) ნარატივში. მარტოდ ყოფნის რამდენიმე წლის შემდეგ დენიმ იგრძნო: მიუხედავად იმისა, რომ მას ეშინოდა იმისა, რომ პოტენციური პარტნიორები ხელს კრავდნენ, როდესაც მისი ტრანზიციის შესახებ შეიტყობდნენ, მას ურთიერთობის დაწყების სურვილი მაინც გაუჩნდა. ის ამბობს: ***„[...] ჩემს სხეულთან მიმართებაში ძალიან მორცხვი ვიყავი. მკერდის ოპერაცია საკმაოდ ადრე გავიკეთე, მაგრამ შიში იმის შესახებ, რომ ვიღაც შენს სხეულს არ მიიღებს, ძალიან რეალური და ძლიერია“.*** დენმა ამჟამინდელი პარტნიორი ინტერნეტ გაცნობის საიტზე იპოვა და ისინი ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობით

ურთიერთობდნენ რამდენიმე კვირის მანძილზე, სანამ რეალურად შეხვედრას გადაწყვეტდნენ. როცა დენი მიხვდა, რომ სურდა ამ ქალთან მისი ურთიერთობა სხვა ეტაპზე გადასულიყო, გადაწყვიტა, რომ საკუთარი გენდერული ტრანზიციის ღიად განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია: ***„სანამ შევხვდებოდით, გადავწყვიტე, რომ თუკი ძალიან მომეწონებოდა და კარგად შევეწყობოდით, იმავე ღამეს ვეტყოდი. ვუთხარი კიდეც. მე ვლაქლაქებდი და ვლაქლაქებდი, ის კი ჩუმად იყო. სადღაც ხუთი წუთის მანძილზე არაფერი თქვა და მე ვიფიქრე, ო არა, ყველაფერი გავაფუჭე, გავაფუჭე, და მაშინ მითხრა, ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო“.***

მიუხედავად ამ ნუგეშისცემისა, დენი მაინც ღელავდა, რომ მისი პარტნიორის გრძნობები შეიცვლებოდა, როგორც კი მათ ურთიერთობაში ერთერთ კომპონენტად სექსი ჩაერთვებოდა.

„იცი, ის ამბობდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ როგორ წავიდოდა საქმე, როდესაც ფიზიკურ სიახლოვემდე მივიდოდით? ასევე ძალიან ვღელავდი იმაზე, მივხვდებოდი თუ არა, რა უნდა მექნა ? ძალიან ვნერვიულობდი, იმაზეც ვღელავდი, რომ ჩემი სხეული არ მოეწონებოდა იმიტომ, რომ ასო არ მაქვს. მაგრამ მე ვიცოდი, რაც უნდა მექნა [იცინის] და მისთვის.. [პაუზა] მას უნდოდა... [პაუზა] მას უნდოდა კაცთან ყოფნა, მაგრამ სექსის პენისთან დაკავშირებული ნაწილი არ მოსწონდა, ამიტომ, ისიც ბედნიერი იყო და მეც“.

ურთიერთქმედება (ტრანს) გენდერსა და სექსუალობას შორის რთულია და დენის ნარატივს ტრანსსუბიექტურობის სფეროში გენდერული განსხეულების მნიშვნელობასთან მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნარატივები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გენდერისა და სექსუალობის, როგორც ბიოლოგიური „სქესით“ განცდილის, ნორმატიულ გაგებას, არსებობს ასევე რომანტიზაციის დისკურსი, სადაც არანორმატიულ გენდერულ სხეულებს „მნიშვნელობა არ აქვს“. ასეთი დისკურსი განსხვავდება რეალიზმის დისკურსისგან, სადაც არანორმატიული სხეულებრივი სტატუსი იქნებოდა აღიარებული და შეთანხმების საგანი. გარდა ამისა, ტრანსგენდერი რომანტიზაციის დისკურსი უპირისპირდება ქვიარ დისკურსს, სადაც არანორმატიული სხეულები თავისთავად ზეიმისა და სიამოვნების ლოკუსია.

მას შემდეგ, რაც ჩერილის (45 წლის) ქორწინება მისი გენდერული ტრანზიციის გამო დასრულდა, ის თავის ამჟამინდელ პარტნიორს შეხვდა. ამ ახალ ურთიერთობაზე საუბრისას ჩერილი ემოციურ მხარდაჭერას ცენტრალურ ადგილს ანიჭებს: ***„ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს და ის ბოლომდე მიჭერს მხარს. ყოველთვის, როცა მიჭირს,***

ჩემ გვერდით არის. ის ჩემთვის კლდესავითაა, ნამდვილად. ჩვენ პარტნიორები ვართ და ამასთან ერთად კარგი მეგობრებიც“. ჩერილის ისტორია უფრო ფართო კონტექსტში ცხადყოფს გენდერისა და სექსუალობის, როგორც თეორიული კატეგორიებისა და განვლილი გამოცდილებების, ცვალებადობასა და სირთულეებს. თავისი ცხოვრების განმავლობაში, ჩერილის გენდერული და პარტნიორული იდენტობები შეიცვალა ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი დაქორწინებული კაციდან ლესბოსელად იდენტიფიცირებული ქალის მდედრობითი სქესის პარტნიორამდე. ამგვარად, მამაკაცური/ქალურისა და ჰეტერო/ჰომო ბინარულობა რთულია და ასახავს ინტიმური სუბიექტის პოზიციის განსხვავებულობას.

ტრანსგენდერი ადამიანების ინტიმურობის პრაქტიკების ნარატივები წინ წევს რამდენიმე თემას, რომელიც პარტნიორობის პრაქტიკის ცვლილებას უკავშირდება. ისეთი მონაწილეების გამოცდილება, როგორებიც ბერნადეტი და ჩერილი არიან, მხარს უჭერს მეგობრებსა და საყვარლებს შორის საზღვრების მზარდი მრავალდისკურსულობის დაშვებას (Sandell, 1994; Roseneil and Budgeon, 2004). მეორეც, ეს ფაქტორი ეხმიანება ერთსქესიანი ურთიერთობების კვლევათა შედეგებს (Weeks et al., 2001) და გვკარნახობს, რომ ინტიმურობის გამოცდილება და გაგება იმ ემოციური პროცესების მთელ სპექტრში არის მოქნილად განლაგებული, რომელიც არანორმატიულ ინტიმურ პრაქტიკებში ჩამოყალიბდა. ეს პრაქტიკები იმის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ინტიმური ურთიერთობები რეფლექსურობისა და მოლაპარაკების მზარდ კოეფიციენტს ასახავს (Giddens, 1992; Weeks et al., 2001). თუმცა, ნარატივები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, თუ როგორ საუბრობენ ისინი ინდივიდუალობასა ან მიმართებებზე და ზოგიერთი ნარატივი, მაგალითად, დენის ისტორია, რომანტიკის ცნებაზე დაფუძნებულ კონვენციური პარტნიორობის დისკურსს ერგება. მიუხედავად ამისა, პარტნიორული ურთიერთობების შესახებ არსებულ ნარატივში ემოციურ გულახდილობაზე დიდი აქცენტი კეთდება, რაც, როგორც შემდეგ სექციაში გამოჩნდება, გენდერული ტრანზიციისას მშობლობის ნარატივებში ასევე საკვანძო თემას წარმოადგენს.

მშობლობის გამოცდილებები

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი არის მშობელი, ტრანზიციის პროცესში მყოფი მშობლების გამოცდილებაზე სოციოლოგიური კვლევა არ არსებობს. სოციოლოგიას რომ თავი დავანებოთ, გენდერული ტრანზიციის გავლენის შესახებ გრინის (1978a,1998) მიერ დიდ

ბრიტანეთში ჩატარებული კლინიკური კვლევა ტრანსსექსუალი ადამიანების შვილებზე ამ სფეროში ერთადერთ პრეცედენტად რჩება. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ლესბოსელი და გეი მშობლობა დებატებს თანამედროვე საზოგადოებაში იწვევს, ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ კულტურული მიუღებლობა არსებობს, რაც მათი, როგორც მშობლების აღქმისას, ტრანსგენდერი მშობლობის პრაქტიკას უხილავად აქცევს.

ბავშვებისთვის თქმა

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ ვუთხრათ ბავშვებს სამომავლო ტრანზიციის შესახებ, ტრანსგენდერი მშობლების ნარატივებში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. მართალია, ტრანსგენდერის შემთხვევაში გაცხადების საკითხები გენდერს უკავშირდება და არა - სექსუალობას, მსგავსი გამოცდილებები გეი და ლესბოსური მშობლობის კონტექსტში ბავშვებთან „ქამინგ აუთის“ გამოცდილებებთან არის კავშირში. გები ამბობს, რომ ***„ჰეტეროსექსუალ მშობლებს არ სჭირდებათ საკუთარი ჰეტეროსექსუალობის თაობაზე ამაყი განაცხადის გაკეთება. ასეთი მშობლების მხრიდან ბავშვებთან ჰეტეროსექსუალად „ქამინგ აუთი“ თითქმის აღემატება ჩვენი წარმოსახვის შესაძლებლობებს“.*** (2001: 347) ამის მსგავსად, „შიგნიდან/გარეთ” (Fuss, 1991) გენდერული ბინარული სისტემა არატრანსგენდერი იდენტობის ნატურალიზებას ახდენს, როგორც რაღაცისა, რომელსაც არ სჭირდება გამოთქმა, მაშინ, როდესაც ტრანსგენდერი იდენტობა, როგორც უჩინარი ნორმიდან გადახვევა, იძულებულია, საკუთარი თავის სახელდება მოახდინოს.

დენი (37 წლის) ოცდაათი წლის ასაკში უკვე 9 წლის ბიჭის მამა იყო. ამ დროს მან ტრანზიციის დაწყება გადაწყვიტა. დენი საკუთარ გენდერულ იდენტობასთან დისონანსს ჯერ კიდევ ბავშვობიდან ამჩნევდა. 20 წლის იქნებოდა, როდესაც დაქორწინდა. წყვილს ბავშვიც გაუჩნდა. შემდეგ ციტატაში დენის მშობლად გახდომის გადაწყვეტილება განხილულია, როგორც საკუთარ კონფლიქტურ გენდერულ გრძნობებთან გამკლავების მცდელობა:

„ამ ყველაფერს კარგად ვერ ვუმკლავდებოდი. ამ თემაზე ვერ ვლაპარაკობდი, სანამ 30 წლისა არ გავხდი. საკუთარ თავთან იმ დროს ბევრი რამის უარყოფა მიწევდა და ვიქორწინე იმიტომ, რომ მიმაჩნდა, ასე გაივლიდა ყველაფერი. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბავშვის ყოლა მსურდა, იყო ის რომ მეგონა მშობლობა ამ გრძნობებს გააქრობდა და გამამთლიანებდა. მეგონა, ჩემში რაც ხდებოდა, ყველაფერი უკვალოდ გაქრებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა“.

დენის ქორწინება დასრულდა, როდესაც მისი შვილი ჯერ კიდევ პატარა იყო და მეურვეობის შესაბამისი ვალდებულებები ტრანზიციის გავლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით იყო განპირობებული. დენი ამბობს:

„ბავშვი რომ გამიჩნდა, საშინელ დღეში ვიყავი. ეს ჩემთვის ყველაზე მძიმე დრო იყო. საკუთარი აზრების დალაგებას ვცდილობდი. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: "ეს ჩემთვის უნდა გავაკეთო, მაგრამ მასზე რა გავლენას მოახდენს? ნუთუ მას დავკარგავ? ნუთუ შემიძულებს? ნუთუ მეურვეობისათვის ბრძოლა მომიწევს?".

შვილის ზრდასთან ერთად დენის ცნობიერებაში ტრანზიციასა და მშობლობას შორის კავშირზე წარმოდგენა შეიცვალა: ***„ჩემი აზრი მაშინ ის იყო, რომ იმდენად მერეოდა ტვინი, ჩემს შვილს მშობლობას ვერ ვუწევდი. აზრები რომ არ დამელაგებინა და ისე არ მეცხოვრა, როგორც ვარ, როგორც ვგრძნობდი, მე მას საბოლოოდ დავაღალატებდი, რადგან მისი სიყვარულის, ზრუნვისა და რჩენის ძალას ვერ ვიპოვიდი და ბოლოს დამამშვიდებლებზე ან კიდევ, ღმერთმა უწყის, რაზე შევჯდებოდი. ჩემს შვილს კი ერთი მშობელი შერჩებოდა იმიტომ, რომ მხარდაჭერისათვის მე აღარ ვეყოლებოდი".***

ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ ტრანზიცია შვილთან მის ურთიერთობის ხელისშემშლელ ფაქტორად აღექვა, დენმა იგი გაიაზრა, როგორც პროცესი, რომელიც მათ მეტად წარმატებული ურთიერთობის საშუალებას მისცემდა. თავიდან დენის შვილს სიტუაციის გაგება უჭირდა. როგორც დენი გვიამბობს, ***„მან ძალიან დიდი სტრესი მიიღო, როცა ეს ყველაფერი ვუთხარი; იგი 9 წლის იყო, მხოლოდ 9 წლის. მისი პირველი რეაქცია იმის შიში იყო, რომ ეს [ტრანზიცია] მის ცხოვრებას არევდა. მაგრამ ორი კვირის შემდეგ იგი ჩემთან მოვიდა და თქვა, იყოს, როგორც არისო. მგონი, თავიდან ნერვიულობდა, რომ ორშაბათს სკოლაში მივიდოდა ჩემთან და დედამისთან ერთად და საღამოს მამის ამპლუაში წამოვიყვანდი. მე ავუხსენი, რომ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, და ისიც მიხვდა, რომ ყველაფერი ერთბაშად არ მოხდებოდა".***

დენის ღიაობამ გენდერის კვლავმინიჭების პროცესთან დაკავშირებულ პროცედურებთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, მის შვილს ხელი შეუწყო სიტუაციის ცვლილება უფრო სრულყოფილად გაგებაში. ღია დიალოგის მნიშვნელობა ასევე ხაზგასმულია ბავშვების მიერ გენდერული ტრანზიცი-

ით დაწყებული ცვლილებებისადმი შეგუებისათვის საჭირო ფაქტორებთან მიმართებაში.

ღია დიალოგი

როცა დენმა (37 წლის) ჰორმონული თერაპიის კურსი დაიწყო, ტრანზიციის პირველ ეტაპებზე შვილთან ღია დიალოგი ახლო ურთიერთობაში გადაიზარდა. დენი ამბობს:

„მან იცოდა, რომ რაღაც მაწუხებდა, მაგრამ არ იცოდა, რა იყო ეს. იმ პერიოდში ბევრ რამეს ვუმალავდი, მაგრამ როგორც კი გული გადავუშალე და კარგად ავუხსენი, რაც ხდებოდა, ის უფრო და უფრო დაჟინებულ შეკითხვებს მისვამდა. შესანიშნავად იქცეოდა, განსაკუთრებით დასაწყისში. ტუალეტში წასვლა თუ მჭირდებოდა, დაჟინებით ითხოვდა, რომ ჯერ თვითონ შესულიყო და ენახა, ჩემთვის პისუარი სად იყო. ძალიან მიცავდა, რაც ძალიან კარგი იყო. კარგი იყო იმის ცოდნა, რომ ჩემზე ასე ზრუნავდა. ყოველთვის ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ამ ურთიერთობამ ბევრი გამოცდა გამოიარა. ჩვენ ვმეგობრობთ და ყოველთვისაც ვმეგობრობდით“.

დენის ნარატივი გვკარნახობს, რომ ღია დიალოგმა შესაძლოა წარმოშვას ემოციური მზრუნველობის კლიმატი, სადაც, თავის მხრივ, წარმოიშობა მხარდაჭერა არა მხოლოდ მშობლიდან ბავშვზე, არამედ - შვილიდან მშობელზეც. თუმცა, ორმხრივი ზრუნვა მშობელსა და შვილს შორის, ასევე შეიძლება იმაში გამოიხატოს, რომ ბავშვი მშობელზე ზრუნავს, თუმცა სრულად არ უმხელს, თუ რა ხდება მის ემოციურ ცხოვრებაში. ბავშვებს, შესაძლოა, მეტი შინაგანი კონფლიქტი ჰქონდეთ, ან მეტ გარე კონფლიქტს წააწყდნენ, ვიდრე მათ შეუძლიათ ან სურთ, საკუთარ მშობლებს გაუზიარონ [1].

მშობელსა და შვილს შორის მხარდაჭერა ასევე ხაზგასმულია ბერნადეტის (71 წლის) ნარატივში. როდესაც ბერნადეტმა იქორწინა, მის მეუღლეს უკვე ორი მოზარდი შვილი ჰყავდა. შემდეგ ციტატაში ის განიხილავს ურთიერთობას გერებთან და ჰყვება მხარდაჭერაზე, რომელიც მათგან მიიღო, როდესაც ტრანზიცია გადაწყვიტა: ***„ჩემი გერი [გოგო] ჩემი საუკეთესო მეგობარია, ის ამჟამად 50 წლისაა და სუპერადამიანია. სამწუხაროდ, მისი ძმა გარდაიცვალა, მაგრამ ისიც აბსოლუტურად მიჭერდა მხარს. ყოველთვის სრულიად გულწრფელი ვიყავი მათთან და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო“.*** აქ ჩვენ ვხედავთ იმ მოქნილობას მეურვეობასა და მეგობრობას შორის, რაც მხარს უჭერს ფალისა და სპენსერის (2004) თეზისს მეგობრებსა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირის თაობაზე „პერსონალურ თემში”. ამას გარდა, როგორც მშობლური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ღირებულებების

შესახებ დისკუსიებში, აქაც ემოციური მხარდაჭერა და გულახდილობა არის აქცენტირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინტერვიუს დროისათვის ჩერილის (45 წლის) შვილებმა არ იცოდნენ იმის შესახებ, რომ იგი ტრანზიციის პროცესის დაწყებას აპირებდა, ის ასევე საუბრობს გენდერული კორექციის პროცესის ღიად განხილვის საჭიროებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ჩერილის ცოლი ბავშვებზე პირველადი მზრუნველია, ჩერილის სიტუაცია თავის ბავშვებთან უფრო კომპლექსურია, ვიდრე - დენის. მიუხედავად იმისა, რომ ჩერილის მეუღლე მხარს უჭერს მის გადაწყვეტილებას ტრანზიციასთან დაკავშირებით და ისინი მეგობრები არიან, მას არ უნდა, რომ ეს ბავშვებმა გაიგონ. ჩერილი აბობს:

„მას [ჩერილის მეუღლეს] ჯერ არ სურს მათთვის თქმა. ვისურვებდი, როცა მათ ვნახულობ, ისე შემეძლოს ყოფნა, როგორც ვცხოვრობ, მაგრამ მის აზრსაც პატივს ვცემ ამ საკითხთან მიმართებაში. დრო მოვა და, როდესაც ჰორმონების მიღებას დავიწყებ და ჩემი სხეული თანდათან შეიცვლება, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვაგვარად იქნება. არა მგონია, ეს პრობლემა იყოს, რადგან ეს ძალიან ნელი პროცესია და, ალბათ, 18 თვეზე გაიწელება, ანუ, ამ დროს ისინი უკვე 7 და 9 წლისა იქნებიან. მინდა მათ ამაზე დაველაპარაკო, მაგრამ ამჟამად მნიშვნელოვანი ისაა, რომ მათი ნახვა დაუბრკოლებლად შევძლო”.

მიუხედავად იმისა, რომ ჩერილი თავის გადაწყვეტილებაში, რომ ამჟამად შვილებს არ უთხრას ტრანზიციის შესახებ, პრაგმატულია, მოგვიანებით ინტერვიუში ის ამბობს, რომ მისთვის ეს სიტუაცია პრობლემურია. ის აგრძელებს:

„სახლში როგორც ჩერილი, ისე ვცხოვრობ და როდესაც სამსახურში ან შვილების სანახავად მივდივარ, თავი ქალიდან კაცზე გადაცმული კროს-დრესერი მგონია. ადრე მისი [მდედრობითი სქესის პირის ნაცვალსახელი] ტანსაცმელი ჩემოდანში იყო შენახული სხვენში, ახლა კი მისი [მამრობითი სქესის პირის ნაცვალსახელი] არის გადამალული და ამ ტანსაცმელს მარტო სამსახურში წასასვლელად ვიღებ ხოლმე. იგივე ხდება ოჯახთან დაკავშირებით და მე ვფიქრობ, რომ ბავშვებთან გულახდილობა მართლა მნიშვნელოვანია და რომ მე არ შემიძლია მათთან გულახდილობა, ამასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. ხანდახან ეს ძალიან მწყვეტს გულს, მაგრამ

მერე გამივლის ხოლმე იმიტომ, რომ რაღაცეები იცვლება და ჩემი მიზანი ახლოა".

აქ ბავშვებთან ღია დიალოგი არა მხოლოდ მშობლურ ურთიერთობებში გულახდილობაზე აქცენტს აღნიშნავს, არამედ ასევე დაკავშირებულია ჩერილის ქალური იდენტობის დამკვიდრებასთან.

ტრანსგენდერ მშობლებსა და შვილებს შორის ემოციური ურთიერთობების მნიშვნელოვანი კომპონენტი პარტნიორულ ურთიერთობებს იმის საჩვენებლად უბრუნდება, რომ მშობლებს შორის ურთიერთობა დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის გენდერული ტრანსფორმაციის პროცესზე. პარტნიორობის დაშლამ შეიძლება მშობლური ურთიერთობები გაართულოს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, განსაკუთრებით, თუკი შვილი მეორე მშობელთან ცხოვრობს. ამ დაშვების შესაბამისად, გრინის (1998) კლინიკური კვლევა აჩვენებს, რომ ტრანსსექსუალი ადამიანების შვილებმა განაცხადეს: მათზე უფრო მეტი გავლენა მშობლების დაშორებამ და განქორწინებამ მოახდინა, რომელიც ერთ-ერთი მშობლის ტრანზიციას მოყვა, ვიდრე - თავად გენდერული ტრანზიციის საკითხმა. მელანი (41 წლის) განიხილავს, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენს ყოფილ პარტნიორებს შორის ურთიერთობა მშობლურ ურთიერთობებზე:

„ტრანსი მშობლებისთვის, რომლებიც განქორწინების პროცესში იმყოფებიან, იგივე ტრავმა არსებობს, რაც ნებისმიერი სხვა განქორწინებული ადამიანისთვის, მაგრამ თუ ამავე დროს ცდილობ, ტრანზიციით გამოწვეულ ცვლილებებს გაუმკლავდე, ეს სულ სხვა საქმეა. და კიდევ ამ სურათში შვილებსაც თუ ჩასვამ, ეს უკვე ძალიან დინამიკური სიტუაციაა - მდუღარე წყალი. რაც შეეხება ისეთ დაშორებას, რომელიც მეგობრული არ არის, მეორე მშობელმა ბავშვები შეიძლება, იარაღად გამოიყენოს, ხოლო სასამართლოები ძალიან არამგრძნობიარენი არიან ტრანს ადამიანებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ტრანსმა ადამიანმა გარკვეულ შემთხვევაში მოიპოვა მეურვეობა შვილზე და ბევრმა სხვამ მოიპოვა ბავშვების მონახულების უფლება, ეს შესაძლოა, ძალიან რთული იყოს. და მაშინ, როცა ზოგიერთი ბავშვი მიმღებელია, სხვები ასეთები არ არიან. „ბავშვების შესახებ აქტის" თანახმად, თუ ბავშვი 12 წელს ზემოთ არის და ამბობს, რომ არ სურს რომელიმე მშობელთან კონტაქტის ქონა, კანონით მისი ნახვის შესაძლებლობა არ არსებობს. ამგვარად, მეორე მშობელთან ურთიერთობის დინამიკა მნიშვნელოვანია და თუკი ის ცდილობს, გააფუჭოს ტრანს ადამიანის ურთიერთობა შვილთან, საქმე სერიოზულად არის. თუ ჰომოფობი ან

ტრანსფობი სოც. მუშაკია, მას შეუძლია, ამ პროცესს ხელი შეუწყოს, თუმცა სასამართლო ტრანსი მშობლებისთვის საუკეთესო ადგილი არ არის".

ამგვარად მეგობრული ურთიერთობა საერთო შვილის მყოლ ყოფილ პარტნიორებს შორის, ბავშვის ემოციურ კეთილდღეობაზე მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას. გარდა ამისა, ამ კვლევაში გამოკითხულმა მშობლებმა იცოდნენ შვილის მეორე მშობელთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების მნიშვნელობა. გაყრილ მშობლებს შორის დადებითი ურთიერთობების შენარჩუნება შეგვიძლია, ტრანსგენდერი ადამიანების მშობლობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავად მივიჩნიოთ. ეს ეხმიანება სმარტისა და ნილის იმ ნაშრომს, რომლის მიხედვითაც, მშობლები ხშირად ინარჩუნებენ ურთიერთობას განქორწინების შემდეგ: „პრაქტიკული ეთიკა, რომელიც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დამყარებულია სხვების საჭიროებების მიმართ ყურადღებაზე, ახალ იდენტობასთან ადაპტირებისა და კომპენსირების უნარზე" (cited in Williams, 2004:45). თუმცა, ბავშვების მიმართ ემოციურ მზრუნველობასთან თვითიდენტობის ბალანსირება შესაძლოა რთული პროცესი იყოს (Lawler, 2000) და ამ ორს შორის ლავირების პროცესი საკვანძო თემაა ტრანსგენდერი მშობლების ნარატივებში.

ტრანზიციის საკითხის მოგვარება შვილებთან

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბავშვებისათვის მშობლის ტრანზიციასთან შეგუების ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად განიხილება, ლინგვისტურ ცვლილებებს ეხება, რომლებიც გენდერული იდენტობის ცვლილებებს ახლავს თან. იმის ნაცვლად, რომ ჩაენაცვლებინათ მშობლის ზედსართავები, როგორიცაა „დედიკო" ან „მამიკო", რესპონდენტების უმეტესობამ გამოთქვა სურვილი, რომ შვილისთვის იმ სახელით ან მეტსახელით მიემართათ, რომელიც ასევე განსხვავდება ტრანზიციამდელი სახელისგან. დენი (37 წლის), მაგალითად, ამბობს:

„ის მამას არ მეძახის, დენის მეძახის და, მგონი, ამან ბევრი რამე საგრძნობლად გაუადვილა. სკოლაშიც დირექტორთან და მთელ პერსონალთან ილაპარაკა და ინსტრუქცია მისცა მათ, რომ ამიერიდან „დენი" დამიძახონ და სხვა არაფერი, ანუ, რომ არასოდეს ეთქვათ „დედაშენი როდის მოვა?" ან „მამაშენი როდის მოვა?", უბრალოდ „დენი როდის მოვა?". ეს ძალიან დაეხმარა ბევრ რამეში და, ასევე, პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებული გაუგებრობების თავიდან აცილების მხრივ. თუმცა, ერთი-ორი თვე ირიბ საუბრებს ვისმენდი, მაგალითად:

„ჰკითხე დენის, უნდა თუ არა ჩაი?“ და ეს ძალიან საინტერესო იყო [იცინის]. მაგრამ, მგონი, ეს მას საგრძნობლად დაეხმარა. მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც ბავშვებისთვის პრობლემურია, ამის შეცვლაა. რამდენიმე ადამიანს ჯგუფიდან [ტრანსგენდერი კაცების ქსელი], როდესაც ბავშვებთან პრობლემებზე ვსაუბრობდით, ვუთხარი: „არ შეეცადოთ, გადაიყვანოთ „დედიკოდან“ „მამიკოზე“. სცადეთ მეტსახელი, მაშინაც კი, თუკი ეს არ არის ის, რაც გინდათ ... რამე ანდროგინული მეტსახელი“.

ამის მსგავსად, ბერნადეტის გერები მას „ბერნის“ უძახიან, მაშინ, როცა კრისტინის ბავშვები აგრძელებენ მისთვის „კრისის“ დაძახებას. ამგვარად, იმაზე ფიქრი, თუ როგორ მიმართავენ ბავშვები ტრანზიციაში მყოფ მშობელს, მშობლის გენდერული სტატუსის შეცვლასთან ადაპტაციის ამოქმედებაში რეფლექსურად არის წამოჭრილი.

ბავშვებში ტრანზიციის პროცესის მოგვარებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი თემა ეხება იმას, თუ როგორც აღიქვამენ შვილები მშობლების გარეგნობაში ცვლილებებს, როდესაც მშობელი ჰორმონის მიღებასა და/ან ქირურგიულ ოპერაციებს იწყებს. ზოგიერთი მონაწილე საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორი პრობლემური აღმოჩნდა შეცვლილი ფიზიკური გარეგნობა მათი შვილებისთვის. რებეკას (55 წლის) ვაჟი მოზარდი იყო და უნივერსიტეტში სწავლობდა, როდესაც მან გენდერული ტრანზიციის პროცესი დაიწყო. თავიდან ის, თითქოს, იღებდა სიტუაციას, მაგრამ, როგორც კი ცვლილებები შესამჩნევი გახდა, ის ძალიან დაიძაბა. რებეკა ამბობს:

„სანამ 16-17 წლის იყო, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ, შემდეგ ჩვენთვის ტრაგიკული მომენტი დადგა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც სახელი შევიცვალე, წვეულება მოვაწყვე. დავპატიჟე, მაგრამ უარი მითხრა. მისთვის ეს მეტისმეტი იყო“.

კრისტინის (60 წლის) და ლინეს (67 წლის) ნარატივები გვკარნახობს, რომ და-ძმას შორის მშობლის გენდერული ტრანზიციით გამოწვეულ ცვლილებებზე რეაქციები შეიძლება, განსხვავდებოდეს. კრისტინი ამბობს:

„ჩემი ბიჭი ძალიან მიჭერდა მხარს, მაგრამ ჩემი ქალიშვილი ვერაფრით ეგუებოდა“, მაშინ, როცა ლინე ამბობს: *”ჩემი უფროსი ქალიშვილი არაჩვეულებრივია და ჩემი შვილიშვილიც [გოგო]. ჩემი უმცროსი ქალიშვილი არ მელაპარაკება. საშობაო ბარათსაც კი არ მიგზავნის ... არაფერს”.*

ზოგიერთი მონაწილისთვის ბავშვებთან ურთიერთობის სირთულეები გარდამავალი აღმოჩნდა და მათ შორის მჭიდრო კავშირი ხელახლა ჩამოყალიბდა. კრისტინი (60 წლის), მაგალითად, ამბობს: *„ახლა ჩვენ [ის და*

მისი ქალიშვილი] ერთმანეთს დავუბრუნდით და ყველაფერი თავისით მოგვარდა“. ამის მსგავსად, რებეკამ (55 წლის) მოახერხა ვაჟიშვილთან ხელახლა დაემყარებინა ახლო ურთიერთობა, დიდი მართალია, დიდი დროის გასვლისა და ძალისხმევის დახარჯვის შემდეგ. ის ამბობს:

„ჩვენ [მას და მის შვილს] დაახლოებით 18თვიანი პერიოდი გვქონდა, როდესაც ერთმანეთს არ ვეკონტაქტებოდით. ის ძალიან გაბრაზებული იყო, ამიტომ მე გავეცალე. შევეცადე, მისთვის მეგრძნობინებინა, რომ ძალიან მიყვარს და რომ მისი გაორების კარგად მესმის. [...] ახლა ჩვენ ისევ დავუბრუნდით ერთმანეთს და ახალ, გარკვეულწილად, განსხვავებულ ურთიერთობას ვაშენებთ. ის კარგად არის და მოდის აქ, მეც მივდივარ მის სანახავად, ამიტომ მე ძალიან ბედნიერი ვარ და მისით ვამაყობ“.

რებეკა განიხილავს იმ გზებს, რომლითაც დროის გასვლა მნიშვნელოვნად ცვლის მშობლისა და შვილის ურთიერთობის პრობლემატიკას. ეს კვლევა მიუთითებს, რომ ტრანსგენდერი ადამიანებისა და მათი შვილების მშობლური ურთიერთობები ხშირად განიცდის არასტაბილურობის პერიოდებს და კომპლექსური გენდერული პრაქტიკების შიგნით გვარდება. გარდა ამისა, კვლევა მიუთითებს, რომ იმ ტრანს ადამიანების შვილებმა, რომლებიც ტრანზიციას მდედრობითიდან მამრობით გენდერზე განიცდიან და არა - პირიქით, შეიძლება, პროცესი უფრო მარტივად მიიღონ, თუკი მშობელი ტრანზიციამდე უფრო ანდროგინული გარეგნობის იყო. დენი (37 წლის) მაგალითად გვეუბნება:

„ადრე სამსახურში ყოველთვის ვატარებდი პერანგსა და ჰალსტუხს. ყველა ასე იცვამდა და მეც ასე ვიცვამდი. ახლაც მაქვს ტანსაცმელი, რომელსაც 7-8 წლის წინ ვატარებდი, რაც ადასტურებს ამ ტანსაცმლის ანდროგინულობას. ამიტომ, ჩემი ტანსაცმელი არ შეცვლილა. ისე არ ყოფილა, რომ ერთ დღეს მაკიაჟით მივაკითხე შვილს სკოლაში და მეორე დღეს - შარვლითა და პიჯაკით“.

კაცურ ფემინურობასთან შედარებით, ქალური ანდროგინულობის მიმართ უფრო დიდი კულტურული მიმღებლობა შეგვიძლია, დავინახოთ, როგორც ერთგვარი გავლენის მქონე ტრანსგენდერი კაცების შვილების სასარგებლოდ. მაგრამ ბავშვების გამოცდილება მათი მშობლების ტრანზიციის შესახებ მხოლოდ იმით არ არის განპირობებული, თუ როგორ უყვებიან ამ პროცესს მშობლები. შემდეგ ციტატაში დენი განიხილავს, როგორ გააადვილა პროცესი სკოლის დირექტორის მიერ მისი შვილის მდგომარეობისადმი გაგებით მოპყრობამ:

„როგორც ჩანს, მის სამეგობროში რაღაც სახის პრობლემა წარმოიშვა, მაგრამ სკოლამ ეს მოაგვარა. ისე მოხდა, რომ ზოგიერთმა ადამიანმა, ზოგიერთმა ბიჭმა შეკითხვების დასმა დაიწყო იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გამოვიყურებოდი მასკულინურად. დირექტორმა დამირეკა და მითხრა, დღეს ბიჭებს ვეტყვიო. ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს ოდესმე მოხდებოდა. არ ვიცი, რა უთხრეს, მაგრამ ჩემი შვილი რაღაც დავალებაზე გააგზავნეს და დანარჩენებს ესაუბრნენ. […] მხოლოდ ის ვიცი, რომ მეორე დღეს რამდენიმე მშობელმა დამირეკა და მითხრა, ჩემმა შვილმა გუშინ მომიყვა, რაც ხდებაო და, რომ იცოდე, ჩვენი მხარდაჭერა გაქვსო. ჩვენ არ ვიცით, დირექტორმა რა უთხრა, მაგრამ ეს რაღაც ისეთი იყო, რამაც ეს ხალხი შეკრა დამცავ ქსელში და რამდენადაც მე ვიცი, ჩემს შვილს არავითარი პრობლემა აღარ ჰქონია“.

აქ დენი საუბრობს დირექტორის როლის მნიშვნელობაზე, როგორც შუამავალ აგენტზე. ბავშვების მშობლებისთვის სკოლის გარემო და, განსაკუთრებით, მასწავლებლების, მშობლებისა და სხვა ბავშვების რეაქციები დომინანტურია, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც მშობლის გენდერულ ტრანზიციასთან ბავშვის ადაპტაციაზე ახდენს გავლენას.

ტრანსგენდერ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობათა ნარატივებში, რომლებიც შეგვიძლია, პარტნიორული ურთიერთობების ნარატივებთან შესაბამისობაში განვიხილოთ, შვილებთან ურთიერთობის კონტექსტში ცენტრალურ თემად არის წამოწეული გენდერული ტრანზიციის პროცესის რეფლექსურად მოგვარება. ამგვარად, ინდივიდუალიზებული მიდგომის ნაცვლად, დროის, გაცხადების და გენდერული ტრანზიციის მართვის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები მშობლის პასუხიმგებლობებთან მიმართებაში განიხილება. ბავშვებთან გენდერული ტრანზიციის შესახებ მოლაპარაკების საკვანძო ღირებულებები შეიძლება, შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ნდობა, გულახდილობა, ზრუნვა.

სანდელმა 1990-იანებში დაასკვნა, რომ *„[…] კაცები და ქალები წლების განმავლობაში აყალიბებდნენ ერთსქესიან ურთიერთობებს, ჰყავდათ შვილები, მაგრამ ის, რაც ახალია კაცებისა და ქალებისთვის, არის თვითიდენტიფიცირება გეი და ლესბოსურ ოჯახთან და შვილების ამ იდენტობით ყოლა“.* (1992:2) ეს აზრი ვრცელდება ტრანსგენდერი მშობლობის ამჟამინდელ მდგომარეობაზეც. ამგვარად, ისტორიულად, მაშინ როდესაც ბევრი კროსდრესერი და კროსგენდერულად იდენტიფიცირებული ქალი და კაცი იქნებოდა მშობელი, ისინი ტრანსგენდერ მშობლებად ახდენენ იდენტი-

ფიკაციას ახალ სოციალურ კონტექსტში. ასევე, რამდენადაც ლესბოსური და გეი მშობლობის ირგვლივ არსებულ სოციალურ და სამართლებრივ დებატებს წვლილი შეაქვს ლესბოსური და გეი ოჯახების საჯარო მნიშვნელობის ზრდაში (Sandell, 1994:2), 2004 წლის „გენდერის აღიარების აქტმა“ ტრანსგენდერი ოჯახების არსებობისაკენ მიაპყრო ყურადღება. მშობლობის გენდერულ როლში ცვლილებები ბიოლოგიასა და მშობლობას შორის კავშირის პრობლემატიზებას ახდენს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აკავშირებს დედობას ქალურ ბიოლოგიასთან და მამობას - კაცურთან. კასტელსი ამბობს, რომ ტექნოლოგიურმა განვითარებამ, როგორიც სუროგაცია, სპერმის ბანკები და ინვიტრო განაყოფიერებაა, შედეგად გამოიღო რეპროდუქციული შესაძლებლობებისა და არჩევნის ზრდა, რაც წარმოადგენს ***„უფრო დიდ კონტროლს ბავშვის გაჩენისა და ადამიანის სახეობის რეპროდუქციაზე“*** (1997:241). რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარებამ ასევე გაზარდა მშობლობის შესაძლებლობები ოპერაციის შემდგომი ტრანსგენდერი ადამიანებისათვის. გარდა ამისა, სიახლეებმა რეკონსტრუქციულ ქირურგიასა და ენდოკრინოლოგიაში კიდევ უფრო განაცალკევეს გენდერი ბიოლოგიისგან. კასტელსის დაშვება, რომ ტექნოლოგიურმა ტრანსფორმაციებმა გავლენა მოახდინეს „სოციალური ექსპერიმენტაციის ახალ არეალზე” (1997:241), სოციალური ცვლილების თეორიაში, შესაძლოა, ტრანსგენდერ მშობლურ პრაქტიკაზეც გავრცელდეს. ამგვარად, დე სუტერი (2006) მიუთითებს, თუ როგორ ქმნის თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად, სპერმის ან კვერცხუჯრედების ბანკები, ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ოპერაციის შემდეგ შვილების ყოლის შესაძლებლობებს.

დასკვნა

ამ თავში განხილული თემები სოციალური და ოჯახის პოლიტიკის სამომავლო კვლევებისათვის სერიოზულ საკითხებს წამოჭრის და ისეთი პოლიტიკის განვითარებაზე მიუთითებს, რომელიც თანამედროვე ოჯახური სტრუქტურების განსხვავებულობას ცნობს. გარდა ამისა, საკითხები, რომლებიც ამ თავშია განხილული, მიუთითებს, რომ ტრანსგენდერი ადამიანების პარტნიორობის, მშობლობისა და ინტიმურობის პრაქტიკების განხორციელება აადვილებს თანამედროვე „ცხოვრებისეული ექსპერიმენტების” დინამიკის უფრო მრავალმხრივ გაგებას (Weeks et al., 2001). ასევე, კვლევაში განხილულ ნარატივებში ხშირად არის წამოწეული აგენტურობისა და არჩევნის თემები, რაც იმის ილუსტრირებას ახდენს, რომ გენდერული ტრანზიციის ირგვლივ მიღებული კომპლექსური გადაწყვეტილებები პარტნიორული ურთიერთობებისა და ოჯახური პასუხისმგებლობების კონტექსტში განიხილება. ნარატივები გვკარნახობს, რომ სექსუ-

ალური იდენტობის, სექსუალური სურვილისა თუ პრაქტიკის მნიშვნელობა და გამოცდილება შეიძლება, გენდერული განსხვავებულობის პერფორმანსთან მიმართებაში შეიცვალოს. ზღვარი სექსუალურ ინტიმურობასა და მეგობრობას შორის ემოციური მხარდაჭერითა და მზრუნველობითაა გადალახული. მათზე დიდი აქცენტია გაკეთებული ამჟამინდელ პარტნიორულ და ყოფილ პარტნიორებს შორის ურთიერთობებში.

ბევრი მონაწილე რეფლექსურად განიხილავს გენდერული ტრანზიციის გავლენას შვილებთან ურთიერთობაზე; ღიაობა და გულახდილობა აქ აქცენტირებულია, როგორც მშობლობის პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობები. მონაწილეები ამბობენ, რომ მათი გამოცდილებით, ბავშვებს უფრო მეტად შესწევთ უნარი, შეეგუონ სირთულეებს მშობელთა ტრანზიციის პერიოდში, თუკი ღია დიალოგს აქვს ადგილი. გარდა ამისა, ტრანსგენდერი მშობლები გამოკვეთენ დამატებითი ფაქტორების სპექტრს, მათ შორის, შვილის ასაკს, განქორწინების ან დაშორების შემდეგ მშობლების ურთიერთობას, მშობლის გენდერს და შუამავალი აგენტების როლს, როგორც ტრანსგენდერი მშობლობის პრაქტიკის მნიშვნელოვან ფაქტორებს. თავში განხილული ნარატივები იმის ილუსტრირებას ახდენს, თუ რამხელა გავლენა აქვს მნიშვნელოვნებისა და გამოხატვის კომპლექსურ ცვლილებებს ტრანსგენდერი მშობლობისა და პარტნიორობის პრაქტიკებზე. ხშირად ამ დროს გენდერულმა ტრანზიციამ შესაძლოა, „საკუთარი თავის მიმართ მიმღებლობის ზრდა“ გამოიწვიოს (Jamieson, 1998), რომელიც ორმხრივ ღიაობაზეა აგებული.

მაშინ, როცა ეს პარტნიორული და მშობლური ნარატივები გამოკვეთს პირად კრეატიულობას, მიმაჩნია, რომ აქ განხილული გამოცდილება არა მხოლოდ ინდივიდის დროში ცვლილებაზე მეტყველებს, არამედ სოციო-ისტორიულ ცვლილებებზე, გენდერული მნიშვნელობისა და გენდერული გამოცდილების დივერსიფიკაციაზე და ამ ცვლილებების გავლენის შესახებ ინტიმურ ცხოვრებასა და სოციალურ ჩარჩოებზე. მიუხედავად იმისა, რომ უნდა მოვერიდოთ გენდერული განსხვავებულობისადმი მიმღებლობის გაზვიადებას და არ უარვყოთ ტრანსფობიის მუდმივი არსებობა, მთავარი ამ კვლევაში არის ოპტიმისტური დაშვება იმისა, რომ პარტნიორებსა და შვილებთან ურთიერთობები შესაძლოა შენარჩუნდეს ან განახლდეს გენდერული ტრანზიციის კონტექსტში. ამასთან ერთად, შედეგები ავლენს ახალი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს გენდერული ტრანზიციის შემდეგ. სტეისი (1996) გვეუბნება, რომ ახლა, „ოჯახის” მნიშვნელობებისა და გამოხატვის დივერსიფიკაციის პერიოდში, ჩვენ ვართ ოჯახის ქვიარ-კონტექსტში გადატანის მომსწრენი. სოციალური

ცხოვრების თანამედროვე მიმართულებებში ტრანსგენდერი ინტიმური პრაქტიკების განხორციელება გვიჩვენებს, რომ „ოჯახი“, როგორც სოციალური ინსტიტუტი და როგორც ცხოვრებისეული გამოცდილების პროცესი, მიმდინარე დისკუსიას, ცვლილებებსა და განახლებას ექვემდებარება.

განმარტებითი ლექსიკონი

ადამიანები ერთსქესიანი ლტოლვით (people with same-sex attractions) - ეს ერთი შეხედვით მოუქნელი ტერმინი ფართოდ გამოიყენება ლიტერატურაში, რადგან იგი უფრო ინკლუზიურია ერთსქესიანი სექსუალობის გაგებისათვის; არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებსაც არ სურთ გეი, ლესბოსელი ან თუნდაც არა-ჰეტეროსექსუალი უწოდონ საკუთარ თავს.

ადგილობრივები (Indigenous) - ტერმინი გამოიყენება იმ ადამიანების აღსანიშნად, ვინც პირველად ცხოვრობდა კონკრეტულ ტერიტორიაზე. დაპყრობებისა და კოლონიზაციების ისტორიის კონტექსტში, ადგილობრივ ადამიანებს ბევრი საერთო აქვთ, თუმცა ისინი განსხვავდებიან მითების წარმოშობის, რიტუალების და მიწისადმი დამოკიდებულებების მხრივ.

ანალური სექსი - შედარებით ნეიტრალური ტერმინია, რომელიც ზოგადად დაუცველი სექსის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

ანდროგინია (androgyny) - ფენომენი, როდესაც პიროვნება ერთმნიშვნელოვნად არ მიეკუთვნება ბინარული კატეგორიიდან ერთ-ერთს - „მამაკაცს" ან „ქალს", მანერების, ჩაცმულობის ან გარეგნობის გამო.

არაგენდერისტი (non-genderist) - იხ. გენდერისტი.

არარეპროდუქციული სექსუალობა (non-reproductive sexuality) - იხ. სოდომია.

არატრანსი (non-trans) - საერთო ტერმინი იმ ადამიანების აღსაწერად, ვინც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას არ ახენს ტრანს ადამიანად. ამ ტერმინის საშუალებით შესაძლებელია ადამიანების გამორჩევა ტრანს ადამიანების პათოლოგიზაციის და მათი „არანორმალურად" წარმოჩენის თავის არიდებით.

არაჰეტეროსექსისტი (non-heterosexist) - იხ.ჰეტეროსექსისტი

არაჰეტეროსექსუალი (non-heterosexual) - ბოლო პერიოდში გამოყენებული ტერმინი ლგბქ ადამიანების აღსანიშნავად. მართალია, ეს ნეგატიური ტერმინია, მაგრამ, გამოხატავს იმას თუ რა არ არიან ადამიანები; მიუხედავად ამისა, მრავალი მკვლევარი მას სასარგებლოდ მიიჩნევს. მათი აზრით, ის უკეთ გასაგები და ინკლუზიური განსაზღვრებაა.

არჩეული ოჯახები (families of choice) - ცნება, რომლის მიხედვითაც ლგბტქ ადამიანები ოჯახებს ქმნიან არა ბიოლოგიური კავშირის საფუძველზე, არამედ მზრუნველობასა და მხარდაჭერის საფუძველზე (ანუ არჩევითი ოჯახის წევრები შეიძლება ერთმანეთთან დაბადებით, შვილად აყვანით ან ქორწინებით არ იყვნენ დაკავშირებულნი).

ასიმილაციონისტური (assimilationist) - მეინსტრიმ საზოგადოების მხრიდან ლგბტქ ადამიანების მიერ დასახელებული საზოგადოებისადმი

მიკუთვნებულობის სურვილის ნეგატიური შეფასება, ან თვითონ მეინსტრიმ საზოგადოებისაგან ლგბტქ ადამიანებისადმი საკუთარი ცხოვრების სტილის და გამოცდილებების ნორმალიზების მოთხოვნა, რომელიც ემთხვევა დომინანტ (ჰეტერონორმატიულ) კატეგორიებს.

ბდსმ (BDSM) - აბრევიატურა, რომელიც იშიფრება როგორც „დომინირება და მორჩილება, სადიზმი და მაზოხიზმი“. იგი ასევე ხანდახან ცნობილია, როგორც S&M - სადომაზოხიზმი. ტერმინები სადიზმი (სხვისთვის ტკივილის მინიჭებისგან სიამოვნების მიღება) და მაზოხიზმი (სიამოვნების მიღება მორჩილებისა და ტკივილისაგან) პირველად რიხარდ ფონ კრაფტ-ებინგმა გამოიყენა (Richard von Krafft-Ebing) თავის ნაშრომში - Psychopathia sexualis (1886). კრაფტ-ებინგმა ტერმინი სადიზმი ფრანგი მწერლის - მარკიზ დე სადის (1740-1814) გვარიდან აიღო, რომლის ნაწარმოებები ძირითადად პორნოგრაფიული ხასიათის იყო. ხოლო სიტყვა მაზოხიზმს იგივე ავტორი დაესესხა წიგნის - *ვენერა ბეწვეულით* - ავტორის, ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხის (1836–95) გვარს. BDSM სუბკულტურის აღმნიშვნელი ტერმინია. მას იყენებენ ადამიანები (სხვადასხვა სექსუალური იდენტობების მქონე, მათ შორის ჰეტეროსექსუალები), რომლებიც მისდევენ წინასწარ თანხმობაზე დაფუძნებულ სექსუალურ პრაქტიკას. იგი მოიცავს ტყავის, ლატექსის და უნიფორმის ჩაცმას, სხვადასხვა სექს-სათამაშოს გამოყენებას, სექსუალური სცენარების შექმნას, რომელიც ძირითადად სადისტურ/დომინანტურ ან მაზოხისტურ/დამორჩილებულ პარტნიორებად დაყოფას ეფუძნება. BDSM ფსიქიკური აშლილობების სიაში პათოლოგიად არის შესული და ზოგი მისი ასპექტი ბევრ ქვეყანაში არალეგალურად ითვლება.

ბეარბექინგი (barebacking) - ტერმინი, რომელიც გამოიყენება არაჰეტერო-სექსუალ მამაკაცებში დაუცველი ანალური სექსის აღსანიშნავად. ბეარბექი ასოცირებულია სუბკულტურასთან, სადაც სხვა მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცები სხვადასხვა მიზეზების გამო უარყოფენ აივ ინფექციის და უსაფრთხო სექსის ცნებებს. **დაუცველი**

ბერდაჩე (berdache) - იხ. ორ-სახოვანი.

ბიოლოგიური ან გენეტიკური დედა/მამა (birth (or biological, natal, genetic) mother/father) - ქალი ან მამაკაცი, რომლის გენეტიკური მასალა იქნა გამოყენებული ნაყოფის ჩასახვისათვის ლესბოსელ/გეი ოჯახში. იხ. ასევე - თანა-მშობელი (coparent).

ბიოსამედიცინო მოდელი (biomedical model) - მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, დასავლურ მედიცინაში გაბატონებული ჯანმრთელობის, დაავადების და ინფექციების მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია ფიზიკურ პროცესებზე. ჯანმრთელობის ფსიქოლოგია ამ მიდგომას რედუქ-

ციულად აღიქვამს, რადგან მასში გამოტოვებულია ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორები.

ბიოფსიქოსოციალური მოდელი (biopsychosocial model) - ჯანმრთელობისადმი, დაავადებებისა და ინფექციებისადმი მიდგომის მოდელი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. ეს მოდელი ბიოსამედიცინო მოდელზე განვითარებულ ვარიანტად მიიჩნევა, თუმცა კრიტიკული ჯანმრთელობის ფსიქოლოგია მას მაინც აკრიტიკებს სოციო-კულტურული ჯანმრთელობის განზომილებების უგულვებელყოფის გამო.

ბისექსუალობა (ლათ. bi - ორი, sexus - სქესი; სიტყვასიტყვით - „ორმაგი სექსუალობა“) - ფართო მნიშვნელობით ორივე სქესისათვის დამახასიათებელი თვისებების ფლობა (ანდროგინია), ვიწრო გაგებით – სექსუალური ლტოლვა ორივე სქესის წარმომადგენელთა მიმართ

ბიფობია (biphobia) - ჰომოფობიის ანალოგიური ტერმინი, რომელიც გამოხატავს ფსიქოლოგიურ და სოციალურ ცრურწმენას და დისკრიმინაციას ბისექსუალი ადამიანების მიმართ.

განქორწინებული ლესბოსელი დედები/გეი მამები (divorced lesbian mothers/gay fathers) - ლესბოსელები და გეები, რომლებსაც ჰეტეროსექსუალური ურთიერთობებიდან ჰყავთ შვილები. ტერმინები „ლესბოსელი/გეი მშვილებელი ოჯახი“ ან „ლესბოსელი/გეი გაყრის შემდგომი ოჯახი“ გამოიყენება ისეთი ოჯახის აღსაწერად, სადაც ქალს აქვს ურთიერთობა ქალთან ან მამაკაცს აქვს ურთიერთობა სხვა მამაკაცთან და ერთ-ერთ ან ორივე პარტნიორს ჰყავს შვილები. მშვილებელი ოჯახების შემთხვევაში, ბავშვები შეიძლება იყვნენ ყოფილი ჰეტეროსექსუალური ან ჰომოსექსუალური ოჯახებიდან.

გარდაქმნის თერაპია (conversion therapy) - ადამიანის სექსუალობის არაჰეტეროსექსუალობიდან ჰეტეროსექსუალობაზე შეცვლის მცდელობა სხვადასხვა მეთოდის და „სამკურნალო საშუალების“ გამოყენებით.

გეი (gay) - მამაკაცები, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ როგორც გეები, განიცდიან სექსუალურ და ემოციურ ლტოლვას უპირატესად ან მხოლოდ მამაკაცებისადმი.

გეი განმათავისუფლებელი მოძრაობა (gay liberation) -1970-იანი წლების გეების და ლესბოსელების რადიკალური პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანსაც ჰომოსექსუალთა ჩაგვრის აღმოფხვრა და ყველა ადამიანისთვის სექსუალური თავისუფლების მოპოვება წარმოადგენდა. გეი განმანთავისუფლებელი მოძრაობა ხშირად მოუწოდებდა ოჯახის და სხვა ისეთი სოციალური ინსტიტუტების ნგრევისკენ, რომელთა გამოც გეები, ლესბოსელები და ჰეტეროსექსუალი ქალები იჩაგრებოდნენ. მოძრაობის

წევრებს სურდათ, ხელახლა აეშენებინათ სიმშვიდის, სამართლიანობისა და ეკონომიკური თანასწორობის იდეალებზე დაფუძნებული საზოგადოება.

გენდერისტი/არაგენდერისტი (genderist/non-genderist) - ჰეტეროსექსისტის/არაჰეტეროსექსისტის ანალოგიური ტერმინი, რომელიც გულისხმობს დისკრიმინაციას გენდერული იდენტობის საფუძველზე, კერძოდ კი ტრანს-ადამიანების მიმართ. არაგენდერისტული მიდგომა უარყოფს ასეთ დისკრიმინაციას და მიმღებია ტრანს-ადამიანების მიმართ.

გენდერული დისფორია (Gender Identity Disorder) - ძირითადად ტრანსსექსუალი ადამიანების დიაგნოსტიკური კატეგორია DSM-ში. ამ კატეგორიის გამოყენება ძირითადად განპირობებულია საპირისპირო სქესისადმი მიკუთვნებულობის მუდმივი და ძლიერი განცდით და საკუთარი სქესის მიმართ ხანგრძლივი დისკომფორტის განცდით.

გენდერული იდენტობის კლინიკა (gender identity clinic) - ფსიქიატრიული და ქირურგიული სამკურნალო ცენტრი ტრანსსექსუალი ადამიანებისათვის.

დაბადების სქესი - პიროვნების სქესი დაბადებისას.

დაგეგმილი გეი/ლესბოსელი ოჯახები (planned lesbian/gay families) - ოჯახები, სადაც უფროსებმა გადაწყვიტეს შვილის ყოლა მას შემდეგ, რაც გააკეთეს ქამინგ აუთი.

დასავლეთი/დასავლური (West/western) - მსოფლიოს ბინარული ხედვა (ძირითადად კულტურულად და არა გეოგრაფიულად), სადაც ქვეყნები ან აღმოსავლეთში (მაგ. რუსეთი და აზია) ან დასავლეთში (მაგ. აშშ, ევროპა, ავსტრალია, ახალი ზელანდია) არიან გადანაწილებულნი. ეს ტერმინი აღწერს კონკრეტულ ღირებულებებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ საერთოა დასავლეთში მყოფი ერებისათვის. ეს შეფარდებითი ტერმინია, სადაც დასავლეთი ან დასავლური სამყარო აღმოსავლეთის პოლარულ ოპოზიტად არის წარმოდგენილი. მართალია, მკვლევარები ცდილობენ ამ ბინარულობის გამოწვევის წინაშე დაყენებას და დეკონსტრუირებას, თუმცა ეს ტერმინი მაინც შენარჩუნებულია ისეთი მსოფლმხედველობის აღსაწერად, რომელიც ასოცირებულია ინდივიდუალიზმთან, მომხმარებლობასთან და დომინაციის ფორმებთან, მაგალითად კოლონიალიზმთან.

დეკონსტრუქცია (deconstructing) - ფრანგი ფილოსოფოსის, ჟაკ დერიდას (1930-2004) ნამუშევრებთან ასოცირებული ანალიზის სტრატეგია. მისი პრინციპია კითხვის ნიშნის გარეშე გამოყენებული დაშვებებისა და შიდა წინააღმდეგობების გამოაშკარავება.

დისკურსი (discourse) - მრავალი მნიშვნელობის მქონე ტერმინი. ზოგადად, იგი აღნიშნავს შაბლონურ მნიშვნელობებს მეტყველებით ან წერით ენაში.

დისკურსის ანალიზი (discourse analysis) - თვისებრივი ანალიზი, რომელიც ფოკუსირებულია ტექსტებში მნიშვნელობების შაბლონების განსჯაზე და ამ მნიშვნელობების ეფექტებისა და შედეგების გამოკვლევაზე.

დისკურსული ფსიქოლოგია (discursive psychology) - დისკურსული ანალიზს ფორმა, რომელიც ფოკუსირებულია ფსიქოლოგიურ თემატიკაზე. დისკურსული ფსიქოლოგია ასვე მიიჩნევა უფრო დაწვრილებით მიდგომად დისკურისის ანალიზისადმი და ტექტსობრივი მონაცემების უფრო დეტალურ ანალიზად.

დომინანტური ჯგუფი (dominant group) - სოციუმში არსებული ჯგუფი, რომელიც დომინანტია და თავის პოზიციურ უპირატესობას თავისი მსოფლმხედველობის სხვა მსოფლმხედველობებზე მეტად გავრცელებისათვის იყენებს.

დონორისმიერი განაყოფიერება (donor insemination) - ტექნიკურად პირდაპირი (თუმცა ხშირად ემოციურად რთული და გრძელვადიანი) ჩასახვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სპერმის შეტანას ვაგინაში უნემსო შპრიცით. დონორისმიერი განაყოფიერების პროცედურა ტარდება ექიმის ან ექთნის მიერ რეპროდუქციულ კლინიკებში. ზოგი ქალი თავად იტარებს ამ პროცედურას. დონორისმიერი განაყოფიერება არ უნდა აგვერიოს ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდთან. ინ ვიტრო წარმოადგენს საკმაოდ ძვირადღირებულ ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც წყვილებს ან ქალებს აქვთ სერიოზული დაორსულების პრობლემები.

დრეგ ქინგები/ქვინები (drag kings/queens) - მამაკაცები და ქალები, რომლებიც „საპირისპირო“ სქესის ტანსაცმელს იცვამენ ან არტისტული მიზნით, ან გენდერული ნორმების პაროდიად წარმოსაჩენად და გენდერული ბინარულობის ეჭვქვეშ დასაყენებლად.

ეპიდემიოლოგია (epidemiology) - მეცნიერება, რომელიც სწავლობს დაავადებების სიჭარბეს სხვადასხვა პოპულაციებში (მაგ. ლგბტქ ჯგუფში) და იმას, თუ რატომ ჩნდებიან ისინი. ეპიდემიოლოგიური კვლევებს საკმაოდ მაღალი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროსა და მტკიცებულებითი მედიცინის პრაქტიკის განვითარებაში.

ერთსქესიანი ურთიერთობები (same-sex relationships) - სექსუალური/რომანტიკული ურთიერთობები ერთი სქესის/გენდერის ადამიანებს შორს. ტერმინ „ერთსქესიანი ურთიერთობების“ გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ურთიერთობის სტატუსის განსაზღვრისას არ მოხდეს რაიმე კონკრეტული იდენტობის კატეგორიის ხაზგასმა. შესაბამისად, ის პოტენციურად უფრო ინკლუზიური ტერმინია

ბისექსუალი და სხვა არაჰეტეროსექსუალი ადამიანებისათვის, ერთსქესიანი ურთიერთობებისას.

WSW - იხ. MSM.

თანა-მშობელი (co-parent) - ოჯახებში, სადაც ერთი მშობელი მაინც არის გენეტიკურად დაკავშირებული ბავშვთან, მეორე მშობელი ითვლება თანა-მშობლად (ზოგჯერ, ორივე მშობელი შეიძლება იყოს ბიოლოგიურად დაკავშირებული ბავშვთან. მაგ, როდესაც თანამეურვის ძმა არის გამჩენი დედის სპერმის დონორი). ტერმინების „დედის“ და „მეორე დედის“ გამოყენება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ზოგჯერ ლესბოსურ ოჯახში ორივე ქალი შეიძლება დაორსულდეს და შესაძლოა, ბავშვთან ბიოლოგიური კავშირის უზრუნველყოფის მიზნით ლესბოსელმა წყვილმა საკვერცხეები გაცვალოს. ზოგ არაჰეტეროსექსუალურ ოჯახში შეიძლება რამდენიმე თანამეურვე შეგვხვდეს, მაგალითად, გეი და ლესბოსელი წყვილი შეიძლება თანამეურვეები გახდნენ.

თვალსაწიერის თეორია (standpoint theory) - თეორია, რომელსაც ეფუძნება მრავალი თვისებრივი კვლევა ფსიქოლოგიასა და სხვა სოციალურ მეცნიერებებში. იგი მჭიდროდ ასოცირებულია ფემინისტების იმ ნაშრომებთან, როგორიცაა დოროთი სმიტი (Dorothy Smith 1990), სანდრა ჰარდინგი (Sandra Harding 1991) და პატრისია ჰილ კოლინსი (Patricia Hill Collins 1990). თვალსაწიერის თეორიის მიხედვით, ყველა შეხედულება და თვალსაწიერი ნაწილობრივ აღიქვამს გარემოს და მათზე გავლენას ადამიანის კონკრეტულ ჯგუფთან მიკუთვნებულობა ახდენს.

თვისებრივი ფსიქოლოგია (qualitative psychology) - ფსიქოლოგიური კვლევა, რომელიც თვისებრივ კვლევის მეთოდებს იყენებს, კონცენტრირებულია მნიშვნელობების შექმნითა და მათი გაგებით და უმეტესწილად ისეთ ტექსტობრივ მონაცემებს ეყრდნობა, როგორიცაა ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები.

იდენტობის კრებითი მოდელები (additive models of identity) - მოდელები, რომელთა თანახმად, შესაძლებელი და გამართლებულია პირის იდენტობის ერთი ასპექტის შესწავლა მისი იდენტობის სხვა აპსექტებისგან იზოლირებულად (მაგალითად, შესაძლებელია ვიკვლიოთ ადამიანის, როგორც ჰომოსექსუალის, გამოცდილება მისი, როგორც თეთრკანიანის, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონის, საშუალო კლასის და საშუალო ასაკის წარმომადგენელის და სხვა მახასიათებლებისაგან დამოუკიდებლად). იდენტობისადმი ალტერნატიული მიდგომა ინტერსექციურია, იგი იდენტობის ყველა ასპექტს ურთიერთკავშირში აღიქვამს და მიიჩნევს, რომ მათი დაყოფა და იზოლირებულად კვლევა შეუძლებელია.

იდეოლოგია (ideology) - იდეების ორგანიზებული ერთობლიობა, მსოფლმხედველობრივი სისტემა. იდეოლოგიები შეიძლება ეპისტემიოლოგიური ხასიათის იყვნენ და აკადემიურ დისციპლინებში კვლევის არეალების ძირითად პარადიგმებზე მიუთითებდნენ (მაგ. პოზიტივიზმი, პოსტპოზიტივიზმი); ისინი შესაძლებელია ასევე პოლიტიკური ხასიათის იყვნენ და აღნიშნავდნენ იდეათა ერთობას საზოგადოებრივი მოწყობის მოდელების შესახებ, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკური მოძრაობები და ორგანიზაციები ოპერირებენ.

ინდივიდუალიზებული (individualised) - კონცეფცია არის ინდივიდუალიზებული იმდენად, რამდენადაც ის სოციალურ საკითხებს ინდივიდუალური ადამიანების ქმედებებიდან გამომდინარედ განიხილავს. მაგალითად, შეიძლება ვიდავოთ იმ საკითხზე, რომ ტერმინი ჰომოფობია გვთავაზობს გეებისა და ლესბოსელების მარგინალიზაციის ინდივიდუალისტურ ახსნას, რამდენადაც იგი ფოკუსირებულია ინდივიდუალურ დამოკიდებულებებზე და არა ჰეტეროსექსუალურ ნორმაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ წყობაზე.

ინვერსია (inversion) - ტერმინი ჰომოსექსუალობის და სხვა გენდერული ინვერსიის (ტრანს და ინტერსექსუალი ადამიანები) აღსაწერად, რომელიც გამოიყენებოდა ადრეული სექსოლოგების მიერ. ამ ტერმინის გამოყენება განპირობებული იყო თეორიით, რომლის თანახმადაც ჰომოსექსუალობა (სხვა გენდერულ ინვერსიებთან ერთად) იყო გენდერული მახასიათებლების თანდაყოლილი შებრუნება (მაგალითად, მიიჩნეოდა, რომ ინვერსიის მქონე ქალებს მამაკაცური ჩვევებისა და ჩაცმულობისკენ ჰქონდათ მიდრეკილება)

ინტერნალიზებული ჰომოფობია (internalised homophobia) - ნეგატიური გრძნობები საკუთარი თავის მიმართ, რომელიც გაშინაგნებული, ინტერნალიზებული ხდება ჰომოსექსუალობის მიმართ სხვებისა და საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების შედეგად.

ინტერსექსუალი (intersex) - სამედიცინო მოცემულობათა ნაკრები, როდესაც ადამიანები იბადებიან ისეთი სქესობრივი ქრომოსომებით, გარეგენიტალიებით ან შინაგანი რეპროდუქციული სისტემით, რომელიც არ მიიჩნევა „სტანდარტულად“ არც მამაკაცისათვის და არც ქალისათვის. ახალშობილი ინტერსექსუალ ბავშვებს, როგორც წესი, ექიმები მიაკუთვნებენ ან მდედრობით ან მამრობით სქესს და მათ სხვადასხვა პროცედურას უტარებენ, რათა მათი სხეულები სოციალურ ნორმებს პასუხობდეს. თუმცა, მრავალი ინტერსექსუალი აქტივისტი აპროტესტებს ბავშვებზე ოპერაციების ჩატარებას. ინტერსექსუალი პირები საკუთარ სექსუალურ და გენდერულ იდენტობებს სხვანაირად ხსნიან.

ინტერსექციური (intersectional) - იდენტობის ისეთი გააზრება, რომელიც ცნობს იდენტობის მრავალგვარი და ერთდროული გადაკვეთის წერტილების არსებობას. ეს მიდგომა არ უყურებს იდენტობებს კრებით ფორმაში (მაგ. ქალი + ლესბოსელი + შავკანიანი = მეტად დისკრიმინირებულს ვიდრე ქალი + ლესბოსელი), არამედ მათ ერთიანად, კომბინირებულად აღიქვამს. ეს კომბინაციები ადამიანებს გარკვეულ სოციალურ პოზიციას ანიჭებს, რომელიც შესაძლოა შეზღუდვებსაც მოიაზრებდეს და პრივილეგიებსაც.

ინსტიტუციური ჰომოფობია (institutionalised homophobia) - ტერმინი, რომლის მიხედვითაც ჰეტეროსექსუალობა არამარტო ინდივიდუალური სექსუალობაა, არამედ სოციალური ინსტიტუტიც, რომელიც ქცევას და პრაქტიკას არეგულირებს.

კალაბაი/კალალაი (calabai/calalai) - იხ. ორსახოვანი.

კვლევის ძირითადი ობიექტები (usual suspects) - ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც შეადგენენ ძირითად შერჩევას კვლევებისათვის ლგბტქ ფსიქოლოგიაში (მაგ. თეთრკანიანი, საშუალო კლასის გეი და ლესბოსელი ადამიანები). კითხვის ნიშანი (questioning) – „ქ“ ლგბტქ-ში ხშირად ორ მნიშვნელობას ატარებს „ქვიარს“ და „კითხვის ნიშანს“, იმ ადამიანების აღსანიშნავად, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ და იკვლევენ საკუთარ სექსუალობას. ასევე, გამოიყენება ტერმინები “ბიცნობისმოყვარე” (bicurious) და „ჰეტერომოქნილი“ (heteroflexible).

კოლონიზაცია (colonisation) - ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მითვისება ან მოტივირებული გამოყენება იმ მოსაზრებით, რომ მათ ამ ტერიტორიის მითვისების უფლება აქვთ. როგორც წესი, ეს მოსაზრება ემყარება შეხედულებას, რომ ადგილობრივ ადამიანებს ამ ტერიტორიის საკუთრების მტკიცების უფლება არ აქვთ, რადგან კოლონიზატორების აზრით, ისინი მასზე ლეგიტიმურად (კოლონიზატორის განმარტებით) არ ბინადრობენ.

კონგენიტალური ინვერსია (congenital inversion) - ტერმინი, რომელიც ადრეულ სექსოლოგიაში გამოიყენებოდა. იგი ნიშნავს „ბუნებრივი“ ან თანდაყოლილი სექსუალური ინსტინქტის ინვერსიას, როდესაც მამაკაცი*ს სექსუალური სურვილის ობიექტი არის მამაკაცი, ხოლო ქალის - ქალი.

კონტექსტუალიზმი (contextualism) - თეორიული მიდგომა თვისებრივი კვლევებისადმი, რომლის მიხედვითაც კვლევის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომლის ფარგლებშიც იგი ჩატარდა. კონტექსტუალისტურად მრავალი თეორიული მიმართულება შეიძლება მივიჩნიოთ (მათ შორის თვალსაწიერის თეორია - Standpoint Theory, ფენომენოლოგია და კრიტიკული რეალიზმი) და იგი ასოცირებულია მონაცემთა ანალიზის თვისებრივ მეთოდებთან, როგორიცაა საფუძვლის თეორია (Grounded

Theory) და ინტერპრეტაციული ფენომენოლოგიური ანალიზი (Interpretative Phenomenological Analysis).

კრიტიკული რეალიზმი (critical realism) - კრიტიკულ ფსიქოლოგიაში არსებული ნაშრომები, რომელთა მიხედვითაც რეალობის აღქმა და ინტერპრეტირება დაფუძნებულია კულტურაზე, ენასა და პოლიტიკურ ინტერესებზე.

კრიტიკული ფსიქოლოგია (critical psychology) - საერთო ტერმინი ფსიქოლოგიაში იმ მეთოდებისათვის, რომლებიც კრიტიკულად ეკიდებიან მეინსტრიმ ფსიქოლოგიაში არსებულ ძირითად პოსტულატებს.

კრიტიკიული ჯანმრთელობის ფსიქოლოგია (critical health psychology) - ჯანმრთელობის კვლევებისადმი მიდგომა, რომელიც დაფუძნებული შემდეგ პრინციპებზე: ძირითადად თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენება, კრიტიკული/კონსტრუქტივისტული თეორიების გამოყენება, რომელთა მიზანია პოზიტიური სოციალური ცვლილება ჯანმრთელობის ნიადაგზე მარგინალიზებული ადამიანებისათვის. ეს მიდგომა ასევე განსხვავდება ჯანმრთელობის მეინსტრიმ ფსიქოლოგიისაგან, რაც ჯანმრთელობისა და ავადმყოფობისადმი სოციო-კულტურულ მიდგომას ითვალისწინებს.

კროსგენდერული იდენტიფიკაცია (cross-gender identification) - ტრანსსექსუალი ადამიანები ხშირად აღიქვამენ საკუთარ თავს, როგორც „არასწორ სხეულში მყოფებს," და შესაბამისად აღიქმებიან, როგორც „სხვა სქესის" გენდერის მატარებლები.

ლესბოსელი (lesbian) - ქალი, რომელსაც სექსუალურ და ემოციურ ლტოლვას მხოლოდ ან ძირითადად ქალებისადმი განიცდის. ზოგი ქალი ამჯობინებს ტერმინი „გეი ქალის" გამოყენებას.

ლესბოსელი ფემინისტები (lesbian feminists) - 70-იან წლებში ლესბოსელმა ფემინისტებმა წარმოადგინეს ახალი ხედვა „ლესბოსური ნაციის" შესახებ, რომელიც ქალზე ორიენტირებული უტოპია იყო, ერთგვარი "სამოთხე უგულო (მამაკაცურ/ჰეტეროსექსუალურ) სამყაროში". ეს იყო ბაზა პოლიტიკური აქტივიზმისათვის. ლესბოსელი ფემინისტები ცდილობდნენ, შეექმნათ მეინსტრიმისაგან განცალკევებული თემი (ზოგი მათგანი მამაკაცებთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტის მომხრე იყო) და გამოწვევების წინაშე დაეყენებინათ მეინსტრიმ ნორმები და ღირებულებები. გეი განმათავისუფლებელი მოძრაობა და ლესბოსელი ფემინისტები მიმართავდნენ იმავე მეთოდებს: მსვლელობებს, მჯდომარე აქციებს და ა.შ. ისინი უარყოფდნენ ადრეული გეი მოძრაობის უმრავლესობისთვის საამებელ სტრატეგიას და სოციალური ცვლილების მოხდენას უწყობდნენ ხელს. **რადიკალი ლესბოსელი ფემინისტები**

გამოეყვნენ ლესბოსელ ფემინისტებს და ჩამოაყალიბეს ლესბოსური ფემინიზმის განსხვავებული ფორმა, რომელიც გენდერის საზოგადოებაში ფუნქციონირების რადიკალურ ფემინისტურ ანალიზთან ასოცირდებოდა. ბევრი ლესბოსელი იზიარებს ლესბოსელი ფემინისტების იდეებს.

ლესბი და გეი მოძრაობა (lesbian and gay movement) - ტერმინი აღნიშნავს პოლიტიკური მოძრაობას, რომლის მიზანია გეი და ლესბოსელი ადამიანების ინტერესების წინ წამოწევა. ამ ფართომასშტაბიანი მოძრაობის ფარგლებში არსებობდა უამრავი პოლიტიკური ორგანიზაცია და კამპანია.

ლესბი და გეი კვლევები (lesbian and gay studies) - ინტერდისციპლინარული დარგი, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა და გენდერსა და სექსუალობის იდენტობებს შეისწავლის (ასევე ცნობილია როგორც „ქვიარ სწავლებანი“). ამჟამად სტუდენტებს ამ კურსებს უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტი სთავაზობს. არსებობს მრავალი სახელმძღვანელო და გამოცემა, რომლებიც ამ დარგის გასაცნობად გამოდგება.

ლიბერალურ-ჰუმანისტური (liberal-humanistic) - ფართოდ გავრცელებული ფილოსოფია გვიანდელ დასავლურ კულტურაში, რომელიც ყურადღებას ინდივიდის უნიკალობასა და უფლებებზე ამახვილებს. სექსუალობის კუთხით, ეს იდეოლოგია ხაზს უსვამს ლგბტქ ადამიანების ადამიანურობას და მათი სექსუალობის ჩვეულებრივობასა და უმნიშვნელობას.

მამაკაციდან ქალი ტრანსსექსუალი (male-to-female-transsexual (MTF)) - დაბადებით მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელიც საკუთარი სურვილით იცვლის სქესს ქალურობამდე ჰორმონალური და/ან ქირურგიული მეთოდით. მამაკაციდან - ქალი ტრანსსექსუალების აღსაწერად ასევე ფართოდ გამოიყენება ტერმინი- ტრანსქალი.

მარქსიზმი (Marxism) - ფრიდრიხ ენგელსი და კარლ მარქსის იდეების საფუძველზე განვითარებული პოლიტიკური ფილოსოფია და პრაქტიკა. მარქსიზმის მრავალი ვარიაცია არსებობს, თუმცა მისი ძირითადი პრინციპი ეფუძნება მოსაზრებას, რომ კაპიტალიზმი დამყარებულია პროდუქციის წარმოების მფლობელთა მიერ მუშა ადამიანების ექსპლუატაციაზე. მარქსისტების აზრით, კაპიტალიზმი ყველანაირი ჩაგვრის საფუძველს წარმოადგენს.

მეინსტრიმ ფსიქოლოგია (mainstream psychology) - პოზიტივისტურ-ემპირიულ და რეალისტურ ცნებებზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური მიდგომა, რომელსაც მიაჩნია, რომ შესაძლებელია სამყაროზე ობიექტური ინფორმაციის შეგროვება. ტერმინ „მეინსტრიმს“ ვიყენებთ ლგბტქ ფსიქოლოგიისადმი ისეთი მიდგომის აღსაწერად, რომელიც მეინსტრიმ

ფსიქოლოგიის ცნებებს და ღირებულებებს იზიარებს. თავად ლგბტქ ფსიქოლოგიას ფსიქოლოგიის დისციპლინაში მარგინალური სტატუსი უკავია. ამიტომ სადავოა, რამდენადაა შესაძლებელი ლგბტქ ფსიქოლოგიისათვის მეინსტრიმის დარქმევა.

მკურნალობის სტანდარტები (Standards of Care) - ამერიკაში მოღვაწე ექიმის, ჰარი ბენჟამინის (1885-1986) ნაშრომებზე დაფუძნებული სტანდარტი, რომელიც მრავალ დასავლურ ქვეყანაში მიიჩნევა სახელმძღვანელოდ ტრანსსექსუალობისა თუ გენდერული დისფორიის ფსიქიატრიული და სამედიცინო „მკურნალობისას“.

მონონორმატიულობა (mononormativity) - ტერმინი, რომელიც ბისექსუალი თემის მიერ მხოლოდ ერთი სქესის/გენდერის წარმომადგენლის მიმართ სურვილისა და სექსუალური კავშირის ნორმატიულობის აღსაწერად გამოიყენება.

MSM (men who have sex with men) - მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცებთან. ეს ტერმინი შეიქმნა აივ ინფექცია/შიდსის მკვლევართა მიერ, რათა ტერმინს მოეცვა ის მამაკაცებიც, რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცებთან, თუმცა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას არ ახდენენ როგორც „გეი“ ან „ქვიარ სექსუალური ჯანმრთელობის კვლევებსა თუ პრევენციის კამპანიებში“. MSM მიზანმიმართულად უსვამს ხაზს სექსუალურ *ქცევას* და არა *იდენტობას*. პარალელური ტერმინი WSW (ქალები, რომლებსაც აქვთ სექსი ქალებთან - women who have sex with women) ასევე გამოიყენება აივ/შიდსის და სექსუალური ჯანმრთელობის კვლევების კონტექსტში.

ნადლიჰი (na´dleeh1´) - იხ. ორსახოვანი.

ნატურალისტური მონაცემები (naturalistic data) - მონაცემები, რომლებიც უკვე არსებობს სამყაროში (მაგალითად საგაზეთო სტატიები ან ექიმებსა და პაციენტებს შორის ინტერაქცია) და არ არის შეგროვებული სპეციალური კვლევითი მიზნით.

ნორმალიზაცია (normalisation) - აღნიშნავს პროცესს, როდესაც რაღაც, რაც ნორმატიულად არ ითვლება, წარმოჩინდება ნორმალურად და ჩვეულებრივად. ნორმალიზაციის ცნება ლიბერალურ-ასიმილაციონისტური პოლიტიკის და გეი და ლესბოსელი ადამიანების ჰეტეროსექსუალებთან მსგავსების მტკიცების კრიტიკის კონტექსტში შეიქმნა.

ნორმატიული (normative) - ადამიანები ლგბტქ იდენტობების განხილვისას მრავალ უხერხულობას აწყდებიან. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ სურთ თქვან, რომ ეს იდენტობები არაა „ნორმალური“, რადგან ადამიანების უმეტესობა იდენტიფიცირდება ჰეტეროსექსუალად და არა-ტრანსად. ჩვენ გვსურს, თავი ავარიდოთ ტერმინ „ნორმალურის“

გამოყენებას, რადგან იგი მორალურ განსჯას შეიცავს. ტერმინი „ნორმატიულის“ გამოყენება ბევრად ვალიდურია იმის აღსაწერად, რაც დომინანტურ სოციალურ კულტურაში ნორმად მიიჩნევა, ხოლო „არანორმატიულის“ კი - ნორმის გარეთ მოქცეული კონსტრუქტების აღსანიშნად.

ორმაგი დისკრიმინაცია/საფრთხის შექმნა (double discrimination/jeopardy) - იდეა, რომლის მიხედვითაც ლგბტ თემის ზოგი წევრები განიცდიან დისკრიმინაციას არამარტო მათი სექსუალური და გენდერული იდენტობის, არამედ სხვა ფაქტორების გამოც (მაგ. კანის ფერი, გენდერი, ასაკი და ა.შ). ტერმინი გამოხატავს იმ სხვადასხვაგვარ გზებს, სადაც ხდება პრივილეგიისა და მარგინალიზაციის თანხვედრა, ანდა იმ მრავალგვარი იდენტობის პოზიციას, რომლიც ჩვენ გვიკავია. იგი ასევე გამოიყენება იმ გარემოების აღსანიშნავად, როდესაც ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები განიცდიან დისკრიმინაციას როგორც მეინსტრიმ, ასევე ლგბტ საზოგადოებაში.

ორსახოვანი (two-spirit) - ეს ტერმინი გამოიყენება იმ მკვიდრი ამერიკელების აღსაწერად, რომლებიც არ იდენტიფიცირდებიან, როგორც ჰეტეროსექსუალი ან ტრანსი. კვლევები ადასტურებს, რომ ამ ყოვლისმომცველი ტერმინის გამოყენებას პარალელურად გასდევს სხვადასხვა მკვიდრი ამერიკელი ერების მიერ საკუთარი სპეციფიკური ტერმინების გამოყენება (მაგალითად nádleehí ნავაჰოს ხალხის მიერ). სხვა კულტურების მიერ გამოყენებული მსგავსი ტერმინებია, მაგალითად fa'afafine სამოან კულტურაში, calabai/calalai ინდონეზიურ კულტურაში. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ორ-სახოვანი“, პრობლემურია და ამავე დროს ასახავს დასავლური ცივილიზაციების მიერ არადასავლური კულტურების აღქმის ინტერპრეტაციებს.

ორსქესიანი მოდელი (two-sex model) - მრავალ კულტურაში ღრმად ფესვგადგმული სქესის მოდელი, დაფუძნებული იმ მოსაზრებაზე, რომ არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ორი სქესი.

პათოლოგიზაცია (pathologisation) - პირდაპირი მნიშვნელობით, პათოლოგია ავადმყოფობას ნიშნავს. შესაბამისად, ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციის მოდელი ნიშნავს ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად ან დაავადებად წარმოჩენას. ჰომოსექსუალობის პათოლოგიზება ნიშნავს მისთვის დაავადებისმაგვარი და „არანორმალური“ ნიშან-თვისებების მიწერას.

პატრიარქალური ჩაგვრა (patriarchal oppression) - ძირითადად ნიშნავს ქალების ჩაგვრას ისეთ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცი მიიჩნევა დომინანტად.

პატრიარქატი (patriarchy) - ფემინიზმში მნიშვნელოვანი ცნებაა. პირდაპირი მნიშვნელობით, პატრიარქატი ნიშნავს საზოგადოების მოწყობას ოჯახის ღირებულებების ირგვლივ, სადაც მამას უპირატესი და უპირობო ავტორიტეტი გააჩნია. ფემინისტები ამ ტერმინს უფრო ფართოდ იყენებენ იმ საზოგადოების აღსაწერად, სადაც მამაკაცები დომინანტები არიან. ტერმინი ჰეტეროპატრიარქატი ლესბოსელ ფემინისტებს შორის გაჩნდა ისეთი საზოგადოების აღსაწერად, სადაც მამაკაცები დომინანტები არიან და ჰეტეროსექსუალობა პრივილიგირებულია.

პენისი - ვაგინაში ინტერკურსი (penis-in-vagina intercourse) - ტერმინი, რომელიც ფემინისტმა და ქვიარ თეორეტიკოსებმა შექმნეს, რათა თავიდან აერიდებინათ „სექსის“ ან „პენეტრაციული“ სექსის ერთმანეთში არევისათვის სექსის ამ კონკრეტულ ფორმასთან (პენისი-ვაგინაში). ტერმინი ამ კონკრეტულ სქესობრივ აქტს სპეციფიკურ სახელს არქმევს, როცა უმეტესად ის ცალკე კატეგორიად არ აღიქმება და თავისი ნორმატიულობის გამო თითქოსდა ზოგად და ყველასთვის საერთო სქესობრივ აქტს ნიშნავს.

პირველადი ოჯახები (families of origin) - ოჯახები, სადაც ჩვენ ვიზრდებით.

პირველი ნაცია (First Nation) - ადამიანების ჯგუფი, რომელსაც პრეტენზია გააჩნია ტერიტორიაზე, სადაც მოცემული მომენტისათვის სხვა ადამიანების ჯგუფი ბინადრობს. საკუთრების წართმევის მიმდინარე ეფექტების მიუხედავად, პირველი ნაციის არაერთი ხალხი დღემდე მოითხოვს სუვერენულ უფლებებს ტერიტორიებზე და თავიანთ მიწასთან საკუთარი კავშირისა და დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობას. პირველი ნაციების ტერიტორიების საზღვრები არ ემთხვევა ამჟამად არსებულ კონფიგურაციებს. დასავლური მსოფლიოს კონფიგურაციების მიუხედავად, პირველადი ნაციები დღემდე ინარჩუნებენ საკუთარ ენას და ჯგუფის დასახელებებს.

პოლიამორია (polyamory) - ერთდროულად ერთზე მეტი ინტიმური ურთიერთობის ქონის პრაქტიკა, როდესაც ამაზე ყველა მონაწილე წინასწარ არის შეთანხმებული. ასეთი ურთიერთობები შესაძლებელია იყოს სექსუალური, ემოციური ან ორივე ერთდროულად.

პოლიამორული (polyamorous) - იხ. პოლიამორია.

პოლიტიკური (political) - სოციალური ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს ავტორიტეტს ან ძალაუფლებას; რაიმეს „პოლიტიკურად“ აღწერა ნიშნავს იმის გააზრებას, რომ ეს რაღაც უკავშირდება ძალაუფლებასა და იდეოლოგიას.

პოლიტიკური ლესბოსელები (political lesbians) - ქალები, რომლებიც

ირჩევენ ლესბოსელად ყოფნას ფემინისტური პოლიტიკური შეხედულებების გამო.

პოსტმოდერნიზმი (post-modernism) - მსოფლმხედველობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამყაროს სწორხაზოვნად და „პროგრესირებადად“ აღქმის კუთხეს და მოსაზრებას, რომ საზოგადოებაში ზოგი ჯგუფები სხვებზე მეტად განვითარებულნი არიან. პოსტმოდერნიზმი ამბობს, რომ საზოგადოების განვითარების სწორხაზოვანი ტრაექტორია არ არსებობს და რომ ჩვენი, როგორც ინდივიდების, გამოცდილებები ფრაგმენტირებული და მრავალგვარია. იგი არ არის თანმიმდევრული და სწორხაზოვანი. თუმცა, პოსტმოდერნიზმი ასევე აღიარებს, რომ სამყაროს ხედვის მოდერნული მოდელის დომინანტობის გამო, საკუთარ თავს თანმიმდევრულად და სწორხაზოვნად აღვიქვამთ.

პოსტსტრუქტურალიზმი (post-structuralism) - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებში პოსტსტრუქტურალისტმა თეორეტიკოსებმა დიდი გავლენა მოახდინეს. პოსტსტრუქტურალიზმი საფრანგეთში განვითარდა 1960-იან წლებში და მჭიდროდ ასოცირებულია ჟაკ დერიდას (1998) და მიშელ ფუკოს(1978) ნაშრომებთან. სოციალური კონსტრუქტივიზმის მსგავსად, პოსტსტრუქტურალიზმი უარყოფს სამყაროს შესახებ ობიექტური ინფორმაციის არსებობის შესაძლებლობასა და ასევე ტრადიციულ შეხედულებას ენის მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებად აღქმის შესახებ, რომელიც სამყაროს ისეთად აღწერს, როგორიც ის სინამდვილეშია. პოსტსტრუქტურალისტების თანახმად, ენა პირობითია და სამყაროს შექმნაში მონაწილეობს.

პოსტსტრუქტურალისტი (post-structuralist) - იხ. პოსტსტრუქტურალიზმი.

პოსტსტრუქტურალისტური/ფუკოსეული დისკურსის ანალიზი (post-structuralist/Foucauldian discourse analysis) - დისკურსის ანალიზის ფორმა (ფსიქოლოგიასა და სხვა დისციპლინებში საკმაოდ პოპულარული), რომელიც ასოცირებულია ფრანგი პოსტსტრუქტურალისტი მოაზროვნის, მიშელ ფუკოს ნაშრომებთან, კონკრეტულად კი საზოგადოებაში ძალაუფლების ფუნქციონირების მისეულ ანალიზთან. დისკურსის ანალიზის ეს ფორმა ფოკუსირდება დისკურსის იდეოლოგიურ ფუნქციებსა და იმ გზებზე, რომელთა მეშვეობითაც სხვადასხვა დისკურსები კონკრეტულ სუბიექტურ პოზიციებს ქმნიან.

პოსტტრანზიცია (post-transition) - იხ. პრეტრანზიცია.

პრე-/პოსტტრანზიცია (pre-/post-transition) - ტერმინი გამოიყენება ტრანსსექსუალი ადამიანების „დაბადების“ სქესიდან მათთვის სასურველ სქესამდე ტრანზიციამდელი და ტრანზიციის შემდგომი პერიოდების (ან

მდგომარეობების) აღსაწერად. ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესები, როგორც წესი, სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგება, როგორიცაა არჩეული გენდერის შესატყვის გარეგნობასა და ჩაცმულობასთან შეგუება, ჰორმონული და ქირურგიული ჩარევები.

პრივილეგია (privilege) - უპირატესობები, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებს ერგება (მაგ. თეთრკანიან ადამიანებს, ჰეტეროსექსუალებს, საშუალო კლასის წარმომადგენლებს) მათი სოციალური დომინანტურ ჯგუფებთან მიკუთვნებულობის გამო. პრივილეგია დამოკიდებულია არაპრივილეგირებულობაზე, რაც გულისხმობს, რომ პრივილეგირება არაპრივილეგირების ხარჯზე ხდება

რადიკალური ლესბოსელი ფემინისტი (radical lesbian feminist) - იხ. ლესბოსელი ფემინისტები.

რასობრივად მარგინალიზებული (racially marginalised) - რასობრივი კატეგორიების საფუძველზე არსებული სოციალური ჩაგვრის, იზოლაციის ან მარგინალიზაციის გამოცდილება, როდესაც ადამიანები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან თეთრკანიანობის ნორმას, აღიქმებიან ნაკლებად მნიშვნელოვნად ან არაღირებულად სოციალური ინკლუზიისათვის.

რეალიზმი (realism) - მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც არსებობს პირდაპირი შესაბამისობა ობიექტებსა და ჩვენს ინტერპრეტაციებს შორის; რეალიზმის მიხედვით, ჩვენ "ვიცით" ეს ობიექტები იმდენად, რამდენადაც მის შესახებ არსებობს თავისთავადი ფაქტები, რომელთა აღქმა-გააზრება შეგვიძლია.

რეგულაციის ინსტრუმენტები (instruments of regulation) - ამ ტერმინის გამოყენებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვადასხვა კონსტრუქტები (მაგ. "გეი იდენტობის" ცნება) ზღუდავენ ჩვენს ქცევებსა და პრაქტიკებს კონკრეტული ფორმებითა და კონკრეტული ჯგუფებისა და ინსტიტუტების ინტერესების შესაბამისად.

რეზისტენცია/წინააღმდეგობა (resistance) - კონკრეტული ჯგუფების ჩაგვრისათვის და მათზე დომინირებისათვის ძალაუფლების გამოყენების შეწინააღმდეგების გზა. ტერმინი რეზისტენცია ორნაირად გამოიყენება: ზოგადად, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აღსანიშნავად და ასევე ძალაუფლების ფუნქციონირების წინააღმდეგ ბრძოლის ფუკოსეული ანალიზის მიხედვით. მეორე შემთხვევაში რეზისტენცია აღწერს, თუ როგორ შეგვიძლია ვიბრძოლოთ ძალაუფლების წინააღმდეგ, მაშინ, როცა ძალაუფლებას ვხედავთ ფარდობითად და გარდაუვლად (და არა დომინანტური ჯგუფების საკუთრებად, რომლისგანაც მარგინალიზებული ჯგუფები უნდა გათავისუფლდნენ).

რეფლექსიური (reflexive) - აღნიშნავს ცნებას, რომლის მიხედვითაც ცოდნა მუდმივად იქმნება და არ ხდება მისი „აღმოჩენა“, მკვლევარს კი ცოდნის შექმნაში თავისი როლი აქვს. რეფლექსიური კვლევა ისეთი კვლევაა, რომელიც აღიარებს მკვლევარის როლს ცოდნის შექმნისას, და სადაც მკვლევარი ახდენს რეფლექსიას საკუთარ პოზიციასა და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამას მონაცემთა ანალიზზე მოეხდინა გავლენა.

რიტორიკა (rhetoric) - არგუმენტაციის ფორმა; საუბრის კონკრეტული ფორმების გამოყენება მეორე ადამიანისთვის შენი აზრის ვალიდურობისა და უპირატესობის დასამტკიცებლად.

საზოგადოებრივი ადგილები სექსისთვის (public sex environments (PSEs)) - საზოგადოებრივი ადგილები, სადაც ძირითადად MSM-ებს აქვთ სექსი; ასევე ცნობილია “cruising grounds” ტერმინით. საზოგადოებრივი ტუალეტების შემთხვევაში მას მოიხსენიებენ, როგორც “cottages” (გაერთიანებულ სამეფოში) ან “beats” (ავსტრალიაში).

საუბრის ანალიზი (conversation analysis) - იხ. საუბრის ანალიტიკოსი.

საუბრის ანალიტიკოსები (conversation analysts) - მეტყველება-ურთიერთობის თვისებრივი მკვლევარები. მეტყველების ანალიზის მიზანია, აღწეროს თანმიმდევრულობა, სტრუქტურა და შედეგობრივი მოდელები ინსტიტუციურ დიალოგსა (ფორმალურ გარემოში არსებული დიალოგი) და ყოველდღიურ საუბარში.

სეპარატისტი (separatist) - ეს ტერმინი გამოიყენება იმ ფემინისტების აღსაწერად, რომლებიც ცდილობენ, თავი აარიდონ ყველანაირ სექსუალურ, ემოციურ და ფიზიკურ კონტაქტს მამაკაცებთან. სეპარატიზმი საკმაოდ პოპულარული იყო 1970-იან წლებში ლესბოსელ ფემინისტებს შორის და აღიქმებოდა ქალებისთვის მამაკაცების მიერ დომინირებულ საზოგადოებაში გადარჩენის და სხვა ქალებთან ძლიერი კავშირის განვითარების გზად.

სექცია 28 (1988 წლის ადგილობრივი მთავრობის დადგენილება) (Section 28 (of the Local Government Act 1988)) - ეს ინიციატივა 1988 წელს წამოაყენა ტეტჩერის კონსერვატიულმა მთავრობამ, იმ შიშის საფუძველზე, რომ ბავშვებს გეი მშობლობის შესახებ არსებულ წიგნზე მიეუწვდებოდათ ხელი (საუბარია წიგნზე „ჯენი ცხოვრობს ერიკთან და მარტინთან ერთად“). იგი ადილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უკრძალავდა „ჰომოსექსუალობის მიზანმიმართულ პროპაგანდას ან სხვადასხვა მასალების ჰომოსექსუალობის პროპაგანდის მიზნით გამოქვეყნებას“, ასევე უკრძალავდა სკოლებს „ჰომოსექსუალობის, როგორც ოჯახური ურთიერთობის ანალოგის, მიმართ მიმღებლობის სწავლებას“. სექცია 28 2000 წელს გაუქმდა შოტლანდიაში და სამი წლის შემდეგ დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოშიც. ეს მოვლენები 1980-იან წლების დიდ

ბრიტანეთში გეი და ლესბი მოძრაობის პოლიტიკურ აქტივიზმში გაერთიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა (ისეთი ორგანიზაციების აღმასვლის ხელშემწყობად, როგორებიც იყო Stonewall და OutRage!).

დაცული სექსი (safer sex) - სიფრთხილის ზომების მიღება სექსის დროს სგგი-ს (სექსუალური გზით გადამდები ინფექციების) გადაცემისა და (ჰეტეროსექსუალური სექსის დროს) დაორსულების თავიდან ასაცილებლად (მაგ. პრეზერვატივები, დიაფრაგმა ან ქალის პრეზერვატივები). ტერმინი „უფრო უსაფრთხო“ (და არა „უსაფრთხო“) გამოიყენება იმის გასაცნობიერებლად, რომ არც ერთი მეთოდი არაა 100 პროცენტით უსაფრთხო.

სექსუალობის დიქოტომიური მოდელი (dichotomous model of sexuality) - სექსუალობის მხოლოდ ორ კატეგორიად: ჰეტეროსექსუალობად და ჰომოსექსუალობად დაყოფის პრინციპი. ასევე ცნობილია, როგორც *სექსუალობის ბინარული მოდელი* და *ჰეტეროსექსუალური/ჰომოსექსუალური ბინარულობა*. დიქოტომია სქესში (მამაკაცი/ქალი) და გენდერშიც გვხვდება (მასკულინური/ფემინური).

სექსუალური იდენტობა (sexual identity) - ტერმინი მომდინარეობს სექსუალობის შესახებ არსებული თანამედროვე დასავლური წარმოდგენებისგან, რომელზეც დიდი ზეგავლენა მოახდინა ადრეული სექსოლოგების ნამუშევრებმა - ისინი სექსუალობას ადამიანის ცენტრალურ კომპონენტად და ჩვენი იდენტობის ინტეგრალურ ნაწილად აღიქვამდნენ. ეს მოდელი სექსუალობის კატეგორიზებას ადამიანის ტიპების (ჰომოსექსუალები, ჰეტეროსექსუალები) და არა მათი ქცევის მიხედვით ახდენს. ტერმინი „სექსუალური იდენტობა“ ადრე ასევე გამოიყენებოდა ფსიქოლოგების მიერ (ბავშვის განვითარების კონტექსტში) სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის (საკუთარი თავის განცდა მამაკაცად ან ქალად) და გენდერული როლის (ჩვენი ქცევების და პრაქტიკის შესაბამისობის ხარისხი ფართო კულტურაში მიღებულ ფემინურ ან მასკულინურ მოდელთან).

სექსუალური მოქნილობა (sexual fluidity) - ცნება, რის მიხედვითაც ადამიანების სექსუალობა არაა მყარი და შესაძლოა, სექსუალური იდენტობა თუ პრაქტიკა დროთა განმავლობაში შეიცვალოს.

სექსუალური ორიენტაცია (sexual orientation) - მრავალ ქვეყანაში (დასავლურ და არადასავლურ) პოპულარული ცნება, რომ მტკიცე, შინაგანი ფსიქოლოგიური ან ბიოლოგიური სტრუქტურა ორგანიზებას უწევს და მიმართულებას აძლევს ჩვენს სექსუალურ ქცევას. მართალია, ცნობილია, რომ ადამიანები შეიძლება თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასთან შეუსაბამოდ იქცეოდნენ, მიიჩნევა, რომ სექსუალობის „ჭეშმარიტი“ გამოხატულე-

ბები ადამიანის სექსუალურ ორიენტაციასთან (თვითიდენტიფიცირებულთან ან გარედან დარქმეულთან) შესატყვისია.

სითეთრე (whiteness) - აღნიშნავს კონკრეტულ რასობრივ მდგომარეობას ან მსოფლმხედველობას, სადაც თეთრკანიანთა ღირებულებები და შეხედულებები პრივილიგირებულია. სითეთრე ასევე შესაძლებელია გავიგოთ, როგორც „კულტურული კაპიტალი“, სადაც ადამიანებს აქვთ ხელმისაწვდომობა თეთრ პრივილეგიაზე, თეთრკანიან ნორმებთან სიახლოვის ხარჯზე.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (hate crimes) - ადამიანის ან ადამიანების მიმართ ძალადობა, რომელიც მოტივირებულია ამ ადამიანების რაიმე სოციალურ კატეგორიასთან მიკუთვნებულობით. ადამიანების მიმართ მათი გენდერული ან სექსუალური იდენტობის გამო ჩადენილ დანაშაულს ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ დანაშაულს უწოდებენ.

სოდომია/არარეპროდუქციული სექსუალობა (sodomy/non-reproductive sexuality) - ვიდრე სექსოლოგების ნამუშევრები რადიკალურად შეცვლიდა სექსისა და სექსუალობის მიმართ დამოკიდებულებას დასავლეთში, სექსი აღიქმებოდა, როგორც რეპროდუქციული=კარგი (ე.ი სექსი მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც პოტენციურად ნაყოფს იძლევა) და არარეპროდუქციული სექსუალობა (ან სოდომია)=ცუდი (ე.ი ყველა არარეპროდუქციული სექსი, როგორიცაა ორალური სექსი ქალებს ან ქალსა და კაცს შორის და ანალური სექსი კაცებს ან ქალსა და კაცს შორის).

სოციალური კონსტრუქცია/კონსტრუქტივიზმი (social construction(ism)) - მოსაზრება, რომლის თანახმადაც ობიექტებს თავისთავადი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მნიშვნელობები კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებთან მიმართებაში ყალიბდება.

სოციალური მშობელი (social parent) - მშობელი, რომელსაც არ აქვს ბიოლოგიური კავშირი ბავშვთან ან მშობლები გეი/ლესბოსელ ოჯახებში (იხ. ასევე თანა-მეურვე).

სოციო-ცენტრული (socio-centric) - სოციუმები ან ჯგუფები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სოციუმის ან ჯგუფის და არა ინდივიდების საჭიროებებზე; ასეთი საზოგადოებები ასევე ცნობილია, როგორც კოლექტივისტური საზოგადოებები.

სპერმის დონორი (sperm donor) - მამაკაცი, რომელიც აბარებს სპერმას ან სპეციალურ კლინიკაში ან პირადად აძლევს სხვა ადამიანს არაოფიციალურ გარემოში ბავშვის ჩასახვისათვის. მამაკაცები, რომლებიც სპერმას კლინიკაში აბარებენ, ძირითადად არ მიიჩნევიან იურიდიულ მშობლებად, თუმცა პირადი დონორების სამართლებრივი სტატუსი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავდება (მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ტექნიკურად

აქვთ ისეთივე უფლებები, როგორც დაუქორწინებელ მამებს). ზოგჯერ სპერმის დონორებს აქვთ გარკვული კავშირი თავიანთ ბიოლოგიურ შვილებთან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, მათ ძალიან უმნიშვნელო ან საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვთ ბავშვებთან.

სუბკლინიკური (ჯანმრთელობის პრობლემა) (subclinical (health problem)) - ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ჯანდაცვის სპეციალისტებისათვის მიუწვდომელია აღმოსაჩენად და/ან როდესაც ინდივიდი არ ეძებს დახმარებას ჯანმრთელობის სპეციალისტებისაგან.

სუროგაცია (surrogacy) - ზოგიერთი გეი მამაკაცი ბავშვის ყოლისათვის მიმართავს ტრადიციულ სუროგაციის მეთოდს (სადაც სუროგატ დედას აქვს გენეტიკური კავშირი ნაყოფთან), ზოგი კი „გესტაციურ მეთოდს“ იყენებს (როდესაც ბავშვს ატარებს ქალი, რომელსაც არ აქვს ბიოლოგიური კავშირ ნაყოფთან, რამდენადაც გამოიყენება სხვა ქალის კვერცხუჯრედი). სუროგაცია დავის საგანია, რამდენადაც ფემინისტები ხშირად აკრიტიკებენ ქალის სხეულის ასეთ გამოყენებას. სუროგაცია ასევე ძალიან ძვირია სააგენტოს გამოყენების შემთხვევაში (100,000$ საკმაოდ მიღებული ფასია Lev, 2006).

სქესის შეცვლის ოპერაცია (sex change surgery) - ქირურგიული პროცედურების ნაკრები, რომლის მეშვეობითაც ტრანსსექსუალი ადამიანები აღწევენ მათთვის სასურველ სქესთან შესაბამის სხეულებრივ გარეგნობას.

სქესი/გენდერი (sex/gender) - ეს ტერმინი გამოხატავს იმის აღიარებას, რომ მეინსტრიმ აზროვნებაში შეუძლებელია სქესის და გენდერის ცნებების თეორიულად განცალკევება, რამდენადაც ისინი ერთმანეთშია გადახლართული. მაგალითად, სქესი ხშირად აღიქმება, როგორც პირველადი, ხოლო გენდერი კი - ამ ბიოლოგიური „ნამცხვრის“ „კულტურული მოსართავი კრემი“. თუმცა, სიღრმისეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სქესმინიჭებული სხეული ასევე ძლიერად არის დაღდასმული გენდერის მიხედვით: მაგალითად, ვაგინა კონსტრუირებულია, როგორც პასიური არხი, საიდანაც ბავშვები გამოდიან და *პენეტრირდება* აქტიური პენისის მიერ.

სქესის კვლავმინიჭება (gender reassignment) - ერთი სქესიდან მეორე სქესზე გადასვლის ქირურგიული და ჰორმონული პროცესი.

სხვადასხვა სქესიანი ურთიერთობები (different-sex relationships) - ინტიმური ურთიერთობა ორ სხვადასხვა სქესის/გენდერის წარმომადგენელ პირს შორის. იგი ტერმინ „საპირისპირო სქესის ურთიერთობების“ (რომელიც, ქალების და მამაკაცების პოლარიზებას ახდენს) და „ჰეტეროსექსუ-

ალური ურთიერთობების“ (რომელიც გამორიცხავს ბისექსუალებს) ალტერნატიული მოდელია.

ტრანზიცია (transitioning) - ტრანს ადამიანის მიერ საკუთარი გენდერული გამოხატულების ცვლილების პროცესი მისი ბიოლოგიური სქესიდან მისთვის სასურველ სქესამდე. როგორც წესი, ადამიანები ამ პროცესს იწყებენ მათ მიმართ მიმართვის ფორმების და გარეგნობის ცვლილებით. შემდგომი პროცესი შეიძლება მოიცავდეს ჰორმონების მიღებას და ქირურგიულ ოპერაციას, რათა შეიცვალონ ფიზიკური ანატომია ისე, რომ დაემთხვეს მათ გენდერულ იდენტობას. ტრანზიცია ასევე ხშირად მოიცავს ლაპარაკის მანერის და ხმის ტემბრის შეცვლას.

ტრანსგენდერი (transgender) - იხ. ტრანსი.

ტრანსვესტიზმი (transvestism) - ხშირად წარმოჩენილი, როგორც პათოლოგიური სექსუალური ფეტიში, ტრანსვეტიზმი გულისხმობს ფენომენს, როცა ადამიანი (ძირითადად მამაკაცი) სიამოვნებას განიცდის „სხვა“ სქესის/გენდერის ტანსაცმლის ჩაცმისას.

ტრანსი (trans) - კრებითი ტერმინი იმ ადამიანების აღსაწერად, რომელთა გენდერიც/სქესიც განსხვავდება იმ სქესისაგან, რომლითაც ისინი დაიბადნენ, მათ შორის ტრანსსექსუალები. ტრანსსექსუალები განიცდიან შეუსაბამობას მათი დაბადების სქესისადმი და მათი გენდერული იდენტობებისადმი და ხშირად მიმართავენ თავიანთი სხეულის მოდიფიკაციას. ტერმინი ტრანსგენდერი გამოიყენება იმ ადამიანების აღსანიშნავად, ვინც დომინანტური გენდერული ნორმების ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, თუმცა სქესის შეცვლის ოპერაცია არ სურთ; ის ასევე ქოლგა ტერმინად გამოიყენება ზოგადად იმ ადამიანების აღსაწერად, ვისი დაბადების სქესი არ შეესაბამება მათ გენდერულ იდენტობას. ზოგი ტრანს ადამიანი თვითიდენტიფიკაციას ახდენს, როგორც ჰეტეროსექსუალი, ზოგი როგორც ლგბქ, ხოლო ზოგს მიაჩნია, რომ არ არსებობს მათი სექსუალობის აღმწერი ტერმინები და უარყოფენ კატეგორიზაციას.

ტრანსმამაკაცი (transmen) - იხ. ქალიდან მამაკაცზე ტრანსსექსუალი.

ტრანსსექსუალობა (transsexualism) - საკუთარ ბიოლოგიურ და გენდერულ იდენტობებს შორის შეუსაბამობის განცდის ფენომენი.

ტრანსსექსუალები (transsexuals) -იხ. ტრანსი.

ტრანსფობია (transphobia) - ჰომოფობიის მსგავსი ტერმინი, რომელიც გულისხმობს ფსიქოლოგიურ და სოციალურ ცრურწმენას და დისკრიმინაციას ტრანს ადამიანების მიმართ.

ტრანსქალი (transwomen) - იხ. მამაკაციდან ქალზე ტრანსსექსუალი

ფააფაფინი (fa'afafine) - იხ. ორ-სახოვანი.

ფსიქოლოგიის რეგულაციური როლი (regulatory role of psychology) - ეს ცნება აღწერს იმ საშუალებებს, რომლითაც ფსიქოლოგიური ცოდნა სტატუს კვოს ამყარებს. კრიტიკული ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ფსიქოლოგიური თეორიები და კვლევები „ნეიტრალური“ არაა; ისინი ხშირად მხარს უწერენ დომინანტურ და მჩაგვრელ იდეოლოგიებს, როგორიცაა „ქალის როლი სახლშია“ და „ბავშვებს სჭირდებათ დედა და მამა“.

ფემინისტური ფსიქოლოგია (feminist psychology) - ფსიქოლოგის აღიარებული ქვედარგი (ასევე ცნობილი, როგორც ქალთა ფსიქოლოგია), რომელიც ეფუძნება ფემინისტური მოძრაობის პოლიტიკურ მიზნებს და კონცენტრირებულია ქალთა ცხოვრების და გენდერის სოციუმში მოქმედების საკითხებზე. (იხ. თავი 2).

ფენომენოლოგია (phenomenology) - თვისებრივ კვლევებში გავლენიანი ფილოსოფიური მიმდინარეობა (იხ. Langdridge, 2007a). არსებობს ფენომენოლოგიის უამრავი ვარიაცია, თუმცა ძირითადი პრინციპია ადამიანების სუბიექტური გამოცდილებების ანალიზი. ფენომენოლოგიური მიდგომის თანახმად, თვისებრივი კვლევისას ადამიანების გამოცდილებების ინტერპრეტირებაზე ზეგავლენა აქვს მკვლევარის სუბიექტურ მსოფლმხედველობას.

ქალთა ფსიქოლოგია (psychology of women) - იხ. ფემინისტური ფსიქოლოგია.

ქალიდან მამაკაცი ტრანსსექსუალი (female-to-male-transsexual) (FTM) - დაბადებით მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელიც საკუთარი სურვილით იცვლის გენდერს მამაკაცურობაზე ჰორმონული და/ან ქირურგიული მეთოდით. ქალიდან-მამაკაცი ტრანსსექსუალების აღსაწერად ასევე გამოიყენება ტერმინი- ტრანსმამაკაცი.

ქალთა კვლევები (women's studies) - მულტიდისციპლინარული სფერო, ფოკუსირებული ქალებზე, გენდერსა და ფემინიზმზე, რომელიც მოიცავს უმეტეს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (ასევე ცნობილია, როგორც გენდერის სწავლებანი და ფემინისტური სწავლებანი). ქალთა სწავლებანი განვითარდა ფემინიზმის მეორე ტალღის და ქალთა მოძრაობის დროს 1660-იან და ადრეულ 1970-იან წლებში და მრავალი უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს ხარისხებს და კურსებს ქალთა სწავლებებში. შესწავლისთვის იხილეთ Robinson and Richardson (1997).

ქამინგ აუთი (coming out) - ნიშნავს, როგორც საკუთარ თავთან აღიარებას და იდენტიფიცირებას არაჰეტეროსექსუალად და/ან ტრანსად, ასევე ამ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას (ინგ. "Coming out of closet") ქამინგ აუთის საჭიროებას ჰეტეროსექსუალობის ნორმატიულობა და ბინარული გენდე-

რული მოდელის დომინანტობა განაპირობებს, სადაც იგულისხმება, რომ ადამიანები მუდამ და მუდმივად ქალები *ან* მამაკაცები არიან.

Q-მეთოდოლოგია (Q-methodology) - ფსიქოლოგ უილიამ სტრეფერსონის (1902-89) მიერ გამოგონებული კვლევის მეთოდი, რომელიც ადამიანების შეხედულებების საკვლევად გამოიყენება. ნორმალური რ-ანალიზისაგან განსხვავებით (R Method) ქიუ-მეთოდი მონაწილეებს შორის არსებულ კორელაციას სხვადასხვა ცვლადის მიხედვით ეძებს. აზროვნების საერთო გზების წარმოსაჩენად, ქიუ-ფაქტორული ანალიზი სხვადასხვა ინდივიდუალურ შეხედულებას რამდენიმე „ფაქტორამდე“ ამცირებს. (იხ. Kitzinger, 1987).

ქვიარ (queer) - მნიშვნელობათა რამდენიმე შრის მქონე კომპლექსური ტერმინია. წარსულში იგი ჰომოსექსუალობისთვის შეურაცხმყოფელ ტერმინად გამოიყენებოდა, თუმცა 1980-იანი წლების აქტივისტებისა და თეორეტიკოსების დამსახურებით, რომელთა მიზანიც სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ არსებულ ნორმებთან შეწინააღმდეგება იყო, ტერმინმა პოზიტიური და კონფრონტაციული მნიშვნელობა შეიძინა. ტერმინი ქვიარ გამოიყენება ზოგადად ლგბტ თემის აღსანიშნად და ასევე ასოცირებულია კრიტიკული თეორიის კონკრეტულ მიმართულებასთან (ქვიარ თეორია), რომელიც ეჭქვეშ აყენებს იდენტობის კატეგორიების, მაგალითად „ლესბოსელის“ ან „გეის“ მართებულობას. ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავს ქვიარს უწოდებენ, ხშირად ამით ქვიარ თეორიისა და აქტივიზმის ღირებულებებთან საკუთარ კავშირს უსვამენ ხაზს. ჩვენც სწორედ ასე ვიყენებთ ამ ტერმინს.

ქვიარ თეორიტიკოსები (queer theorists) - იხ. ქვიარ თეორია.

ქვიარ თეორია (queer theory) - კრიტიკული თეორია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჰუმანიტარულ თუ სოციალურ მეცნიერებებზე. იგი განვითარდა გენდერის ესენციალისტური მოდელების ფემინისტური კრიტიკის საფუძველზე და მასზე დიდი ზეგავლენა იქონია ფრანგი პოსტსტრუქტურალისტი მოაზროვნის, მიშელ ფუკოს (1978) ნაშრომებმა. ქვიარ თეორიის ძირითადი ფოკუსი სქესის/გენდერისა და სექსუალობის ჰეტერონორმატიული ბინარულობის კრიტიკაა, სადაც ჰეტეროსექსუალები და არატრანსგენდერები პრივილეგირებულნი არიან სხვა სექსუალობებსა და გენდერებთან შედარებით. კრიტიკა ხაზს უსვამს ჰეტეროსექსუალობის დამოკიდებულებას არაჰეტეროსექსუალობის უარყოფაზე და შესაბამისად, გამოწვევის წინაშე აყენებს ბინარული ჰეტეროსექსუალური/ჰომოსექსუალური სექსუალობის მოდელს.

ქვიარ ნუკლეარული ოჯახი (queer nuclear families) - ოჯახები, რომლებიც შედგება ორი ერთსქესიანი პარტნიორისა და ბავშვისაგან. ეს

ტერმინი გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ქვიარ ოჯახების შემადგენლობა ყოველთვის რადიკალური არაა და ხანდახან ახლოსაა კვინტესენციალურ (ჰეტეროსექსუალურ) ნუკლეარულ ოჯახთან.

ქვიარ ჰეტეროსექსუალები (queer heterosexuals) - ჰეტეროსექსუალები, რომლებიც იზიარებენ ქვიარ თეორიის პრინციპებს და ცდილობენ, სხვანაირად იყვნენ ჰეტეროსექსუალები, გასცდნენ სქესის ჰეტერონორმატიული განსაზღვრებისა და ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობების წესების ფარგლებს.

ქროს-დრესინგი - (ინგლ. cross - ჯვარედინი, გადაჯვარედინებული. Dress - ტანსაცმელი, ჩაცმულობა) დროგამოშვებით ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც ტრადიციულად სხვა სქესის ადამიანებთან ასოცირდება. ქროს-დრესერები, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ბიოლოგიურ სქესთან კომფორტულად არიან და მისი შეცვლა სულაც არ სურთ, მიუხედავად იმისა, რომ საწინააღმდეგო სქესისთვის განკუთვნილ ტანსაცმელს იცვამენ ხანგამოშვებით. ტერმინი „ქროს-დრესერი“ არ უნდა იყოს გამოყენებული იმ ადამიანების მიმართ, ვინც ტრანზიციის პროცესშია, ტრანზიცია განიცადა ან/და ყოველდღიურად ცხოვრობს, როგორც სასურველი სქესი, ან ამას მომავალში აპირებს. ქროს-დრესინგი გენდერული თვითგამოხატვის ფორმაა და არ არის აუცილებელი იყოს კავშირში ეროტიკულ აქტივობასთან. ქროს-დრესინგი არ არის სექსუალური ორიენტაციის მიმანიშნებელი. მაგ. ქროს-დრესერი კაცი არ ნიშნავს, რომ ის გეი იდენტობის მატარებელია ან ჰომოსექსუალური ქცევით არის დაკავებული.

ყოველდღიური ჰეტეროსექსიზმი (mundane heterosexism) - ჰეტეროსექსიზმი, რომელიც ჩაბეჭდილია ყოველდღიურ ენობრივ კომუნიკაციასა და პრაქტიკაში, რაც მას შეუმჩნეველს ხდის და მაშასადამე მიიჩნევა ნორმალურად.

შესისხლხორცება (embodiment) - მარტივად, ეს ტერმინი აღნიშნავს ადამიანის მიერ საკუთარი სხეულის გათავისებას, სხეულის მატერიალურობის განცდას. თეორიულად, ეს ტერმინი გამოიყენება სხეულის ნაწილებისათვის მინიჭებული მნიშვნელობების დასადგენად: მაგალითად, როგორ ხდება რასობრივი და გენდერული ნორმების შესისხლხორცება.

ჩაგვრა (oppression) - სოციალური გარიყულობის აღმნიშვნელი ტერმინი, ასოცირებული მაქრსიზმთან, ფემინიზმთან და გეი განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამ მოძრაობებში ჩაგვრა აღნიშნავს ძალაუფლების გამოყენებას ადამიანთა ჯგუფების სუბორდინაციისა და გაჩუმების მიზნით. passing - ზოგადად რომ ვთქვათ, პასინგ ნიშნავს ადამიანის იმ სოციალური ჯგუფის წევრად გასაღებას, რომელსაც სინამდვილეში იგი არ მიეკუთვნება (მაგ. გეები რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალებად წარმოაჩენენ). ძირითა-

დად ადამიანები პასინგს იმ მიზნით მიმართავენ, რომ მიიღონ კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სარგებელი, ან თავიდან აირიდონ საკუთარ ჯგუფთან ასოცირებული სტიგმა. passing შეიძლება ასევე შემთხვევითიც იყოს, როდესაც ვიღაც მიიჩნევა იმ ჯგუფის წევრად, რომელსაც არ მიეკუთვნება (მაგ. ლესბოსელი და გეი მშობლები მიიჩნევიან, რომ არიან ჰეტეროსექსუალები იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა მშობელი ჰეტეროსექსუალია).

ჩაკეტილი (closeted) - ლგბტქ ადამიანი, რომელიც არ ამხელს თავის სექსუალურ ორიენტაციას და/ან გენდერულ იდენტობას.

ძალაუფლება (power) - მარტივად რომ ავხსნათ, ძალაუფლება საკუთარი მსოფლმხედველობის სხვისათვის თავსმოხვევის შესაძლებლობის ქონაა. უმეტესწილად, ძალაუფლება აღიქმება, როგორც რაიმე კუთვნილება, რომელიც დომინანტ ჯგუფებს გააჩნიათ, მარგინალიზებულ ჯგუფებს კი არა. პოსტ-სტრუქტურალისტურმა თეორიებმა, მაგალითად მიშელ ფუკოს ნაშრომებმა, ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა. ფუკო გვიჩვენებს ძალაუფლების ურთიერთმიმართებით მოდელს, რომლიც მიხედვითაც, ძალა ყველგანაა და შეუძლებელია მისგან გათავისუფლდე, პოსტსტრუქტურალიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ქვიარ თეორეტიკოსებისთვის კი ოპოზიციური პოლიტიკის მიზანი ძალაუფლების მიმართ წინააღმდეგობა (რეზისტენტობა) და მის საპირისპიროდ მუშაობაა და არა ძალაუფლებისგან გათავისუფლება.

ჯანმრთელობის უთანასწორობები (health inequalities) - სხვადასხვა ჯგუფების სიკვდილიანობისა და ავადმყოფობის მაჩვენებლებს შორის განსხვავებები. როგორც წესი, ჯანმრთელობის უთანასწორობები განიხილება სოციო-კულტურულ ჭრილში (მაგ. ღარიბ ადამიანებს უფრო მეტი ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია მდიდარ ადამიანებთან შედარებით). ტერმინი შეიძლება დემოგრაფიული ნიშან-თვისებების ჭრილშიც განვიხილოთ. მაგალითად, სექსუალობის და გენდერის ასპექტების გათვალისწინებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა, როგორც წესი, მიმართულია ამ უთანასწორობების აღმოფხვრისაკენ.

ჰეგემონური მასკულინობა (hegemonic masculinity) - მასკულინობის ფორმა, რომელიც საზოგადოებაში ფართოდ მიღებულ ნორმას წარმოადგენს და ყველა მამაკაცს მოეთხოვება, რომ ამ ნორმას შეესაბამებოდეს. ჰეგემონური მასკულინობა მოიცავს შემდეგ სტანდარტებს: მამაკაცებმა არ უნდა გაამჟღავნონ ემოციები, უნდა გამორიცხონ მათში ყველაფერი „ფემინური“ (იქნება ტანსაცმელი, ინტერესები, საქმიანობები თუ ა.შ), ურთიერთობისას უნდა ერგებოდნენ დომინანტურ როლს, და სხვ.

ჰეტერონორმატიულობა (heteronormativity) - ქვიარ თეორიაში მოცემული ცნება, რომელიც აღნიშნავს ჰეტეროსექსუალობისთვის პრივილეგიის მინიჭებას და დაშვებას, რომ ჰეტეროსექსუალობა ერთადერთი ბუნებრივი და ნორმალური სექსუალობაა.

ჰეტეროპატრიარქატი (heteropatriarchy) - იხ. პატრიარქატი.

ჰეტეროსექსი (heterosex) - სექსი მამაკაცსა და ქალს შორის, ძირითადად პენისი-ვაგინაში პენეტრაცია. ეს ტერმინი შეიქმნა იმის მიხედვით, რომ ჰეტეროსექსისტურ გარემოში ტერმინი „სექსი“ იყო მხოლოდ ჰეტეროსექსუალური სექსის აღმნიშვნელი.

ჰეტეროსექსიზმი (heterosexism) - იხ. ჰეტეროსექსისტი/არაჰეტეროსექსისტი.

ჰეტეროსექსისტი/არაჰეტეროსექსისტი (heterosexist/non-heterosexist) - რაიმეს ან ვინმეს ჰეტეროსექსისტად მოხსენიება ნიშნავს, რომ მისთვის ჰეტეროსექსუალობა არსებითად ნორმალურია და ჰომოსექსუალობაზე მაღლა დგას; რომ ყველა ჰეტეროსექსუალია ან უნდა იყოს. ჰეტეროსექსიზმი ზეგავლენას ახდენს სოციალურ ინსტიტუტებსა და ყოველდღიურ ურთიერთობებზე. არა-ჰეტეროსექსისტური მიდგომა ცდილობს თავიდან აირიდოს ასეთი დაშვებები.

ჰეტეროსექსუალი (heterosexual) - მიიჩნევა, რომ ეს ტერმინი ფართოდ ცნობილია და არ საჭიროებს განმარტებას, თუმცა ჩვენ ამას არ ვეთანხმებით. ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს იმ ადამიანების აღსაწერად, ვისი სექსუალური და ემოციური ლტოლვა ძირითადად "სხვა" სქესის ადამიანებისადმი არის მიმართული.

ჰეტეროსექსუალური/ჰომოსექსუალური ბინარულობა (heterosexual/homosexual binary) - იხ. სექსუალობის დიქოტომიური მოდელი.

ჰეტეროსექსუალური ქცევის მქონე ქვიარები (straight-acting queers) - ლგბტქ პირები რომლებსაც არ აქვთ ლგბტქ სტერეოტიპებისათვის დამახასიათებელი მანერები, ქცევა და ჩაცმულობა.

ჰომოსექსუალები და ჰომოსექსუალობა (homosexuals and homosexuality) - მართებულია ტერმინი ჰომოსექსუალობის (სექსუალობა) და ჰომოსექსუალის (პიროვნება) განსხვავება. ლგბქ ადამიანების ძალზე მცირე ნაწილი იყენებს ტერმინ ჰომოსექსუალს საკუთარი თავის გამოსახატად, რადგან ეს ტერმინი შეიცავს სამედიცინო და შედარებით ნეგატიურ კონოტაციას. თუმცა, ტერმინი ჰომოსექსუალობა ფართოდ გამოიყენება ერთსქესიანი ლტოლვების აღსაწერად.

ჰომოსექსუალობის გენდერული ინვერსიის თეორია (gender inversion theory of homosexuality) - ცნება, რომლის მიხედვითაც, გეი

მამაკაცები არიან ფემინური ადამიანები მამაკაცის სხეულებში, ხოლო ლესბოსელები - მასკულინური ადამიანები ქალის სხეულში.

ჰომოფობია (homophobia) - გეი და ლესბოსელი ადამიანებისადმი ან ზოგადად ჰომოსექსუალობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს მღელვარებით, ზიზღით, მტრობით, აგრესიით, დისკომფორტით ან შიშით.